ივანე ჯავახიშვილის ცენტრი

დავით სართანია

ესკიზები ივანე ჯავახიშვილის პორტრეტისათვის

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
თბილისი
2017

წიგნი დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის პორტრეტის შექმნის ცდაა. იგი ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპია განზრახული ვრცელი ბიოგრაფიული რომანისა, სადაც ამ დიდი ადამიანის ღვაწლი იქნება ასახული.

ნარკვევში გამოყენებულია როგორც ლიტერატურული პუბლიკაციები, ისე საარქივო პირველწყაროები.

რედაქტორი: **როინ მეტრეველი**
აკადემიკოსი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ISBN 978-9941-16-526-9

© დავით სართანია

ვუძღვნი
მამის ნათელ ხსოვნას,
რომელმაც ჩამინერგა წიგნისა და წიგნიერების სიყვარული,
მიმაჩვია სამართლიანობას და ღირსების პატივისცემას,
მაგრძნობინა პეწისა და დახვეწილობის ხიბლი.

სარჩევი

წინათქმა 7

„ჯავახი სიცოცხლეა ჩემი“ 9

„მეოთხე კლასითგან მეცნიერებამ გამიტაცა“..... 32

„ისტორიის გაგება... ადვილი საქმე არ არის“ 48

„მე საქართველოს ისტორია მაინტერესებდა“..... 74

„ქართული სამეცნიერო ტაძარი“ 99

„ერთადერთი რაინდი“ 136

„ვისმენდი ლექციას ქართულს უნივერსიტეტში!“ 176

უნივერსიტეტის გასაღები 187

„ნეტავ ამაზედ ხელი არ მომეწერა და მომკვდარვიყავი“..... 193

„დაინგრა უკანასკნელი სიმაგრეც“ 207

„მოძღვარ-მოწაფეობა... სულიერ ნათესაობასა და
თანხმობაზე უნდა იყოს დამყარებული“ 236

„მისი გატაცებული მუშაობა მხიბლავდა“ 238

„ყველა თავის ტოლ-ამხანაგებში... ერჩეოდა“ 277

„ჯვარს აცუ ეგე“ 301

„ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“ 322

„ესეღა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა“ 341

„მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად“ 354

„კარგი ვარ, იმას ნუ იტყვი..“ 373

„წიწამურთან რომ მოკლეს ილია..“ 402

ბოლოთქმა 416

წინათქმა

თავის დროზე ელადის შვიდი ქალაქი ეცილებოდა ერთმანეთს ჰომეროსის დაბადების ადგილის საპატიო ტიტულს.

ჩვენშიაც იყო კამათი რუსთაველის სამშობლო ქალაქზე. ზოგი ასეთად ჰერეთის რუსთავს მიიჩნევდა, ზოგი კი მესხეთისას.

ყოველივე ეს მოსაზრებათა და ლეგენდათა სფეროში დარჩა.

ლეგენდები კი ამშვენებენ დიდი ადამიანების ბიოგრაფიას.

ასეთი ბედი არ ერგო ივანე ჯავახიშვილს. თუმცა მის დაბადების ადგილზეც არსებობდა განსხვავებული მოსაზრებები.

ზოგს მისი დაბადების ადგილად ხოვლე ეგონა მამამისის საგვარეულო მამული; ზოგს კი სიღნაღი, დედულეთი.

მაგრამ საარქივო დოკუმენტმა ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. აღმოჩნდა, რომ ივანე თბილისში დაბადებულა.

ეს მოხდა 1876 წლის (11) 23 აპრილს.

ამ დღეს მოევლინა ქვეყანას ყრმა, რომელსაც მშობლებმა ივანე დაარქვეს.

* * *

საქართველოში ყველაზე ცნობილ დიდ ადამიანებს მხოლოდ სახელით მოიხსენიებენ: როცა ახსენებენ შოთას, აუცილებლად რუსთაველს გულისხმობენ და ეს ტრადიცია რამდენიმე საუკუნეს ითვლის. როცა ვახსენებთ ილიას, ილია ჭავჭავაძე გვახსენდება და არა სხვა ვინმე. ასევე, ვახსენებთ აკაკის და მხოლოდ აკაკი წერეთელს ვგულისხმობთ.

ივანე ჯავახიშვილიც ამ რანგის მოღვაწეა.

„დიდო ივანე!“

ასე მიმართა მას აკაკი შანიძემ 1940 წელს გამოსათხოვარ სიტყვაში.

კანტიკუნტად მას მხოლოდ სახელით იხსენებენ მიხაკო წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ნუცუბიძე და სხვებიც, მაგრამ მხოლოდ კანტიკუნტად. არადა, ივანე ჯავახიშვილი ისეთი

დიდი პიროვნებაა, რომ სახელი „ივანეს“ ხსენებისას სხვა ვინ უნდა მოგვაგონდეს?

დიდი ივანე ერთადერთია და იგი ივანე ჯავახიშვილია.

ჩვენ უნდა დავამკვიდროთ ამ დიდი პიროვნების ასე სახელდება.

* * *

ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი წინამდებარე წიგნი მხოლოდ ესკიზებისგან შედგება, რომლებიც ამ დიდი მამულიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეს შეეხება. ვინაიდან ეს ესკიზები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, ერთი და იგივე ციტატები ზოგჯერ მეორდება. ამ უხერხულობას ის გამართლება აქვს, რომ კიდევ ერთხელ გახაზოს და უფრო მკვეთრად წარმოაჩინოს დიდი ივანეს ბიოგრაფიული ელემენტების ცალკეული წახნაგები.

რატომღაც პოეტის, მხატვრის, მუსიკოსის პირადი ცხოვრება მათ პროფესიულ მოღვაწეობაზე ნაკლებ არ აინტერესებთ, მეცნიერისა კი ნაკლებად.

პირველთა სულიერი მდგომარეობა, სისუსტეებიც კი კვლევის საგანი ხდება, მეცნიერისა კი იშვიათად. ეს უკანასკნელნი ყოველთვის ცივ, პირქუშ, აკადემიურ ჩარჩოში არიან მოქცეულნი, თუმცა ისინიც ხომ ხორცქმნილი ადამიანები არიან თავიანთი ვნებებითა და სულიერი კოლიზიებით. ეს ყველაფერი კი ხელოვანებზე ნაკლებად არ მოქმედებს მეცნიერთა შემოქმედებაზე.

ივანეზე ბევრი რამაა დაწერილი, მაგრამ სწორედ აკადემიური ფორმით. მისი შრომებისა და საარქივო მასალების, კერძოდ კი პირადი წერილების გაცნობამ მისი პიროვნება სხვაგვარად დამანახა. დავრწმუნდი, რომ შინაურულ, ინტიმურ გარემოშიც იგი ისეთივე წრფელი, მართალი და გულმხურვალე ადამიანი ყოფილა, როგორიც საზოგადოებრივ ასპარეზზე წარმოგვედგინა.

ყოველივე ამან გამიჩინა სურვილი, მეცადა, ასე ვთქვათ, ხელისგაწვდენაზე ახლოს მყოფი, ცოცხალი ივანეს პორტრეტის დახატა. ეს ამოცანა მეტად რთული გამოდგა. ამიტომ საქმე იმით გავიიოლე, რომ მხოლოდ ესკიზები შევქმენი. თუ რა გამოვიდა, განმსჯელმა განსაჯოს.

„ჯავახი სიცოცხლეა ჩემი“

„ჯავახი,
სიცოცხლეა ჩემი.
კარპაკი“.

ასეთი წარწერა ჰქონდა 1940 წელს მცხეთაში არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ ერთ ნივთს.

გათხრებს აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა.

რაოდენ დასანანია, რომ ამ აღმოჩენის დროს იგი უკვე გარდაცვლილი იყო. მის სიცოცხლეში მრავალი საინტერესო არტეფაქტები აღმოჩნდა, რომლებიც საქართველოს ძველი ისტორიის ახლებურად გაშუქების საშუალებას იძლეოდა. მაგრამ ეს უკანასკნელი აღმოჩენა განსაკუთრებულია. არქეოლოგებმა წარჩინებული პირის სამარხს მიაკვლიეს, სადაც სხვა ნივთებთან ერთად ქამრის ოქროს ბალთაც იყო. მასში ჩასმულ ძვირფას თვალზე გამოსახულია ქალ-ვაჟის სახე და გარშემო შემოუყვება წარწერა ძველბერძნულ ენაზე: „ძევახი ჩემი სიცოცხლეა. კარპაკი“.

თურმე მცხეთის სანახებში დადიოდა დიდებული ქალბატონი, რომელსაც კარპაკი ერქვა და წელზე ძვირფას ქამარს ატარებდა.

ეს ქამარი ძვირფასია არა იმით, რომ ოქროსია და ძვირფასი თვლებითაა შემკული, არამედ სწორედ ამ წარწერით.

მცხეთაში მოპოვებული მასალებიდან კიდევ სხვა ნივთებშიც იკითხება სახელი „ძევახი“ თუ „ზევახი“. ძველბერძნული ენისთვის დამახასიათებელი ეს ფორმა ქართველმა მკვლევრებმა (პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე კალანდაძე) „ჯავახად“ მიიჩნიეს.

„ჯავახი ჩემი სიცოცხლეა. კარპაკი“.

როგორ ჰყვარებია კარპაკს მეუღლე, რომელსაც ძევახი თუ ჯავახი რქმევია, რომ ამ გრძნობას წერილობით აცხადებდა!

კი მაგრამ, რისთვის? ამას ხომ უცხო ვერ წაიკითხავდა? ვინ დააცქერდებოდა ქალბატონს წელზე შემორტყმულ ქამარზე? ვინ გადააბიჯებდა ზრდილობის წესებს და ვინ შეურაცხყოფდა დიდებულ ბანოვანს?

არც ის მგონია, თითქოს მომავალი თაობებისთვის შეიქმნა ეს წარწერა.

უყვარდა კარპაკს ჯავახი და მეტი არაფერი. დაწერილიც ხომ გახმიანებული სიტყვებით გამომჟღავნებული სიყვარულის ტოლფარდია? შეყვარებულები კი ამ სიტყვებს მხოლოდ ერთმანეთისთვის იმეტებენ — ამბობენ თუ წერენ მხოლოდ ერთმანეთისთვის.

მაგრამ უკვალოდ არაფერი ქრება. მავანთა სიყვარულის ცეცხლი სხვებსაც მისწვდება ხოლმე და გასდებს უხილავ ხიდს. და კვლავ მეორდება ის, რაც უკვე მრავალჯერ მომხდარა — განცდაც, ვნებაც, ეჭვიც, ლტოლვაც და განშორების სევდა-ნაღველიც.

წინაპრებსა და შთამომავლობას შორის კავშირი კი დიდი ძალაა. დრო მას ვერაფერს აკლებს.

ჯავახზე ვამბობ!

იმ ჯავახზე, რომლის სახელი ოქროს ბალთაზე იყო ამოკაწრული და იმ ჯავახზეც, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ამ აღმოჩენას ხელმძღვანელობდა.

დანამდვილებით ვერავინ იტყვის რაიმე კავშირი არსებობს თუ არა მათ შორის, მაგრამ მან მაინც მისცა მკველევრებს პარალელის გავლების საშუალება — შესაძლოა ჯავახი (ძევახი, ზევახი) ჯავახიშვილთა შორეული წინაპარი იყოს.

ეს კაცობრიობის ისტორიის ანტიკური პერიოდია.

მაგრამ მკვლევართა მაძიებელი გონება აქ არ შეჩერდა.

უფრო აქეთა ხანაზეც დაიბადა ერთი ახალი ჰიპოთეზა.

თურმე ივანე ჯავახიშვილი და დიდი შოთა რუსთაველი ერთი გვარისანი ყოფილან. ასეთ დასკვნას საგანგებო კვლევის შემდეგ ისტორიკოსი ნოდარ შოშიაშვილი აკეთებს:

თორელების გვარიდან სამი შტო განვითარდა: ჯავახიშვილების, ღობიარებისა და ქვეშელების. პირველიდან გამოვიდა ჩვენი სასიქადულო პიროვნება ივანე, მეორედან კი დიდებული „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი.

საქმე ისაა, რომ ჯავახიშვილები მართალია ქართლის თავადები იყვნენ, მაგრამ ისინი აქ ჯავახეთიდან გადმოსახლდნენ. ჯავახეთში კი ჯავახიშვილთა წინაპრები თორელებად იწოდებოდნენ.

XII საუკუნეში თორელთა გვარის წარმომადგენლები ქართლში გადმოვიდნენ და მდინარე თეძმის ხეობა დაიკავეს. XIV საუკუნემდე ეს გვარი ისევ თორელებად იწოდებოდა, XIV საუკუნეში —

თორელ-ჯავახიშვილებად და XV საუკუნიდან კი უკვე ჯავახიშვილებად მოიხსენიებიან.

ეს ნამდვილად უტყუარი ფაქტია, სხვა კი მხოლოდ ჰიპოთეზა.

მაგრამ ვინ იცის, იქნებ ასეც იყო?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სულ მცირე, ლამაზი ლეგენდა ხომაა და დიდ ადამიანს ესეც სჭირდება. რაც მთავარია, არაფერს ვთხზავთ. საქმე კი ისაა, რომ კარპაკისა და ჯავახის სიყვარული ნამდვილად არ გამქრალა. მან თაობები გამოიარა და ვინ იცის მათში რამდენჯერ გამეორდა, ჩვენთვის კი უჩინრად ჩაიარა.

მერე რა?

მათ სიყვარულს ამით არც არაფერი დაკლებია. სიყვარულიც ხომ იასავითაა, ბუჩქნარში რომ ამოყოფს თავს და არავის უხმობს, მოდით შემომხედეთო. იაც ხომ სიყვარულის სიმბოლოა.

ივანე ჯავახიშვილისეული ოჯახი იყო ამ სიყვარულის გამოცხადება.

ქალაქ თბილისში, ავლაბრის სამოქალაქო სკოლის შენობაში, 1876 წლის 11 (23) აპრილს დაიბადა ივანე ჯავახიშვილი.

დიახ, სკოლის შენობაში დაიბადა მომავალში უფრო დიდი სკოლის — უნივერსიტეტის ფუძემდებელი.

ამ სკოლაში ცხოვრობდნენ მისი მშობლები, რადგანაც მამა ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილი განათლების მუშაკი იყო. იგი სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი და იმავე დროს პედაგოგიც გახლდათ. ივანეს დედა კი იყო სოფიო ათანასეს ასული ვახვახიშვილი, ერთ-ერთი ქართული წარჩინებული გვარის წარმომადგენელი.

სოფიოსა და ალექსანდრეს ურთიერთგაგებასა და სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახი ჰქონდათ.

ამ სიყვარულს მომავალში კიდევ ახალი შეემატება.

ჯავახი.

ეს შორეული შესაძლო წინაპარია, მხოლოდ შესაძლო და თანაც შორეული, საამაყო და სასიამოვნო. ეს ის დროა, როცა გვარი, თანამედროვე გაგებით, არსებობდა თუ არა საკამათოა.

ჯავახიშვილი.

ეს მამისეული მემკვიდრეობაა, ქართლიდან, სოფელ ხოვლედან.

ვახვახიშვილი.

ეს დედისეული წინაპრებია, კახეთიდან, ქალაქ თელავიდან.

ახლა კიდევ ერთი წარჩინებული გვარი დადგა მათ გვერდით.

ორბელიანი.

ეს ივანეს მეუღლის გვარია.

1904 წლის ზაფხულში ივანემ გაიცნო ქალიშვილი, რომელიც მერე მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდა. ეს ქალიშვილი ანასტასია ნიკოლოზის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი იყო, პროფესიით მუსიკოსი, მევიოლინე.

ვანოსა და სტაზიას ერთმანეთი დანახვისთანავე მოეწონათ და მათ შორის დიდი სიყვარულის წრფელი და სათუთი ძაფები გაიბა. ამ ძაფებში ალბათ მუსიკასაც მიუძღვის თავისი წვლილი. ივანე ხომ ბავშობიდანვე გატაცებული იყო მუსიკით, უკრავდა ვიოლინოზე. გიმნაზიაში სწავლის წლებში ქართული ხალხური მუსიკის დიდი ამაგდარების ძმები კავსაძეების დახმარებით მშობლიურ სოფელ ხოვლეში მომღერალთა გუნდიც კი შეუდგენია, ასეთი გუნდი გიმნაზიაშიაც ჰქონია შექმნილი.

ივანე ერთი პერიოდი მუსიკის ისტორიაზე მუშაობასაც კი აპირებდა. მოგვიანებით მართლაც შექმნა მან ამ თემაზე მშვენიერი ნაშრომი. ახლა კი შეხვდა მომხიბლავ ქალიშვილს, რომელსაც მისი გატაცება პროფესიად გაეხადა. მუსიკამ მათ საერთო ენა აპოვნინა და პირველი ნაპერწკლიდან დიდი სიყვარული დაიბადა. მათ მშობლებიდანაც დასტური მიიღეს და ივანე პეტერბურგში გაემგზავრა, როგორც დანიშნული.

რა ბედნიერებაა, მაშინ ტექნიკური საშუალებები დღევანდელივით რომ არ იყო განვითარებული? სხვა შემთხვევაში არ დაიწერებოდა ის წერილები, რომლებშიც ვანო და სტაზია ერთმანეთს გულისნადებს უმჟღავნებდნენ. ეს წერილები დღეს ჩვენთვის დიდი განძია, რადგანაც დიდი ადამიანის დიდ სიყვარულს წარმოგვიდგენს. ისინი ხომ იმ სათუთ გრძნობებს გვიმხელს, რომლითაც მხოლოდ რჩეულნი თუ იყვნენ განმსჭვალულნი.

დიდი ადამიანის ყოველდღიურობაც ძალზე ფასეულია, რადგანაც დიდი საქმის კეთების პროცესში ცოცხლად ჩაგახედებს, ისე ცოცხლად, რომ გაგრძნობინებს, ისიც შენნაირი ადამიანი ყოფილა, ოღონდ მეტი დაუთმენია, მეტი მოუკლია საკუთარი

თავისთვის, მეტი დაუხარჯავს და გაუღია უშურველად, მეტი მოუნდომებია და ისე შეუქმნია თავისი ქმნილება. ამდენი კი იმიტომ იწვალა, რომ ეს ქმნილება შენთვის მოეძღვნა, მხოლოდ შენთვის და შენგან მისით სარგებლობის გარდა არაფერი მოუთხოვია.

მივყვებით დიდი ადამიანების ნაკვალევს და ჩვენც თანდათანობით ვიზრდებით, ვკეთილშობილდებით, რადგანაც თითქოს საკუთარი დავივიწყეთ და მათი ცხოვრებით ვცხოვრობთ, მათი განცდებით ვივსებით... და ახლა უკვე, ემოციებით დახუნძლულთ, მათი თვალი მოგვყვება ყველგან და გვკარნახობს, რა გვეკადრება და რა არა.

ვანოსა და სტაზიას ცხოვრება ისე აეწყო, რომ არათუ შეყვარებულობის პერიოდში, არამედ დაქორწინების მერეც ხანგრძლივად განშორება დაებედათ. ვანო პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობს, სტაზიაც ხან იქვეა მასთან, ხან კი საქართველოში.

როგორი სევდა და ნაღველი ჩანს მათ წერილებში ამ დაშორების გამო!

როგორ ცხადად გვაჩვენებს მათი სულის სიდიადეს ეს წერილები.

და თუ თარიღს არ დავაკვირდებით, ვერც კი გავარჩევთ, ქორწინებამდელი რომელია და რომელი ოჯახური რუტინით დამძიმებული ხანის.

განშორების სევდა და ერთმანეთის უსაზღვრო სიყვარული იგრძნობა ყველა წერილიდან. 1905 წ. 7 სექტემბერს პეტერბურგისკენ მიმავალი ივანე გზიდან უგზავნის სტაზიას წერილს. მისთვის გარშემო ყველაფერი მოსაწყენია და უფერული. კაეშანს მხოლოდ სატრფოზე ფიქრი უქარვებს. ვანო მატარებლის ვაგონის ჯაყჯაყში წერს წერილს: „ჩემო მშვენიერო, ძვირფასო სტაზია! ... ოჰ, რა დამქანცველია გზა, მოსაწყენი უსიცოცხლო ბუნება, მზისაგან გადახრუკული მცენარეულობა და გაუთავებლად გრძელი სტეპი. მეტი არაფერი... ჩემო ძვირფასო სტაზია, როგორ დაისვენე წუხანდელ ღამეს? ალბათ, შენც, ისევე როგორც მე, დაიტანჯე უძილო ღამით. ძილი მერეოდა და თვალები თავისთავად მელულებოდა, თუმცა ძილი მქონდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი და მშფოთვარე. მინდოდა უცბად გამღვიძებოდა ჩემს ძვირფას, ლამაზ სტაზიას

გვერდით, რომ კიდევ ერთხელ დავმტკბარიყავი მისი საოცარი, პოეტურ-მელანქოლიური თვალების გამოხედვით..“..

სტაზიაც ვანოს სიყვარულს ყოველთვის ანალოგიური სისავსით პასუხობს.

„ჩემო ძვირფასო, კარგო ვანო! როგორ მინდა ახლა შენს გვერდით ვიყო, რომ მაგრად მოგეხვიო და გაკოცო საოცარ, ჭკვიან შუბლზე, რომ მადლობა გითხრა შენი ვრცელი წერილისათვის“.

თუმცა შეყვარებულები ხშირად წერენ ერთმანეთს წერილებს, მაინც უნახაობით ნაღვლიანად არიან. მოუთმენლად ელიან ახალ ბარათებს. ივანე ხშირად მიდის ფოსტაში, სადაც მას პასუხობენ: თქვენს სახელზე წერილი არ მოსულაო. სევდიანი და მწუხარე ბრუნდება შინ. მერე აღმოჩნდა: თურმე ფოსტის მოხელეს გვარების წაკითხვა ეშლებოდა. ერთხელაც ივანემ დაიჟინა და თავად გადაათვალიერა მიღებული წერილების ნუსხა. მასში საკუთარი გვარი მაშინვე იპოვა. ადვილი წარმოსადგენია მისი სიხარული. მანამდე კი, როგორც თავად წერს ერთ წერილში, შინ მორალურად და ფიზიკურად განადგურებული ბრუნდებოდა და მისთვის საყვარელი საქმის კეთების არავითარი სურვილი არ ჰქონდა.

შეყვარებული ვანო მხოლოდ ოცნებით წარმოიდგენს სტაზიას სახეს და მისი გამოხედვა ყოველთვის თვალწინ უდგას. ის კი არადა, თავს ვერ მორევია და სტაზიას სურათს მეგობრებს აჩვენებს, რომლებიც აღფრთოვანებულნი აქებენ მის პროფილს.

სიშორის სევდა და ნახვის მოუთმენელი სურვილი ცეცხლივით წვავდა ორივეს: „რა ბედნიერი ვიქნებოდი მე, რომ ეხლა ჩემთან ყოფილიყავ და ერთად გვემუშავნა, ერთად გვებაასნა, ერთად გვესწავლა ხოლმე. იცი, შენ ჩემო დიდო იმედო, ჩემო ლამაზთვალებიანო სტაზია, რანაირის სიყვარულით, რანაირის ხალისით ავასრულებდი თითოეულს შენს სურვილს, შენს წადილს? ... ნეტავი რადმე მაქცია, ბულბულად გადამაქცია! გახსომს ეს საუცხოვო ლექსი? ნეტავი ერთის წამით მაინც შენს მახლობლად მამყოფინა რომ შენს ლამაზ, ჟუჟუნა თვალებისათვის მეცქირნა და ერთხელ მაინც მეკოცნა“.

ვანოს არა მარტო სატრფოს სიშორით მოგვრილი სევდა აწუხებს, არამედ მისი ჯანმრთელობაც. თურმე თავის საყვარელ სტაზიას რატომღაც ცხვირიდან სისხლი სდის:

„ამის დარდი მაქვს. ცხვირიდან ხომ სისხლი არ გდის? თუ გდის ეჩვენე ექიმს, თორემ მაგდენი სისხლის დაკარგვა ხუმრობა საქმე არ არის. შენ გეთაყვანე ჩემო გულის იმედო და საყვარელო ჩიტუნიავ. შენ თავს გაუფრთხილდი“.

ვანო მზრუნველი და ფაქიზი შეყვარებულია. ერთ წერილში წერს: „შენ გენაცვალოს შენი ვანო. ჩემი თვალის ჩინო. სტაზიაჯან დარწმუნებული ვარ შენს სიტყვას აასრულებ და შენს თავს გაუფრთხილდები“.

შეყვარებულები ხომ ერთმანეთისას ყველაფერს აღმატებულად განიცდიან. ჯანმრთელობა კი სახუმარო სულაც არაა. მაგრამ არც მათი საქმიანობაა უმნიშვნელო. ვანოს სურს, რომ მისი სათაყვანებელი არსება წარმატებული და ბედნიერი იყოს იმ საქმითაც, რაც მას აურჩევია.

ვანოს სტაზიასთან მომავალი ცხოვრება ამაღლებულ ფერებში და დახუნძლულ საზოგადოებრივ გარჯაში წარმოუდგენია. მას უკვე გარკვეული აქვს საკუთარი საკეთებელი და ახლა სურს მომავალი მეუღლე ანალოგიურ ფერხულში ნახოს. იგი თავის სატრფოს მეტად მოხდენილად უხსნის, თუ როგორ უნდა იღვაწონ ერთმანეთის მხარდამხარ:

„ჩემო კარგო. ნეტა როდის იქნება ის ბედნიერი დრო, როცა ჩვენ ერთად ვიმუშავებთ და ერთად ვიმოქმედებთ; მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ დავეხმარებით ერთი ერთმანეთს გონებითსა და ხელოვნურ მოღვაწეობაში; შენ კარგად იცი ჩემო ძვირფასო, ჩემო მომხიბლავო ლამაზთვალებიანო სტაზია, რომ ჩვენს საწყალს სამშობლოს, ჩვენს ტურფა საქართველოს ღრმად განათლებული, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული კაცები ძალიან ცოტა ჰყავს, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება უფერული და ცალმხრივია. ამიტომაც, შენ გენაცვალოს შენი ვანო, ჩვენ ყველანი, ვისაც კი რისიმე გაკეთების უნარი გვაქვს, მოვალენი ვართ ჩვენი ძალღონე საზოგადო საქმეს შევალიოთ“.

ასე აგულიანებს სატრფოს საზოგადო საქმისკენ.

ივანე მიიჩნევს, რომ თავის სატრფოსთან ერთად მოვალენი არიან მთელი ძალ-ღონე საზოგადო საქმეს შეალიონ. მავანს შეიძლება საბჭოთა ეპოქისეული ერთი ქართული ფილმის სიტყვები გაახსენდეს, სადაც ვაჟი თავის გულისსწორს უცხადებს: „ჩვენ ისე

უნდა ვიცხოვროთ, რომ ჩვენზე სიმღერები დაიწეროსო“. იმ ფილმში საბჭოური ცხოვრების ჰეროიკაზეა საუბარი და ამიტომ დღეს ეს სიტყვები ღიმილისმომგვრელია. იმ ფილმით კი ასე გვმოძღვრავდნენ: „მიბაძეთ გოგიტა კვერნაძესო“. გახსენებით შეიძლება გავიხსენოთ, მაგრამ მათ არაფერი აქვთ საერთო: ფილმი საქართველოსთვის თავსმოხვეული იდეოლოგიის ნაყოფია, ივანეს განწყობა კი იმ ქართველების სულისკვეთება, ვინც ისეთი დედების გაზრდილი იყო, რომლებზეც პოეტი ღაღადებდა: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო! კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!“.

მაღალი იდეალებით დახუნძლული ვანო სტაზიაში თავის ტოლფარდს და სწორფერს ხედავს და ეს ძალიან ახარებს: „მე ბედნიერი ვარ, რომ შენისთანა ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებულმა ადამიანმა ჩემს გულისძგერას, ჩემს გულისნადებს საამო პასუხი გასცა. ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ ერთად შევქმნათ ხოლმე ყოველთვის ახალი, ყოველთვის საინტერესო რამ სამეცნიერო და ხელოვნების ასპარეზზე“.

„ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ ერთად შევქმნათ ხოლმე ყოველთვის ახალი, ყოველთვის საინტერესო რამ სამეცნიერო და ხელოვნების ასპარეზზე“.

დავაკვირდეთ შეყვარებული ივანეს ამ სიტყვებს. „ჩვენ უნდა ვეცადნეთო“, მიმართავს სატრფოს.

მაგრამ რას?

„ერთად შევქმნათო ხოლმე ყოველთვის ახალი, ყოველთვის საინტერესო რამ“.

მაგრამ რა?

ისეთი რამ, რაც იქნება საინტერესო და ახალი „სამეცნიერო და ხელოვნების ასპარეზზე“.

ივანემ ბევრი ენა იცოდა. გიმაზიაში ფრანგულს ბრწყინვალედ დაეუფლა და ფრანგული კულტურა მისთვის კარგად იყო ცნობილი. თუმცა შესაძლოა მას არც სცნობოდა მისი თანამედროვე დიდი მწერალი მარსელ პრუსტის შემოქმედება, ვინაიდან იგი ივანეზე რაღაც ხუთიოდე წლით იყო უფროსი. მაგრამ ეს არაა მნიშვნელოვანი, არამედ ის, თუ როგორ ხსნის დიდი ფრანგი მწერალი სიყვარულის ფენომენს. მისი აზრით, საყვარელი არსება, რომელიც თითოეულ შეყვარებულს რომანტიკულ ფერებში წარ-

მოუდგენია და ერთადერთ არსებად მიუჩნევია, სინამდვილეში თითოეულის ანატომია ისეთივეა, როგორიც სხვათა. მიუხედავად ამისა, სიყვარული მაინც არსებობს და ამის მიზეზს თავისებურ დასაბუთებასაც უძებნის. მოდით მოვუსმინოთ:

„ქალი, ვის სახესაც უფრო მუდმივად ვხედავთ, ვიდრე შუქს, — ვინაიდან თვალდახუჭულნიც კი ერთი წამითაც არ ვიკლებთ ტკბობას მის თვალთა მშვენიერებით, ლამაზი ცხვირით, და ყოველ ღონეს ვხმარობთ მათ წარმოსადგენად, — კარგად ვიცით, რომ ჩვენთვის ერთადერთ სწორედ ასეთივე ქალად შეიძლებოდა სულ სხვა აღმოჩენილიყო, ზუსტად იმ ქალაქში რომ არ ვყოფილიყავით, სადაც მას შევხვდით, ან სრულიად სხვა კვარტალსა და სალონებში გვესეირნა. ვფიქრობ, ერთადერთს, სწორედ მას არა აქვს რიცხვი, და მაინც, ჩვენს მოსიყვარულე თვალთა წინაშე მთლიანი, დაუმსხვრეველი რჩება და კიდევ დიდხანს ვერავინ შეგვიცვლის. საქმე ისაა, რომ ამ ქალმა მაგიური ზემოქმედების ძალით ჩვენში მანამდე გაბნეული სინაზის ათასი ნაწილაკი გააღვიძა, მოშალა ყოველგვარი დაუმთხვევლობა მათ შორის, თავი მოუყარა და ერთ მთლიანობაში მოაქცია; ეს ჩვენ თვითონ მივანიჭეთ ამ ქალს გარკვეული თვისებები, როცა ამ ქვეყნად საყვარელი არსების მყარი სუბსტანცია შევქმენით“.

ივანეს წერილების კითხვისას ადამიანს იგივე აზრი გიჩნდება: სტაზიამ ივანეს სულსა და გონებაში „მანამდე გაბნეული სინაზის ათასი ნაწილაკი გააღვიძა, მოშალა ყოველგვარი დაუმთხვევლობა მათ შორის, თავი მოუყარა და ერთ მთლიანობაში მოაქცია“.

ივანეს წერილებიდან გამოსჭვივის, რომ მისი გული ილტვის არა საოჯახო საქმეებით დახუნძლულ დიასახლისისკენ, არამედ საზოგადო ასპარეზზე მყოფ არსებისკენ.

ივანე ფრთხილად უმჟღავნებს თავის წადილს, რომ არ დააფრთხოს სატრფო. მას სურს, რომ მუსიკოსი სტაზია საზოგადოებრივ ფერხულში ჩაებას. იგი აგულიანებს მას:

„შენ ემსახურები ზეციურ, ჩემს საყვარელს ხელოვნებას, მომხიბლავ მუსიკას. ჩვენი ხალხი უხვად დაჯილდოებულია ამ ნიჭით: განა ჩვენი ხალხური სიმღერები, ჩვენი საეკლესიო გალობა ცხადად არ ამტკიცებს ამას? მერე ნუთუ ისეთ ნიჭიერს ერს არ უნდა აუღორძინდეს კვლავინდებურად მუსიკალური შემოქმე-

დებითი ძალა და ახალი ქართული ხელოვნური მუსიკა არ უნდა ჰქონდეს? ჩემო საყვარელო, რა ბედნიერი ვიქნებოდი მე, რომ შენ ჩემს სიცოცხლის იმედს, ამ წმინდა საქმისათვის მოგეკიდნა ხელი, ჩვენი ხელოვნების აღორძინებისათვის გემსახურა. შენ კარგად იცი, რომ ამისათვის პირველდაწყებითი მუშაობაა საჭირო: სიმღერების შეგროვება და მათი თეორიული შესწავლა. მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ შეგიძლიან ამ საქმეს შეუდგე. რასაკვირველია, მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ მუშაობის დაწყება ეხლავეა საჭირო; არა, ამ საქმეს თუ მოინდომებ და ხალისი გექმნება მაშინ მოჰკიდებ ხელს, როცა ჩვენ ერთად, სამუდამოდ განუყრელად ვიქნებით. ჯერჯერობით კი კარგი იქნებოდა ის თეორია, რომელიც შესწავლილი გაქვს, არ დაივიწყო: პირიქით, თუ გარემოება ხელს შეგიწყობს განაგრძო კიდეც მისი შეთვისება. შენ ნახავ, ჩემო ძვირფასო, რომ თუ ადამიანი მოისურვებს ბევრის გაკეთება შეიძლება. შენა მწერ: სტრადივარიუსს მოვკიდე ხელი და სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, სულ სხვა ხმოვანება აქვსო. მასა და მის წინანდელ ძლიერ და საამო ხმის აღდგენა შეუძლებელია ეხლაო. ჩემი კარგო, მანამ ჩემს წერილს მიიღებდე, შენ თვითონ დარწმუნდები, რომ შენი შიში უსაფუძვლოა; დიდი ხნის დაუკვრელობის შემდეგ ადამიანს პირველად ყოველთვის აგრე ეჩვენება ხოლმე. ნეტა ეხლა შენს გვერდით მამყოფინა, რომ შენის ხელოვნურ დაკვრით დავსტკბე და ლამაზი ხელები დაგიკოცნო!“

ნეტავი მათ!

მერე რა, რომ ათასი და კიდევ ასი ათასი მაშინდელი, დღევანდელი და მერმინდელი თავმომწონე (უნდა მეთქვა: კუდაბზიკა ან ცხვირაბზუებული) ადამიანი, ქალი და კაცი, ირონიული ღიმილით წაიკითხავს ამ სიტყვებს.

მერე რა?

ისინიც ბედნიერები არიან.

ბედნიერები არიან, რადგან არ იციან, რომ ლუარსაბსა და დარეჯანს განასახიერებენ; რომ მიუხედავად გარეგნობისა, ჩაცმულობისა, თანამდებობისა და დაზეპირებული მოდური ფრაზეოლოგიისა, მათი გონებრივი ავლადიდება ბოზბაშსა და ჩიხირთმას ვერ სცილდება. დავტოვოთ ისინი კოვზმომარჯვებულნი წვნიან ჯამთან და ჩვენ ვიოლინოს ჰანგებს გავყვეთ.

კეთილსინდისიერებაც ხომ ღვთის მადლია. ივანეს რამდენიმეგზის გამეორებულ მოწოდებას სტაზია დიდი მოკრძალებით პასუხობს, რომ მიუტევოს მას, თუკი იმედი გაუცრუა. შენ დარწმუნებული ხარ, რომ მონდომების შემთხვევაში ადამიანს ბევრი რამ შეუძლიაო, წერს სტაზია ვანოს, მაგრამ უნდა გითხრა, რომ მე ნათლად ვაცნობიერებ ჩემს მოუმზადებლობას და ჩემი საწყალი ვიოლინოსაგან არაფერი გამოვაო.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ იმოქმედებდა ამის წაკითხვა შორს მყოფ მეოცნებე შეყვარებულზე. თუმცა ამის შესახებ ვანოს წერილებში არაფერი წერია. ეს ისევ ივანეს დიდბუნებოვნების გამოხატულებაა, მაგრამ ეს პასუხი საამურად რომ არ დაურჩებოდა, ცხადია. როგორ იქნებოდა კმაყოფილი, თუკი გაირკვა, რომ მისი სწორფერი ფრთების სისუსტეს უჩივის და მარდად ვერ მოჰყვება?

მთელი ცხოვრება ვერ შეეგუა ამას ივანე. მეცნიერის ქალიშვილი ნათელა ჯავახიშვილი იგონებს: დედა „ოჯახმა ისე დატვირთა, რომ, სამწუხაროდ, ვეღარ გააგრძელა სწავლა პეტერბურგში, რასაც მამაჩემი ძალიან განიცდიდა“.

მართლაც, სტაზიას ამ დიდი მისიის შესრულება ვეღარ მოუხერხდა. მას მართლაც მეტად მძიმედ დააწვა საოჯახო საქმეები და შემოქმედებითი საქმიანობისთვის არც დრო რჩებოდა და არც ენერგია ყოფნიდა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ არც სტაზია იჩენდა დიდ გულმოდგინებას. როგორც ეტყობა, ივანეც ადრევე ამჩნევდა, რომ სტაზია მუსიკას გვერდზე სდებდა. ამაზე სწუხდა, მაგრამ რას შველოდა წუხილი? ივანე კი მაინც ხშირად შეახსენებდა: „არ დაგავიწყდეს გოდარის ჰანგი. შენ რომ უკრავდი ეხლაც ყურებში მესმის. რას იქმს შენი სკრიპკა? უკრავ თუ არა?“

მუსიკა მათი საერთო გატაცებაა. ეტყობა საქართველოში მეკლენბურელთა კვარტეტი ჩამოვიდა საგასტროლოდ და სტაზია კონცერტზე წასასვლელად ემზადება. ივანეს ეს ძალიან ახარებს და აგულიანებს: „ძალიან მოხარული ვარ რომ მეკლენბურელთა კვარტეტის კონცერტზე წახვალ, აქ ძალიან აქებენ. ბეთჰოვენის კვარტეტებს უკრავდნენ წრეულს. იქნებ მანდაც იგივე დაუკრან“.

მუსიკა მუსიკად და საზოგადო საქმეც საზოგადოდ. ვანო და სტაზია მაღალი სულიერების მქონენი იყვნენ, მაგრამ პირველყ-

ოვლისა ხორციელი არსებებიც. მართლაც და ახალგაზრდა შეყვარებულები შეიძლება ვნებას მოკლებულნი იყვნენ?

„დაგკოცნი შენ მშვენიერ თვალებში და ... ჩაგეხუტები, დაგკოცნი გიჟურად და მოწიწებით შენს მუხლებს ვემთხვევი“.

წერს ვანო ერთ წერილში თავის სწორფერს.

ეს სიტყვები 1906 წელსაა დაწერილი, მაგრამ იგივე გრძნობა, განცდა და ვნება ბოლომდე ასე გაჰყვა მათ სიყვარულს. აბა 1917 წელს დაწერილი წერილი ვნახოთ:

„მოუთმენლად ველი იმ დღეს, როდესაც ჩვენ ერთად ვიქნებით, რაც უფრო ახლოვდება ეს დრო უფრო მიძნელდება მოთმენა. შენც დარწმუნებული ვარ ამასვე ჰგრძნობ, მაგრამ შენ ისე კარგად იცი თავის შეკავება, მე კი არ შემიძლიან“.

ვანოს გულისთქმას სტაზიასგან ყოველთვის ანალოგიური პასუხი ხვდებოდა:

„გეხვევი ისე როგორც შემიძლიან, ვიცი და მიყვარს, მუდამ წუთში შენთან გონებით, ოცნებით, გულით, სულით მარად შენი ვარ. ჩემო ღვთაებავ ვანიკო, ჩემო გამაგიჟებელო“.

„ჩემო მერცხალო, ლამაზო, გულკეთილო, იმედო და ნუგეშო ჩემო, შენით ვსუნთქავ და შენით ვცოცხალვარ! ოჰ, აქ რომ მყვანდე, ისე მოგეხვეოდი ისე მაგრა, როგორც მიყვარხარ, ჩემო მეგობარო, საყვარელო ჩემო! როდის იქნება აღსრულდეს ჩვენი ორთავესი ოცნება და სურვილი, ჩავეხუტოთ ერთმანეთს ჩვენებურად. ჩემო ვანიკო, დაგკოცნი მაგრა, უანგარიშოდ, ჩემო და ჩვენი გვრიტუნიების მაგიერ. კიდევ და კიდევ იყავი კარგად ჩემს საბედნიეროდ. შენი მარად ნებიერი ცოლიკო“.

ივანე 1906 წლის ზაფხულში პეტერბურგში ადრე ჩავიდა, რომ საქორწინო სამზადისი დაეჭირა. მან დაიქირავა ბინა ლახტინის ქუჩაზე, მოელაპარაკა მოსამსახურეებს, რომლებიც მის მეუღლეს საოჯახო საქმეებში უნდა შეშველებოდნენ. მალე პეტერბურგში ჩამოვიდა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი და თან ჩამოიყვანა თავისი ძმისშვილი, ივანეს საცოლე, სტაზია — ანასტასია ორბელიანი.

ივანესა და ანასტასიას ჯვრისწერას ერთი პატარა კურიოზი მოჰყვა. არაქართველმა მღვდელმა ქართული გვარების ღრმა ცოდნის გამოვლენა მოინდომა. მან უარი განაცხადა ვანოსა და

სტაზიასთვის ჯვრის დაწერაზე, რადგან მათი გვარები ერთმანეთის ნათესავებად ჩათვალა. საქმეში ჩაერია ივანეს ერთ-ერთი მაყარი ნიკო თავდგირიძე, რომელიც მღვდელს ცემით დაემუქრა. ამან კი გაჭრა და საქმეც გაიჩარხა.

ასე შეიქმნა ერთი ახალი ოჯახი.

და ცხოვრობდნენ ვანო და სტაზია მომავლის დიდი იმედებით აღსავსენი.

მათ ჯერ ქალიშვილი ნათელა შეეძინათ, შემდეგ კი ვაჟიშვილი კახაც მოევლინება ქვეყანას.

თავიდან ერთად ცხოვრება ხერხდება, მაგრამ მერედა მერე საქმე რთულდება.

1917 წელს, როცა პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა და რუსეთის რევოლუციაც კარზე იყო მომდგარი, ჩვენს წყვილს ცალ-ცალკე უწევთ ცხოვრება. ვანო პეტერბურგშია, სტაზია კი თავის შვილებთან, ნათელასა და კახასთან ერთად, ქუთაისში სტაზიას სიძის, კიტა აბაშიძის ოჯახში. სტაზია მესამე შვილსაც ელოდება. იგი ვაჟი იქნება, რომელსაც პაპის სახელს ალექსანდრეს დაარქმევენ, საალერსოდ კი ლალის დაუძახებენ. ეს არამამაკაცური სახელი ბოლომდე შერჩება მას და ნახევარი საქართველოც ამით გაიცნობს.

ომია და ომის გავლენა ყველაფერზე იგრძნობა. წერილები ხან იკარგება, ხან კი იგვიანებს. შეყვარებულებს, რომლებსაც სანუგეშოდ მხოლოდ წერილი დარჩენიათ, მათი დაგვიანებაც აფორიაქებს. „ჩემო ლამაზთვალებიანო სტაზიკოჯან! დღეს იმედი მქონდა, რომ შენი წერილი მომივიდოდა და მართლაც, უნივერსიტეტითგან რომ დავბრუნდი შინ, შენი წერილი დამხვდა. ადვილად წარმოიდგენ რანაირად გამეხარდებოდა. წავიკითხე და ძალიან მეწყინა, რომ ჩემი წერილები ერთის მეტი ჯერ არ მოგსვლია. მიკვირს სწორედ, სად იკარგება? იმ ხუთ ღია ბარათს გარდა, რომელიც გზიდან გამოგიგზავნე, აქეთგან ეს მეხუთე წერილია, რაც გწერ და რა იქნა ამდენი წერილი“.

პეტერბურგიდან ქუთაისამდე დიდი მანძილია და მოყვარული ცოლ-ქმრისთვის ერთმანეთის ამბის შემატყობინებელი ახლა მხოლოდ წერილია. რადგან ისინი იკარგება, მას ნომრავენ და ისე უგზავნიან ერთმანეთს, რომ გამოარკვიონ, რომელი წერილი არ

მისვლია ადრესატს. ცალკე ცენზორის შიშიც აქვთ და ძალიან ფრთხილობენ. „ბევრ რამის მოწერა მინდა, მაგრამ ხომ იცი ეხლა ისე გულახდილად წერა არ შეიძლება“. – წერდა ივანე მეუღლეს 1917 წლის 25 მარტს.

მათი წერილები არც ადრე ეხებოდა რაიმე სახელმწიფო საიდუმლოებებს და არც ახლა ექნებოდათ ამგვარ თემებზე საუბარი, მაგრამ ცენზორის შიში მაინცაა. ცენზორი, როგორც ეტყობა, ყველა წერილს სინჯავს. „ჩემო სტაზიკოჯან! გუშინ შენმა (№ 5) წერილმა გამახარა. ძლივს არის მოგსვლია ჩემი წერილებიც. ეხლა იმედია ყოველთვის თავის დროზე მიიღებ. ე.ი. დაახლოებით 7 დღის შემდგომ მოგივა ხოლმე აქეთგან წამოსული წერილი. ხოლო რაკი მე ყოველ 3-4 დღეში წერილს გიგზავნი, ამიტომ კვირაში ორჯერ წერილი მოგივა ხოლმე. თუ რასაკვირველია ცენზორს არ ჩაუვარდა ხელში და იმან არ დააგვიანა“.

წერილი, წერილი და კიდევ წერილი.

ესაა მხოლოდ ერთადერთი საურთიერთობო საშუალება, ეს აგებინებთ ახალ ამბებს და მასვე მოაქვს შორიდან სითბო და ვნება, რომელიც ასე ძალუმად აქვთ ერთმანეთისთვის. ძუნწად ანდობენ მათ წერილებს, ძუნწად, მაგრამ ცხადად კი.

„შენს ნახვას მოწიწებით ველი, როგორც ჩემს ღვთაებისას, ისე ვგრძნობ, თითქოს უფრო ძლიერად მიყვარხარ და სხვანაირად, თითქოს შენ ჩემთვის ღვთაებასავით მშვენიერი გახდი. მაინც ხომ ვენუსი ხარ და ცისკარი“, წერს ივანე თავის სათაყვანებელ სტაზიას.

მესამე-მეოთხე დღეს მოელიან ახალ წერილებს ისეთი თრთოლვით, თითქოს ახალი პაემანისთვის ემზადებოდნენ და თითოეულის დაგვიანებას პაემანზე დაგვიანებასავით განიცდიან, წერილის დაკარგვა კი ხომ პაემნის ჩაშლად აღიქმება. ამიტომ ნომრავენ წერილებს და ითვლიან.

„ჩემო სტაზიკოჯან საყვარელო! გუშინ შენი წერილი (23 თებერვლისა) მომივიდა. ზედ ეწერა № 10, ჯერ ცხრა დაგიწერია და მერე გადაგისწორებია. ვგონებ შენ უნდა სცდებოდე. უკანასკნელი შენი 18 თებერვლის წერილი № 8-ზე იყო და თუ მას შემდგომ 23 თებერვლამდე სხვა არა მოგიწერია რა, მაშინ შენი უკანასკნელი წერილი მე-9-ე იქმნება და წერილი არ დაკარგულა“.

ეს ერთეული შემთხვევა არ არის. 1917 წლის 23 მარტს ივანე ისევ სწერს მეუღლეს:

„დღეს შენი წერილი მომივიდა. ჩივი, რომ კარგა ხანია ჩემი ამბავი არა იცი რა. არ ვიცი რატომ დაიგვიანა ჩემმა წერილმა, მე-9-ე წერილის შემდგომ გამოვგზავნე 5 მარტს, 11 მარტს, 12 მარტს, 15 მარტს და 20 მარტს კიდევ ერთი ღია წერილი“.

გასაოცარია — 15 დღეში 5 წერილია გაგზავნილი. ისინი არც ერთი არ დაკარგულა, მხოლოდ დაგვიანებით მიიღო ადრესატმა. ივანე არა მარტო წერილების გაგზავნის ინტენსიურობაზე ამახვილებს ყურადღებას, არამედ მათი გაგზავნიდან გაგზავნამდე გასულ დროზეც:

„მეცხრესა და მეათეს შუა ცოტა მეტი მანძილი იმიტომ იყო, რომ რევოლუციის დროს აქ გაფიცვა იყო და ფოსტა არა მუშაობდა“.

ასეთი ზედმიწევნით ყველაფრის აღნუსხვით ივანემ სტაზიას ძალაუნებურად უთხრა: კი არ დამავიწყდი, შენზე ფიქრი დიდი დროით კი არ გადავდე, არამედ ფოსტა არ მუშაობდა და ვერ შეგეხმიანეო.

ივანე არა მარტო შეყვარებულია, არამედ მზრუნველი მეუღლე და საოცარი მამაა. მთელი რუსეთის იმპერია ომის გამო გაჩანაგებულია. პურიც კი არ იშოვება. ამ კრიზისმა გამოიწვია კიდეც რევოლუცია. ასეთ ვითარებაში ათასი საქმით დატვირთული წვრილმანებისთვისაც კი იცლის, რომ ქუთაისში მყოფ ოჯახზე იზრუნოს.

„რასაც მწერ შენ უკანასკნელს წერილში აგისრულებ, მხოლოდ აქ ჯერ მაინც დიდი ყინვებია და საზაფხულო ფეხსაცმელი არა აქვთ. — წერს ივანე სტაზიას 1917 წლის 5 მარტს პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში, — ამასთანავე ეს ათი დღეა რაც ქარხნებში გაფიცვები იყო და მაღაზიებიც დაკეტილი იყო. მაინც ვიკითხავ. ძალიან მოხარული ვარ რომ კახას იმ წამალმა არგო და ფერიც მოსვლია. მაინც ხომ ჯაფარიძისათვის გეკითხნა წერილით თუ რას გირჩევდა სისხლნაკლულობისა და სურავანდის წინააღმდეგ, კარგი იქნებოდა, ჩემო მტრედიკო, ისე მინდა თქვენი ნახვა, რომ ვერ წარმოიდგენ. გამოცდები 2 მაისს მითავდება, მაგრამ სახელმწიფო გამოცდებს წრეულს არავინ დაიჭერს. იქნებ

აპრილის გასულს მოვახერხო, იქნებ უფრო ადრეც. შენ ხომ იცი, რომ როცა კი შესაძლებელი იქნება მე მაშინვე თქვენკენ გამოვეშურები. ეხლა კი კახუნა და ნათელა ტკბილად დამიკოცნე, ჩვენი მშვენიერი ბარტყები! ყველას მოეხვიე ჩემ მაგიერ. შენ კი ჩემო ნებიერო სტაზიკუნა, აქ უნდა მყავდე რომ ჩემი სიყვარულის კოცნა სიღრმემდი გაგრძნობინო. შენ კარგად გესმის რომ ვერა სიტყვა ვერ გამოხატავს იმ სიყვარულს, რომლითაც შენ მიყვარხარ. დაგკოცნი ისე როგორც ჩვენ ორივეს გვიყვარს. კახას და ნათელას აკოცე. ჩემ პატარა ნებიერ მზეთუნახავს მშვენიერ ტუჩებს დავუკოცნი. ხომ ვახსოვარ და ხშირად მიგონებს ხოლმე. ეხლა რაკი მანდ დათბა, მე მგონია შეიძლება თმა გაჰკრიჭო კიდეც. შენ რას იტყვი? კვლავ ჟუჟუნა თვალებს დაგიკოცნი. მარად შენი ვანო“.

სტაზიას საპასუხო ზრუნვა კიდევ უფრო სათუთია და ამაღელვებელი: „შენ [არ] მწერ შენთვინ იყიდე რამე თუ არა, გეტყობა არა, რატომ არ აასრულე შენი სიტყვა, ხომ ძალიან გჭირდება?“.

სტაზიას ურჩევნია თავად გაიჭირვოს, ვიდრე მის საყვარელ ვანოს ზედმეტი საფიქრალი გაუჩინოს: „ჩემო კარგო, მშვენიერო ვანიკო! საშინლად მეწყინა გუშინ დილით უწყება რომ მოვიდა 150 მანეთისა ტელეგრამით! მაწუხებს და ვნანობ რომ მოგწერე ჩემი ფინანსების მდგომარეობა, ძალიან საჭირო რომ ყოფილიყო, მე პირდაპირ კატოს ვსთხოვდი, მაგრამ ხომ გწერდი რომ ჯერ საჭირო არ არის სრულებით! ეხლა ვწუხვარ და სულ იმაზე ვფიქრობ როგორ, საიდან შეგეძლო შენ გამოგეგზავნა, უეჭველია შენ არ გექნებოდა შენთვისაც საკმაო და როგორ ჰქენი ეგა?“

სტაზია სულგრძელია და გამგები. იგი მზადაა ყოველგვარი გაჭირვება აიტანოს, ოღონდ კი საყვარელ მეუღლეს ყოფა შეუმსუბუქოს:

„ჩემო გამახარებელო, მერცხალო ჩემო, შენმა წერილმა გამომაცოცხლა, ოღონდ ძალიან შევწუხდი შენ რომ ეს ტილო გიყიდნია, როგორ შეიძლებოდა ასეთი ძვირფასის და მშვენიერის ყიდვა, სულ არ იყო საჭირო, რაკი იაფი არ იყო, უბრალოს ვიყიდდით აქვე, როცა გაგვიჭირდებოდა და ასეთი ფულის დახარჯვა ამისთანა დროში. ნუთუ შენ გგონია რომ მე ისე ვარ განებივრებული, რომ თუ არა ამისთანა კარგი წმინდა ტილო უბრალოს ვერ ვიხ-

მარ, გეფიცები ყველაფერს ავიტან, მე ისე მცხვენიან, ისე დანაშაულად ვგრძნობ ჩემს თავს!“

მეუღლისა და შვილების ნახვას ასე მოწყურებული ივანე მხოლოდ წერილებით თუ აგებინებს თავის დარდსა და სიყვარულს. მას არც საგანგებო საჩუქრის შერჩევა და გაგზავნა ავიწყდება.

„შენთვის ამანათში იმის გარდა რაც ჩამოვთვალე, ერთი საჩუქარი იყო ისეთივე, როგორიც საშობაოდ ჩამოგიტანე და წარმოდგენილი გექნება რანაირად მეწყინება რომ ის დაიკარგოს. ალბად, შენ დაბადების დღეს მანდ ვერ ვიქნები“.

აბა ახლა საყვარელი მეუღლის საჩუქრით აღფრთოვანებული სტაზიას სულის ფეთქვას მოვუსმინოთ: „ვანიკო, საყვარელო, გამაგიჟებელო, დაუფასებელო ჩემო ქმარიკო! ეს იყო გუშინ ღია ბარათს გწერდი, რომ შენი წერილები აღარ მომსვლია დიდი ხანია, როდესაც შენი გამოგზავნილი ამანათი მივიღე, თეკლეს გამოუტანებია ვიღაცასთვინაც ტფილისითგან. რა გულისფანცქალით ვხსნიდი, ვიცოდი შიგ ჩემი ვანიკოს წერილი იქნებოდა და არ მოვსტყუვდი, მერე რა, წერილის გარდა სქელი კონვერტი რომ დავინახე მაშინვე მივხვდი რაც უნდა ყოფილიყო! ოჰ, ჩემო მშვენიერო, პოეტო ჩემო! ენა არ მემორჩილება, რომ გამოითქვას ის რაც მე ვიგრძენი და როგორ ვღელავდი სანამ წავიკითხავდი! რომ დავწექი დიდი ხანი არ დამიძინია და რამდენჯერმე გადავიკითხე, ვკითხულობდი და ვკოცნიდი ამ წმინდა სტრიქონებს! ვიკრავდი გულში და ოჰ, შენ რომ აქ ყოფილიყავი, რომ იცოდე გაგიჟებული ვარ შენი ნახვის ნატვრით; სულ შენს ოცნებაში ვარ და რაც უფრო ახლოვდება ჩვენი ნახვის დრო, უფრო და უფრო მელევა მოთმინება! აღარ ვიცი რა ვქნა, მოდი ჩემო ლამაზო ჩქარა შენს სტაზიასთან! მომეხვიე, მაკოცე, მინდა ვიგრძნო მთლად ისე როგორც მიყვარხარ! ჩემო სიცოცხლე, როგორ მწერ რომ „თუ გინდა ჩემი წერილი წაიკითხე და დახიეო“! ვანიკო, მეწყინა ისე, კინაღამ ვიტირე! ეგ მაცოცხლებს და მახარებს, შენს მაგიერ მყავს შენი საყვარელი ალერსიანი სიტყვები და რომ დამეკარგოს ერთი მათგანი, გადავირევი და დახევა როგორ შემიძლიან? ხომ გესმის შენ, და დარწმუნებული ვარ რომ ვერც შენ იზამდი მაგას! ... დღეს ვათავებ ამ წერილს ჩემო სიცოცხლე ვანოჯან, ისე მაგრა მოგეხვევი, მხურვალედ დაგკოცნი ისე როგორც მიყვარს

ხოლმე და ვიცი! ოჰ, ნეტავი მართლა შემეძლოს გადაგეხვიო ამ შენი მშვენიერი ლექსისთვინ. მე რომ საძაგელი ვარ და ვერაფერ ასეთს საჩუქარს ვერ მოგიმზადებ შენი დაბადების დღისთვინ! რა ბედნიერება იქნებოდა რომ ასრულდეს ჩვენი ოცნება და აღდგომის შემდეგ შენ კიდეც წამოხვიდე! იქნებ 11-12-ს ერთად გავატაროთ! ოჰ, სიხარულო გავგიჟდებოდი!.. კიდევ გაკოცებს შენი ნებიერი..“.

ძნელია თქმა, თუ რა უძღვნა ივანემ მეუღლეს დაბადების დღის საჩუქრად. „წერილის გარდა სქელი კონვერტი რომ დავინახე მაშინვე მივხვდი რაც უნდა ყოფილიყოო“, — ამბობს სტაზია. ე. ი. ამანათში წერილი ცალკე იდო და „სქელი კონვერტი“ კიდევ ცალკე. შემდეგ კი აღნიშნავს: „ოჰ, ნეტავი მართლა შემეძლოს გადაგეხვიო ამ შენი მშვენიერი ლექსისთვინ. მე რომ საძაგელი ვარ და ვერაფერ ასეთს საჩუქარს ვერ მოგიმზადებ შენი დაბადების დღისთვინ!“. ჩანს, რომ ივანემ წერილის გარდა საგანგებოდ შეთხზა ლექსი და მეუღლეს უძღვნა. იგი იმდენად პირადული ყოფილა, რომ წერილთან ერთად არ მოათავსა და მერეც, წაკითხვის მერე, დახევაც ურჩია. სტაზია ხომ პოეტს უწოდებს თავის ვანოს და „ენა არ მემორჩილება, რომ გამოითქვას ის რაც მე ვიგრძენი და როგორ ვღელავდი სანამ წავიკითხავდიო“ — იქვე მიუთითებს. რადგან სტაზია მაშინვე მიხვდა რაც უნდა ყოფილიყო, ეტყობა ივანე ამგვარ საჩუქარს მეუღლეს ადრეც უძღვნიდა. დასანანია, რომ არაა შემორჩენილი ეს ძვირფასი საჩუქარი. თუმცა თავი იმით შეგვიძლია ვინუგეშოთ, რომ კარგად ვხედავთ, თუ როგორ ღებულობს ამას სტაზია. მისი აღფრთოვანებული რეაქცია არანაკლებ ამაღელვებელია.

11 აპრილი ვანოს დაბადების დღეა, 12 კი სტაზიასი. იქნებ ამ დღეს მაინც შეხვდნენ ისინი ერთმანეთს. მანამდე კი სტაზია იმაზეც კი დარდობს, რომ მეუღლის გვერდით არ იმყოფება და მის ყოფას ვერ იზიარებს, ვერაფერში ველის:

„ალბად მოდიან შენთან ქართველები, რას აჭმევ, ნეტავი მანდ ვყოფილიყავი მე, იქნება ამაში მაინც ცოტას მოგეშველებოდი, თუმცა ისეთი უშნო ვარ, საძაგელი, მართალია ხომ, ჩემო კარგო, მშვენიერო? მხოლოდ ვიცი ჩემს ვანიკოს მაინც ვუყვარვარ, როგორიც ვარ! შენ გენაცვალოს ჩემი თავი, გვრიტოჯან, დაგკოცნი

მთლად უანგარიშოდ, გაგიჟებით მიყვარხარ შენც და ჩემი პატარა ვანოცა. ჩვენი ჩიტუნიები გაკოცებენ მაგრა. მარად შენი ნებიერი“.

სტაზია ივანეს რევოლუციით გამოწვეულ სიხარულზე უყვება და თან მისი და შვილების ამბებს აცნობს: „ყველა გარედ არიან, ჩემს და კახუნას გარდა, თუმცა მაგანაც კი იცის, დარბის და ყვირის „ნიკო, ძილს!“ ჩვენი მშვენიერი ბიჭუნა, ისეთი კარგია, გალამაზდა კიდეც, დღეს ისეთი დაბრაწული ლოყები აქვს, მზე აცხუნებს საშინლად, ნამდვილი გაზაფხულის დარია... დღეს გაზაფხულის პირველი დღეა — ეს არის ბავშვებს „ჩიტები“ გამოუცხე... მე მგონია ეხლა რაკი მადაც კარგი აქვს, რომ იშოვებოდეს მუდამ ხორცი, კარაქი უყვარს საშინლად და როცა არის ბევრსა სჭამს. რძესაც 5-5 ჭიქას სვამს და 2-3 კვერცხის გულს დღეში“.

რევოლუციამ ყველა და ყველაფერი გამოაცოცხლა. სტაზიაც კიდევ უფრო დაფიქრდა საშშობლოს ბედზე:

„ნეტავი ამისთანა დროს ერთად ვყოფილიყავით, ისე მინდა რომ ყველაფერი გითხრა რასაც ვგრძნობ და ვფიქრობ და შენი აზრიც გავიგო ყველაფერზე. მაგრამ ისეთ გუნებაზე ვარ, რომ ვერაფრის თქმა შემიძლია მოკლედ წერილში. მეტად ბევრია სათქმელი! რა თქმა უნდა არ შეიძლება ადამიანმა უსაზღვრო სიხარული არ იგრძნოს ამისთანა უდიდესი ამბებისაგან, მაგრამ ჩვენი სამშობლოს ბედი გვაფიქრებს, ვინ იცის რა მოგველის და ხომ უარეს მდგომარეობაში არ ჩავვარდებით!!“

ივანე უკვე საქართველოშია, მაგრამ იმდენი საქმეებია დაგროვილი, მას იგი ზურგს ვერ შეაქცევს. რევოლუციის მერე პოლიტიკური დულილი კიდევ უფრო მძაფრია, არავინ იცის რა მოხდება. ომი კი გრძელდება და არც ისაა გარკვეული, როგორ დამთავრდება. ცალკე ავტოკეფალიის საკითხია დასმული და მრავალი წინააღმდეგობაა გადასალახი. ივანე ყველა ამ საქმეს თვალყურს ადევნებს და მონაწილეობს. განსაკუთრებით ავტოკეფალიის საქმეებშია ჩართული. გარდა ამისა, მას კიდევ ახალი საქმე აქვს წამოწყებული — თბილისში უნივერსიტეტი უნდა დაარსდეს. ამიტომ იგი თბილისიდან ფეხს ვერ ადგამს. არადა დედის, მეუღლისა და შვილების ნახვის სურვილი კლავს. მეუღლე ყველაფერს შესაშური გაგებით ხვდება. თანადგომაც ამას ჰქვია, მეუღლის თანადგომა:

„ვანიკო, ეხლა იმაზე ვფიქრობ, გუშინაც გწერდი, რომ რასაკვირველია ტფილისში მოგიხდება ყოფნა, საქმეები ბევრი იქნება, და არც ასატანია ეხლა ან აქ ან სოფელში იჯდეს ადამიანი, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ როგორმე მოვახერხებთ ხოვლეში წასვლას და მაშინ ადვილად შეგვიძლიან კვირაობით მაინც ამოხვიდე, ერთი-ორი დღე ჩვენთან გაატარო!“

ივანე თბილისიდან ქუთაისში მყოფ სტაზიას წერილს უგზავნის და უმხელს, რომ უნივერსიტეტის შესახებ მოხსენება 80 გვერდი გამოუვიდა, ხვალ მეცნიერთა პატარა კრება იქნებაო და მერე კი ბანკებისა და სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლების კრება შედგებაო.

ეს კრება 12 მაისს გაიმართა. მანამდე კი ივანეს მოუთმენლობისაგან სული ელევა, მაგრამ საქმეს ვერ ღალატობს. მას მეუღლის პატარაობის სურათი კედელზე დაუკიდნია, მას შეჰყურებს და დარდს ამით იქარვებს: „ჩემო მტრედიკო საყვარელო, მომწერე ყველაფერი, როგორა ხართ შენ და ჩვენი ჩიტუნიები. ისე ძნელია ასე ცალ-ცალკე და მოშორებით ყოფნა. ბედი არა მაქვს, ერთხელ ვერ მოეწყო ისე რომ ჩვენ სურვილზე შეგვძლებოდა ყოფნა. დაგკოცნი ჩემს სიცოცხლეს და ჩემს თვალისჩინებს კახუნსა, ნათელას და შენ ჩემო გვრიტიკო მომხიბლავო. თვით შენი პატარაობის სურათი მიკიდია და ისე მომწონს და შევხარი, რომ უნდა მარტოკა შენი სურათი ჩემთვის გადავიღო.... ველი, ველი შენს ამბავს, არაფრის ხალისი მაქვს სანამ შენი წერილი არ მომივა. ნეტავი კი კარგათ იყოთ ჩემო საყვარელო და სხვა არა მინდა რა მეტი. დაგკოცნი ისევ ჩემს მშვენიერს მოღუღუნე მტრედიკოს. მარად შენი მოტრფიალე ვანიკო. ჩემს პატარა მზეთუნახავსაც ტუჩებს ტკბილად დავუკოცნი. შენი ქმარიკო“.

ივანე კი თბილისიდან ქუთაისში ვერ ახერხებს წასვლას. არადა მისი და სტაზიას დაბადების დღე მოახლოვდა. მომლოდინე და მოსიყვარულე სტაზია წერს:

„ჩემო სიხარულო, სულიკო ჩემო, ვანიკოჯან! შენი დაბადების დღეა ხვალ — ოჰ, რა მინდოდა აქა მყოლოდი, რომ მოგხვეოდე და მომელოცე ისე როგორც მიყვარხარ, ჩემო გულის საყვარელო და სანატრელო! მაგრამ რა ვუყოთ, მესმის რომ ეხლა ჩვენ თავზე არ შეიძლება ვიფიქროთ, როცა ისეთი დიდი საქმეები ხდება! ერთის

დღით ამოსვლა არა ღირს, ჩემო მშვენიერო, საშინლად დაიღლები გენაცვალე შენ, ისევ მოვითმინოთ და როდესაც განთავისუფლდები, მაშინ ცოტა უფრო დიდის ხნით იქნება წამოხვიდე. ... თუ რომ ცოტა დრო გქონდეს, გენაცვალე, მომწერე შენი ამბავი, იცოდე, არ მინდა ერთის დღით მოხვიდე, არა, არა!!. ჩემი გულისთვის ეგ არა ჰქნა, იცოდე, გეხვეწები!.. ეგ უფრო საშინლად მომშლის, ჩემო კარგო!“

უკვე გადაწყვეტილია თბილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნა, ივანე თბილისში რჩება და ბინის მოწყობაზე ზრუნავს. „ჩემო სტაზიკო მე გადავწყვიტე თქვენი ჩამოყვანა ამ მოკლე ხანში. (თბილისში, დ.ს.) ბინა უკვე თავისუფალია. ... ორ ჩვენს დიდს სარეცელს და კახასას ჩამოვიტანთ. ბავშვებისთვისაც რაც საჭირო იქნება. სასადილო და სამზარეულოს ჭურჭელს დედა ქუთაისითგან იბარებს. ავეჯი ზოგი აქ არის, ზოგი ვანდასთან, ზოგსაც ვიშოვით. ნავთის სამზარეულო ვიყიდე კიდეც. სანოვაგესაც ვიყიდი. აქამდის ვერაფერი გამოგიგზავნეთ, რომ არ იშოვებოდა“.

აწი უკვე ერთად არიან ვანო და სტაზია და დაიწყება ცხოვრების მეტად მძიმე პერიოდი: ჯერ დამოუკიდებელი საქართველოს შენების სიძნელენი, მისი კრახი და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ყოველივე ამას მოჰყვება მატერიალური ხელმოკლეობა, ავადმყოფობა, ახლობლების დაჭერა, დახვრეტა, განქიქება, ლანძღვა. ბოლოს კი ვითომ შემობრუნება — თვალთმაქცური პატივისცემა, რომელიც ისევ დიდი ადამიანის სათავისოდ გამოყენებას ემსახურებოდა. რა თქმა უნდა, მშვენივრად გრძნობდა ამას დიდი ივანეც, გულმოკლული, ჯანგატეხილი ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებდა.

ამდენი რამ ერთ აბზაცში ჩაეტია, თუმცა ყოველივე ეს ხანგრძლივობით მათი ცხოვრების ნახევარს შეადგენს. სტაზია ოცნებობდა ვანო პეტერბურგიდან საქართველოში გადმოსულიყო, რომ განუყრელად ერთად ყოფილიყვნენ. ესეც ახდა, ერთად კი არიან, მაგრამ ქვეყანაში აწი იწყება გაუთავებელი დავიდარაბა, რომელიც მათ ყოფაში პირდაპირ აისახება.

უძლებენ.

სულიერი სიმტკიცე და ურთიერთ დიდი სიყვარული აძლებინებთ.

სტაზიას დიდი ჯაფა დააწვა. იგი კი უდრტვინველად იტანს ყოველივეს და ყველაფერს აკეთებს მეუღლისათვის, შვილებისათვის და ყველა ნათესავისთვის. ივანეს უმცროსი ვაჟიშვილი ლალი იგონებს: „ადრე მამა მოწამლულა და იმის შემდეგ თითქმის ყველანაირი საკვები სწყენდა. ზოგჯერ ისეთი ტკივილები ჰქონდა, იკრუნჩხებოდა ტკივილისაგან... ამდენი შიმშილობისაგან ორგანიზმი სრულიად გამოეფიტა და ექიმმა კონიაშვილმა აიძულა მამა უფრო ყუათიანი საკვები მიეღო, კერძოდ, შავი ღვინო, ტვინის კატლეტი და ქორფა მწვანილი... დედამ გააკეთა ხის ყუთი, ჩაყარა შიგ მიწა, დათესა წიწმატი და, რომ ამოიწვერებოდა, სრულიად ქორფას კრეფდა და აჭმევდა მამას“.

ასე უვლიდა, თავს ევლებოდა, მაგრამ ჯანგატეხილ მეუღლეს ვერ შველოდა. ჯანმრთელობის გაუარესებას ხომ თავდაუზოგავი შრომაც უწყობდა ხელს.

ივანე ხელოვნების მუშაკთა სახლში საჯარო ლექციის კითხვისას სცენაზევე გარდაიცვალა. დარეკეს სახლში. ყურმილი ივანეს ძმამ გიორგიმ აიღო. მას ეს სამწუხარო ამბავი ამცნეს და სთხოვეს მეუღლისთვის არ ეთქვა სიმართლე. უთხარით შეუძლოდ შეიქმნაო და მის წამოსაყვანად მანქანას გამოვაგზავნითო. გაოგნებულმა გიორგიმ თურმე ახლა თავად დარეკა ხელოვნების მუშაკთა სახლში და იკითხა, რა მოხდაო. მას ვიღაცამ რუსულად უპასუხა რომ ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალაო. გიორგი ჯავახიშვილს ეს საბედისწერო სიტყვა „умер“ ხმამაღლა გაუმეორებია. უკვე წამოსასვლელად გამზადებულ სტაზაიას ეს სიტყვა რომ გაუგია, ყველაფერს მიმხვდარა. როგორც ნათელა ჯავახიშვილი იგონებს „ამხტარა სასადილო მაგიდაზე და თურმე აქეთ-იქით დარბოდა გაგიჟებული, ძლივს ჩამოუყვანიათ“.

სტაზიას, რომელსაც ვანო ყოველთვის რომ უქებდა მოზომილ სიტყვას და ქცევას, ახლა კი უმტყუნა ძალ-ღონემ. იგი დიდი სიყვარულის დასრულებამ ვერ დატოვა მშვიდად და აუღელვებლად...

მათი სიყვარული მართლაც სანიმუშო იყო. „ვერა სიტყვა ვერ გამოხატავს იმ სიყვარულს, რომლითაც შენ მიყვარხარ“, — წერდა ივანე მეუღლეს. საპასუხოდაც ხომ იგივეს იღებდა:

„ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს შენ დროებით საჩქაროთი ხარ წამოსული პეტროგრადიდან და ისევ დაბრუნება დაგ-

ჭირდება! ნუ თუ? მომწერე ჩემო ჩქარა, ნუ თუ ეს შესაძლებელია! უნდა გამოგიტყდე რომ ისეთ ცუდ გუნებაზე ვარ, რა ვქნა, არ ვიცი რათა, ოღონდ მგონია რომ ძალიან მომეწყინა უშენოდ, მინდა საშინლად შენთან ყოფნა, არა ერთის დღით, არა, სულ, სულ შენთან მინდა, ჩემო ბიჭიკო, მაპატიე, რომ არ ვიკავებ თავს და გეუბნები რასაც ვგრძნობ, მაგრამ ისე დაგტანჯე, ისე, აღარ შემიძლიან, ასე დიდხანს გაგრძელდეს, ვიცი შენთვისაც ძნელია, მაგრამ მე საძაგელი ვარ რომ გაწუხებ მუდამ ჩემის გულის დარდით, სულ შენთან ვარ, შენზე ვოცნებობ დღე და ღამე, ჩემი გული და სული შენთანაა განუყრელად!“

თუ ისტორიის ლაბირინთებში ღრმად ჩავიხედავთ, ზემოთ ნახსენები ქამრის ბალთა უნდა გავიხსენოთ კვლავ, სადაც საკუთარი სახელი ძევახი ანუ ჯავახი იხსენიება: „ჯავახი ჩემი სიცოცხლეა. კარპაკი“.

ასეთ სარტყელს არ ატარებდა სტაზია, მაგრამ მას მართლაც შეეძლო ამ სიტყვების გამეორება.

ივანეს გარდაცვალების შემდეგ საკმაო ხანს იცოცხლა სტაზიამ. ბოლოს კი ჯავახისა და კარპაკის დიდი სიყვარული კიდევ ერთხელ აღმოჩნდა გარდასული დროის საუფლოში. თუმცა მასთან შეხმიანება კვლავაც პირველქმნილი ელვარებით გვატყვევებს:

„ჯავახი,
სიცოცხლეა ჩემი.
სტაზია“.

„მეოთხე კლასითგან მეცნიერებამ გამიტაცა“

„სიყრმითგან ვიცნობ და სიყრმითგანვე პატივსა ვცემ ვანო ჯავახიშვილს. — იგონებს კოტე მაყაშვილი. — მოგონებას გადავყავარ წარსულში: ასე 13-14 წლის ვიქნები. ავლაბრის ბოლოში ვცხოვრობ.

ყოველდღე დავდივარ კუკიაში ვაჟთა მეორე გიმნაზიაში. ყოველდღე ჩავუვლი და ამოვუვლი ხოლმე ავლაბრის სამოქალაქო სასწავლებელს, სადაც ინსპექტორობს ალექსანდრე ჯავახიშვილი.

ვიცი რომ შვილები ჰყავს, ერთი მათგანი ვანო ჩემი ხნისაა, ვაჟთა პირველი გიმნაზიის მოწაფე...

ყველა მისი შვილები ნიჭიერები არიან, სწავლობენ წარმატებით. ისინი ქართულად არიან აღზრდილნი, რაიც იშვიათია იმ დროისათვის: ქართულ ინტელიგენციის ოჯახში მეტ ნაწილად ბატონობს უცხო ენა“.

საუბარია XIX საუკუნის ბოლოს ქართულ სინამდვილეზე.

მშობლიური ენის საწინააღმდეგოდ უცხო ენისადმი „გრძნობა, პატივი“ ძალუმად იყო გამეფებული მაშინდელ საქართველოში. ეს უცხო ენა მაშინ რუსული იყო. ამ ენით ქართველობა ბევრ სიკეთეს ეზიარა, მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ ამით ქართულ ენას შეეზღუდა ასპარეზი.

„ქართველ ინტელიგენციას საყველპურო ლაპარაკის გარდა, სხვა საგანზე ლაპარაკი არ ეხერხებოდა. — იგონებდა ივანე ჯავახიშვილი, — ... ქართული ენა არასავალდებულო იყო, ის იკითხებოდა მესამე კლასამდე ან მეექვსე გაკვეთილად ან იმ დროს, როდესაც გერმანულს და ფრანგულს ასწავლიდნენ, და ამ არასავალდებულო საგანს თითქმის არავინ სწავლობდა“.

ამ ვითარებაში აბა ვის და როგორ უნდა შეეთვისებინა ხეირიანად მშობლიური ენა, რომ მას სხვადასხვა საკითხზე გამართული ქართულით მეტყველება შესძლებოდა?

კოტე მაყაშვილი თავის მაგალითზე გვეუბნება: „მეც ბავშვობიდანვე (6 წლიდან) მშობლიურ კერას მოწყვეტილს, აღზრდილს ქართულის არმცოდნეთა საზოგადოებაში, ისე საფუძვლიანად მაქვს დავიწყებული დედა ენა, რომ გარდა გარეგანი იერისა, ქართველს სხვა არა მიგავს რა... ბევრი რამ მაქვს წაკითხული

რუსულად. მშვენივრად ვიცი რუსეთის ისტორია, ვწერ რუსულ ლექსებს, მაგრამ რაც შეეხება ქართულ ლიტერატურას, საზოგადოდ საქართველოს კულტურას — ეს ჩემთვის terra icoognita-ა“.

რომ არა თერგდალეულნი და ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი ოჯახები ქართველობა მთლიანად გაითქვიფებოდა უცხო მასაში. ისინი დაწერდნენ ლექსებს რუსულად, სისხლს დაღვრიდნენ რუსულ ჯარში, დაწინაურდებოდნენ ჩინოვნიკებად და გარდა გარეგანი იერისა, ქართველს სხვა არაფრით ემგვანებოდნენ.

და ახდებოდა გენერალ ტოტლებენისადმი გრაფი ნ. პანინის მიცემული დირექტივა — ყველაფერი ისე უნდა მოეხდინა საქართველოში, რომ სხეული ქართული დარჩენილიყო, მაგრამ სული რუსული ყოფილიყო.

ივანე ჯავახიშვილი ერთ თავის საჯარო გამოსვლაში იხსენებს ასეთ შემთხვევას: „მე მაგონდება ერთი ამბავი, რომელიც ფრიად დამახასიათებელი არის მაშინდელი მდგომარეობისათვის, რომ გავითვალისწინოთ, რამდენად დაკნინებული იყო მაშინ ქართული ენა.

ამიერკავკასიაში და მთლიან კავკასიაში განათლების საქმეს განაგებდა ცნობილი რუსიფიკატორი იანოვსკი... ის შევიდა სასწავლებელში, ერთ კლასში, რომელსაც ასწავლიდა ქართველი მასწავლებელი და რომლის მოწაფეებიც ქართველები იყვნენ. ჰკითხა: — როგორ არის ქართულად „ვოდოპადიო“? ... მასწავლებელი დაიბნა, პასუხი ვერ გასცა. ჰკითხა მოწაფეს, მოწაფემაც ვერ უპასუხა. მაშინ თქვა: უცნაურია: ქვეყანა, რომელშიც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ასეთი მოვლენაა... რამდენად ღარიბი უნდა იყოს ენა, რომ აღნიშნული სიტყვა არ იყოს!...

მაშინ „ვოდოპად“-სთვის არაერთი სიტყვა არსებობდა, არამედ მრავალი: ჩანჩქერი, დანჩქერი, გოჩგოჩანა, რასაც საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონშიც შეხვდებით... თქვენ გგონიათ, რომ იმ მასწავლებელმა მართლაც არ იცოდა არცერთი ეს სიტყვა? არა. მან იცოდა, მაგრამ, როდესაც მოულოდნელად ჰკითხეს, მოგონება ვერ შეძლო“.

მასწავლებელმა და მოწაფეებმა ვერ გაიხსენეს ისეთი სიტყვა, რომელიც მათ არაერთხელ ექნებოდათ წარმოთქმული. მათი გონება ქართულად მსჯელობას იმდენად მიუჩვეველი იყო, ისიც ვერ გაიხსენეს, რაც იცოდნენ.

ასეთი იყო ქართველი საზოგადოების სავალალო მდგომარეობა. მაგრამ აღნიშნული ხანა გაცილებით სჯობდა წინანდელს. ახლა ქართველ მამულიშვილთა მეცადინეობით ქართული თეატრიც არსებობდა და ქართული ჟურნალ-გაზეთებიც გამოდიოდა. გარდა ამისა, წერა-კითხვის საზოგადოება იყო ჩამოყალიბებული, რომელიც საქართველოს სხვადასხვა მხარეში სკოლების დაარსებითაც იყო დაკავებული.

მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და ამაზე ყველა სწუხდა. გამოსავალი კი ჯერ არ ჩანდა. ამიტომ ეროვნულ მეობასა და ენის თვითმყოფადობაზე ზრუნვა კვლავ ოჯახებს აწვა.

ოჯახები იყო ყოველთვის სწორედ ერის მაცოცხლებელი დვრიტის შემნახავი.

ივანეს მშობლების — ალექსანდრე ჯავახიშვილისა და სოფიო ვახვახიშვილის ოჯახი იყო ასეთი ერთ-ერთი გამორჩეულთაგანი. ისინი შვილებს ქართულად ზრდიდნენ და ამიტომაც იყვნენ გამორჩეულნი. ქართულად გაზრდა კი სამშობლოს სიყვარულის ჩანერგვასა და მშობლიურ ენაზე მეტყველებას ნიშნავდა. არც სხვა ეროვნული ჩვეულებები იყო დავიწყებული. მეცნიერის ქალიშვილი ნათელა ჯავახიშვილი გადმოგვცემს ერთ მცირე, მაგრამ მეტად ნიშანდობლივ დეტალს: „9 წლის, პატარა ვანო, ჩოხაში გამოწყობილი, ავლაბრიდან მარტოკა გაემართა I ვაჟთა გიმნაზიაში შესასვლელი გამოცდების ჩასაბარებლად“.

თუ რა ემოსა სკოლაში მიმავალ პატარა ვანოს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ იგი მისი მშობლების ეროვნულ სულისკვეთებაზე მიგვანიშნებს და ესაა მთავარი. ამიტომ ამბობს კოტე მაყაშვილი, რომ მისი შვილები „ქართულად არიან აღზრდილნი“-ო. იგი იქვე დასძენს: „ვანო ჯავახიშვილი გაცნობისას ქართულად მელაპარაკება, მრცხვენიან, რომ ქართულადვე პასუხის გაცემა არ შემიძლიან. უკვირს და სწყინს, მაგრამ მალე ნება-უნებურად ურიგდება ამ გარემოებას“.

ახალგაცნობილი თანატოლი ქართულად რომ ვერ მეტყველბს, ივანეს „უკვირს და სწყინს“. ამ ორი სიტყვით რამდენი რამაა ნათქვამი?

გიმნაზიელ ივანეს აკვირვებს ის გარემოება, რომ თუ თავად იცის ქართული, მისივე კბილა რატომ უნდა ჩამორჩებოდეს?

ივანეს სწყინს, რადგან ეს არაა კარგის მანიშნებელი. მაგრამ, სინამდვილეს სად გაექცევი და იძულებულია, „ნება-უნებურად“ შეურიგდეს ამ გარემოებას.

თუმცა შეურიგდა კი?

„შეხვედრის დროს ჩვენი ბაასის თემა ყოველთვის ერთია: საქართველო, მისი წარსული, აწმყო, მისი ლიტერატურა და სხვ. ლაპარაკობს, უმთავრესად, ვანო. ლაპარაკობს აღტაცებით, ხანაც ექსტაზით, თვალები უბრწყინავს, მარჯვენა ხელის ენერგიული ჟესტიკულაციით ყოველ წარმოთქმულ სიტყვას მეტს დამაჯერებლობას აძლევს“.

ასე გრძელდება უკვე მეგობრების, ვანო ჯავახიშვილისა და კოტე მაყაშვილის ურთიერთობა.

გიმნაზიაში ვანო კარგად სწავლობს. იგი ბეჯითი და მუყაითი მოსწავლეა, ნიჭიც მოსდგამს. მისი ცოდნისმოყვარეობა ფართოა. გიმნაზიაში სწავლის დროს, როგორც თავად აღნიშნავს ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში, მის საყვარელ საგნებს ბერძნული ენა და მწერლობა, ისტორია და ფილოსოფია შეადგენდა. მაგრამ არანაკლებ იტაცებდა ხელოვნება, კერძოდ მუსიკა და მხატვრობა.

„დიდის ყურადღებით, გულდასმით ვუსმენ ვანოს, — გვიამბობს კოტე მაყაშვილი, — მაკვირვებს მისი ნაკითხობა და ენთუზიაზმი. გაოცებული ვარ, როდესაც მის ხელში ვხედავ ვიოლინოს: მასზე დაკვრას სწავლობს, მუსიკა ჰყვარებია... მე კი მეგონა, რომ ვანოს ქართული ენის და თავისი გაკვეთილების მეტი სხვა არა აგონდება რა“.

ვანოს მუსიკა მართლაც ძალიან უყვარს და მომავალშიც ბოლომდე გაჰყვება მისი სიყვარული. მაგრამ ჯერ მისი სიყრმის გატაცებაზე ვისაუბროთ. ნათელა ჯავახიშვილი გვამცნობს:

მუსიკით გატაცებული გიმნაზიელი ვანო „ვიოლინოზე დაკვრასაც სწავლობდა. ამ დარგშიც ვანო ჯავახიშვილს ისევ და ისევ ქართული ხალხური ჰანგები, ხალხური მუსიკის სიღრმე და საიდუმლოება აინტერესებდა. იგი ხედავდა, როგორ იკარგებოდა ეს ძვირფასი მარგალიტები ახლად შემოსულ რომანსებსა და სუფრულ ევროპულ ჰანგებში და ძმები კავსაძეების დახმარებით სოფ. ხოვლეში პატარა გუნდიც კი მოაწყო, სადაც ქართულ სიმღერებსა მღეროდნენ და სწავლობდნენ. სკოლაშიც — ვანოს მეგობრებისაგან გუნდი ჰქონდა ჩამოყალიბებული“.

„მე კი მეგონა, რომ ვანოს ქართული ენის და თავისი გაკვეთილების მეტი სხვა არა აგონდება რა“. — უკვირს ბეჯითი მოწაფის შემხედვარე კოტე მაყაშვილს. უკვირს, რადგანაც ძნელია ამდენი რამ ერთდროულად შეძლოს ადამიანმა, ისიც გიმნაზიის მოსწავლემ.

დახეთ, როგორი აქტიური ყოფილა ვანო!

მას სოფელ ხოვლეშიც და თბილისში, გიმნაზიაში მომღერალთა გუნდი ყოლია ჩამოყალიბებული. ამას ხომ დრო სჭირდებოდა?

ამიტომაც უადგილო არაა კოტე მაყაშვილის გაკვირვება: როგორ ასწრებდა ამდენს!

ვანო თურმე თავადაც კარგადაც მღეროდა, მაგრამ ერთ შემთხვევას სავალალო შედეგი მოჰყოლია.

გიმნაზიაში სწავლისას ვანო ამ გიმნაზიის პანსიონში ცხოვრობდა და ქუნთრუშით ავად გამხდარა. საავადმყოფოში მისი მეგობრებიც ყოფილან და ცოტათი რომ გამოკეთებულან მთელი დღე სიმღერაში გაუტარებიათ. ნაავადმყოფარზე გადამეტებულმა დატვირთვამ ვანოს ყელზე თურმე ცუდად იმოქმედა.

„თავის დროზე კარგი ხმა მქონდა, — იგონებდა თურმე ივანე ჯავახიშვილი, — სკოლის გუნდში მთქმელად ვიყავი და სულ გავაფუჭეო“. ნათელა ჯავახიშვილის ცნობით, ვანო „როცა მორჩენილა სიმღერა ვეღარ შეუსრულებია და მართლაც, შემდეგშიც ხმა ჩამწყდარივით ქონდა სიმღერის დროს“.

მიუხედავად ამისა, ვანოს მუსიკისადმი სიყვარული ბოლომდე გაჰყვა. ნათელა ჯავახიშვილი გვიამბობს, რომ ივანე ჯავახიშვილი „იმდენად დაინტერესებული ყოფილა ქართული მუსიკის ისტორიით, რომ თავიდან მას სწორედ ამ დარგში სდომნია მუშაობა“.

ივანე ჯავახიშვილს ამ სურვილის ასრულება მხოლოდ ნაწილობრივ მოუხერხდა. მან დაწერა და 1938 წელს დასტამბა მონოგრაფია „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“.

მარტო მუსიკა არ ყოფილა ვანოს გატაცების საგანი. მას მხატვრობა არანაკლებად ესალბუნებოდა.

„პატარაობიდანვე ხატვის ნიჭი მეტყობოდა, ხატვა მიყვარდა და გიმნაზიაში შესვლის შემდგომ ხატვასაც გულმოდგინედ ვსწავლობდი. — იგონებდა ივანე ჯავახიშვილი, — ხატვის ერთ-ერთი გაკვეთილის დროს ჩვენმა მასწავლებელმა მხატ[ვარმა] შამში-

ნოემა, ჩემი ნახატით აღტაცებულმა, ბრწყინვალე მომავალიც კი მიწინასწარმეტყველა ამ დარგში“.

გიმნაზიელი ყმაწვილი მეტად რთულ და ფაქიზ საქმესაც ასრულებს. იგი დიდი მონდომებით შეველის მამას ქართლის ისტორიული ძეგლების შესწავლაში. როგორც თავადვე გვამცნობს, „იმ დროისათვის, როდესაც მამაჩემმა თეძმის ხეობაში არქეოლოგიური მიზნით გამგზავრება დააპირა, საკმაოდ კარგად ვხატავდი როგორც ფანქრით, ასევე ფერადი საღებავებით... მამაჩემმა თავისთან ერთად ჩემი წაყვანა გადაწყვიტა, რომ ძეგლების გეგმების შესადგენად გაზომვის დროს დავხმარებოდი და ჩუქურთმებისა და წარწერების პირები გადმომეღო“.

ჩუქურთმებისა და წარწერების პირების გადმოღება არც თუ ისე ადვილია და ვანო შესაფერისად გაწაფული რომ არ ყოფილიყო ამ საქმეს ვერ შეასრულებდა. მართალია, ივანე თავის მოგონებაში შენიშნავს, რომ მისი ხატვის მასწავლებელი „ვერაფერი წინასწარმეტყველი გამოდგა“-ო, მაგრამ მასწავლებელი უბრალოა. ივანე რომ მხატვრობას გაჰყოლოდა, ეჭვი არაა, მისი წინასწარმეტყველება კიდევაც ახდებოდა.

თანდათან ვანო დგება იმ გზაზე, რომელსაც მერე მთელი ცხოვრება უნდა მიუძღვნას. მას ავადმყოფობამ ხმა დაუზიანა და ალბათ მუსიკაზე ცოტათი გული აუცრუვდა, მხატვრობით გატაცება კი მეცნიერებამ დაჩრდილა.

ეს ნებისმიერ მოზარდს ემართება — ყმაწვილური გატაცებები თანდათან იფანტებიან და წინ ნელ-ნელა ცხოვრების ძირითადი საზრუნავი წამოიწევს. თუმცა ეს ვანოს შემთხვევაში ცოტა ნაადრევად მოხდა.

„მეოთხე კლასითგან მეცნიერებამ გამიტაცა მთლიანად და მოუცლელობის გამო იძულებული ვიყავი ხატვისათვის თავი დამენებებინა“-ო, ამბობს ივანე.

ეს მეცნიერება ისტორია აღმოჩნდა.

„მეხუთე კლასითგან მოყოლებული ისტორიის მასწავლებლად საბინ-გუსი გვყავდა, — იგონებს ივანე ჯავახიშვილი. —კარგად განათლებული ადამიანი იყო, რომელიც უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნით არ კმაყოფილდებოდა და ახალ სამეცნიერო მწერლობასაც ადევნებდა თვალყურს. მეხუთე კლასში საბინ-გუსმა

დაგვირიგა დას[ავლეთ] ევროპის ისტორიითგან თემები თხზულებების დასაწერად. ჩვენ ნაშრომებს კლასში რიგ-რიგობით ვკითხულობდით და შემ[დეგ] მსჯელობა გვქონდა ხოლმე, რომელიც მასწავლებლის დასკვნით, შეფასებითა და დარიგებით მთავრდებოდა ხოლმე. ჩემი ჯერი რომ დადგა და მოხსენება წავიკითხე, საბინ-გუსს ძალიან მოეწონა და შემაქო“.

შეიძლება ითქვას, რომ ივანეს გაუმართლა. რომ არა ის დიდებული პედაგოგი, საბინ-გუსი, უხეირო მასწავლებლის ხელში იქნებ ისტორიაზე მოწაფეს გული აცრუვებოდა.

ასე ხომ ხშირად ხდება?

პედაგოგს შუძლია მოწაფეს კიდევაც შეაყვაროს საგანი და კიდევაც შეაძულოს.

ამ შემთხვევაში კი პედაგოგიური აქტი შედგა — ერთმანეთს შეხვდა ბეჯითი და ნიჭიერი მოწაფე და ნამდვილი პედაგოგი.

მოწაფე-მასწავლებლის კეთილ დამოკიდებულებას ჩვენ სხვა წყაროდანაც ვიგებთ. ვანოს თანაკლასელი გ. ფონდოევი იგონებს: „განსაკუთრებით უყვარდა ვანოს ისტორია: თვით ისტორიის მასწავლებელსაც უყვარდა ვანოს პასუხების მოსმენა, რომლებიც არასდროს არ იყო გაზეპირებული და ტრაფარეტული; ეს პასუხები ყოველთვის ამომწურავად გადმოგვცემდნენ იმ ეპოქის სულს, რომელზედაც მოგვითხრობდა ვანო“.

აბა როგორ იქნებოდა ვანოს პასუხები „გაზეპირებული და ტრაფარეტული“, როცა შეგირდი ნიჭიერი იყო და მასწავლებელი საუკეთესო? მას მოწაფეებში მსჯელობის განვითარების საინტერესო მეთოდი ჰქონია, რომელსაც თურმე ხშირად მიმართავდა. ამის შესახებ ივანე იგონებს:

„ისტორიის გაკვეთილების დროს საბინ-გუსს ჩვეულებად ჰქონდა, რომ რთულ საკითხებს წამოაყენებდა ხოლმე და მოწაფეებს გვკითხავდა, მოსაზრების გამოთქმას და დასაბუთებას გვაჩვევდა“.

საბინ-გუსის მეთოდმა საუცხოოდ იმოქმედა ცოდნისმოყვარე ყმაწვილზე. „კლასში ამხანაგებს შორის ისტორიის საუკეთესო მცოდნეს სახელი მქონდა მოხვეჭილი და, ეტყობოდა, რომ საბინ-გუსიც ასე ფიქრობდა. როდესაც წამოყენებულ კითხვებზე, კლასში დამაკმაყოფილებელი პასუხის მიცემა არავის შეეძლო,

მაშინ საბინ-გუსი მე მეკითხებოდა ხოლმე და, ჩვეულებრივ მიღებული პასუხის კმაყოფილი იყო ხოლმე“.

ალბათ, ძალიან უხაროდა მასწავლებელს, როცა მისი შეგირდი მახვილგონივრულად პასუხობდა. დავით გურამიშვილის არ იყოს, „მაშინ იხარებს მწინდავი, ოდეს მოისთვლის მტევნებსა“-ო, პედაგოგის მტევნები, ხომ ყრმისთვის გადაცემული ცოდნა და მასში გაღვიძებული აზრია. აზრი, რომელიც შემდეგ მთებსაც კი დასძრავს.

ივანე ისტორიის გაკვეთილზე მიღწეული წარმატებას თავის ნიჭიერებას კი არ მიაწერს, არამედ ბეჯით შრომას. იგი მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობით ამბობს, რომ ყველაფერი ეს „იმით აიხსნება, რომ მთელ ჩემს[ს] დროს სამეცნიერო წიგნებისა და ჟურნალების კითხვას ვანდომებდი და კლასის თანამოჰასაკეებზე მეტად გატაცებული ვიყავი მეცნიერებით და ამის წყალობით ისტორიისა და ჰუმანური დარგების სფეროთაგან სხვებზე, რომელნიც ჩვეულებრივ, მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებით კმაყოფილდებოდნენ, გაცილებით უფრო მეტი ვიცოდი“.

გამოდის, რომ სხვების მითითებებსა და დავალებებს არ უცდის ვანო. იგი თავისი სურვლითი ირჩევს წასაკითხ მასალას და გატაცებით ეწაფება მას. საკუთარ თავზე მუშაობა — ეს ვანოს მეთოდია. მას იგი თავის თანაკლასელებსაც უზიარებს. ამის შესახებ გ. ფონდოევი გვიყვება: ვანო „ყველა ჩვენგანზე ადრე მიხვდა, რომ გიმნაზია ყველაფერს ვერ შეგვასწავლიდა. მიხვდა, რომ მოწაფემ თავის განვითარებაზე თვითონ უნდა იზრუნოს, სკოლის გარეშე მეცადინეობით უნდა დაწინაურდეს... ამას ის ახორციელებდა დიდის აღღტაცებით და თავისი მაგალითით დაგვიმტკიცა, თუ რა წარმატების მიღწევა შეუძლია მოწაფეს ამ გზით“.

საკუთარ თავზე მუშაობის ჩვევა ერთ-ერთი საუკეთესო თვისებათაგანია.

ასეთი ადამიანი არასდროს არაა სხვისი შემყურე, არამედ თავად ეძებს სიახლეს — სვამს კითხვებს და თავადვე პოულობს მისი გადაჭრის გზებს.

ასეთი ადამიანი არასდროს არ ეძლევა თვითკმაყოფილებას, არამედ ყოველთვის ძიებაშია და ყოველთვის სიახლეს ელტვის.

ასეთი ადამიანი იყო ივანე ჯავახიშვილი. ეს თვისება ამკობდა მას არა მარტო მოწაფეობისას, არამედ სტუდენტობისას და

საერთოდ — მთელი ცხოვრების მანძილზე. ამ თვისებამ ბევრი რამ შეაძლებინა მას.

ვანოს გამარუსებელი გავლენის საწინააღმდეგო მეთოდიც ჰქონდა მიკვლეული და მას წარმატებთ იყენებდა. „როცა ვსწავლობდი სასწავლებელში რუსულად გეომეტრიას, — მოგვიანებით გაიხსენებს დიდი მეცნიერი, — შინ ვბრუნდებოდი, ავიღებდი მამაჩემის მშვენიერი ბიბლიოთეკიდან წიგნს... და ვიზეპირებდი გეომეტრიას, რომ როგორმე მესწავლა რუსულად შეთვისებული. მინდოდა, რომ ქართულადაც იმავე აზრის გამოთქმა შესაძლებელი ყოფილიყო“.

მალე ვანომ შეამჩნია, რომ მას მეტი აინტერესებს, მეტი სწადია, ვიდრე ეს შეუძლია. ამან ცოტა არ იყოს საგონებელშიც ჩააგდო.

ეს რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე მოხდა, რომელსაც კონსტანტინე შულგინი ასწავლიდა. მას ივანე ახასიათებს, როგორც „მეტად კარგ და პატიოსანი კაცს, თანაც საკმაოდ განათლებულს“.

ივანე ჯავახიშვილი იგონებს, რომ რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე „თემების როგორც ზეპირად დამუშავება, ისევე, წერილობით თხზულებების წერაც იყო წესად მიღებული. ზეპირს დამუშავებაში, თხზულებებისათვის გეგმის შედგენაზე მსჯელობაშიც მხურვალე მონაწილეობას ვიღებდი ხოლმე და კ. შულგინს ხშირად გამოუთქვამს კმაყოფილება და მოუწონებია წარმოთქმული მოსაზრებები. თხზულებების წერა ჩემთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა და ჩემი ამხანაგებისთვისაც თხზულების წერაში არაერთხელ მიშველია“.

საბინ-გუსივით შულგინიც მოხიბლულია ნიჭიერი ყმაწვილით. მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალა.

„მეექვსე კლასში რომ ვიყავი და დინჯი სამეცნიერო კვლევა-ძიების წყურვილი ვიგრძენი,— იგონებს ივანე ჯავახიშვილი, — სასკოლო თხზულებების წერის ყოველგვარი სურვილი გამიქრა. იმ დროს უკვე კარგად მესმოდა, რომ იმ თემებზე, რომელსაც კლასში მასწავლებელი გვაძლევდა, ისე, როგორც მართლაც მეცნიერულად საჭირო იყო, მე ეს არ შემეძლო დამეწერა, ბავშვური თხზულებების წერაში ვარჯიშობა კი აღარ მეხალისებოდა, შემძულდა. ამიტომ ამ დროითგან მოყოლებული თხზულებებს უკვე მოკლედ და უბრალოდ ვწერდი“.

როგორც იტყვიან, თვალსა და ხელს შორის გამოიცვალა ყრმა: აღრე თუ ასე ნიჭიერად წერდა თხზულებებს, ახლა კი მხოლოდ „მოკლედ და უბრალოდ“, გაკვირვებულია მასწავლებელი. იგი ეკითხება ვანოს: „რა დაგემართა, რა მოგივიდა, წინათ თხზულებებს ისე კარგად წერდი, ეხლა კი ასე ცოტას წერო“.

მასწავლებლის ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა.

თავად ივანე გვიხსნის თუ რაში მდგომარეობდა საქმის ვითარება:

„მრცხვენოდა და ვერ ვუთხარი, რა მიზეზიც იყო: ვერ გავბედე იმის თქმა, რომ სასკოლო ვარჯიშობა მომბეზრდა და აღარ მაკმაყოფილებდა და სამეცნიერო თხზულებები მაინტერესებდა, ძალა და ცოდნა კი ამისათვის არ შემწევდა; მეც კარგად ვიცოდი, რომ სასკოლო თხზულებების წერა უკვე აღარ შემეძლო და მასწავლებელი მართალი იყო, მაგრამ დარცხვენილმა ვერაფრის თქმა ვერ გავუბედე“.

დავაკვირდეთ:

ჯერ იყო და „მეოთხე კლასითგან მეცნიერებამ გამიტაცა მთლიანად და მოუცლელობის გამო იძულებული ვიყავი ხატვისათვის თავი დამენებებინა“-ო — გვითხრა ივანემ.

ახლა კი „მეექვსე კლასში რომ ვიყავი და დინჯი სამეცნიერო კვლევა-ძიების წყურვილი ვიგრძენი, სასკოლო თხზულებების წერის ყოველგვარი სურვილი გამიქრა... ბავშვური თხზულებების წერაში ვარჯიშობა კი აღარ მეხალისებოდა, შემძულდა“-ო, აცხადებს.

ხედავთ, რა მოხდა ამ 2 წლის მანძილზე?

ვანო მეცნიერებამ გაიტაცა იმდენად, რომ სასკოლო პროგრამის თხზულებები ბავშურ ვარჯიშობად მიაჩნია და მისი წერა აღარ ეხალისება.

ხედავთ, ნიჭიერი ყმაწვილის ასე თავდადებით საკუთარ თავზე მუშაობამ რა შედეგი გამოიღო?

მაგრამ ვანო არ ყოფილა, როგორც დღეს იტყვიან, „წიგნების ჭია“. იგი საკმაო დროს ატარებდა თავის თანატოლებთან და ყოველთვის საქმიანად. მას ყველა პატივს სცემს და უსმენენ კიდევაც. ვანოს თანაკლასელი გ. ფონდოევი გვიყვება:

„ვანო ჯავახიშვილი არა თუ ჩვენი საერთო საყვარელი ამხანაგი იყო, იგი იყო ჩვენი კლასის სინდისი, ამ სიტყვის სრული მნიშ-

ვნელობით. თუ კი რაიმე საკითხი გვაწუხებდა ჩვენ, ვჩქარობდით გაგვეგო, თუ რას იტყოდა ვანო ჯავახიშვილი. თუ რომელიმე ამხანაგი რაიმე უდიერ საქციელს ჩაიდენდა, მისი საქციელის კოლექტიური გარჩევის ინიციატივა ვანოსაგან მომდინარეობდა; მასვე მიანდობდა ხოლმე კლასი საკადრისად გაეკიცხა ის ამხანაგი“.

ვანო არ იფარგლება თავისი გიმნაზიელი თანატოლებით. იგი ხშირადაა ხოვლეში — მამაპაპეულ სოფელში. მას აქაც ჰყავს მეგობრები, მაგრამ იგი ხოვლეს შემოგარენ სხვა სოფლის ახალგაზრდობასაც სწვდება, რომელთაც ჩამოუვლიდა ხოლმე ცხენით.

კოტე მაყაშვილი თანატოლებთან ვანოს ურთიერთობის სურათს შემდეგნაირად გვიხატავს: ვანოს „ახალქალაქში ბევრი ნაცნობი და ნათესავი ჰყავს. ახალგაზრდობა იკრიბება ვისთანვე. შუაში ვანო უზის. იგი ჩემთვის უკვე ნაცნობი გატაცებით უამბობს დამსწრეთ ქართულ წარსულზე, აწმყოზე და მომავალ პერსპექტივებზე. მოუწოდებს ახალგაზრდობას შეჰქმნან სამეცნიერო, სალიტერატურო, სამეურნეო და სხვა წრეები. მოუწოდებს ყველას ქართული აპათიისაგან გამორკვევას და თვითგანვითარების, თვითმოქმედების გზაზედ შედგომას და სხვა.

გაათავებს ბაასს, მერე შესკუპდება თვის ცხენზე და ნახევარ საათში ისევ თავს ამოჰყოფს მშობლიურ ხოვლეში, სადაც იგი მოღვაწეობს ამგვარადვე და თან მეცადინეობს. იგი ხშირი სტუმარია ტაძართა, სასახლეთა და ციხეთა ნანგრევებისა. მის ცნობისმოყვარე თვალს არა გამოეპარება რა. ჭაბუკს უკვე შეძენილი აქვს დიდი მასალა და იგი შედის უნივერსიტეტის შენობაში გაბედულად, თავისი ძალის მოიმედე“.

გიმნაზიის დირექტორი მარკოვი შემდეგნაირად ახასიათებს უნივერსიტეტში შესასვლელად გამზადებულ ვანოს: „კეთილ პატრიარქალურ ოჯახს საუცხოო გავლენა მოუხდენია ჭაბუკზე, გაუზრდია იგი რელიგიური, ზნეკეთილი, თავაზიანი და ალერსიანი. ზომიერი ხასიათისაა, ზრდილი, რის გამოც ყველას უყვარს. ჯავახიშვილი დაჯილდოებულია კარგი ბუნებრივი ნიჭით, ამასთან მეტად ბეჯითია და შრომისმოყვარე. უეჭველია, რომ მისგან საუკეთესო სტუდენტი დადგება. ჯანმრთელობა ბუნებისაგან მას კარგი აქვს, თუმცა რამდენადმე შერყეული ბოლო წლების გულმოდგინე მეცადინეობით. ის ბევრს კითხულობს და კარგი ნა-

კითხობით გამოირჩევა, კარგად უკრავს ვიოლინოზე და გატაცებულია ამითი. იგი შესანიშნავი შვილია და უზადოდ ზრდილობიანი ყმაწვილი არა მარტო უფროსებთან, არამედ ამხანაგებთანაც, თვით უმცროსების მიმართაც. პოლიტიკურად კეთილსაიმედოა“.

„პოლიტიკურად კეთილსაიმედოა“-ო, — აცხადებს დირექტორი. ეს მოცემული დოკუმენტისთვის მაშინ აუცილებელი წინადადება იყო, მაგრამ ოფიციალური დახასიათების ამ შაბლონურ ტექსტშიც კი კარგად ჩანს ახალგაზრდა ივანეს პორტრეტი.

ასეთი ახალგაზრდა 1895 წელს ხდება სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სტუდენტი.

სტუდენტობაშიც ივანე კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა. მისი მაძიებელი გონება არ ჩერდება, არც შრომისმოყვარეობა აკლია და გატაცებით მეცადინეობს. იგი თავადვე გვიყვება: „უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების ფაკულტეტის პროფესორების ლექციების გარდა ვუსმენდი ისტორიულ-ფილოლოგიურის ფაკულტეტზე პროფ[ესორ] კარეევისა, მაშინ დოცენტად მყოფ გრევსისა და იაკ. სმირნოვის ლექციებს ისტორიაში, პროფ[ესორ] ზელინსკის – ბერძნული კულტურის ისტორიაში, პროფ[ესორ] ალ. ვერელოვსკის კი — მხატვრული მწერლობის შედარებითს ისტორიაში, ხოლო იურიდიულ ფაკულტეტზე რუსული სამართლის ისტორიას — პროფ[ესორ] სერგეევიჩთან და პოლიტიკური ეკონომიის — ეფიმოვსა და იასევთან“.

„ჩვევა რჯულზე უმტკიცესიაო“— ქართველ ხალხს უთქვამს. ივანეც არ ღალატობს თავის ჩვევას მოწაფეობისას რომ ჩამოუყალიბდა და რომელსაც საკუთარ თავზე მუშაობა ჰქვია. იგი არ ჯერდება სავალდებულო ლექციებს, რომლებიც აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე იკითხება და ისმენს სხვადასხვა კურსებს ისტორია-ფილოლოგურ და იურიდიულ ფაკულტეტებზე.

ასე ბეჯითობა კარგია, მაგრამ იგი ჯანმრთელობაზეც მოქმედებს. ივანემ კი თავდავიწყებით იცის საქმეში ჩაფლობა. მოგვიანებით, როცა ივანე უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერია, ერთ კერძო წერილში იტყვის:

„სამეცნიერო მუშაობისათვის, ნიჭს გარდა, ცოდნის მოყვარეობის დაუშრეტელი სიყვარული, კვლევა-ძიების წყურვილით

თავდავიწყებამდე გატაცება და შეუდრეკელი ნებისყოფაა საჭირო. უსიყვარულოდ და უნებისყოფოდ, თავგანწირულებისათვის მზაობის გარეშე, არც ერთი დიდი საქმის გაკეთება არ შეიძლება, მით უმეტეს მეცნიერებაში, რადგან მეცნიერის ზნეობრივი პასუხისმგებლობა დიდია და ნივთიერი კეთილდღეობის თვალსაზრისით, მძიმე, ამიტომაც მას ყველა ამ სიძნელეთა დასაძლევად ხასიათის განსაკუთრებული სიმტკიცე ესაჭიროება“.

გადაჭარბებული მეცადინეობით კი ჯანმრთელობის გაუარესება ივანეს თურმე ადრევე დაეტყო. ასე რომ არ ყოფილიყო გიმნაზიის დირექტორი ოფიციალურ დახასიათებაში არ იტყოდა: „ჯანმრთელობა ბუნებისაგან მას კარგი აქვს, თუმცა რამდენადმე შერყეული ბოლო წლების გულმოდგინე მეცადინეობით“.

ამის თაობაზე ერთი წერილია მეტად საინტერესო. იგი მის მეგობარს ივანე ნიჟარაძეს ეკუთვნის. ჯერ თარიღი ვნახოთ: 1897 წლის 15 ივნისი. წერილი პეტერბურგიდანაა საქართველოში გამოგზავნილი. ეტყობა, ამ დროს ივანე II-დან III კურსზეა გადასული.

თურმე სტუდენტი ივანე ჯავახიშვილი იმდენ დროს უთმობს სწავლას, რომ მეგობარი შეწუხებულია და ურჩევს ცოტათი დაისვენოს. ეს მეგობრული მზრუნველობითა და იუმორით გაჟღენთილი ვრცელი წერილი საგანგებო ყურადღების ღირსია.

„ჩემო ძვირფასო და დაუვიწყარო მეგობარო! — წერს ივანე ნიჟარაძე ივანე ჯავახიშვილს. — იმედია კარგადა ხარ და შრომობ ისე, როგორც რიგი და წესია, ესე იგი ცოტა დროს მოსვენებასაც ანდომებ, რადგან შეუწყვეტელი შრომა შენთვის „ძლიერ და ძლიერ“ მავნებელია. მაგრამ რასა ვწერ, მოგეხსენება ჯიუტი კაცი ბრძანდები. სხვის რჩევა-დარიგებას მარცხენა ყურში შეუშვებ და მარჯვენაში გამოუშვებ; მაინც ვიმეორებ, რომ საჭიროა მოსვენება, მოსვენება და მოსვენება თუ ღმერთი გწამს... უკაცრავად წამომცდა — თუ ნაყოფიერი შრომის საჭიროება ყოველ კაცისათვის გწამს, იწამე აგრეთვე, რომ მაგისათვის საჭიროა ჯანმრთელობა; ისეირნე, ბლომათა სჭამე დოში, საციცი, ჩახოხბილი და სხვა მაგისთანა — იმისათვის მაინც, რომ ნათლად წარმოიდგინო, რა ნეტარებაში იყო ნეტარხსენებული ლუარსაბი, როცა მამა-პაპურ ჩვეულებას ასრულებდა“.

კარგად იცნობს მეგობარს ივანე ნიჟარაძე.

იცის, რომ ვერაფერს შეასმენს, ვერ გადაათქმევინებს თავისას, მაგრამ მაინც დაჟინებით ურჩევს რომ დაისვენოს, ენერგია დაზოგოს, გაუფრთხილდეს ჯანმრთელობას.

იცის, რომ ვერაფერს გახდება, მაგრამ გულგრილად ყოფნაც არ შეუძლია.

„ვიცი, რომ დროს კარგავ ამ სიტყვების რახა-რუხის მოსმენით: ამ დროის განმავლობაში რამდენიმე არაბულ სიტყვას ისწავლიდი, ან თუ არა და რამოდენიმე საწყალ ქართულ სიტყვებს, რომელთაც ამდენი ხნის განმავლობაში მტკიცეთ უმსახურნიათ თავის ერისათვის და ქრისტიანობისათვის, განდევნი თავის სამშობლოდამ და მაჰმადიანობას მიაღებინებ... გინდათ თუ არ გინდათ თქვენ ქართველობას თავი უნდა დაანებოთ, რადგანაც ამა და ამ წიგნში ამოვჩხრიკე, რომ თქვენი წინაპარი სპარსელები ყოფილანო... ოხ, ღმერთო! სად არის ის დალოცვილი დრო, როცა ამისთანა ქვეყნის და სარწმუნოების მოღალატეს ცეცხლზე დასწვამდნენ ხოლმე... მადლობა ისევ ღმერთს, რომ მართლაც შორსა... მაშ, იმედია კარგადა ბრძანდები, ვითარცა მხნე და გულადი მეომარი ომში, შენც ყველგანა ხარ: ესწრები სახალხო (ან საჯარო) კითხვებს, ლიტერატურულ საღამოებს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრებებს, სტუმრადაც დადიხარ და კიდეც კუდით ქვას ასროლინებ ხოლმე საწყალ სიტყვებს სხვადასხვა ერის და სხვადასხვა სჯულის, როცა მათ დაუწყებ ჩხრეკა-ქექას, ჰარიქა იქნება გიპოვნო რომელიმე ისეთი, რომელიც ჯერ არ გადამიყლაპავს, ან თუ არა და ისეთი, რომელსაც ძველებური ან ზნე-ჩვეულება, ან თუ არადა გარეგანი შეხედულება და აგებულება დაუცავს, რათა ისინი ჩასვა თეთრ ოთხკუთხედ ციხეში... “

გრძნობს მეგობარი თავის ფუჭ გარჯას და კითხულობს: „დრო მეკარგება განა? ვეცდები შევამოკლო“.

იგი გადადის ყოველდღიურ ამბების მოყოლაზე, რომ თურმე ალექსანდრე გაბუნია ჟენევაში წავიდა, შატალოვი კი თბილისში, ჯიშკარიანსა და ჩარექოვს დიპლომები აუღიათ, თავად კერძო გაკვეთილებით ირჩენს თავს და სხვა. ბოლოს მაინც ვერ ისვენებს და კვლავ რჩევა-დარიგებაზე გადადის:

„თუ ღმერთი გწამს, დაისვენე ამ ზაფხულს. ფუი, კიდევ არ წამომცდა!...

ექიმს ეჩვენე თუ არა? ესეც უთუდ მომწერე. იცოდე რომ თუ გაჯიუტდი პირდაპირ დედაშენს მივწერ... მაგრამ შენ ვინ რას დაგაკლებს: ძალა შენთან არ გავა, სიტყვით კაცი ვერ დაგაჯერებს თუ საბუთები არ წარმოგიდგინა; მაგრამ მაგას რა საბუთი უნდა რომ შენ „ექიმს უნდა ეჩვენო და ამ ზაფხულს კარგა დაისვენო“. ნახვამდის. შენი ნიჟარაძე“.

„უსიყვარულოდ და უნებისყოფოდ, თავგანწირულებისათვის მზაობის გარეშე, არც ერთი დიდი საქმის გაკეთება არ შეიძლება-“ო, ამბობს ივანე ზემომოხმობილ მის წერილში.

ასეთ მუშაობას მართლა თავგანწირვა ჰქვია.

მერედა რისთვის?

დიდი საქმისთვის, რომელიც მომავალში გამოჩნდება.

ივანე ხდება ნიკო მარის საყვარელი სტუდენტი. ამას ერთი წერილი გვამცნობს. მისი ავტორია მომავალში ცნობილი ირანისტი ილია აბულაძე. იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე 1896 წ. ჩაირიცხა. ამ დროს ივანე მხოლოდ ამავე ფაკულტეტის II კურსის სტუდენტია.

„ცაგარელი კარგი პროფესორია, — წერს ი. აბულაძე, — მაგრამ ცოტა ზარმაცობს და ხშირად არ დადის უნივერსიტეტში, რაღაც გულაგორებულივით არი. მე იმის ამგვარ საქციელს იმით ვხსნი, რომ ჩემს მეტი ყურისმგდებელი არავინა ჰყავს. მხოლოდ მეორე კურსზე არის ერთი ჯავახიშვილი, ძალიან მუყაითი ყმაწვილი, რომლის ძალიან მადლიერია ცაგარელიც და ნამეტნურ მარრი, რომელიც მეტის-მეტად აქებს. პირველი გაცნობისთანავე მარმა მითხრა, უეჭველად გაეცანი ჯავახიშვილს თუ არ იცნობო, ჩემს ხელში ის ჩინებულად სწავლობს და ის გიხელმძღვანელებს, თუ რამ გაგიძნელდეს ჩემს საგანშიო“.

საინტერესო ფაქტია: პროფესორი პირველკურსელს არა მარტო სანიმუშოდ უსახავს მხოლოდღა ერთი კურსით წინ მყოფ სტუდენტს, არამედ ავალდებულებს კიდევაც მასთან მუშაობას: „ის გიხელმძღვანელებს, თუ რამ გაგიძნელდეს ჩემს საგანშიო“.

მართლაც, იშვიათი ფაქტია.

ნიჭიერი ახალგაზრდა ნიკო მარმა პირველივე შეხვედრაზე აღმოაჩინა. აი, რას წერს იგი ექ. თაყაიშვილს: „ მსმენელთა შორის ერთი კარგი ქართველი აღმოჩნდა და თუ ასე განაგრძო, ორ წლის შემდეგ სომხურს სულ კარგად ისწავლის. გვარად ჯავახოვია. ღმერთმან ქნას ხეირიანი გამოდგეს. იქნება ზაფხულზე მანდ მოგმართოს შენ და ხელი შეუწყვე — ხელნაწერების გაცნობა უნდა“.

ხედავს ნიკო მარი ახალგაზრდა ივანეში ნიჭს, ხელს უწყობს და ენდობა კიდევაც.

ჩანს, რომ ივანეც გრძნობს თავის შესაძლებლობას და ემზადება.

თან უკვე სამოღვაწეო სფეროს კონტურებსაც უსწორებს თვალს — თავისი მშობელი ერის წარსული მთლიანად და სრულყოფილად უნდა იქნას შესწავლილი.

1899 წელს ივანე ჯავახიშვილი წარმატებით ამთავრებს სწავლას პეტერბურგის უნივერსიტეტში და, ნიკო მარის რეკომენდაციით, იქვე ტოვებენ საპროფესოროდ მოსამზადებლად.

1901 წელს ივანე იგზავნება ბერლინის უნივერსიტეტში მივლინებით. აქ იგი სწავლას იღრმავებს ცნობილი თეოლოგისა და საეკლესიო ისტორიის პროფესორ, ბერლინის უნივერსიტეტის რექტორ ადოლფ გუსტავ ჰარნაკთან.

ახალგაზრდა სპეციალისტის განსწავლულობით ახლა უკვე თვით ჰარნაკიც იხიბლება, სთხოვს მას დარჩეს ბერლინში და აქ გაშალოს თავისი კვლევა-ძიება.

ივანე თავაზიან უარს ამბობს.

მას სხვა გეგმები აქვს.

მას საშობლო ელოდება — რომელიმე უნივერსიტეტის დამშვენება და მისგან მიღებული სიკეთით სარგებლობა კი არაა მისი მიზანი, არამედ მის სამშობლოში მეცნიერების დაფუძნება.

მისი აზრით, მეცნიერებამ უნდა გაიყვანოს მისი ერი იმ გზაზე, რომელსაც ევროპის განვითარებული ერები მიუყვებიან.

ეს მისი ვალდებულებაა, რომლის შესახებ მოგვიანებით გვეტყვის:

„სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და, ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოებულია ნიჭით, რომ აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ვალდებულია სამაგიერო გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილია“.

„ისტორიის გაგება... ადვილი საქმე არ არის“

1930 წელს თბილისში პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორების დასაშინებელი „დისკუსია“ მოაწყო. ეს ისეთი სჯა-ბაასი იყო აუტოდაფეებს რომ უძღოდა წინ.

სიტყვა მისცეს პროფესორ სერგი დანელიას. სიზუსტისათვის მოვიყვანოთ სტენოგრამის ჩანაწერი: „მოქალაქენო (საერთო სიცილი დარბაზში) და ამხანაგებო (სიცილი)“.

რა უნდა ვუწოდოთ, მკითხველო, ამ სცენას?

კომიკური?

ტრაგიკული?

გროტესკული?

მე არ ძალიმიძს. იქნებ თავად გაერკვე მკითხველო!

რაღაც არანორმალური რომ არის, ვიცი.

აბა სხვა როგორ იქნება, როცა „მოქალაქენოს“ ხსენებისას დარბაზი ხარხარს იწყებს და მომხსენებელს ამ რეაქციაზე წამსვე უხდება „შეცდომის“ გამოსწორება და უმატებს „ამხანაგებო“.

ეტყობა მომხსენებელს განათლებასთან ერთად გონების სიმკვირცხლეც მოსდგამს. პირველი სიტყვის წარმოთქმისა და დარბაზის სიცილის შემდეგ მეორე სიტყვის წარმოთქმამდე დამაკავშირებელ სიტყვას — „და“-ს ჩაურთავს. სურს შექმნას ილუზია, თითქოს ასე უნდოდა ეთქვა: „მოქალაქენო და ამხანაგებო“.

ამასაც სიცილით ხვდება დარბაზი, რადგანაც გრძნობს, მისი მონაწილეობით თუ რა სპექტაკლი თამაშდება.

რა დააშავა ასეთი ამ საწყალმა სიტყვამ?

თუ არ დაიზარებ მკითხველო და გამომყვები, ცოტა შორიდან დავიწყებ.

დღესაც და ადრეც თითოეული ადამიანის ბინდარობის ადგილად ან სოფელი იყო ან ქალაქი — ორივე ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული, მაგრამ დასახლების ერთნაირად სრულფასოვანი ფორმა. ამიტომ ცოტა უცნაურია, თუ რატომ აღნიშნავს სიტყვა „მოქალაქე“ ამა თუ იმ სახელმწიფოს მკვიდრს, ქვეშევდრომს. მოქალაქე ხომ ქალაქში ბინადარს აღნიშნავდა და დღესაც აღნიშნავს? სახელმწიფოს მკვიდრი და ქვეშევრდომი კი სოფლეში მცხოვრებიც ხომ იყო და არის?!

სულხან-საბა ორბელიანი თავის „სიტყვის კონაში“ „მოქალაქეს“ ასე განმარტავს: „ქალაქში მყოფი“. მაგრამ იქვე ამატებს: „ვიეთნიმე იტყვიან მოქალაქობითი ყოფაქცევითიცა არს და სახლის შჯულობითიცა“ ანუ, ზოგიერთების აზრით, მოქალაქეობრივი ყოფაქცევაც არსებობს და სახლის (სამკვიდრებლის) რჯულიც ანუ წესი და რიგიო.

ძველ ქართულ სასულიერო ძეგლებში, კერძოდ „მამათა ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, მავანი ბერი „სარწმუნოებითა მით საღმრთოითა მოქალაქებდა“. იქვე სხვაგან წერია: „იწყო ბერმან კეთილად მოქალაქობად“.

აშკარაა, რომ აქ ქალაქელობა არ იგულისხმება, არამედ მხოლოდ ცხოვრება და მოღვაწეობა. სხვა სასულიერო ძეგლში კი აღნიშნულია, რომ ბერს „ზომიერი აქუნდა მოქალაქობაი სენაკსა შინა თვისსაო“. ზომიერი ქალაქელობის ქონა აბსურდია, თანაც თავისსავე სენაკში, ოთახში; ზომიერი ცხოვრების წესის ქონა კი შესაძლებელია. იგივე ძეგლში დავა-კამათის სურათიცაა მოცემული და ნათქვამია: „ჩუენი მოქალაქობაი ცათა შინა გამოჩნდესო“.

შეუძლებელია მორწმუნე ადამიანს მეორისათვის ეთქვა „ჩვენი ქალაქელობა ცაში, ღვთის საუფლოში გამოჩნდებაო“. სინამდვილეში აქ მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ „ჩვენი ღვაწლი ცაში გამოჩნდება ანუ შეფასდებაო“.

საკითხი ნათელია, მაგრამ კიდევ ერთი მაგალითი მოვიხმოთ.

თუ ჩვენ ძველ ქართულ მწერლობის ძეგლებს გადავავლებთ თვალს, იქ ვიპოვით ისეთ თხზულებებსაც, რომელთა სათაურშიც სიტყვა „მოქალაქეა“ ნახსენები. მაგ., ბასილი ზარზმელის კალამს ეკუთვნის ნაწარმოები შემდეგი სათაურით: „ცხორებაი და მოქალაქობაი ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“.

აქ ქალაქში ყოფნა ნამდვილად არ იგულისხმება, არამედ საუბარია სერაპიონის ცხოვრებასა და ღვაწლზე. ამავე თხზულებაში ერთგან წერია: „მიქელ აღზარდნა და სრულებად სათნოებისა აღიყვანა იგინი, ვინაიცა ჰხედვიდეს საღმრთოსა მას მოქალაქობასა მისსა... რომელნი შემდგომად სიკუდილისა მისსა აღწერნეს მოწაფეთა მისთა“.

მაშასადამე, მიქელს სერაპიონი აღუზრდია და მის საღმრთო ღვაწლს რომ ხედავდა დაუწინაურებია, ხოლო ყოველივე ეს მის მოწაფეებს აღუწერიათ.

ერთი სიტყვით, ძველი ქართული ძეგლების მიხედვით, საღმრთო ღვაწლი ანუ მაღალი სულიერი ღირებულებებით კეთილშობილური ცხოვრება და გარჯა არის მოქალაქეობა.

ახლა სოფლის მცხოვრები ვნახოთ. ცნობილია, რომ ქართველ თავადებს თავიანთი ციხე-დარბაზები ძირითადად სოფლად ჰქონდათ. მაგრამ ამ სოფლებში ისინი თითო ოროლანი თუ იყვნენ და რიცხოვნებით გლეხები აშკარად სჭარბობდნენ. ამ უკანასკნელს კი საბა განმარტავს, როგორც „მდაბიო მოსახლეს“ და „გლეხურს“ „მდაბიურს“ უწოდებს. ხოლო „მდაბიო“ შემდეგნაირადაა ახსნილი: „მსოფლიო“ და „მესოფლე“ ანუ სოფლად მცხოვრები ადამიანი. იქვე იოანე მახარობელია დამოწმებული შესაბამისი მაგალითით: „უწიგნ და მდაბიოდ წოდებითა მისითა“.

გამოდის, რომ გლეხი არის მდაბიო, რომელიც სოფელში ცხოვრობს და უწიგნური და გაუნათლებელია.

ახლა სახარების ერთ-ერთ ძველ თარგმანებაში ჩავიხედოთ, სადაც წავიკითხავთ: „მრავლითა მსოფლელობითა და უსწავლელობითა მოცვულ იყო ერი ესე“.

მაშასადამე, „მსოფლელობა“ და „უსწავლელობა“ ანუ გაუნათლებლობა ტოლფარდი შინაარსისანი არიან. ეს ტოლფარდობა კი მხოლოდ ერთს ნიშნავს — სოფლელობა გაუნათლებლობაა.

თუ შევაჯამებთ, უნდა დავასკვნათ, რომ ძველ საქართველოში მიჩნეული იყო, რომ სოფლის მცხოვრებს, როგორც მიწასთან სხვადასხვა სახის შრომით მიბმულს, არ ხელეწიფებოდა ამგვარი საქმიანობა და ამიტომ მოქალაქეობას ანუ საღმრთო ღვაწლს იგი ვერ გასწევდა. „მოქალაქეობაში“ ხომ მხედველობაშია ადამიანის გამორჩეული საქმიანობა და არა ყოველდღიური ყოფა, თუნდაც ეს ყოფა ყოვლად ზნეობრივი იყოს.

ეს უკანასკნელი თვისება სოფლელსაც შეეძლო ჰქონოდა და ქალაქელსაც. მით უმეტეს, ვერც ყველა ქალაქელი ზიდავდა იმ ჯაპანს, რომელსაც „მოქალაქეობა“ გულისხმობდა. მაგრამ მხედველობაში ინდივიდი კი არაა მიღებული, არამედ ზოგადად ქალაქელი და სოფლელი, როგორც სხვადასხვა კატეგორია.

ამიტომ ქალაქელობა უფრო მაღლა იყო დაყენებული, ვიდრე სოფლელობა. მეტად საგულისხმოა საბას მიერ ქალაქის განმარტება: „თანა-მავლობასა და თანა-სახლობასა ქალაქ სახელედვა, ვინათგან კაცი ერთი ვერ კმა-ეყოფვის თავსა თვისსა, არამედ რათა შეეწეოდეთ ერთი მეორესა, სარგებელსა მივანაყოფებდეთ“.

ამგვარი ურთიერთთანადგომა არც სოფლისთვის ყოფილა როდისმე უცხო, მაგრამ თუ რას გულისხმობდა საბა, უნდა ამ სიტყვის განმარტების სხვა ვარიანტი ვნახოთ. საბა ამბობს, რომ ქალაქი საჭიროა „ერთი-მეორესა ცხოვრებად საკმართ მიმოცვლისათვის“-ო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქალაქი ის ადგილი ყოფილა, სადაც ადამიანები ერთმანეთს თავიანთი შრომის პროდუქტებს „უცვლიან“ ანუ ვაჭრობენ.

ამდენად, ქალაქური ყოფა მკვეთრად განსხვავდება სოფლურისაგან და პირველი მეორეზე მაღლა მდგომად განიხილება.

გვერდზე დავტოვოთ სხვა ქვეყნები, სადაც მოქალაქეობის შინაარსი იქაც ქალაქს უკავშირდება: გერმანიაში „ბიურგერ“, რუსეთში „გრაჟდანინ“ (მოქალაქე) შესაბამისად „ბურგ“-იდან და „გრად“-იდან (ქალაქი) მომდინარეობს.

მთავარია, ასე ესმოდათ ჩვენს წინაპრებს და ასე გვესმის ჩვენც.

მაგრამ...

„ასე გვესმის“ ამ შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ მას ჩვენ საგარეო სამოსივით ვიყენებთ, სხვათა წინაშე წარსადგენად, „ასეა მიღებული“-ს გამო.

ხოლო „ასე გვესმის“ შესატყვისი საშინაო სამოსი არა გვაქვს, რადგანაც ჩვენი ძვალი და რბილი მისით არაა გაჟღენთილი.

ამიტომაც გვეხამუშება, თუკი ვინმე გამოჩნდება და ამ ნაკლზე მიგვითითებს ან ვერ ვიგებთ, თუ მას თავისი ცხოვრებით გვაჩვენებს.

ივანე ჯავახიშვილის შემთხვევაშიც ასე მოხდა.

შორიდან დავიწყოთ, რომ დავინახოთ, თუ რას ემყარებოდა ივანეს მოქალაქეობრივი მრწამსი.

XIII-XIV საუკუნის საქართველო ავირჩიოთ. თვალი გადავავლოთ ქვეყნის აღმავლობისა და დაცემის პერიპეტიებს და ამ ამბების აღმწერიც გავიხსენოთ. თუმცა მისი სახელი და გვარი

ჩვენ არ შემოგვრჩა, არც მისი თხზულების სათაური ვიცით. ვიღაცის ხელმა ამ თხზულების დასაწყისი და ბოლოც, იქნებ თავად ძირითადი ტექსტიც, თავისებურად გადაამუშავა, რაც მისაღებად ჩათვალა, დატოვა და შეიტანა „ქართლის ცხოვრებაში“. ამ უცნობ ავტორს დღეს ჟამთაღმწერლად, ხოლო მის ნაშრომს „ასწლოვან მატიანედ“ მოიხსენიებენ. ივანე ჯავახიშვილი ამ შრომის განხილვისას მისი ავტორის მისამართით ბევრ საქებურ სიტყვას იმეტებს. მას მოსწონს ისტორიკოსის პირუთვნელობა და ქვეყნის დაცემის მიზეზების კვლევა.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, საყურადრებოა ის, რომ „ავტორი ქვეყნის გაოხრების მიზეზად საქართველოს მმართველი წრეების უდარდელობასა, უწესობასა და ერის ზნეობრივ დაცემას აღიარებს, რომ იგი მარტო გარეგან პირობებს, მტრების შემოსევას არ აბრალებს ყველაფერს და ამით არ იქარვებს დამაფიქრებელ საკითხს, არამედ უმთავრეს მიზეზად თვით ქვეყნის შინაურს მდგომარეობას, თვით ქართველთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ გათახსირებულ ცხოვრებას ასახელებს. ეს არის ჩვენთვის საგულისხმიერო და ადამიანმა მართლაც უნდა სთქვას, რომ ამ მხრივ ჟამთაღმწერლის აზრი სრულიად უსაფუძვლო არ არის“.

კიდევ ერთი ამონარიდი მოვიყვანოთ ივანე ჯავახიშვილის იგივე ნაშრომიდან: „ქართველი ჟამთაღმწერლის ღირსებას მისი მიუდგომლობა და პირუთვნელობა შეადგენს. იგი მაგ. საქართველოს მტრების ღირსებას, — ჯალალედინისა, რომელმაც დიდი ცოდვა დაატრიალა ჩვენს ქვეყანაში, და მონღოლებისას, საქართველოს განმაოხრებელთა, — სასიქადულო თვისებებს მაინც არა ჰმალავს, პირიქით, ყოველთვის დიდის პატივისცემით იხსენიებს ხოლმე მათ. თუმცა ამასთანავე იმ საშინელ აოხრებასაც, რომელიც მონღოლების ბატონობას მოჰყვა, არ ივიწყებს და საუცხოოდ ასურათებს. საგულისხმიერია, რომ საქართველოს ამამტუტებელის ჯალალედდინის სიკვდილის აღწერის დროს მას არც წყევლა-კრულვა, არც სხვა რამ განსვენებულისათვის საძრახისი სიტყვა წამოსცდენია, არამედ დიდის ღირსებით, თითქოს სინანულითაც კი ამბობს: „მოიკლა კაცი იგი მაღალი და სახელოვანი ხელმწიფე ვინა დაუდგრომელ არს მინდობა სოფლისა ამის ამაოს“-ო“.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ჟამთაღმწერლის ამ ღირსებას თავისი საფუძველი აქვს და სწორედ ეს საფუძველია ჩვენთვის მთავარი. ჩვენ ისტორიის უამრავ ამბების მოყოლისას თავად ამ ამბებმა ძირითადის პოვნის გუმანი არ უნდა მოგვიჩლუნგოს. ისევ ივანეს მოვუსმინოთ: „ქართველი ისტორიკოსის მტერთადმი პირუთვნელობა აიხსნება იმით, რომ საქართველოს იმდროინდელ დაცემისა და უბედურების მიზეზად მარტო გარეშე მტრებს კი არა სთვლიდა, არამედ უმეტესად ქვეყნისა და მკვიდრთა შინაურ ცხოვრების მრავალს ნაკლულევანებას, მთავართა განცალკევებულსა და შეუზრახებელ მოქმედებას, საზოგადოებრივ აზრის დაძაბუნებას და ზნეობის დაცემას და სხვას“.

მგონი დასკვნის გაკეთება ძნელი არ უნდა იყოს, მაგრამ მაინც ვიტყვი: **ივანეს აზრით, საჭიროა ჩავუღრმავდეთ საკუთარ მდგომარეობას და ვიპოვოთ გამოსავალი. ამ გამოსავალს კი ჩვენი უკეთურების სხვებზე გადაბრალებით ვერ ვიპოვით, ვერც საკუთარი ნაკლის მიფუჩეჩებით**. და ეს თუ ასეა, მაშინ ვაჟკაცურად უნდა ვაღიაროთ ჩვენი ნაკლი, ვთქვათ ხმამაღლა, დავგმოთ და განვთავისუფლდეთ მისგან. დაწერა ანუ წერილობითი ძეგლის შექმნა იგივე ხმამაღლა თქმაა, ვინაიდან ერთის ნაწერს ახლა შეიძლება ათასები ეზიარონ. სწორედ ამიტომაა დაწერილი სიტყვა მრავლისმეტყველი და მრავლისმქნელიც. ეს შესანიშნავად იცოდა ჟამთაღმწერელმა და სწორედ ამიტომაც აქებდა მას ივანე ჯავახიშვილიც.

ჟამთაღმწერელი გვიამბობს, რომ თამარის ასულმა რუსუდანმა, როცა მეფე გახდა, თავის ძის დავითის სასარგებლოდ ძმისშვილი დავით ლაშას ძე გაიმეტა. ამ ამბის მოთხრობა უმძიმს მეისტორიეს და მობოდიშებით ამბობს: „კუალად აქაცა ვინებე ღუმილი, ვინათგან მეგულების განსაკრთომელისა მოთხრობისა, დაღათუ არასაკადრებელ არს თხრობა მეფეთათვის უშუერისა რასმე... განა ვინათგან წიგნი ესე შუამდებარე არს კეთილისმოქმედთა და ბოროტისმოქმედთა, შენდობილ იყვნენ სიტყუანი ჩემნი, რამეთუ ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყუელება არს, და არა თუალ-ახმა ვისთვისმე“.

დიდებულ ადამიანსა და მეისტორიეს მეფეთა მოკრძალების გამო ღუმილი სურს, მაგრამ ვერ ჩერდება. რადგან მისი რწმენით,

„წიგნი ესე შუამდებარე არს კეთილისმოქმედთა და ბოროტისმოქმედთა“ შორის, ამიტომ აუცილებლად სიმართლე უნდა ითქვას. მით უმეტეს, როცა „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს, და არა თუალ-ახმა ვისთვისმე“.

ამ პოზიციაზე ძველ საქართველოში მარტო ჟამთაღმწერელი არ იდგა. ყველას ვერ შევეხები, მაგრამ ძალიან გამორჩეულს და ივანე ჯავახიშვილისთვისაც სათაყვანებელს ვახუშტი ბატონიშვილს დავასახელებ. ოღონდ ჯერ მისადმი ივანეს დამოკიდებულების სანახავად ერთ ამონარიდს მოვიყვან ივანესავე შრომიდან: „ვერავითარი მოკლე მიმოხილვა ვერ აგრძნობინებს ადამიანს ვახუშტის დიადს ღვაწლს ქართულ ისტორიათაღმწერლობისა და საისტორიო მეცნიერების წინაშე: მკითხველი თვით უნდა ჩაუკვირდეს მის ღრმააზროვანს მსჯელობას... და მის გასაოცარ, ნამდვილ მეცნიერულ აზროვნებით დასტკბეს“.

ახლა კი ვნახოთ თუ რას ამბობს ვახუშტი საისტორიო ნაშრომის მნიშვნელობის შესახებ: „მატიანე მოგვახსენებს დასაბამითგანსა ჟამსა, წელსა და საუკუნოსა; მატიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა; მატიანე აღამაღლებს კეთილის ქმნულებასა და გმობს უკეთურთ ქმნულებასა; მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა და არა სცბის, და მოწმობს სხუათა და სხუათა; მატიანე განამხნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქუეყნისად; მატიანე აცნობებს ნათესავთ-ჩამომავლობასა, და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის, და მოყვარულ ჰყოფს მოყუასსა მოყუასისა მიმართ“.

ასე ესმოდათ უწინდელ საქართველოში ისტორიკოსის (ჟამთაღმწერლის, მემატიანის) — საზოგადო საქმეთა აღმწერლის მოვალეობა. მაგრამ ერთია ვალდებულებები და ზოგადი პრინციპები და მეორე კონკრეტულად შესრულებული საქმეები. ხომ ცნობილია გამოთქმა: მექოთნე ქოთანს საიდანაც სურს იქით გაუკეთებს ყურსო.

ცნობილია და ცხადიც, მაგრამ ზემოთ იმაზე კი არაა საუბარი, რომელიმე პირი სარგებლობს ჩვენი ყურადღებით და რასაც გვეუბნება ყველაფერს გვაჯერებს, არამედ სწორედ იმაზე, თუ რამ შეიძლება ერს სარგებელი მოუტანოს — კეთილი განძრახვით შელამაზებულმა სიტყვამ თუ „პილპილმოყრილმა“ სიმართლემ?

როგორც ჩანს, ეს განსხვავებული პოზიცია ყოველთვის არსებობდა. ასე რომ არ ყოფილიყო არც ჟამთაღმწერელი და არც ვახუშტი გააკეთებდნენ საგანგებო შენიშვნებს. ნათქვამია გამეორება ცოდნის დედაოო და ერთხელ კიდევ გავიმეოროთ:

„ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს, და არა თუალ-ახმა ვისთვისმე“ — ეს ჟამთაღმწერელია, XIV საუკუნის ისტორიკოსი.

„მატიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა; მატიანე აღამაღლებს კეთილის ქმნულებასა და გმობს უკეთურთ ქმნულებასა; მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა და არა სცბის“ — ეს ვახუშტია, XVIII საუკუნის ისტორიკოსი.

„ყოველ განათლებულ ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავის წარსულ საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“ — ეს კი ივანე ჯავახიშვილია, XX საუკუნის ისტორიკოსი.

მოდით და ბოლომდე ჩავუღრმავდეთ ივანეს პოზიციას ამ თემაზე.

1903 წელს გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის თხზულება „ბურჯი ეროვნებისა“, სადაც ავტორი დედაენის შეუცვლელ როლზე საუბრობს და სამშობლოს სიყვარულით უნებლიედ ისტორიის შელმაზებასაც კი უჭერს მხარს. მისი აზრით, ევროპის ყველა მცირერიცხოვანი ერისშვილი ჭირისუფალია თავისი ერისა და ცდილობს სამზეოზე გამოიტანოს ის ფაქტები, რომლებიც ამ ერის კულტურულ იერსახეს კარგად ახასიათებს. ასეთ ნაშრომებს აქვს „ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი“ და ასეთ შემთხვევაში „ღირსებანი დიდდებიან, ნაკლოვანებანი მცირდებიან“. ყოველივეს კი „სარჩულად უდევს უწმინდესი გრძნობა — მამულის სიყვარული — და უზენაესი მიზანი — დაცვა თავისის ერის სიცოცხლისა“. იაკობის აზრით, საქართველოში საპირისპირო ხდებოდა და ამის მაგალითად ნიკო მარის მოღვაწეობა იყო დასახელებული.

იაკობის ეს ნაშრომი მეორე გამოცემაა. მანამდე კი იგი ავტორმა 1899 წ. პრესით გააცნო საზოგადოებას. მას ხელახლა ავტორი არ გამოცემდა, მასში დასმული საკითხები კვლავ აქტუალური რომ არ ყოფილიყო.

ამ ნაშრომის საპასუხოდ 1904 წელს გამოვიდა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „მამულიშვილობა და მეცნიერება“. იგი ჯერ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა და შემდეგ კი ცალკე ბროშურად გამოქვეყნდა.

დავაკვირდეთ სათაურს: „მამულიშვილობა და მეცნიერება“. ორი დიდი ფასეულობაა ერთმანეთს დაკავშირებულიც და დაპირისპირებულიც.

ერთს მხარეს მამულშვილობაა და მეორეს კი მეცნიერება.

ერთი თითოეულ ადამიანს ავალდებულებს ცხოვრობდეს თავისი ერისა და ქვეყნის ცხოვრებით, ყველა უნდა მიჰყვებოდეს ილიას მცნებას და თავისი ყოველდღიური გარჯით უნდა ამბობდეს:

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით, დამედაგოს მტკიცე გული“.

მეორე კი საზოგადოებისა და ბუნების უზოგადესი კანონების გამოვლინებას გულისხმობს და მას ამ აღმოჩენით ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესების გზის ჩვენებას აკისრებს.

ამდენად, მეორე ზოგადად ადამიანს გულისხმობს და პირველი კი მხოლოდ ადამიანების კონკრეტულ ჯგუფს.

შესაძლებელია ისინი უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს?

თუ ყალბად არ გავიგებთ ერთსაც და მეორესაც, მაშინ არანაირ დაპირისპირებას ადგილი არ ექნება.

პირველის ქომაგობამ ააღებინა ხელში კალამი იაკობს.

ივანეს კი ყალბად გაგებულმა ვითარებამ დააწერინა ეს ნაშრომი.

გამოქვეყნდა ივანეს ნარკვევი და ქართველი საზოგადოება ერთმნიშვნელოვნად დაირაზმა მის წინააღმდეგ. თვალსაჩინო გახდა ის, რასაც ივანე ამავე ნაშრომში მიუთითებდა: „ ჩვენ მიძინებულ საზოგადოებას შეწუხებისა და კრიტიკისა ეშინიან და ყოველგან მტრები ელანდება“.

თავად იაკობს საამურად არ დაურჩა ივანეს ნარკვევი. მან ზოგადი ხასიათის პასუხი გამოაქვეყნა გაზეთ „ცნობის ფურცელში“, ყოველივე პიროვნული დაპირისპირებით ახსნა და დაიქადნა, მომავალში უფრო დასაბუთებულ საპასუხო წერილს დავწერო, მაგრამ ეს ქადილი მას არ აუსრულებია. თუმცა ამ კამათმა დიდი რეზონანსი შეიძინა და რაც მაშინდელი პრესის ფურცლებს შემორჩა,

ყველგან ივანეს გმობა გამოსჭვივის. ადვილი წარმოსადგენია, პირადულ საუბრებში რა ალიაქოთი იქნებოდა ატეხილი.

ივანეს ეს ნარკვევი XX ბოლოს კვლავ განხილვის საგანად იქცა (თ. ნატროშვილი, გ. ჟორჟოლიანი, რ. ჩხეიძე, გ. ყორანაშვილი, რ. მეტრეველი,

ამდენად, ეს კამათი ჯერ არ დასრულებულა. ეს იმიტომ, რომ, ერთი მხრივ, კვლავ იმავე ვითარებაში იმყოფება ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერება და, მეორე მხრივ, მასალა და საკითხი სრულად ჯერ არავის განუხილავს.

ყველა წისქვილს თვისი სარეკელა აქვს და ხმაც განსხვავებულია, ხოლო მინდის ავ-კარგი დიასახლისს მოეხსენება.

ამ საქმეშიც მტყუან-მართალი ერმა გაარჩიოს, მე კი ჩემს სარეკალას მივუბრუნდები.

ჯერ იმას ვიტყვი, რომ ივანემ თავისი შრომის მნიშვნელობა თავად ორჯერ შეაფასა. მოვიყვანოთ ორივე შემთხვევა.

1923 წელია. თბილისში გვიან ჩამოვიდა პეტროგრადში გამოცემული ლიტერატურა. ერთ-ერთში ნიკო მარის წერილი აღმოჩნდა, სადაც იგი ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ივანემ მას უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოზე გასცა პასუხი. საჯაროდ წაიკითხა საგანგებო მოხსენება და აღნიშნა:

მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში ნ. მარს „ზოგიერთ ქართველ მოღვაწეთაგან საყვედური გაუგონია და უსიამოვნებაც მისდგომია. მაგრამ რათგან, ერთის მხრით, განმარტოებულად იდგა ის, ნ. მარრი, დამოუკიდებელ, თავისუფალ სამეცნიერო კვლევა-ძიების თავგამოდებული მიმდევარი, მეორეს მხრით, ფილოლოგიურ მეცნიერებაში უცოდინარი, მარტოოდენ ყალბი მამულიშვილური თავმოყვარეობით აღტყინებული არამცირედი მოღვაწეები და ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი, ჩვენ, თუმცა ეს მაშინდელ პირობებში ადვილი არ იყო და პირადად უსიამოვნების მეტს არას გვიქადდა, უყოყმანოდ საჯაროდ მის დასაცავად გამოვედით... ვგონებ არ უნდა ვცდებოდე, თუ ვიტყვი, რომ არა ერთს ქართველ ინტელიგენტს ამ ჩემმა წერილმა და წიგნაკმა ნ. მარრისაკენ გული მოუბრუნა და თანდათან გაჰფანტა ის გაუგებრობა, რომელიც ქართველ საზოგადოებაში ნ. მარრის შესახებ სუფევდა“.

უფრო ადრე კი, 1905 წელს, ივანე თავის შეყვარებულს, ანასტასია ორბელიანს, უგზავნის თავის გამოქვეყნებულ ნაშრომებს და სათითაოდ უხასიათებს მათ. „მამულიშვილობა და მეცნიერებაზე“ წერს:

„თუმცა ეს წერილი საპოლემიკოა, მაგრამ მაინც იქ გამორკვეულია პირველად ზოგიერთი ისეთი საკითხები, რომლებიც ჯერჯერობით არც ქართულს, არც უცხოელთა სამეცნიერო მწერლობაში გამორკვეული არ ყოფილა. შენ არაერთხელ გაიგონებდი, რანაირად გაბრაზებულა ამ წერილის გამო გოგებაშვილი და მისი მოდამქაშენი. გადაიკითხე და ნახე რა არის იქ საშინელი ან ქართულ ეროვნების ძირის გამომთხრელი?“

ორივეგან ჩანს ივანესაგან თავისი ნაშრომის შეფასება, რომ მარის დაცვა „მაშინდელ პირობებში ადვილი არ იყო და პირადად უსიამოვნების მეტს არას გვიქადდა, [მაგრამ] უყოყმანოდ საჯაროდ მის დასაცავად გამოვედი“-ო და „არა ერთს ქართველ ინტელიგენტს ამ ჩემმა წერილმა და წიგნაკმა ნ. მარრისაკენ გული მოუბრუნა და თანდათან გაჰფანტა ის გაუგებრობა, რომელიც ქართველ საზოგადოებაში ნ. მარრის შესახებ სუფევდა“-ო. მეორე მხრივ კი მასში განხილული ყოფილა ისეთი საკითხები, „რომლებიც ჯერჯერობით არც ქართულს, არც უცხოელთა სამეცნიერო მწერლობაში გამორკვეული არ ყოფილა“-ო და იქ არაფერია „საშინელი ან ქართულ ეროვნების ძირის გამომთხრელი“-ო.

აქედან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ მართალია ივანე მარის დასაცავად ჩაება ამ პოლემიკაში, მაგრამ მასში მან ისეთი საკითხები განიხილა, რომლებიც სადავო საკითხებს სცილდებოდა. აქედან კიდევ ის აზრი გამოდის, რომ ეს კამათი მხოლოდ საბაბი იყო საკუთარი მრწამსის გადმოსაცემად და არა რომელიმე მხარის მიკერძოებული დაცვა.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ივანე ზედმიწევნით კორექტული და მიუკერძოებელი ადამიანი იყო. იაკობ გოგებაშვილს იგი დიდ პატივსა სცემდა და მის ღვაწლსაც კარგად ხედავდა. 1940 წელს, იაკობ გოგებაშვილის იუბილეესთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილის მოკლე წერილი გამოქვეყნდა პრესაში, სადაც მას „საქმის ღრმა მცოდნე და დიდი ოსტატი“ უწოდა.

მე ამჟამად ცალკეულ საკითხებს არ გამოვეკიდები, მხოლოდ ვიტყვი, რომ იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო მარის დაპირისპირება საშუალება აღმოჩნდა ივანესათვის, რომ მას საკუთარი შეხედულებები გამოკვეთილად წარედგინა საზოგადოებისათვის. თავადაც ხომ ამბობს: „იქ გამორკვეულია პირველად ზოგიერთი ისეთი საკითხები, რომლებიც ჯერჯერობით არც ქართულს, არც უცხოელთა სამეცნიერო მწერლობაში გამორკვეული არ ყოფილა“-ო. ივანემ ამ ნაშრომში გადმოსცა საკუთარი შეხედულებები მეცნიერის სამოქალაქო პოზიციაზე, რომლის გაუცნობიერებლად ქართული საზოგადოების განვითარება კვლავაც შეფერხებული იქნებოდა.

იაკობ გოგებაშვილის აზრით, მოღვაწე თავისი ნაშრომით, უნდა გამოესარჩლოს დაჩაგრულ ერს, უნდა ადვოკატობა გაუწიოს მას. ყოველი მკვლევარი თავისი საშობლოს მოტრფიალე უნდა იყოს და მან მისი ერის წარსულზე ისე უნდა წეროს, რომ ნაკლოვანებები გვერდზე დატოვოს და ღირსებები კი კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩინოს. ამით ერის თითოეული წარმომადგენლის თავმოყვარეობა გაიზრდება. იაკობის აზრით, ეს არის მოღვაწის დანიშნულება.

ივანეს ჯავახიშვილი საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

ივანე აზრით, თუ იაკობ გოგებაშვილს დავუჯერებთ, მაშინ მხოლოდ იმ ერს აქვს „კანონიერი უფლება შეინარჩუნოს თავისი დედაენა და კულტურა, რომელსაც ბრწყინვალე წარსულით თავი მოაქვს“.

მარტივი მაგალითით აბათილებს ივანე ამ დებულებას: „აგრე რომ ყოფილიყო, მაშინ რა უნდა ექნათ ნორვეგიელებს, რომელთა ეროვნული აღორძინება დიდი ხანი არაა რაც დაიწყო; რა უნდა ექნათ ფინელებს, — მათაც ხომ კაცობრიობის წინაშე წარსულში არავითარი ღვაწლი არ მიუძღვით, ამ ერთი საუკუნის წინათ სამშობლო ენაზე არც სამეცნიერო, არც ხელოვნური მწერლობა თითქმის სრულებით არ მოეპოვებოდათ“.

მართალია, იაკობს არ უთქვამს, რომ ვისაც საამაყო წარსული არ ჰქონდა, მან არ უნდა სცადოს თავისი ყოფის გაუმჯობესებაო. მას თავისი ერი ადარდებდა და დიდი ისტორიის ქონას მის საშველად მოიხმობდა. ეს ცხადი იყო ივანესთვისაც, მაგრამ იგი იმას

ღაღადებდა, რომ კულტურული წარსული უპირობო საფუძველი არ იყო ერის კეთილდღეობისათვის.

იქნებ ეროვნული უფლებების მოსაპოვებლად პოლიტიკურ ბრძოლაში იყოს გამოსადეგი ამგვარი ნაშრომები? ივანე ჯავახიშვილს აქაც აქვს თავის არგუმენტები.

თურმე როცა ავსტია-უნგრეთის იმპერატორს მიართვეს მოხსენება ჩეხური ენისთვის გერმანული ენის ტოლი უფლებების მინიჭების თხოვნით, პასუხი უარყოფითი იყო. თუმცა ამ მოხენების ერთ-ერთი დამწერთაგანი დიდი მეცნიერი თეოდორ მომზენი იყოო. „ჩეხებმა თუ რაიმე უფლება მიიღეს, მხოლოდ კულტურის აღორძინებით, ეკონომიური წარმატებისა და პარლამენტის ბრძოლის წყალობით. რამდენიც არ უნდა ეწერათ ჩეხელ მეცნიერთ ბ-ნ გოგებაშვილისებური „ადვოკატური“ თხზულებები, ვერაფერს ვერ ეღირსებოდნენ ისინი, თუ კი საზოგადოების გამოფხიზლებით და პარლამენტში ბრძოლით არ გამოსულიყვნენ“.

განა ასე არ არის?

ივანეს აზრით, ადვოკატური ისტორიების წერა მავნეა აგრეთვე „ეროვნული თვითცნობიერების გაღვიძებისთვისაც“. თუ „ჩვენი მეცნიერნი, რომელნიც გოგებაშვილის გემოვნებაზე სამეცნიერო ადვოკატურ გამოკვლევებს შეთხზავენ, მთავრობის ნაციონალურ პოლიტიკას ვერას გზით ვერ შეცვლიან“ და შედეგი კიდევ უფრო მძიმე იქნება. მძიმე იქნება იმიტომ, რომ „ქართველი საზოგადოება ... ყოველთვის მოტყუებული იქნება და ვერც როდის გაიგებს, მართალია ის, რასაც მეცნიერი ბრძანებს“ თუ არა. „ბ-ნ გოგებაშვილის მოწონებულ ვითომდა სამეცნიერო გეგმას შედეგად მხოლოდ ის მოჰყვება, რომ ჩვენვე მოვიტყუებთ თავს, საზოგადოებას, ჩვენვე ავუხვევთ თვალებს და დავაბრმავებთ. ხოლო ამგვარი მოქმედება ქართველი ერის თვითცნობიერების აღორძინებას შეაფერხებს და ბოლოს მოუღებს, ხალხს ბაქიობას და უსაფუძვლო ამაყობას და კმაყოფილებას შეაჩვევს“.

განა მართალი არაა? დღესაც ბევრი ფიქრობს ასე და, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ამ აზრით გაჟღენთილმა ადამიანებმა ნებსით თუ უნებლიეთ მიაყენეს ის ზიანი საქართველოს, რაც სახეზეა. ცნობილი ფრთიანი გამონათქვამი, „როცა ჩვენ სახარებას ქართულად ვთარგმნიდით, მაშინ მავანი ჯერ კიდევ ხეებზე და-

კონწიალებდა“, ჩვენს საზოგადოებაში დღესაც პოპულარულია. ვინც იგი წარმოთქვა, მახვილგონივრულად გამოუვიდა და მიზანსაც მიაღწია. მაგრამ დღეს მისი ხშირი გახსნება მხოლოდ დათვურ სამსახურს გვიწევს.

ასეთი მაგალითების გახსენება უამრავის შეიძლება, მაგრამ განა ეს არ კმარა? განა ეს არ მიუთითებს, რომ საქმის კეთების ნაცვლად გულის მოფხანითა ვართ დაკავებული? სამწუხაროდ ეს ფხანა კი ძალიან მოგვეწონა და მას საქმეს ვეძახით. სინამდვილეში კი მავნე ჩვევაა. ილიასეული ოთარაანთ ქვრივი გავიხსენოთ, რომელიც ამბობს: „ფხანა ქეცმა იცის, ნუ გაიქეციანებ თავს და ფხანა არ დაგჭირდებაო“.

ილია ლამისაა გავაღმერთოთ, იმდენ აღმატებულ სიტყვებს ვუძღვნით, საქმის დროს კი არ გვახსოვს, არაფერს ვაკეთებთ მისი დარიგებით.

ფხანა უფრო მოგვწონს.

ადვილია და თანაც საამო.

ივანე განმარტავს, რომ სამშობლოს სიყვარულით გაზვიადებული ისტორიის წერა მეცნიერის უპასუხისმგებლობაზე მეტყველებსო. მით უფრო გაზვიადებული ისტორია ყალბისმქნელობაა და მას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სარბიელზე არავითარი სასიკეთო შედეგის მოტანა არ შეუძლიაო.

ფხანის საკითხს ივანეც ეხმიანება და წერს: „გაზვიადებულ, ადვოკატურ ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა გრძნობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით სურს თავისი შელახული გრძნობა დაიკმაყოფილოს და დაამშვიდოს“.

„ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“.

ავავსოთ თასი, ყანწი, ჭინჭილა...

„ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“.

გავიმეოროთ ყოველივე ასჯერ, ასი ათასჯერ და კიდევ ბევრჯერ.

გვეშველება კი ამით რაიმე?

ფხანით არაფერი.

ისევ ივანეს დავუბრუნდეთ: ასეთი აზრი „ფრიად მავნებლად უნდა ჩაითვალოს, იმიტომ რომ საზოგადოებაში ცრუ აზრი ვრცელ-

დება, ვითომც საჭიროა მხოლოდ „ადვოკატურ გამოსარჩლებით“ ჩვენმა მეცნიერებმა რუსეთის მთავრობას და ხალხს დაუმტკიცონ, რომ ქართველები ნიჭიერები არიან, საუცხოო კულტურა ჰქონდათ ოდესღაც, რომ საქმე გაიჩარხოს და გვითხრან, მოგვინიჭებია ყველა უფლებაო“.

რაოდენ თანამედროვედ ჟღერს ეს სიტყვები?! განა ამ ნოტაზე არ მიმდინარეობს მსოფლიო თანამეგობრობაში თვითდამკვიდრების ჩვენი საზოგადოებისეული ძალისხმევა და მოლოდინი?

შედეგად კი რა გვაქვს?

ხელშესახებად არც არაფერი.

და იმიტომ, რომ ვიღაც სადღაც ხელს გვიშლის? თუ იმიტომ, რომ ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ საჭირო უნარი და ფხა?

ხელისშემშლელის მეტი რა გვყავს. ან როდისმე გვაკლდა? ან კი მომავალში არ გვეყოლება?

ხელმოცარულ მონადირეს განა ვინმე დაუჯერებს, თუ თავისი გაწბილება ტყე-ღრეში მოულოდნელად თავზე გადაფრენილ ყვავს თუ კოდალას გადააბრალა? ტყე-ღრე იმისია, რომ იქ დაბრკოლებებია და არც სანადირო ცხოველები მოგიახლოვდებიან სასურველ მანძილზე, აჰა, აქა ვარ და კარგად დამიმიზნეო.

აკი ამბობდა ივანე ჯავახიშვილი, ამგვარი განწყობით „საზოგადოება წყალობის მოლოდინს ეჩვევა და ამის გამო თვითონ, როგორც მომლოდინეს შეეფერება, არას აკეთებს“.

ამ სენით არა ვართ ღღესაც გათანგულნი? საბჭოთა რეჟიმმა მთავრობის მოწყალებას არ დაგვაჩვია? სტიქიური უბედურებით განადგურებული სავარგულებისა და ბაღ-ვენახის საკომპენსაციოდ გაღებული თანხა რაში დავხარჯეთ? აღვადგინეთ დანგრეული მეურნეობა თუ მცონარობით ქარს გავატანეთ?

საქმის ნაცვლად უსარგებლო კინკლაობაში რომ გაგვყავს დრო, ვისი ბრალია? სულხან-საბასეული „სოფლის მაშენებელნს“ რომ დავემსგავსეთ, ცხადი არაა? მის მიხედვით გადაღებულ მშვენიერ ანიმაციურ ფილმს კი ვუყურებთ, მაგრამ საკუთარ თავში რომ არ ვიხედებით, კარგია?

მგონი ყოველივე ამგვართა გამო ივანე ჯავახიშვილს ჰქონდა უფლება დაესკვნა: „ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეიწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული,

გამოირკვიოს, რა და რა პირობებსა და მიზეზებზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო, მისი საზოგადოებრივი და ზნეობრივ-გონებრივი განვითარება თუ წარმატების მიმდინარეობა. ის მეცნიერი, რომელიც მეცნიერების წინაშე თავის მოვალეობას პირნათლად აასრულებს, ის, უეჭველია, იმავე დროს ქართველ საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს, იმიტომ, რომ ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი".

აქედან გამომდინარეობს ქართველი მოღვაწის მოვალეობა.

ივანეს აზრით, „ქართველმა ისტორიკოსმა სრულიად პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული, პირუთვნელადვე უნდა წარუდგინოს თავის სამშობლოს წარსული თანამემამულეებსა და უცხოელებსაც, რადგან მას არ უნდა დაავიწყდეს, რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული არას უშველის: განა ეგვიპტელებსა და ასურელებზე კაცობრიობის წარმატების წინაშე მეტი ღვაწლი მიუძღვის კიდევ ვინმეს, განა სპარსელებს ნიჭი აკლდათ, განა იმათი ბრწყინვალე წარსული მსოფლიო ისტორიისათვის უმნიშვნელო იყო, რომ ახლა შესაბრალის მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი? აშკარაა, დიდებულ წარსულს საერთაშორისო პოლიტიკასა და ცხოვრებაში დიდი გასავალი არ უნდა ჰქონდეს, აწმყოა მხოლოდ მხედველობაში მიღებული, აწმყო კულტურული..".

ერთი ქართული ანდაზა ამბობს: „კაცმა ჭირი მალაო, ჭირმა თავი არ დამალაო". ამიტომ მეორე ანდაზა ასკვნის: „დამალულმა ჭირმა კაცი მოკლაო".

ახლა ივანეს მოვუსმინოთ: „თუნდაც ჩვენი წარსული მართლა არაფერს საყურადღებოს არ წარმოადგენდეს, განა არ შეიძლება ჩვენც ბრწყინვალე საკულტურო მერმისის იმედი გვქონდეს, თუ კი ყოველ ძალღონეს მოვიკრებთ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრების გასაუმჯობესებლად? თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კი არა, გამომჟღავნება უნდა: მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლია იგი თავიდან მოიშოროს".

მთელ თავის მსჯელობას ივანე საოცარი ექსპრესიით ამთავრებს, როცა ილიას ერთი ლექსიდანაც კი მოიხმობს ერთ ტაეპს:

„ჩვენში საზოგადოდ ძნელია მუშაობა, მეტადრე თუ მეცნიერი ახალ გზას იკვლევს და კრიტიკულ მიმართულებას ადგია: ჩვენ მიძინებულ საზოგადოებას შეწუხებისა და კრიტიკისა ეშინიან და ყოველგან მტრები ელანდება. განა ამნაირმავე გარემოებამ არ ათქმევინა ჩვენს ნიჭიერს მგოსანს ი. ჭავჭავაძეს ეს საუცხოო ტაეპი:

„ჩემზედ ამბობენ, ის სიავეს ქართლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ ჰმალავს — ეს ხომ ცხადი სიძულვილია.
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია“.

ბევრმა კოკა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც ეს ლექსი დაიწერა, მაგრამ გარემოება, სამწუხაროდ, ძალიან არ არის შეცვლილი; განა ეხლა კი არ შეუძლია საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერს ... ზემომოყვანილი ტაეპი გაიმეოროს? ოღონდაც რომ შეუძლია!“

„ოღონდაც რომ შეუძლია“-ო, ასკვნის ივანე.

ოღონდაც!

არ ვიცი მომავალში — როდის და როგორ, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს კი ჩვენც ასე უნდა დავემოწმოთ დიდ ივანეს.

ოღონდაც!

და თუ კიდევ იგივეს გამეორება არ გვინდა, მაშინ ყურად ვიღოთ და ვიყოთ კრიტიკულნი, ნუ დავუჯერებთ ნურავის და ნურაფერს კრიტიკული განხილვის გარეშე. ეს სულაც არაა ვინმეს შეურაცხყოფა. პირიქით, არც ერთ მათგანს — არც ილიას, არც ივანეს და არც დანარჩენთ — საქართველოს საუკეთესო შვილთ — არ გაუხარდებოდა დღევანდელი ჩვენი ყოფა რომ ენახა.

გამოსავალი მხოლოდ ერთია: შევისწავლოთ, გავისიგრძეგანოთ და გავყვეთ წინაპართა ნაკვალევს!

ილიაც ხომ ამას ამბობდა: „ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღ-

მოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა... შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი — ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა. უიმისოდ თითონ შვილი, რაც გინდ მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება“.

ივანესაც ხომ ამისთვის იღწვოდა — თვალსაჩინო გაეხადა ჩვენი ერის თავგადასავალი და ამით მკვიდრი ნიადაგი შეექმნა ჩვენი აწმყოსა და მყოობადისთვის.

ივანემ კარგად იცოდა, ვინ იყო ილია ჭავჭავაძე და მისი ლექსით ნარკვევის დასრულება ნიშანდობლივი იყო. იგი ალბათ, გრძნობდა, რომ მას ყველა არ დაეთანხმებოდა და ბევრი აუგადაც მოიხსენიებდა.

ასეც მოხდა.

აკაკიმ, დიდმა აკაკიმაც, ვერ გაუგო და თავის წერილში იგი ქართველთმოძულედ გამოაცხადა.

„ქართველთ მოძულენი“.

სწორედ ასე ერქვა გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ მის წერილს. აკაკის აზრით, ნიკო მარის მოღვაწეობით „ქართველთმოძულეთა“ სკოლა შექმნილა და მათ შორის იყო ივანე ჯავახიშვილიც.

„მარრის მაგალითმა შკოლა გამოიწვია ჩვენში „ქართველთა მოძულეთა“ რომელთა შორის თავი იჩინა ახალგაზრდა ჯავახისშვილმა“-ო — წერდა აკაკი.

აკაკი ჩვეული ენაკვიმატობით ცდილობდა მკითხველის დაჯერებას ივანე ჯავახიშვილის სიმცდარეში.

„ვინ არ იცის, რომ პატარა ყმაწვილებს საზოგადოდ ზნედა აქვთ გადაქცეული დიდების მიბაძვა, მაგრამ მაინც სასაცილოა მათი ქცევა!... — წერდა აკაკი, — აბა, რა ჯობია მის ნახვასა და ყურებას, როდესაც ბავშვი ჯოხზე გადამჯდარი, დანავარდობს ეზოში?... იმ დროს მას თავისი თავი მართლა მხედარი ჰგონია და ჯოხიც ნამდვილ ბედაურად მიაჩნია... ერთი კიდევ სხვა ზნე-

ცა სჭირთ ყმაწვილებს: თუ რომ მოუწონეთ წასახალისებლად, ის მაშინვე წარმოიდგენს, სწორუპოვარი ვინმე ვარო და დიდებსაც აღარად აგდებს. მაგალითად, თუ ქება შეასხი, რომ მარჯვედ ჭიდაობ შენ ტოლებთანო, იმას მაშინვე თავს გაუვა და დიდებს დაეტაკება წასაქცევად. ასე მოუვიდა სწორედ ახალგაზრდა ჯავახიშვილსაც, ბ-ნ იაკობ გოგებაშვილზე რომ მიიტანა იერიში“.

აკაკი ამგვარი ზოგადი მსჯელობით შემოიფარგლება და ივანეს საბუთების გასინჯვას თავს არიდებს.

იცით რატომ?

თავად აკაკი გვეტყვის: „ამ თხზულების ზედაპირი დიაღ ლოღიკურია და ვითომც, გულწრფელადაც დაწერილი, მაგრამ სარჩული კი ქვეშ-ქვეშური... ბოლო-კიდური აზრი სულ სხვას გვეუბნება, ვერ უდის კარგი სუნი და მისის სხეულის მიკარება და ასო-ასოდ გაჩხრეკა აღარა გვსურს..“.

კამათიც ასეთი უნდა!

იქნებ ივანეს ნაშრომის „ასო-ასოდ გაჩხრეკას“ ის მაინც დაედგინა, თუ საიდან მოდიოდა ეს ცუდი სუნი!

აკაკიმ ეს არ ისურვა. მან მხოლოდ ცალსახად იაკობს დაუჭირა მხარი და მისი ავტორიტეტი საბუთებზე მაღლა დააყენა.

სხვათა შორის, ძალაუნებურად წინასწარმეტყველებაც კი გამოუვიდა აკაკის:

„შეიძლება ოდესმე ბ-ნ ჯავახიშვილი ბრძენთა-ბრძენი შეიქმნეს და მეცნიერთა მეცნიერიც გამოვიდეს, მაგრამ ჯერ კი არც დრო და არც მისი ნაშრომ-ნაღვაწი უფლებას არ აძლევს, რომ მედიდურად მოძღვრიდეს გოგებაშვილს!“

მედიდურად დამოძღვრას რომ თავი დავანებოთ, ივანე მართლაც გახდა ქართული მეცნიერების ფუძემდებელი და ამდენად „მეცნიერთა მეცნიერიც“.

ილია ამ კამათში არ ჩარეულა. ნიშანდობლივია ეს დუმილი. თუმცა დუმდა კი ილია?

1937 წელს საქართველოში ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლის იუბილე გადაიხადეს. მომდევნო წელს კი დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „ილია ჭავჭვაძე და საქართველოს ისტორია“. ამ ნაშრომში ივანე სათანადო მასალების მოხმობით ასკვნიდა, რომ ილიას, „ჩვენს დაუვიწყარს მოამაგეს საქართ-

ველოს ისტორია ეროვნული თავმომწონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა“.

რა საბუთს ემყარებოდა ივანე, როცა ამას აცხადებდა?

აი, ილიასეული მსჯელობიდან ივანეს მიერ მოყვანილი ვრცელი ამონარიდი: „ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდვია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამისი საბუთი თვალწინა გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთი მუჭა ხალხს ამ ორი ათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენს ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით — რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას. რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელია სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია. და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ — დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი, და თუ ასეა, რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი“.

დავაკვირედეთ, თუ როგორი თანხვედრაა ილიასა და ივანეს აზროვნებასა და პოზიციას შორის. მაგრამ მაინც, ყოველივე ამაზე, ვნახოთ ივანეს კომენტარი:

„რა იყო ჩვენი წარსულის სიმაგრე და რა იყო სისუსტე, სიფუყე, ამის გამორკვევა ხომ ისტორიული პროცესის შეგნებით შეიძლება. მაგრამ ისტორიის გაგება და სისწორით წარმოდგენა ახლაც ადვილი საქმე არ არის, მით უფრო ძნელი საქმე იყო მაშინ, წარსული საუკუნის იმ ხანაში, როცა ილია ჭავჭავაძე ჩვენი კულტურის სწორუპოვარი ბელადი და ხელმძღვანელი იყო. როდესაც რომელიმე ერის ისტორია შესწავლილი არ არის,

ისტორიის მაგიერ ხშირად, ერთი მხრით, უგემოდ წარმოებული კვლევა-ძიებაა ხოლმე გაბატონებული, მეორე მხრით კი მიმ-ბაძველობასა და რწმენაზე დამყარებული სქემატიზმი იპყრობს ხოლმე ასპარეზს. პირველი დამაღონებელია თავისი უსისტემო-ბითაც და თანაც არც გულსა და გონებას არას ეუბნება. მეორემ კი, თუმც შესაძლებელია გამოუცდელი მკითხველი თავისი აღნა-გობითა და გარკვეულობით უფრო მოხიბლოს, მაგრამ მავნებე-ლია იმდენად, რამდენადაც, წარსული ცხოვრების ხორცშესხმუ-ლი სურათის მაგიერ, რელაურ შინაარსს მიკლებული სქემა არის ხოლმე წარმოდგენილი. ასე იყო საქართველოშიც“.

„ასე იყო საქართველოშიცო“, — ბრძანებს ივანე.

ვინც არ ეთანხმება, მან ჯერ უნდა გამოიკვლიოს, იყო ასე თუ არა და ჩვენც დაგვანახოს.

მანამდე კი მე ივანეს დავემოწმები: ასე იყო.

ასევე დავემოწმები, რომ „ისტორიის გაგება და სისწორით წარმოდგენა ახლაც ადვილი საქმე არ არის“, რადგანაც ისტორია დღესაც ბევრს ეროვნული თავმოწონებისთვის სჭირდება და მხ-ოლოდ შიშველ რწმენაზე დაფუძნებულ დებულებებს, სამწუხარ-ოდ, დიდი გასავალი აქვს.

ილია კი მკვლევრის პირუთვნელობის მომხრე იყო. ივანეც ამავე აზრისა იყო, რომ ისტორია შელამაზების გარეშე უნდა ყო-ფილიყო გადმოცემული.

მოვიყვანოთ მაგალითი.

ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაში“ ერთი ადგილია, სადაც მეფე დიმიტრიზეა საუბარი. იგი მონღოლებმა სიკვდილით დასაჯეს. ქართულმა ეკლესიამ კი წმინდანად შერ-აცხა და თავდადებული უწოდა. მიუხედავად ამისა, ისტორიამ მისი ცხოვრების სხვა დეტალებიც შემოგვინახა. ეს ის მეფეა, რომელსაც სამი ცოლი ჰყავდა. ამის თაობაზე ივანე წერდა, რომ დიმიტრი თავდადებული თავისი თავისუფლებისმოყვარე შეხედ-ულებით ლაშა-გიორგის მიაგავს, „მაგრამ სამაგიეროდ, მისგან იმით განსხვავდება, რომ თუ ლაშამ თავის გულის სატრფოს და-კარგვის შემდგომ, სიკვდილამდე ცოლი აღარ შეირთო, დემეტრე II-მ, პირიქით, ერთი ცოლით, თავისი სქესობრივი გრძნობა ვერ დაიკმაყოფილა და სამსაც კი გაუნაწილა“.

ივანე ჯავახიშვილი წმინდანად გამოცხადებულ მეფესაც არ მოერიდა და სიმართლე ბოლომდე თქვა. თუმცა ეს წინადადება ივანეს დაბეჭდილ ნაშრომში არ მოიპოვება. იგი მხოლოდ მის ხელნაწერშია შემორჩენილი. როგორც ეტყობა, ივანე ჯავახიშვილის მიერ დიმიტრი თავდადებულის ასეთი შეფასება მეტად მკაცრად მოეჩვენათ და რედაქტორებმა „გაუსწორეს“.

ეს „გასწორება“ ბევრს გვეუბნება.

იგი იმ განსხვავებას ხდის თვალსაჩინოდ, რომელიც ივანესა და მის თანადროულ საზოგადოებას შორის არსებობს. ეს „გასწორება“ მხოლოდ ერთი ადამიანის, რედაქტორის, შეხედულების ამასხველი არაა.

წმინდანი ყოველთვის აღმატებით ხარისხში უნდა მოვიხსენიოთ!

ასეთი იყო და არის, სამწუხაროდ, ქართული საზოგადოების თვალსაზრისი. ესეც „ადვოკატური გამოსარჩლებითი ისტორიის“ გამოძახილია. ივანე კი ხომ ხაზგასმით ამბობდა „ჩვენ მიძინებულ საზოგადოებას შეწუხებისა და კრიტიკისა ეშინიან“-ო. ამის საპირისპიროდ ივანეს სამეცნიერო პირუთვნელობა მიაჩნია უზენაეს სიქველედ. მისი აზრით ვინმეს ცუდი საქციელი მისაბაძად რომ არ იქცეს, სიმართლე უნდა ითქვას, თუნდაც ეს წმინდანს ეხებოდეს.

ივანე ჯავახიშვილი ხელაღებით არაფერს ამბობდა. იგი სკრუპულოზურად იკვლევდა ყველაფერს და მიღებული შედეგის გამომზეურებისას რაიმეს შელამაზებას ან მიჩქმალვას დაუშვებლად მიიჩნევდა. მოვუსმინოთ:

„თუნდაც რომ გამოკვლევამ ქართველ მეცნიერს დაანახვოს რომ იმის საშობლოს წარსული თავისებურსა და დიადს არაფერს წარმოადგენს, მაინც იგი არ უნდა შეუშინდეს თავისი დასკვნის გამოქვეყნებას, რადგან მეცნიერმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ხალხს, რომელსაც წარსულში განვითარების უმაღლეს წერტილამდე არ მიუღწევია, ყოველთვის შეუძლია შეითვისოს უმაღლესი კულტურა და განათლებულ ერთა შორის საპატიო ადგილი დაიჭიროს“.

ივანე ჯავახიშვილი თავისი დიდი წინამორბედების ღირსეული მემკვიდრე და შთამომავალი იყო. წინამორბედები ზემოთ მოვიხსენიეთ. აქ ერთი მაგალითი უნდა მოვიყვანოთ, აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი იხსენებს:

„ერთ დღეს, ბატონმა ივანემ გამოაცხადა, რომ საჯარო ლექციის წაკითხვას აპირებდა. ლექციის სათაური იყო „რაინდობა და ვერაგობა საქართველოში“. ყველა ჩვენგანი გაურკვეველი მოლოდინისა და მოუთმენლობის განცდამ შეიპყრო. ვგრძნობდით, რომ ლექცია რაღაც საგანგებო გარემოებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომელიც მხოლოდ ლექციის შემდეგ გაირკვა. ამ დროს გამოქვეყნდა XVI ს-ის ქართველი მოღვაწის დავითის (შემდეგში დაუდ-ხანად წოდებულის), სამედიცინო ძეგლი „იადგარ დაუდი“. გამომცემელს, ექიმ ლადო კოტეტიშვილს, ძეგლი აინტერესებდა ძველი ქართული მეცნიერებისა და სამედიცინო კულტურის ისტორიის თვალსაზრისით და მისი მნიშვნელობაც ამით იყო განსაზღვრული. მაგრამ მკითხველთა ფართო საზოგადოებაში დავითი პოპულარული პიროვნება გახდა..“.

დაუდ-ხანი ერთი რენეგატი უფლისწული იყო და მის ასეთ პოპულარობას შეუშფოთებია ივანე და მის გასაბათილებლად გაუმართავს სწორედ ეს ლექცია. ლექცია ჩატარდა განათლების მუშაკთა სახლში. მომხსენებელმა „ნათლად, მკაფიოდ დახატა რენეგატთა ისტორიული სურათი საქართველოსი, დაახასიათა მისი უარყოფითი მნიშვნელობა, დეტალურად წარმოადგინა დაუდ-ხანის პოლიტიკური საქმიანობა, და ლექცია შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: განა, ერის წინაშე დამსახურება იმას ნიშნავს, რომ ორი წიგნი წაიკითხო და მესამე დაწერო.

მართლაც!

„განა, ერის წინაშე დამსახურება იმას ნიშნავს, რომ ორი წიგნი წაიკითხო და მესამე დაწერო?!“

ივანე აქაც მკვლევარიცაა და მოქალაქეც: პირუთვნელი და გულწრფელი.

„რაინდობა და ვერაგობა საქრთველოში“.

აი, რა ფასეულობები დადგა უცბად გვერდიგვერდ! და მართლაც რომ არ დაწყვილებოდა ისინი ერთმანეთს ანუ ერთი მეორეში რომ არ არეულიყო დროზე იყო საჭირო საზოგადოების გათვითცნობიერება.

ყოველივეს თუ შევაჯამებთ, უნდა დავასკვნათ, რომ ერის ისტორიაში რაიმეს შელამაზება კი არაა საჭირო, არამედ პირიქით

— ყველა ნაკლოვანების გამოაშკარავება, რომ იგი გამოსწორებულ იქნას.

ერის ცხოვრების გაჯანსაღება და მოწინავეთა რიგებში გადაყვანა მხოლოდ შრომით შეიძლება, ყოველდღიური, მუხლჩაუხრელი შრომით.

ასე მუხლჩაუხრელად შრომობდა და ამიტომაც შეძლო ის, რაც მის მემკვიდრეობად დაგვრჩა. ხელისშეშლა და თანადგომა რომ ჰქონოდა, ვინ იცის, ეს მემკვიდრეობა კიდევ რა სიდიდისა იქნებოდა?!

სიდიდეში მოცულობა არ მიგულისხმია.

მაგრამ, ჩვენი ძველი მეისტორიების მსგავსად, ამ თემაზე აქ „დავიდუმოთ“ და „პირველსავე სიტყვასა ზედა მოვიდეთ“.

„მამულიშვილობა და მეცნიერება “.

ჩვენ დღეს ყოველ წუთს პირზე გვაკერია ეს სიტყვა „მამულიშვილი“. ოფიციალურ გამოსვლებში თუ პრივატულ ურთიერთობებში ამ სიტყვას დიდი გასავალი აქვს. ვინმეს დადებითად დახასიათება-შეფასებისას იგი უალტერნატივო ცნებაა.

ჩვენ გვახსოვს დიდი თავყრილობები, სადაც გაისმოდა მოწოდება „მამულიშვილნო!“, მაგრამ არ გვახსოვს „მოქალაქენო!“.

საბჭოთა პერიოდში ჩვენში ყველგან „ამხანაგო“ გაბატონდა. ეს მშვენიერი სიტყვა, რომელიც ახლობელს, ტოლსა და სწორს აღნიშნავს, ბოლშევიკების ხელში ისე გაცვდა, რომ ყოველგვარი ფასი დაკარგა. პირტიტველა ჯარისკაცისთვის მხცოვანი სარდალი რომ ამხანაგად იქცა, აბა რა მოხდებოდა!

და როცა ამ სიყალბისაგან თავდაღწევის შანსი გაჩნდა, სრულიად ლოგიკურად ჩვენ „მამული“ და „მამულიშვილი“ გაგვახსენდა. „ამხანაგო“ ჩვენში უცხო ძალის, ჩვენი სამშობლოს მიღმა მდებარე მხარეში იყო აღმოცენებული და მერე ჩვენში მათ მიერ დამკვიდრებული. ახლა ეს მიჯნა, რომელიც ჩვენსა და იმ უცხოს შორის რომ არსებობდა, მკაფიოდ უნდა გამოგვეკვეთა. „ამხანაგოს“ ძველებურ შინაარსს ვერ დავუბრუნებდით და სხვა სიტყვა უნდა გვეძია. თუმცა იგი საძებნი არც იყო, მხოლოდ გზა უნდა მიგვეცა მისთვის.

ასე გააერთიანა „მამულიშვილომ“ თავის თავში ყველაზე საწუკვარი მიზანი ერის თვითმყოფადად არსებობისა და განვითარე-

ბისა, მაგრამ მან ასევე უკომპრომისოობის ელფერიც მიიღო: ჩვენი აზრით, ყველაფერი რაც მამულის ინტერესების შესაბამისად არ მიგვაჩნდა, უნდა უკუგვეგდო, თუნდაც რომ იგი სხვა ადამიანების უფლების შემზღუდველი ყოფილიყო.

ასე მოვედით დღემდე.

ჩვენ ისინი — „მამულიშვილობა“ და „მოქალაქეობა“ — ერთმანეთისაგან გავმიჯნეთ. და **ჩვენი ნაკლი სწორედ ესაა: ჩვენ გულმხურვალე მამულიშვილები ვართ**, (ჩვენი აზრით, ვინც არ არის, ისინიც ჩავთვალოთ. ისინიც ხომ თავს ასეთად მიიჩნევენ), **მაგრამ მოქალაქეები კი ვართ?**

ვუფრთხილდებით ჩვენ ჩვენს მოყვასს?

არ ვკადრულობთ იმის მიღებას, რაც არ გვეკუთვნის და არც შეგვესაბამება?

ვცნობთ ჩვენ თანასწორობას ყველა დანარჩენთან?

ვიცავთ საზოგადოებრივი ცხოვრების წესებს?

ჰოდა, ჩვენგან განსხვავებით, ივანე ჯავახიშვილი სწორედ რომ ისეთი მამულიშვილი იყო, რომელიც მოქალაქეობას გულისხმობდა.

მაშ, ვიყოთ კრიტიკულნი და კიდევ კრიტიკულნი ყველაფრის მიმართ. ეს საჭიროა პირველ რიგში საკუთარის მიმართ, რადგან სამართლიანობა მხოლოდ მაშინ ზეიმობს: ერთგვარად უნდა განვიხილავდეთ ორივეს — თვისსაც და სხვასაც. დიდი ვაჟაც ხომ ბრძანებდა:

„ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოთ ჩვენ გზდიან დედანი;
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მიელის ქშენანი.
ამის თქმით ვწარა-მარაობთ,
ღვთიშვილთ უკეთეს იციან.
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიციან?!“

მართალია, ივანეს არ მოუხმია ვაჟას ეს სტრიქონები, მაგრამ არა მგონია მისით აღფრთოვანებული არ ყოფილიყო. ისიც ნიშანდობლივია, ილიას ლექსით რომ დასვა წერტილი.

აქ ერთი დეტალია მნიშვნელოვანი.

თავად იაკობი თავის ნარკვევში იშველიებდა ილიას ლექსს:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

ივანემ ერთგვარი ხერხი იხმარა და იგივე პოეტის სხვა ლექსის სტროფი დაუპირისპირა იაკობის მსჯელობას:

„ჩემზედ ამბობენ, ის სიავეს ქართლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ ჰმალავს — ეს ხომ ცხადი სიძულვილია.
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს
ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“.

თუ იაკობის აზრით „ბედისაგან დაჩაგრულ“ ერებს სიყვარული ანუ „ადვოკატური გამოსარჩლება“ სჭირდება, ივანეს მიხედვით კი ბედისგან დაჩაგრულების ნაკლის გამხელაა სწორედ მათი სიყვარული — თუ ადამიანს ეცოდინება, რატომ დაჩაგრა ბედმა, მისი გამოსასწორებელი გზის მონახვაც გაუადვილდება.

ის მაინც ხომ არაა საკამათო, რაც ივანემ ამით გვითხრა: მე ილიას ვეთანხმებიო.

და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენც, თუ „ბრიყვები“ არა ვართ და „კარგი გული“ გვაქვს, უნდა ვსცნოთ ამ კრიტიკაში „რაოდენი სიყვარულია“.

ჰოდა, თუ ეგ ვცანით, მაშინ ივანეს ნააზრევიც გავჩხრიკოთ კრიტიკულად, თვალდახუჭულად მასაც ნუ გავყვებით, მაგრამ მთავარს ნუ დავივიწყებთ: იაკობი და ნიკო მარი საბაბია, მთავარი ქართველი საზოგადოებაა. მას კი შეძახილი მართლაც სჭირდებოდა.

ეს შეძახილი შემდეგაც დაგვჭირდა (ა. ბაქრაძე, ზ. გამსახურდია) და დღესაც გვჭირდება.

ეს შეძახილი მანამ დაგვჭირდება, სანამ კრიტიკულ აზროვნებას არ დავეჩვევით.

ეს შეძახილი მერეც დაგვჭირდება.

მერეც და ყოველთვის.

რომ არ ჩავსთვლიმოთ და თუნდაც უნებლიედ კვლავ მომხიბლავი ილუზიის ტყვეობაში არ აღმოვჩნდეთ.

„მე საქართველოს ისტორია მაინტერესებდა“

1938 წელია.

ჯანგატეხილი და ათას ჭირვარამგამოვლილი ივანე ჯავახიშვილი მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტის 20 წლისთავის ზეიმს ესწრება.

სიტყვით გამოსვლას სთხოვენ.

ისიც ადის ტრიბუნაზე და მსმენელთ მოუთხრობს უნივერსიტეტის დაარსების პერიპეტიებზე. შემდეგ კი დამოძღვრებით იტყვის: „სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და, ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოებულია ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ვალდებულია სამაგიერო გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილია... როდესაც ამბობენ, რომ ხელშემწყობი გარემოება არ არის და ვერ ვმუშაობთო, უნდა მოგახსენოთ, არ მჯეროდა და არც ეხლა მჯერა; ვისაც საქმე უყვარს, ვისაც სურს მუშაობა, ავადმყოფობის დროსაც იმუშავებს. მე მინახავს ადამიანი, რომელიც მწოლიარე ავადმყოფი იყო და კალამი არ გაუგდია ხელიდან უკანასკნელ წუთამდე. ეს შეგნება უნდა ჰქონდეს იმ პირს, რომელიც გადაწყვეტს — მეცნიერებას შესწიროს მთელი თავისი ძალღონე“.

მართალია, ივანემ ეს სხვათა გასაგონად თქვა, მაგრამ სინამდვილეში უნებლიედ საკუთარი თავი დააახასიათა.

ივანე მეცნიერი იყო და მეცნიერება კი მისთვის იარაღი იყო სამშობლოს სამსახურად. საქართველოს მაშინ ყველაზე მეტად ეს სჭირდებოდა. ივანემ ამ დიდ საქმეს დინჯად და მტკიცედ მოჰკიდა ხელი და დაბრკოლებების მიუხედავად წარმატებით გაუძღვა. გასაკეთებელი კი ბევრი იყო: ერთი ის, რომ თავად ქართული მეცნიერება იყო შესაქმნელ-ჩამოსაყალიბებელი ანუ თითოეული სამეცნიერო დარგი საქართველოში ქართულად უნდა ამეტყველებულიყო და მეორე, უშუალოდ ამ დარგებიდან ზოგიერთზე თავად უნდა ეზრუნა.

პირველი ცალკე საუბრის თემაა, აქ კი მეორეს შევეხოთ.

ივანე ლინგვისტიც იყო და ფილოლოგიც, გარკვეულწილად, ხელოვნებათმცოდნეც და მუსიკათმცოდნეც, არქეოლოგიც და

კულტურის ისტორიკოსიც, პოლიტოლოგიც და გეოგრაფოსიც და ა.შ. მართალია, ამ დარგებში გამოთქმული ბევრი ივანესეული დებულება თუ მოსაზრება კვლავინდებურად აქტუალური შეიძლება არ იყოს, მაგრამ ამ სამეცნიერო დარგების ვერც ერთი წარმომადგენელი მას არაპროფესიონალიზმში ვერ დასდებს ბრალს. პირიქით, თითოეულ ამ დარგში ივანე უზადო განსწავლულობას ამჟღავნებს და გარკვეულწილად, წინ სწევს მათ განვითარებას.

თუმცა პირველ რიგში ივანე ისტორიკოსი იყო. მაგრამ მისი ისტორიკოსობა მხოლოდ ისტორიკოსობა არ იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ მისთვის წარსულის განყენებული კვლევა არ იყო მთავარი, არამედ მას მეტი სურდა.

თუ ჩვენ შორი დისტანციიდან მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მთლიანობაში დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ისტორია მისთვის ერის აწმყოსა და მომავლის სწორად დაგეგმვისა და წარმართვის საფუძველია. დანარჩენი სამეცნიერო დარგები კი ამ ისტორიული პროცესის უკეთ შემეცნებაში ხელშემწყობი.

მივყვეთ თანმიმდევრობით.

1937 წელს ივანე ჯავახიშვილი თბილისიდან ლენინგრადში გაგზავნილ ერთ თავის კერძო წერილში ვარლამ დონდუას უხასიათებს პეტერბურგის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე არსებულ არასახარბიელო ვითარებას და ბოლოს დასკვნის სახით წერს: „ამრიგად, აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე მე არაფრის შესწავლა არ შემეძლო. საქართველოს ისტორია მაშინ (XIX ს. მიწურული, დ.ს.) დ. ბაქრაძის წიგნით უნდა ესწავლა ადამიანს. საბანინის „საქართველოს სამოთხე“, თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ I და II წიგნები, შიომღვიმის ისტორიული საბუთები და ექ. თაყაიშვილის „სამი ისტორიული ქრონიკა“ — აი, ეს იყო მაშინდელი მთელი ავლადიდება. მე საქართველოს ისტორია მაინტერესებდა. ამ დარგში კი არავინ მუშაობდა. ამიტომ უნდა მე თვითონვე მეცადნა გზის გაკაფვა: ისტორიის მეცნიერების რთული მეთოდოლოგია შემესწავლა, ტექსტების კრიტიკული განხილვაც მომეხერხებინა და მოპოვებული შედეგით ჩვენი ერის წარსული — უტყუარი და არა ზღაპრული — სურათის აღდგენა მეცადნა. ამიტომ — ოფიციალურად აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე ჩაწერილი — ყოველთვის, როცა დრო მქონდა, ისტორიულ-ფილოლოგიური და

იურიდიული ფაკულტეტის ლექციებზე დავდიოდი და ვსწავლობდი. ისტორია მე ფართო გაგებით მიტაცებდა და ჩემი მაშინდელი და ეხლანდელი რწმენითაც ისტორიკოსს საფუძვლიანი ფართო განათლება უნდა ჰქონდეს“.

რამდენ რამეს გვეუბნება ეს მცირე ამონარიდი?

ახალგაზრდ, სტუდენტი ივანე ჯავახიშვილი ოფიციალურად პეტერბურგის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე სწავლობს. იგი აქ ევროპულთან ერთად აღმოსავლურ ენებს — სპარსულს, ძველ სომხურს, სირიულს — ეუფლება. მაგრამ მას საქართველოს ისტორია აინტერესებს, რომლის შესწავლის საქმე სასურველისგან ძალზე შორსაა. ამიტომ ივანე ისტორია-ფილოლოგიურ და იურიდიული ფაკულტეტებზე ხშირად ისმენს სხვადახვას ლექციებს.

თუ რატომ არ ჯერდება სტუდენტი ივანე ერთი ფაკულტეტის სავალდებულო ლექციებს, თავადვე გვეუბნება: „ისტორია მე ფართო გაგებით მიტაცებდა და ჩემი მაშინდელი და ეხლანდელი რწმენითაც ისტორიკოსს საფუძვლიანი ფართო განათლება უნდა ჰქონდეს“-ო.

დიახ, ივანეს გადაწყვეტილი აქვს ისტორიკოსი გახდეს, რომელიც ფართო განათლებას მოითხოვს. ის ენერგიას არ იშურებს და თავდაუზოგავად სწავლობს. ყველივე ეს კი მას თავისი სამშობლოს წარსულის ასალაპარაკებლად სჭირდება. ეს წარსული კი ჯერ-ჯერობით ზღაპრულ ბურუსშია გახვეული. საჭიროა ჩენჩოს მოშორება და სინამდვილის გამოაშკარავება. ამისთვის კი „ისტორიის მეცნიერების რთული მეთოდოლოგიის“ შესწავლაა აუცილებელი.

საქართველოს ისტორიაში მაშინ არავინ მუშაობდაო ამბობს ივანე. როგორო, შეიძლება შეიცხადოს ვიღაცამ. მაშ თედო ჟორდანია, დიმიტრი ბაქრაძე და ექვთიმე თაყაიშვილი ისტორიკისები არ იყვნენ?

რა თქმა უნდა, იყვნენ.

მათ ამავე წერილში ივანე ხომ თავადვე ახსენებს და მათ ნაშრომებსაც კი ჩამოთვლის. მათი შრომა დასაფასებელია და ამას ჩვენ ივანეს ვერ ვუსაყვედურებთ. მხოლოდ ისაა, რომ ყოველთვის მოზომილი სიტყვის და საქმის ადამიანი, ახლა ბევრისგან უსამართლოდ ჩაწიხლულია. მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტის

ახალმა მესვეურებმა მისი ღვაწლი აბუჩად აიგდეს და დააკნინეს. ასეთ ვითარებაში გულნატკენ მეცნიერს წამოცდა ის, რასაც სხვა დროს არ იტყოდა. თუმცა რაც თქვა, სიმართლე იყო.

ზემოთ წარმოდგენილი წერილიდან ამონარიდი „შავი“ ვარიანტიდანაა. ხოლო „თეთრში“ ეს ადგილი შემდეგნაირად იკითხება: „ჩემს ნაშრომებს არაერთი ნაკლი აქვს, ეს მე თვითონ სხვებზე უკეთესად ვიცი. მაგრამ მე ისეთ პირობებში მარგუნა ბედმა მოღვაწეობის დაწყება, როდესაც საქართველოს ისტორიის არცერთი სამეცნიერო დარგი არ არსებობდა. მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის, თ. ჟორდანიას, ექ. თაყაიშვილისა და მ. ჯანაშვილის თითო-ოროლა ნაშრომის გარდა, საქართველოს ისტორიაში თითქმის არაფერი იყო და ყველაფერი უნდა ერთ ადამიანს და შეძლებისამებრ მალე უნდა გაეკეთებინა. გზის გაკაფვა ადვილი საქმე არ არის და თვით გამკაფველისათვის უმადურს სამუშაოს წარმოადგენს. ასეთ გარემოებაში, რაც არ უნდა ვცდილიყავ, ჩემი გაკეთებული უნებლიეთ ჰავხელად დაწერილის მსგავსი უნდა დაწერილიყო; მაგრამ თუ ვისმე ჩემზე უკეთესად შეეძლო მთელი ეს სამუშაო აესრულებინა, რატომ არ გააკეთა, მე ხომ არავისთვის დამიშლია?! განა ჩემთვის კი უკეთესი არ იყო, რომ მე დამშვიდებული, აუჩქარებელი კვლევა-ძიების საშუალება მქონოდა. მაგრამ ჩემდა საუბედუროდ შრომისა და მძიმე ტვირთის გამნაწილებელი არავინ მყოლია და მოუცლელობის გამო ისეთ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი, რომ ერთხელ დაწერილის შემოწმებისთვისაც კი დრო არ მქონია და ახლაც, [დღევანდელ კოლეგებს] მე უნდა დავუსახელო წყაროებიც და ცნობებიც მზამზარეულად გადმოვულაგო“.

ამ ვარიანტში ივანემ საქართველოს ისტორიაში მოღვაწე პირთა სია შეავსო და მათ მიმართ გამოთქმული საყვედურიც შეარბილა, მაგრამ სურათი შეიცვალა?

ივანეს აზრით, ის რაც მანამდეა გაკეთებული, ძალიან ცოტაა. უფრო დიდი საქმე რომ გაკეთდეს, საჭიროა ისტორიის რთული მეთოდოლოგიის ათვისება, რომლის საშუალებითაც არსებული საისტორიო წყაროების კრიტიკული დადგენა და მის საფუძველზე საქართველოს ისტორიის არა ზღაპრული, არამედ ნამდვილი სურათის აღდგენა მოხდება. ეს კი ზემომოხმობილ ღვაწლმოსილ პირებს არ გაუკეთებიათ.

აი, ასეთი მიზანი ამოიჭრა გულში სტუდენტმა ივანემ და შესაშური ცოდნაც დააგროვა პეტერბურგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. ბერლინში მას იქვე დარჩენაც შესთავაზეს, მაგრამ მან თავაზიანი უარი განაცხადა. მის მიზანს უცხოეთში დარჩენით სამეცნიერო კარიერის გაკეთება და მისით მოპოვებული კეთილდღეობა არ შეადგენდა.

„ჩემი სამშობლოსგან სხვაგან გადასახლება ჩემი მოღვაწეობის არც გეზსა და არც გეგმას არ შეეფერება“, — წერდა 1937 წელს თბილისიდან ლენინგრადში ვარლამ დონდუას, როცა აკადემიკოსობის მაძიებლებმა იგი ამ წოდების პრეტენდენტად და კონკურენტად მიიჩნიეს.

მანამდე კი, როცა 1921 წ. თბილისი წითელარმიელებმა დაიკავეს, მას ქართველმა პატრიოტებმა შესთავაზეს უცხოეთში გამგზავრებმა. ივანემ უარი განაცხადა. მხოლოდ სამშობლოსადმი უანგარო სამსახური შეადგენდა ივანეს მიზანს და სურვილს.

დიახ, ივანეს ცოდნის დაგროვებაც და მისი გამოყენებაც მხოლოდ სამშობლოსთვის უნდოდა და არა პირადი სამეცნიერო კარიერისათვის.

ამიტომაც თქვა მან უარი ბერლინში დარჩენაზეც.

ივანე დაბრუნდა პეტერბურგში. მალე მას ლექციების კითხვაც მიანდეს. მანამდე კი 2 საცდელი ლექციის წაკითხვა მოსთხოვეს, რაც წარმატებით იქნა შესრულებული.

პირველ ლექციაზე ახალგაზრდა ლექტორმა, რომელიც მაშინ მხოლოდ 26 წლისა იყო, ილაპარაკა იმ დემოკრატიულ მიმართულებაზე, რომელიც საქართველოს ეკლესიაში გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობით განხორციელდა. ამგვარი პრობლემის განხილვა თავისებური სიახლე იყო, რადგანაც ევროპულ და რუსულ მეცნიერებაში აღმოსავლეთი და კერძოდ კი სომხეთი და საქართველო სრულიად შეუსწავლელ სამყაროს წარმოადგენდა. სწორედ შეუსწავლელობაზე დაფუძნებული შეხედულება არსებობდა, რომ თანამედროვე ვითარებაში აღმოსავლეთის ხალხების ჩამორჩენილების მიზეზია მათში მოქმედი ინსტიტუტების განუვითარებლობა, სტაგნაცია. ივანემ კონკრეტული მაგალითით აჩვენა, რომ სოციალური ბრძოლის პროცესი არც აღმოსავლეთში იყო შეჩერებული. კერძოდ, საქართველოშიც ფიქრობდნენ და

იბრძოდნენ კიდევაც ერთხელ ჩამოყალიბებული ინსტიტუტების გაუმჯობესებისთვის და ამის მაგალითად გიორგი მთაწმინდელის მიერ საეკლესიო რეფორმატორული მოღვაწობა მოჰყავდა.

მეორე ლექციაზე კი მკვლევარი კიდევ უფრო შორს წავიდა. მან აუდიტორიას, სადაც მისი მასწავლებლებიც იყვნენ, ფაქტობრივად თავისი სამოღვაწეო პროგრამა წარუდგინა. მან მარტო ევროპოცენტრიზმის უსაფუძვლობა კი არ აჩვენა ან მარტო აღმოსავლეთის სიღრმისეული კვლევის საკითხი კი არ დააყენა, არამედ ეს ყოველივე მიზანმიმართულ საქმიანობად დასახა. მოვუსმინოთ:

„ბატონებო! შესავალ ლექციას ჩვეულებრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხოლმე: იგი თითოეული ახალგაზრდა სწავლულის, რომელიც უნივერსიტეტში ერთ-ერთი კათედრის წარმომადგენლად გამოდის, სამეცნიერო საზოგადო პროგრამის გამომხატველია, ამასთანავე იგი იმ მიმართულების დამახასიათებელია, რომელსაც ადგია თავის სპეციალურ საგანში“.

ასე დაიწყო ივანემ ეს ლექცია. მან თავისი მასწავლებლებისა და ყველა მსმენელის წინაშე ორი საკითხი გამოიტანა:

1. შესავალი ლექციის დანიშნულება, რომ „იგი თითოეული ახალგაზრდა სწავლულის, რომელიც უნივერსიტეტში ერთ-ერთი კათედრის წარმომადგენლად გამოდის, სამეცნიერო საზოგადო პროგრამის გამომხატველია“;
2. ამავე დროს შესავალი ლექცია მკვლევრის „იმ მიმართულების დამახასიათებელია, რომელსაც ადგია თავის სპეციალურ საგანში“.

ყოველივე ეს დიდი ამბიციის გამომჟღავნებელი განცხადებაა.

მას აუცილებლად დასაბუთება სჭირდებოდა და ახალგაზრდა მკვლევარმა და ლექტორმა იგი შესანიშნავად მოახერხა.

ივანე ამბობს, რომ პირველ (შესავალ) ლექციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ლექტორის სამეცნიერო მიმართულებას და პროგრამას გამოხატავს.

მაგრამ რა სურს ახალგაზრდა ლექტორს?

მას სურს თავის სამოღვაწეო ასპარეზად საისტორიო მეცნიერების შემაფერხებელი თეორიის გაბათილება და აღმოსავლეთის ქვეყნების წარსულის გამოკვლევა იმ დონეზე დადგეს, როგორზეც

ევროპული მეცნიერებაა ევროპის ქვეყნების შესწავლასთან დაკავშირებით. ამ მხრივ მისი გულისყური საქართველოსკენაა მიპყრობილი.

ამდენად, ივანემ უკვე გააკეთა თავისი განაცხადი.

ივანემ მსჯელობა ევროპოცენტრიზმის კრიტიკაზე ააგო. ამ თვალთახედვის მიმდევრები აღიარებდნენ, რომ განვითარება და პროგრესი მხოლოდ ევროპაში იყო. სხვა ხალხები და მათ შორის აღმოსავლეთის მკვიდრნი ამ ნიჭს მოკლებულნი იყვნენ. ისინი ისეთივე მსოფლმხედველობით ცხოვრობდნენ, როგორიც უხსოვარი დროიდანვე ჰქონდათ. არავითარი ცვლილება, განვითარება მათ არ განუცდიათ. ამიტომ აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიისა და კულტურის შესწავლა დაბალ დონეზე იყო. მათ არც კი ცნობდნენ მეცნიერების საგნად. ლექტორმა ამის მაგალითიც კი მოიყვანა: გერმანიაში, მეცნიერების ამ დიდ კერაში, ძლივს აღიარეს ბიზანტიოლოგიის არსებობის უფლება. აუდიტორიაში მყოფმა პროფესორებმა ეს უთუოდ იცოდნენ და ასეთ ფაქტებზე დაფუძნებით მსჯელობა დამაჯერებელი გამოდიოდა. ამიტომ ლექტორის განცხადება, რომ „დღესაც ცოტანი როდი არიან ისეთი ისტორიკოსები, რომლებიც აღმოსავლეთის წარსულის შესწავლას მაღლიდან დასცქერიან და ამავე დროს ამგვარ სკეპტიკურ დამოკიდებულება-განწყობილებას აღმოსავლეთის ისტორიის მნიშვნელობის მიმართ მხარს უჭერენ და იზიარებენ“.

სამწუხარო ფაქტი იყო.

შემდეგ ლექტორი შეჩერდა ჰიპოთეზათა მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ ჰიპოთეზა, მეცნიერებას როგორც კეთილ სამსახურს უწევს, ისე ხშირად დამაბრკოლებელადაც ევლინება. ამის მაგალითად დაასახელა ადამიანების რასობრივი სხვაობისადმი ცრუმეცნიერული დამოკიდებულება, თითქოსდა ერთნი შემოქმედებითი ნიჭით არიან აღჭურვილნი და მეორენი კი არა.

„და აი აქ, მოდგმათა განმასხვავებელი ნიშნების გამორკვევისას საოცარი სურათი წარმოგვიდგება, — აღნიშნავდა ივანე, — დადგენილია სხვადასხვა მოდგმისათვის ათვისების, შემოქმედებითი უნარისა და გონებრივი ნიჭის გარკვეული ზღვარი და ზღუდე... გამოდის ხალხთა ბედისწერის წინდაწინვე დადგენის მსგავსი რაღაცა“.

აქედან გამომდინარეობდა შემდეგი დასკვანა: „რაკი ინდოევროპული მოდგმის მეტი ნაწილი ბინადრობს უმთავრესად ევროპაში, ხოლო კაცობრიობის დანარჩენი ჯგუფები მოსახლეობენ აღმოსავლეთში, ამიტომ ამის ძალით აღმოსავლეთის ყველა კულტურის საერთო ნიშნებად ითვლება მეტად თუ ნაკლებად ერთ წერტილზე გაყინვა, კარჩაკეტილობა, წოდებათა და კლასების უქონლობა, წოდებრივისა და კლასობრივი ბრძოლის არქონება, ერთი სიტყვით, სულიერი და სოციალური უძრაობა. ამ აზრს ზოგიერთი აშკარად გამოთქვამს და წერს, სხვანი კი ამას მარტო გულისხმობენ, ოღონდ მათ თხრობაში იგი ცხადად გამოსჭვივის“.

ეს იყო, ფაქტობრივად, გაბატონებული შეხედულება ევროპაში და რუსეთშიც. მართალია, პეტერბურგის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი წარმატებით მუშაობდა, ძველი ირანული თუ სხვა მდიდარი კულტურის მქონე ქვეყნების შესწავლა მიმდინარეობდა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. რაც შეეხება ივანეს გულისტკივილს, რომ საქართველოც ამ ზოგად სქემაში იყო შეყვანილი, ფაქტი იყო. ნიკო მარის წარმატებული მუშაობა სომხურ და ქართულ ფილოლოგიაში ჯერ სასურველ ნაყოფს არ იძლეოდა. ისტორია ჯერ ხელუხლებელ ყამირად რჩებოდა. ამიტომ ახალგაზრდა ლექტორი საკითხს ასე სვამდა: „აღმოსავლურ, აზიურ კულტურათა განსხვავებული ნიშნების მსგავსმა დახასიათებამ ბუნებრივად უნდა აღძრას ეჭვი“. ეჭვის საფუძველი კი შემდეგი გარემოებები უნდა ყოფილიყო:

1. ასეთ დახასიათებებს იძლევიან მაშინ, როცა აღმოსავლეთის შესწავლა მხოლოდ ახლა იწყება და ბევრი რამ შეუსწავლელია და უცნობია;
2. ასეთ დახასიათების ავტორები ყოველთვის არიან არაორიენტალისტები ანუ არაპროფესიონალები;
3. მიუხედავად საკითხის შეუსწავლელობისა, მაინც მოიპოვება რამდენიმე ნაშრომი, სადაც ისეთი ფაქტებია მოყვანილი, რომლებიც ზემოთმოცემულ ჰიპოთეზას ნიადაგს აცლიან.

ამ მსჯელობიდან ივანეს გამოჰყავდა დასკვნა: ორიენტალისტის „ამოცანას სწორედ ის შეადგენს, რათა მან აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია შეისწავლოს ყოველგვარი წინასწარვე აკვიატებულ-აჩემებულ აზრ-შეხედულებათა გარეშე და სავსებით

უეჭველ მონაცემთა მიხედვით, რაც კი მოპოვებულია მეცნიერული კვლევა-ძიების გზით“.

ამის შემდეგ ლექტორი გადადის საქართველოს ისტორიის ფაქტების მოხმობაზე, რომ სწორედ ფაქტების საფუძველზე ეჩვენებინა ზემოთქმულის უსაფუძვლობა.

ასეთი იყო ივანეს საჯარო განაცხადი.

თავისი მიზნის შესრულება კი თანდათანობით განავრცო. ეს მიზანი იყო:

1. კრიტიკულად შესწავლილიყო ყველა საისტორიო წყარო;
2. ერის ისტორია გაწმენდილიყო ზღაპრული, არასანდო ინფორმაციისაგან;
3. უკუგდებულიყო ევროპოცენტრიზმი და საქართველოს ისტორია წარმომდგარიყო მთელი სისრულით;
4. წარსულის ცოდნა საფუძვლად დასდებოდა ერის აღორძინებას.

ეს დიდი გემა იყო და დიდი ძალისხმევაც სჭირდებოდა. ამას არსებული ვითარება და საქმის საჭიროება მოითხოვდა.

ივანე ჯავახიშვილმა ზემოთ წარმოდგენილი წერილის „თეთრ“ ვარიანტში არსებული ვითარება ხომ ასე დაგვიხასიათა:

1. რადგანაც ზემოთხსენებული ავტორების თითო-ოროლა ნაშრომის გარდა „საქართველოს ისტორიაში თითქმის არაფერი იყო“, „ყველაფერი უნდა ერთ ადამიანს“ ანუ ივანე ჯავახიშვილს „შეძლებისამებრ მალე უნდა გაეკეთებინა“;
2. გასაკეთებელი კი ბევრი რამ ყოფილა. არა თუ მაშინ, არამედ ლამის 40 წლის მერეც წყაროების დასახელება და ცნობების მიწოდება კოლეგებისადმი ისევ ივანეს უწევდა. არადა ამ 40 წლის წინ, როცა ივანე მოღვაწეობას იწყებდა, მაშინ „საქართველოს ისტორიის არც ერთი სამეცნიერო დარგი არ არსებობდა“. სწორედ ეს დარგები იყო ჩამოსაყალიბებელი და ამ დარგებში პირველი ხნული გასავლები. ეს კი ძალიან რთული საქმეა, რადგანაც „გზის გაკაფვა ადვილი საქმე არ არის და თვით გამკაფველისათვის უმადურს სამუშაოს წარმოადგენს“.

ეს სიტყვები უსამართლო მოპყრობით გულნატკენი ადამიანის აღსარება კია, მაგრამ ზედმიწევნით სწორია.

ივანე ჯავახიშვილამდე ჯერ არავის მოსვლია აზრად ისტორიის მეთოდოლოგია კარგად შეესწავლა და ყველა წყაროს ბრმად არ მინდობოდა. სწორედ ივანემ დაამკვიდრა წყაროების კრიტიკული განხილვის აუცილებლობა და მხოლოდ მათი სანდოობის დადგენის შემდეგ დაუშვა საისტორიო ნაშრომში გამოყენების შესაძლებლობა. მართალია, ამ გზაზე გადაჭარბებული პოზიციის დაკავებაც მოუხდა და ზოგიერთი ქართული საისტორიო ძეგლი ყურადღების მიღმაც დარჩა (მაგ., ლეონტი მროველი), მაგრამ ეს ყველაფერი დეტალია, რომელისგანაც არც ერთი მკვლევარი არაა დაზღვეული. რაც შეეხება თავად მეთოდს, რომ წყარო კრიტიკულად უნდა იყოს დადგენილი, ეჭვს და განხილვას არ ექვემდებარება.

ივანე სხვა მრავალ დამსახურებასთან ერთად კრიტიკულ დამოკიდებულებას უქებდა დიდ ვახუშტი ბატონიშვილს: „ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველმა მან შეჰქმნა მძლავრი კრიტიკული მიმართულება. წყაროებისადმი წინანდელ სრულ და განუსაზღვრელ ნდობის მაგიერ, იგი გაბედულად მათ კრიტიკულს განხილვას შეუდგა, მათი სხვადასხვაგვარი ნაკლულევანება გამოააშკარავა და შეძლებისდაგვარად შეასწორა“.

გარდა ამისა, სწორედ ივანე ჯავახიშვილმა შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში ისეთი წერილობითი ძეგლები, რომლებიც უხვად შეიცავდნენ ძვირფას საისტორიო მონაცემებს, მაგრამ მანამდე არც არავინ თვლიდა მათ საჭიროდ. ასეთი იყო მდიდარი ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ძეგლები.

წერილში ივანე საქართველოს ისტორიის სამეცნიერო დარგების არარსებობაზე საუბროს.

ასეც იყო და მხოლოდ მის მიერ იქნა დაფუძნებული ეს დარგები. მე მხოლოდ ჩამოვთვლი:

1. საქართველოს ისტორიას ახალი მასალები რომ შემატებოდა, საჭირო იყო ქართული დამწერლობის წარმოშობის, ძველი ქართული თხრობითი წერილობითი ძეგლებისა და ეკლესია-მონასტრებზე გაკეთებული წარწერების გამოკვლევა. ეს ნიშნავდა: თარიღის დადგენას, ნაკლული ადგილების აღდგენას, ბუნდოვანების გარჩევას, ავთენტურობის გარკვევასა და სხვა. ყოველივე ეს საისტორიო მეცნიერებასთან

მჭიდროდ დაკავშირებული სპეციალური ფილოლოგიური დისციპლინის სფეროა, რომელსაც პალეოგრაფია ეწოდება. ამ საკითხზე პირველი ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, სწორედ ივანე ჯავახიშვილმა შექმნა და მას უწოდა „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“;

2. საისტორიო ძეგლები სავსეა ხოლმე სხვადასხვა სახის ცნობებით, რომლებიც აღნიშნავენ ამა თუ იმ ეპოქაში მოქმედ წონის, სიგრძის, ზომის თუ სხვა რიგის ერთეულებს. ისინი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ოდენობისა არ არიან. ამიტომ მკვლევარს რომ შეცდომა არ მოუვიდეს, უნდა იცოდეს, მოცემულ ეპოქაში წონის ერთეულს რა ერქვა და რამდენს უდრიდა. ასევე სიგრძის, მანძილის საზომად რა გამოიყენებოდა, სითხის საწყაოდ რა იხმარებოდა და სხვა. ამით შესაძლებელია დადგინდეს ეპოქის სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობის სურათი. თუმცა ეს სურათი სრული ვერ იქნება თუკი აქვე არ გვეცოდინება მიმოქცევაში მყოფი ფულადი ერთეულის შესახებ. კერძოდ, რა ჰქვია ფულად ერთეულს, ვის მიერაა მოჭრილი, რა პერიოდში გამოიყენება, როგორია მისი კურსი სხვადასხვა დროს და ა. შ.

ეს საკითხიც პირველმა ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია და ნაშრომს უწოდა „ქართული საფას-საზომმცოდნეობა ანუ მეტროლოგია-ნუმიზმატიკა“.

3. თითოეული ერის ცხოვრება დაკავშირებულია გარკვეული სახის სამართლებრივ კულტურასთან ანუ სამართლებრივად მოწესრიგებული ნორმების გარეშე რომელიმე სახელმწიფოში ადამიანების გვერდიგვერდ ცხოვრება შეუძლებელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების პირობებში ადამიანები ქმნიან სხვადასხვა სახის წერილობით დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს. ძველ საქართველოში ქალის გათხოვებისას თან გარკვეულ ქონებას აყოლებდნენ და ამ ქონებას წერილობით აღრიცხავდნენ. წერილობით გაფორმებულ ასეთ დოკუმენტს „მზითვის წიგნს“ ეძახდნენ. მაგრამ ასევე არსებობდა „ფიცის წიგნი“, „ნასყიდობის წიგნი“ და

სხვა. გარდა ამისა, სასამართლო განჩინების დოკუმენტებიც დგებოდა და ბევრი სხვა სახის მასალაც. ყოველივე ამგვარ მასალას შედგენის თავისი წესები ჰქონდა, თუმცა დიდი დროის გასვლის გამო მკვლევრებს მათი დადგენა ხელახლა უხდებათ. არადა ისინი ძვირფას ცნობებს შეიცავს ერის ისტორიის სხვადასახვა ასპექტის გასაშუქებლად. ივანე ჯავახიშვილს არც ეს სფერო დარჩენია ყურადღების მიღმა და მას მიუძღვნა ნაშრომი „ქართული სიგელმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“.

4. დღეს არსებული გარკვეული სახის დოკუმენტები მხოლოდ მაშინ იძენენ ძალას, თუკი ისინი სათანადო ბეჭდით არიან დამოწმებული. ასე იყო ძველ დროშიც. ქაღალდის საბუთებზე ბეჭედს უსვამდნენ, ხოლო გრაგნილებს ზონრებით კრავდნენ და მათ ბეჭდებს დაბეჭდილად შეაბამდნენ ხოლმე. ამ საკითხის გამორკვევა სათანადო მეცნიერების სფრაგისტიკის ანუ ბეჭედთმცოდნეობის ამოცანაა. ივანე ჯავახიშვილს ამ საგანზეც ჰქონდა დაწყებული მუშაობა, თუმცა სათანადო წიგნის სახით მისი განხორციელება ვერ შეძლო.
5. მაგრამ განა ქართული წყაროები იყო საკმარისი საქართველოს სიტორიის გასაშუქებლად? სპარსული, არაბული, თურქული, ბერძნულ-ბიზანტიური და სომხური წყაროებიც მთლიანად უნდა შემოსულიყო ჩვენი ერის წარსულის გარკვევაში. ეს ასეც მოხდა მომავალში: ივანეს მოწაფეებმა ამ მხრივ უსაზღვროდ გააფართოვეს თვალსაწიერი, მაგრამ თავად ივანემაც თავისი განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ამ საქმეს. მან საგანგებოდ შეისწავლა სომხური საისტორიო მწერლობა და წიგნადაც გამოაქვეყნა. ამით მან ქართულ არმენისტიკასაც დაუდო სათავე. მეტიც ეწადა, ანალოგიური შრომა ჰქონდა ჩაფიქრებული სპარსული და ბერძნულ-ბიზანტიური მწერლობის შესახებ. ამისთვის კი დრო არ ეყო.

როგორც თავად ივანეს ზემოთ მოხმობილი წერილიდან ჩანს, მას მშვიდი კვლევა-ძიების დრო არასდროს ჰქონია. ამიტომ ჯერ რომ საისტორიო დისციპლინები ჩამოეყალიბებინა, წყაროები კრიტიკულად შეეფასებინა და მხოლოდ შემდეგ დაეწყო საისტორიო გამოკვლევის წერა, ვერც ვერაფერს შექმნიდა. უბრალოდ

დრო არ ეყოფოდა. ამიტომ იგი ყველაფერს ერთმანეთის პარალელურად აკეთებდა. ამიტომაც წუხს „ჩემს ნაშრომებს არაერთი ნაკლი აქვს“-ო. თუმცა ეს ნაკლი ოდნავადაც ვერ ჩრდილავს იმ დიდი შენობის მონუმენტურობას, რომელიც ავტორმა ააგო.

ეს შენობა კი იმ გეგმაში ჩანს, რომელიც დიდმა ივანემ თავისთვის ჩამოაყალიბა და რომელიც გარკვეულწილად განახორციელა კიდევაც.

ისტორიკოსმა მამია დუმბაძემ ივანე ჯავახიშვილის მუშაობის დახასიათებისას აღნიშნა, რომ იგი ტოტალურად სწავლობდაო საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებს. ეს ერთი სიტყვა „ტოტალური“ მართლაც ზუსტად და ზედმიწევნით ახასიათებს ივანეს გარჯას. მას თითქმის არ დარჩენია ყურადღების მიღმა რომელიმე საკითხი.

თუ ჩვენ მის ნაშრომებს **ყველას ერთად ყურადღებით გადავიკითხავთ** და **არ ჩავიკარგებით** დიდი მეცნიერის მიერ მოხმობილ ზღვა მასალაში, ამ დიდ გეგმას აღმოვაჩენთ. აქვე იმასაც ვნახავთ, თუ რა დეტალები აკლია ამ შენობას: ერთი მხრივ, რომელიც ჩაუფიქრებია, მაგრამ ვერ მოუსწრია და მეორე მხრივ, რა დაუწყია, მაგრამ დაუსრულებლად დარჩენია ავტორს.

ყოველივე ეს ამ დიადი შენობის არსებობაში დაგვარწმუნებს.

რატომღაც ივანე ჯავახიშვილის მთავარ ნაშრომად „ქართველი ერის ისტორია“ ითვლება. ასე მოიხსენიებს მას გრიგოლ რობაქიძე. სერგო ჯორბენაძე მას „უკვდავ წიგნს“ ეძახის, ხოლო პაატა გუგუშვილი „უმთავრეს თხზულებად“ მოიხსენიებს.

ამგვარი გამონათქვამები ეპითეტად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაში ძნელია რომელიმეს მეორეხარისხოვანი ნაშრომი უწოდო. ამ ეპითეტით მხოლოდ ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ მეცნიერი თავისი მშობელი ხალხის ისტორიას სწავლობს და მასში აისახება ყველა ის კვლევა, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით წარიმართება. ეს იქნება ხელოვნება, სამართალი, ეკონომიკა თუ სხვა რამ. ხოლო, როგორც სათაური გვეუბნება, — „ქართველი ერის ისტორია“ — თავის თავში აერთიანებს ერის ცხოვრების ძირითად ბირთვს.

ამ შრომის შესახებ თავად ავტორი აღნიშნავდა: წინამდებარე თხზულება „მე ჩემს ჯერედ გამოუქვეყნებელ მონოგრაფიულ

გამოკვლევაზე“ მაქვსო დამყარებული. ამათგან „ორი მონოგრაფიული გამოკვლევა — საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“, „საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I“ უკვე დაბეჭდილი მაქვს, მესამე „ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I“ დამთავრებული და დასაბეჭდავად დამზადებულია“-ო.

ამდენად, ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, რომელიც ძირითადად ქართველების პოლიტიკურ თავგადასავალს გადმოსცემს, ემყარება ივანე ჯავახიშვილისავე სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილ გამოკვლევებს, რომლებიც, მართალია დაწერილი აქვს ავტორს, მაგრამ ჯერ ყველა გამოქვეყნებული არ არის.

თავად „ქართველი ერის ისტორია“ ავტორს მრავალწიგნეულად აქვს ჩაფიქრებული. 1908 წელს, როცა ამ სერიის პირველი წიგნი გამოქვეყნდა, ავტორი აღნიშნავდა: „ისტორია ოთხ წიგნდა მაქვს განზრახული: პირველი წიგნი უძველეს ხანას შეიცავს ვიდრე VII საუკუნის პირველ ნახევრამდე, ანუ არაბების ბატონობამდე; მეორე — VII-XIII საუკუნეები, მესამე — XIII-XV საუკუნეები, მეოთხე — XVI-XVIII საუკუნის დასასრულამდე“.

მაგრამ ამ სერიის ცალკეულ წიგნებზე გაღრმავებულმა მუშაობამ დიდძალი მასალა დააგროვა, რამაც ოთხწიგნეული ხუთწიგნეულად აქცია. ამის შესახებ თავადვე აღნიშნავდა: „ქართველი ერის ისტორიის წერას რომ შევუდექი, მთელი შრომა ოთხ წიგნად მქონდა ნავარაუდევი, მაგრამ შემდეგ ჩემთვის ცხადი გახდა, რომ მეცამეტე საუკუნიდან მოყოლებული ჩვენი სამშობლოსა და ერის თავგადასავლის უტყუარი სურათის აღდგენა წყაროების მეტად დიდ კრიტიკულ განხილვას მოითხოვდა და ოთხი წიგნი ამის გამო საკმარისი არ იქნებოდა... გადავწყვიტე XIII-XIV საუკუნეებისათვის ცალკე წიგნი მეძღვნა. ამგვარად, უფრო მიზანშეწონილად ვცანი ეს ხანა მესამე ტომად გამომეყო, XV-XVI სს. კი მეოთხე წიგნად მექცია, რომ XVII-XVIII სს. ამბები მეხუთე წიგნში ყოფილიყო მოქცეული“.

1916 წელს გამოდის ქართული საისტორიო წყაროებისადმი მიძღვნილი ნაშრომი. მასში კრიტიკულადაა განხილული და შეფასებული ყველა ქართული თხრობითი წყარო, რომელიც კი იმ დროს მოგვეპოვებოდა. ამ ნაშრომის სათაურია „ძველ ქართული საისტორიო მწერლობა“. მაგრამ იგი მხოლოდ ერთი წიგნია მთელ სერიად

ჩაფიქრებული შრომისა, რომელსაც უპრეცედენტო სათაური აქვს. ესაა „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“.

თავს ვერ დავდებ, სადმე, რომელიმე ქვეყანაში, არის თუ არა ამ სათაურის მსგავსი მქონე ნაშრომი გამოცემული, მაგრამ იმას კი ვიტყვი, ამგვარი რამ არც წამიკითხავს და არც ვინმესგან მსმენია. რომც იყოს სადმე ანალოგი, საქართველოსათვის ხომ მაინც უპრეცედენტოა. მთავარი ის კი არაა, მანამდე და არც შემდეგ, რომ არავის დაუწერია ამ სთაურით შრომა, არამედ ის, თუ რა მიზანი ჰქონდა ავტორს. ნაწილობრივ ამას შრომის სათაური გვეუბნება, ნაწილობრივ კი თავად ავტორი ამბობს წიგნის წინასიტყვაში.

სათაური გვამცნობს: ივანე ჯავახიშვილის ამოცანაა მკითხველს მოუთხროს საისტორიო მეცნიერებასთან დაკავშირებით სამი უმთავრესი საკითხის შესახებ:

1. საისტორიო მეცნიერება თუ რას ისახავდა აქამდე მიზნად და ამჟამად რას მიელტვის?
2. საისტორიო მეცნიერება რა წყაროებს ეფუძნებოდა და ახლაც რას ემყარება?
3. მეცნიერებად ჩამოყალიბების მერე საისტორიო მეცნიერება რა მეთოდებს მოიხმობდა და ამჟამადაც რას იყენებს?

წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „წინამდებარე თხზულება „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“, რომლის პირველი წიგნი ძველ ქართულ საისტორიო მწერლობის მიმოხილვას შეეხება, სამ წიგნად არის განზრახული და საისტორიო მეცნიერების შესავლადაა განკუთვნილი. ეს პირველი წიგნი მის ავტორს ამასთანავე „ქართველი ერის ისტორიის“ შესავლადაც მიაჩნია“.

მოდით, შევწყვიტოთ ციტირება და უკვე მოცემულ ამონარიდს დავაკვირდეთ. ირკვევა, რომ ის წიგნი, რომელიც ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მიმოხილვას წარმოადგენს, ორმაგი დანიშნულებისაა: იგი ერთი მხრივ, ნაშრომთა სერიის „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“ შემადგენელი ერთი წიგნია და, მეორე მხრივ, აგრეთვე „ქართველი ერის ისტორიის“ შესავლადაც მიიჩნევა. ასე რომ, ივანეს აზრით, „ქართველი ერის ისტორიას“ წინ შესავალი წიგნიც უნდა ვიგულისხმოთ. აქ კიდევ სხვა რამეცაა ნათქვამი: თავად ეს შრომა„ისტორიის

მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“ არის სამ წიგნად ჩაფიქრებული სერია და იგი საერთოდ „საისტორიო მეცნიერების შესავლადაა განკუთვნილი“.

გამოდის, რომ მეცნიერის მთავარ შრომად მიჩნეულ თხზულებათა სერიას „ქართველი ერის ისტორიას“ (ხუთწიგნეულს) წინ კიდევ ნაშრომთა ორი სერია უძღვის. ერთია „ქართველი ერის ისტორიის“ შესავალი და მეორე საერთოდ საისტორიო მეცნიერებათა შესავალი. ამ უკანასკნელს კი აქვს თავისი მრავლისმეტყველი სათაური: „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“.

„ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“-ს პირველი წიგნი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ სახით ავტორმა უკვე წარმოუდგინა მკითხველს. ახლა მომავალ განზრახვაზე გვაწვდის ცნობას: „მეორე წიგნი ორნაწილედი იქნება. პირველს ნაწილში საქართველოს და ქართველთა ისტორიის დანარჩენი წყაროები იქმნება განხილული, ხოლო მეორე ნაწილში კი უცხოეთის საისტორიო მწერლობის განვითარების მიმოხილვა მოთავსდება. ამ მიმოხილვაში ჩვენი მეზობლების ბერძენ-ბიზანტიელთა, სომეხთა და სპარსთა საისტორიო მწერლობის განხილვას განსაკუთრებული ადგილი ექმნება დათმობილი“.

გამოდის რომ, „ძველი ქართული მწერლობას“ მეორე წიგნად გვერდში ამოუდგებოდა ნაშრომი, სადაც „ქართველთა ისტორიის დანარჩენი წყაროები“ იქნებოდა განხილული. სამწუხაროდ, ამ ნაშრომის შექმნა მეცნიერმა ვერ შეძლო. ამავე წიგნის სხვა ნაწილებში კი უცხოური საისტორიო მწერლობის განხილვა ყოფილა ნავარაუდევი, კერძოდ კი ბერძენ-ბიზანტიელთა, სპარსთა და სომეხთა მაგალითზე. მეცნიერმა თავისი განძრახვა ამ ნაწილში ნაწილობრივ მოახერხა: დაწერა და გამოსცა მხოლოდ „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“.

მაგრამ ნაშრომთა ეს სერია კიდევ სხვა შრომებით უნდა ყოფილიყო შევსებული. „მესამე წიგნში გამორკვეული იქმნება „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“ თანამედროვე მეცნიერებისდა მიხედვით“-ო, გვპირდებოდა მეცნიერი. ეს ნაწილი სრულად ვერა, მაგრამ საკმაო მოცულობით დამუშავებულიქნა და გამოქვეყნდა ნაშრომები:

1. ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია;
2. ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია;
3. ქართული სიგელმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა.

მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა ეს დიდი სერია. იგი სხვადასხვა თეორიული საკითხის, როგორიცაა სახელმწიფოს წარმოშობის ან დაცემის გამომწვევი კანონზომიერებები, ერის კულტურული აღორძინებისა თუ დაქვეითების პირობები და სხვა, განხილვას ცალკე განმაზოგადებელ წიგნში აპირებდა. ამის შესახებ ერთგან მიგვითითა კიდევაც: ამგვარი ზოგადი მოვლენები რადგან „ისტორიის ფილოსოფიის საკითხია, მით უმეტეს, რომ ჩემი „ისტორიის მიზანი“-ს მესამე წიგნში, საქართველოს, სომხეთის, სპარსეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაზე დამყარებულ დაკვირვებათა გათვალისწინებით, ისტორიის ფილოსოფიის ყველა საკითხების საგანგებოდ განხილვას ვფიქრობ“.

მეცნიერი გვპირდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენთვის ვერც ამ შრომის დატოვება შეძლო.

ეს ყველაფერი საერთოდ, ზოგადად საისტორიო მეცნიერების შესავლის ნაწილებია. ახლა ორიოდე სიტყვით შევეხოთ უშუალოდ ქართველი ერის ისტორიის შესავალს.

1937 წელს გამოვიდა ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფია „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“. ამ ნაშრომის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავდა:

„წინამდებარე გამოკვლევა მეორე წიგნია იმ წიგნთა სამეულად განზრახულისა და დაწერილისაგან, რომელშიც ქართველთა უუძველესი ხანის ენისა და კულტურის მთავარი საკითხები უნდა იყოს განხილულ-გაშუქებული. ამ სამეულის პირველი წიგნი საქართველოს, იმიერ-ამიერ-კავკასია და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიურ პრობლემებს ეხება. მეორე, წინამდებარე, წიგნის ამოცანას ქართულ-ქართველური და ე.წ. კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების, აგებულებისა და ნათესაობის საკითხის გამორკვევა შეადგენს. აქ მაშასადამე, პრობლემის ენათმეცნიერული თვალსაზრისით განხილვისა და გადაჭრის ცდაა. მესამე წიგნში ქართველთა და კავკასიელთა უუძველესი ხანის კულტურული ვითარებისა და ისტორიის ზო-

გადი მონახაზი იქმნება წარმოდგენილი ენისა, ზნე-ჩვეულებათა ანალიზისა და ნივთიერი კულტურის არქეოლოგიური ძეგლების მარაგის მიხედვით“.

საიდან ვიცით, რომ მეცნიერს ეს სამწიგნეული ქართველი ერის ისტორიის შესავალ წიგნებადა ჰქონდა განსაზღვრული?

ჯერ ერთი, ამ სამწიგნეულის მეორე წიგნის მეცნიერის სიცოცხლეში განხორციელებულ გამოცემაში – 1937 წ. — სატიტულო გვერდზეა მოცემული ამგვარი მითითება. მეორეც, იმავე წელს ივანე ლენინგრადში მყოფ ვ. დონდუას წერს:

„სწორედ ეხლა იბეჭდება ჩემი „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“-ს მეორე წიგნი, რომელზეც 12 წელიწადზე მეტია რომ გამოქვეყნებაზე ვოცნებობდი... თუ ჩემი იმედი გამართლდა, მაშინ ამას მოჰყვება პირველი და მესამე წიგნები. პირველში საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემებია განხილული, მესამეში უძველესი კულტურის აღდგენის ცდაა ლინგვისტური და არქეოლოგიური ანალიზის გზით“.

„ქართველი ერის ისტორიის“ შესავლის წიგნეულების შექმნის ამოცანა იმ საკითხების გამორკვევის აუცილებლობამ დააყენა, რომლის გარეშეც უშუალოდ ვერ დაიწერებოდა თავად ქართველი ერის ისტორია. ხოლო ამ მასალების „ქართველი ერის ისტორიაში“ შეტანა შეუძლებელი იყო მისი მოცულობისა და საკვლევი თემატიკის მრავალფეროვნების გამოც. ამ წიგნებში უშუალოდ ქართველი ერის თავგადასავალზე კი არ არის საუბარი, არამედ ქართველთა წინაპრებზე და იმ ვითარებაზე, რომელმაც ასპარეზზე გამოსასვლელად ქართველ ერს ნიადაგი მოუმზადა.

ივანე ჯავახიშვილი ყოველთვის ცდილობდა კონკრეტული ფაქტების მიღმა მისი გამომწვევი მიზეზები დაენახა. თუმცა წყაროთა შეუსწავლელობისა და საერთოდ ქართული ისტორიოგრაფიის ჯეროვანი განუვითარებლობის გამო ეს გაძნელებული იყო. იგი წუხდა: „ადვილად წასაკითხი და ლამაზი დასაბუთებული თეორიებისა და დებულების წამოყენებას, ვფიქრობ, რომ ყოველმხრივ დასაბუთებული ისტორიის წერა სჯობია. მეცნიერ ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს ის ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აწევს და რომელიც მას ავალებს თავისი დაუსა-

ბუთებელი ჰიპოთეზები ისტორიის სინამდვილედ არ წარმოადგინოს. საქართველოს ისტორიის მეცნიერულ, კრიტიკულ შესწავლას ჯერ იმ დონემდე არ მიუღწევია, რა დონეზედაც ძველი საბერძნეთისა, რომისა და დასავლეთ ევროპის ისტორია იმყოფება, რომ ისტორიკოსმა ძირითადი ფაქტების უცილობლობის წყალობით თითქმის სრულებით დაუსაბუთებლად სწეროს და მარტო ზოგადი პრობლემების განხილვით იყოს გატაცებული".

ამდენად, ახლა ჩვენ შეგვიძლია დიდი ივანეს მიერ აგებული საისტორიო შენობის კონტურებს შევავლოთ თვალი:

სერია I.

საისტორიო მეცნიერების შესავალი

„ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა"

წიგნი I. „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა";

წიგნი II. ნაწილი I. დანარჩენი ქართული წყაროები (ვერ მოასწრო);

ნაწილი II. ნაკვეთი I. „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა".

ნაკვეთი II. ძველი სპარსული საისტორიო მწერლობა (ვერ მოასწრო);

ნაკვეთი III. ბერძენ-ბიზანტიელთა საისტორიო მწერლობა (ვერ მოასწრო);

წიგნი III. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები თანამედროვე მეცნიერების მიხედვით:

ნაწილი I. ისტორიის დამხმარე სამეცნიერო დარგები;

ნაკვეთი I. „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია";

ნაკვეთი II. „ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია";

ნაკვეთი III. „ქართული სიგელმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა";

ნაკვეთი IV. ქართული ბეჭედთმცოდნეობა ანუ სფრაგისტიკა (ვერ მოასწრო);

ნაწილი II. ისტორიის ფილოსოფია (ვერ მოასწრო).

სერია II.

ქართველი ერის ისტორიის შესავალი

წიგნი I. „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“ (დამუშავებულია ნაწილობრივ);

წიგნი II. „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“;

წიგნი III. „ქართველთა და კავკასიელთა უძველესი ხანის კულტურული ვითარება (დამუშავებულია ნაწილობრივ)“.

სერია III.

„ქართველი ერის ისტორია“

წიგნი I. (უძველესი ხანიდან VII ს-ის I ნახევრამდე ანუ არაბების ბატონობამდე);

წიგნი II. (VII ს. II ნახევარი — XIII ს-მდე);

წიგნი III. (XIII-XIV სს.);

წიგნი IV. (XV-XVI სს.);

წიგნი V. (XVII-XVIII სს.).

სერია IV.

თემატური მონოგრაფიები

1. ქართული სამართლის ისტორია. სამ წიგნად;
2. საქართველოს ეკონომიური ისტორია. ორ ტომად;
3. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული;
4. ქართული მუსიკის ძირითადი საკითხები

ყოველივე ამას დავამატოთ მისი რედაქტორობით მომზადებული მასალები, რომლებიც მოცულობით ნაკლები არაა. დავასახელოთ თუნდაც შინამრეწველობის მასალები.

1935 წელს ივანეს თაოსნობით სარეწაო კავშირმა გამოყო ფული საქართველოში შინამრეწველობის მასალების შეგროვებისათვის. მასალათა შეკრებისათვის ივანე ჯავახიშვილმა შეადგინა გეგმა და კითხვარი, რითაც შეიარაღებული 26 პირი მთელს

საქართველოს მოედო. ივანეს წარგზავნილებმა მთელი ზაფხულის მანძილზე იმუშავეს და შინ მეტად ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ. ივანე სიხარულს ვერ მალავს. აი როგორ აუწერს ამ მოვლენას იგი ვარლამ დონდუას:

„დღედაღამ ვმუშაობ, მაგრამ მაინც ვერ ვერევი. საქართველოს შინამრეწველობის და ხელოსნობის ისტორიისათვის მასალებს რომ ჰკრებდნენ ამ ზაფხულს მთელ საქართველოში, საუცხოო ცნობები, დიდძალი ტერმინები ყოველი დარგისათვის და სურათები და ჩანახატები შეგროვდა. ჩემი დაბეჭდილი გეგმა 26 კაცმა მთლიანად შეასრულა, და არამცთუ იმედი არ გამტყუნებია, მოლოდინსაც კი გადააჭარბა. თავმოყრილია ისეთი მასალა, ურომლისოდაც მომავალში ვერც კულტურის ისტორიკოსი, ვერც ენათმეცნიერი და ვერც ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მომუშავე ვერას გააკეთებს. მოხარული ვარ, რომ ის საშვილიშვილო საქმე, რომელიც უნდა გაკეთებულიყო და რომელზედაც ყოველთვის ვოცნებობდი, ბოლოს მაინც განხორციელდა“.

მან მთელი არსებით იღვაწა, რომ საქართველოს ისტორიაც ისეთივე გამართული ყოფილიყო, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა. ეს მონუმენტური შენობაც ამ ამოცანას ემსახურება. შევხედოთ:

პირველი სერია, რომელიც საერთოდ საისტორიო მეცნიერების უზოგადეს საკითხებს არკვევს, არის მთელი შენობის საფუძველი. მას ემყარება მეორე სერია, რომელიც უკვე ქართველი ერის ისტორიის შესავალს წარმოადგენს და არკვევს ჩვენი ერის შორეული წინაპრების უძველეს ბინადრობას, ნათესაობასა და კულტურულ საფუძვლებს. ყველაფერი ეს საფუძველს უმზადებს მესამე სერიას, რომელიც უშუალოდ ქართველი ერის თავგადასავალს შეადგენს. რაც შეეხება მეოთხე სერიას, იგი ცალკეული მონოგრაფიებისაგან შედგება, რომელიც ქართველი ერის ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს უფრო დეტალურად არკვევს და კვლავ მისი თავგადასავლის უკეთ გადმოცემას ემსახურება.

ამდენად, რადგანაც ივანე ჯავახისვილის მთელ სამეცნიერო მემკვიდრეობას ნაგებობას ვადარებთ, თვალსაჩინოებისათვის იგი ასე წარმოიდგინება:

I სერია — ნაგებობის ფუნდამენტი;

II სერია — ნაგებობის საძირკველი;

III სერია — უშუალოდ ნაგებობა;

IV სერია — ნაგებობის სხვადასხვა არქიტექტურული დეტალი (ფანჯრები, კარები, მხატვრული მორთულობა და ა. შ.).

არ ვიცი, როგორ მოვახერხე ყოველივეს წარმოდგენა, მაგრამ ეს ნაგებობა უდავოდ შთამბეჭდავია. აქ უდავოდ უნდა დავესესხო დავით აღმაშენებლის შესანიშნავ ისტორიკოსს, რომელმაც ალექსანდრე მაკედონელს ათქმევინა: „არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებარსა ომიროსს“-ო.

საკითხავია, თუ როგორ მოახერხა ავადმყოფმა ადამიანმა, რომელმაც მხოლოდ და მხოლოდ 64 წელი იარსება, ამდენის გაკეთება?

როგორც ზემოთ მოცემული მიმოხილვიდან ჩანს, ივანემ თავისი ჩანაფიქრის მთლიანად განხორციელება ვერ შეძლო. მაგრამ მისი განზრახვის მონუმენტურობა თვალნათელია. **ივანეს შრომები ერთიანობაშია დასანახი და არა ცალ-ცალკე. ივანეს მემკვიდრეობა ამ შრომების ჯამი არაა, როგორც რომელიმე შენობა არაა გარკვეული რაოდენობის აგურების ერთობლიობა.** როგორც შენობაა აგურებისა და სხვა სამშენებლო მასალების გარკვეული წესრიგით შექმნილი კომბინაცია, რომლითაც განსხვავდება იგი სხვა დანარჩენთაგან, ასევეა ივანეს მემკვიდრეობის შემთხვევაშიც.

ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული ცალკეული სამეცნიერო დებულებებით მის ფენომენზე ვერ ვისაუბრებთ. ეს მხოლოდ მეცნიერის სრული სახით დანახვითაა შესაძლებელი, სადაც თითოეულ კომპონენტს თავისი ადგილის, თავისთავადი ღირებულების გარდა, სხვა დანარჩენებთან მიმართება და ერთად დანახვაა მნიშვნელოვანი.

ივანე ჯავახიშვილისთვის სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობა, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, მიგრაცია თუ სხვა რამ ცალკე განყენებული თემა არ არის, არამედ მათი კვლევა ერის კეთილდღეობისა და სახელმწიფოებრივად არსებობის საფუძველია. ამიტომ ყველა ეს საკითხი ერთ პრიზმაში გარდატყდება და ერთ ამოცანისკენ მიიმართება. აი, აქ მჟღავნდება ივანე ჯავახიშვილის ადრეულ ასაკში დასახული მიზნის მასშტაბიც და არსიც: წარსულის გამოცდილებაზე დაფუძნებით მყოობადის გაუმჯობესება და აწმყოსთვის ზრუნვა. აი, ასე ესმის მას ისტორია:

ცალკეული დეტალების გამოკვლევით უზოგადეს კანონზომიერებამდე მისვლა. მისთვის **მთავარი ის კი არ იყო დადგენა,** თუ როდის გარდაიცვალა თამარი, ან როგორ იმოსებოდნენ ქართველები წარსულში ან კიდევ სად ითესებოდა ფეტვი და ბამბა, არამედ **რაში მდგომარეობდა** სამხედრო-პოლიტიკური, სამეურნეო-ეკონომიკური, ბუნებრივ-სოციალური და კულტურულ-იდეოლოგიური სხვადასხვა ასპექტით შექმნილი ერთობის (ქართველი ერის) და ინსტიტუტის (ქართული სახელმწიფოს) ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძვლები.

იგი 1930 წელს, როცა „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ გადაამუშავა და გამოსცა, თავის ადრეულ თხზულება „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ გაიხსენა და ჩაწერა:

„საქართველოს საზღვრების ისტორიულ-ეკონომიურ მიმოხილვაში უკვე ამ თერთმეტი წლის წინათ აღნიშნული მქონდა, რომ საქართველოს მიწაწყალი „მთლიან ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ბუნებრივი ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიურად ურთიერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

საქართველოს მიწა-წყლის სასოფლო-სამეურნეო არეების დაწვრილებითი და ზოგადი დახასიათების შემდგომ, ეხლა აგრონომიული და ეკონომიური ფაქტორების ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრივობისათვის უაღრესი მნიშვნელობის განსაზღვრა წინანდელზე უფრო ვრცლადაც და არსებითადაც შეგვიძლიან“.

ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ტერიტორიის სამეურნეო-ეკონომიკური და გეოგრაფიული დახასიათების მერე ფაქტობრივ ვითარებას შემდეგი სახით წარმოგვიდგენს: „საკმარისია ადამიანმა არეების ზემოთმოყვანილი მიმოხილვა გადაიკითხოს და აქ დართულ რუკაში ჩაიხედოს, რომ დარწმუნდეს, რომ **თურინჯ-ნარინჯისა** და **ბრინჯ-ბამბის** არეები საქართველოს მხოლოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კიდეებზე მოეპოვება. მთელი დანარჩენი ტერიტორია ორ მთავარ დიდს, **ვენახ-ხილიანსა** და **უვენახ-უხილო** არეს უკავია. ამასთანავე დამახასიათებელია, რომ ვენახ-ხილიანი არეს ზოლი შუაშია მოქცეული, აქეთ-იქით

კი, ჩრდილოეთითა და სამხრეთით, ვენახ-ხილიან ზოლს ჯერ უვენახო, მერმე უვენახ-უხილო და შემდეგ ალპური საძოვრების არე აკრავს“.

ამ ბუნებრივი პირობებით შეპირობებულ განსხვავებების ერთიანობას თავისი კეთილისმყოფელი გავლენა მოუხდენია აქ მცხოვრებ ადამიანებზე. ეს კეთილისმყოფელი გავლენა ეკონომიკური სიჯანსაღე არაა მარტო, არამედ აუცილებელი კავშირ-ურთიერთობის ჩამოყალიბება.

„ასეთი განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო და ბოტანიკური არეების წყალობით ყოველ თემს ყველაფერი, რაც მის მცხოვრებლებს სჭირდებოდათ, არც ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდათ...

ამრიგად, ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი. უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყალობით საქართველოს შუა ნაწილი, ბარი, ეკონომიურად ჩრდილოეთსა და სამხრეთის ნაწილების თემებთან ისევე, როგორც წინაუკმოც, **მთა ბართან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული. გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს მთა ადგილების მაღლობი თემების ყველა, მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის, გზებიც შუაში მდებარე ბარისაკენ მიიმართებოდა**“.

მეცნიერის დაკვირვებით, ამ გარემოებას თავისებურად განუსაზღვრავს აქ მცხოვრებთა ყოფა. განუსაზღვრავს არა მარტო ის, თუ სად რა დაეთესათ, რომ თავი ერჩინა იქ მცხოვრებს, არამედ როგორი კავშირები ჩამოყალიბებულა. ამ კავშირების წყალობით ერთი ადგილის მკვიდრი ივსებდა იმ დანაკლისს, რაც ამ ადგილს ჰქონდა და პირიქით. სწორედ ამ აუცილებელმა კავშირ-ურთიერთობამ წარმოშვა უფრო დიდი აუცილებლობა: ერთ დიდ საზოგადოებად — ერად და სახელმწიფოდ არსებობა.

თავად მას მოვუსმინოთ:

„ამიტომ გასაკვირველიც არაფერია, თუ რომ ამ **გეო-ბოტანიკური და ეკონომიური ფაქტორების** ზეგავლენით, **ქართველთა ტომობრივი ნათესაობის ნიადაგზე**, უპირველესად სწორედ მესხეთი და ქართლი, ვითარცა **მტკვრის აუზის ასპარეზი და ბარისა და მთის ურთიერთ ნაკლულევანების ჰარმონიულად შემავსებელი არეები, ჩამოინაკვთენ ერთ სახელმწიფოებრივ სხეულად** და ერთ

სამეფოდ იქცნენ და მხოლოდ **შემდეგში დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველოც გაერთიანდა**“ (თხზ. 12 ტომად. ტ. IV. „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, გვ. 337).

აი, თურმე სად მოიყრიდა თავს მკითხველისათვის ზოგჯერ გულისგამაწვრილებელი თხრობა ქინძზე და ოხრახუშზე, ცერცვსა და ლობიოზე... აი, თურმე რას ნიშნავდა სტუდენტობისას გულში ამოჭრილი მიზანი:

„მე საქართველოს ისტორია მაინტერესებდა... ისტორია მე ფართო გაგებით მიტაცებდა და ჩემი მაშინდელი და ეხლანდელი რწმენითაც ისტორიკოსს საფუძვლიანი ფართო განათლება უნდა ჰქონდეს“-ო.

რა ბედნიერნი ვიქნებოდით, რომ ივანე ჯავახიშვილს დასცლოდა და ჩვენთვის დაეტოვებინა სხვა ჩაფიქრებულ ნაშრომებთან ერთად „ისტორიის ფილოსოფია“, სადაც საზოგადოების განვითარების უზოგადეს კანონებზე იქნებოდა საუბარი საქართველოსა და მისი მეზობლების ისტორიის მონაცემების საფუძველზე.

გვპირდებოდა: „ჩემი „ისტორიის მიზანი“-ს მესამე წიგნში, საქართველოს, სომხეთის, სპარსეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაზე დამყარებულ დაკვირვებათა გათვალისწინებით, ისტორიის ფილოსოფიის ყველა საკითხების საგანგებოდ განხილვას ვფიქრობ“-ო.

ვერ მოხერხდა.

საბჭოთა რეჟიმის პირობებში ცნების „ისტორიის ფილოსოფიის“ ხსენებაც არ შეიძლებოდა.

ადამიანს კი ერთი სიცოცხლე ეძლევა.

სიცოცხლესაც გააჩნია.

„ივანე ჯავახიშვილმა
თავისი გონების გიგანტურ მხრებზედ აიკიდა
ეს უზარმაზარი ტვირთი, რომელიც მან მთელი
მისი კეთილშობილი ცხოვრების განმავლობაში
ღირსეულად,
ნაყოფიერად
და ბრწყინვალედ
ჰზიდა“.

(მიხაკო წერეთელი).

„ქართული სამეცნიერო ტაძარი“

იდგა 1917 წელი.

თვე იყო თებერვლისა.

რუსეთის იმპერია — ხალხთა საპყრობილე დაინგრა. განახლების სიომ დაჰბერა. ყველა ამოქმედდა, აფუსფუსდა, ამოძრავდა. ახლა საჭირო იყო ყველას თავისი საქმე ეკეთებინა და ძველი ოცნებისათვის ფრთები შეესხა: დიდი ხნის ნალოლიავები ნერგი დაერგო და გაეხარებინა, რომელიც მალე ნაყოფით დაიხუნძლებოდა და მისით მისი შემოქმედიცა და შთამომავალიც გაიხარებდა.

ქართველობა ერთ-ერთ ასეთ ნერგად ქართულ უმაღლეს სასწავლებელს მიიჩნევდა. გელათისა და იყალთოს აკადემიების მქონეს დიდი ხნით დახშობოდა საკუთარ ქვეყანაში ცოდნის მიღების კარი. ევროპის ქვეყნებში უნივერსიტეტები მომრავლებულიყო და ქართველობაც ახლა იქით მიეშურებოდა. ჯერჯერობით მხოლოდ უცხოეთში თუ დაეწაფებოდა ცოდნის წყაროს.

იმპერია დაინგრა და ახალმა რეალობამ ახალი ასპარეზი გააჩინა.

ჟამი დამდგარიყო და ზარი ქართველებს მოქმედებისკენ მოუწოდებდა.

იდგა 1917 წელი.

თვე იყო თებერვლისა.

ივანესაც გაეხსნა ხელი სამოქმედოდ. ამ მოვლენას თავისებური შეკაზმვით შემდეგნაირად მოგვითხრობს შალვა ნუცუბიძე: „ყოფილ პეტერბურგში თებერვლის რევოლუციის დროს დიდ ივანეს და აკაკი შანიძეს ბარიკადებზე შევხვდი.

— ესაა ჩვენი მაშველი საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის საქმეში, — თქვა ივანე ჯავახიშვილმა ბარიკადებზე ხელის გაშვერით“.

თავად ეს მოგონება შალვა ნუცუბიძის მეუღლეს ასე ჩაუწერია: „ბარიკადებზე ბრძოლა არ წყდებოდა დილამდე. გათენებისას კი ყველაფერი მიწყნარდა. ქუჩაში გამოჩნდნენ ფეხით მოსიარულენი. რაოდენ დიდი იყო ჩემი გაკვირვება, როდესაც დავინახე სწრაფად მომავალი ივანე ჯავახიშვილი და აკაკი შანიძე.

— საით ასე ადრე? — ვეცი მათ.

ორივემ ერთხმად ამიხსნეს, რომ სახლში ვერ გაჩერდნენ და ქუჩაში გამოვიდნენ იმის სანახავად, რა ხდებოდა.

— ძლივს ვეღირსეთ, — აღფრთოვანებით აღმოხდა ივანე ჯავახიშვილს.

... შინ შევიპატიჟე, სადაც განვაგრძეთ შთაბეჭდილებების გაზიარება.

— ყველაფერი ეს მშვენიერია, — ამბობდა ივანე ჯავახიშვილი, — ყველაფერი ეს მოგვეხმარება ჩვენს საქმეში. თუ რევოლუცია განვითარდება ნორმალურად, უნივერსიტეტის შექმნის ჩვენი მცდელობა წარმატებით დაგვირგვინდება“.

აქაც იგივე ვითარება სხვა მოდიფიკაციითა გადმოცემული: ირკვევა, რომ ისინი ბარიკადებზე კი არ შეხვდნენ ერთმანეთს, არამედ ქუჩაში. უეჭველია, ეს ისტორიული ქარტეხილი გულგრილს არავის დატოვებდა და პირველ რიგში კი ამ დიდებულ ქართველებს.

ეს მონათხრობი სიმართლეა, ოღონდ თავისებურად შეკაზმული.

საქმე ისაა, რომ ივანე ჯავახიშვილი საზოგადოებრივ მოვლენებს გვერდს არასდროს უქცევდა, მაგრამ მისი ბარიკადებზე ყოფნა და რევოლუციონერად დასახვა რეალობას მოკლებულია.

შალვა ნუცუბიძე არ გვეუბნება, თუ რა პირობებში შეხვდნენ ისინი ერთმანეთს და როგორ მოხვდნენ ისინი ბარიკადებზე. მაგრამ მისი მეუღლის ვერსიაში ჩანს, რომ ისინი ცნობისმოყვარეობას გამოუყვანია გარეთ. ეს კი სულაც არაა ბარიკადებზე დგომა. ეს სამი ქართველი ბარიკადებზე რომ არ იბრძოდა იქიდანაც ჩანს, რომ თავად შალვა ნუცუბიძე მიუთითებს, ივანემ ხელი ბარიკადებისკენ გაიშვირაო. ე.ი. ეს ბარიკადები მათგან სადღაც მოშორებით ყოფილა. მაინც „ბარიკადებზე შევხვდი“-ო ბრძანებს ბატონი შალვა. ეს სიტყვები შალვა ნუცუბიძეს იმ დრომ ათქმევინა, რომლის წიაღში რევოლუციონერობა თუ არა, მისთვის თანაგრძნობა დიდ სიქველედ ითვლებოდა.

ამის შესახებ აქ „დავიდუმოთ“ და „პირველსა სიტყუასა ზედა მოვიდეთ“. თუმცა შეიძლება თავად ივანესაც მოვუსმინოთ:

„1914 წელს მსოფლიო ომი რომ ატყდა და შეტაკება მოხდა გერმანიასა და ძველ თვითმპყრობელურ რუსეთს შორის, დიდი წინასწარმეტყველება და ნიჭი არ იყო საჭირო, ეწინასწარმეტყ-

ველა ვინმეს, რომ ძველი რუსეთი, თვითმპყრობელობის მიერ მონობაშიც ჩამწყვდეული, დამარცხებული იქნებოდა. ვინც რუსეთის ისტორია იცის, კარგად ეცოდინება, თუ რაიმე ღირსებია რუსეთში მცხოვრებ ხალხებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითმპყრობელობა დამარცხებულა. 1917 წელს რევოლუცია მოხდა. რევოლუციის დაწყებისთანავე დაიბადა იმედი, რომ კერძო სასწავლებლის სახით მაინც შესაძლებელი იქნებოდა ადამიანს ეზრუნა უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის".

ყოველ დიდ საქმეს დიდი ადამიანები ქმიან, მაგრამ არა ხელის ერთი დაკვრით. თითოეულ გამარჯვებას დიდი ხნის ფიქრი და მუხლჩაუხრელი შრომა უძღვის წინ. ფიქრი მიზნის დასახვას სჭირდება, შრომა კი მის აღსრულებას. ბევრჯერ ყოფილა რომ დასახული მიზანი გაცუდებულა, მაგრამ ფიქრსა და გარჯას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. ვერავინ შეძლებს რაიმე დიადისა და მნიშვნელოვანის გაკეთებას, თუ კი მასზე ხანგრძლივად არ უფიქრია და არ უოცნებია. ის ვერასდროს მისწვდება იმ მერანს, რომელიც უეცრად მისთვის „შავის ბედის წინ" გამოქროლდება. დიდი და კეთილშობილი ადამიანი ისაა, ვინც ყოველდღე წვეთწვეთ აგროვებს მაცოცხლებელ ნამს და მცენარეთ აპკურებს. იმედი აქვს მათი გახარების. იმედი აქვს და იღწვის.

ივანესაც ასე სჯეროდა. ამიტომაც სთქვა ასე მოხდენილად: **„ვინც მუდმივ და დაუცხრომლად თავის მიზნის განხორციელებაზე არა ზრუნავს, ის, როცა საქმის აღსრულების დრო მოახლოვდება, შეიძლება პირღია დარჩეს".**

უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტი ის უცხო ხეა, რომლის ნაყოფის გემო ქართველებს უკვე გაუსინჯათ და ახლა მისი ხილვა საკუთარ სამშობლოში მოსურვებიათ. მაგრამ ეს არ აღმოჩნდა იოლი საქმე. მის დარგვას ნებართვა უნდოდა, გახარებას კი — ცოდნა და მონდომება. ქართველობა ჯერჯერობით მონდომების ამარა იყო, ცოდნაც აკლდა და ნებართვას კი მთავრობა არ იძლეოდა. ჰოდა, ოცნებობდა ქართველობაც. ოცნებაც საქმეა. ოცნება გზაა, რომლითაც მერე ამ მეოცნებეს ფრთები უნდა გამოესხას, რომ საწადელს მისწვდეს. ქართველობაც ამ გზაზე მიდიოდა და კიდევ დიდხანს ივლიდა, რომ არ გამოჩენილიყო ივანე ჯავახიშვილი და არ ეთქვა:

— დროა.

თქვა და შეუდგა კიდევაც თაობების სანუკვარი ოცნებისთვის ხორცის შესხმას.

სანამ ამ უმნიშვნელოვანესი საქმის პერიპეტიებზე ვისაუბრებთ, ცოტათი უკან დავიხიოთ.

XX საუკუნის დასაწყისია.

ქართველობას თავისი სახელმწიფოებრიობა დაკარგული აქვს და მისი სამშობლო რუსეთის იმპერიის ნაწილადაა ქცეული.

უკვე კარგა ხანია მიზანმიმართულად მიმდინარეობს საქართველოში უცხოელთა ჩამოსახლებით დემოგრაფიული ვითარების შეცვლა და სხვა გამარუსებელი პოლიტიკა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია კი გაუქმებულია, ჩვენი ეკლესია-მონასტრების ფრესკების დიდი ნაწილი კირით შეთეთრებული და ძვირფასი ჯვარ-ხატები კი გაზიდული.

რაც შეეხება ქართულ ენას, იგი იმდენად დაკნინებულია, რომ მას მხოლოდ საყველპურო მნიშვნელობა ჰქონდა. ივანე 1938 წელს მოხსენებაში აღნიშნავდა:

„**ქართველმა ინტელიგენციამ თვითონ არ იცოდა ხეირიანად ქართულად** ლაპარაკი, თქვენ, რასაკვირველია, ვერ წარმოიდგენთ ასეთ მდგომარეობას ამჟამად, მაგრამ ჩვენს თაობას უნახავს, თავის ყურით მოუსმენია ისეთი კრება — მთავრობის მიერ მოწვეული კი არა — სადაც არც ერთი სიტყვა ქართულად არ ყოფილა წარმოთქმული. მეტის თქმაც შეიძლება, ქართველ ინტელიგენციას საყველპურო ლაპარაკის გარდა, სხვა საგანზე ლაპარაკი არ ეხერხებოდა“.

ივანეს მოჰყავს ერთი მაგალითი, სადაც ერთ-ერთ სკოლაში მივიდა კავკასიაში განათლების საკითხების გამგებელი დიდი ჩინოვნიკი იანოვსკი და მოსწავლეებს მიმართა კითხვით, როგორ არისო „ვოდოპად“ ქართულად. მოწაფეები დაიბნენ, დაიბნა მასწავლებელიც. იანოვსკიმ დაასკვნა თურმე: „უცნაურია, ქვეყანაში, რომელშიაც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ასეთი მოვლენაა, შეუძლებელია არ იყოს სიტყვა მისი გამომხატველი“. ივანეს მოჰყავს საბას ლექსიკონიდან ამ სიტყვის ქართული შესატყვისები: ჩანჩქერი, დანჩქერი, გოჩგოჩანა და შემდეგ აგრძელებს: „თქვენ გგონიათ, რომ მასწავლებელმა მართლაც არ იცოდა არც ერთი

ეს სიტყვა? არა. მან იცოდა, მაგრამ, როდესაც მოულოდნელად ჰკითხეს, მოგონება ვერ შესძლო და ცნობილია, რომ, როდესაც ადამიანი არ ვარჯიშობს, შესაძლებელია, არა თუ სიტყვა დაავიწყდეს, ენაც დაავიწყდეს“.

მადლობა ღმერთს, ქართველები ჯერ კიდევ ქართულად ლაპარაკობდნენ, წერდნენ და კითხულობდნენ კიდევაც, მაგრამ ქართული სამეცნიერო მეტყველება კი მართლაც დავიწყებული ჰქონდათ.

რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგი იყო ყოველივე.

მაგრამ არა მარტო რუსების. მანამდე რა, დალხინებული ცხოვრება გვქონდა? სად გვეცალა ძველი ელინივით ან არაბებივით მეცნიერებას დავწაფებოდით? ოდესღაც მართლაც და ბევრს რასმე ვქმნიდით ე.წ. „ოქროს ხანაში“, მაგრამ ახლა ამის შესახებ „ოდესღაცო“ ითქმოდა. ახლა რუსის ხელში ვიყავით და იგი კი გასაქანს არ გვაძლევდა.

ივანეც ამას ჩიოდა:

„მას შემდგომ რაც რუსეთის მთავრობამ 1783 წელს დადებული ხელშეკრულება წარბშეუხრელად დაარღვია და საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპო, ყველა დაწესებულებიდან ჩვენი დედა-ენა გამოდევნა... ქართულს ენას სავარჯიშო ასპარეზი მოუსპო, არც სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, არც სასამართლოსა და სკოლაში მისი ხმა აღარ ისმოდა. მის სამოქმედო ასპარეზად მხოლოდ ეკლესია და თეატრი-ღა დარჩა“. და ამდენად „ქართული ქართველთა მეცნიერების და ხელოვნების, სარწმუნოების და უზენაეს სულისკვეთების გამომხატველი ნაზი და მომხიბლავი ენა კი აღარ იყო, არამედ დაბალხარისხოვან ტომის ენის მხოლოდ მსგავსად შინაურობაში სახმარებლად „საყველპუროდ“ იქცა“.

მიუხედავად საქართველოში გამომავალი რამდენიმე ჟურნალ-გაზეთისა და მოქმედი თეატრისა, ქართული ენის ბედი მაინც სავალალო იყო. მაშინ ჩვენი საზოგადოების უმეტესი ნაწილი „რუსულად აზროვნებდა და ქართულად წერდა: აზროვნებას მიჩვეული იყვნენ რუსულად, — ქართულად თავიანთი აზრის გამოთქმა უძნელდებოდათ“.

ასეთ პირობებში რაიმე უმაღლეს სასწავლებელზე საუბარი ზედმეტი იყო. ამაზე არც ხელისუფლება ფიქრობდა და, სამწუხაროდ, არც ქართველობა.

ერი, ფაქტობრივად აპათიაში იყო.

„ისეთი სულისკვეთება არსებობდა ჩვენში, რომ თუ მთავრობა არ დააარსებდა სახელმწიფო უნივერსიტეტს, არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა, გულხელდაკრეფილი შესცქეროდნენ ასეთ მდგომარეობას და უცდიდნენ როდის გაიხსნებოდა თბილისში უმაღლესი სასწავლებელი“.

თითო-ოროლა პატრიოტი კი ამინდს ვერ ქმნიდა. მათ მონდომებას ყრუ კედელი ხვდებოდა. ივანესთვის კი მისაბაძი და მაგალითისმიმცემი ვასილ პეტრიაშვილი გამხდარიყო.

იგი ოდესის უნივერსიტეტის რექტორი იყო და მან თურმე მოიწადინა საქართველოში გადმოსვლა. მან ჯერ ქუთაისში პატარა ლაბორატორიის შექმნა მოინდომა, მაგრამ ეს შუძლებელი შეიქმნა.

მეორეჯერ კი სოფელ ოძისში უნდა გახსნილიყო სასოფლო-სამეურნეო სკოლა, ეგეც ვერ მოხერხდა. ივანე ამაზე ამბობს:

„ვასილ პეტრიაშვილი, რომელიც, თუ გნებავთ, ამ იერარქიული თვალსაზრისით და ქონებრივადაც უნდა დაქვეითებულიყო, — გადმოდიოდა, ოძისში თანხმდებოდა სამსახურს, ოღონდ მშობლიურ ხალხთან ჰქონოდა საქმე, ქართველ თავადაზნაურობას თითქოს არ აღმოაჩნდა ფული, რომ ეს სასწავლებელი გაეხსნათ. თქვენ, აქედან წარმოიდგინეთ, რა სავალალო პირობები იყო; თანამედროვე თაობას ვერც კი შეუძლია გაიგოს იმ სულიერი ტანჯვის მთელი საშინელება, რომელიც ყოველ ჩვენთაგანს მაშინ გამოვლილი გვქონდა. ჩვენი მცირერიცხოვანი ჯგუფი, ვისაც კი სურდა ქართულად მოეხერხებინა მეცნიერული ლაპარაკი, ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მართლაც არ შეეძლო ეს“.

მხოლოდ ქართველი პატრიოტების მცირე გუნდის თავდადებული და გულმოდგინე მცდელობით ღვიოდა ქართული სული. იგი ქართულ თეატრს, ქართულ გაზეთს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილ სკოლას, ეკლესიას და ჯერ კიდევ მამა-პაპისეულ კვალზე მდგარ ქართულ ოჯახს იყო შეფარებული.

მაგრამ ეს უკვე საკმარისი აღარ იყო.

ახალი დრო დამდგარიყო და მას ახლებური პასუხი სჭირდებოდა.

ჯერ კიდევ 1904 წ. დაწერილ პოლემიკურ შრომაში ივანე ცნობილი ქართველი ქიმიკოსის ვასილ პეტრიაშვილის ღვაწლს იხსენებდა, რომელმაც სამეცნიერო შრომების წერა ქართულად გაბედა. ამ მაგალითით იგი სამოქმედო გეგმას აყალიბებდა.

„ქართულ ენასა და მწერლობას მაშინ გაუმაგრდება ნიადაგი, თუ ჩვენი ახალი თაობა პატივცემულ პროფესორ ვ. პეტრიაშვილს მიბაძავს და გულწრფელად და თავგანწირულად ეცდება ქართული, სამეცნიერო (ყველა დარგისა) თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაფერისი მწერლობა შექმნას, — რომ მწერლობას მართლა ძალა ჰქონდეს ცხოვრებაში და ჩვენი საზოგადოებრივი და ეროვნული მოქმედების მტკიცე ხელმძღვანელი გახდეს“.

დავაკვირდეთ: ივანე ამბობს საჭიროა მივბაძოთ ვასილ პეტრიაშვილის მაგალითს და ქართული სამეცნიერო მწერლობა შევქმნათო, ყველა დარგისო, იქვე ამატებს. მისი აზრით, ეს იმისთვისაა აუცილებელი, რომ ქართულად ამეტყველებული ყველა დარგის მეცნიერება ერის „საზოგადოებრივი და ეროვნული მოქმედების მტკიცე ხელმძღვანელი გახდეს“.

თავის დროზე ილია წერდა:

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა,

და დაე გვძრახონ, — ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი“-ო.

ივანეც სიყრმიდანვე ამ გზაზე იდგა, იგიც ქართვლის ბედზე მოფიქრალი იყო და ღრმად სწამდა, რომ საქართველოს ახლა ყველაზე მეტად განვითარებული მეცნიერება სჭირდებოდა, მაგრამ მეცნიერება ქართულ ენაზე ამეტყველებული და საქართველოში განვითარებულ-დანერგილი.

ახლა მეცნიერებას უნდა აეღო თავის თავზე ერის სატკივართა მოგვარების მთავარი ტვირთი.

ახლა ახალი ხანა დამდგარიყო და ახალ დროის ახალი მოთხოვნები დაეყენებინა, რომელთაც პასუხი უნდოდა.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, „არც ერთ ეროვნებას და ქვეყანას არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია. **ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული“.**

ივანე ჯავახიშვილის რწმენით, მთავარი და არსებითია იზრდებოდეს და ვითარდებოდეს არა მარტო საქართველოს წარსულისა და აწმყოს შესწავლა, არამედ თავად ქართული მეცნიერება.

ქართული მეცნიერების აღდგენა და განვითარება, რომელიც ქართველი ერის ბედნიერ მომავალს უზრუნველყოფდა, იყო ივანე ჯავახიშვილის დიდი მიზანი და უნივერსიტეტი — ამ მიზნის განხორციელების საუკეთესო საშუალება.

სხვა სიტყვებით ვიტყვი: ივანე ჯავახიშვილისთვის უნივერსიტეტის დაარსება თვითმიზანი არ იყო, არამედ იგი მხოლოდ საშუალება იყო ქართული მეცნიერების „მკვდრეთით აღსადგენად". ქართული მეცნიერება კი ახალ დროში ერის აწმყოსა და მერმისის საფუძველთა საფუძველი უნდა გამხდარიყო.

ქართველობასაც უნდა ეფიქრა და ეზრუნა საკუთარი მერმისისთვის. ჰოდა, ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ ივანე საპროგრამო დებულებას წარმოთქვამს. ცოტა მოზრდილი ციტატა უნდა მოვიყვანო. იგი ისეთი ლოგიკური ჯაჭვით არის მოქსოვილი, რომ შემოკლებით ივანესეული მიზანდასახულება უთუოდ დაზიანდება. ეგ აბზაცი იმითვე მთავრდება, რითაც იწყება.

თავად დავრწმუნდეთ:

„ხოლო თუ ჩვენ გვინდა, რომ ამ ჩვენს აღორძინებას მტკიცე საფუძველი ჰქონდეს, ფესვები მაგრად გაიდგას და უხვად გაიფურჩქნოს, უნდა დაუყოვნებლივ ჩვენს თანამედროვე ვითარებას ჩავუკვირდეთ და საქმის შესატყვისი სამოქმედო გეგმა შევიმუშავოთ, რომლის განსახორციელებლად არაფერი უნდა დავზოგოთ და არავითარ დაბრკოლების წინაშე არ უნდა შევრდკეთ. საქართველოს თანამედროვე აღორძინება უეჭველია ჯერ კიდევ ძალიან ნორჩია, რომ მას გულმტკივნეული მზრუნველობა არ ესაჭიროებოდეს. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ არც ერთს ეროვნებას და ქვეყანას არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია. ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიაც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღმოჩენებზეა დამოკიდებული. ცნობილია რომ გერმანიის ქიმიურ ნივთიერებათა და სამღებრო მრეწველობის განსაცვიფრებელი ზრდა გერმანული საქიმიო მეცნიერების

დაუცხრომელ წარმატების ნაყოფია. თუ გერმანია ამ მსოფლიო უმაგალითო ომის ტვირთის სიმძიმეს ყველაზე უკეთესად იტანს და ყველგან სადაც იგი მოქმედებას დაიწყებს ხოლმე, მისი ყოველივე ნაბიჯი მიზანშეწონილია, ეს სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ თეორიული სოციალური და ჰუმანური მეცნიერებანიც იქ მაღალ ხარისხამდე არის განვითარებული და მუშაობა შეუჩერებლივ სწარმოებს. რაც უნდა კარგად შეისწავლოს პრაქტიკულად გამოსაყენებელი ტექნიკის თვით უკანასკნელი აღმოჩენა და საშუალებანი, თუ რამ თეორიული მეცნიერება მას საფუძვლიანად მუდამ ნიადაგს არ უმაგრებს, ამგვარს ცოდნას, ვითარცა ნამდვილ ხელოსნურსა, მცირედი ღირებულება აქვს და თანდათან უნდა უეჭველად ჩამოქვეითდეს. ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორჩს აღორძინებას ფესვები გავუმაგროთ, მთელი ჩვენი ძალღონით ქართულ მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევუწყოთ“.

ივანესეულ ამ მსჯელობა-დებულებას მოსდევს მოკლე შეკითხვა: „რა გზით?“.

ანუ ჩვენი ეროვნული აღორძინება რა გზით მოვახდინოთო.

ივანეს პასუხი შემდეგია: უნდა გაგვაჩნდეს ისეთი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნისთვის საჭირო სამეცნიერო კადრების აღზრდას და სამეცნიერო მიღწევების ერის სამსახურში ჩაყენებას. მართალია, ქართველებს ჰყავს მეცნიერები, მაგრამ ისინი მოღვაწეობენ ევროპისა და რუსეთის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში და მათი გარჯის შედეგით მათი სამშობლო ვერ სარგებლობს. საჭიროა მათი საქართველოში ჩამოყვანა და ერის სამსახურში ჩაყენება.

„ამისთვის უნდა ერთი ქართული სამეცნიერო უმაღლესი დაწესებულება შეიქმნას, რომლის წევრთა უმთავრესსა და პირდაპირს მოვალეობას მხოლოდ ქართულ მეცნიერებისათვის სამსახური და მის წარმატებაზე და აყვავებაზე ზრუნვა უნდა შეადგენდეს“.

„ერთი ქართული სამეცნიერო უმაღლესი დაწესებულება“ უნდა შეიქმნასო, ასკვნის ივანე. მეტს მაშინ ქართველი საზოგადოება ვერ უზრუნველყოფდა და ამ ერთის მიერ გამოშვებული კადრიც და სამეცნიერო პროდუქტიც მაშინდელ საქართველოს ეყოფოდა.

ჯერ-ჯერობით ეყოფოდა.

ივანეს გათვლა რაციონალური იყო.

ივანე ჯავახიშვილი მოითხოვდა შეგვექმნა „ერთი ქართული სამეცნიერო უმაღლესი დაწესებულება“.

მაგრამ მაინც როგორი უნდა ყოფილიყო ეს „ერთი ქართული სამეცნიერო უმაღლესი დაწესებულება“?

ივანე განიხილავს სამ სხვადასხვა ვარიანტს: სამეცნიერო აკადემიას, ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელს და უნივერსიტეტს.

ივანემ დაწვრილებით დაახასიათა თითოეული მათგანი.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, მეცნიერებათა აკადემიის დაარსება ჯერ ნაადრევი იყო. ჯერ უმაღლესი სასწავლებლები უნდა დაგვეარსებინა, ისინი ნივთიერად და მაღალკვალიფიციური კადრებით უნდა თანდათან მოღონიერებულიყო და მხოლოდ შემდეგ იქნებოდა აკადემიის დაარსება შედეგიანი.

რაც ყველაზე მთავარია, აკადემია არ იძლეოდა ახალი კადრების მომზადების საშუალებას. მასში ხომ უკვე განსწავლული და ღვაწლმოსილ პირებს უნდა ემუშავათ. საქართველოს კი მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები სჭირდებოდა. ჯერ ისინი უნდა აღგვეზარდა, მათი საშუალებით მეცნიერების დარგები ფეხზე დაგვეყენებინა და მერე უკვე მოღონიერებულ სამეცნიერო ძალებს შესაძლებლობა ექნებოდა მეცნიერებათა აკადემიაც დაეარსებინათ.

ივანეს აზრით, ვინაიდან აკადემიკოსად მხოლოდ იმ პირთ ირჩევენ, რომლებმაც უკვე გამოჩინეს თავი, შესაბამისად, ისინი ასაკობრივად უკვე ხანდაზმულნი არიან და უკვე ამ რანგში რაიმე ახალი და თვალსაჩინო წარმატების მომტანი ვერ იქნებიან. ახალგაზრდები კი აკადემიაში ვერ ხვდებიან. ეს იმ დროს, როცა „შემოქმედებისა და სამეცნიერო ნაყოფიერების ძალა ადამიანს სწორედ 30-35 წლოვანების ხანაში შესწევს და აზროვნებასაც ამ ხანაში თავისუფალი აღმაფრენა და ჭაბუკური გამბედაობა აქვს“.

ივანე პირუთვნელად განსჯიდა და დასკვნაც ასეთივე გამოსდიოდა: „**სამეცნიერო აკადემია მარტო თვით აკადემიკოსებისთვის არსებობს, საზოგადოებასთან მას მცირედი დამოკიდებულება აქვს, მოზარდ თაობასთან ხომ არავითარი კავშირი აღარ აქვს და ამის გამო მისი მოქმედების და გავლენის სფეროც შედარებით ვიწროდ არის შემოზღუდული**“.

ძალზე კატეგორიული მსჯელობაა.

ბევრი აღშფოთდება კიდევაც, როგორ თუ „სამეცნიერო აკადემია მარტო თვით აკადემიკოსებისთვის არსებობს“? განა საზოგადოებისათვის მას რაიმე სარგებლობა არ მოაქვს?

ივანეს ასე რომ ეფიქრა, მაშინ აკადემია მოგვიანებით უნდა დაარსდესო არ იტყოდა, არამედ საერთოდ არ არის საჭიროო, მოკლე მოჭრიდა.

არა.

ივანეს უნივერსიტეტის სარგებლიანობის დასაბუთება სურს და ამიტომ ვითარებასაც საგანგებოდ ამძაფრებს.

მართლაც, უნივერსიტეტთან შედარებით აკადემიას საზოგადოებასთან „მცირედი დამოკიდებულება აქვს, მოზარდ თაობასთან ხომ არავითარი კავშირი აღარ აქვს და ამის გამო მისი მოქმედების და გავლენის სფეროც შედარებით ვიწროდ არის შემოზღუდული“.

ამაში კი ივანეს ვერ შევედავებით.

ამდენად, ივანეს შეხედულებით აკადემია ქართველებისათვის ჯერ ნაადრევი ფუფუნება იყო და ამჟამად მასზე ფიქრისთვის თავი უნდა დაგვენებებინა.

რაც შეეხება სპეციალურ ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელს, რომელსაც საქართველოში ბევრი მომხრე ჰყავდა, იმჟამად არც მისი დაარსება იყო მიზანშეწონილი. ასეთი ტიპის უმაღლესი სასწავლებლის დაარსების მომხრენი, იმ მოთხოვნილებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რომ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებისათვის სხვადასხვა დარგის ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტები — ინჟინრები, აგრონომები, მეტყევეები, ექიმები და სხვა — არ ჰყავდა. ასეთი კადრების გარეშე კი საქართველოს ეკონომიკური აღორძინება შეუძლებელი იყო.

ეს ყველაფერი მართალი იყო.

არც ივანეს ავიწყდებოდა იგი. ოღონდ იგი ცოტა უფრო შორს იხედებოდა. მისი აზრით, **ტექნიკურ სასწავლებლებში ყურადღება მხოლოდ თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზეა გადატანილი და მხოლოდ აქ შეჩერება ჩვენი აღორძინების ცალმხრივი ღონისძიება იქნებოდა. ტექნიკური კადრების აღზრდა კი ხომ თავისუფლად შეიძლებოდა უნივერსიტეტში**.

მოგვიანებით, როცა ქართული უნივერსიტეტის უარსაყოფად რუსების ხელისუფლების მიერ თბილისში დაარსებული პოლიტექნიკურის ბედი საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების მიერ გახდა გასარკვევი, ივანეს ჰქონდა მტკიცე პოზიცია. მისი აზრით, ეს სასწავლებელი უნდა შეერთებოდა უნივერსიტეტს. იგი ითვალისწინებდა ნორჩი სახელმწიფოს მწირ ბიუჯეტს და შესანიშნავ გამოსავალს სთავაზობდა ხელისუფლებას. ის სტუდენტები, რომლებსაც ტექნიკური დარგები ექნებოდათ არჩეული, ყველა თეორიულ საგანს უნივერსიტეტის უკვე არსებულ ფაკულტეტის შესაბამის ლექციებზე მოისმენდნენ და ამით არც ცალკე ლექტორი და არც ცალკე აუდიტორია არ იქნებოდა საჭირო. ეს საგრძნობლად შეამცირებდა ხარჯებს. რაც შეეხება უშუალოდ პრაქტიკულ მეცადინეობებს, მათაც უნივერსიტეტის ლაბორატორიებში გაივლიდნენ.

ამასვე ამბობდა იგი 1917 წელს, როცა მომავალი ქართული უნივერსიტეტის დაარსებაზე ბჭობდა: „უნივერსიტეტთან კი შემდეგში შეიძლება სასოფლო-მეურნეობისა და სხვაგვარი ტექნიკური ინსტიტუტები დაარსდეს. თეორიულ მეცნიერებას სხვებთან ერთად უნივერსიტეტში მოისმენენ და შეისწავლიან. ამ გზით ხარჯებიც ძალზე შემცირდება და მეცნიერთა რიცხვიც გაცილებით ნაკლები დაგვჭირდება“.

ამ დებულებას უფრო ვრცლად იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინაშე შლის: „რაკი საქართველოს რესპუბლიკას პირველ ხანებში შედარებით პატარა ბიუჯეტი ექნება და რამდენიმე უმაღლეს სასწავლებლის ერთად შენახვას ვერ შესძლებს (როგორც ეს ვერ შესძლო ბულგარეთმა, სერბიამ და სხვებმაც), ამიტომ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო ჰფიქრობს, რომ სასოფლო-სამეურნეო და სხვაგვარი ჩვენთვის საჭირო უმაღლესი ტეხნიკური ცოდნის შეძენა და გავრცელება უნივერსიტეტთან შესაფერის ინსტიტუტების შექმნით შეიძლება (სააგრონომიო ინსტ. და სხვა). ამ დარგის სტუდენტები და მსმენელნი საზოგადო საგნებს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და საფილოსოფიო ფაკულტეტებზე მოისმენენ. თავიანთ სპეციალურ დარგის მეცნიერებას კი ინსტიტუტებში შეისწავლიან. ამ საშუალებით ხარჯებიც შესამჩნევად შემცირდება და თვით ტეხ-

ნიკური ინსტიტუტებშიც იმგვარსავე სამეცნიერო დონეზე იქნებიან დაყენებული, რა უმაღლეს დონეზეც სდგას მეცნიერება უნივერსიტეტში“.

ივანესულ უნივერსიტეტში ასეც იყო ყველაფერი დაყენებული. და შედეგიც სახეზე იყო. აი, რას წერდა ივანე 1920 წლის მთავრობისადმი წარდგენილ ანგარიშში:

„ჩვენს უნივერსიტეტში სამი წლის განმავლობაში გაწეულ მუშაობის სამართლიანი დაფასებისათვის უნდა გათვალისწინებული იყოს, რომ დაარსებისას მას დიდი და მშვენიერი, მაგრამ ცარიელი შენობის გარდა არა ჰქონია რა. მოქმედება დაიწყო მან ვითარცა კერძო უმაღლესმა სასწავლებელმა მხოლოდ ერთი ფაკულტეტის სახით და სტუდენტ-მსმენელთა საერთო რიცხვი 458 უდრიდა. ეხლა კი ამ სამი წლის თავს მას სამი ფაკულტეტი აქვს, 2 814 სტუდენტ-მსმენელი ჰყავს, მრავალი სამეცნიერო სასწავლო დაწესებულებაა შექმნილი, დიდი საუცხოვო წიგნთსაცავი მოეპოვება“.

ივანე ბრძანებს, „საუცხოვო წიგნთსაცავთან“ ერთად „მრავალი სამეცნიერო სასწავლო დაწესებულებაა შექმნილიო“. მას თავის ანგარიშში ყველა ეს დაწესებულება დაწვრილებით აქვს დახასიათებული. მართალია, მათგან ზოგიერთი ჯერ არ ფუნქციონირებდა, მაგრამ მათ ამუშავებაზე გადაწყვეტილება მიღებული იყო და მხოლოდ ტექნიკურ გადაწყვეტას მოითხოვდა.

დავასახელოთ მხოლოდ ზოგიერთი:

— საპედაგოგიო ინსტიტუტი;
— სასანიტრო ინსტიტუტი;
— სამეცნიერო-საცდელი აგრონომიული ინსტიტუტი;
— უმაღლესი ტეხნიკური ინსტიტუტი;
— საანატომიო ინსტიტუტი.

ეს ინსტიტუტები უნივერსიტეტის დაარსებისთანავე მის წიაღში არ დაბადებულან. ისინი მას თანდათანობით შემოუერთდა. უნივერსიტეტი ამით მხოლოდ გაძლიერდა და ინსტიტუტებთან ერთ მთლიან, ძლიერ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებად იქცა. ეს იმიტომ მოხდა, რომ უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების ურთიერთობა დედინაცვლისა და გერის ურთიერთობას არ ჰგავდა. უნივერსიტეტი თითოეულ ინსტიტუტს თავის ორგანულ და

განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა და ასევე ზრუნავდა მათზე. აქ ერთადერთ როლს მხოლოდ გულმტკივნეული დამოკიდებულება არ ასრულებდა. ინსტიტუტების უნივერსიტეტთან ინტეგრირება უკეთესის შექმნის სურვილით მოხდა და ამიტომ დაპირისპირებასაც ადგილი არა ჰქონია.

უნივერსიტეტი, განიხილავდა რა ინსტიტუტებს, როგორც თავის ორგანულ ნაწილად, ფინანსურად, სამეურნეო-ტექნიკური და სტრუქტურულ-ორგანიზაციული თვალსაზრისით, ისევე ზრუნავდა მათზე, როგორც თავის ფაკულტეტებზე და კათედრებზე. ინსტიტუტები უშუალოდ უნივერსიტეტის სტრუქტურა კი არ იყო, არამედ რომელიმე ფაკულტეტის აუცილებელი ქვედანაყოფი. ინსტიტუტის ხელმძღვანელი იმავე დროს უნივერსიტეტის კათედრასაც განაგებდა და ამით უზრუნველყოფილი იყო სწავლებისა და კვლევის ერთიანობა. ეს ერთი ადამიანის მიერ ორი სხვადასხვა თანამდებობის დაკავება კი არ იყო, არამედ ერთი საქმის სხვადასხვა კომპონენტების შესრულება. ამიტომ თითოეული ინსტიტუტი გამოყენებული იყო საკვლევ ბაზად სტუდენტებისთვისაც. ამგვარი მოდელი სწავლებისა და კვლევის ერთიანობასა და განუყოფლობას უზრუნველყოფდა.

ასე მაგალითად, როცა უნივერსიტეტს შემოუერთდა ე. წ. სასანიტრო ინსტიტუტი, უნივერსიტეტმა მის ხელმძღვანელად 1919 წლის 30 ოქტომბერს დანიშნა პროფესორი სიმონ ამირეჯიბი. ასევე 1919 წლის 17 დეკემბერს კი პროფესორი დიმიტრი უზნაძე დაინიშნა საპედაგოგიო ინსტიტუტის დირექტორად.

ეს დღესაც ყურადსაღები დებულებაა: არც თანამედროვე საქართველოს აქვს დიდი ბიუჯეტი, რომ ფული უანგარიშოდ ხარჯოს. თუ იგი მეცნიერების არც ერთ დარგს გვერდს არ აუვლის და მათ მხოლოდ სახელმწიფოს პატრონაჟით არსებულ რამდენიმე უნივერსიტეტში მიზანმიმართულად განავითარებს, შედეგიც ისეთივე გვექნება, რაც ივანეს მეშვეობით საუკუნის წინ მივიღეთ.

ივანეს სიტყვით, **უნივერსიტეტებში „თეორიული კვლევა-ძიებაა გაბატონებული“. ტექნიკურ სასწავლებლებში კი „ყურადღება განსაკუთრებით თეორიული მეცნიერების პრაქტიკულად გამოყენებაზეა მიქცეული“**. ეს კი, ივანეს აზრით, ჩვენისთანა ერისთვის საზიანოა, რადგანაც მხოლოდ დროებითი ეფექტის მომტანია.

ჩვენ გვჭირდება თეორიული ცოდნის სრულფასოვანი დაუფლება მეცნიერების ყველა დარგში. ეს კი მხოლოდ უნივერსიტეტშია შესაძლებელი.

„სულ სხვაა უნივერსიტეტი: იქ მეცნიერება თავის მრავალმხრივობითა და მრავალფერადოვნებით სუფევს; ყველა თავის მიმართულებით, სამეცნიერო გამოცდების და ხარისხების წყალობით იქ ერთად მოღვაწეობენ სიცოცხლითა, ნიჭითა და გამბედაობით სავსე ახალგაზრდა მეცნიერნიც და სიბრძნის ბრძმედად გაკაჟებული განთქმული მეცნიერნიც. უნივერსიტეტი ამასთანავე უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებაც არის და იმავე დროს უმაღლეს მეცნიერების სასწავლებელიც, სადაც მოზარდი ახალგაზრდობა და ჭაბუკნი, მომავალი თაობა მეცნიერ-მკვლევართა მოძღვრებითა და ხელმძღვანელობით უმაღლეს მეცნიერებას ითვისებს, სამეცნიერო მუშაობას ეჩვევა და თანდათან მის თანამოაზრედ ხდება. **აქ მჭიდრო სულიერი კავშირია მეცნიერთა და მომავალ თაობას შორის. აქ შესაძლებელი ხდება მეცნიერების ცხოველი, შეუჩერებელი მიმდინარეობა და მეცნიერება დაუშრეტელ, ცოცხალ ძალად არის ქცეული. სწორედ ასეთი დაწესებულებაა ჩვენ ქართველებისთვის საჭირო“.**

სულ სხვაოო უნივერსიტეტი, ბრძანებს დიდი ივანე.

მართლაც სულ სხვა იყო ის უნივერსიტეტი, რომელიც მან შექმნა და მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, ზემოთქმული ყველა თვალსაზრისით შეასრულა.

მაგრამ განა მარტო თავისთავად უნივერსიტეტი გვიშველიდა, თუ კი იგი ზუსტად ისე არ იქნებოდა მოწყობილი, როგორც ჩვენს სატკივარს შეესაბამებოდა? ასე რომ არა, მაშინ გახსნილიყო რუსული უნივერსიტეტი და ამდენი წვალებაც არ დაგვჭირდებოდა. მას სახელმწიფისაგან შენობაც ექნებოდა, ლაბორატორიებიც და ფულიც.

პირველი და უმთავრესი ის იყო, რომ ივანესეული უნივერსიტეტი ქართული იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ მეცნიერების ყველა დარგი ქართულად უნდა ამეტყველებულიყო. ის კი არ იყო საკმარისი, რომ საქართველოში ლაბორატორიებიც გვქონოდა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები — ქიმიკოსები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები, აგრონომები, ექიმები და სხვა — გვყოლოდა,

არამედ მათი მეშვეობით საქართველოში ქართული სული დატრიალებულიყო. ეს ვერ მოხდებოდა თუკი ადამიანები დედაენაზე ფიქრსა და მეტყველებას ვერ შეძლებდნენ და კვლავ „მამიკომ რომ პეტერბურგში წაგიღო“-ს მსგავსად ისაუბრებდნენ.

ივანე ჯავახიშვილი პოლიტიკურ ვითარებასაც ითვალისწინებდა. ამ დროს ხომ რუსეთის მთელ იმპერიაში და მათ შორის საქართველოშიც დიდი პოლიტიკური დუღილი იყო. არავინ იცოდა მოვლენები როგორ განვითარდებოდა — რუსეთი დემოკრატიული განვითარების გზას დაადგებოდა და დაპყრობილ ერებს თავისუფლების ჟამი დაუდგებოდათ, თუ კვლავ ძველი მარწუხები განახლდებოდა, ამდენი სისხლისღვრა ამაოდ ჩაივლიდა და ოცნებებს კვლავ შეეკვეცებოდა ფრთები. ეს უკანასკნელი მოსაზრება რომ ახდენილიყო, მაშინ უნივერსიტეტი და მასში აღზრდილი კადრები ხომ უკეთ გამოადგებოდა ქვეყანას?

„რუსეთში რომ პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენთვის ისე უბედურად შემოტრიალდეს, — ამბობდა ივანე ჯავახიშვილი, — რომ ერობის მეტს სხვას ვერას ვეღირსნეთ, განა ამ უკიდურეს შემთხვევაშიც ჩვენთვის ქართულად განსწავლულნი ეკონომისტები, სტატისტიკოსები და ფინანსისტები საჭირონი არ იქნებიან?“

სამწუხაროდ, მართლაც ასე მოხდა და ერისათვის ივანე ჯავახიშვილის სიბრძნე ამ შემთხვევაშიც შედეგიანი აღმოჩნდა.

ივანე ქართველობას შეახსენებდა დროის მოთხოვნას, რომ ახლა ერი ისე ვერ განვითარდებაო, თუ იგი საკუთარ მრეწველობას არ შექმნისო. ამ მხრივ კი საქართველოში სავალალო მდგომარეობა იყო: „ყოველი ქართველი გრძნობს ეხლა, — ამბობდა ივანე, — რომ ჩვენი ხსნა დაუცხრომელ შრომაში, კერძო თაოსნობაში და საკუთარ მრეწველობის შექმნაშია... შეუძლებელია რაიმე ეკონომიკურ და საფინანსო პოლიტიკის წარმოება იმ ქვეყანაში, სადაც აღებ-მიცემობის, მრეწველობის ვითარება და ქონებრივი ძალა გამორკვეული და მეცნიერულად შესწავლილი არ არის. ან როგორ უნდა განვითარდეს ჩვენში თუნდ ქვამადნის დამუშავება, როდესაც ნივთიერების შემადგენლობის გამორკვევა ადგილობრივ არავის შეუძლია და ნიმუშები ანალიზისათვის ან რუსეთის, ან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში [უნდა] გაიგზავნოს ხოლმე. ამგვარად, ვგონებ ცხადი უნდა იყოს, რომ **ჩვენი ცხოვრების პრაქტიკული**

მოთხოვნილებაც ქართულ უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობას გვიკარნახებს“.

შეიძლება ეს ვინმეს გადაჭარბებად მოეჩვენოს, მაგრამ ნამდვილად ასე იყო. არაა საჭირო საგანგებო კვლევა-ძიება, მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის ერთი პირადი წერილის გახსენებაც დაგვარწმუნებს ამაში.

„ჩემო ძვირფასო ნათლიკო ... გულის ფანცქალით ვკითხულობ ჩვენი ქვეყნის ამბებს. მე იმედი მქონდა, რომ ამ წერილთან ერთად ცემენტის ქვის ანალიზის მოწმობასაც გამოვაგზავნიდი, რომ იქმნებოდა მზად, მაგრამ რევოლუციის გამო მუშაობა თურმე არ ყოფილა და სამი დღის შემდგომ უეჭველად შემპირდნენ. მაშინვე გაახლებთ..“.

ეს წერილი ეგზავნება პეტერბურგიდან საქართველოში ივანეს მეუღლის მამიდას მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს, რომლის მეუღლეს — ალექსანდრე ორბელიანს სურვილი ჰქონია საქართველოში ცემენტის წარმოება დაეწყო. სათანადო ნედლეული ხომ თეძმის ხეობაში ბლომად იყო, ხომ სწორედ ამის გამო აშენდა მოგვიანებით კასპის ცემენტის ქარხანა.

ამ წერილის დაწერის თარიღია 1917 წ.

სწორედ ამ წელს, ამ წერილის დაწერის შემდეგ, იწყება გამალებული მუშაობა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის.

და ამ ყველაფერს ამგვარი ვითარება უძღოდა წინ: საქართველოში რაიმე სახის სამეცნიერო ანალიზის ჩატარების საშუალება არ იყო.

ივანე ჯავახიშვილი იმ ამოცანასაც შემოხაზავდა, რაზეც უნდა ყოფილიყო მომავალი უნივერსიტეტის მუშაობა კონცენტრირებული: „საქართველოს და კავკასიის წარსული და აწმყო, მისი ბუნება და ადამიანი უნდა შეადგენდეს ამ ქართული უნივერსიტეტის ყოველმხრივ სამეცნიერო კვლევა-ძიების უპირველეს მიზანს“.

ამ დებულებას მოგვიანებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინაშე უფრო გაშლილად წარმოადგენს: „ჩვენს უნივერსიტეტს თავის მოქმედებისათვის იგივე სამეცნიერო მიზანი აქვს დასახული, რაც საზოგადოდ ყველა სხვა ქვეყნებისა და ერთა უნივერსიტეტებს აქვთ, მაგრამ ამასთანავე **თავის უპირველეს და უსაკუთრეს მოვალეობად მას საქართველოს, კავკასიი-**

სა და მახლობელ აღმოსავლეთის წარსულისა და აწმყოს, ადამიანისა და ბუნების ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა აქვს და მუდამ ექმნება მიჩნეული“.

ივანეს გეგმაში დაკვირვებისა და კვლევის არეალი შემოხაზულია. ესაა საქართველო, კავკასია და მახლობელი აღმოსავლეთი. ეს ის სივრცეა, სადაც ოდითგანვე უხდებოდა ქართველს ცხოვრება და მოღვაწეობა. ივანეს გეგმაში ამ ამოცანას კონკრეტული კონფიგურაცია ჰქონდა, რომელიც სალექციო პროგრამაში აირეკლებოდა. ამის შესახებ ივანე თავად აცხადებდა:

„ამის გამო ამ უნივერსიტეტის სალექციო პროგრამა შესაფერისად ვრცელი იქმნება ზემოაღნიშნულ დარგებში და ისეთს საგნებს უნდა შეიცავდეს, რომელთა ამ სახითა და ამ თვალსაზრისით ერთად შესწავლა ჯერ არც ერთს სხვა უნივერსიტეტში განზრახული არ არის. განსაკუთრებით ფართოდ იქმნება დაყენებული საქართველოსა და ქართულის შესახებ მეცნიერებათა შესწავლა. მაგალითად, საზოგადო და შედარებითი ინდოევროპული ენათმეცნიერების გარდა შემოღებულია და თანდათან უფრო გაფართოვდება ქართული ენის ისტორიული გრამატიკისა და თანამედროვე კილო-კავებისა და კავკასიის მთეულთა ენების შესწავლა“.

ქართული და ქართველური (მეგრულ-ჭანური და სვანური) კილო-კავების შესწავლასთან ერთად „მთეულთა ენებია“ დასახელებული. ივანე ერთმანეთისაგან ანსხვავებდა ცნებებს „მთიული“ და მთეული“. პირველში საქართველოს ერთ-ერთი მხარის მთიულეთის მკვიდრნი იგულისხმებოდა, ხოლო „მთეულებს“ ივანე ერთად აღებულად ჩრდილო კავკასიის მთებში მცხოვრებთ (ჩეჩნები, ინგუშები, ჩერქეზები და ა.შ.) უწოდებდა.

უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამა შემდეგნაირად იყო დაკონკრეტებული:

„მომავალ სემესტრიდან — 1918 წლის ენკენისთვიდანვე ჩვენს უნივერსიტეტში დაიწყება: აფხაზური, ოსური და ლეკურ ენების შესწავლა. სამეცნიერო ძალების და ცნობის ცოდნის მოყვარეობის გარდა, რომელიც ქართულ მეცნიერებას ამ საგნების და ენების კვლევისადმი იზიდავს, პროფესორთა საბჭო დარწმუნებულია, რომ კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის ენებისა, ისტორი-

ისა, ადამიანისა და ბუნების შესწავლა, ამ დარგებში თაოსნობის გამოჩენა და ღირსეული სამეცნიერო-შემოქმედებითი მოღვაწეობა ქართველ ერს მომავალ სახელმწიფოებრივს, საკულტურო და ეკონომიურ აღორძინების და წარმატების მტკიცე საფუძველს შეუქმნის. ამასთანავე ქართველ ერს მეზობლებთან მეგობრული კავშირი და ურთიერთობაც მაშინ შეიძლება და განამტკიცებს, როდესაც მის მეცნიერებათა და მოწინავე წრეებს ამ მეზობლების ენებისა, ზნე-ჩვეულებებისა და წარსულ-აწმყოს ღრმა ცოდნა ექნებათ. უკვე პირველ სემესტრიდან შემოღებული იყო ქართულ სიძველეთა მეცნიერება. ახლო მომავალში მოეწყობა ლექციები ქართულ ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიისა, საქართველოს ეკონომიურ ისტორიისა, საქართველოს და ამიერკავკასიის თანამედროვე ეკონომიურ ვითარებისა და მიწათმფლობელობის შესახებ, ქართული ხელოვნების ისტორიისა და ქართულ საეკლესიო ისტორიის შესახებ. ჩვეულებრივ სალექციო საგნებს გარდა განზრახულია აგრეთვე ქართულ-სპარსულისა, ბერძნულ-ქართულისა, სომხურ-ქართულისა და თურქულ-ქართული მწერლობისა და ისტორიის ლექციები და სხვა. იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც მომავალში უნდა გაიხსნას, ჩვეულებრივ რომაულ სამართლის დოგმისა და ისტორიის ლექციის გარდა შემოღებულ იქნება ბიზანტიის სამართლის ისტორიისა, მაჰმადიანურ სამართლის ისტორიისა და ქართულ და კავკასიის მთეულთა ადათების შესახებ ლექციები“.

ეს ყველაფერი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ამოცანები იყო, მაგრამ სხვა ფაკულტეტების სასწავლო პროგრამა იგივე არ-ეალით იყო განსაზღვრული: „საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე განსაკუთრებული ყურადღება საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ბუნების ყოველმხრივ შესწავლას მიექცევა. ამგვარადვე სამკურნალო ფაკულტეტზე საქართველოსა და კავკასიის და მახლობელ აღმოსავლეთის მკვიდრთა ჯანმრთელობისა და ავადმყოფობა-სნეულებათა, სამხრეთისა და ტროპიკულ ქვეყნებისათვის დამახასიათებელ გადამდებ მოარულისა და ავადმყოფობათა შესწავლა და სამეცნიერო გამოკვლევა მუდმივ მისწრაფების საგანი უნდა იყოს“.

სასწავლო პროგრამის ასეთი მიმოხილვის შემდეგ ივანე ასკვნის: „ყველა ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა გამო, ცხადია,

რომ **ჩვენს უნივერსიტეტს განსაკუთრებული თავისებურება და ღირებულებაც ექმნება“.**

ივანე არ ახსენებს, მაგრამ ჩანს, რომ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტების გვერდზე აპირებს ქართული უნივერსიტეტის დაყენებას. ამის გამოა, რომ იგი მას საგანგებო ამოცანას უსახავს. ამგვარი ამოცანა არც ერთ სხვა უნივერსიტეტს ჯერ არ ჰქონდა. მართალია, სომხებმა ქართველების კვალდაკვალ დაიწყეს უნივერსიტეტის დაარსება, მალე ანალოგიური დაწესებულების შექმნა სხვაგანაც იყო მოსალოდნელი, მაგრამ ივანე რეგიონში პირველობის ვინმესათვის გაზიარებას არ აპირებს.

ამის შესახებ მას ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია, მაგრამ წარმოდგენილი გეგმა ყოველივეზე თავად მეტყველებს.

მას მტკიცედ სჯეროდა ქართული უნივერსიტეტის წარმატების, თუმცა ამას მეტად მოკრძალებულად გამოთქვამდა: „**ყოველი ერის მეცნიერებას მსოფლიო გონებრივ შემოქმედებისათვის იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი საერთო კაცობრიობის სალაროში საკუთარს წვლილს შეიტანს და თავისებურებას გამოიჩენს**... თუ ქართველნი მეცნიერნი თავის მოვალეობას პირნათლად აასრულებენ და საკმაო ნიჭს გამოიჩენენ, ქართულს უნივერსიტეტს და ქართულ მეცნიერებას შეუძლია საჭირო თავისებურებაც გამოიჩინოს და მსოფლიო შემოქმედებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს“.

ივანე მომავალი ქართული უნივერსიტეტის ზნეობრივ სახესაც განსაზღვრავდა: „**ამ უნივერსიტეტის პროფესორები და ხელმძღვანელნი მარტო ლექციების მკითხველნი კი არ უნდა იყვნენ**, არამედ უპირველესად ყოვლისა მეცნიერნი და მკვლევარნი, რომელნიც თავიანთ ნაშრომებით მეცნიერების წარმატებას უნდა ხელს უწყობდნენ და მეცნიერებაზე ცხოველ მისაბაძავ მაგალითადაც იყვნენ მოზარდ თაობისათვის“.

დავუკვირდეთ: აქ მოღვაწე პროფესორები „მარტო ლექციების მკითხველნი კი არ უნდა იყვნენ“-ო, აცხადებს ივანე, არამედ „უპირველესად ყოვლისა მეცნიერნი და მკვლევარნი“. „მეცნიერნი და მკვლევარნი“ რომელნიც, ერთი მხრივ, მეცნიერების წარმატებაზე იფიქრებენ და მეორე მხრივ, ახალგაზრდობისათვის სანიმუშო პიროვნებები იქნებიან. პროფესორთა „მოვალეობაა თავიანთი

ნიჭი და ძალა სამეცნიერო კვლევა-ძიებას მოახმარონ, სტუდენტებს ლექციები უკითხონ და სამეცნიერო მუშაობას შეაჩვიონ“.

ქართული უნივერსიტეტიც სხვაგვარად უნდა ყოფილიყო მოწყობილი, ვიდრე ეს რუსეთსა და ევროპაში იყო. განსხვავებულობის მიღწევა თვითმიზანი კი არ იყო, არამედ კონკრეტულ ამოცანას შეადგენადა: **ქართული უნივერსიტეტი ქართულ სინამდვილეს უნდა მისადაგებოდა, რომ ქართველი ერის ტკივილისთვის ემკურნალა და მოევლო**.

რადგან მხოლოდ ერთ უმაღლეს სასწავლებელზე იყო საუბარი, იგი რა თქმა, უნდა სრული უნდა ყოფილიყო. ივანე საუნივერსიტეტო ტრადიციას ითვალისწინებდა, რომელიც უკვე საკმაოდ დარღვეული იყო, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამგვარი სულისკვეთება ჯერ კიდევ არსებობდა. საქმე ის იყო, რომ შუა საუკუნეებში, როცა ევროპა საუნივერსიტეტო ქსელით დაიფარა, ჩამოყალიბდა ტრადიცია, უნივერსიტეტში 4 ფაკულტეტი უნდა ყოფილიყო: ფილოსოფიის, იურიდიული, ღვთისმეტყველების ანუ თეოლოგიის და სამედიცინო.

დღეს ჩვენთვის ბოლო სამის არსი გასაგებია, პირველისა კი გვეუცნაურება. საქმე ისაა, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტში მეცნიერების ყველა დარგი ერთად, ფილოლოგიით დაწყებული და ფიზიკით დამთავრებული, იგულისხმებოდა. სიტყვა „ფილოსოფიას“ ევროპაში ასეთი ფართო შინაარსიც ჰქონდა.

მაგრამ ერთბაშად ეს ვერ მოხერხდებოდა ქონებრივი ხელმოკლეობისა და კადრების ნაკლებობის გამო. ამიტომ, ივანეს აზრით, **ქართული უნივერსიტეტი თანდათან უნდა გაზრდილიყო და ნელ-ნელა გამხდარიყო სრული**. ჯერ სოციალური და ჰუმანიტარული დარგები უნდა ამოქმედებულიყო, შემდეგ მათ სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო დარგები შეუერთდებოდა. ეს იქნებოდა სწორედ ფილოსოფიის ფაკულტეტის კომპონენტები. მერე სამედიცინო და ბოლოს იურიდიული მეცნიერებები დააგვირგვინებდა ყველაფერს.

„მომავალი ქართული უმაღლესი სასწავლებელი რასაკვირველია სრული_უნივერსიტეტი უნდა იყოს და ყველა ფაკულტეტებს შეიცავდეს. — წერდა ივანე, — იქ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტებიც უნდა გვქონდეს, რომელიც გერმანულ უნივერ-

სიტეტების ფილოსოფიურს, ხოლო რუსულს ისტორ.-ფილოლოგიურსა და ფიზიკურ-სამათემატიკო ფაკულტეტებს უდრის, ამის გარდა სამართლის მეცნიერების ანუ იურიდიული და სამკურნალო ფაკულტეტიც უნდა იყოს“.

ივანეს გეგმით, ქართულ უნივერსიტეტში რელიგიურ მოძღვრების კვლევასა და სწავლებას სათანადო ადგილი უნდა დათმობოდა. უნივერსიტეტის დაარსების მზადების ადრეულ პერიოდში ივანე მსჯელობდა რელიგიის სწავლებისათვის ცალკე ფაკულტეტი იყო საჭირო თუ არა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ცალკე ფაკულტეტი არ შექმნილიყო, მაგრამ რელიგიის კვლევა და სწავლება აუცილებლად ყოფილიყო. საინტერესოა იმ ადრინდელი მსჯელობის გაცნობა. აი, რა შემოგვინახა არქივის ფურცლებმა:

„სასურველია, რომ ის სამეცნიერო საგნები, რომელსაც გერმანულს საპროტესტანტო და საკათოლიკე საღვთისმეტყველო ფაკულტეტებზე ასწავლიან ქართულ მომავალ უნივერსიტეტშიაც იყოს ან ცალკე ღვთისმეტყველების ფაკულტეტის სახით, ან იქნებ სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიურ ფაკულტეტის სალექციო გეგმასა და სიაში იყოს შეტანილი. თუნდაც რომ ცალკე ღვთისმეტყველების ფაკულტეტი შეიქმნას, მას პრაქტიკული ხასიათი კი არ უნდა ჰქონდეს, იქ მღვდელმსახურებისათვის კი არ უნდა ამზადებდნენ, არამედ მხოლოდ მეცნიერულ თვალსაზრისით ხელმძღვანელობდნენ და მის ერთადერთ მიზნად საზოგადოდ სარწმუნოებათა და განსაკუთრებით საქრისტიანო დოღმატიკის, მწერლობის, მთარგმნელობის, ლიტურღიკის, საეკლესიო სამართლისა, წესწყობილებისა და ზნე-ჩვეულებათა მეცნიერულ-ისტორიულ შესწავლა უნდა დაისახოს“.

ივანე წარმოადგენს თავის თვალსაზრისს რწმენის შესახებ: „ჩვენში ბევრნი სარწმუნოებას ალმაცერად უყურებენ და ამის გამო თავიანთ ღირსების დამამცირებლად მიაჩნიათ საღვთისმეტყველო მეცნიერებაზე სჯა-ბაასიც-კი. მაგრამ ამ შემთხვევაში ფრიად სამწუხარო ცნებათა აღრევა და გაუგებრობაა. რწმენა და ამა თუ იმ სარწმუნოების აღსარება ან უარყოფა და ურწმუნოება რასაკვირველია ყოველ ადამიანის პირადი შეგნებისა და გრძნობის საქმეა, მაგრამ სულ სხვაა სარწმუნოებათა ისტორიულ-მეცნიერ-

ული შესწავლა. შეიძლება ადამიანი ურწმუნოც იყოს, მაგრამ რომ სარწმუნოებას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და იგი ადამიანთა მოდგმის სულიერ შემოქმედების ერთ-ერთ უძლიერეს დარგის გამოხატულობაა, ამის უარყოფა არავის შეუძლიან. რაკი ჰუმანურ მეცნიერებათა მიზანი ადამიანის სულიერ შემოქმედების ყოველმხრივ გამოხატულობის შესწავლაა, ამიტომ თეორიულ მეცნიერებაც მოვალეა სარწმუნეოებათა მეცნიერულ-ისტორიული შესწავლა თავს იდვას".

საბოლოოდ მეცნიერის დასკვნა ასეთი იყო: „საქრისტიანო და სამაჰმადიანო საღმრთო წერილისა (დაბადების, სახარების, ყურანის და სხვათა) წარმოშობისა და თანდათანი განვითარების ისტორია მაგალითად იმდენად საგულისხმიერო და დიდმნიშვნელოვანი საგანია, რომ იქ, სადაც ამ საგნებს მეცნიერი-მკვლევარი არა ჰყავს, უნივერსიტეტიც სრულ სამეცნიერო უმაღლეს დაწესებულებად ვერ ჩაითვლება. ამის გამო ცალკე ფაკულტეტის სახით, თუ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტში ჩართვით მომავალში მაინც ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტში საღვთისმეტყველო მეცნიერებათა ლექციებიც უნდა შემოღებულ იქმნას".

შუა საუკუნეების ტრადიცია ივანეს ბოლომდე არ დაუცავს, არც ევროპის ბევრ უნივერსიტეტისთვის მიუბაძია და პირველ ქართულ უნივერსიტეტში რელიგიის კვლევა და სწავლება ცალკე ფაკულტეტის სახით არ დაფუძნებულა. იგი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ფარგლებში იქნა მოქცეული.

ამდენად, ივანეს აზრით, ქართული უნივერსიტეტი სამი ფაკულტეტით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. „ქართულ თავისუფალ სრულს უნივერსიტეტში შემდეგი ფაკულტეტები იქმნება: 1. სიბრძნისმეტყველებისა ანუ ფილოსოფიური საბუნებისმეტყველო და სასოფლო-სამეურნეო განყოფილებითურთ; 2. სამართლის მეცნიერების ანუ იურიდიული და 3. სამკურნალო".

დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ თითქოს ივანემ ქართული უნივერსიტეტი გერმანული მაგალითის საფუძველზე შექმნა. ვგონებ, რომ ეს არ შეესაბამება სიმართლეს. **ივანემ მხოლოდ გაითვალისწინა ყველა მაშინ საუკეთესო უნივერსიტეტის მაგალითი და მათ საფუძველზე მხოლოდ ახალი უნივერსიტეტის მოდელი შექმნა — ქართული უნივერსიტეტი**. სამწუხაროდ, საბჭოთა წლებ-

ში ყოველივე ისე შერყვნეს, რომ ჩვეულებრივ რუსულ უნივერსიტეტს დაამსგავსეს და დღესაც არავინ ცდილობს მისგან ბოლომდე განთავისუფლებას. ეტყობა, სრულად მოქმედებს ანდაზისეული სიბრძნე: „დასაჩვევს ნუ დამაჩვევ და გადასაჩვევს ნუ გადამაჩვევო“. ივანე მიზანშეწონილობის გათვალისწინებით მოქმედებდა, დღეს კი ეს მიზანშეწონილობა კონიუქტურამდეა დასული.

უცხოურის გათვალისწინება და უცხოურის გავლენა ანუ პირდაპირ გადმოტანა ერთი და იგივე არაა. ამის თაობაზე თავად ივანემ 1938 წ. აღნიშნა: „მე უნდა მოგახსენოთ, რომ **არავითარი კავშირი ამ გერმანული უნივერსიტეტის პროგრამებთან არ ყოფილა**. არსებითად ეს იყო გამოწვეული მიზანშეწონილობით. ჩვენ ცალკე ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის, ფიზიკა-მათემატიკური და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შექმნა არ შეგვეძლო. ხალხი არ გვყავდა და ერთი გაერთიანებული ფაკულტეტის შექმნისთვის კი ძალა მოიპოვებოდა... იმ დროს, უნდა მოგახსენოთ, გერმანიის უნივერსიტეტი ყველაზე მაღლა იდგა, — რომ მიგვებაძა, არაფერს სასირცხოს არ წარმოადგენდა. მაგრამ შემდეგში დაგვჭირდა აგრონომიული ფაკულტეტი და პოლიტექნიკური, ასეთი გერმანიას არ მოეპოვებოდა, ამერიკის გარდა, შეიძლება ადამიანს ეთქვა, ამერიკას ბაძავთო. **არაფერი მიმბაძველობის მსგავსი არ ყოფილა მაშინ, მიზანშეწონილობის გარდა**“.

მაშასადამე, მიმბაძველობა ანუ ბრმა გადაღება არ ყოფილა, მაგრამ უნივერსიტეტის მშენებლობის გზაზე უვარგისის და გამოუსადეგარის დაწუნება, რა თქმა უნდა, ხდებოდა. ეს რა თქმა უნდა, სასწავლო პროგრამების დაგეგმვაში გამოჩნდა.

„საუნივერსიტეტო საგნების სივრცე და მრავალფეროვნება სამეცნიერო დარგებისდა მიხედვით სპეციალობას აუცილებელ საჭიროებად ხდის. ამის გამო რუსეთის უნივერსიტეტებში განსაკუთრებული განყოფილებანი არსებობენ (კლასიკური, საისტორიო, რომანულ-გერმანული, რუსული და სლავური). **რაკი ამგვარი დანაწილება მხოლოდ პრაქტიკულ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არის შექმნილი და მკვიდრ სამეცნიერო საფუძველზე აგებული არაა, ამიტომ ამგვარი დანაწილება ტფილისის უნივერსიტეტში უარყოფილია**“.

ივანემ დაიწუნა უნივერსიტეტის ფაკულტეტებად თუ განყოფილებებად დანაწილების თემატური და რეგიონალური პრინციპი. იგი „მხოლოდ პრაქტიკულ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად“ არისო შექმნილი. სწორედ ეს იყო რუსული მოდელი, რომელიც ჩვენში დღესაც გამოიყენება. ივანეს აზრით, სამოსწავლო გეგმა „მკვიდრ სამეცნიერო საფუძველზე“ უნდა ყოფილიყო აგებული. მან სრულიად ახალი რამ შემოგვთავაზა, რომელსაც არც ანალოგი ჰქონდა და ოპტიმალურობითაც ვერც ერთი შეედრებოდა.

რუსული მოდელის „მაგიერ სტუდენტების სახელმძღვანელოდ შედგენილია მხოლოდ სანიმუშო სამეცნიერო-სამოსწავლო გეგმა, რომელიც იმ საზოგადო დებულებაზეა დაფუძნებული, რომ ჰუმანური ცოდნის შეძენა და მეცნიერების შესწავლა შეიძლება ან 1. ფილოსოფიურის თვალსაზრისით, ან 2. ფსიქოლოგიურად, ან 3. ენათმეცნიერების მხრით, ან 4. ხელოვნების თვალსაზრისით (სიტყვიერების ხელოვნება და ხატოვან-ნივთიერი ხელოვნება), ან 5. ისტორიულად, ან 6. სოციალ-ეკონომიურ თვალსაზრისით“.

ივანეს კონცეფციით მეცნიერებას ძირითადად ორი მიმართულება აქვს; ერთი, ის რაც ადამიანთანაა დაკავშირებული და მეორე, რაც ბუნებას შეეხება. „საქართველოს და კავკასიის წარსული და აწმყო, მისი **ბუნება და ადამიანი** უნდა შეადგენდეს ამ ქართულ უნივერსიტეტის ყოველმხრივ სამეცნიერო კვლევა-ძიების უპირველეს მიზანს“.

რელიგიის სამეცნიერო შესწავლას იგი, სრულიად ბუნებრივად, პირველთან ვარაუდობს. ღვთისმეტყველების დარგი „ან ცალკე ფაკულტეტის ან იქნებ სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიური ფაკულტეტის სალექციო გეგმასა და სიაში იყოს შეტანილი“ და „მას პრაქტიკული ხასიათი არ უნდა ჰქონდეს, იქ მღვდელმსახურებისათვის კი არ უნდა ამზადებდნენ, არამედ მხოლოდ მეცნიერულ თვალსაზრისით ხელმძღვანელობდნენ“. იურიდიული და სამედიცინო დარგები კი ძირითადად პრაქტიკული დანიშნულების სფეროებია და ისინი ევროპული ტრადიციისამებრ ცალკე ფაკულტეტების სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

ზემოთ წარმოდგენილი გეგმა მხოლოდ პირველს ანუ ადამიანის შესწავლას ანუ „ჰუმანური ცოდნის“ შეძენას ისახავს მიზნად. ამგვარი გეგმა ბუნების შესწავლისთვის მას, სამწუხაროდ,

არ შეუდგენია. მაშინ ეს საკითხი ჯერ არ იდგა დღის წესრიგში. ქართული უნივერსიტეტის გახსნისას საბუნებისმეტყველო დარგების სწავლება არ იგეგმებოდა, იგი მხოლოდ მომდევნო სემესტრიდან უნდა დაწყებულიყო და მათზე ზრუნვა სათანადო დარგის წარმომადგენლებისთვის იყო მინდობილი. ამ ჯგუფმა, პ. მელიქიშვილის, ალ. ჯავახიშვილისა და ა. ხარაძის მონაწილეობით, მართლაც შეიმუშავა სათანადო გეგმა.

ივანე ჯავახიშვილის მიერ აქ წარმოდგენილი გეგმა კი შეეხება სოციალურ და ჰუმანიტარული მეცნიერებების მთელ სპექტრს. ჩემი აზრით, იგი დღესაც თავისუფლად შეიძლება საფუძვლად დაედოს საბაკალავრო განათლებას, რომელიც შემდეგ სამაგისტრო საფეხურზე უამრავ განშტოებად განიტოტება. ამით მაგისტრებს საბაკალავრო დონეზე მართლაც რომ მტკიცე და მკვიდრი საფუძვლიანი განათლება ექნებათ მიღებული.

ზემოთ მოცემულ სამეცნიერო დარგები, ივანეს მიხედვით, მთლიანად შედიოდა „სიბრძნისმეტყველების“ ფაკულტეტში. სიტყვა „სიბრძნისმეტყველება“ ივანეს მიერ შექმნილი ტერმინია და მთელი სისავსით რომ ვიგრძნოთ სიტყვათქმნადობის ეს პროცესი, სჯობს მის ავტორს დავუთმოთ სიტყვა:

„...ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი ზემონახმარ ტერმინის „სიბრძნისმეტყველების“ ფაკულტეტის განსამარტავად და გასამართლებლად. ფილოსოფიური ფაკულტეტი გერმანიაში ენათმეცნიერების, საკუთრივ ფილოსოფიურ საგნების, სიტყვიერების, ისტორიის, ხელოვნების, პოლიტიკურ ეკონომიისა, სახელმწიფო სამართლის და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო მეცნიერებას შეიცავს. **ამ შემთხვევაში „ფილოსოფიური“ ფაკულტეტი ძველ, ფართო მნიშვნელობით არის ნახმარი და მეცნიერების ჰუმანურ-სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო დარგების შემცველია. მეცნიერული აზროვნების მრავალმხრივობისა და საფუძვლიანობისათვის სასურველია რომ ეს სამი უმთავრესი დარგი მართლაც ერთად იყოს**. მათ შორის მრავალი საერთო სამეცნიერო კვლევის საგნებიცაა. და თუ ეს შეხედულება შესაწყნარებელი იქმნება მომავალ ქართულ უმაღლეს სასწავლებლისათვის, უნდა შესატყვისი ტერმინი შექმნილიყო. ფილოსოფიას ქართულში ვიწრო, საკუთრებითი მნიშვნელობა ჰქონდა და ეხლაცა აქვს და ამიტომ ჩვენ

მიზნისათვის არ გამოდგებოდა. სამაგიეროდ „სიბრძნე“ ამისთვის შესაფერისია; მას ძველადაც მუდამ ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და ეხლაც ამგვარადვე ფართოდ იგულისხმება. შოთას უკვდავი ქმნილებაც ცხადჰყოფს, რომ „სიბრძნე“ მაშინ იმგვარადვე ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც დასავლეთ ევროპაში და გერმანიაში ძველად სიტყვა ფილოსოფია ესმოდათ. „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“-ო, ნათქვამია ვეფხისტყაოსანში. მაშასადამე, პოეზიაცა და ხელოვნებაც „სიბრძნე“-დ ითვლებოდა. ეს ტერმინი ფართო ცნების შემცველი ყოფილა და მას ცოდნის სხვადასხვა დარგი ჰქონია. აი ამის გამო ვგონებ გერმანულ „ფილოსოფიურ ფაკულტეტი“-ს გადმოსაცემად ქართულად „სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი“ უნდა ვიხმაროთ“.

მოხმობილ ამონარიდში „სიბრძნისმეტყველების“ ფაკულტეტში სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო დარგებიცაა დასახელებული. დიახ, სანამ უნივერსიტეტი მომძლავრდებოდა, მხოლოდ ერთი ფაკულტეტი უნდა ყოფილიყო, რომელშიაც „სიბრძნის“ არა ცალკეული, არამედ ერთგვაროვანი დარგები განყოფილებებად იქნებოდნენ წარმოდგენილნი. შემდეგში შესაძლოა სოციალური და ჰუმანიტარული დარგები სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტში დარჩენილიყვნენ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ცაკლე ფაკულტეტად ჩამოყალიბდებოდა.

მომავალში ეს ასეც მოხდა.

მაგრამ მალე, საქართველოს გასაბჭობისთანავე, მეცნიერების ეს დარგები — ჰუმანიტარულიც და საბუნებისმეტყველოც ერთ ფაკულტეტად გააერთიანეს და მას პედაგოგიური ფაკულტეტი უწოდეს. ამ სახეცვლილებით კვლევითი შინაარსი დაკნინდა, თუმცა ძლიერ ფუნდამენტზე დაფუძნებული უნივერსიტეტი, ჯიუტად განაგრძობდა დასახული მიზნისკენ სვლას.

ქართული უნივერსიტეტის გამორჩეულობა სამეცნიერო ხარისხის მოპოვების წესშიც იყო. „ჩვენი უნივერსიტეტის სათანადო ღირსება უცხოეთის სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით იმ გარემოებითაც იქნება უზრუნველყოფილი, რომ როგორც ძირითად დებულებათა მე-11 §-დან სჩანს იქ პროფესორს უეჭველად დოქტორის ან მოძღვართ-მოძღვარის სამეცნიერო ხარისხი უნდა ჰქონდეს,“ — წერდა ივანე ჯავახიშვილი.

რუსეთში მეცნიერს დისერტაციის დაცვა ორჯერ უწევდა — ჯერ სამაგისტრო და შემდეგ სადოქტორო. ბევრ ევროპულ ქვეყნებშიც ასე იყო. ივანემ დაიწუნა ეს მოდელი და ევროპის ზოგიერთ უნივერსიტეტის მსგავსად ქართული უნივერსიტეტისათვის სავალდებულოდ მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვის მოთხოვნა დააწესა. ამის დასაბუთება ივანეს ჩვენთვის წერილობით არ დაუტოვებია, მაგრამ უნივერსიტეტის დაფუძნების პროცესში ამაზე მსჯელობა აუცილებლად იქნებოდა. საქმე ისაა, რომ დისერტაციის დაცვა დისერტანტის სამეცნიერო მომზადებისა და მკვლევრად ჩამოყალიბების დონეს ასახავს. ამიტომ ერთხელ დაცვა საკმარისია პირის სამეცნიერო საზოგადოების წევრად აღიარებისათვის. დანარჩენი კი მის მუყაითობასა და გაქანებაზეა დამოკიდებული — თუ როგორ წარმართავს საკუთარ სამეცნიერო კარიერას.

ამას გარდა ალბათ, რეალური ვითარებაც ქართული უნივერსიტეტის მამებს მხოლოდ ერთი დისერტაციის მოთხოვნის დაწესებას კარნახობდა. მაშინ ხომ ქართველი მეცნიერები ძალზე ცოტა იყო და დისერტაციის დაცვა ორჯერ რომ დაეწესებინათ, უნივერსიტეტის პროფესორების გუნდს ვერც ჩამოაყალიბებდნენ.

მთელ ამ პროცესში ისიცაა ღირსსაცნობი, რომ ივანე ყველა უცხოური ტერმინის გაქართულებას ცდილობს. სამეცნიერო ხარისხს „დოქტორი“ იგი ქართულ „მოძღვართ-მოძღვრს“ უწოდებს. ასე უდგება სხვა ტერმინებსაც. მაგ.: „პრივატ-დოცენტს“ „კერძოდოცენტს“ უწოდებს, „ორდინარ პროფესორს“ „ჩვეულებრივ პროფესორს“ და „ექსტრაორდინარ პროფესორს“ „არაჩვეულებრივ პროფესორს“.

რატომ უსადაგებს ივანე უცხოურ „დოქტორს“ ქართულ „მოძღვართ-მოძღვარს“? იგი გელათის აკადემიის მაგალითით სარგებლობდა. ის პირი ვინც გელათის აკადემიაში ახალგაზრდებს ასწავლიდა მოძღვარი ერქვა. ხოლო ამ მოძღვრების უფროსს — მოძღვართ-მოძღვარი. რადგან უცხოეთში დოქტორის ხარისხის მქონეს პროფესორის თამამდებობა ეკავა, ამიტომ ქართულ უნივერსიტეტში პროფესორის შესაბამისი „მოძღვართ-მოძღვარი“ უნდა ყოფილიყო, ხოლო ამ უკანასკნელის ქვემოთ მოძღვარი იყო, ანუ მაგისტრი და შესაბამისად, პრივატ-დოცენტი თუ დოცენტი.

ქართულ უნივერსიტეტში პროფესორთა სხვადასხვა რანგები არ იყო გათვალისწინებული. ამ მხრივ, ივანე გაცილებით შორს წავიდა, ვიდრე ეს რუსეთის უნივერსიტეტებში იყო. „ქართულ უნივერსიტეტში არსებობს მხოლოდ კერძო დოცენტობა... არც დოცენტობა და არც საექტრაორდინარო და საორდინარო პროფესორობა არ უნდა არსებობდეს. **რაკი მოძღვართ-მოძღვრობის ხარისხის მქონებული ფაკულტეტის მიერ არჩეულია პროფესორად და საბჭოს მიერ დამტკიცებულია და სავალდებულო სამეცნიერო დარგი აქვს ჩაბარებული, ის სხვებისაგან უფლებით არ განირჩევა.** პროფესორთა შორის განსხვავება მხოლოდ სამსახურის წლოვანებაზეა დამოკიდებული და ამასაც მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობისათვის აქვს მნიშვნელობა“.

სიტყვა „პროფესორი“ ლათინური ენიდან მომდინარეობს. იგი ძვ. წ. I საუკუნეში გრამატიკისა და რიტორიკის მასწავლებლის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა, შუა საუკუნეებში კი სასულიერო სკოლის მასწავლებელს აღნიშნავდა, ხოლო XII ს-დან უკვე უნივერსიტეტის მასწავლებელს უწოდეს.

რუსეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც დაწესებული იყო ორდინალური და არაორდინალური პროფესორის რანგები. პირველი პროფესორის უმაღლეს რანგს აღნიშნავდა. მისი მოვალეობა იყო ლექციის კითხვა, თავის სამეცნიერო დარგში კვლევის ჩატარება, სასწავლო და მეთოდური საქმიანობის წარმართვა და სტუდენტების სამეცნიერო მუშაობის ხელმძღვანელობა. ექსტრაორდინარი ანუ არაორდინარი პროფესორი კი ექვემდებარებოდა ორდინარ პროფესორს და მისი მითითებების შესაბამისად მუშაობდა. გარდა ამისა, არსებობდა „დამსახურებული პროფესორის“ წოდებაც. იგი პროფესორს გარკვეული სამეცნიერო დამსახურებისა და უნივერსიტეტში მუშაობის ხანგრძლივობის მიხედვით ენიჭებოდა. ამ წოდების ხიბლი იმაში მდგომარეობდა, რომ მის მფლობელს ყველაზე მაღალი ანაზღაურება ჰქონდა.

ივანეს გეგმით, ქართულ უნივერსიტეტში აკადემიური წოდების მხოლოდ ერთი რანგი — პროფესორის წოდება წესდებოდა. თავდაპირველად არც დოცენტის წოდება უნდა ყოფილიყო. მხოლოდ პრივატ-დოცენტის წოდება იყო დაშვებული. თუმცა მოგვიანებით დოცენტის წოდება იქნა შემოღებული და არა პრივატ-დოცენტისა.

სიტყვა „დოცენტი“ ლათინურია და სწავლებას ნიშნავს. ბევრ უნივერსიტეტში იგი დაახლოებით ექსტრაორდინარ პროფესორს უახლოვდება. რაც შეეხება პრივატ-დოცენტს, იგი ენიჭებოდა სამაგისტრო დისერტაციადაცულ ახალგაზრდა მეცნიერს, რომელსაც მომავალში პროფესორის წოდების მიღება სურდა. მას ლექციის კითხვის, სემინარის ჩატარებისა და სტუდენტებისაგან გამოცდების მიღება შეეძლო.

ქართული უნივერსიტეტი აგრეთვე იმ მხრივ იყო პროგრესული, რომ თავისი წესდებით სტუდენტებად და მსმენელებად ორივე სქესის წარმომადგენლებს კარს უხსნიდა. ასე მაშინ სხვა უნივერსიტეტებში არ იყო და ქალებს ეკრძალებოდათ სტუდენტად ან მსმენელად ყოფნა.

სტუდენტს სპეციალობის არჩევისა თუ მისი დაუფლებისათვის შეეძლო საკუთარი შეხედულებებით ემოქმედა. კერძოდ, მას შეეძლო უნივერსიტეტის მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამა არ მიეღო და საკუთარი სურვილით აერჩია საგნები. „სტუდენტს ან მსმენელს თითონაც უფლება აქვს თავის სამეცნიერო მისწრაფებისა და სურვილის მიხედვით სხვა საკუთარი გეგმა შეადგინოს და ამ გეგმისდა თანახმად შეიძინოს უნივერსიტეტში სამეცნიერო ცოდნა“.

ქართულ უნივერსიტეტს მეცნიერების სამსახური უკეთ რომ შესძლებოდა, მას შესაფერისი პირობებიც უნდა ჰქონოდა შექმნილი. ეს, პირველ რიგში, სამართლებრივად უნდა ყოფილიყო მოგვარებული. ივანეს მიერ შედგენილ წესდებაში უნივერსიტეტის დამოუკიდებლობა ანუ ავტონომია გარანტირებული იყო. ამის შესახებ ივანე წერდა: „**ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტს სრული ავტონომია აქვს.** სამეცნიერო და სამოსწავლო საქმეების განგება აგრედვე შინაური წესწყობილება პროფესორთა საბჭოს უცილობელი უფლებაა. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვისდა მიხედვით ხარჯების გაწევაც მისივე საქმეა. უნივერსიტეტთან არსებობს მხოლოდ საკონტროლო საბჭო. იქ მონაწილეობას იღებენ ყველა იმ დაწესებულებათა და ქველმოქმედთა წარმომადგენელნი, რომელნიც უნივერსიტეტის შესანახავად ყოველწლიურად განსაზღვრულს სახსარს გამოიღებენ ან ერთდროულად ძირითად თანხად დიდს სათავნოსა შესწირავენ. ეს საბჭო მოვალეა უნი-

ვერსიტეტის გამგეობის მიერ წარდგენილი ანგარიში განიხილოს და ყველა გასამართლებელი საბუთების გაშინჯვის შემდგომ ანგარიშის შესახებ თავისი დასკვნა გამოსთქვას, უნივერსიტეტის საბჭოს და თავიანთ დაწესებულებას აცნობოს“.

ივანესთვის სულ ერთი არაა რა ბედი ეწევა ახალდაარსებულ დაწესებულებას. იგი მის პრესტიჟს ამთავითვე უფრთხილდება და ზრუნავს მასზე. ეს კი, პირველ რიგში, აქ მოღვაწე პროფესორთა შემადგენლობაზეა დამოკიდებული.

„რომ **ქართულ თავისუფალს უნივერსიტეტს ამთავითვე შესაფერისი გავლენიანობა ჰქონდეს**, მეცნიერების ყველა საჭირო უფლებებით უნდა იყოს აღჭურვილი და მომავალში თავისთვის სამეცნიერო მოღვაწეთა შექმნისა და შერჩევის უფლება მოეპოვებოდეს, საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ პროფესორთა თავდაპირველს შემადგენლობაში ყოველს წევრს სამეცნიერო ხარისხისათვის გამოცდა ჩაბარებული და დისერტაციაც რუსეთში სამაგისტრო, უცხოეთის უნივერსიტეტისა სადოქტორო დაცული ჰქონდეს. ვისაც მხოლოდ გამოცდა აქვს ჩაბარებული, ის პროფესორის მოვალეობის აღმსრულებლად უნდა ითვლებოდეს. რაკი როგორც ერთი მხრივ რუსეთის ყველა უნივერსიტეტების წარმომადგენელთა მიერ სამკურნალო დოქტორობის ხარისხი ლექციების კითხვის უფლების მისაღებად საკმარისი არ არის, ამიტომ სამკურნალო ფაკულტეტისათვის საჭირო პირობების შემუშავება და სხვების მოწვევა იმ ქართველ მეცნიერ მკურნალთა საქმეა, რომელნიც სხვადასხვა უნივერსიტეტებში პროფესორებად და დოცენტებად არიან და ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტში გადმოვლენ. რა წამს ქართულ უნივერსიტეტების ფაკულტეტებში ყოველ დარგისათვის სამეცნიერო ხარისხით აღჭურვილნი პროფესორები თავმოყრილნი იქმნებიან, თვით ქართულ უნივერსიტეტის კოლეგიას შეუძლიან შესატყვის მომზადების მქონენი სამეცნიერო ხარისხისათვის გამოსცადოს და დისერტაციის წარმოდგენისა, განხილვისა ფაკულტეტში და საჯაროდ დაცვის შემდგომ შესაფერისი სამეცნიერო ხარისხი მიანიჭოს. ამას გარდა მეცნიერების წინაშე განსაკუთრებული და თვალსაჩინო ღვაწლის გამო ქართულ უნივერსიტეტს უფლება ექმნება ცნობილს მეცნიერს honoris causa სამეცნიერო ხარისხი მიანიჭოს. თავის-

დათავად ცხადია, რომ ქ[ართულ]ლ თავისუფალ უნივერსიტეტ-ის მიერ მინიჭებულს სამეცნიერო ხარისხებს მხოლოდ თვით ამ უნივერსიტეტისათვის ექმნება ძალა და მნიშვნელობა. ერთბაშად სრული უნივერსიტეტის გახსნა ყველა ფაკულტეტებითა და ყველა საგნებით ჩვენ რასაკვირველია არ შეგვიძლიან. ამიტომ უნდა ეხლავე გეგმა შემუშავდეს და თანდათანობით ამ გეგმის განხორციელებას შევუდგეთ. ყველაზე უწინარეს სიბრძნისმეტყველების ანუ საფილოსოფიო ფაკულტეტი გაიხსნას და იმავე დროს მეცნიერების იმ დარგებისათვის, რომელთა წარმომადგენელნი გვაკლია, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლადამთავრებულთაგან ნიჭიერნი ქართველ პროფესორთა კოლეგიის მიერ არჩეული იყვნენ და საზღვარგარეთ სამეცნიერო სრული უნივერსიტეტის შექმნაც შესაძლებელი იქმნება“.

ამიტომ ივანე ჯავახიშვილი ზრუნავს თითოეულ წევრზე. მოვიყვან ერთ მაგალითს. იგი 1917 წ. 27 ოქტომბერს წერილს უგზავნის გ. ახვლედიანს, სადაც ვკითხულობთ:

„საქმე მეცნიერულად ღირსეული დაწესებულების შექმნაა. ამ მხრივ ყოველ ქართველ მეცნიერს დიდი პასუხისმგებლობა აწევს კისერზე. ამ ერთი წლის წინათ თქვენთან საუბრის დროს მე გაგიზიარეთ ეს აზრი და მოხარული ვარ, რომ მაშინაც და ეხლაც, თქვენ ამ დიად ეროვნულ საქმის მონაწილეობა მოისურვეთ. კერძო უმაღლეს სასწავლებლების შესახები კანონისდა თანახმად და ჩვენ უნივერსიტეტის წესდებითაც პროფესორობა მხოლოდ სამეცნიერო ხარისხის მქონებელს შეუძლიან. ვისაც მხოლოდ სამაგისტრო გამოცდა აქვს ჩაბარებული, ის, სანამ დისერტაციას დაიცავდეს, პროფესორის მოვალეობის აღმასრულებლად იწოდება. ეხლა რაკი, თქვენ სამაგისტრო გამოცდები მთლად ჩაბარებული არა გაქვთ, ეხლავე პროფესორის თანამდებობის აღმასრულებლად ვერ აგირჩევთ, არამედ მეცნიერ ხელმძღვანელად და ლექციების კითხვას შეუდგებით. გაზაფხულზე რომ გამოცდებს დაამთავრებთ, მაშინვე პროფესორის თანამდებობის აღმასრულებლად აგირჩევთ, ხოლო თუ დისერტაციასაც დაიცავთ, პირდაპირ კათედრას მოგცემთ. ეხლა რაკი რუსეთში საქმეები ასე აირია და ღმერთმა უწყის მომავალი რას უქადის მას, ამიტომ ძალიან გთხოვთ ეცადოთ, რომ თუ შესაძლებელი იქმნება გამოცდები მანდვე

ხარკოვში დაამთავროთ. ამით თქვენც თავითგან მოიშორებთ ამ პირველს, მაგრამ აუცილებელს საფეხურს და თვით ჩვენ უნივერსიტეტისათვისაც უკეთესი იქმნება სამინისტროს თვალში, რომელსაც უნდა პროფესორთა სია წარვუდგინოთ, რომ ხარისხისა და მაგისტრანტობის მქონებელნი მაინც ბევრნი გვყანდეს“.

ივანე საგანგებოდ ჩერდება **უნივერსიტეტის მუშაობის კალენდარზეც**.

„რუსულ უნივერსიტეტების ნაკლი სწავლის ხანმოკლეობაა: 5-6 თვე და თანაც მრავალი დღესასწაულები. ეს ორივე ნაკლი ჩვენ უნდა თავითგან ავიცილოთ და იმის გარდა, რომ კვირის გარდა სხვა ყველა უქმე დღეებში ჩვენ ლექციები და სწავლა გვექნება, თვით სამოსწავლო წელიწადი 9 თვეს გასტანს, ენკენისთვეში დაიწყება და მაისის დამლევს გათავდება. საშობაოდ და სააღდგომოდ უქმეები თითო კვირამდე უნდა შევამციროთ. ლექციები და სწავლა დილითგან საღამომდე, რომ თავისუფალ მსმენელებს საშუალება ჰქონდეთ ლექციები მოისმინონ“.

თუ კარგად ჩავუღრმავდებით ამ საკითხზე მის მსჯელობას, საღღეისოდაც აქტუალურს ბევრს აღმოვაჩენთ.

უნივერსიტეტში სწავლა ენკენისთვეში (სექტემბერში) უნდა დაიწყოსო, ბრძანებს ივანე. მართალია, რიცხვი მითითებული არაა, მაგრამ აქ პირველი სექტემბერი უნდა იგულისხმებოდეს. სხვა შემთხვევაში რიცხვი აუცილებლად იქნებოდა განსაზღვრული. პირველ სექტემბერს სწავლის დაწყება ყველაზე ოპტიმალურია, რადგანაც შემდეგ ერთი სასწავლო წლის ორივე სემესტრი კარგად ლაგდება.

ასეთ ვითარებაში პირველი სემესტრი ლოგიკურად საშობაო არდადაგებისთვის დამთავრდება. მართალია, რიცხვი და თვე ზუსტად დასახელებული არაა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ შობის თარიღად 7 იანვარია ნაგულისხმევი ჩვენში შობის ძველის სტილით ათვლის გამო.

სააღდგომო არდადაგების ერთი კვირით განსაზღვრა და საგაზაფხულო სემესტრის მაისის ბოლოს დასრულებაც ოპტიმალური გაანგარიშებაა.

დარჩენილი 3 თვე სტუდენტების პრაქტიკებისთვისა და დასვენებისთვის, ხოლო პროფესორებისათვის, როგორც მაშინ იყო

ევროპაში და რუსეთში მიღებული, უცხოეთის უნივერსიტეტებში სამუშაოდ და დასვენებისთვის საკმაო იყო. ივანეს ზემოთ მოცემულ ძუნწ ჩანაწერში ეს არ წერია, მაგრამ ჩვენ ასე უნდა ვივარაუდოთ. მთელი 3 თვე ივანეს მიერ გართობა-თამაშისთვის არ იქნებოდა გადაგდებული! თავად ხომ ჩივის, რომ რუსეთში სწავლების ხანგრძლივობა 5-6 თვეაო და იგი 9 თვემდე უნდა გაიზარდოსო. თანაც საშობაო და სააღდგომო არდადეგები ერთი კვირით განისაზღვროსო. მით უმეტეს, ზაფხულის 3 თვეს იგი ფუქსავატობისთვის არ გაწირავდა.

კარგი იქნება, თუკი ჩვენი დღევანდელი განათლების სისტემა ივანეს ამ დებულებას გაიზიარებდეს.

თავდაპირველად უნივერსიტეტი კერძო დაწესებულება იქნებოდა. მაშინ მის სახელმწიფო სტატუსზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. რუსეთის ხელისუფლება რატომ უზრუნველყოფდა ეროვნულ დაწესებულებას? ეს მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების მერე გახდა შესაძლებელი. **უნივერსიტეტი რადგან კერძო დაწესებულება იყო და ამდენად მთავრობისაგან შორს მყოფი ანუ თავისუფალი, მომავალი უნივერსიტეტის სახელწოდებაშიც თავდაპირველად ეს სიტყვა „თავისუფალი“ ფიგურირებდა.** მოგვიანებით ივანეს წინადადებით ეს სიტყვა ამოღებულ იქნა. ეტყობა მეცნიერს ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურ მოვლენათა მსვლელობის ლოგიკამ უკარნახა: ისეთი პირი უჩანდა, საქართველოს შეეძლო სახელმწიფოებრიობა რაღაც ფორმით აღედგინა.

ივანე „თავისუფალი უნივერსიტეტის“ ცნების შინაარსსაც კი გვიხსნის:

„დედამიწის ზურგზე უნივერსიტეტის სამგვარი წესდება არსებობს. წესდებათა ერთი გვარი უნივერსიტეტის მთავრობისაგან სრულის დამოუკიდებლობაზეა აგებული: სახელმწიფოს არავითარი უფლება არა აქვს უ[ნივერსიტეტის]ტის საქმეებში ჩაერიოს, უ[უნივერსიტე]ტი მთავრობას არაფერში ანგარიშს არ აძლევს. ამგვარი წესდება აქვთ თავისუფალ უნივერსიტეტებს, რომელნიც თავიანთ თავს ინახავენ. მათ საკუთარი დიდი სათავნოცა და ქონებაცა აქვთ უმეტეს შემთხვევაში მილიარდელის მიერ შემოწირული. ამგვარი უნივერსიტეტები განსაკუთრებით ამერიკაშია გავრცელებული და აგრეთვე ინგლისში. ეს უ[ნივერსიტე]ტები ან

შტატების ან კერძო საზოგადოებათა და კერძო პირთა მიერ არიან ხოლმე დაარსებულნი.

მეორე და მესამე გვარს უ[ნივერსიტე]ტებს ცოტად თუ ბევრად სახელმწიფოსთან დამოკიდებულება აქვთ. ეს დამოკიდებულება ან უფრო მჭიდრია ან უფრო სუსტი და სახელმწიფოთა გავლენა განსაკუთრებით იმით გამოიხატება, რომ უ[ნივერსიტე]ტის საბჭოს მიერ არჩეულ სამი კანდიდატისაგან პროფესორად თვით მინისტრი ირჩევს, რექტორს და დეკანებს და თანამდებობის სხვა პირთ კი უ[ნივერსიტე]ტის პროფესორთა კოლეგიუმი ირჩევს, — ასეა გერმანიაში, ზოგან როგორც, მაგ. საფრანგეთში. ამ უკანასკნელთაც მთავრობავე ჰნიშნავს. ამას გარდა მთავრობავე ამტკიცებს ყოველწლიურს სავარაუდო ხარჯთაღრიცხვასაც“. ივანეს აზრით, ეს იყო უნივერსიტეტის მეორე ტიპი. მესამე კი ხელისუფლების მეთვალყურეობას მხოლოდ ფორმალურად ექვემდებარებოდა:

„შეიძლება უფრო სუსტი დამოკიდებულებაც არსებობდეს, როდესაც მთავრობას მხოლოდ საზოგადო მეთვალყურეობისა და კონტროლის უფლება აქვს, რომ მას საშუალება ჰქონდეს დარწმუნდეს, ასრულებულია თუ არა კანონი და წესდება, წარმოდგენილი ანგარიშებიც წესიერად არის შედგენილი და დასაბუთებული თუ არა?“

ქართული უნივერსიტეტი თავდაპირველად სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა, მაგრამ 1918 წლის 3 სექტემბერს, როცა იგი სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაიქცა, მას ივანეს გეგმისდა კვალობაზე სრული ავტონომია დარჩა და მთავრობას მხოლოდ გაწეული ხარჯების ანგარიშს უდგენდა.

ამდენად, ივანესული უნივერსიტეტი დაარსებისას თავისუფალი უნივერსიტეტს წარმოადგენდა, ხოლო როცა სახელმწიფო სტატუსი შეიძინა, მან ზემოხსენებული მესამე პოზიცია აირჩია.

თუ ჩვენ შემორჩენილ საარქივო მასალებს გულდასმით გადავათვალიერებთ, ვნახავთ მრავალ ჩანაწერს, სადაც ივანე საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ დაწერილ რუსულ და გერმანულენოვან ლიტერატურას უთითებს. ამავე დროს საყურადღებოა ისიც, რომ 1906-07 წწ-ში პეტერბურგის უნივერსიტეტში პრივატდოცენტთა ერთმა ვიწრო ჯგუფმა უნივერსიტეტის ხელმძ-

ღვანელობას გარკვეული პროგრამული ცვლილებები შესთავაზა. ამ ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ივანეც იყო. ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ივანე ყველა იმ საკითხზე, რომელზეც კი მსჯელობს, კარგადაა მომზადებული. ამიტომაა მისი მოსაზრებები ყოველთვის დასაბუთებული და ამიტომაც გამოვიდა მის ხელში ქართული უნივერსიტეტიც ასეთი მკვიდრი.

ემიგრაციაში მოხვედრილი ივანეს ერთ-ერთი სტუდენტი გვიან გაიხსენებს: ივანე ჯავახიშვილმა „ერთ სემინარზე, მაგიდაზე თითის დაკვრით გვითხრა: „ეს ჩემია და მე ამას ვერავინ წამართმევს“-ო (ეს უნივერსიტეტს ეხებოდა)“.

მას უნივერსიტეტს მართლაც ვერავინ წაართმევდა, მაგრამ მისი თავი თანდათანობით წაართვეს თავად უნივერსიტეტს — უნივერსიტეტის ივანესეული მოდელი დაამახინჯეს და საბჭოური გახადეს.

გავიდა ხანი და ცვლილებების დრო დადგა.

1989 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა მის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტს.

ამით ისტორიული სამართლიანობა აღდგა.

მაგრამ ეს ცოტაა.

მთავარია თავად ივანე ჯავახიშვილი დაბრუნდეს უნივერსიტეტში, რაც იმას ნიშნავს, რომ საუნივერსიტეტო დაგეგმვაში დავეყრდნობით ივანეს პრინციპებს და საუნივერსიტეტო გარემო გაიჟღინთება ივანეს სულისკვეთებით.

ადამიანს სახელს არქმევენ მისი კეთილხმოვანების ან გამორჩეულობის გამო. სხვა შემთხვევაცაა: ახალშობილს მისი წინაპრის სახელს უწოდებენ, იმის საწინდრად, რომ შთამომავლობაში მემკვიდრეობითობა გაგრძელდეს.

ივანე ჯავახიშვილისეულ უნივერსიტეტს სახელი მხოლოდ ამ ბოლო თვალსაზრისით უნდა ეწოდებოდეს.

თუ არა ამ შინაარსით, მაშინ რაღა ბედენაა სახელის დარქმევა? დიდი ადამიანების მეტი რა გვყავს? ვუწოდოთ შოთა რუსთაველის ან ვაჟა-ფშაველას სახელი. ან რატომ იქნება ცუდი უნივერსიტეტმა ფიროსმანის სახელი ატაროს ან გალაკტიონის?

ვარქმევთ და ვეთანხმებით ერქვას ივანე ჯავახიშვილის სახელი მის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტს, ნიშნავს, რომ

ვცნობთ ივანე ჯავახიშვილის ავტორიტეტს და დამსახურებას;

მოგვწონს სამეცნიერო ტაძრის არსისა და აღნაგობის მისეული მოდელი;

ვხედავთ მის ნააზრევში და ნამოქმედარში თანამედროვეობისთვისაც რაციონალურსა და სასარგებლოს.

თუ ეს ასეა ივანე ჯავახიშვილი უნდა დაბრუნდეს მისივე უნივერსიტეტში!

და როცა ეს მოხდება, იმ დღიდან დაიწყება ახალი ეროვნული აღორძინება, რადგანაც ყოველივე ამას მხოლოდ იმგვარი საზოგადოება განახორციელებს, როგორიც ივანეს დროს იყო. მათი მეშვეობით კი შემდგომში იგივე პროცესები განვითარდება, რაც 1918 წლის აქტით განხორციელდა.

ვისურვოთ, რომ მალე მოგვევლინოს ის საზოგადოება, რომელიც ივანეს დააბრუნებს ანუ, ერთი მხრივ, სტუდენტსა და პროფესორს, ყმაწვილსა და მხცოვანს, მეორე მხრივ, ცხოვრებასა და შრომას, სწავლასა და კვლევას იმ კალაპოტში მოაქცევს, იმ მიმართულებას მისცემს და იმ შინაარსითა და ღირებულებებით აავსებს, ივანემ რომ წარმოგვიდგინა.

ვისურვოთ...

„ერთადერთი რაინდი“

„მივიდეთ ვაკეზე.

იქ ჯავახიშვილმა აგვინთო სხივოსან-მზიანი კანდელი, რომელიც ამიერიდან შუქურ ვარსკვლავივით გაგვინათებს გზა-კვალს სვლად გმირულ და მზიან ნაბიჯებით წინ ადამიანურ მარადისობისაკენ.

ამასთანავე მოვიგონოთ ის ჩვენი ძველნი მეცნიერები საუკუნო ხსენებით, ხოლო კანდელის ამნათებელ გმირს ივანეს ერთობლივ და გულმხურვალედ შემოვძახოთ ჩვენებური ქართველური ვაშა!“

ასეთი გულგამთბარი სიტყვებით მიმართა საზოგადოებას პრესის ფურცლებიდან უნივერსიტეტის დაარსებით აღფრთოვანებულმა მოსე ჯანაშვილმა.

ივანეს საკუთარი მოღვაწეობის გეგმა ზოგადად მოხაზული ჰქონდა. მაგრამ მარტო თავად რას გახდებოდა, თუ სხვებსაც გვერდში არ დაიყენებდა და მამულისათვის მზრუნველ მუშაკთ არ გაამრავლებდა?

თუ ვიტყვით, რომ ივანე ჯავახიშვილი იმთავითვე მხოლოდ უნივერსიტეტის დაარსებაზე ოცნებობდაო, სწორი არ იქნება. იგი აკეთებდა იმას, რაც ხელეწიფებოდა და რაც ყველაზე საჭიროდ მიაჩნდა. საამისო პირობები რომ არ დამდგარიყო, უნივერსიტეტის დაარსებასაც ხომ ვერ შეძლებდა? მაგრამ გაწეული სამუშაო უქმად მაინც ხომ არ ჩაივლიდა?

ივანე ჯავახიშვილი მის დიდ წინაპართა მსგავსად, დღენიადაგ შრომობდა და აფართოებდა იმ მიჯნას, სადაც მისი მამა-პაპა შეჩერდა. წინასწარ იგი არაფერზე არ საუბრობდა. ამისთვის არ ეცალა. ის ყოველთვის აკეთებდა იმას, რაც იმ დროს იყო საჭირო და შესაძლებელი.

ივანე ჯავახიშვილს, თავისი მიზნის მნიშვნელობისა და მისი განხორციელების გზების შესახებ, წინასწარ ტრაქტატები არ უწერია. მას ამისთვის უბრალოდ დრო არ ჰქონდა. იგი ხედავდა ცხადზე ცხად საჭიროებას და მას მთელი გულისყურით ეკიდებოდა. მან თავისი დიდი მიზნის ხორცშესხმა მცირედით დაიწყო, მაგრამ ისეთი სიმტკიცით, რომ მას დაეშენა პირველი ქართული

უნივერსიტეტი და, საბოლოო ჯამში, მკვდრეთით აღდგა ქართული მეცნიერება და კულტურა.

რევოლუცია რუსეთში სულ რამდენიმე თვის წინაა მომხდარი და ყოფილ რუსეთის იმპერიაში ყველაფერი დუღდა.

ქართველი მამულიშვილები ბევრ რასმეს მოელოდნენ ამ რევოლუციისაგან, მაგრამ ომი ჯერ არ დასრულებულიყო და თავსატეხიც ბევრი გვქონდა. სამხრეთის ფრონტზე ვითარება სახარბიელო არ იყო და თურქების აგრესია ყოველთვის მოსალოდნელი იყო. ასეთ ვითარებაში ძნელი იყო ყველა უნივერსიტეტის იდეის გარშემო შეკავშირებულიყო.

ნათქვამია: „როცა ზარბაზნები ქუხან, მუზები დუმანო“.

ქართველობას გაუხარდა ნანატრი უნივერსიტეტის დაარსების იდეა, მაგრამ ზოგს გაუხარდა და დაეძინა, ზოგს კი გაუხარდა და სხვა საშურ საქმეს შერჩა.

უნივერსიტეტის იდეით მხოლოდ ერთი კაცი აღმოჩნდა „შეპყრობილი“.

ეს ივანე ჯავახიშვილი იყო.

მხოლოდ იოსებ ყიფშიძე და აკაკი შანიძე გამოდგნენ ივანეს გულმხურვალე მხარდამჭერნი. მაგრამ ჯერ ისინი ავანსცენაზე არ ჩანან, ისინი ახალგაზრდები არიან.

ჯერი უკვე ასაკოვან და გამოჩენილ ქართველებზეა.

ისინი კი ივანესდარ ენთუზიაზმს ვერ ამჟღავნებენ.

ისინი უამრავი საზოგადო, მაგრამ ადრიდანვე საკუთრად მოხაზული საქმეებთ არიან დაკავებულნი.

ამიტომ ითქმის:

ქართული უნივერსიტეტი ივანე ჯავახიშვილმა ფაქტობრივად მარტომ შექმნა.

აქვე ერთი კითხვა უნდა დაისვას:

როცა ვაცხადებთ, რომ დიდმა ივანემ შექმნა პირველი ქართული უნივერსიტეტიო, მისი თანამებრძოლების წვლილს ხომ არ ვაკნინებთ? ივანე იყო მოთავე და ხელმძღვანელი ამ დიდი საქმისა, მაგრამ იგი მარტო არ იყო და თანამებრძოლებიც ხომ მხარში ედგნენ.

ივანეს თანამებრძოლებს ჩვენგან პატივი და ქედისმოხრა ეკუთვნით, მათი დამსახურებები არ დაკნინდება, თუ დიდი ივანეს ღვაწლს ჯეროვნად დავაფასებთ.

იდეის ჩამოყალიბება ერთია და მისი ხორცშესხმა მეორე. ორივეს სათავეში ივანე რომ დგას ეს ცალკე იყოს. მთავარია, ვინ რა წილი, რა მოცულობით დაიდო ამ საშვილიშვილო საქმეში. მასში თანამებრძოლთაგან ზოგი მეტად იყო ჩართული და ზოგი ნაკლებად. მთავარი ტვირთი ივანეს ზურგზე გადადიოდა. რომ არა ივანე, საქმე წარმატებით არ დაგვირგვინდებოდა.

ფაქტები? ინებეთ:

ივანე საქართველოში უნივერსიტეტის დარსებაზე დიდი ხნის წინ ფიქრობდა, ამისთვის თვითონაც ემზადებოდა, ნიადაგსაც ამზადებდა და ხელსაყრელ დროს ელოდებოდა. მან 1907 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტთა წრე ჩამოაყალიბა, რომელსაც ბიბლიოგრაფია უნდა მოემზადებინა, სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნაც ეცადა და რაც მთავარია, სამეცნიერო თემების ქართულად წერას და მეტყველებას შეჩვეოდა. იგი თავის უბის წიგნაკში წლების მანძილზე გამუდმებით ინიშნავდა იმ ქართველების გვარებს, რომლებიც უცხოეთის რომელიმე უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობდნენ. უტოპიად მიჩნეული ქართული უნივერსიტეტისთვის კადრებს არჩევდა.

ჯერ კი — XX ს-ის დასაწყისია და ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის საჭირო პირობები არ არის, მაგრამ გულხელდაკრეფილად ლოდინი და არხეინად ყოფნა რაღას გვიშველის? ან გვეპატიება კი? მეცნიერების ქართულად ამეტყველება ხომ შეიძლება ? ამისთვის მონდომებაა საჭირო, მას ხომ მთავრობის ნებართვა არ სჭირდება.

იდგა 1907 წლის 12 დეკემბერი. ქართველ სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს თხოვნით მიმართა, დაემტკიცებინა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის წესდება. პასუხი დადებითი იყო და 1908 წლის თებერვლიდან წრემ ოფიციალურად დაიწყო მუშაობა. წრეში გაერთიანებული იყო 25 სტუდენტი, რომლებიც თავიანთი რიგებიდან ირჩევდნენ თავმჯდომარეს. ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის პირველი თავმჯდომარე იოსებ ყიფშიძე გახდა, ხოლო სამეცნიერო ხელმძღვანელი და მთელი საქმიანობის სულისჩამდგმელი — პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი.

ამ წრემ მოამზადა ფაქტობრივად ნიადაგი მომავალი ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად. თუმცა გავიმეორებ, უნივერსიტეტიც რომ არ დაარსებულიყო, ეს სამუშაო მაინც შესასრულებელი იყო და ჰაერივით სჭირდებოდა შესაქმნელ ქართულ მეცნიერებას. პირველ რიგში საჭირო იყო ძველი ქართული კულტურის შესწავლა. მას შემეცნებითთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, „ქართული კულტურის ცოდნა მოგვცემდა საშუალებას იმ ძველი მარაგის გამოსაყენებლად, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო, თუ გნებავთ, **აღმდგარიყო მკვდრეთით ძველი ქართული მეცნიერება — ოდესღაც მდიდარი, მაგრამ შემდეგ დაკნინებული“**.

როგორ შეიძლებოდა ამ ამოცანის ხორცშესხმა?

ივანე ჯავახიშვილის აზრით, საჭირო იყო 4 აუცილებელი პრობლემის მოგვარება:

პირველი.

ცნობილია, რომ მეცნიერება ცნებებით აზროვნებაა. თითოეულ სამეცნიერო დარგს თავისი სპეციალური ცნებები გააჩნია. ამ ცნებების გარეშე შეუძლებელია სამეცნიერო დებულებების ჩამოყალიბება და სხვისთვის გადაცემა. უცხოური ტერმინების შემოღება, რომელიც ისედაც გარდაუვალია, საქმეს ვერ შველის. თითოეულ სამეცნიერო დარგს მშობლიურ ენაზე უნდა გააჩნდეს საკუთარ ცნებათა მარაგი. ასეთი მარაგი ძველ ქართულ ძეგლებში მიძინებული იყო. საჭირო იყო მათი გაცოცხლება, რაც სწორედ ქართული კულტურის შესწავლის შედეგად იქნებოდა შესაძლებელი. წრის წევრები ქართული ხელნაწერებიდან და ძველი ნაბეჭდი წიგნებიდან იწერდნენ სამეცნიერო ტერმინებს, რომლებიც შეეხებოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგს: ისტორიას, ფილოლოგიას, ფიზიკას, მათემატიკას, ბოტანიკას, მედიცინას და სხვას. წრის წევრები აგროვებდნენ მასალას ქართული ტექნიკური ლექსიკონისათვისაც.

ამდენად, უმთავრესი საკითხი იყო ყველა სამეცნიერო დარგისათვის სპეციალური ტერმინოლოგიის შექმნა.

მეორე.

მარტივი ამბავია, მეცნიერი ვერ შესძლებს მუშაობას, თუ არ გაითვალისწინა სხვათა ნააზრევი, არ შეუდარა მათ დებულებე-

ბს საკუთარი დასკვნები და სხვა. ეს კი შეუძლებელია, თუ მას არ ეცოდინება წინამორბედ მკვლევართა შრომები. სწორედ ამისთვის არსებობს სამეცნიერო ბიბლიოგრაფია, სადაც უკლებლივ აღნუსხულია ყველა შრომა — დიდი თუ მცირე, ღირებული თუ ნაკლებად ღირებული. იგი თითოეულ მკვლევარს უადვილებს მისთვის საინტერესო ნაშრომის მიგნებას და მის შრომას უფრო ნაყოფიერსა და საფუძვლიანს ხდის. ამიტომ ქართული სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის შედგენა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა. ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ჩვენ უნდა გვცოდნოდა აგრეთვე ძველი მარაგი, რომელიც შექმნილი იყო ძველად. მე იმას კი არ ვგულისხმობ მხოლოდ, რაც საუკუნეთა განმავლობაში იყო გაკეთებული, მე მოგახსენებთ იმის შესახებ, რაც მე-19 საუკუნეში იყო მოპოვებული. გარწმუნებთ, რომ არსებობს არაერთი თხზულება, რომელიც სამჯერ-ოთხჯერ დაიბეჭდა, მაგრამ ბევრმა არც იცოდა, რომ ოდესღაც გამოქვეყნებული იყო ესა თუ ის წიგნი. ამგვარი კულტურის ტრადიცია არ არსებობდა“.

მესამე.

მართალია, ქართული ენაზე იქმნებოდა მწერლობის ნიმუშები, იდგმებოდა სპექტაკლები, იწერებოდა პუბლიცისტური და თითო-ოროლა ჰუმანიტარული ხასიათის შრომები, მაგრამ ქართული ენა მაინც ძირითადად ყოფით ურთიერთობებში გამოიყენებოდა. ამის გამო ბევრი ქართულ ენას სკეპტიკურადაც უყურებდა. შეუძლებლად მიაჩნდათ ამ ენაზე სხვადასხვა სამეცნიერო დარგის ამეტყველება. ქართული მეცნიერების აღდგენისთვის საჭირო იყო სამეცნიერო მსჯელობა ქართულ ენაზე წარმართულიყო. ქართველ სტუდენტთა წრემ ამ მიმართულებით გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი. წრის წევრები თავიანთ სხდომებზე მოხსენებებს ქართულად კითხულობდნენ და მსჯელობაც ქართულად მიმდინარეობდა.

ივანე ჯავახიშვილი თავადვე მიუთითებდა: „თითქოს სრულიად მარტივი და უმნიშვნელო ამბავია. მაგრამ ამ სამეცნიერო წრეში სტუდენტები რომ თავს იყრიდნენ, მსჯელობა წარმოებდა ქართულად. მოხსენებები იწერებოდა ქართულად სხვადასხვა დარგიდან, კამათი, მსჯელობა ქართულად წარმოებდა და ვარჯიში დაიწყო,

ენა გაიკვეთა ახალგაზრდობამ და განუვითარდა ქართული მეტყველების უნარი, რომელიც მანამდე არ ჰქონდა“.

გარდა ამისა, სტუდენტებმა თავიანთი ნაღვაწი ფართო მკითხველი საზოგადოების წინაშეც გამოიტანეს. მათი მუშაობის ნაყოფი — პირველი კრებული 1915 წ. საქართველოში დაიბეჭდა. მასში შევიდა სტუდენტების გამოკვლევები ხელოვნების, ისტორიის, სამართლის და ეკონომიკის საკითხებიდან.

ივანე ჯავახიშვილი ხშირად ჩამოდიოდა პეტერბურგიდან საქართველოში და საჯარო ლექციებს მართავდა, სადაც მოხსენებას ყოველთვის ქართულად კითხულობდა. ქართველ საზოგადოებას, რომელსაც ქართული სიტყვა საშინაო მოხმარების გარდა, თეატრსა და ეკლესიაში წირვა-ლოცვისას ესმოდა, სამეცნიერო მსჯელობისათვის ყური მიუჩვეველი ჰქონდა. ივანე ჯავახიშვილი სწორედ ამ ხარვეზის აღმოფხვრას ცდილობდა. ამას აკეთებდა პირადი მაგალითით და ამას აკეთებდა მის მიერ დაარსებული სტუდენთა წრის მეშვეობით.

მეოთხე.

რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში მიმოფანტული ქართველები, როგორი დიდი მეცნიერებიც არ უნდა ყოფილიყვნენ, ისინი ქართულ მეცნიერებას ვერ შექმნიდნენ და ვერც სამშობლოს მოუტანდნენ დიდ სიკეთეს. **მშობლიური მეცნიერება მაშინ ვითარდება, როცა ის მშობლიურ გარემოში სხვადასხვა თაობის გვერდიგვერდ მუშაობით იქმნება**.

პირველი სამის მოგვარება ასე თუ ისე სამშობლოს გარეშეც შეიძლებოდა, მაგრამ, მეოთხე — სხვადასხვა დარგის ქართველი მეცნიერის ერთად მუშაობა უცხოეთში შეუძლებელი იყო. საქართველოში კი მათი შეკრებისათვის შესაფერისი სამეცნიერო კერის არსებობა იყო საჭირო. ასეთი კი სწორედ ქართული უნივერსიტეტი იქნებოდა.

პირველმა მსოფლიო ომმა და რუსეთის თებერვლის რევოლუციამ ქართული უნივერსიტეტის დაარსების იმედი გააჩინა.

რუსეთის იმპერია დაინგრა. ხელისუფლება შეიცვალა. დადგა მოქმედების დრო. დენთის სუნი ჰაერში ადრევე ტრიალებდა და ივანე ჯავახიშვილმაც იგრძნო ის. მან პეტერბურგში, ლახტინის ქუჩაზე მდებარე თავის ბინაზე, 1917 წ. 1 მარტს შეკრიბა თანამოაზრეთა ჯგუფი.

ვინ იცის რამდენჯერ უსაუბრიათ ამ ბინაში სამომავლო გეგმებზე ივანე ჯავახიშვილს და მის სტუმრებს.

ნათელა ჯავახიშვილის მოგონებების მიხედვით, ბავშვის მეხსიერებაში შემორჩენილი ფრაგმენტებით შესანიშნავად აღდგება ივანეს სახლში სტუმრობების არსი: „მახსოვს ხშირად მოდიოდნენ მამასთან იოსებ და დავით ყიფშიძეები, აკაკი შანიძე, იოსებ ანთაძე, ნინო ლომოური. მე ძალიან მიყვარდა მათი შეკრებები, თუმცა, რასაკვირველია, მათი საუბრის შინაარსი ჩემთვის გაუგებარი იყო. ... ვიცოდი, რომ მათ ქართულად უნდა ესაუბრათ და თუკი ვინმე წამოიწყებდა რუსულად ლაპარაკს, მე ვამბობდი: — ქართულად, ბატონებო, ქართულად! როგორც შემდეგ მივხვდი, ეს შეკრებები ქართული სამეცნიერო წრის სემინარები იყო და ამიტომაც იყო აუცილებელი ქართულად მეტყველება, **შემდეგ — „უნივერსიტეტი საქართველოში“ —** ხშირად გაისმოდა ამგვარი სიტყვები“.

ამჟამად საგანგებო შეკრებაზე გამოცხადდნენ: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, სპირიდონ ლომია, მიხეილ ყაუხჩიშვილი, ელენე ჩიჯავაძე და კიდევ რამდენიმე ჩვენთვის უცნობი პირი. შეთანხმდნენ, რომ საქართველოში უნივერსიტეტის დასაარსებლად ხელსაყრელი დრო დადგა და გადაწყვიტეს, ეს საკითხი პეტერბურგში მყოფ ქართველთა ფართო შემადგენლობისათვის გაეცნოთ. დაიქირავეს კინოთეტრი „ელიტა“ და დიდი თავყრილობა გამართეს. კრებას თავმჯდომარეობდა ზურაბ ავალიშვილი, მოხსენება კი ქართულად წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა.

ამ კრების თავმჯდომარე ზურაბ ავალიშვილი იგონებს იმ ვითარებას, როცა თვითმპყრობელობის დანგრევით გაჩენილ იმედს როგორ გამოეხმაურა ქართველობა. ეს ხომ ის დროა, როცა თებერვლის რევოლუციით გამოწვეულმა იმედებმა ყველა აამოძრავა. მთელს რუსეთის იმპერიაში იქმნებოდა ეროვნული კომიტეტები და ერის ცხოვრების პოლიტიკურ მართვა-გამგეობის შექმნაზე კამათობდნენ. ზურაბ ავალიშვილი იხენებს: „ტფილისის უნივერსიტეტის საფუძვლის მომავალმა ჩამყრელმა, ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა ამ კრებაზე **წარმოთქვა ზეშთაგონებული სიტყვა: მისი ბაგეთა საშუალებით რაღაც ახალ კილოზე უეცრად ალაპარაკდა საქართველოს ათასი წლის პოლიტიკური ტრადიცია“.**

დასანანია, რომ ეს სიტყვა არ შემოგვრჩა.

არადა, ბევრ საინტერესოს გვეტყოდა იგი.

ზურაბ ავალიშვილი, ჩინებული იურისტი, ისტორიკოსი და დიპლომატი, ასე აღტაცებული არ იქნებოდა, ივანეს ბაგით მართლაც „**ახალ კილოზე უეცრად**“ არ ალაპარაკებულიყო „**საქართველოს ათასი წლის პოლიტიკური ტრადიცია**“.

ერთი რამ ცხადია: **ივანე მარტო უნივერსიტეტით – ერთი უმაღლესი სასწავლებლით კი არაა დაკავებული, არამედ დიდ ეროვნულ საქმეზე ფიქრობს**.

ივანე აქტიურადაა ჩაბმული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. ამ საკითხსაც იგი ქართველი ერის პოლიტიკური მომავლის ჭრილში უმზერს.

ამიტომაც არც მომავალი ქართული უნივერსიტეტია მხოლოდ უნივერსიტეტი. იგიც ქართველი ერის წარმატების საფუძვლად მოიაზრება. უნივერსიტეტი ერის უკეთესი მომავლის უზრუნველმყოფი ინსტრუმენტია. ამას იგი საქმით დაგვიდასტურებს. სიტყვით კი ძუნწად გაამჟღავნებს...

1917 წლის 12 მაისს უნივერსიტეტის დასაარსებლად მოწვეული საზოგადოების წინაშე გაკეთებულ მოხსენებაში ივანე აღნიშნავდა: „დაბალსა და საშუალო ეროვნულს სკოლას (ამ დროს, რევოლუციის მერე, უკვე დაიწყო სკოლების გაეროვნულების მოძრაობა. დ.ს.) ბუნებრივი და საღი განვითარება არ შეუძლიან, თუ რომ ეროვნულს განათლების უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი არ აგვირგვინებს. ან განა ქართულ განახლებულ ეკლესიის სამღვდელოება (საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა უკვე გამოცხადებულია. დ.ს.) უმაღლეს ქართულ სწავლა-განათლებას უნდა იყოს მოკლებული? რუსეთში რომ პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენთვის ისე უბედურად შემოტრიალდეს ... განა ამ უკიდურესს შემთხვევაშიც ჩვენთვის **ქართულად განსწავლულნი** (ხაზგასმა ჩემია. დ.ს.) ეკონომისტები, სტატისტიკოსები და ფინანსისტები საჭირონი არ იქნებიან?“

ერთი შეხედვით რიტორიკულ კითხვას სვამდა ივანე, მაგრამ შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, იქვე პასუხობდა: „ყოველი ქართველი გრძნობს ეხლა, რომ ჩვენი ხსნა დაუცხრომელ

შრომაში, კერძო თაოსნობაში და საკუთარ მრეწველობის შექმნაშია. დასავლეთ ევროპისა, ამერიკისა და იაპონიის მაგალითი ცხადყოფს, რომ ამისათვის ერთის მხრით პოლიტიკურ ეკონომისა და საფინანსო მეცნიერებისა, მეორეს მხრით საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა წარმომადგენლების მედგარი კვლევა-ძიებაა საჭირო“.

როგორ თანამედროვედ ჟღერს ეს სიტყვები! არადა იგი 1917 წლის 12 მაისს წარმოითქვა.

მაგრამ დავუბრუნდეთ კინოთეატრ „ელიტაში“ შეკრებას.

სიტყვას ითხოვს ნიკო ნიკოლაძე. იგი საპირისპირო აზრს ავითარებს. მას მიაჩნია, რომ საქართველოსათვის უმჯობესია პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსება, რადგანაც ქვეყანას პრაქტიკული სპეციალობის მქონე ხალხი სჭირდება. დაიწყო კამათი და ამ აზრს ბევრი მომხრე გამოუჩნდა.

ამ კამათს თავისი წინაისტორია ჰქონდა. იგი დაიწყო 1871 წელს, როცა თბილისში ჩამოსვლას აპირებდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II. ქართველი საზოგადოებრიობა მის დასახვედრად ემზადებოდა და მისართმევ ადრესს ამზადებდა. ისე ჩანდა თითქოს იმპერატორი ქართველობას თხოვნას აუსრულებდა. ჰოდა, დაიწყო კამათი. ქართველთა ერთი ნაწილი უნივერსიტეტს უჭერდა მხარს. ამ იდეის თავგამოდებული დამცველი იყო გიორგი წერეთელი.

იყო მეორე მოსაზრება, რომლის მიხედვითაც უმჯობესი იყო თბილისში პოლიტექნიკუმი დაეარსებინათ. ამ მოსაზრებას ნიკო ნიკოლაძე იზიარებდა. იგი როგორც პრაქტიკული მოქმედების კაცი, საქართველოში ტექნიკური დარგის სპეციალისტების ნაკლებობას უჩიოდა და მათ მომრავლებას ელტვოდა. თუმცა უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგი არ ყოფილა. იგი ისეთი უნივერსიტეტის დაარსებას ესწრაფვოდა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო და საინჟინრო დარგის სპეციალისტებს მოამზადებდა. თუმცა იგი მაშინდელი საქართველოსათვის ყველაზე საშურ საქმედ ერობის, ანუ ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღებას მიიჩნევდა, რომელიც მთელ ერს საქმეს მიაჩვევდა და თავისი თავის პატრონობისა და საკუთარი პრობლემების მოგვარების უნარს განუვითარებდა.

მაგრამ ამაო იყო ყოველი ეს მცდელობები. საიმპერატორო ხელისუფლება შეუვალი იყო და ნებართვას არ იძლეოდა. რომც რუსეთის ხელისუფლებას მოეღო მოწყალება და თბილისში უნივერსიტეტის დაარსების ნება დაერთო, იგი მაინც რუსული უნივერსიტეტი იქნებოდა და არა ის, რასაც ამჟამად ივანე სთავაზობდა ქართველ საზოგადოებას.

ბოლოს, 1912 წლის 20 ივლისს კავკასიის მეფისნაცვლის შუამდგომლობის საფუძველზე, რუსეთის იმპერიის მთავრობამ ნება დართო თბილისში დაეარსებინათ პოლიტექნიკუმი.

მანამდე თბილისში დაფუძნდა ქალთა უმაღლესი კურსები. ქალთა კი ერქვა, მაგრამ მასში ორივე სქესის ახალგაზრდები სწავლობდნენ.

ამდენი გაწამაწია ამით დასრულდა.

დასრულდა ქალთა უმაღლესი კურსების გახსნითა და პოლიტექნიკუმის დაარსების ნებართვით.

ჯერჯერობით მხოლოდ ნებართვით.

და თბილისში ბევრს კამათობდნენ, თუ სად აეგოთ ამ პოლიტექნიკუმისთვის შენობა.

ხელისუფლება არ ჩქარობდა და ამ უკანასკნელის ამოქმედება 1917 წლამდე გაიწელა. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გასტანდა ეს პროცესი, რომ არა ივანე ჯავახიშვილის ინიციატივა. როგორმე ქართველ პატრიოტთა წამოწყება ჩაეშალათ და რუსეთის ახალი ხელისუფლება ახლა გამალებული იღწვოდა — ქართულ უნივერსიტეტს რუსულ უმაღლეს სასწავლებლებს უპირისპირებდა.

რუსულენოვნების გამო ეს დაწესებულები, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუწყობდა იმ ქართული მეცნიერების განვითარებას, რაზეც ივანე ჯავახიშვილი ოცნებობდა. ისინი მხოლოდ რუსულად აღზრდილ კადრებს მოამზადებდა.

ეს იყო და ეს.

კინოთეატრ „ელიტაში“ გამართულმა კრებამ თავისი საქმე შეასრულა. პეტერბურგის ქრთველობის წინაშე განაცხადი გაკეთებულია და ახლა საჭიროა ნაბიჯ-ნაბიჯ სიარული. მაგრამ მოვლენები საოცრად ჩქარა ვითარდება. იმპერიაში ხელისუფლება შეცვლილია და საჭიროა მათაც მოუსინჯონ კბილი.

მაგრამ უშედეგოდ.

რუსეთის ახალ დროებით მთავრობასთან, რომელსაც კერენსკი მეთაურობდა, ვიზიტს ის მოჰყვა, რომ მან თბილისში ტელეგრამა გამოაგზავნა და აქ არსებული ქალთა უმაღლესი კურსების ამიერკავკასიის უნივერსიტეტად რეორგანიზაცია ბრძანა.

ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა: გინდათ უნივერსიტეტი და აჰა, გაქვთ. მერე რა რომ რუსულია, რუსული ენა სახელმწიფოს ენაა. **რად გინდათ ქართული, თქვენ ხომ არც კადრები გყავთ, რომ ქართულად ლექციები წაიკითხონ და არც შესაბამისი სამეცნიერო შესაძლებლობები გაგაჩნიათ.**

ასეთი იყო დროებითი მთავრობის პასუხი.

ლექციებს ქართულად ვერ წაიკითხავთო.

ეს კულუარული ჭორი არ ყოფილა. ამას ოფიციალური ინსტანციებში ეუბნებოდნენ ქართული უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორებს და ამას თბილისის ქუჩებშიც ქირქილებდნენ. ეს მოქირქილენი გადამთიელები არ ყოფილან, ისინიც ჩვენი „ბედკრული სამშობლოს შვილები“ იყვნენ. რაც არ ენახათ, ვერც წარმოედგინათ და ამიტომ არც სჯეროდათ.

არც ივანე ჯავახიშვილს ჰქონდა მთავრობის იმედი და იგი ფიქრობდა კერძო უმაღლესი სასწავლებლის — თავისუფალი უნივერსიტეტის დაარსებას. კანონმდებლობა ამის საშუალებას იძლეოდა და ახლა ძირითადი საქმე სამშობლოში იყო გასაკეთებელი.

თესლი იქ უნდა ჩაეგდოთ, სადაც მცენარის აღმოცენებას ფიქრობდნენ.

საასპარეზო მოედანი უკვე შემოფარგლული იყო და საასპარეზო პირობებიც მოცემული. ახლა ჯერი მოასპარეზეთა გამჭრიახობასა და გამძლეობაზე იყო დამოკიდებული. შეძლებდა კი ახალი თაობა იმის გაკეთებას, რაც წინამორბედთაგან ჯერ ვერავინ შესძლო?

უნდა ეცადათ.

ცდის გარეშე ამ კითხვას ვერავინ გასცემდა პასუხს.

ასპარეზი საბრძოლველად მზად იყო.

1917 წლის აპრილის დასაწყისში ივანე ჯავახიშვილი თბილისშია. იგი ხვდება ქართველ საზოგადო მოღვაწეებს და ეთათბირება მომავალი უნივერსიტეტის დაარსების თემაზე. ყველა სიხარულით ხვდება ამ ამბავს.

მალე თბილისში ჩამოდიან იოსებ ყიფშიძე და აკაკი შანიძე და ივანეს მხარს უმაგრებენ, მაგრამ ისინი ჯერ ქართველ გავლენიან პირთა რიგებში, ახალგაზრდობის გამო, არ ირიცხებიან.

თბილისში მცხოვრებ მოღვაწეებთან პირადი საუბარი და მათი მხარდაჭერა გამამხნევებლად მოქმედებს. აი, როგორ იგონებს ექვთიმე თაყაიშვილი ამ ამბავს: „ივ. ჯავახიშვილი, უკვე შემუშავებული კერძო ქართული უნივერსიტეტის დაარსების გეგმით, ჩამოვიდა ტფილისში. ივანე ჯავახიშვილმა გამაცნო გეგმა... გეგმა მარტივი იყო. უნდა შეგვედგინა საზოგადოება, რომელიც იზრუნებდა საღსრების აღმოსაჩენად, თანხის შესაკრებად. თვით უნივერსიტეტი სწავლა-მეცნიერების და გამგეობის საქმეში სრულიად ავტონომიური იყო“.

ივანე თბილისში 1917 წლის აპრილის დასაწყისში ჩამოვიდა. დედა სოფელ ხოვლეში ჰყავს, ცოლ-შვილი კი — ქუთაისში. რადგან ივანე პეტერბურგში მოღვაწეობს, ისინი დიდი ხანია არ უნახავს. წარმოვიდგინოთ ხანგრძლივი დროით ოჯახს მოცილებული კაცის განცდები. საკმარისია გადავიკითხოთ ივანესა და სტაზიას (ივანე ჯავახიშვილისა და მისი მეუღლის ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის) ერთმანეთისადმი გაგზავნილი წერილები, რომ დავრწმუნდეთ, როგორ არიან ისინი შეხვედრის მოუთმენელი წყურვილით აღსავსენი. განა მოიძებნება ადამიანი, ვინც ივანეს დაამუნათებდა, თბილისში ჩამოსვლისთანავე ცოლ-შვილის სანახავად ერთი დღით მაინც რომ წასულიყო? მაგრამ ივანე თბილისში დარჩა. **მას ისეთი საქმე აქვს წამოწყებული, რომ ყოველივე პირადი უკანა პლანზე აქვს გადაწეული**.

1917 წლის 2 აპრილს მეუღლე წერს ივანეს:

„დღეს აღდგომაა და ისეთი ნაღვლიანი ვარ, რაკი შენ მაკლიხარ... ეს არის შენი წერილი მომივიდა, № 15 და ამან გამახარა და გამაცოცხლა! რაკი ამოდენა საქმეა, ეტყობა შენი მანდ ყოფნა საჭიროა, და მესმის რომ ვერ წამოხვალ, კიტას (კიტა აბაშიძე, დ.ს.) წერილიდანაც ისე გავიგე, რომ შენ იქ უფრო საჭირო ხარ და „რა ვუყოთო, ეხლა თავის სიამოვნებაზე კაცი ვეღარ ფიქრობსო“.

ეს წერილი ანასტასია ორბელიანმა ივანეს პეტროგრადში გაუგზავნა, მაგრამ იგი თბილისში დაბრუნდა. ამ დროს ივანე უკვე გზაშია და სამშობლოში მოემგზავრება.

5 აპრილს ანასტასია წერს მეუღლეს: „მხოლოდ წუხელის 12 საათზე, რომ ვწვებოდი მომივიდა შენი ტელეგრამა, ალბად შენ სწორედ ამ დროს ტფილისში იქნებოდი მისული... ახლა, როდის გნახავთ, ჩვენო სიხარულო, იმედო ჩვენო?! ისე, ისე მენატრება შენი ნახვა! შენ ალბად დედას სანახავად ხოვლეში წახვალ. გიგზავნი გასაღებებს ჩვენი შკაფებისა, თუ რამე დაგჭირდა ნახავ შიგ... შენი შარვალი მანდ ჰკიდია, პიდჟაკი კი ტფილისშია, პალტოც და ქუდიცა. ვანიკო, შემატყობინე როგორი გეგმა გაქვს შედგენილი, დიდ ხანს დარჩები ტფილისში თუ ჯერ მოხვალ ჩვენს სანახავად, ან იქნება მერე ცოტა გვიან წამოხვალ, რომ ბარემ ჩვენც თან წაგვიყვანო ხოვლეში?“

ივანე კი არც დედის სანახავად წასულა ხოვლეში და არც ცოლ-შვილისა ქუთაისში. იგი თბილისში დარჩა. მეუღლესაც ესმის საქმის ვითარება და ყველაფერს თანაგრძნობით ეკიდება. თუ ჩავიხედავთ 10 აპრილს, ივანეს დაბადების წინა დღეს, დაწერილ ანასტასია ორბელიანის წერილში, ჟრჟოლვამ შეიძლება აგვიტანოს. ორი მოსიყვარულე და ერთმანეთსმონატრებული სული შორიდან როგორ ანუგეშებს ერთმანეთს. 11 აპრილს ივანეს დაბადების დღე იყო, 12-ს კი ანასტასიასი. მოვუსმინოთ: „ჩემო სიხარულო, სულიკო ჩემო, ვანიკოჯან! შენი დაბადების დღეა ხვალ — ოჰ, რა მინდოდა აქა მყოლოდი, რომ მოგხვეოდე და მომელოცე ისე როგორც მიყვარხარ, ჩემო გულის საყვარელო და სანატრელო! მაგრამ რა ვუყოთ, მესმის რომ ეხლა ჩვენ თავზე არ შეიძლება ვიფიქროთ, როცა ისეთი დიდი საქმეები ხდება!“

ივანე 8 აპრილს გაგზავნილ წერილში ძუნწად უხსნის მეუღლეს თბილისში თავისი შეყოვნების მიზეზს:

„ჩემო საყვარელო სტაზიაჯან, ჩემო მტრედიკო, რომ იცოდე რანაირად მინდა მანდ მოსვლა და თქვენი ნახვა ჩემო სიხარულნო. ჩამოვედი თუ არა მაშინვე კრებებში მომიხდა ჩაბმა. ჩამოსული ვარ ავტოკეფალიის და სხვა ამბების შესტყობინებლად. დღეს ბენეშევიჩი (რუსეთიდან დროებითი მთავრობის მიერ მოვლინებული მოხელე. დ.ს.) მოდის და სანამ ავტოკეფალიის შესახებ საბოლოო შეთანხმება არ მოხდება, არა მგონია როგორმე აქეთდან წამოსვლა მოვახერხო ან ხოვლეში, ან მანდ. გუშინ საკათალიკოზო საბჭოს ყველა წევრებმა მთხოვეს, რომ მათთვის მეშველა. მინდა

როგორმე ერთი დღით მაინც 12-ს, შენ დაბადების დღეს მანდ ვიყვე, მაგრამ ამისრულდება ეს ნატვრა თუ არა [არ ვიცი]. ისეთი დიდმნიშვნელოვანი საქმე უნდა გადასწყდეს ამ დღეებში, რომ თუ ნება არ მომცეს, მე წამოსვლა და აქეთგან დაძვრა არ შემიძლიან. გაკოცებთ ჩემო საყვარელნო ყველას, მეტადრე თქვენ სამივეს ჩემ გამახარებლებს ჩემ სიცოცხლის გამაბედნიერებლებს. ნეტა მალე მოვახერხო თქვენი ნახვა და თქვენთან ყოფნით ნეტარების გრძნობა“.

მომდევნო წერილებიდან ჩანს, რომ ივანემ მეუღლის მონახულება მის დაბადების დღისთვის მართლაც მოახერხა, მაგრამ სასწარაფოდ უკან გამობრუნდა და ეტყობა გზად დედასაც შეუარა ხოვლეში.

რაც შეეხება ივანეს წერილს, კონტექსტიდან გამომდინარე, აქ ნახსენებ დიდმნიშვნელოვან საქმეში უნდა საქართველოს ავტოკეფალიის საქმე ვიგულისხმოთ, მაგრამ არც უნივერსიტეტის გუმანია აზრს მოკლებული. იგი ხომ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან უნივერსიტეტის დაარსების შესახებაც აწარმოებდა მოლაპარაკებებს. ამის შესახებ მოგვიანებით, 28 აპრილს დაწერილ წერილში იტყვის:

„ჩემო საყვარელო სატრფო სტაზიაჯან! რომ იცოდე რანაირად მინდა თქვენი ნახვა, შენთან ყოფნა! დღეებსა ვთვლი როცა ჩვენ ერთად ვიქნებით... მომწერე როდის დააპირებ წამოსვლას და მე მაშინვე შენთან გავჩნდები. შვიდამდის მეც იმ საქმეს მოვრჩები, რომელზედაც ეხლა ვმუშაობ. მოხსენებას ვადგენ ქართულ უმაღლეს სასწავლებლის შესახებ. პირველ მაისამდის იმედი მაქვს გავათავებ. მერმე აქ მყოფ მეცნიერთ მოვიწვევ (კერძოდ უკვე მოველაპარაკე სათითაოდ) და წავუკითხავ. განხილვისა და მოწონების შემდგომ ბანკებისა და საზოგადოების წარმომადგენლებს მოვიწვევ იმის გამოსარკვევად, თუ რამდენს გამოიღებენ ამ საქმის განსახორციელებლად. როდესაც ამასაც მოვრჩები, და თუ საჭირო ყოველწლიური თანხა შესდგა, მაშინ ყველა ქართველ პროფესორებს, დოცენტებს, ლაბორანტებსა და ასისტენტებს წერილებს დავუგზავნი და შევეკითხები, რომელს მათგან ჰსურს გადმოსვლა და რა პირობით. მე იმედი მაქვს, რომ 7-მდის ამას ყველაფერს მოვრჩები და ჩვენ რომ ხოვლეში ავალთ, ტფილის-

ში უკან დაბრუნება აღარ მომიხდება და სულ ერთად ვიქმნებით, ჩემო სიხარულნო... მოთმინება მეკარგება: ჩემ ჩიტუნიებთან მინდა ყოფნა, ჩემს მომხიბლავ ღვთაების ნახვა და თაყვანისცემა მწყურიან. მარტოობა მომბეზრდა. შენთან ახლოობასა და შენს ტკბილს ალერსზე ვოცნებობ“.

ახლა 5 მაისს დაწერილი წერილი ვნახოთ: „მე გწერდი რომ ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტის დაარსების შესახებ მოხსენებას ვამზადებ. დღეს ვათავებ კიდეც, 80 გვერდიანი გამოვიდა. ხვალ პატარა კრება გვაქვს მეცნიერთა და რამდენიმე დღის შემდგომ ბანკების და სამეცნიერო საზოგადოებათა წარმომადგენლების კრებას მოვიწვევ, რომელზედაც გამოირკვევა რამდენ ფულის გამოღება შეუძლიანთ ჩვენს საკრედიტო დაწესებულებებს. ვგონებ რომ ამ საქმის განხორციელებას ყველანი ხელს შეუწყობენ და მოხერხდება კიდეც“.

მართლაც, პრივატული მოლაპარაკებების შემდეგ ივანემ გადაწყვიტა ოფიციალური შეხვედრის გამართვა. დაიწერა და დაიგზავნა მოსაწვევი ბარათები. მოწვეულნი არიან თბილისში მოქმედი ქართული სამეცნიერო, საზოგადოებრივი, საკრედიტო და კულტურის დაწესებულებათა წარმომადგენლები. ივანემ მოამზადა მოხსენება, რომლის შესახებ მეუღლეს სწერს, რომ 80 გვერდი გამომივიდაო.

კრება შედგა 1917 წლის 12 მაისს ქ. თბილისში თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში, რომელიც გახსნა მისმა მომწვევმა ივანე ჯავახიშვილმა. მან წაიკითხა ვრცელი მოხსენება საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. შემდეგ კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი, მდივნად კი — ილია ზურაბიშვილი. ქართველ საზოგადო მოღვაწეთაგან კრებას ესწრებოდა 28 წარმომადგენელი.

მომხსენებელმა დაახასიათა ქართველთა კულტურული განვითარების ეტაპები. აღნიშნა, რომ ქართველები წარსულში არასდროს მოწყვეტილნი არ ყოფილან მსოფლოს კულტურულ ერებსა და ცენტრებს. პირიქით, მათთან ერთად ავითარებდნენ მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებს, მაგრამ შემდეგი ძნელბედობის გამო, შემოქმედებითი განვითარების ეს დინება შეფერხდა. საჭიროა ეს გზა ისევ აღვადგინოთ, — ამბობდა ივანე

ჯავახიშვილი, — თუ გვინდა ერმა მომავალში ახალ წარმატებას მიაღწიოს. ვინაიდან საჭირო რესურსებით შეზღუდულნი ვართ, ყველაზე უკეთეს საშუალებას უნდა მივმართოთ.

ამ დასაწყისით ივანემ დამსწრეთ უთხრა, რომ ჩვენ საამაყო წინაპრები გვყავდა, ხოლო ახლანდელი მდგომარეობა, რომელიც სავალაოა, მის გამოსწორებას გვავალდებულებს. აღარსად ეს აზრი სიტყვებით არ გამოხატულა, მაგრამ ეს მსჯელობა სწორედ ამაზე მიანიშნებდა. შემდეგ მომხსენებელი ამ აზრის ილუსტრირებას შეუდგა.

ივანემ შეახსენა მსმენელებს, რომ უწინ ქართველებს „**რკინის გზებისა, ორთქმავალ გემებისა და ტელეგრაფის უქონლობის დროსაც საქართველოს ისე ჰქონდა საქმე მოწყობილი, რომ მაშინდელ დაწინაურებულ ქვეყნებთან მუდმივი და პირდაპირი კავშირი**“ ჰქონდათ.

რკინისგზა, ორთქმავალი გემი და ტელეგრაფი — ეს იყო XX საუკუნის დასაწყისის ტექნიკური მიღწევების უმაღლესი დონე. ივანეს აზრით, არც ერთი ეს არ არსებობდა ძველ საქართველოში, მაგრამ უიმისოდაც მიზანს აღწევდნენ. ამის საშუალება იყო მონასტრები. განათლებისა და მეცნიერების კერები ხომ მონასტრებში იყო თავმოყრილი. ამიტომ იყო ქართველები მონასტრებს შორეულ უცხო ქვეყნების ტერიტორიებზე რომ აარსებდნენ: იერუსალიმში, შავ მთაზე, სინაზე, პალესტინაში და სხვაგან.

„ქართველებს თავიანთი განთქმული მონასტრები უცხოეთში ბიზანტიის სახელმწიფოში სწორედ ისეთ ადგილებში ჰქონდათ, სადაც მაშინ სამეცნიერო-სამწერლობო ან რაიმე საკულტურო შემოქმედებითი მუშაობა იყო გაჩაღებული“.

ამით ქართველობას საშუალება ჰქონდა უცხოეთში მიმდინარე კულტურული პროცესებისთვის თვალყური ედევნებინა. ამ მონასტრებში მიმდინარეობდა თეოლოგიური და სხვა ხასიათის წიგნების თარგმნა უცხოური ენებიდან ქართულად და ქართველებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, გასცნობოდნენ მაშინდელი მსოფლიოს ინტელექტუალურ მიღწევებს. ხდებოდა პირიქითაც. ქართულიდან ბერძნულად ითარგმნებოდა თხზულებები და ახლა ქართულის მეშვეობით მსოფლიოს კულტურული საზოგადოება ეცნობოდა მას.

ივანემ ჩამოუთვალა დამსწრე საზოგადოებას, თუ ვინ მოღვაწეობდა ამ მონასტრებში: „ცნობილი ქართველი მოძღვარნი, მეცნიერნი ღვთისმეტყველნი, ფილოსოფოსნი და მთარგმნელნი, სჯულის მეცნიერნი, უცხო ენათა მეცნიერნი, ისტორიკოსები და ხელოვანნი“.

მომხსენებელს არც ის დავიწყებია, რომ საქართველოშიაც არსებობდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერები. მაგალითად, გელათში, რომელსაც ისტორიკოსი ასე ახასიათებდა: იგი დავით აღმაშენებელმა დააარსა „მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“.

ივანე საზოგადოებას იმასაც შეახსენებდა, რომ ის პირი, ვინც ამ სასწავლებელში ანუ აკადემიაში ახალგაზრდებს ასწავლიდა მოძღვარი ერქვა. ხოლო ამ მოძღვრების უფროსს მოძღვართ-მოძღვარი. სწავლა-განათლებას მაშინ იმდენი პატივისცემა ჰქონია, რომ მოძღვართ-მოძღვარს სამეფო კარზე კათალიკოსზე მეტი პატივი ჰქონია.

ივანე შეეხო სარწმუნოებრივი განსხვავებულობის საკითხს და აღნიშნა, რომ არაქრისტიანულ სამყაროში მიღებულ სამეცნიერო და კულტურულ მიღწევებს ქართველობა დაუყოვნებლივ ეუფლებოდა: „სიბრძნისმეტყველებისა და მკურნალობის მეცნიერების დარგშიაც ჩვენი წინაპრები მარტო ქრისტიანულ ბერძნულ შემოქმედების შესწავლით არ დაკმაყოფილებულან, არამედ არაბულ-სპარსულ მდიდარ მწერლობითაც უხვად ისარგებლეს“.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ყოველივე ამან საუცხოო შედეგი მოგვცა:

„ამით ქართველთა აზროვნებას ფართო მსოფლმხედველობა გადაეშალა და ბერძნულ-ქრისტიანულ დინჯ და მკაცრ შემოქმედებასთან ერთად მწველ აღმოსავლეთის ღაღი და სიცოცხლით აღსავსე ფერადოვანი კულტურის ნაყოფი იგემა. ქართველობამ ეს ორი მთავარი კულტურული სამფლობელო ესოდენ გულის სიღრმემდე შეითვისა და თავის შემოქმედებაში განუყოფლად შეაერთა, რომ ქართული კულტურა აღმოსავლეთსაც ეკუთვნის და დასავლეთსაც“.

ყოველივე ამას კი, მომხსენებლის აზრით, ის ცხოველმყოფელი შედეგი გამოუღია, რომ ქართული კულტურა ცალმხრივი განვი-

თარების გზას ასცდა: „**ამით ქართველობამ მაშინდელ მსოფლიო კულტურის შეერთება შესძლო** და ამიტომაც არის, რომ მის მაშინდელს გონებრივს და ნივთიერს შემოქმედებას ის ცალმხრივობა არ ეტყობა, რომლითაც ცნობილია იმდროინდელი ბიზანტიური, სომხური, ასურული და ცოტაოდნად თვით სპარსულ-არაბული მწერლობა და კულტურაც“.

აი, ასეთი დიადი წარსული გვქონდა და მისის საძირკველი განვითარებული მეცნიერება და კულტურა იყო.

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა?“

აღმოსავლეთიდან დაძრულმა ურდოებმა საქართველოს ეს ცხოველმყოფელი განვითარება შეაფერხა. ყოველივე ეს ისეთი წამლეკავი აღმოჩნდა, რომ ყოველივე სრულიად დაკნინდა და მოიშალა.

„თუ წინათ ქართული სამეცნიერო ენა საუცხოვოდ შემუშავებული და შესაფერისად მოქნილი იყო, ეხლა მას უკვე არც შესატყვისი ტერმინოლოგია-ღა ჰქონდა და არც ახალ მსოფლმხედველობის და მეცნიერების ახალ დარგების მოციქულები მოიძებნებოდა“.

დრო კი მიდიოდა.

საქართველო კი დროის მსვლელობას ფეხს ვერ უწყობდა.

ევროპაში განათლებამ და მეცნიერებამ მონასტრების კედლებიდან უნივერსიტეტებში გადმოინაცვლა. ეს საქმე ახლა სასულიერო პირების კი არა საერო მოღვაწეთა ხელში გადმოვიდა. ახლა უკვე ამ უნივერსიტეტებში ლათინური და სხვა ევროპული ენები ბატონობდნენ. ბერძნულ და არაბულ-სპარსულ ენებს გასავალი არა ჰქონდათ. საქართველოში კი სწორედ ეს ენები იცოდნენ და ევროპისთვის ფეხისაწყობა უჭირდათ. დროებითი გამოსავალი მხოლოდ სხვების შუამავლობა იყო. ამ როლს ჯერ კათოლიკე მისიონერები ასრულებდნენ. შემდეგ კი თავად ქართველები რუსული ენიდან ქართულად თარგმნიდნენ წიგნებს. თავად რუსებს მეცნიერება იმ დონეზე არ ჰქონდათ განვითარებული, რომ საკუთარი შეექმნათ და ფრანგულიდან და გერმანულიდან თარგმნიდნენ. ამას ის ცუდი შედეგი ჰქონდა, რომ „როდესაც ქართველები რუსულიდან სთარგმნიდნენ, თითქმის ყოველთვის თარგმანის თარგმანი გამოდიოდა, და დედანს ცხოველმყოფელობა აკლდა“.

ივანეს არ დაუსახელებია, მაგრამ აშკარად მიანიშნა ქართველ თერგდალეულებზე, რომლებმაც ქართველთა ეროვნული თვითშეგნება გამოაფხიზლეს და მომავალი განვითარება განაპირობეს. მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, მათმა ძალისხმევამ საგრძნობი შედეგი გამოიღო. ივანე ამბობდა: „მათმა წმინდა სულისკვეთებამ და სპეტაკმა, უანგარო მოღვაწეობამ შედარებით უხვი ნაყოფი გამოიღო: ჩვენმა ენამ ძალა მოიკრიფა, პოეზია არამც თუ გამოცოცხლდა, არამედ შემოქმედების მშვენიერი ძეგლებიც კი შეგვძინა, ქართული ენა კვლავ საზოგადოებრივ დაწესებულებებში გაისმა“.

ეს შესაძლებელი გახდა „ქართველ მოღვაწეების, პოეტების, მწერლების, დრამატურგებისა და მსახიობთა, თანაც თითო-ოროლა მეცნიერის თავგამოდებულ და დაუცხრომელ პირად მხნეობის წყალობით“.

ეს იყო და ეს.

ერის ჯეროვანი განვითარებისთვის სამკალი ფრიად იყო.

„რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბევრი შრომა და მხნეობაა საჭირო, ქართულ მეცნიერებისა და აზროვნების აყვავებამდის ჯერ კიდევ ბევრი რამე გვაკლია, მაგრამ ყველა გრძნობს, რომ შესაძლებელია ქართულმა აზროვნებამ და ენამ წინანდებურად ლაღად ფრთა გაშალოს, ქართველობამ კვლავ აზროვნების უმწვერვალეს სფერომდე აღმაფრენა შეიძლოს და თავის ამ სულისკვეთებისათვის შესაფერისად მოქნილი და მდიდარი ენა შექმნას“.

დედაენა ეროვნულობის საძირკველია და გასაკვირი არაა, თუ ამდენი დრო დაუთმო ივანემ თავის მოხსენებაში ენაზე საუბარს. იგი ხომ შინ „საყველპუროდ“ მოსახმარ ენაზე არ ლაპარაკობდა. იგი ხელოვნების უნატიფესი სახეებისა და მეცნიერების ურთულეს დებულებების ნათლად გამომხატველ საშუალებაზე საუბრობდა, რომელიც მაშინ არ არსებობდა. ეს ერთ-ერთი უმთავრესი იყო, მაგრამ არა თვითმიზანი.

„თუ ჩვენ გვინდა, რომ ამ ჩვენს აღორძინებას მტკიცე საფუძველი ჰქონდეს, ფესვები მაგრად გაიდგას და უხვად გაიფურჩქნოს, უნდა დაუყოვნებლივ ჩვენს თანამედროვე ვითარებას ჩავუკვირდეთ და საქმის შესატყვისი სამოქმედო გეგმა შევიმუშაოთ, რომ-

ლის განსახორციელებლად არაფერი უნდა დავზოგოთ და არავითარ დაბრკოლების წინაშე არ უნდა შევდრკეთ“.

ეს იყო ივანეს დასკვნაც და მოწოდებაც!

ერთია ვთქვათ რა გვინდა, მეორეა შეგვიძლია თუ არა.

საჭირო იყო გაგვეგო საქართველოს შვილთაგან ვინ სად სწავლობდა, სად მუშაობდა, რა წარმატებები ჰქონდა... ამ საკითხის მოგვარებაც ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ ითავა. ამ მიზნით 1912-1913 წწ. შედგენილ იქნა ანკეტა და დაიგზავნა რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში. მიღებული შედეგი შთამბეჭდავი იყო. აღმოჩნდა, რომ ქართველი სტუდენტები ეუფლებოდნენ მეცნიერების უკლებლივ ყველა დარგს. ამ გამოკითხვის შედეგებს ახლა, 1917 წელს ასე აჯამებდა ივანე:

„...ქართველი მეცნიერი, დოცენტები, ასისტენტები და ლაბორანტები არც ისე ცოტანი გვყვანან, როგორც ბევრსა ჰგონია, — ამბობდა ივანე ჯავახიშვილი, — მაგრამ თითქმის ყველანი რუსეთის და თითო ოროლა უცხოეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში არიან გაფანტულნი. ქართული მეცნიერებისათვის სამსახური მათს პირდაპირს მოვალეობას არ შეადგენს და ამის გამო მომეტებული მათგანი იძულებულია მთელი თავისი ნიჭი და ძალღონე უცხოეთის მეცნიერებას და უმაღლეს სასწავლებელს შეალიოს. ასე შორიშორს მყოფნი და გაფანტულნი თუნდაც რომ ქართულ მეცნიერებას თავგანწირულ მხნეობით ემსახურონ, ცხადია მაინც ქართულ სამეცნიერო მწერლობას და სკოლას ვერ შეჰქმნიან. ამისთვის უნდა ერთი ქართული სამეცნიერო უმაღლესი დაწესებულება შეიქმნას, რომლის წევრთა უმთავრესსა და პირდაპირს მოვალეობას მხოლოდ ქართულ მეცნიერებისათვის სამსახური და მის წარმატებასა და აყვავებაზე ზრუნვა უნდა შეადგენდეს. მარტო ამგვარს დაწესებულებას შეუძლია ქართულ მეცნიერებისა და შემოქმედებითი აზროვნების დაუფასებელ, ცხოველმყოფელ კერად და მანათობელად იქცეს“.

ივანეს ზრუნვის საგანი თავად ერი იყო.

ხოლო დედაენის ენით ამეტყველებული მეცნიერება ერის მერმისს უნდა მომსახურებოდა.

გავიხსენოთ, თუ როდის გაკეთდა ეს მოხსენება:

1917 წელია. 12 მაისი.

კრებამ აირჩია კომისია, რომელიც უნივერსიტეტის დასაარსებლად საგანგებო საზოგადოებას დააარსებდა. ეს საზოგადოება კი თავის უნივერსიტეტს დააფუძნებდა და მას ქონებრივად უზრუნველყოფდა.

აქ ერთი ფაქტია გასახსენებელი. შემორჩენილია მხოლოდ ქუთაისში გამართული კრების მოსაწვევი, რომელზეც გარკვევითაა დაწერილი: **„ეს ცნობა გასახმაურებელი არ არის“.** მართალია, უნივერსიტეტის დამაარსებლები კანონსაწინააღმდეგოს არაფერს სჩადიან, მაგრამ, როგორც ეტყობა, ზედმეტ ხმაურს ერიდებიან. არამკითხე მოამბენი ხომ ყოველთვის თავიანთი ფართიფურთით საქმეს ვნებენ. მალე გამოჩნდება, რომ ამგვარი მოქმედება სულაც არ იყო ზედმეტი სიფრთხილე.

აღფრთოვანებული საზოგადოება ნელ-ნელა დაიშალა.

დავიხსომოთ ეს და განვაგრძოთ.

იმავე წლის 17 მაისს ივანემ იგივე მოხსენება ქუთაისის საზოგადოებას წარუდგინა.

ქუთათურებმა არანაკლები აღფრთოვანება გამოხატეს. აქაც აირჩიეს კომისია, რომელიც თბილისში არჩეულს შეუერთდებოდა და ერთად იზრუნებდა უნივერსიტეტის საზოგადოების შექმნაზე.

ივანე თბილისში დაბრუნდა და კვლავაც ენერგიულად განაგრძო უნივერსიტეტისთვის ბრძოლა.

მაგრამ?

24 მაისს დაინიშნა საორგანიზაციო კომისიის სხდომა, მაგრამ წევრთა სიმცირის გამო, 28 მაისისთვის გადაიდო. ამ დღესაც კრება იმავე მიზეზით ჩაიშალა.

მალე გამოვლინდა ქართველების უარყოფითი თვისებები: **ნელ-ნელა გადაიარა აღფრთოვანების პირველმა ტალღამ** და უმრავლესობა თავ-თავის საზრუნავს მიუბრუნდა. არავის ვამუნათებ, რადგან ყველას საქმე თავზესაყრელად ჰქონდა. თანაც დრო გავიხსენოთ: ირგვლივ გაგანია ომი იყო და რა მოგველოდა არავინ იცოდა. ასეთ ვითარებაში დღის სინათლის ჯერაც უნახავი ახალი ხილის — უნივერსიტეტის იდეით ივანესნაირად რად არა ხარ დღედაღამ შეპყრობილიო, ვერავის ეტყვი. არც არავინ უა-

რობდა. კარგია, კარგიაო – ბევრი ამბობდა, მაგრამ საქმის დროს ამ ბევრთაგან მცირედიც ძნელი მოსაძებნი იყო.

ამიტომ ითქმის ასე: ივანე ფაქტობრივად მარტო დარჩა.

სად იყო ახლა ის ხალხი, რომლებიც პირველ კრებაზე სასწავლებლის ტიპზე კამათობდა და ახლა, როცა საქმე იყო საკეთებელი, ვერავინ პოულობდა? ან ისინი სად იყვნენ, რომლებიც დიდი აღტაცებით მიეგებნენ ახალ იდეას? საარქივო მასალებს არ შემოუნახავს ცნობები, რითაც ნათელი იქნებოდა, თუ ვინ რა მიზეზით არ ცხადდებოდა კრებაზე. ბევრი ალბათ, საპატიო მიზეზით ვერ მოდიოდა დანიშნულ კრებაზე, მაგრამ სხვები? კრების გამართვა რომ ვერ მოხერხდება დამსწრე პირთა მცირერიცხოვნების გამო, ხომ მრავლისმეტყველი ფაქტია? ეს ხომ კარგად აჩვენებს ამ მოღვაწეთა დამოკიდებულებას ახალი საქმისადმი — გულგრილნი არიან ისინი თუ არა. ამიტომაც უწევს საქმის ორგანიზატორებს თხოვნა და მუდარა — ნუ იქნებიან გულგრილნი და დაესწრონ ხოლმე სხდომებს. ასეთი თხოვნაა მიწერილი ყველა მოსაწვევზე, რომელიც კომისიის წევრებს ეგზავნებათ.

წარმოიდგინეთ ივანე ჯავახიშვილის მდგომარეობა ასეთი თანაგამზრახველები რომ ეყოლებოდა გვერდით!

როგორ უნდა მოიგოს ომი სარდალმა ასეთი ჯარისკაცებით?

თუმცა საქმის ერთგული და თავდადებული მოღვაწეებიც ჰყავდა ივანეს გვერდით. მართალია, ისინი მცირერიცხოვანნი იყვნენ, მაგრამ ივანეს სიმტკიცე ბევრ რამეს აგვარებდა. როგორც შოთამ სთქვა, „გასტეხს ქვასაცა მაგარსა, გვრდემლი ტყვიისა ლბილისა“.

ქვორუმის უქონლობის გამო ხშირად სხდომებს ვერ ატარებენ და თითოეულ მათგანს უმორჩილესად სთხოვენ სხდომაზე მობრძანდითო. მეტიც, არათუ რიგით ბჭობაზე, არამედ საპასუხისმგებლო და სასწრაფოდ გადასაწყვეტ საკითხზეც აყოვნებენ. ივანე გულისტკივილით შესჩივის მეუღლეს:

„ჩემო სტაზიკო! გუშინ, შაბათს, დედას პენსიის აღება ვერ მოვახერხე: იმოდენა ხალხი იყო, რომ კიბეზე იდგნენ რიგში ჩამწკრივებულნი. ამიტომ ორშაბათსაც აქ მომიხდება ყოფნა. ორშაბათსავე საადგილმამულო ბანკში უნდა წავიყვანო ის კომისია, რომელსაც საუნივერსიტეტო კომისიამ გირავნობის ფურცლების წინასწარ გამოსყიდვით შემდგარ ფულის გამოტანის შესახებ მო-

ლაპარაკება მიანდო. ამ კომისიას ეს დავალება არ აუსრულებია და თუ მე თითონ არ წავიყვანე ისინი ბანკში არასდროს არ მივლენ. საშინელი ზარმაცობაა ჩვენში და საქმის გაკეთება ეძნელებათ“.

ეს ფული ივანეს უნივერსიტეტისთვის სჭირდებოდა. ვისაც ამ საქმის მოგვარება ევალებოდა, ზოზინობდა.

ამ წერილის დაწერის თარიღია 1917 წლის 2 ივნისი. უკვე შუა ზაფხულია, მრავალი რამაა მოსასწრები, კომისიის წევრები კი კრებაზე არ მოდიან. არადა, ყველა ცნობილი ქართველია. ყველა საზოგადო მოღვაწეა და იღწვიან კიდევაც მუხლჩაუხრელად, თუმცა თავ-თავიანთ „ბოსტანში“. **ისინი ივანესავით უნივერსიტეტით არ ცხოვრობენ**. ისინი ჯერ ვერ ხედავენ იმას, რაც უნივერსიტეტმა შეიძლება ერს მოუტანოს.

მართალია, უნივერსიტეტის დამაარსებლები განაზრახს საიდუმლოდ არ ინახავენ, მაგრამ არც ახმაურებენ. თუმცა ეტყობა ამის შესახებ მტერი უფრო მეტს იგებს, ვიდრე მოყვარე და და რეაქციაც უფრო უკეთესი აქვს. გაზეთ „სახალხო ფურცელში“ 1917 წ. 30 მაისს ქვეყნდება კონსტანტინე გამსახურდიას წერილი „ქართული უნივერსიტეტისათვის“. მასში ვკითხულობთ: **„.... ამას წინად პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ გვაუწყა: სახალხო განათლების მინისტრს მანუილოვს განუცხადებია: საჭიროა ტფილისში დაუყოვნებლივ უნივერსიტეტი გავხსნათო. ეს განცხადება ჩემის აზრით გამაფრთხილებელი პაროლი უნდა იქნეს ქართველებისათვის, რადგან რუსული უნივერსიტეტის დაარსება ტფილისში სხვა და სხვა მოსაზრებით არც ისე საზეიმოა როგორც ბევრსა ჰგონია. უწინარეს ყოვლისა იგი განზრახულ ქართულ უნივერსიტეტს ფუძეს გამოაცლის“**.

ბარაქალა დარდიმანდ ქართველებს. 12 მაისიდან, როცა შედგა უნივერსიტეტის დამფუძნებელთა პირველი შეკრება, 30 მაისამდე არც თუ დიდი დროა. არც მარტში კერენსკისთან შეხვედრიდან გასულა უსაშველო ხანი. მამულიშვილთა საწინააღმდეგო მანქანა კი ამუშავებულა. თავად რუსეთის მთავრობა გვიხსნის თბილისში უნივერსიტეტს. იმ უნივერსიტეტს, რომელზეც ქართველობა ბევრს ფიქრობდა და ბჭობდა, ახლა მზამზარეულს მოგვართმევდნენ სინზე დადებულს.

რა მოხდა? მთავრობა გამოიცვალა და გაკეთილშობილდა? იქნებ მთავრობამ ის უფრო იფიქრა, ესენი არ ხუმრობენ და მოდი, დავასწროთ და რუსული უნივერსიტეტი დავაარსოთო. ამით მათ განზრახვას ჩავუშლით და მათ ეროვნულ განვითარებასაც შევაფერხებთო? ალბათ, ასე იყო და ამიტომაც საჯაროდ გააფრთხილა კ. გამსახურდიამ ქართველობა ფხიზლად ყოფილიყვნენ.

ბევრს კი გახარებია, საოცნებო ხილი უზრუნველად მოგვერთმევაო: მთავრობა ზრუნავს ჩვენზე, საჭირო სახსრებს თავად მოიძევს, აგერ გვექნება უნივერსიტეტი, ჩვენს ქალაქში და ჩვენი შვილების სხვაგან გაგზავნა და ზედმეტი ხარჯის გაწევა არ დაგვჭირდებაო. მერე რა, რომ რუსული იქნება. აქამდეც ხომ რუსულად ვსწავლობდითო.

— ისე კი, ქართულად შესაძლებელია სამეცნიერო საუბარი? — ქირქილებდა ბევრი.

— ჯავახიშვილი კი გვეუბნება და გვპირდება, რომ შესაძლებელია, მაგრამ რა დასაჯერებელია! — ასეთი თავდაჯერებული ცოტა არ იყო.

— მაგრამ შეძლებს კი? გამოუვა? — ორჭოფულებიც საკმაოდ იყვნენ.

— ეს უშრომელი და უწვალებელი არა სჯობია? — დარდიმანდები როდისღა გვაკლდა.

ალბათ, ასე ფიქრობდა გულარხეინ ქართველთა ნაწილი და ის კი არ აგონდებოდა, რომ მისთვის საჭირო და სასურველი საგნის ასე მორთმევა შეურაცმყოფელიც კი იყო. ამ ადამიანების გასაგონად გარკვევით და მკაფიოდ ამბობდა კ. გამსახურდია: „დღეს ხმები გვესმის ჩვენში რუსული უნივერსიტეტის დაარსებას აპირებენ. **ეს თავმოყვარე კულტურული ერისათვის ერთგვარი შეურაცყოფაც არის**, რომ მისთვის უმაღლეს სასწავლებელს „აარსებენ“. მისი მიზანი და მისი ფუნქციის შედეგების გათვალისწინება არც ისე საძნელოა. რუსული უნივერსიტეტის დაარსება ტფილისში კიდევ ერთი ზედმეტი მარჭვალის გაყრაა, იმ ჯაჭვში, რომელიც ზღუდავს და ჰბორკავს ჩვენს თავისებურ შემოქმედებას“.

ახლა უკვე ზოზინის დრო აღარ იყო. განაზრახი უნდა ასრულებულიყო. ქართული ანდაზისა არ იყოს, დასაკლავ ხარს რაღა ყურება უნდაო, კ. გამსახურდია კატეგორიულად მოითხოვდა:

„იმათ ვისაც განზრახული აქვთ ფუძე და საძირკველი ჩაუყარონ ტფილისში ქართულ უნივერსიტეტის იდეას, ყურად იღონ ეს მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი ცნობა და ჩვენ გვგონია: საჭიროა მამულის მომავლისათვის მზრუნველმა ხელმა დააჩქაროს გაწამებული ერის დიდი ხნით ნაზრახი გულისნადების სისრულეში მოყვანა“.

ივანე უნივერსიტეტის დაარსების „იდეის განხორციელების პროპაგანდას ეწევა რაღაც რელიგიური ექსტაზით. ქართული საზოგადოების ნაწილი აღფრთოვანებით ხვდება ამ იდეას, მაგრამ ძალიან ბევრნი მას დიდის ეჭვით და მხრების შმუშვნით ეგებებიან. ზოგს სასაცილოდაც კი არ ჰყოფნის ეს ამბავი: საქართველო, რომელიც ჯერ „დედა-ენას“ და „ბუნების კარს“ არ გასცილებია და უნივერსიტეტი? სამეცნიერო და საფილოსოფიო დისციპლინათა შესწავლა ქართულად? ... კარგი — და, სადაა სამეცნიერო მასალა ქართულ ენაზე, ან საპროფესორო ელემენტი — ქართველი მეცნიერები... და სხვა.

იქ, პეტერბურგშიც, ქართული უნივერსიტეტის გახსნის წინააღმდეგნი არიან: საქართველო მეცნიერებისათვის „უნაყოფო უდაბნოდ“ თუ რაღაც ამის მსგავსად არის მიჩნეული.

მაგრამ ვანო ჯავახიშვილის გატეხა აგრე რიგად ადვილი საქმე არ არის. მის ნიჭს და ყოველს დაწყებას ზურგს უმაგრებს, ჯავშნად ეფარება ის გამკვეთრებული ნებისყოფა, რომელიც ქართლმა გამოიმუშავა არსებობისათვის ბრძოლის პროცესში...

ვანომ თავისი გაიტანა“.

მხოლოდ 3 ივნისს მოხერხდა კრების ჩატარება.

კრება გახსნა კ. აფხაზმა. მან ისაუბრა სახსრების შეკრების სიძნელეებზე და მიუთითა გზებზე: საჭირო ნებართვის შემდეგ მომგებიანი ლატარეის მოწყობა, საქართველოში არსებული კოოპერატივებისაგან შემოწირულობა, ქართველთა შორის საშემოსავლო გადასახადის გაწერა. ამ საკითხებზე წინადადებების მოშზადება ი. ლორთქიფანიძემ ითავა. ვ. ყიფიანმა კი „თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის გირავნობის ფურცლების სავალდებულო განაღდებისას, ზედმეტი გადასახადისაგან განთავისუფლების“ შედეგად, დაგროვილი თანხის გამოყენების წინადადების შემუშავება ივალდებულა. საქმე თითქოს დაიძრა.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილს ეს არ აკმაყოფილებს და კატეგორიულად მოითხოვს: „ამ საქმის **დახანება მეტი არ შეიძლება**. საჭიროა გამორკვეულ იქნეს საბოლოოდ, შეიძლება თუ არა მომავალი წლიდან უნივერსიტეტის გახსნა. მხოლოდ წინდაწინვე დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, უსახსრობის გამო უნივერსიტეტის არსებობა უცბად არ შეწყდება. ამ შემთხვევაში გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავაყენებთ მოწვეულ პროფესორებს, რომელნიც ახლა უზრუნველყოფილნი არიან რუსეთის უნივერსიტეტებში, და მხოლოდ ეროვნული იდეის გამო მზად არიან დასთმონ ახლანდელი თავიანთი ადგილები, ოღონდ კი სამშობლო მეცნიერებას ემსახურონ“.

ივანე ჯავახიშვილს მხარი მხოლოდ ფილიპე გოგიჩაიშვილმა აუბა. მან განაცხადა, რომ განზრახული საქმე აუცილებლად უნდა დავიწყოთ, თუნდაც მცირე სახსრებით. შემდეგ კი ქართველი საზოგადოება მას არ გასწირავს და ყურადღებას არ მოაკლებსო. „ყველა ქართული საზოგადო საქმე მცირედის ნივთიერის საშუალებით დაწყებულა და ასე თუ ისე ბოგინობს და ასრულებს მეტ-ნაკლებობით თავის კულტურულ დანიშნულებას. ქართულ უნივერსიტეტს, რა თქმა უნდა, უფრო მკვიდრი საფუძველი სჭირია, რაც დიდ თანხას მოითხოვს, მაგრამ ერთბაშად ქართველებს არ შეუძლიათ ამოდენა თანხის შედგენა. მაინც და მაინც ეს გარემოება როდი უნდა გვაბრკოლებდეს და უნდა ეხლავე შევეცადნეთ ამ დიადი საქმის განხორციელებას. ეჭვგარეშეა, ეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი საქმეა, რომ ქართველი საზოგადოება უეჭველად ხელს შეუწყობს მის არსებობას. ამიტომ ყოველნაირი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ საქმე დავიწყოთ, თუ გინდ მცირედი თანხითაც, ოღონდ კი ერთი-ორი წლისთვის კი საკმარისი იყოს“.

უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა რა იცოდნენ, თუ რა ხდებოდა ამ დღეს რუსეთში? მისი ექო მოგვიანებით ჩამოაღწევს.

1917 წ. 3 ივნისს გაიმართა რუსეთის საბჭოების I ყრილობა. ტრიბუნაზეა დროებითი მთავრობის ერთ-ერთი მინისტრი და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკთა ფრთის ასევე ერთ-ერთი ლიდერი კაკი წერეთელი, რომელიც დიდი მონდომებით ამტკიცებს: „ახლანდელ მომენტში რუსეთში არ არის პოლიტიკური პარტია, რომელიც იტყოდა: მოგვეცით ძალაუფლე-

ბა, თქვენ წადით და ჩვენ დავიჭერთ თქვენს ადგილს. ასეთი პარტია არ არის“.

ამ დროს დარბაზიდან მოულოდნელად გაისმა: „არის ასეთი პარტია! ეს არის ბოლშევიკების პარტია“.

ეს იყო ლენინი.

უმრავლესობამ სერიოზულად არც აღიქვა ეს განცხადება, მაგრამ სულ ტყუილად. ლენინი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკთა ფრთის ბელადი, შეასრულებს თავის ნათქვამს და ყველაფერი თავდაყირა დადგება. ამ მოვლენების შედეგებს ვერც საქართველო გადაურჩება.

ივანეს კი თავისი საქმე აქვს. იგი გამუდმებით უნივერსიტეტს დასტრიალებს თავს. იმ დღეების ამასახველი მასალები არცთუ ბევრია შემორჩენილი, მაგრამ რაც არის, ისინიც კარგად გვიხატავენ ივანეს და მისი თანამებრძოლების ღვაწლს. ივანე პირად საუბრებში თუ წერილებში ყველას მომავალ უნივერსიტეტზე ესაუბრება. იგი არკვევს სხვადასხვა წვრილმან საკითხს, მას აინტერესებს მომავალი უნივერსიტეტის შესაძლო პროფესორების შეხედულებები ამა თუ იმ საკითხებზე. 8 ივნისს მას ალ. ჯანელიძე ქუთაისიდან წერილით ატყობინებს, რომ ანდრია რაზმაძის ინიციატივით, ქუთაისში შეიკრებნენ ა. რაზმაძე, ალ. ჯანელიძე, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე და ლ. შურღაია. მათ იმსჯელეს მომავალი უნივერსიტეტის საკითხზე და შეთანხმდნენ:

1. ტერმინოლოგიის შემუშავება სამეცნიერო მოღვაწეობის პროცესში უნდა მოხდეს. ამიტომ ეს საქმე შესაძლებელია მხოლოდ უნივერსიტეტის ამოქმედების შემდეგ დაიწყოს.

2. უცხოეთიდან მეცნიერების მოწვევა შესაძლებელია, მაგრამ ისინი უმრავლესობაში არ უნდა აღმოჩნდნენ, რომ უნივერსიტეტმა თავისი ეროვნული სახე არ დაკარგოს.

3. უნივერსიტეტის პროფესორებს ისეთი პირობები უნდა ჰქონდეთ, რომ მთელი თავიანთი ძალ-ღონე მხოლოდ უნივერსიტეტს მიუძღვნან.

უნივერსიტეტის დაფუძნების ინიციატორებმა გადაწყვიტეს, დაეჩქარებინათ უნივერსიტეტის საზოგადოების წესდების მომზადება. იგი, რა თქმა უნდა, ივანე ჯავახიშვილს დაეკისრა. საარქივო მასალები თვალსაჩინოს ხდის ივანეს გარჯას — ყველა ოფიცია-

ლური დოკუმენტი მხოლოდ მის მიერაა შედგენილი. როგორც ბევრ სხვა საქმეში, აქაც მას ვინმე მიმშველებელი თითქმის არა ჰყოლია.

საზოგადოების პროექტი ივანე ჯავახიშვილმა ჩვეული გულმოდგინებით მალე შეადგინა და 15 ივნისს მოწვეული საორგანიზაციო კომისიის სხდომას წარუდგინა. ივანემ დააყენა საკითხი, რომ ამოშლილიყო უნივერსიტეტის სახელწოდებიდან სიტყვა „თავისუფალი“. მისი აზრით, მას იგი კერძოობით ხასიათს აძლევდა. გადაწყდა, მომავალი უნივერსიტეტისთვის ეწოდებინათ **„ქართული უნივერსიტეტი ტფილისში“,** ხოლო საზოგადოებისთვის **„ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“.**

წესდება მზადაა, მაგრამ სანამ მას ხელისუფლებას დასამტკიცებლად გაუგზავნიან, ჯერ წესისამებრ ხომ უნდა გაფორმდეს და დამფუძნებლებმა ხელი უნდა მოაწერონ?

დამფუძნებლები სულ ხუთი ქართველია, ხუთივე თავისი დროის გამოჩენილი პიროვნება: კონსტანტინე აფხაზი, გიორგი ჟურული, ექვთიმე თაყაიშვილი, იასონ ლორთქიფანიძე და ივანე ჯავახიშვილი.

ხელმოწერა კი ყოვნდება.

საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება ერთეული შემთხვევა რომ იყოს, არაუშავდა რა. სამწუხაროდ, ასეთი ჩვევა წესად ექცა ქართველებს. ისევ ივანეს წერილებს მივმართოთ. 1917 წლის 6 აგვისტოს თბილისიდან ქუთაისში მეუღლისადამი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „დღეს ვაპირებდი წამოსვლას, მაგრამ რაკი ქართული უნივერსიტეტის წესდებას ზოგმა წევრმა დროზე არ მოაწერა ხელი, გუშინ ვერ შევიტანე კომისარიატში დასამტკიცებლად. სამშაბათამდის მომიხდება დარჩენა და სამშაბათს დილას მატარებლით წამოვალ“.

ქართველების გულგრილობამ რომ ივანეს მრავალჯერ ატკინა გული და სასოწარკვეთამდე მიიყვანა, ემიგრაციიდან გამოგზავნილი ექვთიმე თაყაიშვილის წერილიც ადასტურებს. „როდესაც ჩვენ ერთად უნივერსიტეტს ვაარსებდით, — წერს ექვთიმე თაყაიშვილი პარიზიდან 1924 წ. ირონდიონ სონღულაშვილს, — ჯერ კერძოს, და პირველად საზოგადოება აღტაცებით შეხვდა და შემდეგ ჩვეულებრივი ჩვენში გულგრილობა და ინდიფერენტიზმი გამოიჩინა, ივანე ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რომ გა-

დასწყვიტა ყველაფერზე ხელი აეღო და გერმანიაში წასულიყო სამუშაოდ. ძლივს დავარწმუნე, რომ ამგვარი მოვლენა ჩვენში ჩვეულებრივია... თანდათან შეეჩვია ყველა დამაბრკოლებელი მიზეზების, გულგრილობის და ინტრიგების გადალახვას“.

გულისგატყდომამდე ალბათ კი მივიდა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, ივანეს თავისი წამოწყების დავიწყება შეძლებოდა. დაჩივლებით, ალბათ, დაიჩივლებდა, მაგრამ დაწყებულ საქმეს ასე არ მიატოვებდა. შეუძლებელია მას არა სცოდნოდა, რომ ბრძოლა მოუწევდა. რაც შეეხება ქართველთა ნაკლოვანებებს, ივანესთვის იგი ცნობილი იყო და ამიტომაც უთხრა პირუთვნელი სიმართლე 1904 წელს თვით იაკობ გოგებაშვილსაც კი ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება“.

ამ უსიამოვნო ფაქტს ივანე მოგვიანებით ასე გაიხსენებს: „დაიწყო მუშაობა. პირველი კრების აღფრთოვანებამ, აღგზნებამ ცოტა ფოლიც შესძინა ამ აზრს, მაგრამ შემდეგ, როგორც ქართველ საზოგადოებაში არაერთხელ მომხდარა, ეს აღფრთოვანება როგორღაც განელდა. უგულობა ცხადად იგრძნობოდა, ამ გამგეობის კრებები იშლებოდა ხოლმე. გულახდილად მოგახსენებთ, კრებები დიდი დაგვიანებით იმართებოდა, ისეთი დიდი დამსახურებული მეცნიერი, როგორც მელიქიშვილი იყო (საერთოდ მეცნიერები მიჩვეული არიან წესიერ სხდომებს) და სხვა მონაწილეები, უნდა მოგახსენოთ, იშვიათად ესწრებოდნენ სხდომებს. არ ეტყობოდა, რომ ის აღფრთოვანება, რომელიც პირველ კრებაზე იყო, ხანგრძლივი აღმოჩნდებოდა“.

დახეთ, ივანემ მისთვის მეტად საპატივცემულო მეცნიერი, პეტრე მელიქიშვილიც კი დაასახელა!

იქნებ არც გაემტყუნებათ, ივანეს თანამზრახველები ხომ უნივერსიტეტის გარდა კიდევ საზოგადო, მაგრამ მაინც თავ-თავიანთი საქმეებით არიან დაკავებულნი.

მართლაც და არც არავინ გავამტყუნოთ, მხოლოდ ყველას თავ-თავისი მივუზღათ.

შალვა ნუცუბიძე საქართველოს სხვადასხვა მხარეში მოგზაურობს და მოხსენებებს კითხულობს პოლიტიკურ თემებზე.

ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარის ინიციატივით, თბილისში დაარსებულ არქეოლოგიურ ინსტიტუტს დასტრიალებს თავს და

აგრეთვე ქართული ძეგლების მოსანახულებლად ოსმალოს საქართველოში მიემგზავრება. იგი 9 ივლისს ნ. მარს წერს, 2 დღის წინ იყო თბილისში და ახლა ისევ ოქროყანაშია, მეუღლის მამულში. იგი 25 ივლისს თორთუმში აპირებს გამგზავრებას. მაგრამ, როგორც ჩანს, შემდეგი წერილებიდან, იქ გამგზავრება უფრო გვიან მოუხერხდა. 5 აგვისტოს კი წერს: „რვა ამ თვეს მივდივარ თორთუმს. ... მე ტფილისში არა ვარ და არ ვყოფილვარ კარგა ხანია“. შემდეგ კი, 7 ოქტომბერს ნიკო მარს აცნობებს „18 ენკენისთვეს მე დავბრუნდი თორთუმის ხეობიდან“.

იტყვის კი ვინმე, რომ რომელიმე ეს საქმე ნაკლებად მნიშვნელოვანია? განა მათ არ უნდა მიხედვა და რუდუნება? ის კი არა და აღელვების გარეშე განა შეიძლება წაიკითხო ამ მიმოწერის შემდეგი ადგილი: „ნიკო, თუ მე ექსპედიციიდან ვერ დავბრუნდი, გთხოვ, ჩემი სვანეთში მოგზაურობა შენ გამოსცე... აგრეთვე გავალებ, ჩემ ყარსის მხარეში მოგზაურობასაც უწინამძღვრო“.

ეს ხომ ფაქტობრივად ანდერძია იმ კაცისა, რომელიც სახიფათო გზას ადგას და თავის ნალოლიავებ და ძვირფას განძს ყველაზე ახლობელ ადამიანს ანდობს.

ამიტომ, რა თქმა უნდა, არავის დამუნათება არ შეიძლება. მაგრამ ასევე სათქმელია, რომ **უნივერსიტეტის იდეით ივანესავით არავინაა შეპყრობილი და მასავით ამ საქმეზე არავინ ზრუნავს.** ისევ ექვთიმე თაყაიშვილის მაგალითი გავიხსენოთ. იგი ხომ ვიღაც რიგითი მოღვაწე არაა? აბა, წარმოვიდგინოთ მაშინ სხვები! 1917 წლის 9 ივლისის წერილში ექვთიმე ნ. მარს წერს: არქეოლოგიის ინსტიტუტში ჩემი მუშაობა ნაყოფიერი რომ იყოს, უნდა დავტოვო გიმნაზია. „მზათ ვარ სულ გადმოვიდე ინსტიტუტში და ამთავითვე შტატის ადგილი დავიკავო. ჯამაგირი თითქმის იგივეა, რაც გიმნაზიაში. ... შენი გადაწყვეტილება ამ საგნის შესახებ მაცნობე საჩქაროთ, რომ დროზე თავდარიგი მივიღო სექტემბრიდან საქმეების მოწყობისა. თუ ეს არ მოხდა, მე სხვა კომბინაცია მაქვს სახეში ჩემი საქმის თავდარიგისა“. ძნელია ახლა იმის თქმა, ექვთიმეს ნათქვამში „სხვა კომბინაცია მაქვს სახეში ჩემი საქმის თავდარიგისა“, რა იგულისხმება? ვითომ ამ კომბინაციაში უნივერსიტეტი უნდა ვიგულვოთ? თუ ასეა, მაშინ იგი მაინც ალტერნატივის სახით ყოფილა მოაზრებული.

საუნივერსიტეტო საქმის ორგანიზატორები ასე ყველა თავ-თავიანთი საქმიანობით არიან დაკავებულნი. უნივერსიტეტი მათთვის დამატებითი საზრუნავია.

ისევ გავიმეორებ: არავის დამუნათება არ შეიძლება, შენ სხვასავით რატომ არ ხარ რომელიმე საქმისთვის წკიპზე მომართულიო! არ შეიძლება, მაგრამ არისტოტელეს ყურისგდება კი გვევალება: პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდიაო. ამ შემთხვევაში ეს ჭეშმარიტება ისაა, რომ ივანესავით უნივერსიტეტით არავინაა დაკავებული.

ივანე კი მოუღლელად შრომობს. იგი ადგენს არა მარტო მოხსენებებსა და დებულებებს, არამედ სხვა ნაკლებ მნიშვნელოვან საკანცელიარო ქაღალდებსაც. რაც შეეხება ბრძოლას, ებრძოდა ხელისუფლებისაგან შექმნილ ბარიერებს, პეტროგრადელ მეცნიერთა ჩასაფრებას და აქაურ ქართველთა გულგრილობას.

5 ოქტომბერს ივანე მეუღლეს წერს: „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრება იყო და კვირას გაგრძელება იქმნება. შენ მეკითხები პეტერბურგში წასვლა ხომ არ მოგიხდებაო. წასვლას არ ვაპირებ: აქა ვრჩები და იანვრითგან ქართულ უნივერსიტეტს უეჭველად ვხსნით. ჩემო სტაზიკო, მე გადავწყვიტე თქვენი აქ ჩამოყვანა ამ მოკლე ხანში. ბინა უკვე თავისუფალია“.

უნივერსიტეტის იდეა კი ქართველ საზოგადობასაც სწვდება. იბეჭდება მხარდამჭერი წერილები და ყველა მოუთმენლად მოელის ოცნების ასრულებას. ერთ-ერთ მათგანს გადავავლოთ თვალი:

„**ჯერ კიდევ ოცნებით შექმნილ თავისუფალ საქართველოს არაფერი დაამშვენებს ისე ძლიერ, როგორადაც ქართული უნივერსიტეტი**. იგი იქნება ცენტრი, სადაც თავს მოიყრის ქართველი ერის დღემდი სავსებით გაუმჟღავნებელი, ეროვნული შემოქმედება. ქართული უნივერსიტეტი შეჰქმნის დიდებულ კულტურულ იარაღს, რომელსაც ქართული მეცნიერული ენა ეწოდება...

თუმც მეცნიერული ჭეშმარიტება უნივერსალურ სახეს ატარებს და მაღლა სდგას ვიდრე მამულიშვილობა, მაგრამ არც თუ ცივი აზრით შექმნილი ჭეშმარიტება არის საკმაო თუ იგი საკუთარ გრძნობით არ გაათბე, მემკვიდრეობით რომ გადმოუცია ჩვენთვის წასულ ეროვნულ კულტურას;... **ყოველმა ჩვენმა პრო-**

ფესორმა უნდა იცოდეს, რომ იგი მარტო მშრალი მეცნიერი კი არ არის, არამედ — ქართველი მეცნიერია, მამულიშვილური გრძნობით აღგზნებული. **უნივერსიტეტში შემავალ სტუდენტს უნდა ახსოვდეს, რომ იგი მარტო სტუდენტი კი არ არის მეცნიერებისაკენ რომ მიისწრაფვის ... არამედ ქართველი სტუდენტია**, გულმტკივნეული, რომელმაც მომავალშიც ქართული მეცნიერება უნდა განამტკიცოს და განავითაროს. ქართველ საზოგადოებას კი სულ მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მას მარტო უნივერსიტეტი კი არა აქვს განყენებულად მდგომი, არამედ ქართული უნივერსიტეტი, რომელმაც ქართულ ენაზედ უნდა შეჰქმნას ქართული მეცნიერება და მუდამ დარაჯად უნდა უდგეს მის არსებას...

ჩვენ უნდა შევქმნათ ქართული უნივერსიტეტი".

ეს წერილი ხელმოწერილი რომ არ იყოს ივანესი გეგონება. როგორ ძალუმად იგრძნობა მასში ივანესეული ხედვაც და სწრაფვაც. ქართველობამ აიტაცა უნივერსიტეტის იდეა და ელოდება მას ისე, როგორც მშობელი პირმშოს დაბადებას.

პეტერბურგში კი უნივერსიტეტის მოწინააღმდეგენი აღმოჩნდნენ. მათ შორის „ორი ცნობილი მეცნიერი იყო გარეული, ორი აკადემიკოსი, ერთი — როგორც განათლების მინისტრი, მეორე — როგორც მომხსენებელი".

მინისტრი ალექსანდრე აპოლონის ძე მანუილოვია — პროფესიით ეკონომისტი, მომხსენებელი კი — ჩვენი ნიკო მარი.

როგორია ბედის ირონია?

ეს ის მანუილოვია, რომელიც ახლა, მინისტრობის ჟამს, ქართულ უნივერსიტეტს ებრძვის, მაგრამ მალე ბოლშევიკებს გამოექცევა და სწორედ ქართულ უნივერსიტეტს შეაფარებს თავს, როგორც პროფესორი.

ნელ-ნელა პოლიტიკური პროცესები ეხლართება საუნივერსიტეტო მოძრაობას. 1917 წლის 17 ნოემბერს შედგა უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს მიერ შემოთავაზებული წინადადება — 19 ნოემბრისათვის დანიშნულ ეროვნულ ყრილობაზე მონაწილეობისათვის უნივერსიტეტის საზოგადოებას დაესახელებინა და მიევლინა ერთი წევრი.

კრებამ ერსულოვნად აირჩია ივანე ჯავახიშვილი.

1917 წ. 29 ნოემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა უნივერსიტეტის საზოგადოებას ნება დართო გამოეცა 5-მილიონიანი ლატარეა. მაგრამ მოგება, უნივერსიტეტთან ერთად, ქართული თეატრის შენობის ასაგებად და მსახიობთა კავშირისთვის უნდა გადადებულიყო. ლატარიის ბილეთების გასაღება ნელა მიმდინარეობდა. ბევრჯერ გადაიდო მისი გათამაშების თარიღი. ბოლოს, უნივერსიტეტს შეხვდა მოგებიდან 1 077 677 მანეთი. მაგრამ არსებული ფული უკვე გაუფასურებული იყო.

მალე სასიამოვნო ცნობაც მოვიდა — 1917 წლის 2 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა უნივერსიტეტის დებულება.

იურიდიულად უნივერსიტეტი უკვე დაფუძნებული იყო. ახლა იგი საზეიმოდ უნდა გახსნილიყო და მუშაობაც დაეწყოთ. ამ საკითხის გადასაწყვეტად 1917 წლის 6 დეკემბერს შეიკრიბა უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის წევრები: კ. აფხაზი, ი. ლორთქიფანიძე, ექ. თაყაიშვილი, ვ. ყიფიანი, მ. ჯამბაკურ-ორბელიანი, ნ. ნაკაშიძე, ა. ვირსალაძე, ვ. კახიძე, გ. გვაზავა, პ. მელიქიშვილი, ი. ზურაბიშვილი და ივ. ჯავახიშვილი.

უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე წასაკითხი საგნებისა და უნივერსიტეტის სავარაუდო ხარჯების შესახებ ისაუბრა ივანე ჯავახიშვილმა. სწორედ ამ უკანასკნელმა საკითხმა შუბი ხალათში ვერ დამალა. ეჭვითა და გულგრილობით დაგროვილი პრობლემა უცბად ხელშესახები გახდა და დაიბადა ახალი წინადადებაც – მოდით, უნივერსიტეტის გახსნა 1918 წლის სექტემბრისთვის გადავდოთო.

კრებამ უნივერსიტეტის გახსნის გადადება დაადგინა. უმრავლესობის არგუმენტები იყო უსახსრობა, ტექნიკური მოუწყობლობა და გართულებული პოლიტიკური ვითარება. იქნებ, 1918 წ. სექტემბრამდე დავიცადოთ, როცა „ეს დაბრკოლება თავიდან აცილებული იქნება“, აცხადებდნენ ისინი.

რას იზამ? ასეთია უმრავლესობის ძალა! მით უმეტეს ამჯერად ეს უმრავლესობა მეტად საპატიო პირებისგან შედგებოდა. ამ დრამატულ დღეს მისი ერთი მონაწილე მ. ჯამბაკურ-ორბელიანი ასე იხსენებს:

„1917 წ. მივდიოდით ვანო ჯავახიშვილი და მე უკანასკნელ სხდომაზე „ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოებისა“. ვანო როგორც ინიციატორი უნივერსიტეტის შექმნისა, — პორტფელი სავსე ქაღალდებით, ვრცელი მოხსენებით, მე როგორც წევრი კომითეტისა.

ბნელი საღამო იყო, ჩვენს გულში კი სიხარული თამაშობდა, რადგანაც სრული იმედი გვქონდა, რომ მოხსენების შემდეგ გადაწყდებოდა უახლოესი დრო უნივერსიტეტის გახსნისა: ყველაფერი მზად იყო: ვანოს დაწვრილებით ჰქონდა შედგენილი მოხსენება, ხარჯთაღრიცხვა და გაჩქარებული მიწერ-მოწერა რუსეთში და საზღვარგარეთ მყოფ პროფესორებთან, რომელთაც აქ ეპატიჟებოდა. მალე შეიკრიბნენ ყველა წევრები.

კოტე აფხაზმა, თავმჯდომარემ კომიტეტისა, სთხოვა ვანოს, წაეკითხა მოხსენება, არაფერი დავიწყებოდა მომხსენებელს, საოცარი სრული იყო.

ყველა აღტაცებაში მოიყვანა.

თავმჯდომარემ უდიდესი მადლობით მიმართა, მხოლოდ უნივერსიტეტის ეხლავე გახსნა შეუძლებლად ნახა უფულობის გამო.

სურათი შეიცვალა, ყველამ ცხვირები დაუშო. ვანოს მღელვარება შეეტყო, მხოლოდ თავისებურად დინჯად შეეკითხა თავმჯდომარეს:

— „მაშ რატომ მამუშავებთ ტყუილად, იმდენად დამაიმედეთ, რომ პროფესორებიც კი გამოვითხოვეთ“.

დიდი ბოდიშები, დიდი მწუხარება, სექტემბერში გავხსნით, ცოტა მოთმინება უნდა ვიქონიოთო.

მაშინ მე ვკითხე თავმჯდომარეს.

— პირველ სექტემბერში კი ნამდვილად გვექნება ფული?

— ვერც მაგას ვიტყვი, — იყო პასუხი.

დავიშალენით, გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. წამოვედით სახლში. ბნელი საღამო იყო და ჩვენს გულებშიც ბნელოდა. ვანოს ჩემი ხელი ეჭირა. პატარა ხანს ვგრძნობდი მის კანკალს, მალე დამშვიდდა და მითხრა:

„არაფერია, უნივერსიტეტს მაინც გავხსნითო“.

რას ემყარებოდა ივანეს ოპტიმიზმი?

ერთადერთ ფრაზას, რომელიც ივანეს თხოვნით ჩაიწერა 6 დეკემბრის სხდომის ოქმში: „თუ მაინცა და მაინც პროფესორთა კოლეგია საჭიროდ დაინახავს და მოახერხებს სწავლის ამთავითვე დაწყებას, — უნივერსიტეტის საზოგადოება ეცდება ხელი შეუწყოს, რითაც შეეძლება“.

თავად ივანე მოგვიანებით ამ დღეს ასე იხსენებდა: „...ცოტა ფული, მართალია, იყო, მაგრამ ეს ფული მოხმარდებოდა მხოლოდ ჯამაგირს... შენობა იყო... შენობა პატარა სამოთახიანი ფართობისა იყო. ავეჯი არა გვქონდა, განათება არ იყო, არც გათბობა. მუშაობა უნდა დაგვეწყო იანვარში, ფული იყო საჭირო, ის ფული, რაც გვქონდა, ძლივს ყოფნიდა იმ ავეჯს და გათბობას, რაც აუცილებელი იყო, ასეთ პირობებში ადვილად შეიძლება ადამიანმა ყოველგვარი სასოება დაკარგოს. იმ დროს უმრავლესობა ფიქრობდა, რომ არ კმარა პასუხისმგებლობა ამ საზოგადოების გამგეობისა და, ამგვარად, საქმე უნდა ჩაშლილიყო. მაშინ იმ პატარა ჯგუფმა სთხოვა გამგეობას: თუ თქვენ ვერ კისრულობთ პასუხისმგებლობას, ნუ დაუშლით იმ ხალხს, რომელსაც უნდა თავისი პასუხისმგებლობით გახსნას უნივერსიტეტი. ის კისრულობს პასუხისმგებლობასო. ეს თანხმობა მიღებული იყო და, ამგვარად, გაიხსნა უნივერსიტეტი“.

ამდენად, თავად უნივერსიტეტის საზოგადოება თავს იკავებდა, მაგრამ პროფესორთა საბჭოს არ ზღუდავდა. ბრძოლის ველზე რამდენიმე გულანთებული ენთუზიასტი რჩებოდა, რომლებიც შესაძლოა ბევრისთვის დონ კიხოტებად გამოიყურებოდნენ.

სხვა რა შეეძლოთ?

ხავსის მოჭიდებაც ბრძოლის გაგრძელება იყო.

მადლობა ღმერთს! ყოველივე ეს ხავსი არ აღმოჩნდა.

იმ დღეს კი ივანეს გვერდით მხოლოდ ორად ორი ქალბატონი დადგა: მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი და ნინო ნაკაშიძე.

ბარაქალა მათ ქალობას. ისინი ნამდვილად ღირსნი არიან ბარათაშვილის სიტყვებით მივმართოთ: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!“

ქართველი ვაჟკაცები კი განზე გადგნენ. თუმცა ეს საქმე ვაჟკაცობაზე არ იყო დამოკიდებული. ნეტავ ასე ყოფილიყო! ვაჟკაცობის ხსენებაზე თუნდაც კოტე აბხაზის გახსენება იკმარებდა, რომელიც ამ კრებას თავმჯდომარეობდა.

ვერავის ვერაფერში დავადანაშაულებთ. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მეტად მძიმე ჟამი დამდგარიყო. პირველი მსოფლიო ომი ჯერ არ იყო დასრულებული, მთელი რუსეთი ანარქიას მოეცვა, სამხრეთიდან კი თურქთა ჯარები გვიტევდნენ. ასეთ ვითარებაში, როცა ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, უნივერსიტეტის იდეა უმთავრესად რომ არ მიეჩნია მავან მოღვაწეს, არ გაემტყუნება.

მაგრამ ივანე სხვაგვარად ფიქრობდა: „რუსეთში რომ პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენთვის ისე უბედურად შემოტრიალდეს ... განა ამ უკიდურესს შემთხვევაშიც ჩვენთვის ქართულად განსწავლულნი ეკონომისტები, სტატისტიკოსები და ფინანსისტები საჭირონი არ იქნებიან?“

ივანეს ახლა მცირერიცხოვან პროფესორთა საბჭო უნდა დაერწმუნებინა, რომ განზრახულის ასრულება აუცილებელი იყო. მადლობა ღმერთს, მათგან მაინც არ ყოფილა წინააღმდეგობა.

1917 წლის 8 დეკემბერს საეპარქიო სასწავლებლის შენობაში შედგა პროფესორთა საბჭოს მეორე წინასწარი სხდომა. ესწრებოდნენ: ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ივ. ჯავახიშვილი. ამ უკანასკნელმა დამსწრეთ აუწყა უნივერსიტეტის ძირითადი დებულებების დამტკიცების შესახებ. ფ. გოგიჩაიშვილმა კი უნივერსიტეტის ხარჯთაღრიცხვის ორი — ვრცელი და შემოკლებული ვარიანტი წარმოადგინა. საბჭომ მიიჩნია, რომ კიდევ უფრო შეემცირებინათ ხარჯები და დაეყვანათ იგი 100-120 ათას მანეთამდე.

17 დეკემბერს ჩატარდა კერძო თათბირი და გადაწყდა, რომ უნივერსიტეტი გახსნილიყო 1918 წლის 14 იანვარს — წმიდა ნინოს ხსენების დღეს.

19 დეკემბერს შედგა პროფესორთა საბჭოს მორიგი წინასწარი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: ი. აბულაძე, ექ. თაყაიშვილი, პ. მელიქიშვილი, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ივ. ჯავახიშვილი. იმსჯელეს სამოსწავლო გეგმის შესახებ და აირჩიეს სამოსწავლო გეგმის შემდგენელი კომისია (ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, დ. უზნაძე). განისაზღვრა სწავლის პირობები. სტუდენტს სემესტრში უნდა გადაეხადა 100 მანეთი, ხოლო მათ, ვისაც მხოლოდ 1 ან 2 საგნის მოსმენა სურდა, 50 მანეთი. ივანე

ჯავახიშვილმა კრებას გააცნო განსვენებული კ. აბაშიძის ანდერძი, რომელიც თავის წიგნებს უნივერსიტეტს უტოვებდა. განსვენებულის ხსოვნას კრების მონაწილეებმა ფეხზე ადგომით მიაგეს პატივი და დაადგინეს, მთელი შემადგენლობით დასწრებოდნენ მის დაკრძალვას.

კიტა აბაშიძე იყო ივანეს ქვისლი და ეს ორი ოჯახი ერთ სახლში ცხოვრობდა, რომელიც ივანეს მეუღლის მამიდას მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს ეკუთვნოდა. კიტა ბოლო წლებში ავადმყოფობდა და ხშირად მისი მომვლელი ივანე იყო. კიტა ოზაკომის წევრი იყო და დროებითი მთავრობის ამიერკავკასიის ხელისუფლებაში უნივერსიტეტის იდეის მხარდამჭერი. მისი გარდაცვალება ერთი-ორად მძიმე იყო ივანესთვის. თან ეს მოხდა უნივერსიტეტის დასაარსებლად გამალებული მუშაობისას. აი, როგორ აგვიწერს ამ შემთხვევას ივანეს ქალიშვილი ნათელა ჯავახიშვილი: კიტა აბაშიძის „თავისი მეგობრისა და ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული მძიმე სულიერი განწყობილებით შეუნელებლად ამზადებდა ნიადაგს უნივერსიტეტის დანიშნულ დროზე გასახსნელად. მახსოვს, ერთხელ სახლში დაბრუნდა და უფროსებში დიდი შეშფოთება გამოიწვია მისმა შეხედულებამ. გამოირკვა, რომ მერხების გადაზიდვის დროს, რომელშიაც თვით მამა, [იოსებ] ყიფშიძე, [აკაკი] შანიძე და სხვები ღებულობდნენ მონაწილეობას, უკეთ რომ ვთქვათ, თვითონ ეზიდებოდნენ, ერთი მერხი გადმოვარდნილიყო, მამას დასცემოდა და კინაღამ მოეკლა“.

ასეთი ვითარება იყო.

ივანეს ამ ორი ადამიანივით არავინ ედგა გვერდით.

და განა მარტო ფიზიკური მუშაობით იფარგლებოდნენ? საკუთარ სახსრებსაც არ იშურებდა ივანე მომავალი უნივერსიტეტისთვის. არადა მასაც, როგორც ბევრ სხვას, ძალიან უჭირდა. ბარგი, რომელიც მას და მის ოჯახს პეტერბურგში ჰქონდა, მატარებელში ჩატვირთეს და საქართველოსაკენ გამოგზავნეს ივანეს მოწაფეებმა, მაგრამ მან თბილისამდე ვერ მოაღწია. ისევ ნათელა ჯავახიშვილს უნდა დავუთმოთ სიტყვა:

„ამაოდ ველოდით რუსეთიდან ბარგს, როსტოვამდე მოსული უგზო-უკვლოდ გაქრა. ცხადია, იმ ორომტრიალში, ინტერვენტებ-

ისა და სხვადასხვა ბანდის თარეშში რა გადარჩებოდა! მთავარი მაინც მამას ბიბლიოთეკა და ხელნაწერები იყო. ამ უკანასკნელთა დაკარგვამ ძალიან იმოქმედა მამაზე, დანარჩენი ბარგის დაკარგვას ვინღა ჩიოდა! მაგრამ ჩივილი ერთი იყო და ამით გართულებული ჩვენი ცხოვრება კი — მეორე. დავრჩით ლტოლვილებივით შემოძარცულები. იმ ხანად კი რაიმეს შეძენაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა — სად იყო ამის სახსრები. არსაიდან არავითარი შემოსავალი. დედაჩემს თან ჰქონდა თავისი ნივთები — მათი გაყიდვისა და დაგირავების წყალობით გაგვქონდა თავი. ამავე სახსრებით მამა ხშირად ფარავდა უნივერსიტეტისათვის გაწეულ ხარჯებსაც“.

ყველაფერს უძლებდა ივანე, გულგრილობასაც და ხელის შეშლასაც, გაჭირვებასაც და ავადმყოფობასაც. „გასაოცარი იყო, რომ ახალგაზრდობიდან მოწამლვის შემდეგ მკაცრ დიეტაზე მყოფი, იმ დროს აღარაფერს ერიდებოდა და იმ საშინელ, ტალახის მსგავს პურსაც კი ჭამდა, რომელიც მოსახლეობაში რიგდებოდა. – იგონებდა ნათელა ჯავახიშვილი, — რაც მე მახსოვს, მამა ასე ჯანმრთელად აღარასოდეს ყოფილა. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ნერვიული აღტკინებისა და აღფრთოვანების შედეგი იყო. გაჭირვება, სიცივე, ბავშვების ავადმყოფობა, — ყველაფერს ფარავდა უნივერსიტეტის გახსნის მოლოდინი“.

უნივერსიტეტის საზოგადოება განზე დგას, მაგრამ პროფესორთა საბჭო მუშაობს თავაუღებლად. 19 დეკემბრის შემდეგ 27 დეკემბერს შეიკრიბნენ, მერე 3 იანვარს, შემდეგ 10 იანვარს. განიხილავენ როგორც უნივერსიტეტის წესდებასა და ლექციების ნუსხას, ისე თითოეულ წვრილმანს. თურმე დურგალი დაპირებულია 40 მერხი დაამზადოს და განათების საკითხზე ელექტრონის სადგურთანაა მოლაპარაკება გასამართი. დასამზადებელია აგრეთვე, სტუდენტთა სალექციო წიგნაკები და სხვა. გამოირკვა, რომ 14 იანვრისთვის უნივერსიტეტის გახსნა ვერ ესწრება და იგი გადადებულ იქნა 26 იანვრისთვის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღისთვის.

ეს დღეც დადგა.

დაგეგმილი იყო, რომ უნივერსიტეტი გაეხსნა ნოე ჟორდანიას, როგორც საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს.

მაგრამ მას თბილისიდან მოუწია გამგზავრება და ეროვნული საბჭოს სახელით, უნივერსიტეტი გახსნა აკაკი ჩხენკელმა. მანამდე კი უნივერსიტეტის გახსნა აკურთახა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ. შემდეგ კი ილაპარაკეს უნივერსიტეტის რექტორმა პეტრე მელიქიშვილმა, უნივერსიტეტის საბჭოს მდივანმა იოსებ ყიფშიძემ.

მერე დაიწყო მოლოცვები. დელეგაციები ბევრი იყო და საზეიმო რიტუალმა დიდხანს გასტანა. დაგეგმილი იყო ივანე ჯავახიშვილს წაეკითხა პირველი ლექციაც, მაგრამ ზეიმის გახანგრძლივების გამო, იგი მომავლისთვის გადაიდო.

ასე დაიბადა პირველი ქართული უნივერსიტეტი.

ამ დღეს ჩვენთვის ერთი ღირსსახსოვარი რამ მოხდა. იგი მაშინ თბილისში გამომავალმა გაზეთმა „სახალხო საქმე“ შემოგვინახა. მოვიყვან სრულად:

„ოვაციები დამაარსებელს

მოლოცვების შემდეგ წაიკითხეს დეპეშები: რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა, სომხურ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისა, ოვ. თუმანიანისა და სხ. ბოლოს აკაკი ჩხენკელმა განაცხადა: მე ვფიქრობ, რომ თქვენი სურვილის გამომხატველი ვიქნები, თუ თქვენი სახელით მადლობას მოვახსენებ ქართულ უნივერსიტეტის დამაარსებელს — ივ. ჯავახიშვილსო. კრება ხანგრძლივი ოვაციებით, ფეხზე წამოდგომით და „ვაშას“ გრიალით მიესალმა ჩვენი კულტურის წყნარ მოჭირნახულეს და ღირსეულ მეცნიერს.

შემდეგ ამ ოვაციებისა კრება დაიხურა“.

არც აკაკი ჩხენკელი შემცდარა, „თქვენი სახელით მადლობას მოვახსენებ ქართულ უნივერსიტეტის დამაარსებელს — ივ. ჯავახიშვილსო“ საზოგადოებას რომ შესთავაზა და არც ეს საზოგადოება, რომელიც „ხანგრძლივი ოვაციებით, ფეხზე წამოდგომით და „ვაშას“ გრიალით მიესალმა ჩვენი კულტურის წყნარ მოჭირნახულეს და ღირსეულ მეცნიერს“.

ამ ყველაზე მნიშვნელოვან დღეს, როცა პირველი ქართული უნივერსიტეტი დაიბადა, პატივს მხოლოდ ერთ ადამიანს მიაგე-

ბენ, მხოლოდ ერთ ადამიანს უწოდებენ დამაარსებელს და ოვაციას მას უძღვნიან.

ივანე ჯავახიშვილი რომ იყო უნივერსიტეტის დაარსების მთავარი ტვირთის მატარებელი, საზოგადოებამ ადრეც იცოდა. ჯერ იყო და 1917 წლის 17 მაისს ქუთაისში გამართულ კრებაზე „თავმჯდომარემ კრების სახელით მადლობა გადაუხადა კრების მომწვევს და მომხსენებელს ბ[ატონ] ი[ვანე] ჯავახიშვილს და სხდომა დახურულად გამოაცხადა“.

17 მაისი უნივერსიტეტის დასაარსებლად გადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯის დღეა. ხოლო როცა ბევრი წინააღმდეგობა იქნა გადალახული, 1917 წლის 8 ოქტომბერს გამართულ უნივერსიტეტის საზოგადოების კრებაზე „გრ. დიასამიძის წინადადებით, კრებამ მადლობა გამოუცხადა ი. ა. ჯავახიშვილს, როგორც ამ საქმის თაოსნობისათვის, აგრეთვე დაუღალავის ნაყოფიერის სამეცნიერო მუშაობისათვის“. ახლა კი, 1918 წლის 26 იანვარს ყველაფერი წარმატებით დასრულდა, ოვაციებიც ივანეს გარჯის გულწრფელი დაფასების გამოხატულება იყო.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილის ღვაწლის სიდიადე ყველაზე უკეთ პეტრე მელიქიშვილმა გამოხატა: „**ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება**“.

ვინ ვინ და პეტრე მელიქიშვილმა კარგად იცოდა, ვის რა **წვლილი** მიუძღოდა და ვის რა **წილი** ედო ამ საქმეში.

ივანე მართლაც ერთადერთი რაინდი იყო!

„ვისმენდი ლექციას ქართულს უნივერსიტეტში!“

ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში პირველი ლექცია გახსნის დღესვე უნდა წაკითხულიყო, მაგრამ ხალხის სიმრავლისა და ზეიმის გაგრძელების გამო ეს შეუძლებელი შეიქმნა. ლექცია გადაიდო 30 იანვრისათვის.

პირველი ყოველთვის საპატიოდ ითვლება, მით უმეტეს პირველი ლექცია პირველ სანუკვარ უნივერსიტეტში!

პირველი ლექცია.

ვის უნდა წაეკითხა პირველი ლექცია? ან რა უნდა ყოფილიყო ლექციის თემა? უცნობია, ჰქონდათ თუ არა ამ დიდი საქმის მოთავეებს ამ საკითხზე სჯა-ბაასი, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იმდენად დიდია ივანე ჯავახიშვილის ავტორიტეტი, რომ ამ საპატიო მისიას მას აკუთვნებენ.

ივანე თავის მოგონებაში აღნიშნავს: „საზეიმო სხდომის შემდეგ ჩვენ ლექციები არ დაგვიწყია იმიტომ, რომ განათება არ გვქონდა და არც ავეჯი იყო მზად. მხოლოდ პირველ თებერვალს დავიწყეთ ლექციების კითხვა“.

გამოდის რომ, 26 იანვარს, საზეიმო ცერემონიალის გაგრძელების მერე, შუქისა და მერხების უქონლობის გამო, პირველი ლექციის წაკითხვაზე უარი უთქვამთ.

ჩვენ ვიცით, რომ საზეიმო ცერემონიალი ერთი ვერსიით, რომელსაც გაზეთი „საქართველო“ გვაწვდის, დაიწყო დღის პირველ საათზე, ხოლო „სახალხო საქმეს“ ცნობით, პირველ საათსა და 20 წუთზე.

არსებობს მაშინდელი ერთი სტუდენტის წერილიც, სადაც აღნიშნულია, რომ ცერემონიალი დამთავრდა ხუთის ნახევარზე. რაც შეეხება გახსნას, წერილში ვკითხულობთ: „26, დღეს გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. მოგწერ დაწვრილებით ყველაფერს. 10 საათზედ დაიწყო წირვა გიმნაზიის ეკლესიაში. მწირველი იყო კირიონი. ხალხი ბლომად იყო. წირვის გათავების შემდეგ გავემართეთ მესამე სართულისაკენ, იმ დარბაზში, სადაც მოთავსებულია უნივერსიტეტის აუდიტორია. მაგიდები სტუდენტებისთვის და პროფესორის კათედრა უკვე მზად არის. ხალხი ძალიან ბევრი იყო. უშვებდნენ მხოლოდ სტუდენტებს და სტუმრებს“.

სტუდენტის წერილი ცხელ კვალზეა დაწერილი და ამდენად, სანდო. გამოდის, რომ ავეჯი მზად ყოფილა, მაგრამ ივანეს საერთო სიძნელები რომ ახსოვს, 20 წლის შემდეგ მცირეოდენი უზუსტობა ეპატიება. იქნებ, მხოლოდ იმ ერთ დიდ დარბაზში იყო მერხები და მეორე აუდიტორიასთვის არც კმაროდა. თუმცა ახალ დაარსებულ უნივერსიტეტს თავდაპირველად ხომ სულ სამი ოთახი ეკავა, სამი ოთახი.

მაგრამ ეს დეტალებია, ამჟამად დეტალები, რომელიც საქმის არსს არ ცვლის.

ჩვენ ხომ პირველი ლექცია გავინტერესებს, რომელიც პირველ ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა!

პირველი ლექცია.

ივანე ჯავახიშვილი არაფერს აკეთებდა შემთხვევით. მას ყოველთვის კარგად ჰქონდა აწონილ-დაწონილი თითოეული ნაბიჯი.

საინტერესოა, ვიცოდეთ, თუ რატომ სურდათ პირველი ლექციის წაკითხვა უნივერსიტეტის დამფუძნებელთ მაინც და მაინც უნივერსიტეტის გახსნის დღეს? ამის შესახებ არსად არაფერი წერია. მაგრამ ვარაუდი შეგვიძლია. საქმე ისაა, რომ **ბევრ ქართველს ვერ წარმოედგინა ქართულად სამეცნიერო საუბარი და მსჯელობა**. მოგვიანებით ივანე გაიხსენებს, თუ რა რისკზე მიდიოდნენ ქართველი სწავლულები: „მე მინდა მოგახსენოთ, რომ საქმე შესაძლებელია კატასტროფით დამთავრებულიყო და გამკილავი ჩვენში ბევრი მოიძებნებოდა მაშინ: ვაი იმათ, თუ მართლაც ასე წავიდოდა საქმე!“

რაში იყო საქმე? საიდან მოდიოდა ეს საშიშროება?

„ქუჩებში, გოლოვინის პროსპექტზე (მაშინ გოლოგინის პროსპექტი ეწოდებოდა) ბევრი ქართველი ინტელიგენტი დაბრძანდებოდა, რომელიც დაცინვით იხსენიებდა ამ საქმეს; აი, რაღაცას ბორძიკობენ და მაშინ გაიგებენ ამ საქმის უსარგებლობას, როდესაც პირველ ლექციას ვერ წაიკითხავენო“.

აი, ეს მავნე აზრი უნდა გაფანტულიყო. ხალხი უნდა დარწმუნებულიყო, რომ საქმეს პროფესიონალები აკეთებდნენ და წარმატება გარანტირებული იქნებოდა.

ამჟამად, ივანე ჯავახიშვილმა მეტად ნიშანდობლივი თემა შეარჩია: **„ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობასა და ცხოვრებაში“.**

კარგად დავაკვირდეთ ლექციის თემას!

ჩვენ უნდა შევეცადოთ გავიგოთ, თუ რა შესთავაზა დიდმა ივანემ პირველ ლექციად მთელ ქართველ საზოგადოებას.

იგი ხომ რომელიმე სპეციალობის სტუდენტთათვის განკუთვნილი სააუდიტორიო ლექცია არ ყოფილა.

იგი ფაქტობრივად ახლად შექმნილი ქართული უნივერსიტეტის მანიფესტი იყო. იგი ხიდს დებდა ქართველი ერის წარსულსა და მომავალს შორის.

იგი ოდინდელი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ტრადიციის აღდგენის ცდა და ნიშანი იყო. ქართული მეცნიერება და ქართული საზოგადოებრივი აზროვნება ქართულ უნივერსიტეტში ცოცხლდებოდა. მოვუსმინოთ:

„ცხოვრების პირობები ადამიანს ძველად გაცილებით უფრო ნაკლებ საშუალებას აძლევდა თავისი პიროვნების ყველა თავისებურება გამოეჩინა, ვიდრე ეხლა. მაგრამ როგორც ეხლა, თანამედროვე ცხოვრების პირობების გარდა, ყოველ ადამიანსა და წრეს თავისი იდეალები აქვს, რომელთა მიღწევაზეც ის ოცნებობს, ისევე ძველადაც იყო. ამიტომ უნდა მაშინდელი ცხოვრების ზოგადი თვისებებიც ვიცოდეთ და სოციალ-ეთიკური იდეალებიც.

ძველ დროს ადამიანის პიროვნება მრავალგვარი გარემოებით იყო შეზღუდვილი და შებორკილი: ჯერ საგვარეულო წესწყობილება და ზნე-ჩვეულებანი, შემდეგ წოდებრიობა, პატრონყმობა, სარწმუნოებრივი მცნებანი და კანონ-წესები კაცის პიროვნების თავისუფალ განსახიერებას ზღუდავდნენ და მის მოქმედებას საზღვრებს უდებდნენ. ასე იყო ყველგან და ყველა ერთა წარსულში, ასევე იყო ძველად საქართველოშიაც“.

მომხსენებელმა **ამ ლექციას ჩააქსოვა სული და გული და ისაუბრა ქართველი ერის ოდინდელ ღირსებებზე, კულტუროსნობაზე და მომავალს გაუწოდა ხელი.**

ეს არ ყოფილა დეკლარაციული და ეროვნულ სიამაყეზე დამყარებული საუბარი.

ლექტორი ღრმა საბუთიანობით საუბრობდა. მან გვითხრა, თუ რა ყოფილა ჩვენს წარსულში საყურადღებო და ამით მიგვანიშნა აწმყოსა და მომავალზე. თუმცა ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ

დასცდენია. მან გვითხრა ჩვენი წარსულიდან რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ იგი გავიხადოთ მომავლის შუქურად.

ადამიანი იდგა ამ ლექციის ცენტრში, მისი ღირსება, თავისთავადობა, მოქალაქეობა. ივანე ჯავახიშვილს ამჟამად სწორედ ეს თემა უნდა შეეთავაზებინა მსმენელთათვის, თორემ ისტორიის ლაბირინთებში უკვე საკმაოდ კარგად ჩახედულს, არანაკლებ სხვა საინტერესო და ყურისათვის საამო საკითხის შერჩევა შეეძლო.

არჩევანს დიდი ადამიანები სპონტანურად არ აკეთებენ. მათი არჩევანი ყოველთვის მიზანმიმართულია და კანონზომიერი.

ივანე ჯავახიშვილის ბაგით განაცხადა ქართველმა ერმა თავისი იდეალების ერთგულების საჭიროება.

ქრისტიანობა ქართველმა ხალხმა სახელმწიფო რელიგიად აღიარა და ამით შეუერთდა მსოფლიოს იმ დიდ ნაწილს, სადაც ეს ახალი სარწმუნოება იყო გავრცელებული. ქართველთათვის იგი მრავალმხრივ ნაყოფიერი და ცხოველმყოფელი იყო. მუსლიმანურ ზღვაში იგი არა მარტო ეროვნული იდენტობის დამდგენი გახდა, არამედ მაღალი და მშვენიერი ზნეთსწავლულების მოძღვრებაც. **„ქართველი ხალხის ძირითადი ზნეობრივი შეხედულება სახარების მოძღვრებაზე იყო დამყარებული,** — ამბობდა ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1906 წ. დაბეჭდილ ნაშრომში „ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში“. — **„ხოლო სახარების ზნეობრივი იდეალი იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანი ისეთივე სპეტაკი და უნაკლულო ყოფილიყო, ვითარცა მამა ზეციერი, და დაუშრეტელი სიყვარულით და სათნოებით მოპყრობოდა თავის მოყვასს“.**

ქრისტეს მცნება მოყვასის სიყვარულით იყო გამთბარი და მისთვის უანგარო, უშურველ დამოკიდებულებას ქადაგებდა. ამიტომაც საქართველოში იქამდეც კი მივიდნენ, რომ ეს სიყვარული იმდენად ვრცლად და უკიდეგანოდ წარმოიდგინეს, იმდენად უსაზღვროდ, რომ ზღვარის წაშლაც კი მოისურვეს ადამიანსა და სხვა ცოცხალ არსებათა შორის:

„...ქრისტეს მოძღვრების შეგნებული აღმსარებლისათვის კაცთმოწყალება ძირითადი მცნება უნდა ყოფილიყო, — მოუთხრობდა აუდიტორიას ივანე ჯავახიშვილი, — მაგრამ... ადამიანი მარტო კაცთმოყვარეობით არ უნდა დაკმაყოფილებულიყო: ეს თვისება უკვე საკმარისი აღარ იყო, არამედ მისი გრძნობისა და შეგნების

სიღრმე უფრო შორს უნდა წასულიყო. მას უნდა შეეგნო, რომ „ღრმთის მსგავსი მოწყალებაი ესე არს, რათა კაცი არა ხოლო თუ ზიართა ბუნებისა თვისისათა სწყალობდეს, არამედ, რათა პირუტყუთაცა მიწუთეს მოწყალებითა“.

მომხსენებელმა გიორგი ხუცესმონაზონის თხზულებიდან სწორედ ეს მსჯელობა გამოარჩია და მსმენელამდე მოიტანა. ამით გვითხრა:

— საქართველოში განათლებული ადამიანები თუ რა მაღალ იდეალებამდე ამაღლებულან;

— გონების საზრდოდ თუ რა მცნებისთვის გაუღიათ კარი;

— სამოქმედოდ თუ რა სათნოებანი დაუსახავთ.

ამის დამწერი ხომ ქართული საზოგადოების იმ კრებულს ეკუთვნოდა, რომელიც ეკლესიის ამბიონიდან მრევლს ამ მცნებას უქადაგებდა! ამ მრევლიდან მცირე ნაწილი ხომ იყო გულისყურიანი მსმენელი? ესეც საკმარისი იყო, რომ თავად ერიც ამ სათნოების ქოლგის ქვეშ გვეგულვა.

მომხენებლის თქმით, ძველ საქართველოში ადამიანის პიროვნების სტატუსი საზოგადოებაში სათანადოდ იყო დაცულ-დაფასებული და შესაბამისი პატივით სარგებლობდა. იმ ხანად ადამიანის ამ პატივს მისი გვარიშვილობა და წოდებრიობა განსაზღვრავდა. ყურადღება ექცეოდა, თუ ვისი შთამომავალი იყო იგი. მაგრამ ზემოთქმული სათნოებათა მიხედვით, პიროვნული ღირსებანი არ ყოფილა მიჩქმალული. ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

„ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“.

ამ სტროფს ნიკო მარი XII საუკუნეში შექმნილად თვლიდა და მიიჩნევდა, რომ მაშინდელი ფართო წრეების იდეას წარმოადგენსო. დავეთანხმდებით თუ არა ნიკო მარს ამ დათარიღებაში, ფაქტი ისაა, რომ ლექსი ხალხურია და ჩვენს დროში არაა შექმნილი. იგი იმ ხანას ასახავს, როცა გვარიშვილობა გარკვეული სოციალური სტატუსის მქონე იყო. თუ ხალხი ასე ფიქრობს, გამოდის რომ ხალხი ნაზიარებია ამ მცნებას. ზიარების ეს პროცესი კი ერთი და ორი წლით არ შეიძლება იყოს შემოფარგლული. მაშინ ისიც ცხადია, რომ ეს სათნოებანი სისხლხორცეულია ერის არაერთი თაობისათვის.

აი, კიდევ ერთი მაგალითი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლულთა ნააზრევის გავრცელებას.

ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ წოდებები გაუქმებული იყო და საზოგადოებაში მართლაც მამაშვილური დამოკიდებულება სუფევდა. არა, ყველა კლასს, ფენას, წოდებას თავ-თავისი ადგილი ჰქონდა. ამას „ვეფხისტყაოსანიც“ ღაღადებდა:

„რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:

მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“.

იმ ეპოქაში სხვაგვარად ვერც იქნებოდა.

თუმცა კასტური კარჩაკეტილობა საქართველოში არ არსებობდა. ადამიანს სოციალურ კიბეზე დაწინაურებაც შეეძლო და უგვანი ქმედებებისთვის კიდევაც ჩამოამცრობდნენ ხოლმე. ეს შეუძლებელი იქნებოდა, ადამიანის პირად ღირსებებს პატივისცემა და დაფასება რომ არ ჰქონოდა.

სარჩო-საბადებლის უქონელი ადამიანი გლახაკი და ბოგანო იყო და იგი მისაბაძ ადამიანად ვერ გამოდგებოდა. ქონებას თავისი მნიშვნელობა და წონა ჰქონდა. მაგრამ ამ ქონების მოპოვების საშუალებას არანაკლები ყურადღება ექცეოდა. ქონება ან მემკვიდრეობით გადაეცემოდა შვილს, ან საკუთარი გარჯით მოიპოვებოდა. გარჯას კი, გარკვეული თავისებურებებით, არც ერთი წოდება არ თაკილობდა. მემატიანე მოგვითხრობს, რომ თვით მეფე თამარიც კი ალექსანდრიიდან მოტანილი მატყლით საღამოობით ქსოვდაო, ნაქსოვს გაყიდიდა და მხოლოდ ამ ფულით განიკითხავდა ქვრივ-ობლებსო.

ვერავინ იტყვის, რამდენად შეესაბამება ეს ცნობა სიმართლეს, მაგრამ აქ მთავარი მემატიანის მიზანია — მკითხველს ვაჭრობისა და შრომის მაგალითი დაუსახოს. მეტიც, მხოლოდ პირადი გარჯით მოპოვებული ფული გამოდგებოდა საღვთო საქმისთვის — უპოვართა გასაკითხად. გამოდის რომ, ძველი საქართველოს საზოგადოებრივი ცნობიერება ამგვარი მცნებებით უხვად ყოფილა გაჯერებული.

პირადად მოპოვებული ქონება ორგვარი იყო: ან უშუალოდ შრომით „სოფელთაგან ანაღები“, ან საკუთარი სიცოცხლის ხიფათში ჩაგდებით „ხმლითა ნაშოები“. ეს უკანასკნელი კი ყაჩაღობას კი არ გულისხმობდა, არამედ ურჯულოებთან ბრძოლას.

რადგანაც ადამიანს მისი პირადი თვისებები გამოარჩევდა, პირადი შრომითა და სამსახურით მოპოვებული საბადებელი ერთი-ორად საამაყო იყო, ვიდრე მემკვიდრეობით მიღებული.

„ამქვეყნიური თვალსაზრისით, ვინც დიდ უძრავ-მოძრავ ქონებას შეიძენდა და ქონებრივ კეთილდღეობას მოიპოვებდა, იმას შეეძლო პატივისცემაც დაემსახურებინა ხალხში, — მოუთხრობდა საზოგადოებას მეცნიერი. — მაგრამ ეს მაინც არ კმაროდა და მარტო ამით დაკმაყოფილება არ შეიძლებოდა. თუ ზნეობრივი სიფაქიზე და ღვთისნიერი ცხოვრება არ სდევდა თან ეკონომიურს კეთილდღეობაზე ზრუნვასა და გამდიდრებას, მაშინ მას მაშინდელი შეხედულებით მომზიბლავი მიმზიდველობა აკლდა... საზოგადოდ, პირადი შრომით მოპოვებული სარჩო მაშინ, სიმდიდრის ყოველგვარ სხვა წყაროსთან შედარებით, უფრო ზნეობრივი მიმზიდველობით იყო მოსილი“.

ადამიანი ძველ საქართველოში თავისი მოქალაქეობით, ღვაწლით ფასდებოდა. ამის შესახებ მეცნიერი ამბობდა: „**ყოველი ადამიანის მოქმედება სიტყვითა და საქმით გამოჩნდება.** მისი მოღვაწეობის შედეგი, ერთი მხრით, თვით მის მოქმედებასა და, მეორეს მხრით, იმ გარემოებაზეა დამოკიდებული, რომელშიაც მას მოღვაწეობა უხდება“.

მართლაც, თითოეული ადამიანი ხომ თავისი დროის შვილია. დრო ყველა პერსონაზე ახდენს გავლენას, მაგრამ გამორჩეულთა ხვედრია დროის შემბოჭავ სალტეებთან ვერშეგუება. ასე იყო ყოველთვის. ასეა დღეს და ასე იქნება მომავალშიც.

„როგორც ჩვენს დროში სხვებზე გაცილებით მაღლა მდგომი და თავისი ხანის წინგამსწრები მოღვაწე შეიძლება თავისი დროის გარემოთი და საზოგადოებით უკმაყოფილო იყოს და მთელი სიმწვავით ამ უკმაყოფილებას გრძნობდეს, ისევე ქართულ საისტორიო მწერლობაში გვხვდება ჩვენ გამოჩენილ მოღვაწეთა თავის დროინდელი ცხოვრების პირობებისა და გარემო საზოგადოებით უკმაყოფილების გრძნობის მკაფიო ანარეკლიც“.

ისტორიის შორეული სიღრმიდან თანამედროვეობაზე გასდო ხიდი ივანე ჯავახიშვილმა და ამით აუდიტორიას შეახსენა წარუვალი ჭეშმარიტების სიმყარე: ადამიანი ყოველთვის, ყოველ ხანა-

ში, სუსტ არსებად რჩება, რომელიც ცოდვებისკენაა მიდრეკილი და დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ საცთურთაგან თავი შორს დაიჭიროს და სათნოებისაკენ მიდრკეს. უფრო რთულადაა საქმე, როცა ადამიანთა დიდ კრებულზე — ერზე მიდგება საქმე და ეს სისუსტეები მათ რიგებში დაიბუდებს.

„გიორგი მთაწმინდელი უჩიოდა აგრეთვე ქართველთა ხასიათის სიმტკიცის უქონლობასა და დაუდგრომლობასაც. — მოჰყავდა თვალსაჩინო საბუთი მეცნიერს და აგრძელებდა: — მას თავის საისტორიო თხზულებაში ერთგან ნათქვამი აქვს კიდეც: ჩვენ, ქართველები „ვითარცა უწყით ყოველთა, ადრე შევირყევით და მიმოსვლასა მოსწრაფედ შეუდგებით“-ო, ე.ი. გადაწყვეტილებას მალე ვიცვლით და ერთ ალაგსა და საქმეზე ყოფნა არ გვიყვარს და „ამით მიზეზითა ფრიად ვაენებთ თვისთაცა“, ჩვენ თავსაც „და ალაგსა“, სადაც მუშაობა გვიხდებაო“.

ივანე ჯავახიშვილი ამით იმას უსვამდა ხაზს, რომ ახალი დროის ქართველობას გაეთვალიწინებინა ჩვენი წარსულის ამგვარი გამოცდილება და ლამის ეროვნულ თვისებად ქცეული ფუქსავატობა და სხვა მანკიერებანი უკუეგდო, რომ სხვა დაწინაურებულ ერებისათვის გაესწორებინა თვალი. მცონარობით ამას ვერ მივაღწევდით. ამაზე მიგვანიშნა დიდმა მეცნიერმა, თუმცა პირდაპირ არაფერი გვითხრა. ამავე დროს იგი სხვა საკითხსაც შეეხო, რომელიც საპირისპიროს ამტკიცებდა, თითქოსდა ქართველები ყველაზე უკეთესი ერი ვიყავით და ყველას აღვემატებოდით. ამას ყოყლოჩინობა ჰქვია და სასიკეთოს მომტანი არ შეიძლება იყოს. ეს ზედმეტი და ამპარტავნული ბაქიბუქი უნდა დაგვეგმო და თავიდან მოგვეშორებინა.

„თავისი დროის მდგომარეობითა და საზოგადოებით უკმაყოფილებისდა მიუხედავად სწორედ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა შორის ქართული ეროვნული თვისებების იდეალიზაციამ იჩინა თავი, — აღნიშნავდა მეცნიერი. —თუ ამაზე უწინარეს არა, უკვე XI ს-ში იგი ჩამოყალიბებულია: ამ დროისათვის დამთავრებული შეხედულება ჩამოინაკვთა... გიორგი მთაწმინდელი სხვა ეროვნების მოსაუბრე, თუ მოკამათეებთან ლაპარაკის დროს ყოველთვის ცდილობდა ხაზგასმით აღენიშნა, რომ „ნათესავი ქართველთა და უმანკო“ არის, რომ ხასიათის ეს თვისება უგუნურებითა, ან

უმეცრებით და სიმსუბუქით კი არ აიხსნება, არამედ ზნეობრივი სიფაქიზით, გულწრფელობით და პატიოსნებით“.

ივანე ჯავახიშვილს მოჰყავდა მაგალითები ჩვენი ძველი საზოგადო მოღვაწეთა შრომებიდან, სადაც ისინი ქართველთა განსაკუთრებულობას ამტკიცებდნენ. მათი აზრით, ქართველებს თავიდანვე გვქონია „სარწმუნოებაი ჭეშმარიტი და მართალი“ და მერე თურმე არასდროს ამ მცნებათათვის არ გვიღალატია და არჩეული გზიდან არასოდეს არ გადაგვიხვევია. საქართველო ღვთისმშობლის წილხდომილი ქვეყანაა და მას თურმე ძალიან უყვარდა ქართველები და მფარველობასაც არ აკლებდა.

ღმრთის მოშიშება და რწმენა დიდებულია რამაა, მაგრამ საკუთარი თავის ამ არგუმენტით სხვებზე აღმატებულად წარმოდგენა ისევ და ისევ ღვთის გმობა, ამპარტავნება და ცოდვაა. ვის-ვის და ჩვენს სასულიერო მამებს ეს კარგად მოეხსენებოდათ. მაგრამ თავის დროზე ასეთ დებულებებს თავისი კონკრეტული მიზანი ჰქონდა, მაგრამ ახალ დროში ისევ ამ არგუმენტებით მანიპულირება სასიკეთო სულაც არ იყო. გარჯით, შრომით უნდა გამოგვეჭედა საკუთარი თავისთავადობა.

ივანე ჯავახიშვილი არც სასულიერო პირი იყო და არც პოლიტიკური იდეოლოგი. იგი მეცნიერი იყო და არსებული საისტორიო ფაქტებით სარგებლობდა და მერე არსებულ რეალობას მსმენელს აცნობდა. წარსულის ამ მოყოლას თავისი აზრი ჰქონდა. ამ ფაქტებს მსმენელი შემეცნების სასიამოვნო ტკბობაში კი არ უნდა ჩაეძირა, არამედ მოქმედებისკენ, გარჯისკენ, ბრძოლისკენ მიემართა. ამას იგი აღრე 1904 წ. დაწერილ ერთ ნაშრომში ასე განმარტავდა: **„ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული**, გამოარკვიოს, რა და რა პირობებსა და მიზეზებზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო, მისი საზოგადოებრივი და ზნეობრივ-გონებრივი განვითარება თუ წარმატების მიმდინარეობა. ის მეცნიერი, რომელიც მეცნიერების წინაშე თავის მოვალეობას პირნათლად აასრულებს, ის, უეჭველია, იმავე დროს ქართველ საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს, იმიტომ, რომ ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი

ცხოვრების ისტორია; **უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი**".

ამჟამად ლექციის თემა იყო ადამიანი, მაგრამ არა ზოგადად შესაქმის გვირგვინი, არამედ ამ გვირგვინის ერთი კერძო გამოვლინება — ქართველი ადამიანი. ახლა მას სჭირდებოდა წინაპართა ღირსეულ მემკვიდრედ დადგენის რთული პროცესის გავლა.

ასე ფიქრობდა.

ასე სწამდა.

და ასეც იღწვოდა.

და ამასვე ამბობდა, ოღონდ ყველაფერს სიტყვებით არა. გამგები გაიგებდა, თუ ყურადღებით მოუსმენდა. ყველას არ ესმოდა, მაგრამ გამგებიც არ იყო ცოტა. ივანე ჯავახიშვილი გულისყურიან მსმენელს მიმართავდა. ისინი კი ბევრნი იყვნენ, რომელთაგან ერთი ასე გადმოსცემს ამ შთაბეჭდილებას:

„არ ვიცი ეს ცხადად იყო თუ სიზმარში, მხოლოდ ის ვიცი, რომ 30 იანვარს 1918 წ. ქართული გიმნაზიის ერთ-ერთ დარბაზში აუარებელი სტუდენტობა და მსმენელები მოუთმენლად ელოდნენ ლექტორის გამოსვლას კათედრაზე.

ბოლოს უეცრად მოიქცა ქართველური გულუხვი ტაშის მთა, რამაც გამომაღვიძა და დამანახა სიცხადე დიდი ხნის ოცნებისა.

ტაშმა დიდხანს გასტანა. ბოლოს უცბად მიწყდა ყოველი და ისეთი სიჩუმე დამყარდა, რომ დარბაზის კედლების ფიქრსაც კი გაიგებდა მოდარაჯე ყური.

ლექცია დაიწყო. *ლექტორი კითხულობდა პიროვნებაზე,* რომელიც ღღეს, მეოცე საუკუნეში, დიდი რევოლუციის ხანს ისეა შებღალული, რომ ვინმე მაწანწალას შეუძლიან მოჰკლას დიდი გენიოსი და ორ ღღესაც არ იქნება დაპატიმრებული კომისართა მიერ;

ლექტორის ხმა, სმენად სულგანაბული დარბაზში ისე გაისმოდა, როგორც მედავითნის ხმა მიცვალებულის თავს, რომელიც შესანდობელს კი არა კითხულობდა, არამედ *მოუწოდებდა ქართველ ერს* და უფრო ქართველ ახალგაზრდობას შრომისთვის, ერთგულებისთვის.

ვისმენდი ლექციას ქართულს უნივერსიტეტში!

განა ხუმრობა საქმეა ეს!

გადაჭარბებული სიამოვნება მსუსხავდა და ეს სუსხი ჟრუ-ანტელივით მივლიდა ტანში. ყოველი ღერი თმა ჩემი სმენად იყო აღორძინებული და იყო სიწყნარე. ოცნების ფრთებმა გადამატარეს მთელი დედამიწის ზურგი და ვინ იცის რა ბედნიერება არ განვიცადე ქვეყანათა შორის, როგორი ვარდისფრად არ წარმოვიდგინე საქართველო, მაგრამ როცა ლექცია გათავდა, ერთმა ქალმა უთხრა მეორეს:

— Немножко не поняла, что он говорит-ო.

ამან სულ მთლად დაფუშა ჩემი ოცნების კოშკები და ისღა დამრჩენია მოვუწოდო ქართველ ხალხს: **იცან შენი თავი! ჩვენცა გვაქვს ჩვენი ისტორია**, ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა — ხელოვნება. შევისწავლოთ იგი და გავხდეთ ის, რადაც ბუნებამა გვშობა, რადაც უნდა ვიყოთ!“

აი, ლექციის ამ ერთმა მსმენელმა ქართველმა როგორ კარგად და ზუსტად გაიგო იმ ძალისხმევის მნიშვნელობა, რომელიც უანგაროდ გასწია ივანე ჯავახიშვილმა.

აი, თურმე ვისთვის, უკეთესი მერმისისთვის როგორი თრთოლვით მომლოდინე ქართველობისთვის იღწვოდა დიდი ივანე.

აი, თურმე რა მისია ჰქონია ქართველი ერისათვის ამ ახლად ფუძეჩაყრილ უნივერსიტეტს: **„გავხდეთ ის, რადაც ბუნებამა გვშობა, რადაც უნდა ვიყოთ!“**

და თესლი კეთილი ნოყიერი ნიადაგის ღრმა ხნულში ცვიოდა.

უნივერსიტეტის გასაღები

დადგა 1921 წლის თებერვალი და საქართველომ დამოუკიდებლობა კვლავ დაკარგა.

მას წითელი რუსეთი დაეპატრონა.

მოგვიანებით პოეტი იტყვის:

„წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!“.

საქართველოს მთავრობამ ქვეყანა დატოვა, იმ იმედით, რომ შემდეგ ევროპის ქვეყნების დახმარებით დაბრუნდებოდა და სამართლიანობას აღადგენდა.

ქვეყანაში კი განუკითხაობა სუფევდა. გამარჯვებული თავის „წესრიგს“ ამკვიდრებდა. რეპრესიების შიშით ბევრი ქართველი უცხოეთში გადაიხვეწა.

მეცნიერის ქალიშვილი ნათელა ჯავახიშვილი იგონებს: „თებერვალია, ბარდნის, თოვლი ედება თბილისს, გზები გაჭრილია როგორც გვირაბი, არაჩვეულებრივი ჩუმი ღამეა, როგორც დიდთოვლობის დროს იცის. გათენებისას სადარბაზო კარზე დაჟინებული კაკუნი ისმის, მამა გადის და მალე უკანვე ბრუნდება, დედას მეორე ოთახში გაიძახებს. ცოტა ხნის შემდეგ ორივენი უკან ბრუნდებიან, ყრუდ ისმის მანქანის დაძვრის ხმა. თურმე მამას სთავაზობდნენ საზღვარგარეთ წასვლას. მამა წუთითაც არ შეყოყმანებულა“.

ივანე ჯავახიშვილი სამშობლოში დარჩა.

დაუჯერებელია, მას არ ეგრძნო მომავალი ავბედითი დღეების სუსხი. ტყვიით შემოსული გადამთიელის ნდობა მას როგორ ექნებოდა? ისტორიიდან არაერთი მაგალითი ხომ თვალწინ ჰქონდა! მან არ მოუწოდა ახალგაზდობას დაეცვა სამშობლო?

1921 წლის 16 თებერვალია. მტერი თბილისთანაა. ივანე ჯავახიშვილი წერილით მიმართავს საქართველოს დამფუძნებელი კრების თავდაცვის კომიტეტს:

„პატივი გვაქვს, წერილობით გაცნობოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მოწვეულს საგანგებო სხდომაზე 16 თე-

ბერვალს 1921 წელს, ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც სიტყვიერად იმავე დღეს მოგახსენეთ:

ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფს ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვენ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნისათვის.

ბ) უნივერსიტეტის სამატემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის“.

როგორც ჩანს, ივანე ჯავახიშვილი მთელი თავისი არსებითაა ჩაბმული თავდაცვის საქმეში. მან ჯერ სიტყვიერი დაპირება მისცა თავდაცვის კომიტეტს, რომ უნივერსიტეტი მთლიანად გადაერთვებოდა ომის საჭიროებებზე და შემდეგ კი ოფიციალურ სხდომაზე კოლეგებთან ერთად გააფორმა ეს დანაპირები.

იმავე დღეს უნივერსიტეტის ეზოში გაიმართა დიდი მიტინგი. შეკრებილთ სიტყვით მიმართა ივანემ:

„შვილებო, ჩემი მოვალეობაა თქვენ წიგნისა და კალმისაკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადასდო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და აი, მეც თქვენ დღეს იარაღისაკენ მოგიწოდებთ“.

ეს მტერს დაავიწყდებოდა?

ამაო აღმოჩნდა ყოველი ძალისხმევა. მტერმა ჯერ თბილისი და მერე მთელი საქართველოც დაიკავა.

ისევ ნათელა ჯავახიშვილს მოვუსმინოთ: „ყოველ წუთს მოდის ცნობა ხან ერთი, ხან მეორე ნაცნობი ოჯახის საზღვარგარეთ წასვლის შესახებ. მამა უნივერსიტეტს არ შორდება. ქალაქში დაბნეულობაა. ათას ზღაპრულ ხმას ავრცელებენ. ყველა არამზადა ცდილობს, ამ დაბნეულობით ისარგებლოს. ერთ დილას მამასთან სახლში მოდიან პროფესორები შალვა ნუცუბიძე და კორნელი კეკელიძე. ძალიან აღელვებულები არიან და აცნობებენ მამას, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი არშაკ ბაბო-

ვი მოითხოვს უნივერსიტეტის გასაღებს. კარგად მახსოვს, როგორ აღშფოთდა მამაჩემი და კატეგორიულად უთხრა: „არავითარ შემთხვევაში, რა შუაშია ბაბოვი, რა ხელი აქვს უნივერსიტეტთან. მე მოვალე ვარ წარვსდგე ახალი ხელისუფლების წინაშე“. და მართლაც, როდესაც ახალი ხელისუფლება დამყარდა, მამა დილიდან უნივერსიტეტში იყო“.

ივანე ჯავახიშვილს უცხოეთში მოღვაწეობა არც არასდროს ხიბლავდა. ახლა მით უმეტეს. მისი პირმშო უნივერსიტეტი ბედისანაბარა როგორ უნდა დაეტოვებინა? ჯერ მოძალადეებთან ომი არც განელებულიყო და უნივერსიტეტის გასაღები ჩამაბარეთო, მოითხოვდა არშაკ ბაბოვი. იგი იმ პოლიტექნიკურ ინსტიტუტს რექტორობდა, რომლის დაარსების დადგენილება რუსეთის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1906 წელს მიიღო საქართველოში უნივერსიტეტის შექმნის საწინააღმდეგოდ, მაგრამ გახსნით სწორედ 1917 წელს გახსნა. ივანე ჯავახიშვილის თაოსნობა რეალური რომ გახდა, დაფაცურდნენ ადგილობრივი თუ შორეული „მოყვარენი“ და რუსული უნივერსიტეტის დაფუძნება გადაწყვიტეს, თან პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსება დააჩქარეს. და ახლა ამ ინსტიტუიტის რექტორი არშაკ ბაბოვი მოითხოვდა უნივერსიტეტის გასაღები ჩამაბარეთო.

ივანე ჯავახიშვილს ალბათ გაახსენდებოდა შუა საუკუნების ისტორიიდან არაერთი ეპიზოდი: რომელიმე დამპყრობელი ციხეს თუ ქალაქს ალყას რომ შემოარტყამდა, მის დამცველთ ულტიმატუმს წაუყენებდა და გასაღების ჩაბარებას მოითხოვდა.

ალბათ, საუკუნეებისწინანდელი ველური ყიჟინა გაიგონა ივანე ჯავახიშვილმა, ალყადშემომდგართაგან რომ მოისმოდა.

ამიტომაც იყო გასაგები მისი აღშფოთება.

ახლა ის იყო ახლად შექმნილი ციხის ციხისთავი და დილაადრიან მასთან გამოცხადებული მისი შემკრთალი მეციხოვნენი მისგან ელოდნენ პასუხსაც და ხსნასაც.

ძალები უთანასწორო იყო, მშველელნი კი არსად.

მისი მეციხოვნენი, მისი თანამებრძოლნი კი მარტო შემკრთალნი არ იყვნენ, ეტყობოდათ, ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებდნენ და ივანეს დათმობას ურჩევდნენ. ნათელა ჯავახიშვილის მოგონების ზემოთ მოყვანილი ციტატა ამ მოგონების დაბეჭდილი ტექს-

ტიდანაა მოყვანილი. ხელნაწერში კი ეს ფაქტი განსხვავებული ვარიანტებითაა წარმოდგენილი. გავეცნოთ თითოეულ მათგანს, რადგანაც ერთი და იგივე ფაქტს ერთი და იგივე ავტორი, როცა სხვადასხვაგვარად გვიყვება, სიმართლე სადღაც მათ შორისაა:

– „დილაადრიან მოვიდნენ მამასთან კორნელი კეკელიძე და შალვა ნუცუბიძე. მე შემთხვევით სასტუმრო ოთახში აღმოვჩნდი, გამოსვლა ვეღარ მოვახერხე და უნებურად მოწმე გავხდი მათი საიდუმლო საუბრისა, რომელიც ძალიან მკვეთრად ჩამრჩა მეხსიერებაში. მათ აცნობეს, რომ ამიერკავკასიის პოლიტექ[ნიკური] ინსტიტუტის რექტორი არშაკ ბაბოვი მოითხოვს უნივერსიტეტის გასაღებს და არწმუნებდნენ მამას, რომ მას ეს მოთხოვნა დაეკმაყოფილებია. კარგად მახსოვს როგორ აღშფოთდა მამაჩემი და როგორ კატეგორიულად უთხრა: „არავითარ შემთხვევაში, რა შუაშია ბაბოვი, რა ხელი აქვს უნივერსიტეტთან, მე მოვალე ვარ წარვსდგე ახალი ხელისუფლების წინაშე და მათ იციან რასაც გადაწყვეტენ. და მართლაც როდესაც ახალი ხელისუფლება დამყარდა მამა დილიდან უნივერსიტეში იყო წასული“.
– „კეკელიძისა და ნუცუბიძის ვიზიტი არშ[აკ] ბაბოვისათვის გასაღების გადაცემის წინადადებით. მამის უკმაყოფილება, რომ მთავრობამ მასვე მიანდო უნივერსიტეტის მეთაურობა. მანდატი“.
– „კეკელიძისა და ნუცუბიძის მოსვლა და რჩევა არშაკ ბაბოვისათვის უნ-ტეტის გასაღების გადაცემის შესახებ. ჩემ მიერ მოსმენილი საუბარი — ივ. ჯ[ავახიშვი]ლის კატეგორიული უარი „მივდივარ დავხვდე უნივერსიტეტში“.
– „ერთ დილით მამასთან სახლში მოდიან, ვგონებ იმჟამად პრორექტორებად მყოფი პროფესორები კორნელი კეკელიძე და შალვა ნუცუბიძე. ძალიან აღელვებულები არიან და აცნობებენ მამას, რომ ვინმე პიროვნება, როგორც მაგონდება პოლიტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, მოითხოვსო გადასცენ უნივერსიტეტის გასაღები. მამა უპასუხებს, რომ უნივერსიტეტის გასაღებს, თუ კი ამას მოითხოვს მთავრობა, იგი მხოლოდ მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელს გადასცემს და არავითარ შემთხვევაში სხვას არავის“.

ეს ამონაწერები ნათელა ჯავახიშვილის სამუშაო ჩანაწერებიდანაა. ისინი უკლებლად იმიტომ წარმოვადგინე, რომ ნათელმეყო ერთი ჭეშმარიტება: ავტორის თხრობა სინამდვილეს შეესაბამება. ეს ფაქტი რომ არ ყოფილიყო, მას მრავალჯერ არც გაიმეორებდა.

„მე მოვალე ვარ წარვსდგე ახალი ხელისუფლების წინაშე“ — ეს იყო მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი.

აბა რა უნდა ექნა? არშაკ ბაბოვისთვის გადაეცა უნივერსიტეტის გასაღები და ამით კაპიტულაცია გამოეცხადებინა, თუ დინ კიხოტივით ქარის წისქვილებისკენ გაქცეულიყო ხმალამოწვდილი?

ახლა მისი პირმშო — უნივერსიტეტი იყო გადასარჩენი.

ამ შემთხვევაში უნივერსიტეტის და შესაბამისად მასთან დაკავშირებული ყველა ფასეულობების გადარჩენა მხოლოდ ლოიალობის გამოცხადებით შეიძლებოდა. ეს გზაც დიდი ხნის ნაცადი იყო. არაერთ დიდ მოღვაწეს მიუმართავს მისთვის. ბევრს გამოსვლია, ბევრს არა.

ხიფათი ყველა გზას ახლავს, ყველას განურჩევლად.

ახალი ხანა დამდგარიყო, **დაპყრობილ ვითარებაში მოღვაწეობის ხანა**.

თითქოს გრძნობდა ამას, 1917 წლის 12 მაისს, როცა უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობაში საზოგადოებას თავის არგუმენტებს წარუდგენდა, შენიშნავდა: „რუსეთში რომ პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენთვის ისე უბედურად შემოტრიალდეს, რომ ერობის მეტს ვერას ვეღირსნეთ, განა ამ უკიდურეს შემთხვევაშიც ჩვენთვის ქართულად განსწავლულნი ეკონომისტები, სტატისტიკოსები და ფინანსისტები საჭირონი არ იქნებიან?“.

ახლა ასეთი დრო დამდგარიყო და ქართულად განსწავლული ანუ ქართული სულით გაჟღენთილი სხვადასხვა დარგის სპეციალისტი ბევრი უნდა მომზადებულიყო.

ახლა ეს იყო გადარჩენის გზა.

ის დვრიტა უნდა გადარჩენილიყო, რომლითაც შემდგომში ერის თავისუფლება ხელახლა აღმოცენდებოდა.

ეს ხომ მტერმა უკეთ იცოდა და განა ამას დაგაცდიდა? არა, მაგრამ სხვა რა გზა იყო და მაინც ამ მიმართულებით უნდა

გვევლო. ვინ ვინ და ივანე ჯავახიშვილმა ისტორია კარგად იცოდა და გაკვეთილებიც თვალწინ ჰქონდა.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ვისთან მოუწია ივანეს უნივერსიტეტის ბედის გარკვევა, მაგრამ ის კი ვიცით, რომ 1921 წლის 25 თებერვალს თბილისის მილიციის უფროსი მიმართავს კომისარ დუმბაძეს და სთხოვს, აღმოუჩინოს ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტის დაცვაში დახმარება. ხოლო 28 თებერვალს თბილისის გარნიზონის უფროსი უნივერსიტეტის ქონების ხელშეუხებლობის მანდატს იძლევა.

ამჟამად ასე გადაარჩინა უნივერსიტეტი ივანემ, ალბათ მარტო დარბევას კი არა, უფრო მეტად მავანთა შემოჭრას.

არშაკ ბაბოვი აბა სხვა რისთვის მოითხოვდა უნივერსიტეტის გასაღებს?

ალბათ, ქართული უნივერსიტეტი დაიხურებოდა, ყველაფერს მოწინააღმდეგე დაეუფლებოდა და ქართულ ენაზე ქართული მეცნიერების განვითარება შეწყდებოდა.

ამჟამად უნივერსიტეტის გადარჩენა ერის სასიცოცხლო ახალგამონასკვნული კვირტის გადარჩენას ნიშნავდა.

ივანე დარჩა სამშობლოში და მან ეს შეძლო.

ამჟამად გადაარჩინა.

„ნეტავ ამაზედ ხელი არ მომეწერა და მომკვდარვიყავი“

1921 წლის შემოტევებს უნივერსიტეტი გადაურჩა.

მაგრამ მალე 1924 წლის აგვისტოც დადგება და საქართველოში ცოდვის კალო დატრიალდება.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად დაწყებული აჯანყება დამარცხდება და ხელისუფლება სისხლიან ანგარიშსწორებას დაიწყებს. ამ ამბავს სხვა მრავალ სახელოვან და გულანთებულ ქართველთან ერთად ივანე ჯავახიშვილის ცოლის დისშვილი გია აბაშიძე შეეწირება. ამ ფაქტს დრამატიზმს ისიც მატებს, რომ ივანეს და გია აბაშიძის ოჯახი ერთ სახლში ცხოვრობდა, და როგორც დღეს იტყვიან, გია ივანეს ხელში იყო გაზრდილი!

1924 წლის 7 სექტემბრის გაზეთი „კომუნისტი“ პირველ გვერდზე თბილისის საბჭოს სხდომის შესახებ იუწყება. სიტყვით გამოდის სერგო ორჯონიკიძე: „აქამდე ვამაყობდით იმით, რომ სამნახევარი წლის განმავლობაში მშრომელი ქართველის ერთი წვეთი სისხლიც არ დაგვიღვრია და არც გვსურდა ვისიმე სისხლი დაგვეღვარა. მაგრამ იძულებული გაგვხადეს ოდნავ გაგვეწმინდა ჩვენი თოფები“.

დახეთ, რა ცუდი საქმე ჩაუდენია სამშობლოს დამოუკიდებლობის მოწადინეებს — ბოლშევიკებს სიამაყის საშუალება წაართვეს. ისინი თურმე იძულებული გახადეს ოდნავ მაინც გაეწმინდათ თოფები.

აბა ჟანგს ხომ არ შეაჭმევინებდნენ?

ქართველის სისხლი თურმე კარგად წმენდს თოფებს!

მაგრამ ქართველებშიც არის განსხვავება! ყველა ქართველის სისხლი არ გამოდგება!

„... ჩვენ გადავწყვიტეთ გვემოქმედა გაბედულად. უკეთესია რამდენიმე ათეული მენშევიკის, ნაციონალ-დემოკრატის მსხვერპლი, ვიდრე მუშის და გლეხის ერთი წვეთი სისხლი“.

ეს სიტყვები იმავე გაზეთიდანაა. ისიც იმავე სერგოს ეკუთვნის, კაცობრიობისთვის სანეტარო მომავლის აღმთქმელთა ერთ-ერთ ბელადთაგანს.

ამას უკვე გალეწილი კალოს მეპატრონე ამბობს. ჭირნახული მოიწია და და ახლა შედეგებზე საუბრობს.

მანამდე კი...

მანამდე კი 1924 წელის 31 აგვისტოს გაზეთი „კომუნისტი“ შემდეგ ცნობას აქვეყნებს:

„საქართველოს საგანგებო კომისისაგან

მენშევიკურმა არალეგალურმა ცენტრალურმა კომიტეტმა და მეორე თეორგვარდიელთა ორგანიზაციამ, რომელიც ცნობილია საქართველოს პარიტეტული კომიტეტის სახელწოდებით, საბჭოთა ხელისუფლების თითქმის სამნახევარი წლის არსებობის განმავლობაში თავის მუშაობის ყურადღების ცენტრში ჰქონდა შეიარაღებული აჯანყების მოწყობა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობათ... მხოლოდ უსასტიკესი დასჯით არის შესაძლებელი ქვეყნის ხსნა ამ უაზრო ცდათა განმეორებისაგან. ამიტომ საქართველოს საგანგებო კომისია ადგენს, რომ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირები, როგორც პროლეტარიატის წინააღმდეგ აჯანყების მომწყობნი და როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლების შეურიგებელი მტრები დასჯილნი იქნენ უმაღლესი სასჯელით — დახვრეტით:“

ეს უკანასკნელი სიტყვა დიდი შრიფტით ხაზგასმულადაა დაბეჭდილი — კარგად უნდა მოხვდეს იგი მკითხველს თვალში, კარგად რომ დაიხსომოს.

ამჟამად სიკვდილმისჯილია სულ 24 პირი. მათ შორის არიან:

ხომერიკი ნოე, პარიტეტული კომისიის თავმჯდომარე, მენშევიკური ცეკას და საზღვარგარეთის ბიუროს წევრი; ჯუღელი ვალიკო, ჩხიკვიშვილი ბენია, ფაღავა გოგიტა, წინამძღვრიშვილი გიორგი, ნოდია ვასილი და სხვები, სულ 24 ადამიანი.

4 სექტემბერს კი იგივე გაზეთი იუწყება:

„მთავრობის ცნობა

მთავრობა ამით აუწყებს რესპუბლიკის მცხოვრებთ მენშევიკებისა და თავადების საზიზღარი ავანტიურის სრულ ლიკვიდაციის შესახებ. შეთქმულთა ბანდები ყოველგან გაფანტულია და ნაწილობრივ დაკავებული. ზოგ ადგილებში ბანდებმა მთელი შემადგენლობით დაჰყარეს იარაღი და დაგვნებდნენ, ზოგან მიატოვეს რა „ტყვე“ მოქალაქეები, ქალები და ბავშვები, რომლებიც წაიყვანეს პირველი თავდასხმის დროს, გარბიან მთებში და სხვადასხვა საშუალებებით სურთ გაიგონ ხელისუფლების ორგანოებისაგან დანებების პირობები. ხელისუფლების ორგანოები, თავისთავად ცხადია, არავითარ მოლაპარაკებას დანებებ-

ის პირობების შესახებ არ მართავენ და გადაჭრით მოითხოვენ დანებებას ყოველგვარი პირობების გარეშე.

მაგრამ გაუწია რა ანგარიში მასიურ თხოვნებს პატიების შესახებ, ხელისუფლებამ 5 სექტემბერი დანიშნა ნებაყოფილობითი დანებების უკანასკნელ დღეთ და ამ ვადის გასვლამდი გამოცხადებულთ აღუთქვა ნაკლებ მკაცრი სასჯელი“.

მაგრამ ვინაა გამკითხავი ან გამრკვევი, თუ რა ნიშნავს „ნაკლებმკაცრი სასჯელი“.

ივანე აჯანყების დროს თბილისში არაა. იმყოფება მცხეთასთან ახლოს მდებარე სოფელ კარსანში. სახელმწიფო ოგანოების თანამშრომლებმა კი მას თბილისში ბინაზე მიაკითხეს. რომ ვერ ნახეს, არაფერია, ნუღარ შეაწუხებთ, არ შეატყობინოთო, დაიბარეს.

ამ ამბავს ასე იგონებს ნათელა ჯავახიშვილი: „თბილისიდან (აღარ მახსოვს ვისი ხელით) ჩემმა დეიდებმა აცნობეს მამას, რომ პირველივე ღამეს ჩეკისტებმა მიაკითხეს მას. ქუჩაში ღამის მორიგეს, ჩვენს მოხუც მეეზოვეს შეეკითხნენ, სახლშია თუ არა მამა? იმას ეპასუხა, რომ მამა დასასვენებლადაა ოჯახთან ერთად წასული. მაშინ გაუფრთხილებიათ დაპატიმრების დაქადნებით, რომ არავისთვის გაემხილა მათი მოსვლა. ამის მიუხედავად, წასულან თუ არა ისინი, მას უცნობებია ჩემი დეიდებისთვის ეს ამბავი. წერილის მიღებისთანავე მამა ფეხით წამოვიდა თბილისში და თვითონვე გამოცხადდა „ჩეკაში“, სადაც იგი დააპატიმრეს და დააყოვნეს 48 საათი“.

ნათელას ეს მოგონება მთლად ზუსტი არ უნდა იყოს. როცა ადამიანი რაღაცას იგონებს, მას შეიძლება დეტალები შეეშალოს. მაშინვე, ცხელ კვალზე დაწერილი კი სულ სხვაა.

ივანე კი წამოვიდა კარსანიდან თბილისში, მაგრამ იქ ცოლ-შვილი დატოვა. ივანეს ამბავს ანასტასიას თბილისში მყოფი მისივე და თეკლა წერილით ატყობინებს: „სტაზია-ჯან! მინდა ყოველდღე მოგწერო რომ არ სწუხდე ვანოზე. გუშინ გამოგიგზავნე ბარათი და ვანოს ღია წერილი ვიღაც მგზავრის ხელით. დღესაც ასე უნდა მოვიქცე. როგორც დაგპირდი გწერ ყველა ნამდვილ ამბავს. ვანო გუშინ წაიყვანეს ჩ. კ.-ში. მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ გამოუშვეს“.

წერილი დაწერილია 1924 წლის 6 სექტემბერს.

წინა დღეს კი თეკლე შემდეგს სწერს: „ვანო მშვიდობით ჩამოვიდა. მართალი გითხრა ჩვენ ვფიქრობდით რომ უკეთესი იყო

მისი მანდ დარჩენა, მაგრამ აქ აუარებელნი არიან დაჭერილნი და თუ დასაჭერია ადამიანი რა თქმა უნდა სახლიდან ურჩევნია. ნუ სწუხარ, ამბავს არ მოგაკლებთ“.

მხოლოდ ესღა დარჩენილა სანუგეშოდ: „ნუ სწუხარ, ამბავს არ მოგაკლებთ“.

დაპატიმრებულთა ბედი გადაწყვეტილი ჰგონიათ. ირგვლივ ასეთი ვითარება იყო და სხვაგვარად ვინ რას იფიქრებდა?

ეს არის 1924 წლის 5 სექტემბერი.

მეორე დღეს, 6 სექტემბერს გაგზავნილ წერილში კი თეკლე დას აცნობებს, რომ ივანე ჯავახიშვილი რამდენიმე საათის პატიმრობის შემდეგ გამოუშვესო სახლში. ვითომც ეს „недоразумение“ (გაუგებრობა) ყოფილა.

ივანე ჯავახიშვილი ამ საქმეში მართლაც უბრალო იყო, თუმცა ეს დიდი შეღავათი სულაც არ იქნებოდა, რომ არა ერთი ინტელიგენტი კაცი, მაღალი თანამდებობის პირი მას არ გამოსარჩლებოდა.

ამ პიროვნებას თეკლე პირდაპირ არ ასახელებს. მხოლოდ დაშიფრულად უთითებს.

უფრთხილდება. ვინ იცის, ეს წერილი ვის ჩაუვარდება ხელთ! იცოდა, რომ თუ წერილი მთავრობის ორგანოებს ჩაუვარდებოდა ხელში, ისინი მას ვერ გაშიფრავდნენ?

რა თქმა უნდა, კი.

მაგრამ მაინც ფრთხილობს თეკლე — ადამიანი, მით უმეტეს ხიფათის მომლოდინე ქალი, ხომ ფრთხილი არსებაა.

„ნ. კ. პრ.-ის წყალობით მას აღარაფერი ხიფათი არ მოელის“, — წერს იგი. ეს „ნ. კ. პრ“. არის „народний комисар просвияшения“ (განათლების სახალხო კომისარი) — დავით კანდელაკი.

მოგვიანებით იგი დიდმა ბელადმა სტალინმა მოსკოვში გადაიყვანა, შემდეგ კი გერმანიაში მიავლინა. აქტიური და კარგი მუშაობისათვის ორდენით დააჯილდოვა, თუმცა მერე რამდენიმე თვეში დასახვრეტად გაიმეტა.

ამჟამად ამ კაცმა იხსნა ივანე ჯავახიშვილი ხიფათისაგან. მაგრამ ივანე ასე უბრალოდ მაინც ვერ გადარჩა დავიდარაბას.

აჯანყება დამარცხებულია, „დამნაშავენი“ და ეჭვმიტანილნიც ან დახვრეტილია, ან ციხეში იმყოფებიან. ხელისუფლება კი თავისუფლებაში მყოფთაგან ითხოვს ხარკს.

ივანე ჯავახიშვილსაც მოუწია ამ ხარკის გაღება.

შემონახულია პროფესორთა საბჭოს ოქმი, რომელზეც მითითებულია სწორედ 5 სექტემბერი, რომელ დღესაც იყო დაკავებული ივანე ჯავახიშვილი. პროფესორთა საბჭომ მიიღო დეკლარაცია, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთის იმ ნომერში, სადაც სერგო ორჯონიკიძის სიტყვაა დაბეჭდილი. აქაც სხდომის გამართვის თარიღად 5 სექტემბერია მითითებული. ამ დეკლარაციით, უნივერსიტეტის პროფესორებმა აჯანყებას ავანტიურა უწოდეს და დაგმეს იგი. დეკლარაციას, პირველ რიგში, ხელს აწერს ივანე ჯავახიშვილი და შემდეგ დანარჩენი პროფესორები.

დეკლარაციაზე ივანეს ხელისმოწერა საეჭვო არაა, ხელწერა ნამდვილად მისია.

მაგრამ როდისღა შეიკრიბა პროფესორთა საბჭო? ივანე ჯავახიშვილი ჩეკადან პირდაპირ სახლში წასულა და არსად სხვაგან. ამის შესახებ გვიყვება უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ჯავახიშვილი. ის ზუსტად ამ დღეს ყოფილა სახალხო განათლების კომისარიატში და დავით კანდელაკს მისთვის უთქვამს, ივანე ჯავახიშვილია დაჭერილი და მე მის გამოსახსნელად წავალ, შენ კი აქ დამელოდეო.

„დილას წასული კანდელაკი მხოლოდ საღამოს სამ საათზე დაბრუნდა კომისარიატში, – იგონებს ალ. ჯავახიშვილი, — ისევ მიმიწვია კაბინეტში და მითხრა, ივანე ჯავახიშვილი გავათავისუფლებინე და სახლში მივიყვანეო. ამასთანავე მიამბო, რამდენი წვალება გადაიტანა, სანამ ათას ადგილას ამოაწერინებდა ივანეს. ეტყობა, პირადი თავდებობით მოახერხა დ. კანდელაკმა ივანეს გამოყვანა საპატიმროდან და არცერთი ინსტანცია არ დატოვა, სანამ ბოლომდე არ მიიყვანა ეს საქმე“.

თუ ყველა ზემოთ მოტანილ ცნობას ერთმანეთს შევადარებთ, უნდა დავასკვნათ, რომ ივანე 48 საათით არ ყოფილა დაპატიმრებული. იგი არც საკუთარი ფეხით გამოცხადებულა ჩეკაში, არამედ სახლიდან წაუყვანიათ 5 სექტემბერს და იმავე დღეს გაუნთავისუფლებიათ. თეკლე ორბელიანის ცნობით, სულ რამდენიმე საათს ყოფილა დაკავებული, ალ. ჯავახიშვილის მიხედვით კი ივანე შინ საღამოს სამი საათზე მიუყვანია დ. კანდელაკს.

თუკი პროფესორთა დეკლარაცია უნივერსიტეტში პროფესორთა საბჭოს სხდომაზე იქნა მიღებული, მაშინ შინ მიყვანილი ივანე

საღამოს უნივერსიტეტში დაბრუნებულა, მოუწვევია პროფესორთა საბჭოს სხდომა და მიუღიათ ზემოხსენებული დოკუმენტი.

თეორიულად ეს შესაძლებელია, მაგრამ მოხდა კი ასე?

მოვიყვანოთ კიდევ ერთი ცნობა.

ამ მოვლენის შესახებ კორნელი კეკელიძის ნაამბობი ჩაუწერია ალექსანდრე ბარამიძეს:

„...გვიან ღამით, მეწვია ორგანოს ორი წარმომადგენელი, — მიამბო ბ-ნმა კორნელიმ, — გამაცნეს მეცნიერთა დეკლარაციის ტექსტი და მომთხოვეს ჩემი დასტური, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი სასჯელით დამემუქრნენ, როგორც სიკვდილმისჯილი შვილის მამას. მეც ნამდვილად ავანტიურად ვთვლიდი იმ აჯანყებას, მაგრამ როგორ უნდა მომწონებოდა ჩატარებული რეპრესიული ღონისძიებანი, ეს ღონისძიებანი ხომ ჩემი შვილის დახვრეტასაც გულისხმობდა! არადა მე უძლური აღმოვჩნდი წინააღმდეგობა გამეწია. ნებით თუ უნებლიეთ ჩემი ხმაც შევუერთე მეცნიერთა დეკლარაციას, რაც მაშინვე აღნიშნა პრესამაც“.

ეს ცნობა კი შემდეგ ეჭვს აჩენს: შედგა კი პროფესორთა საბჭოს სხდომა?

სამწუხაროდ, ალექსანდრე ჯავახიშვილიც არაფერს ამბობს პროფესორთა შეკრებაზე და იქ ამ დეკლარაციის მიღებაზე. არადა, მასზე ხომ მისი ხელმოწერაცაა. ეტყობა, ამ საჩოთირო საკითხზე დუმილი ამჯობინა. მისი მოგონებები ხომ საბჭოთა წლებში დაიბეჭდა და საჭირო კომენტარსაც ვერ გააკეთებდა.

ეჭვს შემდეგი გარემოებებიც აძლიერებს:

1. პროფესორთა საბჭოს მასალებში დაცული ოქმისა და გაზეთში გამოქვეყნებული დეკლარაციის ხელისმომწერთა სიაში განსხვავებაა. თუკი პროფესორთა საბჭო დამოუკიდებლად მიიღებდა დეკლარაციას და მას გადაუგზავნიდა გაზეთს გამოსაქვეყნებლად, მაშინ ხომ ხელისმომწერებიც ორივეგან ერთი და იგივე იქნებოდა?
2. ოქმში მოხსენებულია 4 პირი, რომლებიც დასწრებიან ამ სხდომას, მაგრამ არ არიან მოხსენიებული ხელმომწერთა შორის. ძნელი წარმოსადგენია, იმდროინდელი რეპრესიის დროს მათ ხელის მოწერაზე უარი გაებედათ. თუმცა ეს ოთხივე პირი მოხსენიებულია გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებაში.

3. აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი ნიშანდობლივი გარემოება: ერთი მხრივ, გაზეთში ჩამოთვლილთა შორის მითითებულია ერთი პროფესორის გვარი — ბერიძე, რომელიც ოქმში არც დამსწერთაგან ჩანს სადმე და არც ხელმომწერთა შორისაც, მეორე მხრივ, დეკლარაციის განხილვასაც დასწრებია და ხელიც მოუწერია ბორის ღოღობერიძეს, მაგრამ მისი გვარი გაზეთში გამოქვეყნებულ მასალაში არაა.
4. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმებში ყოველთვის მოხსენიებულია სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. ამ ოქმში კი ასეთი რამ არაა.
5. ოქმში და საგაზეთო ტექსტში პროფესორთა გვარების თანმიმდევრობა არ ემთხვევა ერთმანეთს;
6. პროფესორთა საბჭოს ოქმებში დაცულ მასალებში არის მანქანაზე ერთი ნაბეჭდი დაუსრულებელი და მეორე სრული ხელნაწერი ტექსტები. სწორედ ხელნაწერ ტექსტს აქვს დართული ბოლოში ხელმოწერები. მასში არაა ოქმისთვის საჭირო ფორმა დაცული თავისი ტრადიციული სათაურით, ნომრით, დამსწრეთა ჩამონათვალით, თავმჯდომარისა და მდივნის მითითებით. ამგვარი სახე აქვს მიცემული სწორედ ნაკლულ ნაბეჭდ ტექსტს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თავმჯდომარე და მდივნი არაა მოხსენიებული.

ეტყობა, ხელნაწერი ტექსტი სწორედ ჩეკაში შედგა და მერე მის საფუძველზე დაიწყეს ამ მასალის მანქანაზე ბეჭდვა უკვე უნივერსიტეტში. ასეთი ვარაუდი დასაშვებია შემდეგი გარემოების გამოც:

მაშინ ასეთი წესი იყო: მდივანი ადგენდა ოქმს, ხოლო მისი დამტკიცება მომდევნო სხდომაზე ხდებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მასზე ხელისმოწერაც ამ მომდევნო შეკრებაზე სრულდებოდა, ვინაიდან ხელით ნაწერის მანქანაზე გადაბეჭდვას ხომ დრო უნდოდა და პროფესორები ამ პროცედურის დასრულებას არ ელოდებოდნენ. ალბათ ამიტომაც ხდებოდა მომდევნო სხდომაზე ოქმის დამტკიცებაც. ამდენად, ხელმოწერა ხდებოდა უკვე მანქანაზე ნაბეჭდზე ან გადათეთრებულ პირზე და არა შავ ვარიანტზე. ჩვენს შემთხვევაში კი ხელმოწერები სწორედ შავ ვარიანტზეა გაკეთებული.

საკითხავია რატომ?

პროფესორთა ოქმის ხელნაწერ ტექსტს ბოლოში უზის თარიღი „1924. 5. IX“. იგი აშკარად ივანეს ხელითა გაკეთებული და თანაც ჯერ თარიღია დასმული და მერეა ხელისმოწერა გაკეთებული. თუ ამ დეტალს ზემოთ მოცემულ მსჯელობას დავუმატებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ დეკლარაციის ტექსტი ხელით დაიწერა ჩეკაში და ივანე ჯავახიშვილი აიძულეს, მასზე ხელი მოეწერა. მან კი ჯერ თარიღი დაუსვა და მერე ხელი მოაწერა.

ახლა კი ჩავუკვირდეთ ალ. ჯავახიშვილის მოგონების ერთ ადგილს: დ. კანდელაკი მომიყვა, თუ „რამდენი წვალება გადაიტანა, სანამ ათას ადგილას ამოაწერინებდა ივანეს“. რა იყო ეს „წვალება“ და რა „ათას ადგილას იყო ამოსაწერი ივანე“? ხომ არ იგულისხმება აქ ამ ოქმის შედგენის პროცედურა?

ალბათ იგულისხმება.

შემდეგ კი ივანეს მიერ უკვე ხელმოწერილი ეს ხელნაწერი დანარჩენებს მიუტანეს და ხელი მოაწერინეს. კორნელი კეკელიძე ხომ ამბობს, რომ „...გვიან ღამით, მეწვია ორგანოს ორი წარმომადგენელი“ და „გამაცნეს მეცნიერთა დეკლარაციის ტექსტი და მომთხოვეს ჩემი დასტური, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი სასჯელით დამემუქრნენო“.

გამოდის, რომ ივანეს მიერ ხელმოწერილ ტექსტს მთელი ღამის მანძილზე დაატარებდნენ პროფესორთა სახლებში და ყველას აიძულებდნენ მასზე ხელისმოწერას.

ეს ხომ 5 სექტემბერია. 7 სექტემბერს კი დეკლარაცია გაზეთში დაიბეჭდა. გამოდის, რომ ხელმოწერის მეორე დღესვე, 6 სექტემბერს გადაეცა იგი რედაქციას: გაზეთი ხომ დილაადრიან გამოდიოდა და 7 სექტემბრის ნომერი სწორედ წინა დღეს, ღამის ჩათვლით, იქმნებოდა!

ეტყობა, პროფესორებზე ზეწოლისთვისაც გამოიყენეს ივანე ჯავახიშვილი.

მისი ხელისმოწერის მერე დანარჩენების დაყოლიება ძნელი არ იქნებოდა.

არც გაძნელებიათ.

რატომ უნდა ვიფიქროთ ასე?

პასუხი მარტივია: დრო იყო მძიმე და რთული.

გაზეთი „კომუნისტი“ ახალი ხელისუფლების იდეოლოგიური რუპორი იყო და რაც მათ სჭირდებოდა იმასვე აქვეყნებდა, მაგრამ

დღეს იგი ჩვენთვის პირველწყაროცაა. მასში დაბეჭდილს ხომ ვერ შეალამაზებ?

გაზეთი „კომუნისტი“ 1924 წლის 16 სექტემბერს აქვეყნებს 6 დაპატიმრებული პირის ფოტოს, რომელსაც სათაურად აქვს: „პარიტეტული კომისიის წევრები, რომლებიც „შეკრებილი“ არიან დღეს ჩეკას კლიტულებში“. ესენი არიან: კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, კირილე ნინიძე, მიხეილ ბოჭორიშვილი, მიხეილ იშხნელი, გიორგი ჯინორია.

ამ ნომერში მათზე სხვა არაფერი წერია. მაგრამ „სხვას“ თავად ეს „უთქმელობა“ ამბობს: „ჩეკას კლიტულებში“ მოხვედრილი ადამიანის ბედი რითი მთავრდება მოსახლეობამ კარგად იცის. მათ ბედზე კი ბრჭყალებში ჩასმული სიტყვა მიგვანიშნებს „შეკრებილი“. სწორედ ბრჭყალებში ჩასმული ეს სიტყვა ამბობს ყველაფერს!

გაზეთში ამ ცნობის გარდა ამ „შეკრებილებზე“ არაფერი წერია, მაგრამ აქ მათი ფოტოებია დაბეჭდილი.

აი, შეხედეთ, ესენი არიან ხალხის მტრები. ჩვენ ისინი „ჩეკას კლიტულებში შევკრიბეთ“ და ხვალ-ზეგ ჯეროვნად გავუსწორდებითო. ეს, რა თქმა უნდა, არ წერია. რატომ უნდა დაეხარჯათ საგაზეთო ადგილი ან საღებავი, ამ ხერხით ხომ უკეთესად ითქვა სათქმელი!

ტერორი სუფევდა ირგვლივ.

ტერორი არა მარტო პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებისკენ იყო მიმართული, არამედ ნებისმიერი, თავისთვის მოფუსფუსე ადამიანისკენაც.

გარჩევა არ არსებობდა.

როსტომ ჩხეიძე თავის წიგნში „აგვისტოს შვილები“ ამის შესახებ გვიყვება: დასახვრეტად მიჰყავთ დაპატიმრებულები. გზაზე ბადრაგი აღმოაჩენს, რომ თურმე ერთი აკლიათ.

„...ურემი გამოჩნდება უეცრად, კოფოზე მეურმე შემომჯდარა, ურმულს მღერის დაბალ ხმაზე, ჩამოათრევენ, შუაში ჩაუყენებენ ტუსაღებს და გასწევენ ფრიალო კალთების საყელურისკენ. უმეხრეო ურემიც თან მისდევს, კამეჩები აბია და კამეჩების ტაატა ნაბიჯით მოჰყვება.

— სად მიხვალთ ხალხო?! — მეურმემ უნდა იკითხოს.

კრინტს არავინ ძრავს, გარემო მდუმარებს და მხოლოდ ნაბიჯების ხმა გაისმის მოთქმასავით.

— მე რაღათა, ჰა?! — ვერ ისვენებს ისევ მეურმე.

ჩვენ რაღადაო, — ვიღაცა მიუგებდა თუ არც მიუგებდა. ...

— გზა თავდებოდა, იმათი გზაი: აგერ საყელური, აგერ ტაფობი და აგერ მთები შემორკალური. ურემი? .. კამეჩები გაჰყიდეს გორის ბაზარზე ურმიანადა რაღა თქმა უნდა. ფული?... დაამღერეს წითელ დუქანში ახალ ბაღთანა“.

ასე იყო.

21 სექტემბერს კი ექიმ ივანე გომართელის განცხადებაა გამოქვეყნებული, რომელშიაც გარკვეული წინადადებები გამოყოფილია და დიდი შრიფტითაა დაბეჭდილი. ამით თუ რას ესმება ხაზი, ადვილი მისახვედრია:

„წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ „კომუნისტის“ მახლობელ ნომერში ადგილი დაუთმოთ ჩემს წერილს.

რევოლუცია წარმოადგენს უდიდეს ასპარეზს ყოველი პოლიტიკური პარტიისათვის მისი ნიჭისა, მომზადებისა, უნარიანობისა, ძალ-ღონისა, სიმტკიცისა და საქმიანობის გამოსაცდელად.

მენშევიკური პარტია და მთავრობა სასტიკად კატასტროფულად დამარცხდნენ ამ ასპარეზზე.

ამის გამო 1921 წელს მე გამოვედი პარტიიდან და მას შემდეგ სრულებით შევწყვიტე მასთან ყოველგვარი დამოკიდებულება.

იმავე დღიდან უარვჰყავი ყოველგვარი მოქმედება და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისა და წყობილების წინააღმდეგ, რადგანაც კარგად მქონდა გათვალისწინებული, რომ ამგვარი ბრძოლა იქნებოდა დამღუპველი ქართველი ერისათვის.

გადახვეწილმა მთავრობამ უცხოეთში გადაიტანა თავისი მოღვაწეობა და რა წარმოშვა სამწელიწადნახევარი მუშაობის შემდეგ?

უგუნური, წარმოუდგენელი ავანტიურა და საშინელი გაწირვა მთელი ერისა...

ჩემთვის აშკარაა, მაგრამ მე მინდა, რომ ყველასათვის ცხადი იყოს ახლა მაინც შემდეგი:

ერთად-ერთი გზა ჩვენი ხალხის წინმსვლელობისა, წარმატებისა და კეთილდღეობისა მდგომარეობს მხოლოდ იმაში, ჩვენი ერის ყველა კულტურული ძალები, ყოველი შეგნებული ქართველი გვერდში ამოუდგეს საბჭოთა ხელისუფლებას და მასთან ერთად და თანხმობით იმუშაოს და იმოქმედოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ექიმი ივანე გომართელი“

იქვე მცირე მოცულობის, მაგრამ ნიშანდობლივი ცნობაცაა მოცემული:

„წერილი რედაქციას

ვესალმებით და ვიზიარებთ ყველა დებულებებს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა დეკლარაციისა, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „კომუნისტი“-ს № 204.

სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი **სერგო დანელია**.

სახელმწ[იფო] უნივერ[სიტეტის] მუშფაკის ლექტორი **დიმიტრი მგელაძე“**.

როგორ დავიჯეროთ, რომ ეს ნებაყოფლობით გაკეთებული განცხადებაა? უნივერსიტეტის ერთ-ერთი ამაგდარი სერგი დანელია ღირსეული პიროვნება იყო და მასაც შეეხო მოგვიანებით საბჭოთა რეჟიმის სუსხი. დაუჯერებელია, იგი ნებაყოფლობით მიერთებოდა გამოქვეყნებულ დეკლარაციას.

23 ოქტომბერს გამოქვეყნებული ანალოგიური შინაარსის განცხადების ტექსტზე მისი ხელიმომწერები ნებაყოფილობით აწერდნენ ხელს?

არადა, ისინი ხომ მაშინდელი ხელოვანთა საზოგადოების თვალსაჩინო წევრებია. ჩავიხედოთ გაზეთში:

„სრ[ულიად] საქართველოს ხელოვანთა კულტურული კავშირის თავმჯდომარე: კ. მაყაშვილი. აბაშელი ალ., არაგვისპირელი შ., ბარნოვი ვ., გაბაშვილი გ., გრიშაშვილი ი., დადიანი შალვა, ეკალაძე ია, თავაძე სოლომონ (ობოლი მუშა), თოიძე მოსე, კოტეტიშვილი ვახტანგ, მამალაძე შ., ნიკოლაძე იაკობ, რუხაძე ვარლამ, სიდამონ-ერისთავი ე., ტუქსიშვილი ე., ავალიშვილი ს., ქიაჩელი ლეო (შენგელაია)“.

ვინ ვინ და კოტე მაყაშვილი ზემოთ მოყვანილ ტექსტს თავისი სურვილით მაინც არ მოაწერდა ხელს. ეს ხომ ის პიროვნებაა, რომელიც ჭაბუკობიდანვე ივანესთან მეგობრობდა, მერე მწერალთა კავშირის დაარსებას დასდო დიდი წვლილი და ერის სამსახურში იდგა. მას მარტო ის ეყოფა, რომ არის სტუდენტ მარო მაყაშვილის მამა, იმ მაროსი, რომელიც წითლების შემოსევისთანავე ფრონტზე მოწყალების დად წავიდა და კოჯორთან დაიღუპა. განა შვილისმკვლელებთან ნებაყოფილობით ითანამშრომლებდა ვინმე?

არა, კოტე მაყაშვილი ნებაყოფილობით ამას ხელს არ მოაწერდა.

სხვები კი მოაწერდნენ?

არა. არც ისინი.

ასეთი ვითარება იყო ყველგან გამეფებული.

და არავინ იყო ნუგეშისმცემელი.

ეს ხდებოდა ივანეს გარშემო. მაგრამ რა ხდებოდა თავად ივანეს თავს?

ნათელა ჯავახიშვილი იგონებს იმ დღეებს, როცა უზომოდ გულდამძიმებული ივანე კვლავ კარსანში დაბრუნდა და ცოლ-შვილი თბილისში ჩამოიყვანა: „აქ საშინელი სურათი დაგვხვდა! ჩემი უფროსი დეიდაშვილი გია აბაშიძე, რომელიც უკვე რამდენიმე თვის წინ იყო დაპატიმრებული, როგორც ფედერალისტ ახალგაზრდობის პარტიის ლიდერი და მეტეხის ციხეში იჯდა თავის რამდენიმე ამხანაგთან ერთად, — დახვრიტეს — 25 წლის, შესანიშნავი, ნიჭიერი და დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა. ამავე დროს სოფელ კისისხევში მოკლეს მამაჩემის ბიძა კიკო ვახვახიშვილი (კომპოზიტორ თამარ ვახვახიშვილის მამა, 83 წლის), დახვრიტეს მაკრინე თარხნიშვილ-წერეთლის ორი შვილი, რომლებიც მამის, როსტომ წერეთლის სანახავად იყვნენ წასული ჭიათურაში“.

მაკრინე თარხნიშვილი-წერეთლისა ივანე ჯავახიშვილის მეუღლის ნათესავი იყო და იმავე სახლში ცხოვრობდა, სადაც ივანე თავისი ოჯახით. აქვე ცხოვრობდა დახვრეტილი გია აბაშიძის დედა, დეიდა და ოჯახის სხვა წევრები.

ერთია, მოყვასის უბედურება გულთან მიგაქვს და იზიარებ.

მეორეა, როცა ეს მოყვასი შენი ახლობელია, ვისთანაც ერთად გიცხოვრია და ბევრი რამ საერთო გაკავშირებს.

მაგრამ სულ სხვაა და უფრო ტრაგიკული, როცა ეს მოყვასი შენი ნათესავია და ეს ნათესავი კი შენს გვერდით იმყოფება, ყოველდღე უყურებ და მის უბედურებას უშუალოდ ესწრები!

სად უნდა დაემალო ამდენ განცდებს?

ამ უბედურების მომსწრეთ როგორღა ედგათ პირში სული?

და განა ამით დამთავრდა ეს უკიდეგანო უბედურება? ცოცხლად მყოფნი განა უკეთეს დღეში იყვნენ!

„ჩემი ორივე დეიდა ლოგინად ჩავარდა, – იგონებს ნათელა ჯავახიშვილი, — თამარმა (გია აბაშიძის დეიდა) ლეთარგიული ძილით დაიძინა იმ ამბის გაგონების შემდეგ, რომელიც მას მეტეხის ციხის კართან პირდაპირ მიახალეს. იქვე გრძნობა დაკარგა, სახლში რომ მოიყვანეს, აღარც მოსულა გონს და ასეთ მდგომარეობაში იყო სამი კვირის განმავლობაში. კიტას მეუღლე (თეკლე, ივანეს მეუღლის და, დ. ს.) ნახევრად უგონო მდგომარეობაში ჩავარდა. ჩემს ორ უმცროს დეიდაშვილს თამარსა და ერეკლეს პროცესი გაეხსნათ — მთელი სიმძიმე დედაჩემს და მამაჩემს დააწვათ. ენით აუწერელი ამბავი ტრიალებდა ჩვენს ოჯახში“.

აბა ვიღას ეცალა ნუგეშისთვის?

რეპრესიების ამ ექომ ევროპაში მყოფ ემიგრანტებამდეც მიაღწია და მოგვიანებით იგი ასე გაიხსენა მიხაკო წერეთელმა:

ივანე ჯავახიშვილი „აწამეს მაშინ, როდესაც მოინდომეს მისი დამცირება და დაუყენეს დილემა: ან განადგურება მის მიერ შექმნილი უნივერსიტეტისა, ან ხელისმოწერა წინდაწინ დამზადებულ განცხადებაზედ ჯალათისაგან მოტანილი სისტემის კანონიერად და კეთილად ცნობისა. ივანე ჯავახიშვილმა ხელი მოაწრა ამ განცხადებას საქართველოს უდიდესი დაწესებულების გადასარჩენად, რომელიც მისგან იყო შექმნილი. და მისი სიტყვები იყო თურმე: „ნეტავ ამაზედ ხელი არ მომეწერა და მომკვდარვიყავიო“.

„ნეტავ ამაზედ ხელი არ მომეწერა და მომკვდარვიყავიო“.

იტყოდა ამას ივანე, ნამდვილად იტყოდა.

მორალურად განადგურებულს, აბა სხვა რაღა შეეძლო?

კიდევ კარგი, ამ მსხვერპლით ხომ უნივერსიტეტი გადაარჩინა! რომ დაეხურათ, ხელი აუკანკალდებოდათ?

ვინ უყურებდა ვის რა აზრი ჰქონდა?

მთავარი იყო საჯარო მონანიება.

საჭირო ტექსტის შემთხზველნი კი ალბათ შესაბამის ორგანოებს საკმაოდ ეყოლებოდათ. ასეთი ტექსტების გამოქვეყნებას ხალხის დაშინება და იდეოლოგიური დამუშავება შეადგენდა. ყველა უნდა დარწმუნებულიყო ახალი ხელისუფლების უძლეველობაში და ყველა მისადმი ლოიალურ გზას უნდა დადგომოდა.

ირკვევა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას პაერივით სჭირდებოდა უნივერსიტეტის „თანადგომა“. აი, რას წერს საზღვარგარეთ მყოფი საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი ვ. ალიხანაშვილი:

„აგვისტოს გამოსვლებში პროფესორთა მიერ გამოცემულმა დეკლარაციამ დიდი სამსახური გაუწია საბჭოთა ხელისუფლებას. პირადად ჩვენ, საზღვარგარეთ მომუშავე საბჭოთა ხელისუფლების მომხრე მუშები, უმთავრესად მათ მიერ გამოცემულ დეკლარაციით ვამარცხებდით მოწინააღმდეგეებს და დღესაც მთელ მსოფლიოს თითქმის გადაავიწყდა აგვისტოს გამოსვლები, მაგრამ მათი დეკლარაცია ისევ დიდ როლს თამაშობს საბჭოთა ხელისუფლების საკეთილდღეოდ“.

საკითხავია, რას აკეთებდნენ უცხოეთში „საბჭოთა ხელისუფლების მომხრე მუშები“?

მუშები ხომ საშობლოში განლაგებულ ქარხნებში და ფაბრიკებში უნდა მუშაობდნენ!

მაგრამ „საბჭოთა ხელისუფლების მომხრე მუშები“ უბრალოდ მუშები არ არიან! ისინი თურმე დიდ იდეოლოგიურ მუშაობას ეწევიან უცხოეთში — „ამარცხებენ მოწინააღმდეგეებს“.

ივანეს სამშობლოში კი, რომელიც მან ძნელბედობისას არ მიატოვა, ცოდვის კითხვა ტრიალებს.

ივანეს დიდ ოჯახში, რომელიც ყველაზე დიდი ნავსაყუდელია თითოეული ადამიანისათვის, გაჭირვება და მწუხარება ბატონობს.

ივანეს სხეულს, რომელშიც ამდენის დამტევი დიდი შემოქმედი სული სულდგმულობს, ავადმყოფობა ხრავს.

იგი კი მაინც ეწევა ჭაპანს, ჭაპანს ოჯახისას, სამშობლოსას. დღედაღამ ფუტკარივით შრომობს. მას ხომ ჭიანჭველასავით თავისთავზე ათჯერ მეტი ტვირთი აქვს აკიდებული.

ჯერ-ჯერობით ეწევა.

ჯერ-ჯერობით ძლევს.

„დაინგრა უკანასკნელი სიმაგრეც“

დაუწერელი კანონია: ვინც რაიმე ახალ საქმეს შესთავაზებს საზოგადოებას, მისი ხელმძღვანელიც იგი უნდა იყოს.

უნივერსიტეტის დაარსებისასაც ასე იყო — ივანე ჯავახიშვილს ერთი წამითაც არ შეუწყვეტია ზრუნვა საქმის კეთილად გასრულებისთვის, არც არავისთვის დაუთმია ტვირთის სიმძიმე და არც არავისთვის გადაუბარებია პასუხისმგებლობა. მაგრამ ბოლოს, როცა ყველაფერი დასასრულს მიუახლოვდა, ეს კანონი ერთხელ დაირღვა.

ეს იყო 1917 წლის 13 იანვარს, როცა მომავალი უნივერსიტეტის რექტორის არჩევის საკითხი დადგა.

ცოტა ხნით შევწყვიტოთ თხრობა და შალვა ნუცუბიძეს დავუთმოთ სიტყვა:

1917 წელს, პეტროგრადში „მარიამ დედოფლის აფერადებულ სასახლის დარბაზებში დეპუტატებს თავი მოეყარათ, მათ შორის მყისვე შევნიშნე მოქნიული სახე პროფესორ კაუფმანისა და მუდამ მოცინარი პროფესორ ვასილიევისა. ესენი იყვნენ იმ კომისიის წევრები, რომელიც, როგორც გამოირკვა აჩერებდა ქართულ უნივერსიტეტის საკითხს მანამდე, სანამდე, არ შეემუშავებიათ რუსული უნივერსიტეტის დებულებანი ამიერკავკასიისათვის.

მივესალმე. პროფესორ ვასილიევს კარგად ვიცნობდი — ფილოსოფიური საზოგადოების წევრები ვიყავით. უნდა გენახათ მისი მუდამ მოცინარე სახე როგორ შეიცვალა, როდესაც ქართული უნივერსიტეტი ვახსენე. კაუფმანს სახე სულ დაუგრძელდა და მისი მუდამ წითელი ცხვირი, რომლის ნორმალურ ფერზე მოსაყვანად იგი უხვად ხმარობდა „პუდრა“-ს, გაფხეკილს ჭარხალს დაემზგავსა.

შეიქმნა ფიცხელი კამათი. მისი უნაყოფობაში მე მაშინვე დავრწმუნდი. განვიზრახე ჩვენი ლაპარაკი საინფორმაციოთ გამომეყენებია, მაგრამ მუდამ თავაზიანი ვასილიევი კითხვებზე ძუნწად მიპასუხებდა და იერიშებს განაგრძობდა.

— ვინ უნდა ჩაუდგეს თქვენს უნივერსიტეტს სათავეში, საზოგადოდ ვინაა ამ საქმის ინიციატორი? მკითხა მან და, ვერ დავმალავ, მისმა უკმეხმა სახემ ჩამაფიქრა. ძველი რეჟიმის სუნი კიდევ ასდიოდა რუსეთს. გამომძიებლის კილოთი მოცემულმა კითხვამ ჩემში ერთგვარ გაუბედაობა გამოიწვია იმ კაცის დასახელებაში, რომელ-

მაც თავს იდვა მძიმე ტვირთი ქართული უნივერსიტეტის პიონერობისა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი წუთით. ისტორიული ჩარხის შეუტრიალებლობა ნათლად ჩამოისხა ჩემ წინ და მე ვუპასუხე:

— ქართული უნივერსიტეტის იდეა ეკუთვნის პეტროგრადის უნივერსიტეტის მოღვაწე ქართველობას, განსაკუთრებით კი პროფესორ ივ. ჯავახიშვილს, რომელიც ამ საქმეს სათავეში უდგას“.

ეს „ერთგვარი გაუბედაობა“ მართლაც პრობლემა იყო. შალვა ნუცუბიძე კი ამბობს, ეს „მხოლოდ ერთი წუთითო“, მაგრამ ამ წუთიერ შეყოვნებასაც ჰქონდა თავისი საფუძველი — ივანე ჯავახიშვილი რუსეთისა და ევროპის სამეცნიერო საზოგადოებისათვის ჯერ არ იყო ცნობილი პერსონა.

აი, ასეთ ვითარებაში, ქართული გიმნაზიის შენობაში, სადაც მალე პირველი ქართული უნივერსიტეტი უნდა გახსნილიყო, 1917 წლის 13 იანვარს, დილის 11 საათსა და 30 წუთზე შეიკრიბნენ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წევრები: ფ. გოგიჩაიშვილი, ე. თაყაიშვილი, პ. მელიქიშვილი, შ. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე და ი. ჯავახიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა პ. მელიქიშვილი და მდივანი იყო ა. შანიძე.

პირველი ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ისტორიაში მხოლოდ პირველ სხდომას უხელმძღვანელა ი. ჯავახიშვილმა, მერე ორი სხდომა ისე ჩატარდა, რომ თავმჯდომარე არავინ ყოფილა. შემდეგ კი ყველა სხდომის წინამძღოლი პ. მელიქიშვილი იყო.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს შემთხვევით, ივანე ჯავახიშვილის გარეშე, მომხდარიყოს. იქნებ ივანემ საბჭოს წევრები თანდათან შეაჩვია ამ უხუცესი პიროვნების წინამძღოლობას.

ეს არავინ იცის.

ჩვენ მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია.

ამჟამად კი საბჭოს მუშაობის დღის წესრიგში 8 საკითხი იყო შეტანილი, რომელთაგან მე-7 და მე-8 საკითხებად უნივერსიტეტის ხელმძღვანელი პირების არჩევნები იყო გამოტანილი.

პ. მელიქიშვილმა, როგორც თავმჯდომარემ, როცა დრო მოვიდა, უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატად ივანე ჯავახიშვილი დაასახელა.

ყველა ელოდა, რომ ახლად შექმნილ უნივერსიტეტს სათავეში მისი დამაარსებელი, ივანე ჯავახიშვილი ჩაუდგებოდა, მაგრამ მან, ყველას გასაოცრად, უარი განაცხადა.

ეს არ ყოფილა მარტო დიდი პიროვნებისათვის ჩვეული თავმდაბლობა, არამედ ეს იყო თავის პირმშოსთვის დიდი ზრუნვის გამოხატულება. მან რექტორის პოსტზე დაასახელა პეტრე მელიქიშვილი. იგიც თავდაპირველად უარზე დადგა, რადგანაც აშკარა იყო რომ ეს თანამდებობა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილს შეეფერებოდა. მაგრამ ივანეს არგუმენტმა გასჭრა: „პეტრე მელიქიშვილი ცნობილი მეცნიერია, რუსეთშიაც და საზღვარგარეთაც, და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტსო“.

ივანეს სიტყვას შალვა ნუცუბიძის მონაყოლის მიხედვით ასე გადმოგვცემს შალვას მეუღლე ქეთევან ნუცუბიძე: „ვისაც სურს გამარჯვება საქართველოს უნივერსიტეტისა, ვისაც სურს, რომ დაინტერესდეს ფართო საზოგადოებრიობა არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთში, ვისაც სურს, რომ საქართველოს უნივერსიტეტის სახელი შარავანდედით იყოს მოსილი, ის აუცილებლად უნდა მიემხროს ისეთი კაცის რექტორობას, როგორიც არის პეტრე მელიქიშვილი“.

საქმე ისაა, რომ პროფესორთა საბჭოს წევრებიდან მაღალი სამეცნიერო ხარისხი და წოდება პეტრე მელიქიშვილის გარდა მხოლოდ ანდრია ბენაშვილს ჰქონდა. მაგრამ ანდრია ბენაშვილი სამხედრო პირიც იყო. მისი მოღვაწეობა მხოლოდ რუსეთში იყო ცნობილი. პეტრე მელიქიშვილი კი ოდესის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი იყო და მთელს ევროპაში ქიმიის დარგში ცნობილი მეცნიერი. ივანე ჯავახიშვილმა ალბათ სწორედ ამ მიზეზით გააკეთა არჩევანი.

ივანე ჯავახიშვილი კი ახალშექმნილი უნივერსიტეტის ერთადერთი ფაკულტეტის „სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის“ დეკანი გახდა, ხოლო პროფესორთა საბჭოს მდივნად იოსებ ყიფშიძე აირჩიეს.

ამიერიდან პროფესორთა საბჭოს პეტრე მელიქიშვილი თავმჯდომარეობდა, ყველა ოფიციალურ დოკუმენტსაც იგი აწერდა ხელს. მაგრამ საკმარისია ამ პერიოდის საარქივო მასალები გადავათვალიეროთ, რომ საქმის რეალური არსი დავინახოთ — ყველა საარქივო დოკუმენტიდან ივანე ჯავახიშვილის თავისებური და

გამორჩეული ხელით დაწერილი მასალები შემოგვანათებს. რექტორი პეტრე მელიქიშვილი მხოლოდ ხელს აწერს.

ყოველეიევე ეს მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს: უნივერსიტეტის მართვის მთელი სიმძიმე, პასუხისმგებლობა და ყოველდღიური ოფიციალური მომოწერის წარმოება ივანე ჯავახიშვილის მხრებზე გადადიოდა.

ივანე ჯავახიშვილი არ იყო რექტორი, მაგრამ იგი ისე მუშაობდა, როგორც რექტორს მოეთხოვებოდა და მასაც ისე უყურებდნენ, როგორც რექტორს. სულ მალე მას უკვე ოფიციალურად მოუწევს ამ პოსტის დაკავება.

1919 წლის 11 ოქტომბერს პეტრე მელიქიშვილმა ითხოვა უნივერსიტეტის რექტორობიდან და პროფესორობიდან გადადგომა. მისი ეს ნაბიჯი გამოიწვია უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამფუძნებელთან და დიდ მათემატიკოსთან ანდრია რაზმაძესთან კონფლიქტმა.

მეორე დღეს, 12 ოქტომბერს, შედგა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს საგანგებო სხდომა.

სხდომას არ ესწრებოდნენ კონფლიქტის მონაწილენი.

სხდომა გახსნა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის მოწვევის მიზეზი და ითხოვა აერჩიათ თავმჯდომარე.

დავაკვირდეთ ივანეს მორალურ და სამართლებრივ სკრუპლუოზურობას. იგი პ. მელიქიშვილის არყოფნის გამო ერთპიროვნულად კი არ გაუძღვა კრებას, არამედ დაასახელა შეკრების მიზეზი და ითხოვა აერჩიათ თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ე. თაყაიშვილი.

სიტყვით გამოვიდა პროფესორთა საბჭოს ყველა ის წევრი, რომელიც შეესწრო ამ ინციდენტს. მათ შორის იყო ივ. ჯავახიშვილიც.

საკითხის განხილვის შემდეგ პროფესორთა საბჭომ მწუხარება გამოთქვა მომხდარის გამო და დაგმო ინციდენტის მონაწილეთა საქციელი. ამის შემდეგ კი პროფესორთა საბჭომ განიხილა პ. მელიქიშვილის თხოვნა რექტორობიდან და პროფესორობიდან განთავისუფლების თაობაზე. საბჭომ რექტორობიდან პ. მელიქიშვილის გადადგომა დააკმაყოფილა, ხოლო პროფესორობიდან გადადგომაზე უარი უთხრა. რაც შეეხებოდა კონფლიქტის მეორე მონაწილეს ა. რაზმაძეს, მის შესახებ დაადგინა: „წინადადე-

ბა მიეცეს პროფ. ა. რაზმაძეს, თხოვნა შემოიტანოს, რათა განთავისუფლებული იყოს დეკანის თანამდებობიდან“.

პროფესორთა საბჭოს განაჩენი, რომელშიც ივ. ჯავახიშვილის სიტყვა გადამწყვეტი იქნებოდა, საკმაოდ მკაცრია, მაგრამ სამართლიანი. თუ თავიდანვე არ იქნებოდა აღკვეთილი უნივერსიტეტის სახელისთვის ჩრდილის მიმყენებელი შემთხვევები, საქმის კეთილი გაგრძელება საეჭვო გახდებოდა.

ამის შემდეგ პროფესორთა საბჭოს სხდომებს წინამძღოლობს ივანე ჯავახიშვილი, როგორც „რექტორის მოვალეობის აღმსრულებელი“.

რექტორი ნაუცბათევად, ცხელ გულზე, არ აირჩიეს. ალბათ, არც არავინ გამოიდებდა თავს, არიქა ვაკანსია გაჩნდა და ვინმემ არ დამასწროსო.

1919 წლის 17 დეკემბერს შეიკრიბა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო. ამ სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად უნდა განეხილათ რექტორის კანდიდატურა. სხდომას თავმჯდომარეობდა ივ. ჯავახიშვილი. გარკვეული საკითხების განხილვის შემდეგ მან თავმჯდომარეობა გადააბარა ანდრია ბენაშვილს და თავად სხდომა დატოვა. ამავე დროს მან პატარა ბარათიც დაუტოვა თავმჯდომარეს. ბარათში კი ეწერა:

„ბატონო თავმჯდომარევ!

თუ ვინიცობაა პროფესორთა საბჭოს კრებაზე ჩემი კანდიდატურა წამოყენებულ იქმნა უნივერსიტეტის რექტორობის თანამდებობაზე არჩევის დროს, გთხოვთ ჩემი წერილობითი განცხადებით აუწყოთ საბჭოს, რომ მე უარს ვაცხადებ, მეტისმეტი დაღლილობის გამო, კანდიდატობაზე და თანაც გთხოვთ იმ პირთა სიითგან, რომელთაც რექტორობაზე კენჭი ეყრებათ, ჩემი გვარი ამოშალოთ“.

პროფესორთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ანდრია ბენაშვილმა ივანეს ეს წერილი წაიკითხა, მაგრამ საბჭომ იგი არ მიიღო და უნივერსიტეტის რექტორად ერთხმად ივანე ჯავახიშვილი იქნა არჩეული.

რატომ არ დარჩა ივანე ჯავახიშვილი სხდომაზე? რატომ არ დაუსახელა მან საბჭოს მის მიერ შერჩეული კანდიდატურა, როგორც ეს გააკეთა პირველი რექტორის არჩევისას? ძნელია ამაზე პასუხის გაცემა. თუმცა ვარაუდის უფლება გვაქვს და ვიტყვი: რომ ვინმე მიეჩნია რექტორობის ღირსად, დაასახელებდა კიდევაც.

რადგან ასეთი არ ეგულებოდა, თავად საბჭოს მიანდო არჩევანის გაკეთება. რაც შეეხება სხდომის დატოვებას, ალბათ გრძნობდა, იგი მაინც იქნებოდა არჩეული, უარი უკვე არ გაუვიდოდა და ყოველივე ყალბ თავმდაბლობას დაემსგავსებოდა.

რაც შეეხება განცხადებას, რომ „მეტისმეტი დაღლილობის გამო“ რექტორობის კანდიდატობაზე უარს ვაცხადებო, სიყალბის ნატამალი არ ერია. მან ჯერ კიდევ 1919 წლის 11 დეკემბერს დაწერა განცხადება სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობიდან განთავისუფლების თაობაზე. აი, ეს განცხადებაც:

„ორი წლისა და ნახევრის განუწყვეტელი მუშაობისაგან უნივერსიტეტის გამგეობაში და ფაკულტეტში მეტად დავიღალე და ამიტომ დეკანობას თავს ვანებებ. გთხოვთ ახალი დეკანის არჩევნები დაუყოვნებლივ მოხდეს“.

ფაკულტეტმა ეს თხოვნა არ გაიზიარა.

ახლა კი რექტორად აირჩიეს.

აბა, რომელ მთავარსარდალს, თუნდაც დაჭრილს, მიუტოვებია თავისი ნებით ბრძოლის ველი?

ივანე მოიქცეოდა სხვაგვარად?

„მეცნიერების ტაძარი“ უწოდა ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტს, როცა იგი მის დასაარსებლად ყველა ღონეს ხმარობდა და ეს განსაზღვრება შემდეგში სხვებმაც აიტაცეს. ივანე ჯავახიშვილი მართლაც ტაძრის მოწიწებით და მოკრძალებით ექცეოდა მის პირმშოს და ეს მარტო გარეგნულ მხარეში არ გამოიხატებოდა, რომ იგი ქუდმოხდილი შედიოდა მასში, არამედ ყოველდღიური ზრუნვითა და რუდუნებით.

იგი არ თაკილობდა შავი სამუშაოს შესრულებასაც. უნივერსიტეტისთვის მერხებს ხომ აკაკი შანიძესთან და იოსებ ყიფშიძესთან ერთად ეზიდებოდა!

შემორჩენილია სტუდენტების სალექციო წიგნაკები, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის ხელითაა შევსებული.

იქნებ ამით ფულს ზოგავდნენ. შესაბამისი საქმისთვის თანამშრომელი რომ აეყვანათ, გასამრჯელოც ხომ უნდა დაენიშნათ?

იქნებ ამით დროსაც იგებდნენ. ჩქარა მოესწროთ ყველაფერი და სტუდენტებისთვის დროზე მიეცათ სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრების საშუალება.

ნეტავი მათ, ვინც ივანე ჯავახიშვილის მიერ შევსებულ წიგნაკებს ფლობდა!

1918 წლის 24 მარტს ექვთიმე თაყაიშვილი წერდა ნიკო მარს: „ქართული უნივერსიტეტი იანვარში გაიხსნა, [საქმე] ძრიელ კარგათ მიდის, მსმენელები ხუთასზე მეტია და სხვებს უარი უთხრეს უადგილობის გამო. ჯავახიშვილი ბევრს მუშაობს. სხვებიც ძრიელ გულწრფელად ეკიდებიან საქმეს. ისე კითხულობენ ლექციებს, თითქო ოცი წლის პრაქტიკა ჰქონდეთ“.

1918 წლის 26 იანვრიდან 24 მარტამდე დიდი დრო არაა, მაგრამ ქართული უნივერსიტეტის სტარტი შთამბეჭდავი ყოფილა.

„ჯავახიშვილი ბევრს მუშაობს“.

ამ მუშაობის შედეგი ყველაფერში ჩანს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია წერილები, ოფიციალური თუ პირადი ხასიათის. აი, რას სწერს ივანე უნივერსიტეტის მიერ სასწავლებლად პარიზში მივლენილ გიორგი ნანეიშვილს: „მრავალგვარ გაჭირვებისდა მიუხედავად ჩვენი უნივერსიტეტი იზრდება და მდიდრდება. [ახლა უნივერსიტეტში] 5 000-მდე სტუდენტია. ახალგაზრდობას — კვლავ სწავლის დიდი ხალისი ეტყობა. სამეცნიერო მუშაობა შეუწყვეტელია. ეს კარგი მაჩვენებელია“.

წერილის ამ ამონარიდის შინაარსს თუ დავაკვირდებით, კაცს ეგონება, ავტორი ადრესატს ანგარიშს აბარებდეს. არადა, წერილის ავტორი ხომ უნივერსიტეტის რექტორია და ადრესატი კი სტუდენტი. ამ სიტყვებში გარკვეული კმაყოფილება და სიხარული იგრძნობა, რომ უნივერსიტეტის საქმეები კარგად მიდის. მაგრამ „კმაყოფილებასა და სიხარულზე“ მეტად ეს გამხნევების სიტყვებია და სასიკეთო სტატისტიკაც ამისთვისაა მოყვანილი.

რექტორი ამხნევებს სტუდენტს.

ამ წერილის დაწერის თარიღია 1923 წელი, როცა საბჭოთა ხელისუფლება ნელ-ნელა იწყებს თავის იდეოლოგიაზე ყველაფრის გადაკეთებას. ამაზე სწუხს კიდევაც ივანე ჯავახიშვილი, მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არ ყრის და იგივე ადრესატს შემდეგს წერს: „მე გთხოვთ ყოველგვარი გაჭირვებისდა მიუხედავად გული არ გაიტეხოთ და მხნედ განაგრძოთ თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის სამზადისი, იმისდამიუხედავად, რომ თქვენს ფაკულტეტის პროგრამაში ზოგიერთი ცვლილებებია შეტანილი

მთავრობის მოთხოვნილებების გამო, მეცნიერი იურისტები ჩვენს უნივერსიტეტსა და საქართველოს მაინც ძალიან სჭირდება და თქვენ უნივერსიტეტში შესაფერის სამოღვაწეო ასპარეზს მოგიძებნით. ეცადეთ რაც შეიძლება უფრო საფუძვლიანად გაიცნოთ ფრანგული იურიდიული მწერლობაც და დამზადებული დისერტაციით ჩამოგვიხვიდეთ.

რათგან მაისის დამდეგამდის პარიზში იქნებით, ჯერ თქვენთვის ნებართვის აღება ნაადრევია და მარტში შევუდგებით ამას. თქვენ თვიურ სარგოს [გიორგი] ნიორაძეს ვუგზავნით ბერლინში, რომელიც პარიზში გადმოგიგზავნით.

იყავით ჯანმრთელად და გაუტეხავად“.

ადამიანს უნებლიედ გაახსენდება იაკობ ხუცესისეული მოძღვარი, რომელიც განსაცდელში მყოფ შუშანიკის გამხნევებას ცდილობს: „მტკიცედ დეგ“! განსაცდელში კი მართლაც იმყოფებოდა ქართველობის მომავალი.

საბჭოთა ხელისუფლებას უკვე დაწყებული აქვს ყველაფრის თავისებურად გადაწყობ-გადმოწყობა. უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებშიც კი ჩაერივნენ. ეს ჩარევა ისეთი მძიმე ყოფილა, რომ ივანე ევროპაში სასწავლებლად გაგზავნილ სტუდენტს სთხოვს გული არ გაიტეხოს, განაგრძოს სწავლა და ყველაფრის მიუხედავად თქვენი პროფესიონალიზმი სამშობლოში მაინც საჭირო აღმოჩნდებაო.

„იყავით ჯანმრთელად და გაუტეხავად“.

უსურვებს და თან სთხოვს რექტორი სტუდენტს.

რაც შეეხება უშუალოდ სარექტორო რუტინას, ამას ყოველთვის ივანე დიდი სკრუპლუოზურობით ეკიდებოდა. საკმარისია მისი რექტორობისდროინდელი მოხსენებები გადავიკითხოთ, რომ ამაში დავრწმუნდეთ. ისინი კი ხომ უშუალოდ მისივე ხელითაა დაწერილი? მასალებსა და მონაცემებს, ბუნებრივია, შესაბამისი სამსახურები მიაწვდიდა, მაგრამ მათ დამუშავება და სათანადო ანალიზი ხომ უნდოდა? სწორედ ამ ანალიზში ჩანს ივანეს პოზიცია.

ივანეს პოზიცია იმ მაგისტრალურ ხაზს მიჰყვება, რომელიც მან უნივერსიტეტის კონცეფციის ჩამოყალიბებისას შეიმუშავა. ივანეს აზრით, **ქართული უნივერსიტეტის ამოცანა ეროვნული მეცნიერების განვითარება და ამ მეცნიერებით აღჭურვილი**

კადრებით ქვეყნის უზრუნველყოფა იყო. ეს ის პოზიცია, რომელსაც დღეს **სახელმწიფოებრივად აზროვნებას** ეძახიან.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

ივანე 1919 წ. 15 დეკემბერს, როცა ჯერ კიდევ არ არის არჩეული რექტორად, მთავრობას წარუდგენს უნივერსიტეტის 1919-20 წწ. დამატებით ხარჯთაღრიცხვას და მის განმარტებით ბარათში წერს:

„როდესაც უნივერსიტეტის საბჭომ 1919-20 წ. ძირითადი ხარჯთაღრიცხვა შეადგინა, მას იმედი ჰქონდა, რომ ჩვენი ფულის კურსი აიწევდა და სიძვირეც შესუსტდებოდა. ამიტომ მან გადასწყვიტა, რომ უნივერსიტეტს სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებათა მოსაწყობად საჭირო თანხა მთავრობისა და საკანონმდებლო დაწესებულებისაგან იმ მარჯვე დროს გამოეთხოვა, როდესაც ჩვენი ფულის კურსი გამოსწორდებოდა. მას შემდგომ რაც დასავლეთის გზები გაიხსნა, გამოირკვა, რომ უცხოეთშიაც ყველაფრის საგრძნობელი სიძვირე ყოფილა, წიგნებისა და სამეცნიერო ხელსაწყოების ფასს იქაც ძალიან აუწევია და ეკონომიური კრიზისი იქაც განელების მაგიერ თანდათან უფრო და უფრო მატულობს, რაკი ჩვენი ფულის კურსსაც გაუმჯობესება არ ეტყობა და მომავალში შესაძლებელი არის სამძღვარგარეთაც ყველაფერი გაცილებით უფრო ძნელი და ძვირად საშოვნელი შეიქმნეს, ამიტომ პროფესორთა საბჭოს ღრმა რწმენით უკეთესია ეხლავე გადადებულ იქმნეს უნივერსიტეტისათვის საჭირო თანხა, სანამ შორეული მომავლისათვის გადაიდოს, რის გამოც ეგების ყველაფერი გაცილებით უფრო მეტად დაუჯდესთ და ძნელი საშოვნელიც შეიქმნეს“.

ამ ბარათში ივანე მთავრობას სთხოვდა უნივერსიტეტს არსებობისათვის გარკვეული ოდენობის ფულს, რომლის ნაწილი უნივერსიტეტის დაწესებულებების, ფაკულტეტების, ინსტიტუტების, ლაბორატორიებისა და სხვა, შესანახად იყო საჭირო და მეორე ნაწილი კი ამ დაწესებულებების მოსაწყობად დაიხარჯებოდა. პირველი მუდმივ გამოსაღებ ხარჯს წარმოადგენდა, რადგან უნივერსიტეტის ფუნქციონირებას მოხმარდებოდა, მეორე კი მხოლოდ ერთდროული ანუ ერთჯერადი ხარჯი იყო. იგი ერთხელ დაიხარჯებოდა, მოეწყობოდა ლაბორატორიები და კაბინეტები და მერე სახელმწიფო ამ თანხის გადახდისაგან განთავისუფლდებოდა.

ივანე მთავრობას ამას მაგალითების მეშვეობით განუმარტავდა:

„უნივერსიტეტს ეკუთვნის სასანიტრო ინსტიტუტი, რომლის უმთავრეს ნაწილს ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი და პასტერის სადგური შეადგენს. მას შემდგომ, რაც ეს დაწესებულება უნივერსიტეტის ხელში გადმოვიდა და უნივერსიტეტმა მის სათავეში პროფ. ს. ამირეჯიბი ჩააყენა, ეს საქმე გაფართოვდა და წინანდელი ვიწროდ შემოფარგლული სამოქმედო ასპარეზის მაგიერ ფართო სამეცნიერო და პრაქტიკული მიზნები დაეკისრა. მარტო ამ პარაქტიკულ დანიშნულებასაც რომ შევეხოთ, მისი დიდი მნიშვნელობის ცხადსაყოფად ერთი გარემოების აღნიშვნაც საკმარისი იქმნება. უნივერსიტეტის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი ამზადებს ყოველგვარ შრატებს, სითხეებს და ვაკცინებს, რომლებიც წინათ უცხოეთითგან მოდიოდა. ამით საქართველო ჯერ ერთი მოარულსა და გადამდებ ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ საბრძოლველი საშუალებებით იქმნება უზრუნველყოფილი და ჩვენი ერის ჯანმრთელობას ამ მხრივ ზედმეტს განსაცდელს თავითგან მოაშორებს და თანაც ჩვენი სახელმწიფოს ფინანსებიც ამ საგნებისთვის საჭირო უცხოეთის ვალუტის მძიმე ტვირთისაგან განთავისუფლებული იქმნება. უნივერსიტეტს იმედი აქვს, რომ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი ჩვენი მეზობლების მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც შესძლებს, ამის პირველი დამამტკიცებელი მაგალითი უკვე არსებობს კიდეც. ჩრდილოეთი ამერიკის შეერთებულ შტატების სამკურნალო მისიამ ჩვენს ინსტიტუტს ალბად სომხეთის საჭიროებისათვის სხვადასხვა შრატი, სითხე და ვაკცინა შეუკვეთა. იგი შეუდგა კიდეც ამ შეკვეთილობის ასრულებას. ეს გარემოება ჩვენს სახელმწიფოებრივსა და კულტურონსობასაც სახელს მოუხვეჭს და თვით დაწესებულებასაც ზედმეტს ქონებრივს სახსარს მისცემს“.

ამ სტრიქონების დაწერიდან ერთი წლის მერე ივანე უნივერსიტეტის მიერ 1918-20 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიშში მოცემული საკითხის შესახებ წერდა: „დიფტერიის საწინააღმდეგო შრატი კი უკვე 4 000 000 ერთეულზე მეტი იყო დამზადებული, რომლის ღირებულება 200 000 მანეთს აღემატება. ამ რაოდენობითგან 800 000 ერთეული საქართველოში დარიგდა, 1 000 000 ერთეული ამერიკის წითელი ჯვრისა და დამხმარე კომიტეტმა

წაიღო სომხეთისა და სპარსეთისათვის, 1 000 000 ერთეული კერძო პირებმა ადერბაიჯანში და სომხეთში გაიტანეს და ინსტიტუტში დარჩენილია კიდევ 1 300 000 ერთეულამდე“.

ეს დიფტერიის საწინააღმდეგო შრატი. რაც შეეხება დანარჩენ სამედიცინო პროდუქტების დამზადებას, ანგარიშიდან ვიგებთ:

1. „ხოლერის საწინააღმდეგო ვაქცინა 200 000 კუბ. ცენტიმეტრი, 100 00 მანეთის ღირებულებისა. აქეთგან 20 000 კუბ. ცენტიმეტრი საქართველოს რესპუბლიკის რაზმისათვის, ხოლო დანარჩენი ამერიკის კომიტეტმა შეიძინა სომხეთისათვის და ადერბაიჯანმა“.
2. „მუცლის ტიფის საწინააღმდეგო ვაქცინა 200 000 კუბ. ცენტიმეტრი, 100 000 მანეთის ღირებულებისა, რომელიც საქართველოსაც მოჰხმარდა და ამერიკის კომიტეტისა და კერძო პირების საშუალებით მეზობელ ქვეყნებშიაც იქმნა გატანილი“.
3. „ტეტრავაქცინა (ტიფის, ხოლერის და პარატიფის A და B შერეული ვაქცინა) 220 000 კუბ. ცენტიმეტრი 132 000 მანეთი ღირებულებისა და საქართველოს საჭიროების დაკმაყოფილების გარდა ზემოაღნიშნული დაწესებულების საშუალებით მეზობელ ქვეყნებშიაც იქმნა გატანილი“.

გარდა ამისა, „ბათუმში შავი ჭირის გაჩენისთანავე სასანიტრო ინსტიტუტი შავი ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინის მომზადებას შეუდგა და 42 000 კუბ. ცენტიმეტრი დააშზადა კიდეც, აქეთგან 24 000 ცენტიმეტრი ჯანმრთელობის დეპარტამენტის საშუალებით ქ. ბათუმში იქმნა გაგზავნილი და 18 000 კუბ. ცენტიმეტრი ჯერ ისევ ინსტიტუტში ინახება. მთელი დამზადებული ვაქცინის ღირებულება 33 600 მანეთს უდრის.

ყვავილის საწინააღმდეგო დეტრიტის მომზადება ხომ უფრო ფართოდ იქმნა დაყენებული. მომზადებული იქმნა 400 000 კაცზე მეტისათვის დეტრიტი 200 000 მანეთზე მეტი ღირებულებისა. საქართველოს მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა 300 000 კაცის ასაცრელი მასალა საზღვარგარეთ იქმნა გატანილი, მაგ. სომხეთში, ადერბაიჯანში და საბჭოთა რუსეთში. ამ ბოლო დროს ანგორის ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელმა 1 000 000 კაცისათვის ასაცრელი დეტრიტი შემოუკვეთა ჩვენს ინსტიტუტს და უნივერსიტეტის გამგეობის ნებართვით ინსტიტუტი შეკვეთილობის დამზადებას შეუდგა კიდეც.

ზემოაღნიშნული ვაქცინების გარდა ინსტიტუტი გონოკოკების საწინააღმდეგო და ინდივიდუალურს ვაქცინებს ამზადებდა სხვადასხვა მიკრობების წინააღმდეგ“.

ესაა ყველაფერი, რაც ბაქტერიოლოგიურმა განყოფილებამ ერთი წლის მანძილზე მოახერხა, მხოლოდ ერთი წლის მანძილზე.

მკითხველს ბოდიშს მოვახსენებ ამ ერთ საკითხზე ამონარიდების ასე ვრცლად მოხმობისათვის, მაგრამ ამას შეგნებულად ჩავდივარ. მინდა მკითხველს ვაჩვენო ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ერთი წლის მანძილზე უნივერსიტეტის მხოლოდ ერთმა განყოფილებამ რა დიდი სამუშაო შეასრულა.

გავიხსენოთ, ერთი წლით ადრე ივანეს მიერ ნათქვამი: „ამერიკის შეერთებულ შტატების სამკურნალო მისიამ ჩვენს ინსტიტუტს... სხვადასხვა შრატი, სითხე და ვაკცინა შეუკვეთა... ეს გარემოება ჩვენს სახელმწიფოებრივსა და კულტუროსნობასაც სახელს მოუხვეჭს და თვით დაწესებულებასაც ზედმეტს ქონებრივს სახსარს მისცემს“.

გავიხსენოთ და ზემოთ მოყვანილ ანგარიშს შევადაროთ.

ალბათ არავისთვის იქნება საეჭვო, რომ გაწეული საქმიანობა „ჩვენს სახელმწიფოებრივსა და კულტუროსნობას“ სახელს მოუხვეჭდა და „თვით დაწესებულებასაც ზედმეტს ქონებრივს სახსარს“ მისცემდა.

ბაქტერიოლოგიური განყოფილების მუშაობა ნიმუშად იმიტომაც მოვიყვანე, რომ მისი საქმიანობა საგნობრივად (შრატი, სითხე, ვაქცინა) და რაოდენობრივად (კუბური ცენტიმეტრი) გარკვეულ ფულად ოდენობაში გამოიხატება. ეს ადვილად დასანახია. ხოლო უნივერსიტეტის სხვა დაწესებულებების მუშაობის ამგვარი გამოსახვა შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში საპედაგოგო ინსტიტუტის და სხვა დანაყოფების მუშაობას ფულად ეკვივალენტში ვერ წარმოვადგენთ. ამიტომ ამას დავჯერდეთ და მისი მეშვეობით წარმოვიდგინოთ ქართული უნივერსიტეტის წარმატებები.

ადვილი არ ყოფილა ამის მიღწევა. ხელისშემშლელი გარემოებები მრავლად იყო. ჯერ იყო და რუსეთის დროებითი მთავრობის ხელშეწყობით თბილისში 1917 წ. 9 ოქტომბერს დაფუძნებულ იქნა რუსულენოვანი პოლიტექნიკუმი. მოგვიანებით კი თბილისშივე ფუნქციონირება დაიწყო რუსულენოვანმა უნივერსიტეტმა. ქარ-

თული უნივერსიტეტი უთანასწორო კონკურენციაში იყო ჩაბმული. რომ არა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და დემოკრატიული საქართველოს ხელმძღვანელობის მხარდაჭერა, ვინ იცის, მოვლენები როგორ განვითარდებოდა.

1818 წ. 29 აგვისტოს მოხაკო წერეთელი ბერლინიდან სწერდა ივანე ჯავახიშვილს: „არ არის სასიამოვნო, რომ მანდ კიდევ რუსული უნივერსიტეტია. უნდა დაახურვინოთ უსათუოდ და ეგ რუსებიც უნდა განიდევნონ მანდედან, თორემ ბუდე შხამისა, რომლითაც მოგვწამლვენ შემდეგ, მანდ არის.“

მიხაკო წერეთლის ეს აგრესიული ტონი, ადეკვატურია იმ მოქმედებისა, რასაც რუსულენოვანი უმაღლესი სასწავლებლების დაარსებას უძღოდა წინ და მერეც რომ მიმდინარეობდა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი პროტესტის გრძნობას ბადებდა, რომელიც სხვადასხვაგვარად გამოვლინდებოდა ხოლმე. ქართული ანდაზისა არ იყოს, „მოქნეული და მოზომილი ვინ ნახაო“, ეს პროტესტი ნორმალურ კალაპოტში ყოველთვის ვერ ჩაეტეოდა.

ივანე ჯავახიშვილის მოწაფე აბელ კიკვიძე ასეთ შემთხვევას იხსენებს: თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე დგანან ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია და აბელ კიკვიძე. „უცბად ივანეს ყურადღება მიიქცია ჩვენს პირდაპირ ქუჩის მეორე მხარეზე მიმავალმა ერთმა მოხუცმა. სახეზე მრისხანება დაეტყო.

— თქვენ მას იცნობთ? — გადმოგვილაპარაკა.

— როგორ არა, პროფესორი დუბროვსკია.

— „ეს ის ვაჟბატონია, რომელიც სულს უდგამდა ანტიქართულ კამპანიას, გარშემო იკრებდა უნივერსიტეტის მოწინააღმდეგეებს, დაგვცინოდა და ფეხის ყოველ ნაბიჯზე გაიძახოდა — ვნახოთ როგორ უნივერსიტეტსაც თქვენ შექმნითო.“

მართლაც რომ გასაგები იყო ივანეს მრისხანე გახედვა დუბროვსკისაკენ, რომელსაც თავის მიერ დაგმობილ უნივერსიტეტში ახლა კათედრა ეჭირა. დუბროვსკი მეფის მთავრობის დროს თბილისში ქალთა უმაღლეს კურსებზე ლექტორობდა, მეტროპოლიას ემსახურებოდა კოლონიაში... ამ ბრწყინვალე ლექტორმა ქართული მშვენივრად იცოდა, საქართველოში იყო აღზრდილი, მაგრამ ქართულად არ საუბრობდა“.

აბელ კიკვიძე თავის მონათხრობს 1939 წლით ათარიღებს.

ნახეთ, სანამდე გაყოლია ივანეს წყენა?

ვითარება კი მართლაც არაერთგვაროვანი იყო და ივანე თავის მიზანს ბოლომდე მიჰყვებოდა.

საქართველომ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა აღიდგინა და დაიწყო სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესი. უნივერსიტეტს აქაც თავისი სიტყვა ეკუთვნოდა. ერთ-ერთი საკითხთაგანი მეცნიერებისა და განათლებისადმი სახელმწიფოს პოლიტიკა იყო. როგორ უნდა ემოქმედა სახელმწიფოს, რომ ერის განვითარებისათვის მეცნიერული საფუძველი დაედო?

საქმე ის იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რუსულ უმაღლეს სასწავლებლებს დაფინანსების პრობლემა შეექმნათ. დაიწყო დავა, თუ რომელი გზა იქნებოდა უმჯობესი — შეერთებოდნენ ისინი უკვე სახელმწიფოდ გარდაქმნილ ქართულ უნივერსიტეტს, თუ დამოუკიდებლად განეგრძოთ არსებობა? ივანე ჯავახიშვილი პირველს უჭერდა მხარს, რუსული პოლიტექნიკუმი და უნივერსიტეტი კი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ცდილობდნენ.

1920 წლის 27 ნოემბერს განათლების მინისტრის მოადგილეს ივანე ჯავახიშვილმა მოხსენება გაუგზავნა საქართველოში ტექნიკური უმაღლესი სწავლა-განათლების მოწყობის შესახებ.

ივანე ჯავახიშვილი მოხსენებას იწყებს რუსული პოლიტექნიკუმის წარმომადგენლების აზრის გაბათილებით, ვითომდა თუ დამოუკიდებლი არ იქნება პოლიტექნიკუმი, ტექნიკური ცოდნის გავრცელება შეფერხდებაო. „ამ აზრის უსაფუძვლობა უმალ ცხადი გახდება, თუ გავიხსენებთ რომ როგორც ბელგიის, ისევე ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების არც სასოფლო მეურნეობასა და არც მრეწველობას არა წაუგია რა იმით, რომ სამეურნეო და ტეხნიკურს უმაღლეს განათლებას უნივერსიტეტებთან არსებულ ინსტიტუტებში ითვისებენ“.

ივანეს აზრით, პოლიტექნიკური ცოდნის შესწავლა უნივერსიტეტთან დაკავშირებულ ინსტიტუტშიც შეიძლება და დამოუკიდებლად არსებულშიც. თუ რომელია უმჯობესი „მიზანშეწონილობისა და ქონებრივ-კულტურული შესაძლებლობის თვალსაზრისით უნდა იყოს განხილული“. ამიტომ „ამ ორ გზათაგანის უპირატესობისა და უმჯობესობის გადაწყვეტა ამა თუ იმ ქვეყნის მდგომა-

რეობაზეა დამოკიდებული... მხოლოდ მდიდარსა და ხანგრძლივი კულტურის პატრონს სახელწიფოებს ძალუძთ უნივერსიტეტებიცა და დამოუკიდებელი, ცალკე უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები იქონიონ.“

ამ საკითხის გადასაწყვეტად ორი რამის გამორკვევაა საჭირო. ერთი, კადრებისა და მეორე, ქონებისა. თუ ქვეყანას უნივერსიტეტიც ექნება და ტექნიკური სასწავლებელიც, „მეცნიერთა ორმაგი რიცხვი მაინც არის საჭირო. ხოლო თუ ერთი და იგივე პირნი წაიკითხავენ ამ საზოგადო საგნებს უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკუმში, ეს სწორედ იმის მაჩვენებელი და დამამტკიცებელი იქნება, რომ ამ ქვეყანას ორი დამოუკიდებელი და სრულებით განცალკავებული უმაღლეს სასწავლებლისათვის ძალა არ შესწევს.“ ორის შენახვა კი ქონებრივად უფრო რთული იქნება.

შემდეგ დასკვნის სახით ივანე ამბობდა:

„ამ მიზანშეწონილობის თვალსაზრისით თუ შევხედავთ საკითხს, — უნდა გავიხსენოთ, რომ არა ერთი საქართველოზე უფრო უწინარეს განთავისუფლებულ და ხანგრძლივი წარსულის მქონებელი სახელმწიფოების, როგორც, მაგალითად საბერძნეთი, ბულგარეთი, სერბია, დანია, ნორვეგია, ფინეთი და სხვები, რომელთაც თითო უნივერსიტეტი აქვთ მხოლოდ. ფინეთსაც კი, რომელშიაც უნივერსიტეტი არსებობს უკვე 1640 წლიდან მოყოლებული, უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლის მაგიერ მხოლოდ პოლიტეხნიკური სასწავლებელი აქვს. მით უმეტეს საქართველოს ორი დამოუკიდებელი სრული უმაღლესი სასწავლებლის — უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკუმის შენახვა გაუჭირდება.“

საქართველოს არა აქვს იმდენი ქონებრივი შესაძლებლობა, რომ ორი უმაღლესი სასწავლებელი შეინახოს და არც იმდენი მეცნიერი ჰყავს, რომ ორ სასწავლებელს ეყოს. „მაშასადამე, ან იმავე პირებმა, რომელნიც უნივერსიტეტში კითხულობენ ლექციებს, უნდა პოლიტეხნიკუმშიაც იკითხონ ლექციები (რაც ეხლაც სამწუხაროდ უკვე ხდება) ან მთლად უცხოელებით გავავსოთ.“

შემდეგ ივანე განიხილავს ტექნიკური სპეციალობის საჭიროებას ქვეყნის მოსახლეობის რიცხვთან შეფარდებით. სამაგალითოდ იღებს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს — აშშ-სა და გერმანიას. დეტალური მომიხილვის შემდეგ ასკვნის:

„ამრიგად, მრეწველობის მხრივ და ეკონომიურად ასეთი დაწინაურებული ქვეყნების გამოცდილება, როგორიც ჩრდილოეთი ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანიაა, ცხადად გვიჩვენებს, რომ უმაღლესი ტეხნიკური ცოდნის მქონებელ პირთა რიცხვის მოთხოვნილება საქართველოში 264-300 სტუდენტს არ უნდა აღემატებოდეს. ამიტომ ტფილისის პოლიტეხნიკუმის სტუდენტთა მოჭარბებული რაოდენობა მხოლოდ შემთხვევითი, გარდამავალი მიზეზებით უნდა აიხსნებოდეს. როცა ცხოვრება კალაპოტში ჩადგება და მოზარდი ახალგაზრდობა დარწმუნდება, რომ ამოდენა ინჟინრები საქართველოს არ სჭირდება და მის მოთხოვნილებას აღემატება, ეხლანდელსავით მრავლად აღარ მიაწყდება პოლიტეხნიკურს და როგორც უკვე სამკურნალო ფაკულტეტსაც ემჩნევა ეს რიცხვი საგრძნობლად შემცირდება. აქაც თავისთავად იგივე ეკონომიური საკითხი იბადება. ასეთი მცირერიცხოვანი მსმენელებისათვის 264-300 ცალკე მეტისმეტად ძვირფას სპეციალურ სასწავლებლის შენახვა მხოლოდ ეკონომიურად ღონიერსა და სამრეწველო, ან საზოგადოდ დიდს სახელმწიფოებს შეუძლიანთ. საქართველოსთანა პატარა და მრეწველობის მხრით ჩამორჩენილი ქვეყანა ასეთს ხარჯებს ვერც გაუძლებს. მაშასადამე, ამ თვალსაზრისითაც შეუძლებელია, რომ საქართველოს უნივერსიტეტის გარდა კიდევ სრულებით დამოუკიდებელი, განსაკუთრებული და ისეთი ძვირფასი უმაღლესი სასწავლებელი ჰქონდეს, როგორიც პოლიტეხნიკუმია.“

ივანე კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას ეხება, რომელიც გასათვალისწინებელია. იგი საუნივერსიტეტო ცხოვრებას თვითკმარ ოდენობად არ განიხილავს. არასდროს და არსად არ საუბრობს მხოლოდ უნივერსიტეტის საჭიროებაზე. პირიქით, ყოველთვის ქვეყნის საჭიროებებს ასახელებს და მათ მოგვარებას აკისრებს უნივერსიტეტს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყნისა და ერის წინაშე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად იყენებს უნივერსიტეტს.

„საქართველო უაღრესად თავისებური და მრავალფეროვანი ბუნებისა და თვისებების ქვეყანაა, ჯერ-ჯერობით ძალიან ნაკლებ შესწავლილი. უდავოა აგრეთვე, რომ ჩვენ მეურნეობა-წარმოების მხრივ მეტად ჩამორჩენილები ვართ. ასეთ პირობებში მხოლოდ მეცნიერული კვლევა-ძიების საშუალებით სამოქმედო გზის გა-

კაფვა დაგვიხსნის ჩვენ უმწეო მდგომარეობიდგან. უბრალო მიმბა-ძველობა და ტეხნიკის ხელოსნური შესწავლა ვერას გვიშველის, როგორც ჩვენი სასოფლო მეურნეობის დაწინაურებისათვის საქართველოს ნიადაგის თვისებისა, ხორბლეულობისა, მცენარეთა და ხეხილების ჯიშების, ღვინისა და რძის ნაწარმოების, საქონლის ჯიშების მეცნიერული თეორიული დაკვირვებითი შესწავლაა საჭირო, რომ თითოეული მათგანის თვისება და ღირსება-ნაკლი იყოს გამორკვეული და ამისდა მიხედვით მიზანშეწონილი გეგმა შემუშავდეს, ამგვარადვე, ცხადია, ჩვენი სამთამადნო მრეწველობის განვითარების აუცილებელ პირობას საქართველოს მინერალოგიური, პეტროგრაფიული და გეოლოგიურ-ქიმიური შესწავლა შეადგენს. ასეთი თეორიული კვლევა-ძიების წარმოება და გზის გაკაფვა კი უპირველესად უნივერსიტეტს ეხერხება.“

ამიტომ, ივანეს აზრით, პოლიტექნიკუმი უნივერსიტეტთან უნდა არსებობდეს. „თეორიული, საზოგადო-სამეცნიერო დარგების წარმომადგენელნი თავიანთ კვლევა-ძიებით გზას გაუკაფავენ და მიზნებს გადაუშლიან პრაქტიკული საგნების წარმომადგენლებს და ამით სამოქმედო გეგმის შემუშავებას გაუადვილებენ.“

„მხოლოდ მეცნიერული კვლევა-ძიების საშუალებით სამოქმედო გზის გაკაფვა დაგვიხსნის ჩვენ უმწეო მდგომარეობიდგან“.

ეს ცხადზე-ცხადი ჭეშმარიტება 1920 წლის ნოემბერსაა დაწერილი.

არადა, რა თანამედროვედ ჟღერს!

1920 წლის 10 დეკემბერს საქართველოს დამფუძნებელი კრების განათლების კომისია შეიკრიბა და იმსჯელა რუსული პოლიტექნიკუმისა და ქართული უნივერსიტეტის გაერთიანების საკითხზე. დაადგინეს, რომ მოეწვიათ ორივე სასწავლებლის რექტორები და მოესმინათ მათთვის.

განათლების კომისიის მომდევნო სხდომა გაიმართა 14 დეკემბერს. თავდაპირველად ისაუბრა პოლიტექნიკუმის რექტორმა ალ. დიდებულიძემ. მან განაცხადა, რომ ევროპაში პოლიტექნიკუმი ყველგან დამოუკიდებლად არსებობსო და საქართველოშიც ასევე უნდა დარჩესო.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ივ. ჯავახიშვილმა: „როგორც ბ-ნ დიდებულიძის სიტყვიდან გამოირკვა, ამ პოლიტეხნიკუმის

დაკავშირება უნივერსიტეტთან კარგ ნაყოფს არ გამოიღებს. ამ შემთხვევაში მე სულ სხვა შეხედულებისა ვარ. ეს სასწავლებლები რომ დაკავშირდნენ, უფრო ნაყოფიერი იქნება, თუმცა გვიმტკიცებენ, რომ ევროპის სხვა და სხვა ქალაქებში პოლიტეხნიკუმი ყველგან ცალკე არსებობს, მაგრამ ბევრს იმავე ქალაქებში არიან შეერთებული პოლიტეხნიკუმი უნივერსიტეტთან და ძალიან კარგადაც მიმდინარეობს საქმე. აქაური პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მეთაურები წინეთ, მანამ აქ უნივერსიტეტი დაარსდებოდა, მოითხოვდნენ ამ პოლიტეხნიკუმის რომელიმე უნივერსიტეტთან დაკავშირებას, ეხლა სულ სხვა შეხედულებისანი არიან... ცალკე პოლიტეხნიკუმის შენახვა ძალიან დიდი ხარჯებს მოითხოვს და ამას საქართველო ვერ შესძლებს.“

ალ. დიდებულიძემ მაინც არ შეიცვალა აზრი. მას მომხრეებიც ბევრი აღმოაჩნდა, მაგრამ 17 დეკემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება: პოლიტექნიკუმი შეუერთდა უნივერსიტეტს.

უფრო ადრე იგივე ბედი ეწია ამიერკავკასიის რუსულ უნივერსიტეტსაც. 1920 წლის 19 აგვისტოს გაიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა, სადაც მოისმინეს განათლების მინისტრის მოხსენება: „ამიერკავკასიის უნივერსიტეტის შესახებ“. მთავრობამ დაადგინა: „ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტი მომავალ 1920-21 სასწავლო წლიდან დაიხუროს. წინადადება მიეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს, იმ სტუდენტებისთვის რომლებიც სწავლობენ ამ უნივერსიტეტში, სახელმწიფო უნივერსიტეტთან მოაწყოს პარალელური კურსები რუსულ ენაზე.“

ქართულ უნივერსიტეტში მართლაც მოეწყო პარალელური ჯგუფები შემოერთებული უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.

რადგან ქართულ უნივერსიტეტში მოკლე დროში მეცნიერების თითქმის ყველა დარგი დაფუძნდა, კადრების ნაკლებობა თვალშისაცემი გახდა. ამიტომ ივანე ზრუნავს ნიჭიერი სტუდენტების ევროპაში გაგზავნაზე, რომ საშობლოში მალე დაბრუნდნენ და უნივერსიტეტში თავისუფალი ადგილები დაიკავონ.

„უ-ტთან დატოვებულია სამეცნიერო მოღვაწეობისა და პროფესორობისათვის მოსამზადებლად 11, რომელთაგან 5 გერმანიის

უ[ნივერსიტე]ტებში არიან გაგზავნილი სამეცნიერო ცოდნის გასაღრმავებლად და წარსამატებლად, 1 საბერძნეთში, ათინაში, შემდეგ გერმანიაშივე, 1 პარიზში, 4 ჯერ-ჯერობით აქ მუშაობენ.

ყველა **საზღვარგარეთ გაგზავნილები** ბეჯითად შრომობენ, მაგრამ **ქონებრივად ორს** გარდა **საკმაოდ უზრუნველყოფილნი არ არიან**. ჩვენი ფულის ფასის დაცემის და უცხო ვალუტის შოვნის მეტისმეტი სიძნელის გამო, ის ფული, რაც ხარჯთაღრიცხვით უნივერსიტეტთან დატოვებულთათვის ნავარაუდევია მთლად დახურდავების შემდგომ **იანვრისა და თებერვლის სარგოდ ძლივს ეყოფა. დანარჩენ თვეებისთვის მათთვის ფულის გასაგზავნად უ[ნივერსიტე]ტს აღარავითარი სახსარი არ მოეპოვება და თუ მთავრობა არ მოეშველება უნივერსიტეტს, გამგეობა იძულებული იქმნება ისინი უკან დააბრუნოს. სასურველია უნივერსიტეტთან დატოვებულებსაც საზღვარგარეთ მყოფ მთავრობის სტიპენდიანტებსავით უცხო ვალუტით მიეცეს მთავრობითგან**, რომ ისინი გაჭირვებაში არ იყვნენ და მთელი თავიანთი ენერგიით პირნათლად მოემზადნენ საპროფესორო მოღვაწეობისათვის“.

მაგრამ სანამ ეს სტუდენტები ევროპის უნივერსიტეტებში ცოდნას დაეუფლებიან და დისერტაციას დაიცავენ, საკმაო დრო გავა. მანამდე კი აუცილებელია უცხოელი კადრები იქნას მოწვეული.

„რაკი ქართველთა შორის ზოგიერთი მეცნიერების წარმომადგენელნი ამჟამად არა გვყვანან, უმათოდ კი უნივერსიტეტი სისრულეს ვერ მიაღწევს და მისი აღმშენებლობაც ვერ დამთავრდება, ამიტომ თავისუფალ კათედრებისათვის **დროებით უცხოელი პროფესორების მოწვევა აუცილებელია, განსაკუთრებით აგრონომიული საგნებისათვის, კლინიცისტებისა და უმაღლეს სატეხნიკო მეცნიერების დარგებისათვის.** პროფესორთა საბჭოს დადგენილებით უ-ტის გამგეობამ ფრანგულად დაწერილი განცხადება თავისუფალ კათედრებზე კონკურსის შესახებ გერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, იტალიაში და ინგლისში გააგზავნა. მაგრამ ჯერჯერობით ამით არა გაკეთდა რა. გამგეობამ ამის შემდგომ საქართველოში მყოფს გერმანიის წარმომადგენელს გერმანიაში რადიოტელეგრამა გააგზავნინა, რომ სამი პროფესორი სასოფლო-სამეურნეო განყოფილებისათვის და ერთიც ზოოლოგი ჩამოსულიყვნენ. მაგრამ არც ამით გარიგდა რამე.“

გამოსავალი დროებით გამოინახა. რუსეთში ბოლშევიკების ხელისუფლებას ბევრი პროფესორი გაერიდა. მათგან ნაწილი საქართველოში ჩამოვიდა. მათ შორის იყო დროებითი მთავრობის განათლების მინისტრი, აკადემიკოსი მანუილოვი. ეს პროფესორები თბილისის უნივერსიტეტში დასაქმდნენ.

1920 წ. გაკეთებულ ანგარიშში ივანე პროფესორების რაოდენობასაც ასახელებს და მათში ეროვნულ შემადგენლობაზე ამახვილებს ყურადღებას:

უნივერსიტეტში მომუშავე „49 პროფესორ-დოცენტთაგან 38 ქართველია, ხოლო 10 რუსი პროფესორია (დამსახ. პროფ. ანფიმოვი, დამსახ. პროფ. ვალტერი, პროფ. ლეიბენზონი, პროფ. ნავაშინი, პროფ. მანუილოვი, პროფ. მალენიუკი, პროფ. მეზერინცევი, პროფ. პოლიევქტოვი, პროფ. სალტიკოვი, და პროფ. შიროკოგოროვი) და 1 დოცენტი (ფიგუროვსკი)“. ამგვარად, **რუსები 1/4-ზე ნაკლები არიან. ყველა ეს 11 პირი მხოლოდ დროებით არიან მოწვეული და 3 წლის განმავლობაში ან ქართული უნდა შეისწავლონ ან მოადგილე მოამზადონ და თითონ უნივერსიტეტს თავი დაანებონ.** ყველა რუს პროფესორ-დოცენტს, რომელთაც ასისტენტები ეკუთვნის, **ასისტენტებად ქართველები ჰყავთ და პრაქტიკული ვარჯიშობა ქართულად სწარმოებს.** პროფ. ანფიმოვის, მანუილოვისა და სალტიკოვის **ლექციები ქართულად ითარგმნება და იბეჭდება კიდეც** ისე, რომ რუსულად მოსმენილი ლექციების საფუძვლიანად შესასწავლად სტუდენტებს ქართულად დაბეჭდილი კურსი ექნებათ ხელთა“.

დავაკვირდეთ: ივანე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსი პროფესორები მხოლოდ 3 წლით არიან მოწვეულნი, ისიც გარკვეული პირობით: მათ ან უნდა ქართული შეისწავლონ, ან თავიანთი შემცვლელნი (მოადგილე) მოამზადონ და უნივერსიტეტი დატოვონ.

რატომაა ასეთი მკაცრი ივანე?

ივანე საქართველოს პროფესიონალთა კადრებით მომარაგებაზე კი არ ზრუნავს მხოლოდ, არამედ ზოგადად ქართული მეცნიერების შექმნას ელტვის. როცა ეს მოხდება, მაშინ საქართველოს არა მარტო საჭირო პროფესიული კადრები ეყოლება, არამედ ამ ახალი კადრებით ქვეყანა იქნება ეროვნული განვითარების ახალ სიმაღლეზე ასული.

მოვუსმინოთ:

„რათგან ჩრდილოელთა რიცხვის გამრავლება პოლიტიკურ მოსაზრებით ჩვენთვის ამჟამად ხელსაყრელი არ არის და ორიოდეს გარდა თითქმის არავინ ქართულის შესწავლას არ ფიქრობს, მათი საქართველოში ყოფნა მხოლოდ რუსეთის თანამედროვე მდგომარეობით არის გამოწვეული და უეჭველია დროებითია, ჩვენთვის ყოველმხრივ უკეთესი იქმნება მეცნიერნი დასავლეთ ევროპითგან, მაგ. გერმანიითგან მოვიწვიოთ. ამით ჩვენსა და დასავლეთ ევროპას შორის უფრო მტკიცე კულტურული კავშირიც შეიკვრება და მათ შორის უფრო ადვილად ვიშოვით ისეთს მეცნიერს, რომელნიც ქართულს შეისწავლიან და ჩვენი რესპუბლიკის სამსახურში დარჩებიან. მაინცადამაინც მათ შორის ჩვენი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე არავინ აღმოჩნდება, რის თქმაც მომავალში, როცა რუსეთის საქმე გამოკეთდება, რუსი მეცნიერის შესახებ ძალიან ძნელია.“

ახლა უპრიანია ერთი კითხვა დაისვას: ივანე ჯავახიშვილის ეს მცდელობები სცილდება თუ არა ერთი სასწავლებლის რექტორის ფუნქციას?

რა თქმა უნდა, სცილდება.

მაგრამ ამის კვალიფიცირება არ შეიძლება, როგორც თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება.

იგი სულს სხვა რამაა: ივანე დღენიადაგ ფიქრობს და აკეთებს იმაზე მეტს, ვიდრე ეს უშუალოდ ერთ უნივერსიტეტს სჭირდება.

რატომ?

განხილული მასალა თვალნათლივ გვაჩვენებს, რომ ივანე აზროვნებს და მოქმედებს არა როგორც ერთი სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი, არამედ მის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებით ერის ძირითადი პრობლემების გადაჭრას ცდილობს. ასეთი ვრცელი ამოცანა დაუწესა მან მის მიერ დაფუძნებულ უნივერსიტეტს და მას საქმითაც ცდილობს.

ივანეს ზრუნვის საგანი ერი და ქვეყანაა და მის მიერ შექმნილი უნივერსიტეტი საშუალებაა მისი განვითარება და აყვავებისათვის.

ამიტომ არც გასაკვირია, ასე რომ ფიქრობდეს და იღვწოდეს.

მეტიც, იგი კონსერვატორიის წესდების შესამუშავებლად გარკვეულ რეკომენდაციას იძლევა. ივანე კონსერვატორიის ამო-

ცანებს მხოლოდ მუსიკალურ-შემოქმედებითი მუშაობით არ ფარგლავს, არამედ მას კველევა-ძიების ფართო ასპარეზს უსახავს:

„საქართველოს კონსერვატორიის დანიშნულებას შემოქმედებითსა და კვლევა-ძიების სფეროში უმთავრესად ძველი ხალხური ქართული მუსიკის მეცნიერული შესწავლა და ახლის აყვავება და წარმატება ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, მახლობელი აღმოსავლეთის, ჩვენი მეზობლების — სომხების, მთიელების, სპარსელების, თურქების და სხვათა მუსიკის შესწავლა შეადგენს“.

მგონი საცნაურია არეალი, რომელიც მოხაზულია — კავკასია და ახლო აღმოსავლეთი. ქართული უნივერსიტეტის შესწავლის ამოცანად განა ამავე რეგიონს არ ასახელებდა?

უნივერსიტეტის დარად კონსერვატორიასაც არ ჰყავს შესაფერისად მომზადებული კადრები. ამიტომ პროფესორების უცხოეთიდან მოწვევა გახდება საჭირო. თუკი კონსერვატორიაში უცხოელთა სიჭარბე იქნება, შესაძლოა საჭირო გადაწყვეტილებები არ იქნეს მიღებული. ამიტომ ივანე იძლევა რჩევას, რომ სანამ ვითარება გამოსწორდებოდეს ანუ ქართველი პროფესორები მეტნი გახდებოდნენ, კონსერვატორიის ავტონომია შეზღუდული იყოს. მოვისმინოთ მისივე პირიდან:

„რაკი წესდება ავტონომიის პრინციპებზეა აგებული და პირველ ხანებში ხმის უმეტესობა შეიძლება უცხოელებს ჩაუვარდეთ ხელში, და ამგვარად, ჩვენი ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელება შეფერხდეს, ან კიდევ სრულებითაც შეუძლებელი გახდეს, ამიტომ ავტონომიის განხორციელებისათვის, სანამ ჩვენს კონსერვატორიაში შესაფერისი პირობები შეიქმნებოდეს, კონსერვატორიის პროფესორისა და დოცენტის საბოლოო არჩევანი საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ხელში [უნდა] იყოს“.

კატეგორიულია ივანე, მაგრამ ცამდე მართალი.

მოდით და ვცადოთ მისი არგუმენტი, „ხმის უმეტესობა შეიძლება უცხოელებს ჩაუვარდეთ ხელში“-ო რომ ბრძანებს, დავარღვიოთ და მერე განვსაჯოთ.

ივანე უნივერსიტეტის გაწეული საქმიანობის შეფასებისას გარკვეული სიამაყით ამბობს:

„... დაარსებისას მას დიდი და მშვენიერი, მაგრამ ცარიელი შენობის გარდა არა ჰქონია რა... [ახლა] მრავალი სამეცნიერო

სასწავლო დაწესებულებაა შექმნილი, დიდი საუცხოვო წიგნთსაცავი მოეპოვება, და რაც უფრო დიდი-მნიშვნელოვანი და ძვირფასია, ქართულ სამეცნიერო ტაძარში მთელი ჩვენი წინათ უცხოეთში გაფანტული ძალა ერთად თავმოყრილია და ერთის აზრითა და ერთის გრძნობით გამსჭვალული თავისი საყვარელი ერისა და სამშობლოს აღორძინებისა და მეცნიერების დაწინაურებისათვის იღწვის. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ამ ... ყოველგვარი გაჭირვებისა და განსაცდელის და მიუხედავად, სრულებით შეუმჩნევლად, უჩუმრივ ასეულ მილიონებად ღირებული სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებანი და ქონება იქმნა შეგროვილი, არამედ განსაკუთრებით ის, რომ საქართველოშიაც შეიქმნა ის ცხოველი მეცნიერების ტაძარი სადაც მუდამ სამეცნიერო კვლევა-ძიება სწარმოებს ხოლმე და სადაც მომავალი თაობა მეცნიერ მკვლევართა მოძღვრობითა და ხელმძღვანელობით უმაღლეს მეცნიერებას ითვისებს, სამეცნიერო მუშაობას ეჩვევა და თანდათანობით მის თანამოზიარედ ხდება. ვერავითარი ფულით ამისთანა რამე ვერ შეიქმნებოდა თუ არ ქართველ მეცნიერთა სამშობლოსა და მეცნიერების უანგარო ძლიერი სიყვარულით“.

„ვერავითარი ფულით ამისთანა რამე ვერ შეიქმნებოდა“.

მართლაც, ფულით არ იქმნება ყველაფერი.

ფულის ძალას საქმის სიყვარული და ცოდნა თუ არ დაუხვდა საძირკვლად, ვერაფერი აშენდება და ვერც ვერაფერი შეიქმნება.

ცოდნაც ჰქონდათ და სიყვარულიც უნივერსიტეტის შემქმნელთ.

ცოდნა პროფესორებს და, რა თქმა უნდა, სიყვარულიც.

სიყვარული, უანგარო სიყვარული კი იმათ, ვინც უნივერსიტეტში სხვადასხვა საქმეს ფიზიკურად ასრულებდა.

ამ სიყვარულის იმედი ჰქონდა ივანეს, როცა ასეთ დიდ საქმეს იწყებდა.

ამ სიყვარულს კი დიდი რწმენა და იმედი ედო საფუძვლად.

მას კი ივანე საეჭვოდ არავისთვის ხდიდა. ამიტომაც მას ყოველივეს შექმნაში ლომის წილი მიუძღოდა — მთავარი და განმსაზღვრელი.

მაგრამ მას მალე მოუწია უნივერსიტეტის დატოვება.

ეს იყო 1926 წელს.

მანამდე კი ბევრს ეცადა, რომ როგორმე შეენარჩუნებინა უნივერსიტეტისთვის ის სახე, რაც მას ცოდნის ტაძრად ხდიდა.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება სხვაგვარად ფიქრობდა. მას სხვა მიზანი ჰქონდა — თავისი კონტროლისთვის უნდა დაექვემდებარებინა ყველა და ყველაფერი.

1923 წლის 6 ივნისს ივანე ბერიტაშვილი მოსკოვიდან წერდა: აქ ყველას აინტერესებს თბილისის უნივერსიტეტი და ყველა გაკვირვებულია რომ იგი აქნობამდის არაა „გამატერიალისტებული“ ანდა „გამარქსისტებული“. აქ უკვე აღარაა თურმე ძველი უნივერსიტეტის წესწყობილების ნასახიც. ეხლა კიდევ ახალ რეფორმას უქადიან, რომლის თანახმად ფაკულტეტებში და საბჭოებში პროფესორებიდანაც უნდა შედიოდნენ წარმომადგენლები და არა ყველა. მერე თვითეული უმაღლეს სასწავლებელს მიაწერენ სათანადო პროფესიულ კავშირებს, რომელნიც აგრეთვე გზავნიან ფაკულტეტში და საბჭოში მრავალრიცხოვან წარმომადგენლებს. ასე რომ სასწავლებლის გამგებლობა ბოლოს და ბოლოს ამ კავშირების ხელში გადადის“.

ეს ვითარება ივანე ჯავახიშვილისთვის უკვე ცნობილი იყო.

მან 1922 წლის 11 დეკემბერს მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა საქართველოს განათლების სახალხო კომისარს უმაღლესი სასწავლებლებისათვის შემუშავებული დებულების თაობაზე.

ამ დებულების მიხედვით, უნივერსიტეტის მართვა-გამგეობა პროფესორთა ხელიდან გარეშე ადამიანებზე გადადიოდა. მათ შორის იქნებოდნენ პროფკავშირებისა და სხვადასხვა სამინისტროების (კომისარიატების) წარმომადგენლები. ასე რომ, ივანეს დასკვნით „იმათ ვისაც უმაღლესი სასწავლებლის საქმე ყველაზე უკეთ იცის, ყველაზე მეტად გული შესტკივა და წარმატების მთელი სამეცნიერო-სასწავლო ტვირთი და ზნეობრივი პასუხისმგებლობა აწევთ, საბჭოში არავითარი გავლენა არ ექნებათ და მხოლოდ იმოდენივე უფლება მიენიჭებათ, რამდენიც მოსწავლე ყმაწვილ-კაც სტუდენტებს, ან გარეშე დაწესებულებათა, პროფესიონალურ კავშირებისა და სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთ“.

ივანე წინააღმდეგია სტუდენტთა ჩართვისა უნივერსიტეტის მართვა-გამგეობაში და არც თუ უსაფუძვლოდ.

როგორც ეტყობა, ეს ნოვაცია მარტო თანამედროვეობის მოთხოვნა არა ყოფილა. მას დიდი ხნის ისტორია ჰქონია და მიზანიც, კონკრეტული.

აი ივანეს არგუმენტი:

„რაკი დებულების თანახმად 16 წლის ყმაწვილებიც კი შეიძლება უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებად იყვნენ, ამიტომ წარმომადგენლობის სახით უმაღლესი სასწავლებლის მართვა-გამგებლობაში მონაწილედ და ხშირად იქნებ ბედიღბლის გადამწყვეტადაც ხდება 16-21 წლის ასაკის ჯერ სრულებით ნორჩი და გამოუცდელი ახალგაზრდობა. უმაღლესი სასწავლებლის რთული და პასუხსაგები საქმე დიდ ცოდნასა და ხანგრძლივ გამოცდილებას მოითხოვს და რადგან იგი ერთსა და იმავე დროს უმაღლესი სამეცნიერო კვლევა-ძიების ტაძარიცაა და სასწავლებელიც, უმაღლესი სასწავლებლის მესვეურთ მეცნიერების წარმატებაშიც მუდმივი მონაწილეობა და მასწავლებლობაშიც შესაფერისი მომზადება სჭირდებათ. არცერთი ამ თვისებათაგანი არ შეიძლება იმ 16-21 წლის წმაწვილკაცებს ჰქონდეთ, რომელთა უმაღლეს სასწავლებელში შემოსვლის მიზანი და მისწრაფება მხოლოდ სამეცნიერო ცოდნის შეძენა და სათანადო გამოცდილების მოპოვებაა. ხოლო რაკი დებულება უმაღლეს სასწავლებლის მართვა-გამგებლობაში მათ გადამწყვეტ ხმას ანიჭებს სრულად და უთუობით ამ ნორჩსა და ჯერ განუსწავლელ ახალგაზრდობას ისეთ საკითხებისა და საქმეების განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება მოუხდება, რომელთა არც ცნობა და არც გამოცდილება მას ჯერ არა აქვს მოპოვებული; ასეთ პირობებში სტუდენტთა წარმომადგენლები შეიძლება ან სხდომების უტყვი დამსწრენი იყვნენ ან მსჯელობის აქტიური მონაწილენი. პირველი შესაძლებლობა მათთვის მხოლოდ დროის ტყუილი დაკარგვა იქნება, მეორე კიდევ შეიძლება მოზარდ თაობის წარმატებისათვის მავნებელი შეიქმნეს, რათგან თანდათანობით და შეუმჩნევლად თავმომწონეობას შეაჩვევს და აფიქრებინებს, თითქოს უმაღლეს მეცნიერებისა და სასწავლებლის სვებედის გადაწყვეტისათვის მათ აღარაფერი სჭირდებოდეთ. ჩვენი ახლად აღორძინებული კულტურისათვის ყველაზე უფრო სახიფათო სწორედ ამგვარი ზერელობა და თავმომწონეობა არის“.

მოდით და დაარღვიეთ ივანეს ეს არგუმენტები!

ძალიან მიკერძოებული და თავითნათქვამა უნდა იყოს ადამიანი, რომ ეს მოინდომოს.

თუ ამ თვალსაზრისით ჩვენს უახლოეს წარსულს, საბჭოურსაც და პოსტსაბჭოურსაც, გადავხედავთ, ზემონათქვამის სისწორეში დავრწმუნდებით.

ამას ამბობდა ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად შესტკოდა გული ახალგაზრდობაზე და ყველაფერს აკეთებდა მათი სრულფასოვან სპეციალისტებად და მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის. საკმარისია სტუდენტებთან რექტორ ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა გადავათვალიეროთ, მხოლოდ გადავათვალიეროთ, რომ ამაში დავრწმუნდეთ.

ასე ზრუნავდა ივანე ახალგაზრდობაზე — ერის მომავალზე.

იგი მათ მარტო აკადემიური განათლებაზე კი არ ფიქრობდა, არამედ მათ ზნეობრივ ფიზიონომიაზეც. მისი აზრით, სტუდენტი ზერელე და უსაფუძვლოდ თავმომწონე არ უნდა ყოფილიყო.

მაგრამ მისი ამგვარი მუშაობა საბჭოთა ხელისუფლებას სულაც არ ეპიტნავებოდა.

ამიტომ ნელ-ნელა უკვეცავდნენ რექტორს სამოქმედო არეალს, სანამ სულაც არ მოიშორებდნენ.

ივანე ჯავახიშვილის რექტორობიდან გადაყენება ნელ-ნელა მზადდებოდა.

პოეტ იოსებ მჭედლიშვილს თავის დღიურში ჩაუწერია: „გუშინ, მგონი, გუშინწინ და დღეს დაიწყო დიდი კამპანია ქართველობის საერთოდ და კერძოდ ქართული უნივერსიტეტის წინააღმდეგ. დაიბეჭდა „კომუნისტში“ თედო ღლონტის წერილი „შავი ჩოხა“, სადაც სასტიკი ბრძოლაა გამოცხადებული შავი ჩოხის მატარებელთა წინააღმდეგ, ხოლო დღეს (გუშინ „ზარია ვოსტოკაში“ ანუ Царя Востока-ში, როგორც მე ვეძახი, იყო სულაქველიძის წერილი) ... ფილიპე მახარაძის წერილი „სვინდისიც კაი საქონელია“. ჩანაწერი დათარიღებულია: 1926 წ. 28 მაისით. ხოლო 31 მაისს ჩაუწერი „გუშინდელს ყოფილა Заря Востока-ში წერილი აგრედვე სომხეთის უნივერსიტეტის შესახებ, ბევრად უფრო რბილი, დინჯი და მშვიდობიანი, ვიდრე ფილიპესი და სხვათა საქართველოს უნივერსიტეტის შესახებ.

იგივე ავტორს 21 ივნისს ჩაუწერია: „ხმებია, პროფესორი ივ. ჯავახიშვილი უნდა გადააყენონ და მის ალაგას თედო ღლონტი დააყენონო“. 23 ივნისს კი აღუნიშნავს: „დაინგრა უკანასკნელი სიმაგრეც. ი. ჯავახიშვილი გადააყენეს და მის ნაცვლად „ერთხმად“ აირჩიეს თედო ღლონტი“.

21 ივნისს ხმები დადიოდაო, ამბობს იოსებ მჭედლიშვილი და ეს ხმები უკვე მომხდარი ფაქტის გახმოვანება ყოფილა.

უნივერსიტეტის საბჭოს ოქმებში მითითებულია, რომ სწორედ 21 ივნისს შეკრებილა აღნიშნული საბჭო და პირველ საკითხად რექტორის დანიშვნაა გამოტანილი. თურმე მალაქია ტოროშელიძეს ამ პოსტზე თედო ღლონტი დაუსახელებია და პროფესორებსაც „ერთხმად“ აურჩევიათ.

არ შემორჩენილა დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ მან გადადგომაზე განცხადება დაწერა. რომც შემოგვრჩენოდა, არც არაფერი შეიცვლებოდა. თუმცა, ეტყობა უნივერსიტეტისთვის შემუშავებული ახალი წესდება, რომელსაც ივანე კატეგორიულად უარყოფდა, ამგვარ ფორმალობას არც საჭიროებდა.

შემოგვრჩა ერთი ემიგრანტის მოგონება, რომ იგი თურმე ყოველდღე მოდიოდა უნივერსიტეტის ეზოში. ეს შეიძლება ცოტა გადაჭარბებული იყოს, რადგან ძნელი წარმოსადგენია, უამრავი საქმით დატვირთულ ივანეს ამის დრო ან განწყობა ჰქონოდა — ვინმესადმი დაუმორჩილებლობის საჩვენებლად თუ უბრალოდ, გულის მოოხების მიზნით სახლიდან გამოსულიყო და უნივერსიტეტის ბაღში ეხეტიალა.

ეს მისი ცხოვრების სტილი არ იყო. მას იმდენი საქმე ჰქონდა, ამის დრო აღარა რჩებოდა.

ივანეს გარეშე დარჩენილი უნივერსიტეტი ვინ იცის რას დაამსგავსეს. ერთი პერიოდი (1930-1933 წწ.) კიდევაც დახურეს და ოთხ ინსტიტუტად დაანაწილეს.

მათგან ერთ-ერთის ხელმძღვანელმა ივანე ვაშაყმაძემ დაათვალიერა შენობა, და როცა უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის ზედა სართულში განლაგებულ მუზეუმს მიადგა, განრისხებულმა ბრძანა: „немедленно уберите этот музейный хлам“. ეს მან იმ ძვირფასი განძის მიმართ ინება, რომელიც დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დავანებული.

მას არ სჭირდებოდა უძველესი ხელნაწერები, მისი აზრით, ალბათ ისტორიის მხოლოდ ნამუსრევი და რადგან მას არ სჭირდებოდა, არც უნდა არსებულიყო. უფრო სწორად კი მას რომ სურდა ისე უნდა ყოფილიყო ყველაფერი.

პირველი პირი იყო და ბრძანებდა.

სხვას კი მხოლოდ უნდა აესრულებინა.

ივანესული საბუთების მოხმობით სხვათა დარწმუნება და კოლეგათა აზრის გათვალისწინება ისტორიას ჩაბარებოდა.

ივანე ვაშაყმაძე ალექსანდრე ერქომაიშვილმა შეცვალა.

ალექსანდრე ერქომაიშვილი ლადო აღნიაშვილმა.

ლადო აღნიაშვილი კარლო ორაგველიძემ.

კარლო ორაგველიძე გიორგი კიკნაძემ.

გიორგი კიკნაძე დავით ყიფშიძემ.

დავით ყიფშიძე...

თუმცა ჩამოთვლას რაღა აზრი აქვს?

უნივერსიტეტის ჯავახიშვილისეულ იდეას „ყველამ წაკრა თვითო ქიშტი“.

მერეც პირველი პირები მბრძანებლობდნენ, მერეც მოაქამომდე...

მომდევნოებს არ გაუმეორებიათ ივანე ვაშაყმაძის ფრთიანი ფრაზა, თუმცა საქმენი მათი იყო მსგავსი წინამორბედთა.

ოდინდელი ღირებულებები — აკადემიური, კულტურულ-ისტორიული თუ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი— არავის აინტერესებდა.

თუმცა გამონაკლისებიც იყო, მაგრამ მხოლოდ გამონაკლისები...

გამონაკლისი ეთქმის ნიკო კეცხოველს, ილია ვეკუას და ალბათ, კიდევ რამდენიმეს.

ჩვენდა საბედნიეროდ, გამონაკლისი.

საბჭოთა რეჟიმის სიმძიმე მათაც აწვათ მხრებზე, მაგრამ საშიშროების მიუხედავად, აკადემიურ სფეროს თავი რომ დავანებოთ, ღირსებას არ უღალატეს.

საშიშროება ვახსენე.

მოსკოვიდან მოვიდა ბრძანება, რომ უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებიდან ამოეღოთ ეროვნული ისტორიის კურსები. სომხეთის უმაღლესი სასწავლებლებში არ უნდა ყოფილიყო სასწავლო პროგრამაში სომხეთის ისტორია, საქართველოში

საქართველოს ისტორია და ა. შ. რექტორმა მოსკოვში ლაკონური პასუხი ტელეგრამით გააგზავნა:

„არ ვემორჩილები თქვენს ბრძანებას!“

ხელს აწერდა ნიკო კეცხოველი.

როგორ ფიქრობთ მკითხველო, ამის დამწერს, თუ უარესის არა, სულ მცირე, თანამდებობიდან განთავისუფლების შიში ხომ უნდა ჰქონოდა?

ეტყობა, ღირსების დაკარგვის შიში უფრო ადარდებდა ბატონ ნიკოს.

მათ სულებს, ვაი რექტორთა შორის მოხსენიებისთვის, ბოდიში მოვახსენოთ და ჩვენ ისევ „პირველსავე სიტყვასა ზედა მოვიდეთ“.

ადვილი არ იყო ივანესათვის „განახლებული“ უნივერსიტეტისთვის ყურება.

1935 წლის 12 დეკემბერს ვ. დონდუასადმი გაგზავნილ წერილში მეცნიერი გულისტკივილით შენიშნავდა: „გაზეთებში ... გუშინ აღნიშნული იყო, რომ ტფილისის უნივერსიტეტს შეჯიბრებაში ჯილდო მიუღია. არ ვიცი, რა ღვაწლისათვის? — თუ ჩვენი ახლანდელი უნივერსიტეტი ჯილდოს ღირსი აღმოჩენილა, რანი ყოფილან სხვები!“

როგორი სათქმელია ეს საკუთარ პირმშოზე?

რას ვიზამთ, სიმართლე ასეთი იყო და ეს მხოლოდ გულისტკივილით იყო ნათქვამი და არა ნიშნისმოგებით — აი, უჩემოდ რა ხეირი ნახეთო!

ასე რომ ყოფილიყო, გაგულისდებოდა და გაკერპდებოდა, უნივერსიტეტისკენ არც გაიხედავდა.

მას ხომ არაერთხელ ატკინეს გული, არაერთხელ.

იგი კი რამდენჯერაც დაუძახეს, იმდენჯერ მივიდა და დასჯერდა იმ მცირედს, რაც შესთავაზეს.

სიყვარული აკეთებინებდა ამას.

სიყვარული პირმშოსადმი.

სიყვარული მეცნიერებისადმი.

სიყვარული ერისადმი.

სიძულვილის შემმუსვრელი სიყვარული...

„მოძღვარ-მოწაფეობა... სულიერ ნათესაობასა და თანხმობაზე უნდა იყოს დამყარებული“

არავის არასდროს არ მიუღწევია დიდი შედეგისათვის თუკი მას განსწავლის დიდი სკოლა არ გაუვლია.

მოწაფე და მასწავლებელი.

ეს დიდი თემაა, სადაც უამრავი ნიუანსი იყრის თავს და განსაზღვრავს ოსტატისა და შეგირდის თანამშრომლობას.

მოწაფე ყველას ვერ გუობს მასწავლებლად. იგი იმისგან იძენს ცოდნას, ვისიც სჯერა და ვინც მოსწონს. მოსწონს კი ის, ვინც მის მაძიებელ გონებას მისთვის სასარგებლოს საინტერესოდ აწვდის.

არც მასწავლებელი იღებს მოწაფედ ყველას. მასაც ის ურჩევნია შეგირდად, ვინც მოწადინებულია მეტი გაიგოს, სიახლეს ღრუბელივით ისრუტავს და იმდენად ნიჭიერია, რომ ნათქვამს წინადადების დამთავრებამდე იგებს.

ამ მხრივ, ივანე ჯავახიშვილი ბედნიერი იყო: მას ნიჭი და მონდომება არ აკლდა, მასწავლებელშიც გაუმართლა და მოწაფეშიც.

მასწავლებელში ნიკო მარს ვგულისხმობ და მოწაფეში სიმონ ჯანაშიას.

თუმცა ცხოვრება წინააღმდეგობებითაა სავსე და ადამიანთა ურთიერთობაც არაა ბოლომდე ჰარმონიული.

ივანეს მტკიცედ სჯეროდა, რომ „მოძღვარ-მოწაფეობა სამეცნიერო სფეროში სულიერ ნათესაობასა და თანხმობაზე უნდა იყოს დამყარებული“.

თუმცა ხანგრძლივად „სამეცნიერო სფეროში სულიერი ნათესაობა და თანხმობა“ ძნელი მისაღწევია.

სახელგანთქმული მეცნიერი ნიკო მარი ივანე ჯავახიშვილის მასწავლებელი და გზის გამკვალავი იყო. ივანე ძალიან დიდ პატივს სცემდა თავის მასწავლებელს. თავის მხრივ, კი ნიკო მარიც აღფრთოვანებული იყო ივანეთი და დიდად ეიმედებოდა მომავალ სამეცნიერო მუშაობაში. მათ, გარდა დიდი ნიჭისა, არაფერი ჰქონდათ საერთო. ორივენი, თავიანთი ცხოვრების წესითა და შეხედულებებით, ერთმანეთის ანტიპოდები იყვნენ. და აბა, რო-

გორ შეძლებდნენ ისინი დიდხანს ჰარმონიულ თანამშრომლობას, რომელზეც ნიკო მარი ოცნებობდა?

განა მარტო ნიკო?

ამაზე ხომ ნებისმიერი მასწავლებელი ოცნებობს და ძალიან სტკივა გული, როცა მისი მოწაფე დამოუკიდებელი გზის ძებნას იწყებს.

განსხვავებულ ვითარებაში, მაგრამ განა თავად ივანესაც არ დასწყდა გული, როცა მასაც მისი მოწაფეები გამოეცალნენ?

მშობლებსაც ხშირად ასე არ ემართებათ, როცა შვილები მამისეულ სახლ-კარს სტოვებენ?

არსებობს კი ისეთი ყრმა (შვილი, შეგირდი, მოწაფე), რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებაზე, თავისი თავის დამკვიდრებაზე, ახლის შექმნაზე არ ოცნებობს? თუ არის, სრულფასოვანია იგი?

და შეიძლება კი ცალსახად ითქვას მასწავლებელ-მოწაფეს ასეთ დაპირისპირებაში თუ ვინაა მართალი და ვინ მტყუანი?

შეიძლება.

მართალია ის, ვინც საყოველთაოდ აღიარებული ეთიკურ ნორმებს გვერდს არ აუვლის და თავის საკეთებელს ისე გააკეთებს;

მართალია ის, ვინც თავის მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას არ დაივიწყებს;

მართალია ის, ვინც თავის პროფესიულ მოვალეობას ზურგს არ შეაქცევს.

შევეცადოთ ამ საწყაოთი ავრწყათ ამ დიდ ადამიანთა ურთიერთობა.

„მისი გატაცებული მუშაობა მხიბლავდა“

1935 წელია.

საბჭოთა ხელისუფლება პერმანენტულად ავიწროებს საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილს. ამ კამპანიაში ივანე ჯავახიშვილიც მოჰყვა. მეცნიერის ქალიშვილი იგონებს: „*იმ მძიმე წლებში მამა სახლიდან თითქმის არსად გადიოდა. მახსოვს, პროფესორ ს. გოგიტიძის გასვენებიდან დაბრუნებულმა მამამ გულისტკივილით თქვა — მე საზოგადოებაში აღარ გამესვლება, რადგან ხალხი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, ჩემთან მოახლოებისა ეშინიათ და ვგრძნობ ამავე დროს, ჩემი რცხვენიათო. ასეთივე გუნებით მოვიდა რომელიღაც კონცერტიდან — მთელი საღამო კაცი არ გამკარებიაო!*“

ისეთი ვითარება იქმნება, რომ დვაწლმოსილ ადამიანს თავის გარშემო ვერავინ უპოვია, რომ გულისტკივილი გაუზიაროს. ერთადერთი ვარლამ დონდუაა, რომელიც ქალაქ ლენინგრადში იმყოფება. მას ივანე ხშირად მიმართავს დახმარებისთვის, ხან ახალი ლიტერატურის შეძენას სთხოვს, ხან სხვადასხვა საკითხის დაზუსტებას. ჰოდა, ამ საქმიან ურთიერთობაში ბლომად დაგროვილი მწარე ემოციების ექოც ხვდება.

„*მე რომ უნივერსიტეტში შევედი და სწავლა დავიწყე,* — წერდა ივანე ვარლამ დონდუას, — *ქართულს არავინ კითხულობდა. ალ. ცაგარელი თვეობით არ დადიოდა ლექციებზე და თავის მოვალეობის შესრულებაზე სრულებითაც არ ჰფიქრობდა. ნ. მარი მაშინ მხოლოდ სომხურ ენას ასწავლიდა და მისი გატაცებული მუშაობა მხიბლავდა და მამხნევებდა იმ აღმაშფოთებელ გულგრილობაში, რომელსაც ცაგარელი იჩენდა ქართულისადმი. ნ. მარის ლექციები სომხურში ტექსტების თარგმნას და გრამატიკულ კომენტარებს შეიცავდა, ზოგჯერ რეალურ განმარტებებსაც. ყველა ამის მეტად საინტერესოდ და ცოცხლად იცოდა მან გადმოცემა. მაგრამ ჩემ დროს არც სომხურ მწერლობის ისტორიაში და არც, მითუმეტეს სომხეთის ისტორიაში, ლექციებს არ კითხულობდა. სპარსულს ვალ. ჟუკოვსკი გვასწავლიდა ამ ენისა და ლიტერატურის საუცხოო მცოდნე. მაგრამ არასდროს მისი მუშაობა სპარსული ტექსტების თარგმნას და ზოგჯერ კომენტარებს არ გას-*

ცილებია. აღმოსავლეთის ისტორიის შესავალს გულისამრევად ვესელოვსკი კითხულობდა, რომელიც უფრო უძილობის წამლად იყო გამოსადეგი, ვიდრე ლექციად....“.

ეს გულნატკენი კაცის კერძო წერილში გამოთქმული აზრია, მაგრამ სწორედ ამითაა იგი საყურადღებო. ივანე საჯაროდ ამას არ იტყოდა, მაგრამ იმედგაცრუებისას თავის ერთადერთ მესაიდუმლეს გამოუტყდა.

ამ აღსარებით გამოჩნდა, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის განთქმულ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის გამოჩენილი პროფესორები არცთუ მაღალი ღირსებისანი ყოფილან. აქ სასწავლო პროცესის ნაკლოვანებებიც სახეზეა — საჭირო და აუცილებელი კურსები არ იკითხება და თუ იკითხება, მათი ჩატარება თავად პროფესორების ახირებაზეა დამოკიდებული. ახირებაა, აბა რაა, როცა ერთი პროფესორი თვეობით არ დადის ლექციაზე, მეორე კი მხოლოდ ტექსტების თარგმნითა და კომენტირებით შემოიფარგლება, მესამე კი ისე ცუდად კითხულობს ლექციას, რომ „უძილობის წამლად“ გამოდგება.

ერთადერთი ნიკო მარია, ვინც ივანემ განსაკუთრებული კმაყოფილებით მოიხსენია.

ეს ის დროა, როცა ნიკო მარი უკვე გარდაცვლილია, ახლა კი მალე მისი შვილი — იური, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი დაიღუპება და ივანე კვლავ სინანულით მისწერს ვ. დონდუას:

„გაგებული გექნებათ საწყალი იური (ფრიდონ) მარრის გარდაცვალების ამბავი. — წერდა ივანე ჯავახიშვილი 1935 წ. 12 დეკემბერს თბილისიდან ლენინგრადში (პეტერბურგში) ვარლამ დონდუას. — *სამწუხაროა, რომ ასეთი ნიჭიერი ჭაბუკი ასე უდროოდ დადუმდა და ვერ მოასწრო თავისი ზრახვებისა და დაწყებული მთავარი ნაშრომების გამოქვეყნება. უბედური მისი დედა, რომელსაც ამ სიბერის დროს ამდენი მწუხარება არგუნა ულმობელმა ბედმა. გული მიკვდება, რომ მე, რომელიც თავის დროზე ასე დაახლოებული ვიყავი, მას შემდგომ მომხდარი ამბების გამო, ჩუმი, გულში ჩაკლული თანაგრძნობის გარდა, არაფერი დამრჩენია!*“

ამ სინანულს მასწავლებელსა და მოწაფეს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება უდევს საფუძვლად.

ფეხდაფეხ მივყვეთ მოვლენებს.

მანამდე კი ნიკო მარის პიროვნებას გავეცნოთ.

ნიკო მარი დაიბადა 1864 წელს გურიაში. ნიკოს მამა იყო იაკობ პატრიკის ძე მარი, წარმომავლობით შოტლანდიელი, რომელიც 1822 წ. ჩამოვიდა კავკასიაში. იგი დასახლდა გურიელთა მამულში და უცხო ჯიშის მცენარეთა გაშენებას მიჰყო ხელი. მან, 80 წელს გადაცილებულმა, ხანდაზმულ ასაკში ცოლად შეირთო ახალგაზრდა აღათია მაღულარია. სწორედ ამ ქალმა მოავლინა ამ ქვეყანაზე დიდი მეცნიერი და მოღვაწე ნიკო მარი.

ნიკო მარი ფიცხი და ბობოქარი ხასიათის პიროვნება იყო, რასაც მისი თანამედროვენი გურულობით ხსნიან. მარის ეს ხასიათი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მის მოღვაწეობასა და გარშემომყოფთა განწყობაზე, მათთან დამოკიდებულებაზე.

სწორედ ამის გამო უნდა გავიხსენო ერთი პიკანტური და დელიკატური საკითხი, რომელიც სხვა შემთხვევაში ყურადღების მიღმა უნდა დარჩენილიყო.

საქმე ისაა, რომ ნიკოს ნამდვილ მამად ასახელებენ თავად გურიელს. მოვუსმინოთ აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილს: *„მე, ვანო გურიელი და ნიკო მარი ერთად ვსწავლობდით ქუთაისის გიმნაზიაში. ნიკო ძალიან ჰგავდა ვანოს, ისეთივე შავგრემანი და შავთმიანი იყო. ნიკომ თვითონაც იცოდა თავის წარმოშობის ამბავი და ხშირადაც უთქვამს. ისე, ხასიათით ნამდვილი ასპროცენტიანი გურული იყო. უცბად აენთებოდა ხოლმე... ეჰ, სულ ერთი არაა, ვისი შვილიც იყო? მამამისი აცხონოს ღმერთმა, დიდად სასახელო მეცნიერი დაგვიტოვა და ესაა“.*

ამ საკითხზე აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე თავის მოგონებებში იხსენებს: *„ბ-ნ აკაკის [შანიძე] ვკითხე, რას იტყვით-მეთქი ნიკო მარის მამის თაობაზე. დაუფიქრებლად მიპასუხა. ნიკო შოტლანდიელი იაკობის შვილი არ ყოფილა. იგი დათა გურიელის „უკანონო“ შვილი იყოო, ნიკოს სკოლის ამხანაგის ვანო გურიელის ძმა. ერთხელ მასთან [მართან] ვიყავი ბინაზე, იქ დამხვდა ვანო გურიელი, ნიკოსთან მუსაიფობდა, ალექსანდრა ალექსეევნამ (მარის მეუღლე, დ.ს.) საგანგებო ყურადღება მიმაქცევინა, შეხედეთ, როგორც ღვიძლი ძმები ისე გვანან ერთმანეთსო. როგორ, ალექსანდრა ალექსეევნამაც იცოდა ნიკოს მამაშვილობის ამბავი-მეთქი? — ვკითხე ბ-ნ აკაკის. ძალიან კარგად იცოდაო, მი-*

პასუხა. ცხადია, იცოდა თვითონ ნიკოსგანო. ნიკო ამ საკითხზე საუბარს ერიდებოდა, ერთგვარად ეთაკილებოდა. მიაქციეთ ყურადღება, როგორ ქარაგმულად ლაპარაკობს ამის შესახებ ავტობიოგრაფიაშიო, დაამთავრა სიტყვა ბ-ნმა აკაკიმ“. სხვაგან ალექსანდრე ბარამიძე ექვთიმე თაყაიშვილისა და აკაკი შანიძის მონათხრობის კვალდაკვალ ასკვნის: *„გრიგოლ გურიელი იყო დათა გურიელის ღვიძლი ძმა, ნიკო მარი — მისი ძმისწული. ვფიქრობ, ამითაც უნდა აიხსნას მისი განსაკუთრებული მზრუნველობა იაკობ მარის ღარიბ ოჯახზე, კერძოდ და განსაკუთრებით კი მომავალ დიდ მეცნიერ ნიკოზე. დროა ვსთქვათ და ვაღიაროთ, რომ ნიკო მარი დედითაც და მამითაც იყო ქართველი და არა შოტლანდიელი“.*

ნიკო მარმა თავისებური ხასიათი ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში გამოავლინა. იგი ამ გიმნაზიის ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე იყო, მაგრამ აიჩემა, კარგად არ ვარ მომზადებულიო და 1 წელი კიდევ დარჩა. გიმნაზიის დირექტორი ექვთიმე თაყაიშვილს სთხოვდა შენი მეგობარია და იქნებ შენ დაგიჯეროს და უარი თქვას ამ განზრახვაზეო, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა.

„როგორც მაშინ ვამბობდით მის შესახებ, ერთხელ კიდევ „შეუპრინტა“, – გვიამბობს ე. თაყაიშვილი, — *როდესაც სიმწიფის ატესტატის და გამოცდების დრო მოვიდა, ნიკომ გამოგვიცხადა, ეგზამენებზე არ წავსდგები, ერთი წელიწადი კიდევ უნდა დავრჩე გიმნაზიაში, რომ ძველი ენები* (ძველი ბერძნული და ლათინური, დ.ს.) *უკეთ შევისწავლო, თორემ უნივერსიტეტში ამისთვის დრო არ მექნებაო. ძველი ენები, ისე როგორც სხვა საგნები, ყველაზე ჩვენზე უკეთ იცოდა, კანდიდატათ ირიცხებოდა ოქროს მედლის მისაღებათ და რასაკვირველია, მიიღებდა რომ ეგზამენები დაეჭირა, მაგრამ არ მოისურვა. ეს რომ სტოიანოვმა* (გიმნაზიის დირექტორი, დ.ს.) *გაიგო, დამიბარა (მე სტოიანოვს კარგად მივაჩთი) და მითხრა, დაეჯერეთ როგორმე მარრი, ნუ იქმს ამ სისულელესო. მე ნება არა მაქვს მეორე წელიწადს დავსტოვო პანსიონში, ადგილი სხვას უნდა დაუთმოს, კანდიდატები ბევრიაო, და შემდეგ კიდევ ვის გაუგია, შეგირდს გიმნაზიის გათავება შეეძლოს, იგიც ოქროს მედლით, და განგებ არ ათავებდესო. ბევრი ველაპარაკეთ, მაგრამ თავის გადაწყვეტილებაზე უარი ვერ ვათქმიეთ. მიატო-*

ვა გიმნაზია და წავიდა გურიაში. სტოიანოვმა აქაც თავის კაი კაცობა გამოიჩინა, მანვე იშუამდგომლა მზრუნველთან (კავკასიაში განათლების საკითხის გამგებელი მოხელე, დ.ს.) *და დასტოვეს კიდევ პანსიონში ერთს წელიწადს*".

შეიძლება ახლა ეს ფაქტი ღიმილნარევი ირონიით გავიხსენოთ, ნიჭიერ ახალგაზრდას ზედმეტ თავგამოდებად ჩავუთვალოთ, ახირებადაც მოვნათლოთ, მაგრამ არა მგონია, ზუსტი დახასიათება გამოვიდეს. არ უნდა დაგვავიწყდეს მეორე მხარე — პასუხისმგებლობა, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა და საკუთარი რწმენისა და იდეალებისადმი ერთგულება. ეს ამ მომავალი დიდი მეცნიერისა და პიროვნების აუცილებელი თვისებაა. მერე რა, რომ ეს ყოველთვის მოვლენების ადეკვატური არ აღმოჩნდა, ხშირად საწყენიც და დასაგმობიც კი გახდა. მიუხედავად ამისა, მათ მაინც აქვთ თავისი ღირებულება. უიმისოდ მარი მარი ვერ იქნებოდა.

ნუ დავივიწყებთ ამ ფაქტორს, თორემ დიდ ცოდვას ჩავიდენთ. ისტორიის მსვლელობამ დაგვანახა მარის რიგი შეცდომები, მაგრამ ამ ფაქტორის იგნორირებით, მარის დამსახურებას დავაკნინებთ.

ნიკო მარი დიდი მეცნიერი და დიდი პიროვნება იყო, რაც მის შეცდომებზე თვალის დახუჭვის საფუძველს არ იძლევა, თუმცა ამ გარემოებამ მისადმი პატივისცემა არ უნდა გაგვიქროს.

ამ თვისებებმა მასაც არაერთხელ შეუქმნა პრობლემა.

ჯერ კიდევ სტუდენტმა 1886 წ. გაზეთ „ივერიაში" გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართული ენა ენათესავება სემიტურ ენებს. ამით იგი დაუპირისპირდა ლინგვისტთა მთელ საზოგადოებას. მეტიც, წერილში მოყვანილი იყო მისი ლექტორის, პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის აზრი, რომ ქართული ენა ენათა დამოუკიდებელ ჯგუფს წარმოადგენს. მის მასწავლებელს ბარონ როზენსაც არ მოეწონა მარის ეს სითამამე და ურჩია, სანამ სადოქტორო დისერტაციას არ დაიცავ, მანამ ამ საკითხზე ჩუმად იყავიო.

ალ. ცაგარელმა კი, თავის მხრივ, არ აპატია სტუდენტს ეს „თავხედობა" და მას მტრულად დაუწყო ცქერა.

1890 წელს ნ. მარმა დაასრულა საუნივერსიტეტო კურსი და წარადგინა სადიპლომო ნაშრომი „*XI-XII საუკუნეების პროზად დაწერილი ქართული მოთხრობების ისტორიულ-ლიტერატურუ-*

ლი მიმოხილვა“. ამ ნაშრომში ნ. მარი გადაჭარბებულად აფასებდა ირანულ გავლენას ქართულ ლიტერატურაზე. ალ ცაგარელმა ნაშრომი დაიწუნა და მოითხოვა მისი დისკვალიფიკაცია. მხოლოდ ფაკულტეტის დეკან ვ. როზენის ჩარევამ უშველა საქმეს და ნ. მარის ამ შრომას ოქროს ნაცვლად, ვერცხლის მედალი ერგო.

ამის შესახებ თავად ნიკო მარი ასე მოუთხრობს ექვთიმე თაყაიშვილს: ჩემი შრომა „*მარტო ცაგარელმა გაარჩია და ისეთი უსინდისობა იხმარა, რომ აზრის წინააღმდეგობისათვის მთლა წახდენა უნდოდა ჩემი საქმის. დაწვრილებით პირადათ გიამბობ, ახლა მხოლოდ გეტყვი, რომ, თუ არ „სოვეტი“, არც ვერცხლისას მომცემდნენ. მთელი (ჩვენი) პროფესორობა ოქროს მედალს ნდომობდა ჩემდა (აგრე მითხრა როზენმა) ... პროფესორებმა მაინც ოქროდ მომილოცეს*“.

ამ კონფლიქტის შედეგი ის აღმოჩნდა, რომ ალ. ცაგარელი ნიკო მარის უნივერსიტეტში დატოვების წინააღმდეგ წავიდა. მის სიტყვას ფასიც ჰქონდა, რადგანაც ქართული სიტყვიერების მიმართულება სწორედ ალ. ცაგარელს ებარა. თუმცა ნიკო მარი იმდენად ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა იყო, რომ გამოსავალი მოიძებნა და იგი უნივერსიტეტში სომხური სიტყვიერების მიმართულებაზე დატოვეს.

თავისი ახალი და ზოგჯერ კი „უცნაური“ შეხედულებების გამო, ნ. მარი ბევრჯერ ყოფილა განქიქების ობიექტი. მისთვის ხშირად დაუბრალებიათ სამშობლოსადმი გულგრილობა. 1903 წლის 14 აგვისტოს ჩოხატაურიდან ექვთიმესადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „*აქ ჩამომიგდეს მეც პროკლამაცია. „რუსის მთავრობისაგან მოსყიდულ პროფესორად“ ვარ სახელწოდებული. ბევრი ვიცინეთ, მაგრამ აქაურობის მდგომარეობა თმაგლეჯით სატირალია. ზნეობრივი დაცემა და უვიცობა უკიდურეს წერტილზეა მისული. ქართველი ინტელიგენცია თავის მოუხერხებლობით და მცონარობით ხელს უწყობს ხალხის გაველურებას, რადგანაც უთავადესი ბორბალი წინმსვლელობის თავის ცნობა „უბედურად“ აკლია მას არა თუ წარსულის შესახებ (ეგ ვითომ არაფერია!), არამედ აწყმოისაც*“.

ნ. მარი მეამბოხე ბუნებას გიმნაზიიდანვე ამჟღავნებდა. თავის დროზე გიმნაზიელი ნიკო მარი ახალგაზრდული მაქსიმალიზმით

გამოეხმაურა აკაკის ლექსს „გაზაფხული“. „*მერცხლის ჭიკჭიკი კი არა მედგარი ბრძოლითა და იარაღით არის საჭირო მოქმედება*“-ო აცხადებდა ნ. მარი. შემდეგ კი სტუდენტობისას თავის ერთ მეგობართან ერთად ფიცი დასდო, რომ იარაღი მანამ არ გაეგდოთ ხელიდან, სანამ საქართველოს არ გაანთავისუფლებდნენ. — „ეს ამხანაგი ბანკის დირექტორი გახდა და მე აკადემიკოსიო“, ამბობდა მოგვიანებით ნ. მარი.

დროთა განმავლობაში ახალგაზრდულმა მაქსიმალიზმმა ფერი იცვალა. იგი სკეპტიკურად უყურებდა რევოლუციას, აღიზიანებდა სტუდენტთა გაფიცვები და მეცნიერების პოლიტიკისგან სრულ განცალკევებას მოითხოვდა. მას უკვე აღარ მოსწონს ნებისმიერი „მოძრაობა“. იგი მისთვის მიუღებელია. მას მხოლოდ მეცნიერება ახსოვს და რაც ამ საქმეს ოდნავადაც თუ უშლის ხელს, ყველაფერს მიუღებლად მიიჩნევს. 1902 წელს ექვთიმესადმი გაგზავნილ წერილში წერს: „*სტუდენტობა აქ სულ გადაირია. სწავლაზე ხელი აიღო და რა უნდათ ღმერთმან იცის. ქართველობაც ამ უხეირო, უპრინციპო, ველურ მოძრაობას „არსწავლას“ ეტანება*“.

სად წავიდა გიმნაზიელი მარის იარაღით ბრძოლის სურვილი?

1903 წ. ნიკო მარი წერს ექვთიმეს: „*აქ* (გურიაში, დ.ს.) *სიცივეა, გავცივდით ყველანი, რევოლუციას ამზადებენ გურულები, ქვეყანა დაიღუპება. მიკვირს რომ ქართველი გაზეთობა* (ე.ი. ჟურნალისტიკა, დ.ს.) *კარგად ვერ ებრძვის ამ უბედურ და უნიადაგო მიმართულებას*“.

კიდევ უფრო მკაცრია ნიკო მარი 1905 წელს, როცა რუსეთის რევოლუცია იმ ფაზაში შევიდა, რომ დაიწყო ლაპარაკი კონსტიტუციის შემოღებაზე. ექვთიმე თაყაიშვილი ამცნობს ნიკო მარს, რომ იგი იმედიანად უყურებს კონსტიტუციის დაწესებას. გაცეცხლებული მარი ვრცელ წერილს სწერს თავის მეგობარს:

„*მე მიკვირს შენგან, როგორც ისტორიკოსისაგან ისეთი აზრები, როგორიც ჩემთან წერილში ჩამოგიტარებია. ... რუსეთში რომ კონსტიტუცია დაწესდეს, თქვენ რას ელით, ერთი ქვეყანას შეხედეთ და დაფიქრდით, რომ ერთი კაცი არ გყავსთ, რომ რამე ცოდნა ჰქონდეს. კონსტიტუცია ხომ თვითონ არ გაგამეფებს, როცა არა თუ არაფერის და არაფრივი საკუთარის თავის ცოდნა არ აბადია ქართველებს, არც ძველის, არც ახლის, არც მიწა წყლის, არც*

ისტორიის, არც წოდების, არც გლეხის და არც თავადის, არც მეზობლის და არც მტერის, არასფერის გაგება არ აქვს, თვით აქაური პეტერბურგელი ამბავის, რომლის წვრილმანები ათიათასგვარად იბეჭდება, იმის დაფასებაც ვერ შეძლებია. მერმე კონსტიტუცია განა ისეთი რამ ხილია, რომელიც ან საჩუქრად მიიღება მოწყალებასავით ან ძარცვაგლეჯით მოიპოვება ან ჩუმათ მოტყუება-ქურდობით შეიძინება. ეგ რა საკადრისია, როგორ გეკადრება შე დალოცვილო! თუ გგონია ძალით, რევოლუციური ღონით მოიპოვება? კარგი ვთქვათ მოიპოვე, შემდეგ? რით შეირჩენ? ვაი-მე, ვაი-მე, ჩემო თავო, ქართველს თურმე ისტორიული, ნამდვილ პოლიტიკურ სმენას ვერაფერი ვერ შესძენს, ვერც თვით მისი ორათასწლიური და მეტიც ისტორიული ცხოვრება. ... იცოდეთ, ყველამ იცოდეთ, უთხარი ყველას შენს ნაცნობს, თუნდ მთელ შენ წრეს, რომ ახლა გვიან არის და უდროო, მაგრამ თუ სავარაძო შედეგი გამოვიდა, არც ერთ წვეთ შხამიან კალმისას არ დავზოგავ, რომ ქართველ ინტელიგენციას და მისი გაუნათლებელ, უვიც არსებას საზოგადოების, მომავალი საზოგადოების წინ სამარე გა[ვ]უთხარო და სამარცხვინო სვეტს მივაკრა, თუ რამ გურიას დაემართა ან საქართველოს, კავკასიის რომელიმე ნაწილს“.

მეგობრისადმი მიწერილ ამ წერილში განა შეიძლება მარის გულწრფელობაში ეჭვი შევიტანოთ? აქ იმდენი ემოციაა, რომ შეუძლებელია გულწრფელი არ იყოს. მაგრამ განა გულწრფელობა ნამუსს მოწმენდს შეცვლილ პოზიციას? გიმნაზიელი მარი ახლა პეტერბურგში მცხოვრები ცნობილი მეცნიერი მარია და მისი შეხედულებებიც შეცვლილია.

თუმცა მარის ეს მეტამორფოზა სულაც არ იყო საბოლოო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი იყო მეცნიერთაგან ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც მარქსიზმის მეთოდოლოგიის მეცნიერებაში შემოტანას თავგამოდებით ცდილობდა. 1930 წელს, როცა ნ. მარი უკვე 66 წლის იყო, კომუნისტური პარტიის წევრი გახდა და ერთ-ერთ გავლენიან მეცნიერად იქცა.

ნ. მარის გაკომუნისტებას მისი სიყრმის მეგობარი ექ. თაყაიშვილი ემიგრაციაში ასე შეხვდა: *„ბოლოს და ბოლოს ეს მისი რწმენა იყო თუ ფარისევლობა, მიიღო ის პირადი ინტერესებით, რაც*

არ სწამდა, თუ მართლა ირწმუნა და რაც ირწმუნა, თავისებურად გატაცებით მიემხრო? ვინც ნ. მარს არ იცნობს სიყრმიდანვე, ის პირველ დასკვნას გააკეთებს და ამის საბუთს თვით მარი თავის მოქმედებით და ნაწერებით მრავლად აძლევს, მაგრამ ვინც მას ახლოს იცნობს, მისი მერყეობა მიმართულების და საგნის არჩევაში არაერთხელ უნახავს და მისი ექსცენტრული ხასიათი განუცდია, ის მას ფარისევლობას ვერ შესწამებს“.

ნიკო მარი სულით-ხორცამდე მეცნიერი იყო და მეცნიერებითვე სულდგმულობდა. სამეცნიერო საკითხებზე იგი უკომპრომისო იყო. ჯერ კიდევ 1900 წელს დაიწყო ქართველმა ინტელიგენტთა ქართული ლექსიკონის შესადგენად პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა. შესაბამისი გეგმის შედგენა დაევალა დ. კარიჭაშვილს. ამ საკითხზე ნიკო მარმა 1912 წელს გაზეთ „სახალხო გაზეთის“ № 639-ში გამოაქვეყნა წერილი სათაურით *„ერთი დიდი საკითხის გამო“*. ნ. მარის აზრით, ამ საქმის ინიციატორები და მიმდევრები არცერთი არაა ლინგვისტი და ამდენად დილეტანტების განხორციელებული საქმე კარგი ვერ გამოვაო. ნ. მარის ამ წერილმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ექვთიმე თაყაიშვილმა მეგობარს ვრცელი წერილი გაუგზავნა და საქციელი არ მოუწონა;

„...ათას გვარს ჭორებს ავრცელებენ ჩვენზე. ერთმა უთავადესი პრინციპის მცოდნე გაკადნიერდა ერთ კრებაზე და ჩემს წინაშე ბძანა, ნ. მარრმა ქართული არ იცისო, ქართულათ არ ლაპარაკობსო, გრამატიკა იცის მარტოო. აბა რომელი ერთი გითხრა, ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ სჯობს არ ვსთქვა. ასეთი კაცები ბრძენთა ბრძენიც რომ იყვნენ და ყველა მეცნიერული პრინციპებიც რომ შეთვისებული ჰქონდენ, მაგათთან საქმის დაჭერა და შეთანხმებით მუშაობა ძნელია. ანის ნანგრევებიდან ხომ ყველა იმას ვერ დაინახავს, რაც აქ ჩვენ ჭაპანწყვეტა გვაქვს, რომ საქმე მოვაგვაროთ. შე კაი კაცო, ჯერ მკითხავდი, რაშია საქმე და მერმე დასწერდი. შენ შენდა უნებლიეთ ეხლა ჩვენი საზოგადოების მოინტრიგე ბელადათ შეიქმენი... ყველა ეს სამწუხარია, რასაც ვწერ, მაგრამ მოუწერლობაც არ იქნება, უნდა იცოდე, ვისთან გაქვს საქმე და თუ ამით გაწყენია, როგორც ძმა მეგობარს, მომიტევე“.

ნიკო მარი კი თავის აზრზე დარჩა. *„ჩემ წერილში ცხადად გამოხატულია, რომ ვისმე პროგრამას ან ყოფაქცევას ან კერძო*

მოქმედებას არ ვეხები, არამედ საპრინციპო საკითხს... თუ მარტივი მეცნიერული მოთხოვნილების წამოყენება საკნებელია, ვის თვალში, მე არ მგონია შენს თვალში. მაგრამ ვწყვეტ წერილს, რადგან რაც არ მესმის, მასზე სჯა ან მიწერმოწერა ძნელია“.

აი, ასეთი კაცი მოევლინა ივანეს მასწავლებლად და გზაზე დამყენებლად.

ახლა მათი ურთიერთობის პერიპეტიებს გავყვეთ.

1896 წელია.

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტს კიდევ ერთი ქართველი შეემატა. ეს იუსტინე აბულაძეა, მომავალში ცნობილი ირანისტი და თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი. შემორჩენილია სტუდენტ ი. აბულაძის წერილი, რომელიც მან გამოუგზავნა თავის მეგობარს. წერილში იგი ნიკო მართან შეხვედრას აგვიწერს. ნიკო მარი ამ დროს ცნობილი სწავლულია და ფაკულტეტის გავლენიანი პროფესორი. წერილში ნათქვამია: „*მეორე კურსზე არის ერთი ჯავახიშვილი, ძალიან მუყაითი ყმაწვილი, რომლის ძალიან მადლიერია ცაგარელიც და ნამეტნურ მარი, რომელიც მეტისმეტად აქებს, პირველსავე გაცნობისთანავე მარმა მითხრა, უეჭველად გაეცანი ჯავახიშვილს, თუ არ იცნობო, ჩემს ხელში ის ჩინებულად სწავლობს და ის გიხელმძღვანელებს თუ რამ გაგიძნელდეს ჩემს საგანშიო*“.

ზუსტად ამ წლითაა დათარიღებული ნიკო მარის წერილი, რომელიც მან ექვთიმე თაყაიშვილს გამოუგზავნა: „*მსმენელთა შორის ერთი კარგი ქართველი აღმოჩნდა და თუ ასე განაგრძო, ორ წლის შემდეგ სომხურ[ს] სულ კარგად ისწავლის. გვარად ჯავახოვია* (ეს ის დროა, როცა ქართული გვარების შვილით დაბოლოება აკრძალული იყო, დ.ს.). *ღმერთმან ქნას ხეირიანი გამოდგეს. იქნება ზაფხულზე მანდ* (თბილისში, დ.ს.) *მოგმართოს შენ და ხელი შეუწყვე — ხელნაწერების გაცნობა უნდა*“.

ახალგაზრდა ივანე ნამდვილად იმსახურებდა ამ ყურადღებას, მაგრამ ამ წუთას ისაა მთავარი, რომ ამ ყურადღების გამომჩენი ნიკო მარია. ის ჭეშმარიტი მეცნიერიც იყო და ჭეშმარიტი მასწავლებელიც. იგი უბედურად თვლიდა თავს, როცა უნიჭო სტუდენ-

ტებს უყურებდა. მთელი დღე თავდაუზოგავად მუშაობდა და უნიჭოება სულს უხუთავდა. „*ლექციებს ცალკე მიაქვს დრო, ცხრა საათი მაქვს და ზოგი (უმრავლესობა) ახალი კურსია. მაგრამ ვისთვის. ... მსმენელნი!! არიან ოღონდაც, ხოლო ისეთი მოუმზადებელი, რომ თავის თავს ძალიან უბედურად და ობლად ვრაცხ*“.

უნიჭოება სულს უხუთავდა დიდი და მკვირცხლი გონების მეცნიერს და სწორედ ამიტომაც თავდავიწყებამდე იცოდა ნიჭის დაფასება და ნიჭიერი ახალგაზრდის თანადგომა.

ერთხელ, თურმე ნიკო მარი საქართველოში შემთხვევით დაესწრო ერთ გამოცდას, სადაც აღმოაჩინა ძალიან ნიჭიერი ყმაწვილი. იგი თურმე მამით ობოლი იყო და დედას კი არავითარი სახსარი არ გააჩნდა შვილისთვის განათლების მისაცემად. ნიკო მარი დახმარებას ექვთიმე თაყაიშვილს სთხოვს.

„*შენთან ერთი სათხოვარი მაქვს. შემიტყვე, თუ შენთვის დასამძიმებელი არ არის, რა არის საჭირო, რომ აზნაურიშვილის ობოლი სათავადაზნაურო სკოლაში მიიღონ,* — წერდა წერილში ნიკო მარი. — *ობოლი (უმამო) გურულია, ჩვენებური ჯაყელის შვილი, და ძალიან ნიჭიერი უნდა იყოს (ეგზამენზე დავესწარი...). საშვალება არავითარი არ აქვს. თითქმის ჭადსაც გაჭირვებით შოულობს დედა მისი, თუმც იმერელი თავადიშვილის ქალია. ... თუ აქვს უფლება, როგორ მოხერხდება, რომ წელსვე მიღებულ იქმნას, რადგან დრო მიდის და აქ თუ დარჩა წახდენის მეტს ვერაფერს ვერ ისარგებლებს და ვერ შეიძენს. ამ კითხვის პასუხს, სულ ერთია როგორიც იყოს, ნუ დამიგვიანებ. მე რომ შემეძლოს, თავისი ხარჯით შევიყვანდი, მაგრამ ამ მოკლე ხანში იმედი არა მაქვს ასეთი შეძლების პატრონი გავხდე და შემდეგში, თუ მინისტრის დაპირებული ჩვენი (საპროფეს[ორო]) ჯამაგირი არ გაცრუვდა, დახმარებას კი შევიძლებ. ვიმეორებ, ბოვში ნიჭიერი, ნამდვილად ნიჭიერი უნდა იყოს*“.

ჩვენ არ ვიცით ექვთიმემ შეძლო თუ არა დახმარების გაწევა და არც ის ვიცით, რა ბედი ეწია მარის აზრით ამ ნიჭიერ ყმაწვილს, მაგრამ მთავარი ისაა, ნიკო მარი თუ როგორი მოწადინებულია. იგი მზადაა, საშუალება რომ ჰქონდეს, თავისი ჯიბიდან გაიღოს საჭირო თანხა. შესაძლებლობისას მარი სწორედ ასე იქცეოდა. როცა იგი ივანესთან ერთად სინას მთაზე იყო ექსპედიციაში,

გზაზე ფული შემოაკლდათ, რადგან რუსულ საზღვაოსნო სააგენტოს უარი უთქვამს უფასო ბილეთზე. ნიკო მარმა მთელი თავისი ფული უფრო ადრე გამომგზავრებულ ივანეს მისცა და ჩვენ არ ვიცით თავად რა სახსრებით მოახერხა უკან დაბრუნება. ამის შესახებ იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის ვ. როზენისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერდა: „იძულებული ვიყავი მთელი ფული, რაც მქონდა, ჯავახიშვილისთვის მიმეცა, რომ ის მაინც გამემგზავრებინა შინ. მე აქ დავრჩი“.

იოსებ ყიფშიძის მეუღლეც ნიკო მართან დაკავშირებულ ასეთ შემთხვევას იგონებს: *„მარი ტელეფონით შეეკითხა იოსებს: „რატომ დაიარება სტუდ[ენტი] სილიბისტრო ლომია უპალტოოთო? ალბათ პალტო დაგირავებული აქვს და დასახსნელი ფული არა აქვსო? აუცილებლივ გამომიგზავნეთ, ფულს მე მივცემ ან და მე თუ მომერიდა თქვენ გადაეცითო“*.

ფული ფულად, მაგრამ სამეცნიერო გზაზე ხელის შეწყობა კიდევ სხვაა. ამ მხრივ, ნიკო მარის წვლილი ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებაში განუზომელია.

როცა საუნივერსიტეტო კურსი დაასრულა ივანე ჯავახიშვილმა, დადგა მისი უნივერსიტეტში დატოვების საკითხი. იგი უნდა გადაეწყვიტა ალექსანდრე ცაგარელს, რადგანაც ქართული ენისა და სიტყვიერების მიმართულებას განაგებდა. ალ. ცაგარელმა უარი განაცხადა, ალბათ ნ. მართან სიახლოვის გამო.

ნიჭიერი ახალგაზრდისთვის უარის თქმა უსამართლობად მიიჩნია ნიკო მარმა და იგი თავისთან სომხური ენის კათედრაზე დატოვა. სომხური ენის კათედრა საშუალება იყო, თორემ ივანე ჯავახიშვილს ერთი წუთითაც არ შეუნელებია საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობა.

საყვარელ შეგირდს მასწავლებელი ერთი წუთითაც არ ტოვებს უყურადღებოდ. როცა ივანე ბერლინის უნივერსიტეტში მიავლინეს, ნიკო კი საქართველოში წამოვიდა და მოუთმენლად ელოდება ცნობებს ივანესაგან. მისი წერილები კი არ ჩანს. მარი წრიალებს, ღელავს და ვ. როზენს წერილს უგზავნის:

„ჯავახიშვილის წერილები არ დამხვდა. იმედი მაქვს, რომ კარგად მოეწყო. მაინც მაკვირვებს მისი ასეთი დუმილი“.

მეორე წერილშიც ისევ შეშფოთებას გამოხატავს:

„დღემდე არაფერი ვიცი ჯავახიშვილზე. ერთი სტრიქონიც არ მოუწერია“.

გადის კიდევ რამდენიმე დღე და ბოლოს მოდის ივანე ჯავახიშვილის ვრცელი წერილი, სადაც ივანე დაწვრილებით უამბობს მასწავლებელს გერმანიაში მისი მუშაობის ამბებს. დამშვიდებული ნ. მარი, თავის მხრივ, სიამაყით მოუთხრობს ამის შესახებ ვ. როზენს.

სინას მთაზე ყოფნისას ივანეს წარმატებაზე ვ. როზენს ხაზგასმით ამცნობს თითქმის ყველა წერილში: *„ჯავახიშვილი ძალიან ბეჯითად მუშაობს; უკვე ოთხი ხელნაწერი აღწერა დაწვრილებით“. „ჯავახიშვილი მუშაობაში ძალიან ბეჯითი და ამტანი აღმოჩნდა“.*

მასწავლებელი ყველაფერს ამჩნევს და აკვირდება. ივანეს სუსტ ჯანმრთელობასთან შედარებით, ასეთი მუყაითობა მარს მართლაც აკვირვებს. ამის შესახებაც ამახვილებს ყურადღებას: *„ჯავახიშვილი მგზავრობაში სუსტი აღმოჩნდა“, „განსაკუთრებით გაუჭირდა ჯავახიშვილს: „სარდინკის“ გარდა არაფერს ჭამს“.*

ასე ზრუნავს და თავს დაჰფოფინებს მასწავლებელი თავის საყვარელ მოწაფეს. მაგრამ ნელ-ნელა მათ ურთიერთობაში ბზარი ჩნდება. თავიდან იგი უმნიშვნელოა, ძლივს შესამჩნევი, მაგრამ მერე სერიოზულ კონფლიქტად იქცევა.

ეს უმნიშვნელო დეტალი ჯერ კიდევ 1902 წელს გამოჩნდა. ივანე ჯავახიშვილმა მოიწონა ზურაბ ავალიშვილის ნაშრომი, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების სამართლებრივ მხარეს შეეხებოდა. ნიკო მარს ეს ძალიან გაუკვირდა და თავისი გაოცება წერილობით გამოხატა: *„ბოლოსღა მივიღე თქვენი აზრი ავალიშვილის წიგნის შესახებ. სამწუხაროდ ჩემთვის არ შემიძლია დაგეთანხმოთ, ვერ გეთანხმები და არა თუ ვერ გეთანხმები, ვერ გამიგია სითგან და რა გზით მისულხართ ამ დასკვნაზე? ... საბუთი თქვენ სჯასი, მე სრულებით მაშტერებს, **ნუთუ ეგეთი უფსკრული ყოფილა ჩვენ მიმართულებათა შორის**. ... ვინმე რომ უცხო ყოფილიყო, სწორედ და სწორედ ამ გვერდების გარჩევით მოგაბეზრებდით თავს, მაგრამ როგორ მოგწერო მათ შესახებ ისეთ პირს, რომელსაც ჩემი შეხედულება ასეთ ნამუშევარის მიმართ შეუძლებელია რომ არ ესმოდეს“.*

ახლა ძნელია იმის გარკვევა, თუ ვინაა ამ სამეცნიერო დავაში მართალი, რადგან არ ვიცით ივანეს არგუმენტები. თუმცა ძნელია არ დავემოწმოთ ნ. მარის კითხვას: „*წიგნი, რომლის სამი მეასედი, თუ მეტი არა, ისტორიულ და არა იურიდიულ სჯას შეიცავს, უნდა დაფასდეს, როგორც იურიდიული მეცნიერების ნაწარმოები?*“

მარი ცოტასაც ეჭვიანობს, რადგან მოწაფე მასწავლებელს მისი ყოველი განხრახვის შესახებ დროულად არაფერს ეუბნება: „*თქვენი საქართველოს ისტორიის წერის ამბავი კაი ხანია მაცნობეს. მართალი მოგახსენო, მე არ მჯეროდა, ერთი რომ თქვენ [არ] იწერებოდით, მეორე, რომ ცოტა აჩქარებულად მეჩვენა. მაგრამ ახლა ვტყობილობ თქვენგანაც დაგისრულებიათ. ალბათ ასე სჯობს. კაცმა უნდა იმუშავოს, რაზედაც გული აქვს და თავის სურვილს, მეცნიერულს სურვილს ძალი არ დაატანოს*“.

მიუხედავად ამ ეჭვებისა, ნ. მარი ამავე წერილში არც რჩევა-დარიგებას იშურებს მოწაფისადმი და არც მხრუნველობას წყვეტს. იგი ივანეს მიერ ლექციების წასაკითხად მომზადებას სთხოვს. ეტყობა ნ. მარს ივანესგან მიღებული სიახლეები უთუოდ დაძლევადი ეჩვენება და ამიტომაცაა ძველებურად ასე მზრუნველი და გულშემატკივარი. თუმცა იგი იმავე წერილში ისეთ რამესაც ამბობს, რომელიც გაფრთხილებასავით ჟღერს: „*ჩემთვის რჩება ერთი დასკვნა, რომ* ***ასეთ მიმართულებას ვერ მოგილოცავ*** *და თქვენც მხარის გაწევას მოინდომებთ ასეთ მიმართულების უღლისთვის, სჯობს თავიდგან დავშორდეთ ერთმანეთს როგორც მეცნიერების თანამშრომელნი. იქნება ასე სჯობია თქვენი აზრით, ჩემი აზრით კი ვერა*“.

სამწუხაროდ, არ ვიცით ამის თაობაზე თუ რა პასუხი გასცა ივანემ მასწავლებელს.

სამაგიეროდ ის კი ვიცით, რომ როცა საქართველოში ნიკო მარის სამეცნიერო დებულებების განქიქება დაიწყო და მას ლამის ქართველების ღალატი დასწამეს, ივანე ჯავახიშვილმა დაწერა შესანიშნავი ნაშრომი „*მამულიშვილობა და მეცნიერება*“. იგი გამოქვეყნდა 1904 წელს. მასში, გარდა იმისა, რომ ძალიან სურათხატოვნად გადმოსცა ივანემ საკუთარი შეხედულებები მეცნიერების და სამშობლოს სიყვარულის თაობაზე, აგრეთვე ბრწყინვალედ დაიცვა თავისი მასწავლებელი ნიკო მარი.

თუ ადრე მოწაფე-მასწავლებელს შორის სამეცნიერო საკითხებზე შეიმჩნეოდა აზრთა სხვადასხვაობა, მალე ამ სხვადასხვაობამ საზოგადოებრივ სფეროზეც გადაინაცვლა. იგი მოქალაქეობრივი მოვალეობის გამოხატვაში გამოჩნდა.

1905 წ. ექვთიმესადმი გაგზავნილ წერილში ნ. მარი წერს: *„სხვა აქ ჭკუა ერყევა ყველასა და მისდაგვარად საქმეც მიმდინარეობს. პროფესორებიც დასნეულდნენ და ქუჩის ბრბოს მისდევენ მყვირალა ნაწილი. მეცნიერების დარდი არავის არ აქვს. ძალიან გულნატკენი ვარ, რომ ჩვენმა ჯავახიშვილმაც ზურგი ამიქცია და თან კიდევ ჩემ წერილზე უკმაკური პასუხი მომარტყა ცხვირპირში ფოშტით. „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“.*

საქმე შემდეგში იყო: 1905 წლის იანვარში პრესაში გამოქვეყნდა პროფესორების წერილი, სადაც ისინი უნივერსიტეტში პოლიციის შეყვანას აპროტესტებდნენ. ივანე გაეცნო ამ წერილს და ბარათი გაუგზავნა გაზეთს, სადაც სთხოვდა, რომ მისი გვარიც მიემატებინათ ხელმომწერთა სიისთვის.

ეს არ მოეწონა ნიკო მარს და წერილით აცნობა: *„უკანასკნელ დროს, თითქმის ნახევარი წელია ვამჩნევ, რომ ჩვენი სამეცნიერო ურთიერთობა წყდება, რაღაც ჩემთვის უხილავი ძალით. უკანასკნელმა საუბარმა ნაწილობრივ გამოამჟღავნა ჩვენი სამეცნიერო ურთიერთობის თქვენი გაცივების წყარო. ბოლოს, თქვენი განცხადება Наши Дни-ში ჩემთვის სრულიად ცხადს ხდის, რო ჩვენ გულწრფელად არ შეგვიძლია გვერდი-გვერდ ვიაროთ ერთი და იგივე სამეცნიერო მიმართულებით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია წინანდებურად მჯიდრო თანამშრომლობით ხელი-ხელ ჩაკიდებულებმა ვიაროთ სამეცნიერო და პოლიტიკური ინტერესების დიამეტრალურად განსხვავებული გაგების გამო. ჩემი ღრმა რწმენით პროფესორების მიერ პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება ემუქრება აკადემიურ თავისუფლებას მძიმე მორალური შედეგებით. მაგრამ რადგანაც თქვენი შეხედულება განსხვავებულია, მე მიხარია, რომ ეს გამოირკვა და გისურვებთ წარმატებას ახალ ასპარეზზე“.*

ივანე ჯავახიშვილმა თავისი მასწავლებლის ამ წერილს წერილითვე უპასუხა.

„უხელ თქვენი წერილის წაკითხვის შემდეგ გაოცებული დავრჩი.

მე სუფთა სინდისით შემიძლია ვთქვა, რომ თქვენთან სამეცნიერო ურთიერთობის გაცივება არასდროს მიგრძვნია. მე, რა თქმა უნდა არ ვიცოდი, თუ რას ფიქრობდით და გრძნობდით თქვენ. მე მეჩენებოდა, რომ ჩემი პოლიტიკური მიმართულება და იდეალები თქვენთვის ცნობილი იყო ჩვენი ადრეული საუბრებიდან. ყოველ შემთხვევაში, მე არ შემეძლო მეფიქრა, რომ ერთობლივი სამეცნიერო მუშაობის შესაძლებლობის მოთხოვნა, რომ ხელი-ხელ ჩაჭიდებულად გვევლო ერთი და იგივე სამეცნიერო მიმართულებით, შესაძლებელია ისე შორს წასულიყო, რომ ჩემი პოლიტიკური და მორალური შეხედულებების ნიველირება უნდა მომეხდინა და თქვენეულთან შემეთავსებინა. ***მე ყოველთვის გამოვყოფ ერთმანეთისაგან სამეცნიერო შეხედულებებს პოლიტიკური ინტერესებიდან. ჩემი წერილი „ჩვენი დღის“ რედაქციისადმი წარმოადგენს პარტიულ ბრძოლაში არა ჩაბმას, როგორც ამას თქვენ ფიქრობთ, არამედ სამოქალაქო მოვალეობის ასრულებას, როგორც სახელმწიფოებრივი ცხოვრების მსგავს მომენტებში ევალება თითოეულ მოქალაქეს — ასეთია ჩემი ღრმა რწმენა —*** *გარკვეულად თქვა ამა თუ იმ მხარეზე, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩემი საქციელი ყველაზე ნაკლებ ემუქრება „აკადემიურ თავისუფლებას“, რომელიც ფაქტობრივად, როგორც ცნობილია, არც არსებობს“.*

ტონი სრულიად ადეკვატურია, მაგრამ მასწავლებელს იგი მაინც საწყენად დარჩა. *„უკმაკური პასუხი მომარტყა ცხვირპირში ფოშტით“*-ო, ბრძანებს ნიკო მარი, მაგრამ მას ავიწყდება, რომ ასეთივე „უკმაკურია“ მისი წერილის შინაარსიც. იქნებ მასწავლებელი ფიქრობს, რომ მოწაფე მის წინაშე ყოველთვის თავდახრით უნდა იდგეს და ყველაფერში მას უნდა ეთანხმებოდეს, მისი სურვილის უსიტყვო შემსრულებელი იყოს.

ნიკო მარის პოზიციას არც მისი მეგობარი ექვთიმე თაყაიშვილი იზიარებს. იგი ივანეს მხარესაა. მარის ერთი წერილის საპასუხოდ იგი წერს: *„შენ მწერდი, ჯავახიშვილი ფეხის ხმას აყვაო, მოძრაობაში მონაწილეობა მიიღოო, მე მოგწერე ეს მე მესმის-მეთქი, ეხლა რომ დროა ყველამ ხელი უნდა შეუწყოს, რომ არსებული მმართველობა დაამხოს-მეთქი. იქნება ასეთი დრო აღარ მოგვესწროს-მეთქი. შენ იწერები: რას მოელით, ქართველები კონსტიტუციითაო? მე გიპასუხებ: რაც გინდა სუსტი კონსტიტუციაც მიეცეს*

რუსეთს, ყველასათვის ცოტა მაინც სასარგებლო იქნება და თუ ქართველობა ვერაფერს ვერ მოიხმარს და მოსასპობია, ამ არსებულს სისტემაში უფრო მალე მოისპობა, ვიდრე კონსტიტუციის დროს“.

ასეა თუ ისე, განსხვავებული პოზიციები უკვე გამოიკვეთა და ხმამაღლადაც ითქვა. ამის მერე ისინი კვლავაც ურთიერთპატივისცემით არიან გამსჭვალულნი, მაგრამ ოდინდელი სიახლოვე აღარ არის. ისინი ახლა მხოლოდ თანამშრომლობენ, უზიარებენ ერთმანეთს თავინთ აზრებს, ეხმარებიან კიდევაც, მოიკითხავენ...

ივანე ჯავახიშვილის სადისერტაციო ნაშრომის თემად ისეთი საკითხი იქნა შერჩეული, სადაც სომხეთსა და საქართველოზე ერთნაირად იქნებოდა საუბარი. მას ერქვა „*სახელმწიფო წყობილება ძველ სომხეთსა და ძველ საქართველოში*“. ამ დისერტაციის დაცვა 1907 წ. შედგა. ნიკო მარი ერთ-ერთი ოპონენტი იყო და დაცვამაც წარმატებით ჩაიარა. თუმცა ამის თაობაზე ნიკო ექვთიმეს შემდეგს წერს: „*ივ. ჯავახიშვილმან, საუბედუროდ, პირველი კვერი უმი გამომიცხო: ჩაიარა მისმა დისერტაციამ*“.

თუ რა არ მოეწონა ნიკო მარს, ამის შესახებ არაფერს ამბობს. შესაძლოა ნაშრომში გამოთქმული სამეცნიერო დებულებები მართლაც არ მიაჩნდა დამაჯერებლად. ნიკო ძალიან კრიტიკული მეცნიერი იყო და რასაც ზ. ავალიშვილის ნაშრომისადმი ივანეს დამოკიდებულებას განსხვავებულ მიმართულებად მიიჩნევდა, იქნებ ამ შემთხვევაშიც ამ აზრის დამადასტურებელი დებულებები იპოვა ივანეს შრომაში? ალბათ, ასე იყო, თორემ არ იტყოდა, რომ მოწაფემ „*პირველი კვერი უმი გამომიცხო*“-ო. ეს მასწავლებლის გულწრფელი ნათქვამია. ოფიციალურად კი აი, რა მისწერა მარმა მოწაფეს:

„*თქვენი დისერტაცია დაგვიანებით მივიღე... მას დიდი ინტერესით გავეცანი, თუმცა უმეტესი ნაწილი ჩემთვის ნაცნობი იყო, მაინც ძალიან დამენანა მალე რომ დამთავრდა. დიდი სიამოვნებით წავიკითხე. რა თქმა უნდა, პრობლემები და ხარვეზები გვხვდება. ამ პრობლემებით ჩანს არც თქვენ ხართ კმაყოფილი, რაც თავადაც მოგეხსენებათ. მაგრამ არის პრობლემათა რიგი, რომლებიც თქვენზეა დამოკიდებული, მათ შესახებ დისპუტზე მოგახსენებთ. ... მთლიანობაში ნაშრომით კმაყოფილი ვარ, მიხარია მისი დროული გამოჩენა*“.

თუ მართლა უხარია მარს ივანეს ნაშრომის დროული გამოჩენა, რომლის წაკითხვამ ისე გაიტაცა, რომ მალე დამთავრება დაენანა, მაშინ როგორღაა ასეთი ნამუშევარი „უმი“? იქნებ მარის ამ შეფასებას სამეცნიეროს გარდა, სხვა პიროვნული ფაქტორები განაპირობებს?

ნ. მარი 1908 წელს დაწერილ ერთ წერილში ექვთიმე თაყაიშვილს გულისტკივილით შესჩივლებს: „*ჯავახიშვილის ამბავს ნუ მეუბნები. წარმოიდგინე, ორი თვეა თითქმის რაც დავბრუნდით, მისი ფეხი არ მინახავს ჩემ სახლში. რა ჩემი შაგირდობა არის ისეთი შაგირდობა, ან რა უბედური კაცისშვილი შევიქენი, რომ მეცნიერული განწყობილება ჩემთან შეუძლებელი იყოს ამდენად (ოჯახურს და პიროვნულს ხომ არავის ვაძალებ)*“.

გულწრფელად წუხს მასწავლებელი და არ შეიძლება მას არ თანავუგრძნოთ. ამის თაობაზე ჩვენ ივანესგან არაფერი ვიცით. ამიტომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ ვინაა მართალი, ძნელი სათქმელია. მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის, რომ ეს დიდი მეცნიერი ხშირად ცალმხრივია. მარის მიკერძოებულობას ერთი მაგალითი კარგად გვიხასიათებს.

ნიკო მარი თბილისში ჩამოვიდა და ამის შესახებ წინასწარ თავისი შვილის იურის მეშვეობით გააფრთხილა ექვთიმე. იგი მას სადგურში უნდა დახვედროდა. მათი შეხვედრა ვერ მოხერხდა და გაბრაზებული ნიკო მარი წერს ექვთიმეს: „*ძალიან ვიწყინე, რომ თფილისში არ მნახე, გიცადე ხუთი საათი სტანციაზე (შვილმა ხომ დაგიტოვა ცნობა, შინ თვითონ ვერ გნახა)*“.

ახლა საპაუხო წერილი ვნახოთ. იგი გვეტყვის სიმართლეს: „*ჩემი შენ გითხარიო და გული მოგიკალიო, ისეა შენი საქმე. იური ყოფილიყო ჩემს ბინაზე და დაუტიებია წერილი, რომ შენ პირველს იქნები თბილისში 6-დან ათს საათამდის ღამისა. პირველს თუმც ბევრი საქმეები მქონდა, მაგრამ მაინც წამოვედი ვაგზალზე, გეძებე ბუფეტებში, უბორნიებში, პლატფორმაზე და ვაგონებში, არსად არ იყავი, საათნახევარი ბუფეტში დავრჩი, შემდეგ სტანციის მახლობლათ სასტუმროებში გეძებე და რაკი ვერ გნახე, გადავწყვიტე, რომ შენ ან ვერ მოასწარი იმ დღეს ჩამოსვლა, ან იურიმ რიცხვი მართლად ვერ გვაცნობა*“.

როგორც ჩანს, შეხვედრის დღე აერია ნ. მარს და ყველაფერი ექვთიმეს გადააბრალა.

ნიკო მარი და ექვთიმე თაყაიშვილი უახლოესი და უსაყვარ-ლესი მეგობრები იყვნენ. ისინი ერთმანეთს თავიანთ წერილებში ძმას უწოდებენ და საოცარი სითბოთი არიან ერთმანეთის მიმართ გამსჭვალულნი. ნიკო ფხუკიანია, ექვთიმე კი შედარებით დინ-ჯი. მარი მაინც თავის სიმართლეშია დაჯერებული, ექვთიმე კი მას უხსნის, ამშვიდებს, არიგებს. ექვთიმე ცდილობს, როგორმე დააშოშმინოს ფიცხი მეგობარი და ახლობლებთან ურთიერთობა გაუადვილოს.

ექვთიმე ივანესთან ურთიერთობის შესახებაც ანალოგიურად იქცევა: შენთან *„დაშორება მას (ივანე ჯავახიშვილს) სარგებლობას არ მოუტანს. იქნება რაიმე უბრალო მიზეზია, ის ეჩვენება შენის მხრით, რაც არ არის, და ისევ შენ გაუადვილე შენთან წინანდებურათ დაახლოვება“*.

ექვთიმე ასე ფიქრობს, მაგრამ სინამდვილეში მოწაფესა და მასწავლებელს შორის შეხედულებათა დაცილება სახეზეა. იგი მართლაც აძნელებს მათ ურთიერთობას. ნიკო მარი კი ადანა-შაულებს ივანეს, მაგრამ ამ დაცილებას თავადაც აღრმავებს.

1916 წელს პეტერბურგის აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართული სიტყვიერების კათედრაზე ნიკო მარის მონ-დომებით მეორე პროფესორის თანამდებობა დაწესდა. პირველი თავად ნიკო მარს ეჭირა. ამ ახლად დაარსებულ თანამდებობა-ზე არჩეულ იქნა ივანეს თანაკურსელი და მეგობარი ნიკოლოზ ადონცი. ამ ამბავმა საქართველოში სკანდალის ფორმა მიიღო. გაზეთები „ჩვენი მეგობარი“ და „საქართველო“ გამოეხმაურნენ ამ ფაქტს. მიიჩნევდნენ, რომ პროფესორის ეს ადგილი ეკუთვნოდა ივანე ჯავახიშვილს. ამ უკანასკნელმა ვითარების განსამუხტავად გაზეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციას წერილი გამოუგზავნა. მან უარყო ხმები, თითქოსდა ვინმემ შეგნებულად აუარა გვერდი მას. ამით მან ნამუსი მოწმინდა ნიკო მარს. მაგრამ ამ ოფიციალურ წერილს განმარტების სახით კერძო წერილიც მოაყოლა გაზეთის თანამშრომლისა და სტუდენტობისდროინდელი მეგობრის სამსონ ფირცხალავას სახელზე, სადაც ვკითხულობთ:

„ძვირფასო ძმაო სამსონ!

შენ და სხვებიც ალბათ გაკვირვებული იქნებით იმ ცნობით, რომელიც „ჩვენს მეგობარში“ და „საქართველოში“ იყო დაბეჭდი-

ლი. „საქართველოს“ ტლანქი გამოქომაგების შემდეგ მე, რასაკვირველია, ზნეობრივი უფლება არ მქონდა გავჩუმებულიყავ და ამიტომ ამ წერილს გიგზავნი „სახალხო ფურცელ“-ში დასაბეჭდად. ძალიანა გთხოვთ, საჩქაროდ მოათავსო გაზეთში და ყურადღება მიაქციო, რომ კორექტორული შეცდომები არ შეიპაროს. ოფიციალური აღწერილობა ამ ამბისა ჩემს წერილშია, მაგრამ ის, რაც უფრო სამწუხაროა და უმთავრესი მიზეზი, რომელიც ნ. მარს იმგვარად ამოქმედებს, როგორც ის მოიქცა, მე ჩემს წერილში, რასაკვირველია, აღნიშნული არა მაქვს. როდესაც ვნახავთ ერთმანეთს, მაშინ პირადად გიამბობ ყველაფერს.

სასურველი არ არის, რომ გახმაურდეს. მაგრამ შენ, როგორც ამხანაგსა და მეგობარს, მოკლედ გეტყვი, რომ ის რაც მოხდა, მარის მხრივ თავისებური საპასუხო მოქმედებაა იმ მიმართულების წინააღმდეგ, რომელსაც მე მივდევ და, ჩემდა საბედნიეროდ, ყველა ჩვენი მოწაფეები იზიარებენ. მარის მხრივ ერთგვარი შურისძიებაა, რადგან დარწმუნდა, რომ ის თავის მიმართულებით სრულიად განცალკევებული დარჩა. არც ფაკულტეტი, არც სომხები და არც ნ. ადონცი აქ არაფერ შუაშია. თვით ადონცი მარს სრულებით არ თანაუგრძნობს, ჯერჯერობით ესეც კმარა. მე გთხოვ, ეს არ გახმაურდეს. როდესაც დრო იქნება, მაშინ ყველაფერს გამოვარკვევ. რაც უნდა ქნას, ***მე ჩემს გზას არ ავურევ და მიმართულებას არ შევცვლი არასდროს. მე პატივმოყვარე არ ვყოფილვარ და თუნდაც რომ იმდენი მოახერხოს, რომ მე პროფესორობა არ მელირსოს, მაინც არ ვინანებ და ჩემს რწმენას არასდროს არ ვუღალატებ*** *“.*

ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობის გაფუჭებაში ყველაზე გადამწყვეტი როლი უნივერსიტეტის საკითხმა ითამაშა. ნიკო მარი, როგორც დიდი გაქანების მეცნიერი, მეცნიერებას ეთაყვანებოდა და ცდილობდა ყველა მისი გაზრდილი საკუთარ ფრთებს ქვეშ ჰყოლოდა. მარის ეს სურვილი სწორედ ამ საკითხმა გახადა თვალსაჩინო. მისი ბუდე კი პეტერბურგის უნივერსიტეტი იყო და, როგორც გამოჩნდა, სხვაგან არსად წასვლა მას უკვე არ სურდა. მოვიხმოთ ფაქტები.

1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა, გ. თუმანიშვილმა და მ. თამამშევმა შეძლეს თბილისში დაეარსებინათ სახალხო უნივერ-

სიტეტი, რომელსაც ცოდნის უმაღლესი კურსები ერქვა. სწორედ ამ კურსებზე ექვთიმე თაყაიშვილმა ნ. მარს რამდენიმე ლექციის წაკითხვა სთხოვა. ბაქოში მყოფმა ნიკო მარმა თავისი ექსცენტრულობით უპასუხა: *„შემდეგ კიდეც რომ ჩამოვსულიყავ თფილისში, რა უნდა მექნა? ლექცია წამეკითხა? რომელი ლექცია? ... საუნივერსიტეტო ლექციისათვის მანდ, თფილისში, ვითარცა აქ ბაქოში, მასალას ვერ ვხედავ. ეს ერთი. და თან ორი სამი დღით უნივერსიტეტ[ის] კურსი ვერ დამთავრდება, ხოლო მე მეტი დრო არა მაქვს, მე საუნ[ივერსიტეტო] ლექციებს უნივერსიტეტში ვკითხულობ და არავითარი ზნეობრივი უფლება არ მაქვს (ფორმალურადაც რომ არ დავხედოთ საქმეს) სტუდენტების ლექციებს გამოვექცე პ[ეტერბურ]გიდან და თფილისში გავხსნა საკუთარი სასმენელი. ესეც უნდა ვსთქვა, რომ კურსების კითხვისა მე არას დროს თანხმობა არავისთვის არ მიმიცია თფილისში და მაღალ კურსებზე კავკაზის შესწავლისა აწ ხომ უბრალო ლექციასაც არ წავიკითხავ, არც ერთს, არც ნახევარს, ყოველ საქმეს პატიოსნება სჭირია, ხოლო მეცნიერებას კიდევ მეცნიერული განსაკუთრებით სიფაქიზე და რასაკვირველია ცოდნა“.*

მარის ეს ბოლო ფრაზა ცამდე მართალია, მაგრამ როგორ ებმის იგი წინას? რა შუაშია აქ პატიოსნება ან ცოდნა? რატომაა მარი ასე გაღიზიანებული? როგორც ეტყობა, მარმა იგრძნო ის, რასაც ნიშნავდა ეს კურსები და ამის გამო გაბრაზდა. ასეთ ეჭვს ექვთიმეს საპასუხო წერილი გვიჩენს. მარის უარზე თბილისის კურსებზე ლექციის კითხვის გამო, ექვთიმე პასუხობს:

„აქაური კავკასიის კურსებზე არამეცნიერები შევიკრიბეთ და ზოგჯერ რომ „ჟულიკებს“ იწვევენ (მე ღვთის მადლით მაგის მოწვევაში წილი არ მიძევს), ამაში გეთანხმები, მაგრამ კურსებს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ***უნივერსიტეტის გახსნის დასაჩქარებლად****. აქაურმა მთავრობამ ასე შეხედა კურსებს, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ასე მოეჩვენა კურსები — ეს არის საზოგადოებამ მართებულობის დაუხმარებლად უნივერსიტეტი დაარსესო და ამიტომ სჯობია, მართებულობამ გახსნასო. მე საიდუმლოთ გადმომცეს ნამდვილი წყაროდან, რომ ნამესტნიკის ნება დართვით შემუშავებულია პროექტი, უნივერსიტეტისათვის დაუთმონ მეორე გიმნაზიის შენობა, მოსპონ კავკასიის სტიპენდიები უმაღლეს*

სასწავლებლებში და საშუალო სასწავლებლებში და ეს ფული მოახმარონ უნივერსიტეტს. პირველად უნდა გახსნან ფილოლოგიური ფაკულტეტი. აღმოსავლეთის ენების, ფილოლოგიის და ისტორიის განყოფილებით, და აგრეთვე ფიზიკა-მატემატიკური ფაკულტეტი. არ ვიცი განხორციელდება ეს თუ არა, მაგრამ ეჭვი არ არის „კურსებმა“ დააჩქარა ეს საქმე. მზრუნველი [შენიშვნა: 1908 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იყო ნ. რუდოლფი] *დადის ზოგიერთ ლექციებზე და ამბობს, თანაუგრძნობს უნივერსიტეტის გახსნის დაჩქარებასო. რომ შენ დრო არა გაქვს, მე კარგათ ვიცი, მაგრამ საქმეც არის და საქმეც. ავიღოთ მაგალითი: მე ეხლა ვკითხულობ თქვენ გაწიმაწიას ქართველი ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. შენს იქ დასწრებას და მოხსენებებს ათის წიგნის გამოცემაზე მაღლა ვთვლი. რა იქნებოდა რომ არ მიშველებოდი. ჩვენი არას მცოდნე ეფისკოპოსები გალანძღული და ამოძუებული წამოვიდოდნენ, დამტკიცდებოდა, რომ ქართველებს ავტოკეფალია არ ჰქონებია და მაგ. პროვოკატორების კომისიას პასუხის გამცემი არ ეყოლებოდა. ამისთანა დროს სხვა საქმე უნდა დატიო ისე, როგორც დაგიტოვებია და ჩვენთვის თავი მოგიბია. ასე არის, ვისაც მეტი აქვს, მეტი მოეთხოვება! აქაც შენს ლექციის წაკითხვას, ჩემის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს. შენ დიდი სახელი გაქვს შეგნებულს ნაწილში საზოგადოებისა. კურსებს ასწევს ზევით შენი ლექციები და ბევრს დაანახვებს, თუ როგორ უნდა მეცნიერული კითხვა, ეხლა ვინც მაზურკებს ტაშს უკრავს, დაფიქრდება და ავს და კარგს გაარჩევს, უნივერსიტეტის გახსნაში უნდა ამ მხრით დაგვეხმარო, თუ მოახერხებ და ერთ-ორ ლექციას წაიკითხავ, მე მგონია ამას დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ (ჩათვლი) საჭიროთ, ძალას რასაკვირველია არავინ დაგატანს“.*

ნიკო მარმა, როგორც მისი წერილებიდან ჩანს, ექვთიმეს ეს მოსაზრებები უყურადღებოდ დატოვა და სხვათა შორის უარი თავის მართლებით თქვა: *„თუ ღმერთი გრწამს ლექციების და სტატიების ამბავს ნუ მიმეორებ. აქეთ სემიტურ ენათა თანა ქართულის ნათესაობა, იქით ანისი და მისი გათხრა, შუაში ლექციები, ყოველ მხრით სალიტერატურო და საკულტურ-ისტორიო საკითხები... სად მაქვს დრო ან მოცლა, ვისმე რამეში წავადგე“.*

საკითხი ნათელია: „*სად მაქვს დრო ან მოცლა, ვისმე რამ-ეში წავადგე*“. მარი მართლა ძალიანაა დაკავებული. მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ მას არ სურს იმ საქმეში მიიღოს მონაწილეობა, რომელიც თბილისში უნივერსიტეტის გახსნას ითვალისწინებს.

ეს 1907 წლის ამბები იყო და მით უმეტეს 1917 წელს, როცა უფრო რეალური შეიქმნა თბილისში უნივერსიტეტის დაფუძნება, მარმა მოთმინება დაკარგა. მით უმეტეს, როცა მისივე აღზრდილები ხელიდან ეცლებოდა.

ცუდია და სამწუხარო, როცა მოყვარე თავისი მოქმედებით მტრის წისქვილზე დაასხამს წყალს. ასე მოუვიდა დიდ მეცნიერსა და ივანე ჯავახიშვილის მასწავლებელს ნიკო მარს. **იგი შეშფოთებული იყო მის მიერ პეტერბურგში დაარსებული სამეცნიერო სკოლის დანგრევით. მისი აღზრდილები ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე და კიდევ არაერთი მომავალში ცნობილი მეცნიერი — იუსტინე აბულაძე, სპირიდონ ლომია, გიორგი ჩიტაია, ტოვებდა იმპერიის სატახტო ქალაქს და თბილისში მოდიოდა**. ძნელია მართლაც ამ პროცესებს მშვიდად უყურო. ნიკო მარი მრავალი წლის მანძილზე დაუღალავად ზრდიდა სამეცნიერო კადრებს, ზრუნავდა მათზე და მეტად სახელგანთქმული კერაც შექმნა.

ახლა კი მისი შევარდნები ამ ბუდეს ტოვებენ.

ძნელია გული არ გეტკინოს.

შესაძლოა წყენაც დაგეტყოს — შენს მიერ დაფრთიანებულები გტოვებენ! მაგრამ, მათაც ხომ უნდა გაუგო? ისინი ხომ უმადურები არ არიან და ზურგს კი არ აქცევენ დიდ მასწავლებელს, არამედ სამშობლოს უბრუნდებიან. შვილები სამშობლოში მოიჩქარიან და თავიანთ ვალს იხდიან, თანაც კეთილშობილურს: ახალ სამეცნიერო კერას უყრიან ფუძეს.

სამწუხაროდ, ნ. მარს გაუჭირდა ამის გაგება.

დადგა 1917 წელი.

რუსეთის მონარქია დაემხო.

ნიკო მარი ერთობ სევდიანი განწყობილებით ულოცავს ამ ფაქტს ექვთიმეს: „*თავისუფლებას გილოცავ, მაგრამ რას შეირჩენს ქართველობა, თუ უფრო ხმაურობას მოჰყვა, ვიდრე საქმეს, საკითხია. ძველი ფსიქოლოგიის გაქარწყლება არის საჭირო ყველაზე უმალ*“.

სიმართლეს კი ამბობს მარი, მაგრამ ეტყობა სულაც არაა აღფრთოვანებული მომხდარი ფაქტით. თუ გავიხსენებთ მის ზემომოყვანილ წერილს კონსტიტუციაზე, მარის ეს განწყობილება გასაგები გახდება. ამ წერილის თარიღია: 1917 წლის 15 მარტი. იქვე ამბობს: *„მე მინდა ინსტიტუტი დავაფუძნებიო და იმედია ისე მხარს მომცემთ, რომ ყველასათვის სასარგებლო დარჩეს“*. მარი გულისხმობს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტს, რომელიც ოფიციალურად დაფუძნდა თბილისში 1917 წლის 27 ივნისს. მის დირექტორად დაინიშნა ნიკო მარი, მოადგილედ კი ექვთიმე თაყაიშვილი. ინსტიტუტი უძნელეს პირობებში ფუნქციონირებდა და საკმაო ხანს იგი ექვთიმეს საკუთარ ბინაშიც კი ჰქონდა შეფარებული.

ამდენად, 1917 წლის 15 მარტია და ნიკო მარი პეტერბურგიდან თბილისში კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დაარსებაზე ზრუნვას იწყებს.

ქართველთა მეორე ჯგუფს კი ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით უკვე იგივე პეტერბურგიდან იგივე თბილისში უნივერსიტეტის დაარსებაზე ზრუნვა დაწყებული აქვს. 1917 წლის 1 მარტს ივანეს ბინაზე მისი თანამოაზრეების პირველი შეკრება უკვე ჩატარებულია. ნიკო მარი, რა თქმა უნდა, აქ არ ყოფილა. როგორც ჩანს, ივანემ და მისმა ჯგუფმა იცის მასწავლებლის პოზიცია და მას ამ საკითხზე არაფერს ეუბნებიან.

პირველი მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, მეორე კი სამეცნიერო და სასწავლო-საგანმანათლებლო.

პირველი მთელი კავკასიის მომცველია და მეორე კი მხოლოდ საქართველოსი;

პირველი რუსულენოვანია და მეორე კი ქართული;

პირველი მხოლოდ სამეცნიერო ინტერესებს ემსახურება, მეორე კი სამეცნიეროსთან ერთად ეროვნულ სატკივარის მკურნალობას ისახავს მიზნად.

ნიკო მარმა, ეტყობა უნივერსიტეტის თაობაზე ჯერ არაფერი იცის. ჩვენ არ ვიცით, როდის შეიტყო მან ამის შესახებ, მაგრამ ის კი ვიცით, რომ მის მიმართ მტრული პოზიცია დაიჭირა. დიახ, მტრული. მან ყველაფერი სცადა ამ საქმის ჩასაშლელად. თუმცა მის ამ ძალისხმევაზე არაფერს სწერს თავის მეგობარს. გადავავლოთ თვალი მისი წერილების რეტროსპექტივას.

ნიკო მარი ექვთიმე თაყაიშვილს:

- 1917 წლის 7 ოქტომბერი: „*აქ ათასი საქმე, ათასი სამუშაოა, ძალიან ვწუხ, დასამარცხებელ გზას ადგიან ჩვენები*“. „დასამარცხებელ საქმეში“ მარი ქართული უნივერსიტეტის დაარსებას გულისხმობს;
- 1917 წლის 29 ოქტომბერი: „*მე მაინც მიკვირს საზოგადოებათ გულგრილობა წარუვალზე, მხოლოდ ხრწნადზე ზრუნვა და ხრწნადი გზით ვლა ან კიბოჩხალის დახავსებული მიმართულებით მოქმედება. ეკლესიის საქმე გააძნელეს. ახლა ხომ კავკასიის მეცნიერულ შესწავლას ეღობებით წინ, შენც თურმე წარძღოლილხარ ასეთ ქართულ უნივერსიტეტის გამართვას*“. ნ. მარის აზრით, „ხრწნადზე ზრუნვა“ და „კიბოჩხალის დახავსებული მიმართულებით მოქმედება“ ყოფილა ქართული უნივერსიტეტის დაარსება;
- 1917 წლის 30 ნოემბერი: „*საქმეებზე ახლანდელზე არაფერს არ ვწერ, რადგან, რაც აქ წარმოებს იგივე მაქსიმალისტობა არის მანდაც, კარგად ცნობილი, სულ ერთია სოციალური მოსაზრებით გაჟღენთ თუ ნაციონალური თუ იმპერიალისტური, ყველა ერთგვარად ორპირში თავსლაფდასხმულ რიონს მომაგონებს, დანგრევაზე კაი ბიჭი, ზოგჯერ მთებსა უქადის წალეკვას და ზვიადდება და ზვიადდება და რომ საკვები გამოეცლება, თავის ძველ კალაპოტსაც ველარ აავსებს. მახლას, სომხები რომ იტყვიან. ერთი სანუგეშოა რომ მეცნიერება მაინც დარჩება, როგორც მიწა იტრიალებს და მზე თავის სინათლეს არ მოიშლის, ვერც მოიშლის, ოღონდ მათ რა [ვ]უთხრა, ვინც მეცნიერების გამო ხილული წმიდათა სიწმინდეს ზურგი უქციეს?*“ მისმა მოწაფეებმა თურმე „ხილული წმიდათა სიწმინდეს ზურგი უქციეს“;
- 1918 წლის 11 იანვარი: „*ამბებს არაფერს გწერ, რადგან ასეა საქმე — დღეს ცოცხალი, ხვალე ვინ იცის, მაგრამ სანამ სული მიდგია, თავის საქმეს არ შეველევი; ძალიან მწყინს, რომ მოწაფეებმა, ჩემმა აქაურ მეცნიერულ საქმეს გულგრილობით (თუმცა არა განზრახ, მაინც საქმით) უღალატეს*“. ივანეს წამოწყება მარისთვის ღალატია!

ახლა ექვთიმეს პასუხებიც ვნახოთ:

- 1918 წ. 24 მარტი. „*ქართული უნივერსიტეტი იანვარში გაიხსნა. ძრიელ კარგათ მიდის, მსმენელები ხუთასზე მეტია და სხვებს უარი უთხრეს უადგილობის გამო. ჯავახიშვილი ბევრს მუშაობს, სხვებიც ძრიელ გულწრფელად ეკიდებიან საქმეს. ისე კითხულობენ ქართულად ლექციებს, თითქო ოცი წლის პრაქტიკა ჰქონდეთ. შენი იმედი გვაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს აქ, სამშობლოში, მოკალათდები და ჩვენს უნივერსიტეტს დაამშვენებ, თუ ფიზიკურად არ გავნადგურდით და ამ ქარტეხილს გადავურჩით*“;
- [1921.] „*შევიტყვე რომ პარიზში ყოფილხარ და ამ წერილს, საჩქაროთ გწერ, ჩვენ ევაკუაცია მოვახდინეთ ზოგიერთი სამუზეუმო და საეკლესიო ნივთებისა. ... ჩემის აზრით შენი აქედან ტფილისში გამგზავრება აუცილებელია და თუ პეტერბურგში მოგიხდება წასვლა, ბევრათ ჯობია, ტფილისიდან წახვიდე, სამეცნიერო დაწესებულებებს შველა უნდა და შექმნილი პირობების მიხედვით ეს ეხლა შენ ყველაზე უკეთ შეგიძლია, ვინაიდან ახალ მოვლენილ პატრონებთან კარგი განწყობილება გაქვს*“;
- 1922 წ. 26 ნოემბერი. „*საქართველოდან შენ ეხლა მეტი ცნობა გექნება უნივერსიტეტის და არქეოლოგიური ინსტიტუტის შესახებ, ვიდრე მე მაქვს და გთხოვ მაცნობო. მე მეგონა შენ ერთს ჩახვიდოდი მაინც საქართველოში*“;
- 1925 წ. 5 მაისი. „*რაც შეეხება ლექსიკონის შედგენას, ყოველ შემთხვევაში მის დაწყებას, მე იმედი მაქვს, შენ მაინც შეუდგები, იმ საარაკო სიმხნეს და მუშაობას, რომელსაც შენ იჩენ და ეწევი, მე მგონია ეს საქმეც არ დარჩება მიგდებული, ვინაიდან სხვა არავის არ ძალუძს შენსავით იმ საქმის გაძღოლა, რასაკვირველია ამ საქმეში საჭირო მთელი ჯგუფი, მთელი გუნდი მუშაკთა და სამწუხაროა, რომ კონფლიქტი გაშორებს შენ მიერვე აღზრდილს და გაწვრთნილს თანამშრომლებს, შენს შეგირდებს. უნდა ვეცადოთ, რომ მოძღვარ-მოწაფეთა შორის ისევ დაახლოვება დამკვიდრდეს, ნუ ენდობი მათ, ვინც ხელოვნურად*

ამწვავებს საქმეს თქვენს შორის. შენ არ გყავს მოწინააღმ-
ღეგენი, რომელნიც საერთოდ შენს ტიტანიურ სამეცნიერო
შრომას არ აფასებდნენ და თუ სხვა რამეში და ზოგიერთ
დარგში თეორიისა და ან ამა თუ იმ ნაწილში ამ თეორიისა
არ გეთანხმებიან, ეს კიდევ არ ნიშნავს შენი სამეცნიერო
ღვაწლის საერთო განქიქებას. ცუდ დროში ვიმყოფებით და
ქვემძრომნი სარგებლობენ ამით. მასწავლებელს ხომ მეტი
სიმშვიდე მართებს, ვიდრე შეგირდებს“.

დავტოვოთ ორი მეგობრის წერილების ეს ამონარიდები უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის შესახებ უკომენტაროდ და კვლავ მოვლენათა განვითარებას მივყვეთ.

ნიკო მარი პეტროგრადიდან 1923 წლის 14 ნოემბერს წერილს უგზავნის ივანე ჯავახიშვილს, სადაც თბილისის უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვის სურვილს გამოთქვამს. აი, ეს წერილი:

„პატივცემულო ბ-ნო ივანე,

იქნება დრო ვიხელთო და საშვალება საქართველოში ჩამოსასვლელათ. მაშინ, რასაკვირველია, თფილისშიც შემხვდება რამდენიმე დღით მაინც ჩამოხტომა. გთხოვთ, გულწრფელათ მაცნობოთ, სასურველია თუ არა იაფეტურ ენათმეცნიერებისაგან ერთ და ერთ დღევანდელ მიწევნილებაზე ლექცია წავიკითხო უნივერსიტეტში (ქართულათ, საგულისხმოა); თუ იქნება ტექნიკურადაც მოუხერხებელია ან სხვაფრივ, ისიც მაცნობეთ, ქრისტესშობისთვის დამლევს ვერ მოვასწრობ, იმჯობინებს იანვრის მიყოლა, თუთხ[მ]ეტიდან რომ დაიწყება სწავლა.

დროზე შემოტყობინებას ვითხოვ, რადგან მომზადება დამჭირდება. მთელი კურსის წაიკითხვას ახლახან ვერ ვიკისრებ. ნამეტანი მოწყვეტილი ვართ მანდაურობაზე და მსმენელთა მომზადებულობა და ინტერესის მიმართულება უსათუოთ საჭირო კურსის ამოსარჩევათ. იქნება ჩამოსვლამ და მუსაიფმა ამ მხრითაც რამე მასალა მომცეს სამერმისოთ.

თუმცა სხვაფრივ მოაზრე
სულ იგივე და იმასვე
მსურველი, რასაც თქვენ მიელტვით.
ნ. მარრი“.

1923 წლის 11 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილმა, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საპასუხო წერილი გაუგზავნა ნიკო მარს. წერილი კი დაწერილია 7 დეკემბერს.

ადვილი არ იქნებოდა ივანესათვის ამ წერილის დაწერა. იგი ხომ თავის მარჯვენას სიხარულით არ აგებებდა მასწავლებლის გამოწვდილ ხელს, რომელსაც, მიუხედავად ყველაფრისა, ახლა გაუჩნდა სურვილი მის მიერ უარყოფილ უნივერსიტეტში წაეკითხა ლექციები. ივანეს საპასუხო წერილი მისი პირუთვნელობისა და პრინციპულობის ნიმუშია და მას სრული სახით მოვიყვან:

„აკადემიკოსს ნიკო მარრს
პატივცემულო ბ-ნო ნიკო

თქვენი წერილის მიღებისთანავე მისი შინაარსი ვაცნობე ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიას და შევეკითხე „სასურველია თუ არა იაფეტურ ენათმეცნიერებისაგან ერთ და ერთ დღევანდელ მიწევნილებაზე ლექცია რომ ყოფილიყო ჩვენს უნივერსიტეტში თქვენს მიერ ქართულად წაკითხული“. თქვენი თხოვნის თანახმად გაცნობებთ სრულებით გულწრფელად კოლეგიის საერთო აზრს და პასუხს. ჩვეულებრივს პირობებში უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგია სიამოვნებით შეეგებებოდა ამ სურვილს თქვენი „სხვაფრივ მოაზრეობისდა“ მიუხედავად, მაგრამ თქვენ მიერვე შექმნილ პირობებში პროფესორთა კოლეგიას თქვენი სურვილის დაკმაყოფილება სრულებით შეუძლებლად მიაჩნია. ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების გამზრახვას მთელ რუსეთში არავინ არ შეხვედრია ისე მტრულად, როგორც თქვენ, 1917 წლიდან მოყოლებული არავის თქვენებრ თავგამოდებით არ უწერია და უბრძოლია სათანადო წრეებში ამ წმინდა კულტურული საქმის პოლიტიკურ საკითხად გადასაქცევად, მისი სახელის გასატეხად და ჩასაშლელად.

განმაცვიფრებელი და ბევრი ჩვენთაგანისათვის ფრიად სამწუხარო გარემოება იყო, რომ ასეთი წმინდა და უანგარო საქმე თქვენთვის გაუგებარი გამოდგა, რომ როგორც საქართველოს, ისე სომხეთის კულტურული აღორძინებისა და განახლების კერისათვის საძირკვლის ჩაყრამ, საქართველოს და სომხეთის უნივერსიტეტის დაარსებამ, თქვენს, იაფეტური ენათმეცნიერების

წარმომშობელის გულში სიხარულის მაგიერ განუსაზღვრელი სიძულვილი აღძრა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გუნებაზე დაგაყენათ. მაგრამ ზეპირად მოსულ ამბავს მაშინ სათანადო ანგარიში არ გავუწიეთ და ეს სამწუხარო მოვლენა თქვენი ხასიათის სიფიცხის დროებით წარმავალ შედეგად მივიჩნიეთ. იმ დროს ჩვენ მოსული და წაკითხული არ გვქონდა თქვენი ტფილისის უნივერსიტეტის დაარსებით მოწვეული მოხსენება. ჯერ რუსეთის განათლების სამინისტროში, ხოლო შემდეგ სამეცნიერო აკადემიისათვის წარდგენილი. როდესაც შემდეგში თქვენი 1920 წ. 28 ნოემბრით დათარიღებული წერილი მოგვივიდა, რომელშიაც ჩვენს უნივერსიტეტში გადმოსვლის ამბავსა და ქართულად წასაკითხავ ლექციების სათაურებს გვატყობინებდით, თანაც გვეკითხებოდით თუ სახელდობრ რა თანამდებობა გექნებოდათ ჩვენს უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიამ ეს თქვენი მიმართვა ისე გაიგო, რომ თქვენ გსურდათ ამ ახლობელი წარსულის უსიამოვნო მოგონება დავიწყებისათვის მიგვეცა და ამით ჩვენგან დაწყებული საქმის გამართლებას იმდენად უდავოდ სცნობდით, რომ ჩვენი უნივერსიტეტის აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღებასაც კი კისრულობდით. ამიტომ პროფესორთა საბჭო მაშინ სიხარულით შეეგება თქვენ განზრახვას და სურვილს და პირობისამებრ თქვენი დასავლეთ ევროპიდგან საქართველოში ჩამოსვლის მოლოდინში იყო, მაგრამ შემდეგ ჩრდილოეთის მძაფრმა ქარმა დაპბერა და თქვენც როგორც მერმე გავიგეთ, თქვენს ხომალდს ისევ პეტერბურგისაკენ უბრუნეთ პირი. რუსეთის მანამდე შეკრული გზა გაიხსნა და იქითგან შემთხვევით რუსეთის სამეცნიერო აკადემიის ის №-იც მოგვივიდა, რომელშიაც ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებით გამოწვეული თქვენი მოხსენება იყო დაბეჭდილი. მხოლოდ მაშინ გავიგეთ, სამწუხაროდ, სრული სიცხადით რაოდენი სიძულვილისა და მტრობის გესლით ყოფილა აღსავსე თქვენი მაშინდელი მოღვაწეობა. პროფესორთა საბჭომ მოისმინა თქვენი მოხსენების საპასუხო მოხსენება და თქვენი ზემოხსენებული მომართვისა და გადმოსვლის სურვილის გამო მომხსენებლის წინადადებისდა თანახმად იგი თუმც სამწუხარო, მაგრამ მაინც უკვე წარსულის მოვლენად მიიჩნია.

მაგრამ საქმეთა მერმინდელმა მიმდინარეობამ, მეტადრე ს.ს.ს.რ. მთავრობის მიერ აღძრული საკითხის გამო ქართულ სიძველეთა საქართველოში უკან დასაბრუნებლად მოწყობილმა რუსეთ-საქართველოს მეცნიერთ წარმომადგენელთა თათბირმა ცხად-ჰყო, რომ ეს წარსულის სამწუხარო მოვლენა აწმყოშიაც გრძელდებოდა ამაზე უწინარესაც და ამ თათბირის დროსაც თქვენს, როგორც სიტყვიერს, ისევე წერილობითს ოქმებში დაცულს განცხადებებში ჩვენი უნივერსიტეტისა, ქართველ მეცნიერთა და თვით საქართველოს შესახებ მრავალგზის სრულებით შეუწყნარებელი, შეურაცმყოფელი სიტყვები და გამონათქვამები გიხმარიათ. რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მდივნისადმი მიმართვის თქვენს უკანასკნელ განცხადებაში ისეთ თავდავიწყებამდე მისულხართ კიდეც, რომ თქვენი თავისათვის უფლება მიგიციათ და თანამედროვე საქართველო სამეცნიერო მოღვაწეობისათვის „გაუნაყოფიერებელ ქვეყნად“ გამოგიცხადებიათ, რომელშიაც თურმე დაბალი ზოოლოგიური ნაციონალისტური გრძნობები ბატონობენ, იმ დროს, როდესაც პეტერბურგში ისეთი ბედნიერება ყოფილა, რომლის მსგავსი ხელსაყრელი პირობები დიადი სამეცნიერო შემოქმედებისათვის მთელს დედა-მიწის ზურგზე ცისა და მთვარე-ვარსკვლავებს ქვეშე არსად სხვაგან და თქვენ პიროვნების გარემოს გარდა არავისთან სხვასთან თურმე არ ყოფილა. რამდენად შესშვენის ამგვარი უმაგალითო თავმომწონეობა მეცნიერს, ეს თქვენი პირადი საქმეა და ჩვენზე არა ნაკლებ ამისი მსჯავრის დადება თქვენ მანდაურ მკითხველებს და მსმენელებს შეუძლიანთ, მაგრამ ყოველ მოთმინებასაც თავის საზღვარი აქვს და რაც შეეხება საქართველოს, გინდაც აწინდელს, უნდა კარგად გცოდნოდათ, რომ მის შეურაცხყოფის უფლებას თქვენ არც ერთი ქართველი, მიმართულებისდა მიუხედავად არას დროს და არავითარ პირობებში არ მოგცემდათ. სწორედ ამიტომ, პროფესორთა კოლეგია ფიქრობს, რომ ამის შემდგომ ჩვენს უნივერსიტეტსა და თქვენ შორის რაიმე თანამშრომლობაც სრულიად ფრიად შეუძლებელია. მას უკვირს კიდეც, რომ თქვენ სამეცნიერო შემოქმედებისათვის „გაუნაყოფიერებულს, ზოოლოგიური ეროვნული გრძნობებით შეპყრობილ საქართველოში“ მოისურვეთ მობრძანება და ლექციების წაკითხვა

მოგინდომებიათ იმ უნივერსიტეტში, რომელსაც მეცნიერული ავლადიდებისა და შემოქმედების აუცილებელ სიღატაკეს და არსებობის უდღეობას ასეთი თავგამოდებითა და შეურყეველი რწმენით უწინასწარმეტყველებდით. ისევ სჯობია თქვენ თქვენთვის ბრძანდებოდეთ და ჩვენ აქამდისაც არ შეგვიწუხებივართ და გარწმუნებთ არც შემდეგში შეგაწუხებთ.

დაე, მას ჩვენმა მეცნიერულმა მუშაობამ თუგინდ კეთილშობილმა შეცოდებისა და მეტოქეობის შედეგებმა დაანახოს ყველას და პიროვნულმა ისტორიამ დასდოს თავისი თვალუხვამი მსჯავრი თქვენ თუ თქვენგან ათვალისწუნებულ ტფილისის უნივერსიტეტის მეცნიერნი არიან მტყუანნი.

პეტერბურგის მეცნიერთათვის ხელის შეშლა არც წინათ მოგვსვლია ოდესმე ფიქრად. ეხლაც და მომავალშიაც მრავალგვარი ზემოაღნიშნულ უსიამოვნებისდა მიუხედავად ყოველთვის გულწრფელად მოხარული ვიქნებით პეტერბურგელი მკვლევარის თვითეული თხზულებისათვის, თუ რომ იგი წმინდა მეცნიერული იქნება და არა იმგვარი პუბლიცისტური ხასიათისა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური და კულტურულ-ეროვნული განადგურება ჰქონდეს მიზნად დასახული. თქვენი წერილის დაბოლოვება შემდეგი მრავალთ-მეტყველი სიტყვებით გინებებიათ: „თუმც სხვაფრივ მოაზრე, სულ იგივე და იმასვე მსურველი, რასაც თქვენ მიელტვით“-ო. ჩვენთვის ბედნიერება იქნებოდა თუ ეს გარემოება რომ ყველასათვის ცხადი ყოფილიყო, მაგრამ სამწუხაროდ თქვენ უკანასკნელ წლების ნაწერებიდან სჩანს და თქვენი ყველა ნაშრომები თვით არა ქართველ მკითხველებს სულ სხვანაირად ესმის. მთელი თქვენი 1917 წ. მერმინდელი მოღვაწეობა და პეტერბურგიდან საგანგებოდ ჩამოტანილი თქვენი მოხსენებანი ჩვენსა და ჩვენი უნივერსიტეტის დაუძინებელ მტრებს, პირიქით სწორედ თავიანთი ზრახვების სახარებად, ხოლო ჩვენი უუწმინდესი გრძნობებისა და სულის კვეთების გამანადგურებელ იარაღად მიაჩნიათ.

დავშთები მაინც მარად თქვენთვის კეთილის მოსურნე

ივანე ჯავახიშვილი

7 დეკემბერი, 1923 წ.

ქ. ტფილისი“.

აი, ასეთი, მკაცრი, მაგრამ პირუთვნელი, წერილი გაუგზავნა ივანემ თავის მასწავლებელს.

ამ წერილში ნათქვამია, რომ „პროფესორთა საბჭომ მოისმინა თქვენი მოხსენების საპასუხო მოხსენებაო“.

ეს მოხსენება ივანეს არ გამოუქვეყნებია, იგი საარქივო მასალად დარჩა და მხოლოდ ახლახან გამოსცეს ტ. ფუტკარაძემ და ი. ვაშაკიძემ. თავის მოხსენებაში ივანე ჯავახიშვილი იმ მიზეზს ხსნის, რამაც ამ მოხსენების გაკეთება გამოიწვია.

„სწორედ იმ გარემოებამ, რომ რუსულს ადგილობრივსა და პეტერბურგის დროგამოშვებითს გამოცემებში ჩვენი უნივერსიტეტის შესახებ ან გამო უკვე არა ერთი მტრული სულისკვეთებით გამსჭვალული ტენდენციური შინაარსის წერილები და მთელი მოხსენებაც კი დაიბეჭდა, თუ არა პასუხის გაცემა, საქმის ნამდვილი ვითარების აღნუსხვას მაინც აუცილებელ საჭიროებად ხდის. დაე, მომავალმა ისტორიკოსმა პირუთვნელად განსაჯოს და ღირსეული მსჯავრი დასდოს“.

„ჩვენს შორის მართლაც დიდი ხანის ერთგვარ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება იყო“ და *რადგან „ამაზე საუბარი საჯაროდ თვით ინება“*-ო, მეც ვეცდები ყოველივე განვმარტოვო, — აცხადებს ივანე. იგი ამ უთანხმოების ორ ხაზს გამოყოფს: ერთი — პოლიტიკურია და მეორე — სამეცნიერო.

პოლიტიკური ხაზი ეხება ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულებას. კერძოდ, კი მარის მოწაფეების მიერ საქართველოში უნივერსიტეტის დაფუძნების წადილს და ქართველი ერის აღორძინებისადმი ზრუნვას. ივანეს სიტყვით *„ჩვენი უწმინდესი სულისკვეთება და უძვირფასესი გულისნადები, ჩვენი წლობით ნაფიქრი ოცნება მისთვის გაუგებარი ყოფილა და ფეხქვეშ გასათელი“*. თურმე *„ნ. მარრს ამგვარი პოლიტიკური მიდრეკილების ნიშნები ემჩნეოდა“* და *„ბუნებრივია, რომ ჩვენ ამ ნიადაგზე ერთი ერთმანეთს დავშორებოდით“*.

რაც შეეხება სამეცნიერო ნიადაგზე აღმოცენებულ უთანხმოებას, ივანე ცდილობს მოკლედ გვითხრას. თავდაპირველად იგი აღნიშნავს მარის დიდ დამსახურებას. *„ჩვენ პატივსა ვცემდით ნ. მარრს და ვაფასებდით მარტო მისი დიდი ნიჭისა და დაუღალავი შრომისმოყვარეობის გამო კი არა, რითაც იგი ეხლაც უხვად არის*

შემკული, არამედ იმ მეთოდური, დინჯი სამეცნიერო ფილოლოგიური კვლევა-ძიებისათვის, ტექსტების გულდასმით შესწავლისა და საუცხოვო გამომცემლობისათვის".

მაგრამ, როცა მარი თავისი ყრმობისდროინდელ მოსაზრებას დაუბრუნდა, რომ ქართველური ენები სემიტურის მონათესავეაო და საამისო დამაგვირგვინებელ გრამატიკას მალე გამოვაქვეყნებო, ვითარება შეიცვალა. ივანეს სიტყვით, წლები ერთმანეთს მისდევდა და „*შეპირებული შედარებით გრამატიკის არც ფონეტიკა და არც მორფოლოგია არ გამოქვეყნებულა*". სამაგიეროდ, ჩნდებოდა ახალ-ახალი თეორიები, რომ თავად ავტორსაც ერეოდა ერთმანეთში. ხოლო როცა ივანემ თავისი „ქართველი ერის ისტორიის" ახალ შესავსებ მასალაზე დაიწყო მუშაობა 1915 წელს, მოუწია მარის ყველა თხზულების ხელახლა გადაკითხვა. ივანე დარწმუნდა მარის იაფეტური თეორიის უსაფუძვლობაში და ამ მიმართულებით კვლევის შედეგები კიდევაც გააცნო თავის სტუდენტებს.

მარისადმი ივანეს მიერ გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ „*თქვენი ზემოხსენებული მომართვისა და გადმოსვლის სურვილის გამო მომხსენებლის წინადადებისდა თანახმად იგი თუმც სამწუხარო, მაგრამ მაინც უკვე წარსულის მოვლენად მიიჩნიაო*".

ეს მომხსენებელი ივანე იყო.

თუ არა დიდსულოვნება, რითი შეიძლება ეს ასე მომხდარიყო. ივანემ შესანიშნავად იცის, მარის წარსული მტრული ნამოქმედარი, მაგრამ მას „*თუმც სამწუხარო, მაგრამ მაინც უკვე წარსულის მოვლენად*" მიიჩნევს.

მაგრამ...

„*მაგრამ საქმეთა მერმინდელმა მიმდინარეობამ. მეტადრე ს.ს.ს.რ. მთავრობის მიერ აღძრული საკითხის გამო ქართულ სიძველეთა საქართველოში უკან დასაბრუნებლად მოწყობილმა რუსეთ-საქართველოს მეცნიერთ წარმომადგენელთა თათბირმა ცხად-ჰყო, რომ ეს წარსულის სამწუხარო მოვლენა აწმყოშიაც გრძელდებოდა*".

საქმე ისა, რომ 1922 წლის 20 ივნისს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება რუსეთში გატანილი ქართული სიძველეების საქრთველოში დაბრუნების შესახებ. შეიქმ-

ნა საგანგებო კომისიაც. ნ. მარი კატეგორიულად წინ აღუდგა ამ საქმეს. მან შეურაცმყოფელი სიტყვებით მოიხსენია საქართველო და ქართველი ერი. მისი აზრით, საქართველო „მეცნიერული *შემოქმედებისათვის უნაყოფო ქვეყანა*“ ყოფილა, სადაც მხოლოდ „*უმდაბლესი ზოოლოგიური ნაციონალისტური გრძნობები ბატონობენ*“.

„*ნ. მარრის ამ უმაგალითო საქციელისა და შეურაცხყოფის ფართო საზოგადოებაში გატანა პრესის საშუალებით ჩვენ არ მოვისურვეთ, მაგრამ ცხადია, რომ ნ. მარრის ასეთი საქციელის შემდგომ საქართველოს საზოგადოებრივობასა და მას შორის ყოველგვარი დამოკიდებულება, მით უმეტეს მეცნიერული შემოქმედების ნიადაგზე შეწყვეტილად უნდა გვეგულისხმა და ასეც ვიგულისხმეთ კიდეც*“.

„სხვა სხვისა ომში ბრძენიაო“, — შოთას უთქვამს. დისტანციიდან შემფასებელზეც შეიძლება იგი გამოვიყენოთ. ამბობენ, ათეული წლების მერე უფრო დინჯად შეგვიძლია განვსაჯოთ ყოველივეო. ყოველთვის ასეა კი? ორივეს — ნიკო მარსაც და ივანესაც თავისი მოტივები ჰქონდა.

პასუხიმგებლობის გრძნობა მძიმე ტვირთია და ყველას მოეთხოვება იგი პატიოსნად ზიდოს. ყოველ შემთხვევაში, რამდენიც შეუძლია, იმდენს უნდა შეეჭიდოს. ივანეს კი შეეძლო დიდი ტვირთის ზიდვა და ამ ტვირთის სიმძიმიდან უნდა განვსაჯოთ იგი.

ნიკო მარი დიდი მეცნიერი იყო. იგი დიდი რუდუნებით ქმნიდა თავის პეტერბურგის სკოლას. მოწაფეებს თავს დასტრიალებდა, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ წარმატებისთვის მიეღწიათ. მაგრამ როცა მას დაფრთიანებული შეგირდები გამოეცალნენ, მან ეს ვერ მოინელა, ღალატად ჩათვალა და გაბრაზებულმა ყველაფერი იღონა, რომ მათი განძრახვა ჩაშლილიყო. მარტო დარჩენილ ნიკო მარის ემოცია შეიძლება გავიგოთ, მაგრამ მისი მტრული ნაბიჯების გაგება კი შეუძლებელია.

განა შეეძლო ივანეს ვინმესთვის ეპატიებინა მისი პირმშოს წინააღმდეგ მიმართული მოქმედება? მის ადგილზე თუ ვინმეს საკუთარი თავის წარმოდგენა შეუძლია, მასაც განა იგივე არ უნდა გაეკეთებინა? ივანესთვის უნივერსიტეტი განა მხოლოდ უმაღლესი სასწავლებელი იყო! იგი ხომ ერის მერმისის საფუძველს ქმ-

ნიდა და აქ შეიძლება რაიმე კომპრომისი დაეშვა? ამით ხომ ერის განვითარებას დააკლდებოდა დიდი რამ.

მასწავლებელი მეფე ლირივით დარჩენილიყო და ამას ჩიოდა:

„პეტერბურგში მარი ბროსეს დაარსებული ბუდე დღეს, ლამის იერემიას საგოდებელ უდაბნოთ გახდეს. იქ გაწვრთნილი, მაგრამ იქიდან გაფრენილი შევარდნების ნამოქმედარი თბილისში, კერძოთ ქართულ უნივერსიტეტში, ხომ მერმისში დასაფასებელი საქმეა, ჩვენ კი ამ წუთზე ვამბობთ“.

მოწაფე კი ოპტიმისტურად იყო განწყობილი:

„სამეცნიერო ბუდის დროგამოშვებით დაცარიელება ბუნების კანონია და იმ უზარმაზარ ქვეყანასა და მრავალფეროვან ნიჭიერ ერს, რომლის დედაქალაქშიც ეს ბუდე იმყოფება, თუ მეცნიერების ამ დარგისადმი სიყვარული და ცოდნისმოყვარეობა აღმოჩნდება, დაცარიელებული ბუდის გავსება ადვილად შეუძლიან. ვითარცა ეროვნული კულტურისა და ენების გატაცებულ მკვლევარსა და ბუდითგან გაფრენილი „შევარდნების“ გამწვრთნელს, აკად. ნ. მარს საქართველოში, ტფილისში ... სამეცნიერო კერის შექმნა უნდა გახარებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ „შევარდენ“ — ენათმეცნიერთა გაწვრთნა მისი ღვაწლია“.

მასწავლებელი უკვე მომხდარი ფაქტის მაინც სათავისოდ გამოყენებას მიელტვოდა:

„მწამს ქართველთ ტფილისის უნივერსიტეტის ბრწყინვალე მომავალი ჩვენ საინტერესო დარგში თუ მეცნიერების მსოფლიოობას შეიგნებს რა, განახორციელებს თავის მდიდარ შესაძლებლობას, მთელი, ერთობილათ მთელი, კავკასიის უნივერსიტეტად გახდეს“.

მოწაფე კი არ აპირებდა თავის პირმშოს გადანათვლას:

„ტფილისის უნივერსიტეტის, რომლის ბრწყინვალე მომავალიც აკად. ნ. მარრს სწამდა, „მეცნიერების მსოფლიოობის“ სრული შეგნებისდა მიუხედავად, არავითარი არც პრეტენზიები და არც წადილი არა ჰქონია, „ერთობილად კავკასიის უნივერსიტეტად“ იქცეს“.

ამიტომ მარის ბრალდებას, რომ ქართველმა მეცნიერებმა პეტერბურგი დატოვეს, სამშობლოს მიაშურეს და ამით მიღალატესო, ივანე პასუხობს:

„უცნაურია, რომ ასეთი რამ ვერ გაუგია აკად. ნ. მარს, რადგან ყოველი ადამიანისათვის, რომლებსაც საზოგადოებრივი ალღო აქვს, ეროვნული შეგნება მოეპოვება და მთლად გადაგვარებული არ არის, ჩვენი ნაბიჯი სრულებით ადვილი გასაგები უნდა იყოს. მიკვირს სწორედ და ვერც წარმოვიდგენდი, თუ შეეძლო როგორმე ეფიქრა, რომ ჩვენ, ქართველი მეცნიერები, ჩვენი, გინდაც პატარა და დაჩაგრული სამშობლოს და ერის ინტერესებსა და სამსახურს კულტურული, უჩვენოდაც მდიდარი დიდი რუსეთის უნივერსიტეტების კეთილდღეობას ვანაცვალებდით და რომელსამე ჩვენთაგანს თავისი ეროვნული და საზოგადოებრივი მოვალეობისათვის ეღალატნა“.

ადამიანი სუსტი არსებაა და არანაირი ზნეობრივი უფლება არა გვაქვს, რომ ვინმეს გმირობა მოვთხოვოთ. თუ ნიკო მარმა გადაწყვიტა დაახლოებოდა საბჭოთა ხელისუფლებას და ამით თავისი სამეცნიერო კარიერა კიდევ უფრო გაეუმჯობესებინა, ვერ დავამუნათებთ. მაგრამ, ეს ოხერი „მაგრამ“ აქაც გამოტყვრება.

1924 წელია, ივნისის თვე.

ჯერ აგვისტოს აჯანყება წინაა და ჰაერი ამ აჯანყებაზე ბოლშევიკების სასტიკი რეაქციის მოლოდინით არის მოწამლული. საბჭოთა იდეოლოგია ნელ-ნელა, მეთოდურად, ამუშავებს საზოგადოებას. 14 ივნისის ნომერში გაზეთი „კომუნისტი“ იუწყება რომ აკადემიკოსმა ნიკო მარმა თბილისში 10 და 11 ივნისს 2 საჯარო ლექცია წაიკითხა. 2 ივლისს კი იგივე გაზეთი აქვეყნებს ვინმე „ჩვენი“-ს პუბლიკაციას სათაურით *„პროფესორი, რომელმაც სთქვა სიმართლე შოვინისტ პროფესორებზე“*.

ავტორი თავის თავს არასპეციალისტად თვლის და ამ მიზეზით იგი მარის ლექციის თემის გადმოცემას არც ცდილობს. მას სხვა ამოცანა აქვს დასახული. მას სურს მკითხველს დაანახვოს, *„რომ მარრმა თავისი მოღვაწეობით ქართველი ხალხის ცოდნის საგანძურს შემატა გაცილებით მეტი, ვიდრე ვსთქვათ, ათეულმა ქართველმა პროფესორმა, რომელთაც რამდენიმე ათეული შარვალი გაცვითეს, წაიკითხეს ასეული წიგნები და ვერ გამოსთქვეს ვერც ერთი ცოცხალი აზრი“*.

მკითხველს ბოდიშს მოვახსენებ ამ ვულგარული ციტატის მოყვანისათვის, მაგრამ სხვანაირად კახაბერის კახაბერობა რო-

გორღა ვაჩვენო? ეს ვინმე „ჩვენი“, რა თქმა უნდა, გაზეთ „კომუნისტის“ და მის უკან მდგომი ხელისუფლების „ჩვენია“. იგი კი ამბობს ენათმეცნიერი არ ვარო და სამეცნიერო საკითხების გადმოცემას არ შევუდგებიო, მაგრამ შარვლების თვლა და ათეულ ქართველ პროფესორზე ბრალდების გამოთქმა — „ვერც ერთი ცოცხალი აზრი“ ვერ გამოთქვესო, კი ხელეწიფება.

ვინ იგულისმება ამ „ათეულ ქართველ პროფესორებში“? რა თქმა უნდა, ქართული უნივერსიტეტის პროფესორები და პირველ რიგში, ივანე ჯავახიშვილი. მავანი „ჩვენი“ არავის არ ასახელებს, მაგრამ მის მსჯელობიდან ყველაფერი ცხადად მოჩანს. აბა დავაკვირდეთ:

„რაღაც მიზეზით მარრმა არა სავსებით პატივისცემით მოიხსენია ქართველ პროფესორების აზროვნება. მან აღნიშნა, რომ ის წყარო რომლითაც იკვებება ქართველ პროფესორების სამოქალაქო სიმამაცე, არის „ზოოლოგიური შოვინიზმი“. ეს საკმარისი იყო, რომ ჩვენ პროფესორებს ომი გამოეცხადებიათ მარრისთვის. მარრს გაეგზავნა ლანძღვის წერილი, რომელშიაც აცხადებდნენ, რომ მას ქართველი პროფესორები ნებას არ მისცემენ ლექციები წაიკითხოს ქართულ უნივერსიტეტშიო“.

ხომ ყველაფერი ნათელია? მავან „ჩვენს“ არ აინტერესებს, თუ რა იყო ის მიზეზი, რის გამოც უდიერად მოიხსენია მარმა ქართველი პროფესორები. მას არც ის აინტერესებს საპასუხო წერილით თბილისის უნივერსიტეტში მარის მიერ ლექციის წაკითხვაზე უარის თქმა დაიმსახურა მარმა თუ არა. მისი აზრით, თურმე ეს ყოფილა „ლანძღვის წერილი“. მავანი „ჩვენი“ იმითაცაა გაღიზიანებული, რომ მარის ლექციებს, რომელიც ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტში გაიმართა, თბილისის უნივერსიტეტის არც ერთი პროფესორი არ დასწრებია. თუმცა ასე სჯობდაო, ყინჩად ამბობს მავანი „ჩვენი“: „*უცნაური იქნებოდა, თუ რომ დიდ და თანამედროვე პიროვნებას, როგორიც მარრია, ქართული უნივერსიტეტის პროფესორები გაიგებდნენ და შეაფასებდნენ ეს პროვინციალურ რუტინიორებაში და ეროვნულ კარჩაკეტილობაში ჩაფლული და დახავსებული ადამიანები*“.

ვინმე „ჩვენის“ აზრით, უნივერსიტეტის პროფესორებს მარის ლექციაზე მიუსვლელობით სამარცხვინო საქციელი ჩაუდენიათ

და თურმე დაუმტკიცებიათ, რომ *„მათ დასახასიათებლად სიტყვები „ზოოლოგიური შოვინიზმი“ ძალიან რბილადაა ნათქვამი. ამ პროფესიულ ნაციონალიზმის ტროგლოდიტებმა, რომლებიც ბოიკოტს უცხადებენ მსოფლიო მასშტაბით განთქმულ მეცნიერს, გადააჭარბეს მეფის თვითმპყრობელობას და სინოდს, რომლებმაც თავის დროზე ტოლსტოი განდევნეს“*.

ღირს კი განსჯად, თუ რამდენად სამართლიანია მავანი „ჩვენი“, როცა ივანეს და მის კოლეგებს *„პროვინციალურ რუტინიორეობაში და ეროვნულ კარჩაკეტილობაში ჩაფლულ და დახავსებულ ადამიანებს“* და *„პროფესიულ ნაციონალიზმის ტროგლოდიტებს“* უწოდებს? მაგრამ ეს არაფერი. მართლაც და ლანძღვის ეს კორიანტელი მას იმ დასკვნისთვის სჭირდება, რომელიც მას წერილის ბოლოში აქვს გაცხადებული:

„დახავსებულ, სასიკვდილოთ გაშზადებულ ხალხს არავითარი საქმე არ აქვს თანამედროვე ხანაში. მათი ადგილია სიძველეთა მუზეუმში“.

ეს დასკვნა კი მოწოდებით მთავრდება:

„დროა საქართველოს სახ[ალხო] განათლების კომისარიატმა დაანახვოს პროფესორებს, რომ ჩვენში, საქართველოს რევოლუციონურ მუშათა და არა დახავსებულ პროფესორების დიქტატურაა“.

აი, თურმე რა ყოფილა? რისთვისაა ატეხილი ამდენი ვაი-უშველებელი? მარისადმი ივანესა და მის თანამებრძოლთა დამოკიდებულება მხოლოდ საბაბია. დიახ, მხოლოდ საბაბი, თორემ განა რა დანაშაული ჩაიდინეს ჩვენმა პროფესორებმა? ვის ლექციას დაესწრებიან და ვისას არა, განა ეს ვისი განსასჯელია?

ვისი და მავანი „ჩვენის“.

მას სურს, რომ უნივერსიტეტის პროფესორებმა გაიგონ, თუ ვისი დიქტატურაა ქვეყანაში და ფეხქვეშ გაეგონ მამა-მარჩენალ ხელისუფლებას.

მერედა თავად მარი აქ რა შუაშიაო, შეიძლება იკითხოს ვინმემ სრულიად სამართლიანად. შეიძლება არც არაფერში, მაგრამ შენი პიროვნება და შენი მოქმედება სხვის გასაკიცხად და დასასჯელად რომ გამოიყენება, ვერაფერი სახარბიელოა. განა, მარს, ამ დიდ მეცნიერს, თუ გულითა და სულით სწყუროდა თბილისის

უნივერსიტეტში მოღვაწეობა, გადაებიჯებინა პატივმოყვარეობისათვის და ხელახლა გამოეგზავნა წერილი ივანესათვის, სადაც შეცდომებსაც აღიარებდა და თავის ყოფილ მოწაფეს კვლავაც მამაშვილური დიდსულოვნებით მოეკიდებოდა.

ეს მარს არ გაუკეთებია.

ერთიცაა საკითხავი: ივანეს ზემონახსენები წერილი რექტორის ოფიციალური კორესპოდენცია იყო, როგორ გახდა მავანი „ჩვენისთვის“ ცნობილი?

1930 წელს ნ. მარი კომუნისტურ პარტიაშიც შევიდა და თავისი იაფეტური თეორია ერთადერთ მარქსისტულ ენათმეცნიერულ მოძღვრებად გამოაცხადა. ახლა უკვე მარის კრიტიკა მარქსიზმის კრიტიკად აღიქმებოდა. გარდა იმისა, რომ ეს მეცნიერების შემაფერხებელი იყო, თავად მეცნიერთათვის სახიფათოც. თუმცა ეს ჩვენს საგანს სცილდება და როგორც ძველი ქართველი მეისტორიენი იტყოდნენ აქ „დავიდუმოთ“.

ივანე ჯავახიშვილი კი ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდა მასა და მის ყოფილ მოძღვარს შორის გაჩენილ კონფლიქტს. მას არასდროს დაუკარგავს პატივისცემა თავისი მასწავლებლის მიმართ. ეს განწყობა საჯაროდაც გამოხატა, როგორც ნათელა ჯავახიშვილი იგონებს:

„რომელიღაც წლისთავზე იყო სხდომა მიძღვნილი მარისადმი და მამამ თვითონ გამოსთქვა სურვილი, რომ გაეკეთებინა მოხსენება, სამწუხაროდ დაწერა ვერ მოასწრო, მხოლოდ ჩანიშნულებმა [მოაღწია] და ყველა ვინც დაესწრო იმ მოხსენებას გაკვირვებული იყო [იმ] სულგრძელობ[ით] და იმ დიდი სიყვარულით და პატივისცემით, რომელიც მაშინ იმ მოხსენებაში, დამოკიდებულებაში გამოხატა მამამ“.

დიდსულოვანი კაცი ბრძანდებოდა ივანე ჯავახიშვილი.

„ყველა თავის ტოლ-ამხანაგებში... ერჩეოდა“

1922 წელს ქართულ განათლებულ საზოგადოებას თბილისში ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის პირველი გამოშვება შეემატა. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო სიმონ ჯანაშია, რომლის შესახებ მისი მასწავლებელი ივანე ჯავახიშვილი წერდა:

„სვიმონ ჯანაშია ყველა თავის ტოლ-ამხანაგებში თავისი ნიჭითა, მკვირცხლი გონებითა და შრომის მოყვარეობით ერჩეოდა. სტუდენტობის დროსვე რამდენიმე კარგი მოხსენება დასწერა. საუკეთესოდ სწავლობდა, როგორც ქართულსა და საქართველოს ისტორიას, არაბულს, სპარსულსა და სომხურსაც. მისი სადიპლომო შრომაც კარგი გამოდგა. ამიტომ 1922 წ. ჩვენ უნივერსიტეტში სწავლის დამთავრებისთანავე დატოვებულ იქმნა სპარსეთ-საქართველოს ისტორიის კათედრასთან“.

სიმონ ჯანაშია დაიბადა 1900 წ. 13 ივლისს პედაგოგ და ეთნოგრაფ ნიკო ჯანაშიას ოჯახში. მშობლების წყალობით ხუთი წლისამ წერა-კითხვა უკვე იცოდა. მალე იგი ძველი სენაკის დაწყებით სკოლაში შეიყვანეს, საიდანაც სოხუმის რეალურ სასწავლებელში გადაიყვანეს.

ბეჯითი სწავლისთვის სიმონს სკოლა ყოველწლიურად აჯილდოებს: 1913 წელს ნ. ა. ნეკრასოვის, 1914 წელს ა. კ. ტოლსტოის თხზულებებით და 1915 წელს კი ბიბლიით.

სიმონი მოწაფეობისას ლექსებსაც თხზავდა და კლასიკოსთა ლექსების დეკლამაციაც კარგად ეხერხებოდა, რაც მაშინდელ სოხუმის გაზეთებშიც კი ყოფილა აღნიშნული.

სიმონმა სასწავლებელი დაამთავრა 1918 წ. 25 თებერვალს და მიიღო მოწმობა, სადაც ყველა საგანში „ფრიადი“ უწერია. ამ დროს მამამისი თურმე ავადმყოფობდა და ლოგინად იყო. როცა მან სიმონის მოწმობა გადაათვალიერა, შენიშნა, რომ დამატებითი საგნები, რომელიც სიმონმა შეისწავლა, მასში არ იყო აღნიშნული. სიმონი მაშინვე გაქანდა დირექციაში და მოითხოვა შეცდომის გამოსწორება. მოწმობაზე მიუწერიათ: „ამას გარდა სწავლობდა ქართულ ენას და მისი ცოდნა შეფასებულია 5-ზე“. ანალოგიური მინაწერი გაკეთდა აფხაზური ენის შესახებაც.

უნივერსიტეტში უგამოცდოდ შესასვლელად სიმონმა დამატებით ლათინურიც ფრიადზე ჩააბარა.

მალე მას მამა გარდაეცვალა, იგი დედასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა და ახალგახსნილ თბილისის უნივერსიტეტში შემოდგომის სემესტრში ჩაირიცხა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. აქ იგი ივ. ჯავახიშვილისა და ი. ყიფშიძის რჩევით ერთდროულად სწავლობდა ორი მიმართულებით — ისტორიულ და ენათმეცნიერულ განყოფილებებზე.

უნივერსიტეტის დამთავრებისას ს. ჯანაშიამ სადიპლომო შრომა ორივე მიმართულებაზე წარადგინა. საისტორიოზე „*ქართული ფეოდალური ქცევის წესები მე-18 საუკუნეში*“ და ენათმეცნიერებაში — „*შეთანხმებისა და მართვის წესები ქართლის მოქცევაში*“. მიიღო შესაბამისი დიპლომი და 1922 წ. 30 ივნისს ივ. ჯავახიშვილმა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის წინაშე იშუამდგომლა:

„*სტუდენტმა სვ. ჯანაშიამ,* — წერდა ივ. ჯავახიშვილი, — *დაამთავრა ჩვენი უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საისტორიო დარგი და სახელმწიფო გამოცდა ჩაბარებული აქვს. ოთხი წლის განმავლობაში დაკვირვებამ საისტორიო სემინარში დამარწმუნდა, რომ მას ცოდნაც, დაკვირების უნარიცა და სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის საჭირო ნიჭიცა და მიდრეკილებაცა აქვს. ამასთანავე მან დიდი შრომისმოყვარეობა გამოიჩინა, ახალი ევროპული და ძველი აღმოსავლეთის ენები — არაბული, სპარსული და სომხურიც შეისწავლა. მისმა ნაშრომმა („განათლებული ქართველის ზრდილობის წესები მე-18 ს-ში“) უფრო განამტკიცა ჩემი აზრი, რომ მას სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის ნიჭი აქვს... ვშუამდგომლობ ფაკულტეტის წინაშე დატოვებულ იყოს უნივერსიტეტთან საპროფესოროდ მოსამზადებლად... სვ. ჯანაშია სპარსეთის ისტორიისათვის, ამა, მიმდინარე წლის 1 ივლისიდან 2 წლის ვადით, სტიპენდიით*“.

სიმონი ბეჯითად მუშაობდა, მაგრამ მას ჯანმრთელობა ღალატობდა და აფერხებდა. თუმცა როცა მან 1923 წ. 23 ივნისს თავისი ერთწლიანი მუშაობის (1922 წ. 1 ივლისი) ანგარიში წარუდგინა უნივერსიტეტს, კიდევ ერთხელ გამოჩნდა მისი ნიჭიცა და შრომისმოყვარეობაც. ეს დოკუმენტი კარგად აჩენს ახალგაზრდა

სიმონის მუყაითობას. მოვიყვანოთ ამონარიდები და ამაში თავადვე დავრწმუნდებით.

„გასული წლის ზაფხული მე იძულებული ვიყავ, ექიმების რჩევით, ქართლის ერთ-ერთ საგარაკო სოფელში (ღვარები) გამეტარებინა სნეულებისაგან (მალარია) განკურნებისა და დასვენების მიზნით, — წერს ახალგაზრდა სიმონი, — აქ მიუხედავად იმისა, რომ ჩემი დროის უდიდეს ნაწილს ავადმყოფობის ღღეები შეადგენდნენ, მე ვცდილობდი მაინც მემუშავა და ეს მუშაობა უმთავრესად სომხურ ენას შეეხებოდა. ამავე დროს მე ვაკვირდებოდი მოსახლეობის ენასა და ზნე-ჩვეულებებს, და ეს დაკვირვება სათანადო შენიშვნებში გამოიხატა“.

მაგრამ ამით არ დაკმაყოფილებულა ბეჯითი ახალგაზრდა.

„აგვისტოს შუა რიცხვებიდან, როცა რამდენიმედ მოვმჯობინდი, სექტემბრის დასასრულამდის, ქართლის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული შესწავლის მიზნით, ვმოგზაურობდი გორის მაზრაში. ამ დროის განმავლობაში დავათვალიერე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები გორში, გორისჯვარში, ხიდისთავში, ატენში, მეტეხში, ახალქალაქში, ერთაწმინდაში, სკრის ხეობაში, წედისის ხეობაში, ურბნისში, რუისში, ნიქოზში, წაგნარსა და მის მიდამოებში, ცხინვალში, არბოში, ერედვში, ვანათში, კარბში, მეჯვრისხევში, უფლისციხეში და სხვა ნაკლები მნიშვნელობის ნაშთები“.

მაშინდელ ძნელ პირობებს თუ გავითვალისწინებთ, გაოცდებით ამდენი სოფლის მონახულებით. უმანქანობის გამო ახალგაზრდას, მაგრამ ავადმყოფ ახალგაზრდას, ალბათ უმეტესად ფეხით, შეიძლება ცხენითაც, მოუხდებოდა ამ სოფლების შემოვლა.

„ამ მოგზაურობის დროს მე საშუალება მქონდა შემეკრიბა საისტორიო მასალა (დამზადებულია დასაბეჭდად), ზოგიერთ შემთხვევაში სრულებით უცნობი მწერლობაში. ამ მოგზაურობასვე ნაწილობრივ წინ უსწრებდა, ნაწილობრივ თან სდევდა სათანადო ლიტერერატურის შესწავლა (ვახუშტი, მონპერე, ბროსე, უვაროვა, თაყაიშვილი და სხვ.)“.

სიმონს თითოეული ძეგლის შესახებ ლიტერატურაც შეუსწავლია და დასაბეჭდად დაუმზადებია შეკრებილი მასალა, რომელიც მეცნიერებისათვის *„ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად უცნობიც“* კი ყოფილა.

თბილისში დაბრუნებული სიმონი მთელი დატვირთვით მუშაობს. იგი კერძო მასწავლებლებთან მეცადინეობს ფრანგულ და სპარსულ ენებში. გარდა ამისა, „*დამოუკიდებლივ ვმეცადინეობდი და უდიდეს დროს მართმევდა სომხური. ვმუშაობდი პროფ. ი. ა. ჯავახიშვილთან სომხური საისტორიო მწერლობის სემინარში და მისივე ხელმძღვანელობით ვკითხულობდი: კორიუნს, ანონიმს, ფაუსტოსს, ლაზარე ფარპელს, ელიშეს, „ეპისტოლეთა წიგნს“, ამას გარდა, ვკითხულობდი დაბადების წიგნების სომხურ თარგმანს ძველ ქართულ თარგმანთან შედარებით*“.

გარდა ამისა, სიმონი სწავლობს გერმანულ ენას და ინტენსიურად მუშაობს ძველ ქართულ ენაზე. მისი თქმით, „*რაკი საკუთრივ ძველი ქართულის ნორმები ჩემთვის საკმაოდ ნათელი იყო, მაინც, ჩემი ყურადღება მიქცეული იყო იმ გარდამავალი ენის ნიმუშებისადმი, რომელსაც წარმოადგენენ მე-XII ს. საერო მწერლობის ძეგლები: გულდასმით შევისწავლე „ვისრამიანის“ ენა და ეს მუშაობა შეადგენდა ნაწილს ამ ძეგლის საფუძვლიანი ისტორიულ-ლიტერატურული გაცნობისას, რამაც საკმაოდ დიდი დრო წაიღო*“.

სწავლის პარალელურად სიმონი სპეციალურ ლიტერატურასაც ამუშავებს.

„*შესწავლილ იქნა ჩემ მიერ: მონოგრაფიები პლ. იოსელიანის, დ. ბაქრაძის, მ. ბროსესი, ბარტოლომეის (ნუმიზმატიკიდან), ზ. ავალიშვილის, კ. კეკელიძის, ალ. ცაგარელის, ხახანაშვილის, ფრონელის, ურბნელის, ე. თაყაიშვილის, ნ. ადონცის, ბარტოლდის, ინოსტრანცევის, ლენპულის და მრავალი სხვა ნარკვევნი უწყებულ სფეროდან, გაბნეულნი სხვადასხვა მეცნიერულ კრებულებსა და სერიებში..*“.

სიმონს სურს თავის ცოდნას ფართო ჰორიზონტი ჰქონდეს და სხვადასხვა დარგის მეცნირების ნაშრომებს ეცნობა. „*მორიგი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს მე ვცდილობდი შემევსო ზოგიერთი ხარვეზი ჩემი ცოდნის სფეროში: პალეოგრაფიულის მიზნით ვმუშაობდი ჩვენს სალაროებში დაცულ ხელნაწერებზე, ვმეცადინეობდი ისტორიის, ფილოსოფიისა და ზოგიერთი სხვა საკითხის (მაგ. რელიგიის ისტორია და ფსიქოლოგია) შესახებ ლიტერატურას*“.

აქვე იმასაც გვიმხელს, რომ მას ივანე ჯავახიშვილის წინადადებით გამოსაცემად მოუმზადებია კომენტარების დართვით *„ქართული მწერლობის ერთი ძეგლთაგანი — წმ. საბა-ივლიანეს ცხოვრება“*. იგი მასწავლებელს სინას მთაზე მოგზაურობისას გადმოუღია და ახლა მოწაფისათვის მიუნდვია გამოსაცემად.

მართლაც, შთამბეჭდავი ანგარიშია. რამდენი რამ მოუსწრია სიმონს ამ ერთი წლის განმავლობაში!

მასწავლებელმაც კარგად დაინახა ნიჭიერი და გულმოდგინე მოწაფის გარჯა და ამ ანგარიშს მიაწერა:

„ვუდგენ რა უნივერსიტეტთან დატოვებული სვ. ჯანაშიას მუშაობის ანგარიშს, ვშუამდგომლობ ფაკულტეტის წინაშე, მისი დატოვების ვადა გაგრძელებულ იქმნეს კიდევ ერთი წლით“.

1926 წ. 31 მარტს სიმონმა ჩააბარა სადოქტორო გამოცდები საქართველოს ისტორიაში და 1927 წ. 28 ივნისს კი სპარსეთის ისტორიაში.

გამოცდები ჩაიბარა ივანემ.

მოწაფეც კმაყოფილი იყო და მასწავლებელიც. ახალ დაარსებულ უნივერსიტეტს მისივე აღზრდილი ღირსეული კადრი ემატებოდა.

1926 წ. 1 მარტიდან სიმონი ინიშნება აფხაზური ენის ლექტორად და მასვე დაევალა საისტორიო წყაროთმცოდნეობს კურსის წაკითხვაც.

ამ წელს კი ივანეს ატოვებინებენ უნივერსიტეტს.

ასე თანდათანობით, ივანესა და სიმონის ნების გარეშე, ვითარდება მოვლენები: ივანე შევიწროების ობიექტი ხდება, სიმონი კი წინ მიიწევს.

ეს ორი მოვლენა ერთ სივრცეში და ერთსა და იმავე დროში ხდება, მაგრამ მათ შორის კავშირი მაინც არ არსებობს. ორივე დამოუკიდებლად ვითარდება, თუმცა მომავალში ეს მოვლენები მაინც გადაკვეთენ ერთმანეთს.

ორივესთვის საზიანო იქნება ეს გადაკვეთა და ორივესთვის გულსატკენი.

აქ, ერთმანეთს აკადემიური სფეროც და მსოფლმხედველობრივიც გადაეჯაჭვა.

საბჭოთა სახელმწიფომ თავის იდეოლოგიად მარქსიზმი გამოაცხადა, რომელსაც ლენინიზმიც მიუმატა. ეს უკანასკნელი

სინამდვილეში ვულგარულად გაგებული მარქსიზმის ცხოვრებაში ძალადობით გატარების მეთოდი იყო. ვინც ამას არ აღიარებდა, მას კარგი დღე არ დაადგებოდა. ამიტომაც, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები იძულებულნი იყვნენ, თავიანთ შრომებში მარქსის, ენგელსის ან ლენინის მოდური ფრაზები და წინადადებები ჩაეწერათ. მით უმეტეს ამ მოვლენას ვერ გაემიჯნებოდნენ ისტორიკოსები, რომლებიც უშუალოდ სწავლობდნენ საზოგადოების თავგადასავალს.

თუ ძველი თაობის წარმომადგენელნი, ასე თუ ისე ცდილობდნენ ამ პროცესიდან თავის არიდებას, რომელიც ზოგჯერ გამოდიოდა და ზოგჯერ არა, ახალი თაობის წარმომადგენელნი უფრო წინა ხაზზე იყვნენ გამწკრივებულნი. მათგან ბევრს პირადი გამორჩენის სურვილი უკარნახებდა ახალი იდეოლოგიის მიღებას, ნაწილს კი თვითგადარჩენისა და, გარკვეულწილად, მუშაობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ ორ უკიდურესობას შორის იყო მოქცეული მაშინდელი საზოგადოება და ვინ რომელთან იყო მიახლოებული, ყოველთვის კონკრეტული და პერსონალური იყო.

ასე იყო ს. ჯანაშიას შემთხვევაშიც.

შეუძლებელია ის მოწონებით შეხვედროდა საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიულ მოქმედებებს, მაგრამ რევოლუციური გარდაქმნის სურვილი, რომელშიც მარქსისტული თანასწორობის იდეები დომინირებდა, უეჭველია მისთვის მისასალმებელი იქნებოდა.

ამას მოწმობს მისი მოწაფეობისდროინდელი ჩანაწერები.

ცოტა შორიდან დავიწყოთ.

XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში სოციალური საკითხები მთელს მსოფლიოში აქტუალურია. თავად ილიაც პარიზის კომუნას ესალმება, შრომის ახსნას ელტვის და ა.შ. თანასწორობის დამყარება, როცა ერთი ადამიანი მეორეს არ დაჩაგრავს, იყო უპირველესი და საოცნებო იდეა.

სხვადასხვა ერთა უკეთესი შვილები ამ იდეას თავგანწირვით ემსახურებოდნენ. არც ქართველები ჩამორჩენილან ამ საერთო ფერხულს. მერე რა, რომ ამ იდეაზე აღმოცენებულმა რეჟიმებმა — საბჭოთამ და ნაცისტურმა — მილიონობით უდანაშაულო

ადამიანთა სისხლის დაღვრითა და ყოველგვარი ამაღლებულის ჩაკვლით ისახელეს თავი?

ამის გამო იმ სოციალურ მოძრაობებს ეჭვის თვალით არ უნდა შევხედოთ. მთელი ეს პროცესი ჩვენ დღევანდელობიდან არ უნდა შევაფასოთ. ამ პროცესებზე მსჯელობა სადღეოდ ჩამოყალიბებულ მკვეთრად ნეგატიურ შეფასებებზე დაყრდნობით არ უნდა მოხდეს. ამიტომაც იმდროინდელ ისტორიულ რეალობაში ამ იდეების ერთგულება, ანუ სოციალური თანასწორობის სურვილი, არავის აკნინებს. ჩვენც ხომ ვერ დავიჩემებთ, რომ მომავალი თაობა ჩვენს შეხედულებებს უკრიტიკოდ გაიზიარებს!

ამგვარი იყო ვითარება ყველგან და მათ შორის საქართველოშიც.

ასეთ ვითარებაში გაატარა სიმონმა ახალგაზრდობა. სკოლაში მას მართალია ყველა საგანში ფრიადები ჰყავს, მაგრამ თავისუფალი შეხედულებებისათვის რუსულისა და საღვთო სჯულის მასწავლებლებლებს არ მოსწონთ.

16 წლის სიმონს დღიურში ჩაუწერია: *„ამას წინათ კიდევ გადმომცეს, თითქოს ჩვენს მღვდელს ეთქვას ჩემზე: „ამ კაცის შეხედვა მეზარება, მხოლოდ ძალაუნებურად პატივი უნდა ვსცეო“. მივაღწევ კი იმ დროს, როდესაც აშკარად შემეძლება ჩემი სიმპათია-ანტიფათიის განცხადება? რა სასურველი წამია, ეს ის „ვარსკვლავია“, რომელიც მხოლოდ ბჟუტავს ამ სიბნელეში. მოიცათ და დაჰკრავს საათი და მაშინ „ვაი თქვენ, ფარისეველნო“.*

ამდენად, მარქსიზმის მიღება ს. ჯანაშიასათვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო. შეუძლებელია მას ვერ დაენახა ამ დროშით მოსული ძალის უკანონო და უსამართლო ქმედებები, მაგრამ მას ხომ მისი შეცვლა არ შეეძლო.

ახალი რეალობა სახეზე იყო. საბჭოთა რეჟიმმა თანდათან ძალა მოიკრიბა და მისი დამარცხების შანსი არ ჩანდა. ახლა ასეთ ვითარებაში უნდა ეცხოვრა და ემოღვაწა ადამიანს.

რა ალტერნატივები არსებობდა?

ან უცხოეთში უნდა გადახვეწილიყო ადამიანი ან რეჟიმს პირისპირ უნდა შებმოდა და თავი სასიკვდილოდ გადაედო.

„ეს განწირულის სულისკვეთება“ მოიტანდა კი სასურველ შედეგს? იქნებ ჩათრევას ჩაყოლა სჯობდა? ეს დიდი ხნის ნაცადი ხერხია და ბევრმა ეს გზა არჩია. იქნებ, ს. ჯანაშიას გზაც ეს იყო.

ამას ხომ კომპრომისი ჰქვია. კომპრომისებით უნდა გაკეთებულიყო ახლა საქმე. სხვა გზა არ ჩანდა. იქნებ რამენაირად გამოგვეყენებინა შექმნილი ვითარება. ამ შემთხვევაში თითოეულის მოვალეობა ვითარების შესაბამისად სიკეთის კეთება უნდა ყოფილიყო.

და სიმონ ჯანაშიაც აკეთებდა სიკეთეს.

საქმე ისა, რომ თავისი ნიჭიერების წყალობით მან მალე მოიპოვა ავტორიტეტი და გავლენიან ფიგურად იქცა.

აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე გადმოგვცემს, რომ სიმონ ჯანაშიას „... *დიდი გავლენა ჰქონდა, მის სიტყვას ყველა ინსტანციას უწევდა ანგარიშს. ამის წყალობით ბევრ კარგ საქმეს ჩაუყარა საფუძველი და გაუხსნა გზა. ამ ადამიანმა, რომელიც 47 წლისა გარდაიცვალა, ღრმა კვალი დატოვა, როგორც მეცნიერმა და, იქნებ კიდევ უფრო ღრმაც, როგორც საზოგადო მოღვაწემ... განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის პიროვნულ თვისებებს. ძალიან ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი, დიდი ტაქტის მქონე, გასაოცრად თავდაჭერილი და გაწონასწორებული ადამიანი იყო, დიდი მასშტაბის საქმეებისთვის გაჩენილი, ორგანიზატორის იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული. დიდი პირადი მომხიბვლელობაც ჰქონდა: მშვენიერი გარეგნული იერი — ძალიან დახვეწილი და ინტელიგენტური; სკულპტურულად გამოკვეთილი სახის ნაკვთები, ლამაზი, ღრმა თვალები. თავის წლოვანებასთან შედარებით ყოველთვის მეტად სოლიდური და დინჯი ჩანდა*“.

იქნებ, არც ისაა აზრს მოკლებული, რომ ვივარაუდოთ, მას, როგორც ერთ დროს აფხაზეთში მცხოვრებს, ახლოს სცნობოდა ლავრენტი ბერია. შესაძლოა ისინი ბავშვობიდანვე, სკოლის მერხიდანვე იცნობდნენ ერთმანეთს.

ლ. ბერია რომ დიდად აფასებდა ს. ჯანაშიას, ჩანს გაზეთ „კომუნისტში“ (1947 წ. 21. XI) დაბეჭდილი სამძიმრის დეპეშიდან:

„*საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია*
აკადემიის პრეზიდენტს მუსხელიშვილს

გიცხადებთ ღრმა თანაგრძნობას საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთი გამოჩენილი ნიჭიერი მოღვაწის აკადემიკოს სიმონ ნიკოლოზის ძე ჯანაშიას გარდაცვალების გამო.

ლავრენტი ბერია“

ვახტანგ ბერიძის ცნობა, რომ სიმონ ჯანაშიას „*დიდი გავლენა ჰქონდა, მის სიტყვას ყველა ინსტანცია უწევდა ანგარიშს*“, მან კარგად გამოიყენა და არაერთი სასიკეთო საქმე გააკეთა:

1941 წ. დაფუძნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის განხორციელებაში ს. ჯანაშიას უდიდესი წვლილი მიუძღვის. იგი ხდება ამ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;

1943 წ. სიმონ ჯანაშიას ირჩევენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში ნამდვილ წევრად;

1943 წელს სიმონ ჯანაშია ივანე ჯავახიშვილთან და ნიკო ბერძენიშვილთან ერთად მომზადებულ სახელმძღვანელოსათვის — „საქართველოს ისტორია“ — ღებულობს სტალინურ პრემიას.

იქნებ, ყოველივე ამაში ლ. ბერიას ხელიც ურევია?

ნუ ვიჩქარებთ პასუხს, დაველოდოთ ახალ საარქივო მასალებს, რომლებიც მომავალში გამოშზეურდება. მაგრამ როგორ შეიძლება სხვაგვარად ავხსნათ ქვემოთ მოყვანილი ფაქტები:

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე თავის ნაშრომში მიუთითებს, რომ „*სიმონ ჯანაშიამ პატიმრობიდან გაანთავისუფლებინა 1938 წელს დაპატიმრებული გიორგი წერეთელი, მაშინ შედარებით ახალგაზრდა მეცნიერი, შემდეგში ცნობილი სემიტოლოგი... ეს მე პირადად ბ-ნ გიორგისაგან ვიცი... მე დღეს თუ ცოცხალი ვარ და აქ ვარ, ეს მისი დამსახურებაა. 1938 წ. მე მან პატიმრობიდან გამომიყვანაო..*“. — უთქვამს თურმე გიორგი წერეთელს.

მეორე ცნობაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომელსაც გვაწვდის ქალბატონი მარიამი: „*მეორე მსოფლიო ომის მძვინვარე წლებში, როდესაც გერმანელები კავკასიას უტევდნენ, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მცხოვრები გერმანელების ყაზახეთში გადასახლება გადაწყვიტა. დანიშნული იყო დრო და ყველას გამოუცხადეს მზად ყოფილიყვნენ. სიმონ ჯანაშიამ გადასახლებას გადაარჩინა თბილისში მცხოვრები სამი ოჯახი: გამოჩენილი გეოგრაფის, უნივერსიტეტის პროფესორის, გეხტმანის, თბილისის ობსერვატორიის დამაარსებლის, ცნობილი მეცნიერის ბიუსის და სამხატვრო აკადემიის პროფესორის, ცნობილი მხატვრის ოსკარ შმერლინგის. ცნობილი ხელოვნებათმცოდნე ქ-ნი რენე შმერლინგი და ბიუსის ქალიშვილი გილდა მიყვებოდნენ, რომ ბარგი უკვე შეკრული ჰქონდათ და ელოდებოდნენ მანქანას, რომელსაც*

უნდა წაეყვანა ისინი ნავთლულის სადგურში, სადაც საგანგებო შემადგენლობა ელოდათ. გაოცებული იყვნენ, რომ აგვიანებდნენ მოსვლას. მოვიდნენ და უთხრეს, რომ შეუძლიათ დარჩნენ სახლში, მათ არ ასახლებდნენ. შემდეგ შევიტყვეთ, რომ სიმონ ჯანაშიას შუამდგომლობით გადავრჩით გადასახლებასო“.

აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძის გადმოცემით, ს. ჯანაშიას *„ზრუნვა საზოგადო საქმეებსაც სწვდებოდა და ადამიანებსაც — უფროსებსაც და ახალგაზრდებსაც. გიორგი ლომთათიძეს განსაკუთრებით სათუთად ეპყრობოდა, როგორც საკუთარ შვილს, ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ მძიმე განსაცდელის დროს მან შეუნარჩუნა სიცოცხლე“.*

გიორგი ლომთათიძე ხომ ემიგრანტის შვილი იყო! ეს კი საკმარისი იყო რეპრესიისათვის.

ვახტანგ ბერიძე კიდევ ერთ შემთხვევას იხსენებს, რომელიც სიმონ ჯანაშიას დიდ ავტორიტეტზე მიგვანიშნებს: *„როცა დაკრძალვის წინა დღეს ბინიდან ოფიცერთა სახლში გადავასვენეთ, ისე მოხდა, რომ მე და ნიკო ბერძენიშვილი ერთად აღმოვჩნდით დარბაზში. დიდხანს ვიდექით ჩუმად, მერე კი ნიკომ მარცხენა ხელი ჩაიქნია (მისი დამახასიათებელი ჟესტი იყო) და ამოიოხრა: ახლა ყველა ვიგინდარა წამოჰყოფს თავსო. მაშინ დავუფიქრდი, რა მშვიდად გრძნობდა ყველა თავს სიმონის ზურგს ამოფარებული, რამდენი შესაძლებელი უსიამოვნებისაგან იფარავდა სიმონი ყველას“.*

ერთი სიტყვით, ვახტანგ ბერიძის ნათქვამი, რომ სიმონს *„დიდი გავლენა ჰქონდა, მის სიტყვას ყველა ინსტანციაა უწევდა ანგარიშს,“* ფაქტია. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს გავლენა მხოლოდ ნიჭიერების წყალობით ვერ შეიქმნებოდა, თუ იმ პერიოდში მას გარკვეული კავშირ-ურთიერთობები არ გაამყარებდა.

ეს საკითხის ერთი მხარეა.

მეორე მხარე კი ისაა, რომ სიმონ ჯანაშია მასწავლებლის ღირსეული მოწაფე იყო.

აკი წერდა კიდევაც ივანე *„სვიმონ ჯანაშია ყველა თავის ტოლ-ამხანაგებში თავისი ნიჭითა, მკვირცხლი გონებითა და შრომის მოყვარეობით ერჩეოდა“*-ო.

ასეთი გამორჩეულად დარჩა იგი ბოლომდე.

მაგრამ მათ ურთიერთობაშიც გაჩნდა ერთ დროს ერთგვარი ხინჯი.

არავის და არაფრის გამართლებას არ ვცდილობ, მაგრამ რომ არა საბჭოთა ეპოქის სირთულეები, ეს ხინჯი არ გაჩნდებოდა.

ვნახოთ და გავსინჯოთ არსებული მასალები.

პირველ რიგში, პირადი წერილები ვნახოთ. მასში ურთიერთობის ნიუანსები — სიწრფელეც, მოკრძალებაც, ანგარიშიც ყველაფერი ზედაპირზე დევს. ამ მხრივ, მათი მომოწერა, რაც შემოგვრჩა, ორ ნაწილად იყოფა. პირველი 1926-1931 წლებს მოიცავს და მეორე კი — 1937-1939 წლებს. მათ შორის კი უცნაური დუმილია.

შეუძლებელია მარტო ის წერილები დაეწერათ მასწავლებელსა და მოწაფეს, რაც გამოქვეყნებულია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ხელმისაწვდომი მხოლოდ ისინია.

ეს მომოწერა საოცარი სითბოთი, სიწრფელით და უშუალობითაა გამთბარი. მოწაფე მასწავლებელს ასე მიმართავს: „*თქვენი პატივისმცემელი და ერთგული*“ ან „*მუდამ თქვენი ერთგული*“ ან კიდევ „*მარად თქვენი მორჩილი და ერთგული*“. ხოლო მასწავლებელი მოწაფეს ასე პასუხობს: „*მარად თქვენი მოსიყვარულე*“ ან „*მარად თქვენი ბედნიერების მონატრული*“.

რაც შეეხება საქმეს, ორივესთან დახუნძლულია სხვადასხვა საკითხებით.

ამ წერილებში ერთმანეთზე ზრუნვაც ჭარბადაა.

მივყვეთ თანამიმდევრობით.

1926 წელია. დასაბეჭდად მზადდება ივანე ჯავახიშვილის „*ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია*“. ბეჭდვის მეთვალყურეობა მთლიანად სიმონზეა მინდობილი. იგი 1 თებერვალს წერილს უგზავნის ივანეს:

„*ბ[ატონო] ივანე!*

ღრმა ბოდიშს ვიხდი, რომ თქვენი დავალება ასე ცუდად შევასრულე. გუშინ უნდა გხლებოდით, მაგრამ ავადა ვარ და სახლიდან ვერ გამოვდივარ, საუბედუროდ. ვერც კაცი ვიშოვნე, რომ გამომეგზავნა. კიუნეს ყველა ის მასალა ვუჩვენე და გადაიღებდა კიდეც, რომ ფოტოგრაფიული ფირფიტები ჰქონოდა. ეხლა საჭიროა თქვენი განკარგულება, თუ რა ზომის ფირფიტები შეიძინოს: 13X18. cm., თუ 18X24? ნარინ დავითისა და ბაგრატ IV-ის სიგელები, როგორც მოგეხსენებათ, დიდს საბუთებს წარმოადგენენ და

ვერც იმაში გავერკვიეთ, თუ რამდენს ფირფიტაზე გადავიღოთ. კიუნე ფიქრობს, რომ საჭირო იქნება 4-4 ფირფიტა თითოსათვის, რათა ნათლად გამოვიდეს...

ვწუხვარ, რომ ამ საკითხებზე მოსასაუბრებლად პირადად ვერ გეახელით, არც თქვენი ჯანმრთელობის შესახებ ვიცი რამე, იქნებ უდროოდ და უადგილოდ გაწუხებთ. თქვენი პატივისმცემელი და მორჩილი ს. ჯანაშია“.

კიუნე თბილისში მოღვაწე გერმანელი ფოტოგრაფია, რომელიც წიგნისთვის საილუსტრაციო მასალებს ამზადებდა.

ახლა სხვა წერილი ვნახოთ.

1927 წელია. ივანე თბილისში არაა. იგი ციხისძირში ისვენებს. იბეჭდება ივანეს „*ქართული სამართლის ისტორია*“. წიგნის აწყობის მთავარი ჭირისუფალი კვლავ სიმონია. იგი წერილით სამწუხარო ამბავს ატყობინებს: გარდაიცვალა დავით კარიჭაშვილი. „*ძალიან ძძიმე მდგომარეობაში ჩავცვივდით: არავინ არის ტფილისში, თანხები არავითარი... ირიდიონს [სონღულაშვილი] და მე გვიხდება ყველა ამ საქმის მოგვარება. უნ[ივერსიტე]ტის სალაროშიაც ერთი გროში არა ძევს. — თქვენ არ შეგატყობინეთ დეპეშით, გვეშინოდა, ეს ისე არ გაგეგოთ, თითქოს თქვენი ჩამოსვლა იყოს საჭირო, რაც სრულიად მიზანშეუწონელი იქნებოდა. — ვასაფლავებთ პარასკევს, დიდუბეში. ეხლა უკანასკნელი პატივისცემა (სიტყვა და სხვ.), არც ერთი ორატორი ტფილისში არ არის! ძალიან გვიძძიმს ყველაფერი ეს!*

ეხლა ბეჭდვის საქმე: თქვენ იცით, რომ შეჩერებული იყო ყველაფერი. შემდეგ სპეციალური შუამდგომლობა აღვაძრევინეთ უნ[ივერსიტეტ]ტის გამგეობას. მაგრამ დიდხანს არაფერი გამოსულა აქედან. პირველ სტამბაში მხოლოდ წარსული კვირის ბოლოში განაახლეს მუშაობა, საკმაო ნელი ტემპით... უთუოდ შეცთომები ბლომად იქნება: მოგეხსენებათ ჩვენი „სჯულით ბარბაროზი და ქცევით ტარტაროზი“ მესტამბეების ვითარება. ამას გარდა, ზოგიერთ შემთხვევაში მე მიხდებოდა დედნის წინააღმდეგ ზოგი ადგილის შესწორება აშკარა შეცთომების გამო. ასე თვითნებურად მოვიქეცი, რომ არ დაგვგვიანებოდა. კიდევ დარჩა საეჭვო ადგილები. ამას გარდა, იმ გვერდებში, რომლებიც ჩემზე ადრე იყო შეკრული, არა ერთგან აღმოჩნდა მთელი სტრიქონები

გამოტოვებული და გადანგრევის შიშით, იძულებული ვიყავ აზრი აღმედგინა შეკვეცილი ფორმების საშუალებით. არის გაუგებარი ადგილები პირ[ველი] წ[იგნი]ს დედანშიაც... მაგრამ ეს ყველაფერი დანიშნული მაქვს.

თქვენი ამბავი არაფერი ვიცით, როგორ მოგწონთ მაქაურობა, როგორ ბრძანდებით? გთხოვთ ღრმა პატივისცემით მომიკითხოთ ქ[ალ]ბ[ატონი] თქვენი მეუღლე და ბავშვები.

მუდამ თქვენი ერთგული ს. ჯანაშია".

თავის მხრივ, არც ივანე რჩება მოწაფეს ვალში.

1927 წლის 3 აგვისტოს ციხისძირიდან ივანე პასუხობს სიმონს. იგი გულისტკივილს გამოთქვამს დ. კარიჭაშვილის დაღუპვის გამო და თავისი ავადმყოფობის შესახებ უამბობს. შემდეგ კი თავად მის ამბებს კითხულობს: „ბ[ატო]ნო სიმონ! *თქვენ რასა იქმთ მაგ პაპანაქება სიცხეში, რატომ თქვენი ამბის შესახებ, თქვენ ჯანმრთელობაზე არაფერსა მწერთ. კარგი იქნება რომ დაისვენოთ და სუფთა ჰაერი ჩაყლაპოთ... ეს ფოსტის ქაღალდი ისე საზიზღარი გამოდგა, რომ მრცხვენიან ასეთი წერილის გამოგზავნა, მაგრამ სხვა აქ, ბათუმში, არ ყოფილა და რა გაეწყობა. იყავით კარგად და ჯანმრთელად და თქვენი წერილებით გამახარეთ. ჩვენებისაგან მოკითხვა ყველასაგან. თქვენი ბედნიერი, ჯანსაღი სიცოცხლისა და ცხოვრების მონატრული ივ. ჯავახიშვილი*".

რეპრესიები, რომელიც ფაქტობრივად საქართველოს გასაბჭოებიდან დაიწყო, მთელი ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის ყველა ფენას შეეხო და პირველ რიგში ძველ განათლებულ თაობას. მათ რიგებში იყო ივანე ჯავახიშვილიც, მაგრამ განსაკუთრებით იგი 30-იან წლებში გახდა მძიმე. იგი ემთხვევა ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას შორის ჩამოვარდნილ ე.წ. „დუმილის პერიოდს", რაც დაკავშირებულია ე.წ. კონდრატიევ-შჩინის კამპანიასთან.

ნიკოლოზ კონდრატიევი იყო რუსი ეკონომისტი, რომელსაც სოციალისტურ ეკონომიკაზე საბჭოთა ხელისუფლებისაგან განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდა. ამის გამო ის 1930 წ. დაიჭირეს, გაასამართლეს და 1938 წ. დახვრიტეს.

1930 წელსვე დაიწყო დიდი კამპანია ე.წ. კონდრატივშჩინის სახელით და რომელიც მიმართული იყო არასასურველად მიჩნეულ

მეცნიერთა წინააღმდეგ. საჭირო არ იყო არანაირი ნაცნობობა ან იდეური ნათესაობა კონდრატიევთან, მხოლოდ არასაბჭოურად გამოცხადება და მორჩა. ეს იყო მეცნიერთა მოთვინიერების მორიგი კამპანია.

მოხსენება გააკეთა ინსტიტუტის დირექტორმა ივანე ვაშაყმაძემ, რომელმაც ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები არამარქსისტობის გამო დაიწუნა.

ამ თავყრილობას ივანე არ დასწრებია. ეტყობა, მან იცოდა რაც მზადდებოდა მის მიმართ და თავი აარიდა. რომ დასწრებოდა, რა უნდა ეთქვა?

თავი ემართლებინა, მართალია მარქსისტული ნაშრომები არა მაქვს, მაგრამ აწი შევეცდები დავწეროო? ამას ვერ გააკეთებდა. იგი თავის შემოქმედებას ხაზს ვერ გადაუსვამდა.

გაეპროტესტებინა და იქით დაედო ბრალი? ამით ხომ იმ წისქვილზე დაასხამდა წყალს, რომელიც მის საწინააღმდეგოდ იყო მოწყობილი.

არ დასწრება იყო სწორი ნაბიჯი და მანაც თავი აარიდა ამ სამარცხვინო „ბჭობას“.

ასე მოქცევა კი სიმონ ჯანაშიას არ შეეძლო. კამათში მანაც მიიღო მონაწილეობა. ან კი შეეძლო არაფერი ეთქვა? ამას ხომ პროტესტად მოუნათლავდნენ, მისგან გამომდინარე ყველა სავალალო შედეგით.

შემორჩენილია ამ სხდომის მასალები. სტენოგრაფისტს უხეიროდ ჩაუწერია გამომსვლელთა სიტყვები. საბედნიეროდ, ამ მასალებში გამომსვლელთა სტენოგრაფიულ ჩანაწერებთან ერთად ეს სიტყვები უშუალოდ ავტორთა მიერ საკუთარი ხელით დაწერილიც დევს ამ საქმეში. მათ შორის ბევრჯერ დიდი სხვაობაა. ასეა სიმონ ჯანაშიასთან დაკავშირებით.

მოვიყვან ერთ ამონარიდს:

„ამხ. მომხსენებელმა განიხილა ერთი ჯგუფი, რომელსაც ეწოდება ჯავახიშვილის ჯგუფი და მე სწორეთ ამ ჯგუფს მიმაკუთვნა. მე უნდა განვაცხადო, რომ ივანე ჯავახიშვილის უდიდესი პატივისცემა მაქვს, მან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ქართულ ისტორიულ მატერიალიზმში. მე პატივს ვცემ მას, როგორც კარგ, ნიჭიერ მეცნიერს, მაგრამ მე არავითარი საერთო არა მაქვს ამ

ჯგუფთან და მათი ინტერესები ჩვენ არა გვაქვს. ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობა განსაზღვრული არის იმ ფაქტით, რომ ჩვენ გვიხდება მუშაობა ერთ და იმავე ინსტიტუტში საქართველოს კათედრის“.

ს. ჯანაშიას ნათქვამი აუდიტორიას არ მოსწონებია და სტენოგრფისტსაც ჩაუწერია: „ადგილიდან: არ არის საკმარისი!“, თუმცა ტაში კი დაუკრავთ.

ახლა კი ვნახოთ იგივე ტექსტი, რომელიც თავად სიმონის მიერ არის დაწერილი:

„ამხ. მომხსენებელმა ინსტიტუტის თანამშრომელთაგან გამოყო ცალკე ჯგუფი, რომელსაც მან ივ. ჯავახიშვილის ჯგუფი უწოდა და, სხვათა შორის, მეც ამ ჯგუფს მიმაკუთვნა. — წერს ს. ჯანაშია, — პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიმართ მე გამსჭვალული ვარ უღრმეს პატივისცემის გრძნობით მისის დამსახურებისათვის ქართ. ისტორიოგრაფიის წინაშე, და მადლიერებით იმისთვის რომ მისგან მივიღე სათანადო ტეხნიკური აპარატისა და გაწვრთნილობა, რაც აუცილებელია მეცნიერებაში სამუშაოდ. მაგრამ არავითარი საერთო ჯგუფური ინტერესები ჩვენ არა გვაქვს. ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობა განსაზღვრულია იმ გარემოებით რომ ჩვენ გვიხდება ერთად მუშაობა ერთსადაიმავე სამეცნიერო დაწესებულებებში, კერძოდ საქ[ართველოს] სახ[ელმწიფო] პედ[აგოგიურ] ინსტიტუტის საქ[ართველოს] ისტ[ორიის] კათედრასთან“.

ცა და დედამიწასავითაა განსხვავება ამ ორ ამონარიდს შორის.

ახლა ვიკითხოთ: თუკი ჯანაშიას ნათქვამი სტენოგრაფისტმა კარგად ვერ გაიგო და ასე დაამახინჯა იგი, ხომ შეიძლებოდა იგი იმ პირებსაც ასე აღექვათ და ასე გაფუჭებული ტელეფონის მსგავსად მიეწოდებინათ ივანესათვის?

ვერაფერს დავიჩემებ, მაგრამ, ალბათ, უფრო ასე უნდა ვივარაუდოთ.

წარმოუდგენელია, სიმონ ჯანაშიას ეთქვა: ივანე ჯავახიშვილმა „დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ქართულ ისტორიულ მატერიალიზმში“-ო. ივანეს არამარქსისტობას უკიჟინებენ და მისმა მოწაფემ მასწავლებელი ისტორიული მატერიალიზმის მცოდნედ დასახა? თუ მართლაც ასე თქვა სიმონ ჯანაშიამ, მაშინ თავად,

რომელიც ამ მსოფლმხედველობისაკენ მიისწრაფვოდა, რატომ აღნიშნავდა, რომ „*მე არავითარი საერთო არა მაქვს ამ ჯგუფთან და მათი ინტერესები ჩვენ არა გვაქვს*“-ო?

ახლა კი ვნახოთ ვითარება, რომელშიაც უხდება სიტყვის წარმოთქმა სიმონ ჯანაშიას.

იგი სიტყვას იწყებს სოციალისტური მშენებლობის პროცესის ხსენებით და საუბრობს სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებზე. დარბაზს არ მოსწონს ეს ზოგადი საუბარი და ადგილიდან ეძახიან: „*თავის თავზედ ილაპარაკეთ*“.

სიმონი ამის პასუხად ამბობს: „*მე ვფიქრობ, რომ მთავარი საკითხი არის საკითხი ისა, რომ ძველი ინდივიდუალისტური ცნობიერების შესწავლა იქნება ახალი მეთოდებით ჩვენს პირობებში*“.

არც ეს მოსწონს აუდიტორიას და ეკითხებიან: „*ხართ თუ არა ჯავახიშვილი?*“

სტენოგრაფისტს ჩაუწერია: „*სიცილი*“.

აუდიტორიას გაეცინა, რადგან ჯანაშია ჯავახიშვილი რომ არ იყო ცხადია, მაგრამ კითხვის დამსმელს აინტერესებდა, იზიარებ თუ არა ჯავახიშვილის შეხედულებებსო?

აქ უკვე სხდომის თავმჯდომარე ერევა და სიმონს შენიშვნას აძლევს:

„*თქვენ არ ლაპარაკობთ თემაზე, აუდიტორია გთხოვთ, პირდაპირ საკითხს შეეხოთ*“.

სიმონი არ აქცევს ყურადღებას და ისევ ზოგად საუბარს აგრძელებს. მას კიდევ ორჯერ აწყვეტინებენ და ბოლოს იგი ამბობს იმას, რაც უკვე ზემოთ იყო მოყვანილი.

შემდეგ გამომსვლელთაგან სტუდენტი გაბუნია მოუწოდებს ს. ჯანაშიას აითვისოს „დიალექტიური მატერიალიზმი“ და არ დასჯერდეს მხოლოდ ფაქტების აღნუსხვას, „*როგორც ეს აქვს თავის წიგნებში პროფ. ჯავახიშვილს*“.

სტუდენტი მელაძე აცხადებს, რომ იგი დარბაზში არ ყოფილა ს. ჯანაშიას საუბრის დროს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ „*არის ნამდვილი ჯავახიშვილის მომხრე*“.

სტუდენტი ყალიჩავა ეხმიანება ს. ჯანაშიას ნათქვამს ივანე ჯავახიშვილზე და თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს მას: „*ჯანაშია ლაპარაკობს, მან (ჯავახიშვილმა) მას მისცა ისეთი გზა,*

რომლითაც ის გზას ირკვევს შემდეგისათვის“. ამას კი მუქარა მოსდევს: „*თუ თქვენ ასე განაგრძეთ, მაშინ დარჩებით გარიყული ჩვენგან*“.

ამ მუქარას ტაში დაუმსახურებია. საბჭოურად მოტიკტიკე სტუდენტებისაგან გარიყვა, რას ნიშნავდა, ძნელი გამოსაცნობი არაა.

საბოლოო სიტყვაში კი მომხსენებელი ივანე ვაშაყმაძე ს. ჯანაშიას გამოსვლით უკმაყოფილო, შემდეგს ამბობს: „*ს. ჯანაშია, რომელიც მემარცხენეშია მოყოლებული, შორიდან ეარშიყება მას (ჯავახიშვილს). არ უნდა არც იმასთან გასწყვიტოს კავშირი და არც ჩვენთან, ორპირობს, როგორც ვხედავთ, ერთი ნაბიჯი მან ჩვენსკენ გადმოდგა, მაგრამ უსურვებ, რომ საბოლოოდ გადმოედგას ჩვენსკენ ნაბიჯი და ძველებთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტოს*“.

ილია ვაშაყმაძის ამ „სადღეგრძელოს“ ტაში დაუმსახურებია და მასაც დაუსკვნია: „*ამავე დროს უნდა აღვნიშნო, რომ მისი გამოსვლა არ არის დამაკმაყოფილებელი*“.

ასე დასრულდა კონდრატიევშჩინით მონათლული „დისკუსია“.

გაიარა სულ რაღაც ხუთიოდე წელმა და ახლა უკვე უნივერსიტეტის სხვა რექტორმა მოაწყო ანალოგიური „დისკუსია“.

ბუნებრივია, სიმონ ჯანაშიას აქაც მოუხდა გამოსვლა. მეტიც, მისგან მოითხოვენ მასწავლებლის მთავარი ბრალმდებელი გახდეს. თუ ადრე საერთოდ ძველი პროფესურა იყო ამოღებული მიზანში, ახლა უშუალოდ ივანე ჯავახიშვილია დასმული საბრალდებო საკამზე.

ორ წყალს შორისაა მოქცეული სიმონი — ვერც მასწავლებელს სწირავს და ვერც საკუთარ თავს.

ცოტათი მაინც გადავავლოთ თვალი ამ დრამატულ პროცესს.

ს. ჯანაშია საუბარს იწყებს საისტორიო მეთოდოლოგიაზე მსჯელობის დროულობის ხაზგასმით. შემდეგ საბჭოთა სახელმწიფოს ბელადების გამონათქვამებს იშველიებს და მერე ეხება ჯავახიშვილის თემას.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ იგი ცდილობს ისაუბროს ზოგად კონტექსტში, საერთოდ ისტორიოგრაფიის მარქსისტულად გამართვის საკითხზე და არა კერძოდ და მხოლოდ ივანეზე. მარქსისტულ ისტორიოგრაფიაზე საუბრისას იგი ივანესაც

მოიხსენიებს და სხვასაც. მართალია, აქ იგი ივანეს გარკვეულ პასუხისმგებლობასაც აკისრებს, მაგრამ მას ან მთლიანად უნდა გაეზიარებინა ივანეს ხვედრი ან მისი ნაწილობრივი კრიტიკით უნდა დაკმაყოფილებულიყო. ეს ნაწილობრივი კრიტიკა, არაგულწრფელი არ იყო, მას სჯეროდა მარქსიზმის და ნაშრომებსაც ასე სწერდა.

თუ ზემოთ მოხსენიებულ ს. ჯანაშიას დისერტაციასთან დაკავშირებულ ივანეს პოზიციას გავიხსენებთ, საკამათო არაფერი იქნება.

ყოველ შემთხვევაში, მას ივანეს ჩასაწიხლი სიტყვა არ უთქვამს. თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ კონდრატიევ-შჩინის დროინდელი სტენოგრაფისტის ჩანაწერი დიდი სიზუსტით ვერ დაიკვეხნის, ახლა რატომ უნდა იყოს აბსოლუტურად სანდო?

„მე ვეთანხმები იმ ძირითად დებულებას, რომელიც მოხსენებაში იყო წამოყენებული პროფ. ჯავახიშვილის შესახებ. ეხლა სასაცილო იქნებოდა დაგვეწყო იმის მტკიცება, რომ ჯავახიშვილი მარქსისტი არ არის, ამას არც თვითონ ამტკიცებს და არც არავის სჯერა“.

ჯანაშიას ეს ნათქვამი მხოლოდ ფაქტის კონსტანტაციაა და არა მისი შეხედულება, მით უმეტეს შეფასება. შეფასებასა და თავის პოზიციას იგი ქვემოთ აყალიბებს, როცა ივანეს დამსახურების ჩამოთვლის შემდეგ აცხადებს:

„გაუგებრობათ მიმაჩნია, როდესაც პროფ[ესორ] ჯავახიშვილს მიაკუთვნებენ რიკერტის ან ვილდენბანდის სკოლას. არავითარი მაგისთანა სკოლას ჯავახიშვილი არ ეკუთვნის, არავითარი ფილოსოფიური კონცეპცია მას არ მოეპოვება“.

დასავლეთ ევროპის მეცნიერებისადმი მსოფლმხედველობრივი და მეთოდოლოგიური მიკუთვნებულობა დიდ ცოდვად ითვლებოდა და იგი ამ ბრალდებამიკერებულს გილიოტინისკენ უკვალავდა გზას.

მაგრამ განა შეიძლებოდა, მეცნიერი, რომლის განსაქიქებლად 3-საათიანი მოხსენება იქნა წაკითხული, მსოფლმხედველობის გარეშე დგასო ეთქვა ვინმეს? სიმონ ჯანაშიაც ახსენებს ამ თემას და ვინმე მეგრელიშვილი ადგილიდან პირში სწვდება: *„როგორი არის მისი მსოფლმხედველობა?“*

უჭირს თავის შეკავება სიმონს, უჭირს და პასუხობს:

„თქვენ, ამხანაგო გაბრიელ, ხშირ-ხშირად მომეცით ეგეთი შეკითხვა, თორემ შეიძლება დამავიწყდეს ჩემი სათქმელი“.

ახლა გიორგი სოსელია გამოიდებს თავს:

„მაინც საინტერესოა, როგორი მსოფლმხედველობა აქვს ჯავახიშვილს?“

ჯანაშია: *„მოგახსენებთ, როგორი მსოფლმხედველობა აქვს ჯავახიშვილს და სხვებსაც, რომლებიც ცდილობენ საქართველოს ისტორიაში იმუშაონ“.*

სტენოგრფისტის ჩანაწერი: *„დარბაზში მოძრაობა, სიცილი“.*

გრძნობს დარბაზი, თუ ვის გულისხმობს „სხვებში“ სიმონი.

ამიტომ ეცინება.

მაგრამ სიმონს ეცინება?

„ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის განსაზღვრის დროს მე ვეთანხმები იმ ძირითად დებულებას, რომელიც მოხსენებაში იყო მოცემული. ძირითადი არის ის, რა თქმა უნდა, ნაციონალიზმი. ნაციონალიზმი, რომელიც წინა რევოლუციურ საქართველოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა და რომელიც დამახასიათებელი არის იმ საზოგადოებრივი წრისათვის, რომელსაც პროფ. ჯავახიშვილი ეკუთვნოდა და რომლის მეთაურად მე ილია ჭავჭავაძე მიმაჩნია“.

ალბათ, ადვილი არ იყო ამის თქმა. რადგანაც ნაციონალიზმი, მაშინ სულაც არ იყო დადებითი შინაარსის. მაგრამ ცნობილი გამოთქმის არ იყოს, განა სიმღერიდან სიტყვის ამოგდება შეიძლება? თუმცა ეს სიტყვა ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებით ითქვა. ილია კი ამ დროისათვის რეაბილიტაციის გზაზეა. 1934 წელს, როცა ჩატარდა მწერალთა საკავშირო პირველი ყრილობა, ქართველ მწერალთა დელეგაციის მოხსენებას წინაწარ გაეცნო სტალინი და დაიწუნა მასში ილიას მოუხსენიებლობის გამო.

ეს იცის სიმონმა და კარგადაც იყენებს მას. იგი გერმანელ ისტორიკოსების გავლენას უარყოფს და ივანეს მსოფლმხედველობას ილიასთან აკავშირებს.

ეს ხერხია: მთავარი საშიშროება, დასავლეთევროპელი მოაზროვნეებთან კავშირი, უარყოფილია და ილია, რომელიც უკვე სტალინის მიერაა აღიარებული, მტკიცე საფარია.

ისევ გაბრიელ მეგრელიშვილი წამოყოფს თავს:

„ნაციონალიზმი მსოფლმხედველობაა?“

ხედავთ, რა ვითარებაა?

დარბაზში მყოფნი იმას კი არ ცდილობენ, ორატორისგან რაღაც პოზიტიური მოისმინონ, არამედ პირდაპირ ათქმევინონ — ჯავახიშვილი დამნაშავეა!

ხედავს ამას სიმონი და მას მსჯელობა ისტორიის სხვადასხვა საკითხზე გადააქვს. იგი აცხადებს, რომ „*პროფ[ესორი] ჯავახიშვილი ჩვენი ახალგაზრდობისათვის არის მდიდარი მემკვიდრეობა,*“ მაგრამ ეს მემკვიდრეობა მან თურმე უნდა გაიაზროს „*დაძლევისა და კრიტიკული ათვისების გზით*“.

„დაძლევა“ მეც არ მომწონს, მაგრამ რას ვიზამთ?

სიმონ ჯანაშია მარქსისტულ მსოფლმხედველობას ემხრობოდა და მისთვის ყველა მემკვიდრეობა „დასაძლევი“ ანუ სხვაგვარად გასააზრებელი იყო. რაც შეეხება „კრიტიკულად ათვისებას“, ეს ხომ თავად მასწავლებლისაგან ჰქონდა შესისხლხორცებული მოწაფეს!

შემდეგ ს. ჯანაშია ავრცობს სათქმელს და გადადის სხვა ქართველი ისტორიკოსების შემოქმედების დახასიათებაზე.

ეს ხერხია.

სიმონ ჯანაშიას სურს მსჯელობა სხვა მიმართულებით წარმართოს. მას ეს გამოუვიდა კიდევაც. თუმცა იგი შეუნიშნავი არ დარჩენილა და ბოლოს წამოაძახა კიდევაც გ. ჯანელიძემ:

„*ს. ჯანაშია არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ივ. ჯავახიშვილის ისტორია იდეალისტურია, მიუღებელია. მას კონკრეტულ მაგალითებზე შეეძლო ეჩვენებია ჩვენთვის ი. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისა და მეთოდის მიუღებლობა, მისი არამეცნიერული ხასიათი... ამხ. ჯანაშია ამ საკითხებზე საკმაოდ არ შეჩერდა, მან მთავარი ცეცხლი ამხ. გრ. სოსელიას დაუნთო და თავისი გამოსვლის მთავარი ნაწილი მას მოანდომა. ... მთავარი დღეს ჩვენთვის პროფ. ი. ჯავახიშვილის და მისი სკოლის კრიტიკაა*“.

ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის ხელაღებით გადაფასება რომ არ შეიძლება, სიმონ ჯანაშიამ აჩვენა გიორგი სოსელიას ნაშრომიდან მაგალითების მოხმობით.

„როგორ არღვევს ჯავახიშვილის აზრს სოსელია. — კითხულობს ს. ჯანაშია და პასუხობს. — ძალიან მარტივად. ის ამბობს: პროფ. ჯავახიშვილი ამტკიცებს, რომ პირველ საუკუნეში არის გვაროვნული წყობილება. პროფ. ჯავახიშვილი კარგი ფაქტოლოგია, ამიტომ ეს უნდა დავუჯეროთ, მაგრამ პროფ. ჯავახიშვილი ამტკიცებს, მიუხედავად იმისა, რომ აქ გვაროვნული წყობილებაა, აქ არსებობს სახელმწიფოც. ამაში ჩვენ ვერ დავუჯერებთ ჯავახიშვილს, რადგან მარქსიზმი გვასწავლის, რომ გვაროვნულ წყობილებაში სახელმწიფო არ შეიძლება იყოს“.

დარბაზში მყოფი გ. სოსელია წამოიძახებს:

„ასე არ მაქვს, მარქსი და ენგელსი არ მიხსენებია სრულებით“.

ს. ჯანაშია კითხულობს ციტატებს სოსელიას წიგნიდან, რომელსაც ლამის ნახევარი გვერდი უკავია. ეტყობა სიმონმა თავისი სათქმელი წინასწარ კარგად დაგეგმა და მასალებიც, სათანადო ციტატები, მოიმარაგა. თორემ საიდან ეცოდინებოდა, ვინ რა რეპლიკას წამოისროდა?

ს. ჯანაშიას წაკითხული ციტატებიდან ჩანს, რომ გ. სოსელიას მსჯელობა მარქსისა და ენგელსის დაუსახელებლადაც მარქსისტული სულისკვეთებისაა და ჩიხში მყოფი გ. სოსელია გაცხარებით ამბობს:

„ეს არ არის ტიპიური. ეს არ არის მარქსისტული“.

გ. სოსელიას სურს თქვას, რომ ენგელსის მიერ მოყვანილი მაგალითი ტიპიური არაა და ამიტომ არატიპიური მარქსისტულად ვერ გასაღდებაო. თუმცა ს. ჯანაშია მოწინააღმდეგის რეპლიკით სარგებლობს და რიტორიკულად პასუხობს:

„თუ ეს შეხედულება ენგელსის მარქსისტული არ არის, მაშინ არ ვიცი, რა არის მარქსისტული და რა არა“.

დარბაზში ტალახაძე ვერ ისვენებს და ისვრის რეპლიკას, რომ *„ასეთი შეხედულება არ აქვს ენგელსს“.*

ახლა სიმონს უკვე ენგელსიდან მოჰყავს ციტატა და წიგნის გვერდსაც უთითებს.

სოსელია: *„იცით თუ არა, ვინ სარგებლობს ამ ადგილით ისე, როგორც თქვენ სარგებლობთ?“*

ჯანაშია: *„განვაგრძოთ“.*

არ აქცევს ყურადრებას ამ რეპლიკას.

„ეს რა თქმა უნდა, ტიპიური შემთხვევა არ არის. ამხ. სოსელია მართალი არის, როდესაც ამბობს, რომ ტიპიური შემთხვევა არ არის, მაგრამ ამასვე ამბობს თვითონ ენგელსი, რომ ტიპიური შემთხვევა არ არისო. ყოველთვის ჩვენ კონკრეტული მასალის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ“.

შემდეგ სიმონ ჯანაშია ამბობს, რომ თურმე გ. სოსელიას მტკიცებით, ქართველები მესამე საუკუნემდე ვაჭრობდნენ და მესამე საუკუნის ბოლოს სპარსელების გავლენით მიწათმოქმედებაზე გადავიდნენო. სიმონი კითხულობს *„რა იყო საქონელი, რომელიც ბაზარზე გაჰქონდათ და როგორ სწყვეტს ამ საკითხს ამხ. სოსელია. ასახელებს იგი თუნდაც ერთ ფაქტს, რომ ასეთი ვაჭრობა მართლაც იყო საქართველოში? არც ერთ ფაქტს არ ასახელებს. აი, ეს არის სწორედ ის აბსტრაქტული მსჯელობა და „სოციოლოგიზაცია“, რომლის შესახებ უმაღლეს ორგანოების დადგენილებაში არის ნათქვამი“.*

სტენოგრამაში წერია: *„დარბაზში მოძრაობა, სიცილი“.*

როგორც ეტყობა, მოეწონა დარბაზს ს. ჯანაშიას მახვილგონივრულობა.

სიმონმა აჩვენა, რომ ივანეს ფაქტოლოგოსობის დაწუნება ასე ჰაიარად არ შეიძლება და ეს თავგამოდებული მარქსისტები თურმე „სოციოლოგიზაციის“ გზას ადგანან, რომელიც ხელისუფლებამ დაიწუნა.

სიმონმა ხომ თავისი სიტყვა დაიწყო სადირექტივო ორგანოების დებულებებით და აი, ახლა მათ დადგენილებას ამ თავგამოდებული მარქსისტების ნაღვაწი შეუდარა. ალბათ, ეს კარგად დაინახა დარბაზმა და ამიტომ არის მითითებული, მოძრაობა და სიცილიო. შემდეგ კი სოსელიას კვლავ „იჭერს“ ფაქტის დამახინჯებაში. კერძოდ, ქართლში მეფობის გაუქმებასა და ხელისუფლების აზნაურების ხელში გადასვლაზე:

„საიდან, ამხ. სოსელია? ეს არის მე-5 საუკუნის ამბები, მეფობა კი გაუქმდა 50 წლის შემდეგ“.

გ. სოსელია დარბაზიდან გულარხეინად პასუხობს:

„რა მნიშვნელობა აქვს რამდენიმე წლებს?“

ამ „პასუხს“, ალბათ, კომენტარი არ სჭირდება.

შემდეგ კი ს. ჯანაშია თავის თავზე ამბობს: ჩემი მსოფლმხედველობა „*ეს არის მარქსიზმი, რომლის ნიადაგზე მე უყოყმანოდ ვიდექი და ვდგავარ*“. მას მოაქვს ამონარიდი თავისავე შრომიდან და ასკვნის, რომ ეს დებულებები სავსებით ეთანხმება ხელძღვანელი ორგანოების დებულებებსო.

ბოლოს კი, ხაზგასმით აღნიშნავს: „*არ არის მაინც ისე ცუდად საქმე საქართველოს ისტორიაში*“, რადგან „*გამოქვეყნდა ის ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მთელ მსოფლიოში დადის და რომელსაც მილიონები კითხულობს*“. ეს ნაშრომია თურმე ბერიას წიგნი.

ვინ შეეპასუხებოდა?

პირიქით, ტაშს უკრავენ.

ამ ტაშისცემით იგი შეეწინააღმდეგა ორაგველიძეს, რომლის მიხედვითაც, „*უნუგეშო მდგომარეობაა საქართველოს ისტორიის ფრონტზე*“, რადგანაც ივანე ჯავახიშვილის ისტორიული სკოლა არ არის განადგურებული, მას არ მოუხდენია „*თავისი ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული დებულებების*“ გადაფასება და მისი გავლენა „*ახალ კადრებზე ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია*“.

სიმონ ჯანაშიამ ვერავინ მოატყუა, ყველამ დაინახა, რომ მან მასწავლებლის შრომები კი არ დაგმო, რასაც მოითხოვდნენ, არამედ თქვა, რომ ესაა მემკვიდრეობა. იგი კი არ უნდა უარვყოთ, არამედ კრიტიკულად ავითვისოთო. ეს მისი გულწრფელი სიტყვა იყო.

გულწრფელობა იქით იყოს.

სხვაგვარად თქმა მაშინ ძნელი იყო.

არავინ არ იყო დაზღვეული და არავინ იცოდა, თუ ხვალ რა მოხდებოდა და როდის შეიცვლებოდა „ძლიერთა ამა სოფლისათა“ გუნება-განწყობილება. არაერთი „ბედის ნებიერი“ საბჭოთა ბობოლა გაუწირავთ. ამ ვაკხანალიის სულის ჩამდგმელების გახსენება კმარა, ილია ვაშაყმაძეც და კარლო ორაგველიძეც დახვრიტეს. ასე რომ, არც სიმონ ჯანაშიას ჰქონდა ასპროცენტიანი დაცვის გარანტია.

ჩაიარა ამ ვაკხანალიამ.

ივანე ჯავახიშვილს კი დიდი ტკივილი დაუტოვა.

ყველაზე მეტად მოწაფეებისგან ეწყინა. თუმცა მან მათი ნათქვამი სხვათა პირითგან იცოდა. და გაცივდა ურთიერთობა. არავინ იცის, როგორ და რანაირად. ჩვენ მხოლოდ ფაქტი ვიცით, რომ მიმოწერაში მათ შორის რამდენიმეწლიანი პაუზაა.

ეტყობა, სიმონს უჭირს ივანესთან მისვლა. მართლა ძნელია, არ ვარ დამნაშავეო უმტკიცო ვინმეს და ისიც სათაყვანებელ მასწავლებელს. ასეთ ვითარებაში თავად ივანე დგამს პირველ ნაბიჯს.

თსუ მუზეუმში ინახება ივანე ჯავახიშვილის შესახებ ნათელა ჯავახიშვილის მოგონებების ჩანაწერები. აქვეა ამ მოგონებების დასაწერად შედგენილი გეგმა. იგი რამდენიმე პატარა ფურცელზეა მოთავსებული და მოწაფეთაგან მხოლოდ ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი და ლ. მუსხელიშვილია მოხსენიებული. აქედან უკანასკნელი ორი მხოლოდ თითოჯერ, ს. ჯანაშია კი 6-ჯერ. ეს მხოლოდ გეგმაა და მოგონებები კი რამდენიმე ვარიანტადაა დაწერილი, მათგან არც ერთი დასრულებული არაა. ასე რომ, ნათელა ჯავახიშვილს ეს გეგმა შეუსრულებელი დარჩა და ჩვენ არ ვიცით, რას გულისხმობდა, რა სათქმელი ჰქონდა მონიშნული. მაგრამ თავისთავად ნიშანდობლივია მოწაფეთაგან მხოლოდ სამის გამორჩევა, მათგან ორის თითოჯერ მოხსენიება და მესამესი კი 6-ჯერ.

ეს ექოა, რაც ნათელა ჯავახიშვილს დარჩა გარდასული დროიდან.

ეს შთაბეჭდილებაა, რაც ყოველდღიურად მამის ცხოვრებაზე დაკვირვებამ დაუტოვა.

და ეს ყველაფერი ერთ რამეზე მეტყველებს: მასწავლებელს გამორჩეულად უყვარდა სიმონი.

მართლაც, დიდსულოვანი კაცი ბრძანდებოდა ივანე ჯავახიშვილი.

„ჯვარს აცუ ეგე“

ეს ამბავი ახალი არაა.

ძველია, ძველთაძველია.

ისეთივე ძველია, როგორც სიკეთე და ბოროტება, დიდსულოვნება და გულნამცეცობა, სიყვარული და სიძულვილი...

წარმოიდგინე მკითხველო ბრბო, რომელიც ყვირის *„ჯვარს აცუ ეგე, ჯვარს აცუ!“*.

ქრისტეზე ამბობდა ამას ეს ბრბო.

რაღა გასაკვირია ნებისმიერ ხორციელზე ასეთი განაჩენი გამოიტანოს იგივე ბრბომ.

ბრბო ყოველთვის ბრბოა და ასეთად დარჩება.

საქმე ისაა, ადამიანი ეცადოს და არ მოხვდეს მათ რიგებში.

სამწუხაროდ, ეს ადვილი არაა.

ერთს გამორჩენის ინსტინქტი უკაფავს გზას ბრბოს შუაგულისკენ, სხვას კი — გონების სიდუხჭირე.

პირველნი ზნეობასთან არიან მწყრალად და ასეთები ცოტა სულაც არაა.

არც მეორენია მცირედნი.

პირველმა ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ მისთვის ასე ჯობია.

მეორემ არაფერიც არ იცის, მას მხოლოდ ასე სჯერა.

თვალს გადაკრული ლიბრის მოშორება ადვილია, გონებისა კი — ძნელი. ეს იმიტომ კი არა, რომ გონება უფრო რთული რამაა. ეს იმიტომ, რომ მხედველობის გაუარესება ადვილი შესამჩნევია და მაშინვე ექიმს მივმართავთ. ექიმის ჩარევით საქმის გაუმჯობესებაც ადვილსაცნაურია.

რაც შეეხება გონებას, აქ საქმე სხვაგვარადაა. გონებრივი სიძაბუნე აბა, ვის უღიარებია? ან კი შესაძლებელია? ამას ხომ გონიერების ქონა უნდა და თუ იგი დაქვეითებულია, როგორღა უნდა მივხვდეთ?

სავალალოც ეგაა და ამიტომაც აღმოვჩნდებით ზოგჯერ ბრბოს შუაგულში.

სავალალოა და არა სანუგეშო.

სავალალოა, რადგან ასეთ ვითარებაში მყოფს ადამიანის გაწირვაც ისევე ეადვილება, როგორც მისი ქება-დიდება და გაღმერთება.

ივანე ჯავახიშვილს არც ერთი არ დაკლებია.

ჯერ იყო და 1924 წელს ცოტა ხნით ციხეში ამყოფეს და იქიდან, როგორც ჩანს, გარკვეული პირობით გამოუშვეს: თუ არ მოაწერდა ხელს პროფესორთა შეთითხნილ დეკლარაციას, უნივერსიტეტს გაანადგურებდნენ.

მაშინ თურმე მეცნიერს სიმწრით აღმოხდა: *„ნეტავ ამაზედ ხელი არ მომეწერა და მომკვდარვიყავიო“*.

მერე იყო და 1926 წელს უცერემონიოდ დაატოვებინეს უნივერსიტეტის მესაჭეობა.

1928 წელს საზეიმოდ აღინიშნა უნივერსიტეტის დაარსების 10 წლისთავი, მაგრამ მისი დამაარსებელის გარეშე.

იასონ ლორთქიფანიძეს, ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს, ასეთი რამ ჩაუწერია დღიურში:

„26 თებერვალს ჩვენი უნივერსიტეტის ათი წლის იუბილეი იყო. გაზეთებში და მოხსენებებში სრულიად მივიწყებული იყო პროფ. ჯავახიშვილის ღვაწლი ამ საქმეში და მისი ხსენებაც კი არსად იყო. მე მაშინ ავათმყოფი ვიწევი საავადმყოფოში. ამ გარემოებამ დიდათ ამაღელვა და მე მივწერე ჯავახიშვილს შემდეგი წერილი:

„დიდათ პატივცემულო ბატონო ივანე!

ნება მიბოძეთ, ქართული უნივერსიტეტის ათი წლის არსებობის თავზე უღრმესი სალამი გიძღვნათ და თან მოგილოცოთ ეს დღესასწაული.

თქვენ იყავით ერთადერთი ინიციატორი, ხელმძღვანელი და ფაქტიური აღმასრულებელი ამ დიდი საშვილიშვილო საქმისა და ბედნიერი უნდა ბრძანდებოდეთ, რომ, მრავალგვარი უსიამოვნებისა, ამ საქმეს მაგარი საფუძველი ჩაუყარეთ და მით გაუწიეთ ჩვენს საყვარელ სამშობლოს, სხვა უამრავი სამსახურის გარდა, ეს დაუფასებელი სამსახურიც.

ბოდიშს ვიხდი, რომ მძიმე ავადმყოფობის გამო ლოგინზე ვარ მიკრული, მე არ შემიძლია არამც თუ სიტყვიერად მოგილოცოთ ეს დიდი დღე, არამედ უბრალო ზრდილობაც ვიხმარო და ეს წერილი მელნით დავწერო და არა ფანქრით.

თქვენი პატივისმცემელი იასონ ლორთქიფანიძე“.

წევს საავადმყოფოში უნივერსიტეტის ერთ-ერთი ამაგდარი კაცი. იგი უნივერსიტეტის დასაარსებლად შექმნილი საზოგადოების საფინანსო კომისიის თავმჯდომარე იყო. ავადმყოფობა ცალკე აწუხებს და ცალკე უსამართლობა ტკენს გულს.

ვერ ისვენებს და წერილით ამხნევებს დიდ ივანეს.

ლოგინში მწოლიარეს მელნით წერა არ შეუძლია და წერილის ფანქრით დაწერაზე ბოდიშობს.

„ბედნიერი უნდა ბრძანდებოდეთო“, „დიდი საშვილიშვილო საქმის“ აღსრულებისთვისო, — წერს.

„ბედნიერი უნდა ბრძანდებოდეთო“ ანუ ახლა შეუფერებლად გეპყრობიან, მაგრამ გული არ უნდა გაიტეხოო.

შემდეგ კი უსამართლო ფაქტს ხელახლა აღნუსხავს:

„თვით იუბილესაც არ დასწრებია ჯავახიშვილი, მხოლოდ პრეზიდიუმის წევრთა შორის იგიც ყოფილა დასახელებული და როცა მისი გვარი დაუსახელებიათ, მთელ თეატრს ტაში დაუკრავს და „ვაშა“ დაუძახნია“.

ეს რომ ასე მოხდა ოფიციალური დოკუმენტიდანაც მტკიცდება, რომელიც თვით ლავრენტი ბერიას მიერაა შედგენილი. მასში ნათქვამია, რომ როცა უნივერსიტეტის დაარსების 10 წლის ზეიმზე მისულან ფილიპე მახარაძე, თედო ღლონტი და სხვა პირები, მათ სტუდენტობა ცივად შეხვედრია. ხოლო როცა პრეზიდიუმში ასარჩევად ივ. ჯავახიშვილიც დაუსახელებიათ, დარბაზი აღფრთოვანებულა და თურმე დიდხანს მართავდა ოვაციას.

აქვე ბერია ხაზგასმით მიუთითებს, რომ პროფესორი ივანე ჯავახიშვილი პირდაპირ გაღმერთებულია და იგი სტუდენტების ნამდვილ კუმირს წარმოადგენსო. ბოლოს კი ასკვნის, გასაგებია, თუ რას უნდა ველოდოთ ასეთ სტუდენტებისაგან რაიმე სერიოზული გართულების დროს და მათთან კიდევ ბევრი მუშაობაა საჭიროო.

ახლა, ცხადია, თუ რატომ არ აძლევდა ხელს საბჭოთა ხელისუფლებას ივანე ჯავახიშვილის რექტორობა — ხელისუფლება მის მიერ დაწყებული „რეფორმების“ გამო მშვიდად ვერ გრძნობს თავს და სერიოზული გართულებების მოლოდინშია.

1926 წლიდან 1928 წლამდე 2 წელია გასული, მაგრამ ეტყობა ჯერ ბევრი არაფერია შეცვლილი და პარტიული ხელმძღვანელები შფოთავენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

ხელისუფლება ემიგრაციაშია. ეს არანაკლებ საფრთხეს უქმნის მათ და იქაც აქტიურად მუშაობენ. ზოგს იბირებენ და თანაც ემიგრაციის დაშლას ცდილობენ. ერთ-ერთი საზღვარგარეთ მივლინებული ემისარი ვ. ალიხანაშვილი სერგო ორჯონიკიძეს ურჩევს: უნდა „*საბჭოთა ხელისუფლება შეეცადოს ქართველ ემიგრაციის დაშლას რაც შეიძლება მალე*!“

საინტერესოა ამ წერილის დაწერის თარიღი: 1926 წლის 1 ივლისი.

ამ დროს უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი უკვე აღარ არის.

საბჭოთა ხელისუფლება კი მართლაც მრავალგვარ ხერხს მიმართავს რეჟიმის განსამტკიცებლად. ამიტომ ყურადღების ცენტრშია უნივერსიტეტიც.

1928 წელს, უნივერსიტეტის 10 წლის იუბილეზე, რექტორი თედო ღლონტი ამბობდა: „*ჩვენ თავის დროზე ვერ გავითვალისწინეთ და ვერ წარმოვიდგინეთ უნივერსიტეტის მდგომარეობა, ჩვენ ვერ შევაფასეთ ის დანაშაულობანი, რომელიც მიუძღოდა მენშევიკების მთავრობას უნივერსიტეტისადმი, რომ ყოველი წუთის დაუკარგველად დაგვენგრია ის საფუძვლები, რომელზედაც უნივერსიტეტი იყო აგებული, უნივერსიტეტისთვის ჩამოგვეშორებია ის ძალები, რომელნიც სრულიად არ შეეფერებოდნენ ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს*“.

აი, რექტორიც ამას ჰქვია!

უნდა „*ყოველი წუთის დაუკარგველად დაგვენგრია ის საფუძვლები, რომელზედაც უნივერსიტეტი იყო აგებული*“ — ამ სიტყვების წერისას თედო ღლონტს ალბათ, არც უფიქრია, რომ ისტორიას თავის საკუთარ სახეს წარმოუდგენდა, რადგანაც ეს მისი და მისნაირთა საპროგრამო თეზისი იყო.

უნივერსიტეტი 1930 წელს გააუქმეს კიდევაც და მის ბაზაზე სამედიცინო, პედაგოგიური, საფინანსო-კოოპერაციული და საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტები დააფუძნეს. თუმცა 1933 წელს პოზიცია შეიცვალეს და უნივერსიტეტი აღადგინეს, მაგრამ ამ აქტს აღდგენა კი არ დაარქვეს, არამედ ახალი უნივერსიტეტის დაარსება. რექტორ ლევან აღნიაშვილის ცნობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლავრენტი ბერიას ინიციატივით დაარსებულა 1933 წლის 28 იანვარს.

1935 წელს უნივერსიტეტის რექტორი ლ. აღნიაშვილი ლ. ბერიას მოახსენებს, რომ თურმე 1924 წელს უნივერსიტეტში კომპარტიისა და კომკავშირის წევრი ერთად ყოფილა სულ 3 ადამიანი, მათი რიცხვი 1928 წლისთვის 14-მდე გაზრდილა და 1930 წლისთვის კი 45-სთვს მიუღწევია. ახლა კი, მისი რექტორობის დროს, 260 გამხდარა, რაც პერსონალის საერთო რაოდენობის 44 პროცენტს შეადგენს და ამას დიდ მიღწევად ვთვლიო.

მაშინ, მათი აზრით, ეს მართლაც მიღწევა იყო, საპირისპირო აზრით კი, ცხადია, რაც იყო!

აქვე რექტორი ლევან აღნიაშვილი თანამშრომელთა სოციალურ წარმომავლობას ეხება, მოჰყავს სათანადო ციფრები და აცხადებს, რომ მემამულურ-თავადური წარმომავლობის პერსონალი უნივერსიტეტში წარმოადგენს 9,1 პროცენტს და მუშურ-გლეხური წარმომავლობისა კი — 60,3 პროცენტსო. იგი კითხულობს, ამის შემდეგ საიდან ჩანსო, რომ მე უპარტიო პროფესორებს ლიბერალურად ვექცევიო.

ლიბერალური საქციელი ცუდი და საძრახისი ყოფილა, ცხადია, პროლეტარიატის დიქტატურისათვის მიუღებელი. ამიტომ სიმტკიცე უნდა გამოიჩინონ, მედგარი სიმტკიცე და ულმობელი უნდა იყვნენ ნებისმიერი განსხვავებული აზრის მქონეთადმი.

თურმე უნივერსიტეტის თანამშრომელი წარმომავლობის მიხედვით უნდა შეარჩიო და არა მათი პროფესიული უნარის მიხედვით!

თუ განსხვავებული აზრის მოსმენა არ გსურს, რა თქმა უნდა, ასე უნდა მოიქცე და იქნები მშვიდად უკუნითი უკუნისამდე.

რატომღაც ყველას ასე ჰგონია და არავინ ფიქრობს წინამორბედთა ბედზე, მათაც იგივე მოუწევთ, ისინიც ჩამობრძანდებიან ამ მაღალი კვარცხლბეკიდან.

რატომღაც კაცურად ჩამობრძანება არ სურთ.

ისტორიიდან ცნობილია, რომ რომის იმპერიაში მისი იმპერატორების უდიდესი ნაწილი ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდრა. ყველამ იცოდა ახალს რა მოელოდა, მაგრამ არავინ ამბობდა ტახტზე უარს.

ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიაშიც ჩანს ანალოგიური რამ.

თედო ღლონტი დახვრიტეს.

ივანე ვაშაყმაძე დახვრიტეს.

ალექსანდრე ერქომაიშვილი დახვრიტეს.

ლევან აღნიაშვილი დახვრიტეს.

კარლო ორაგველიძე დახვრიტეს.

მართალია, რექტორობისას არა, შემდეგ, ცოტა მოგვიანებით... ისინი დასაჯა იმ რეჟიმმა, რომელსაც ასე გულმოდგინედ ემსახურებოდნენ.

ეტყობა, ჭკუას არავინ სწავლობს.

ეტყობა, იმპერატორებიც და რექტორებიც ადამიანები არიან, ერთნაირი ადამიანები...

თანამდებობრივი სავარძელი სიცოცხლეზე მეტად უყვართ.

მაგრამ ჩვენს სათქმელს დავუბრუნდეთ.

ლ. აღნიაშვილის ლოგიკას თუ გავყვებით, მემამულურ-თავადური წარმომავლობის პერსონალს, რომელიც თურმე 9,1 პროცენტს შეადგენს, მთლიანად მოვსპობთ და მუშურ-გლეხური წარმომავლობისას კი 60,3 პროცენტიდან 100-მდე ავიყვანთ, ალბათ წარმატების ოაზისში ჩავიძირებით.

ოაზისში ანუ იზლერის ბაღში.

ხომ გახსოვთ ილიასეული „რუსის აფიცერი“, საშაქრეში ბუზს რომ ამწყვდევდა, დენშიკს შაქარი რომ არ მოეპარა?

„ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას“. — აი, ასე ღაღადყო ამ „რუსის აფიცერმა“, როცა გაიგო, რომ ქართველობას ოცამდე გენერალი ჰყავდა.

ახლა მუშურ-გლეხური წარმომავლობის ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ ყველგან და გენერლების ნაცვლად წითელი პროფესორები; პროფესორები, რომლებმაც შეიძლება ბევრი რამ არ იცოდნენ, მაგრამ სანაცვლოდ პარტიის „მართალ ხაზს“ მიჰყვებოდნენ.

„მართალი ხაზი“.

„ჭეშმარიტი რწმენა“.

„სწორი პოზიცია“.

გეცნობა მკითხველო?

„ჯვარს აცუ ეგე, ჯვარს აცუ!“

ასეთი კატეგორიული მოთხოვნა აუცილებლად მოჰყვება ასეთ კატეგორიულ დასკვნებს!

ჰოდა, იყო მიზეზი და გამოინახა საბაბიც.

ამჟამად მას კონდრატიევშჩინა დაერქვა.

ეს კამპანია ილია ვაშაყმაძემ 1930 წლის დეკემბერში გამართა.

მან წაიკითხა მოხსენება, სადაც პროფესორები სამ ნაწილად დაჰყო: მემარჯვენეებად, მემარცხენეებად და ჭაობად.

მემარჯვენეები, მისი განმარტებით, ის პროფესორები იყვნენ, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილნი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და ყოველნაირად უშლიდნენ ხელს რევოლუციური მარქსისტული კადრების აღზრდას;

მემარცხენეები კი მარქსისტულად განწყობილნი და საბჭოთა ხელისუფლების მოტრფიალეთა კრებული იყო;

ჭაობი ინერტულად განწყობილი პროფესორებისაგან შედგებოდა, რომლებიც აშკარა მტრობას არ ავლენდნენ კომუნისტური იდეოლოგიისადმი, მაგრამ არც დიდ სიმპათიებს ამჟღავნებდნენ.

ივანე ჯავახიშვილი მემარჯვენეებს იყო მიკუთვნებული.

„ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი წარმომადგენელი არის პროფ. ივ. ჯავახიშვილი, — აღნიშნა მომხსენებელმა, — *იდეოლოგიურად ის ძველი ფეოდალურ-ნაციონალისტური ქვეყნის წარმომადგენელია. მეთოდოლოგიურად მხოხავი ემპირისტია და ანტი-მარქსისტი. განზოგადებას და სინთეთიურ აზროვნებას ის გაურბის, ხოლო თუ მის ნაშრომებში შეხვდებით სინთეთიურ აზროვნებას, ის აუცილებლად ნაციონალისტური ბუნების იქნება“.*

თუმცა ივანე ვაშაყმაძე მაინც ხედავს რაღაც დადებითს: *„ფაქტების შეგროვების მხრივ ივ. ჯავახიშვილს აქვს დიდი ღვაწლი — მაგრამ მხოლოდ ფაქტების შეგროვების მხრივ“.*

საბოლოო დასკვნა კი ასეთია: *„ივ. ჯავახიშვილის ისტორია არ არის ისტორია, როგორც მეცნიერება. საქართველოს მეცნიერულ ისტორიის დამწერს ჯერ კიდევ უცდის საქართველოს ისტორია“.*

ასე რომ, განაჩენი გამოტანილი იყო. მაგრამ ეს ყველაფერი საჯარო „განხილვით“ უნდა დადგენილიყო, რომ შექმნილიყო შთაბეჭდილება *„ხმა ღვთისა, ხმა ერისაო“.*

და დაიწყო: *„ჯვარს აცუ ეგე, ჯვარს აცუ!“*

მომხსენებლის მერე ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლის როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლები, ისე სტუდენტები. პირველთაგან ერთი ნაწილი მხოლოდ ბრალდებებს უყენებს ივანე

ჯავახიშვილს, მეორენი კი ცდილობენ მათ დაცვას ისე, რომ საკუთარი თავიც გადაირჩინონ.

საარქივო მასალები, რომლებიც შემოგვრჩა, არ არის სრული და ხშირად მანქანაზე ნაბეჭდის უხეირო ასლებია, რომლებიც ბევრგან დაზიანებულია. ასე რომ, ჩვენ მხოლოდ შემორჩენილი ფრაგმენტებითღა შეგვიძლია ვისაუბროთ.

ამ მასალებში თავმოყრილია როგორც პროფესორების, ღვაწლმოსილი მეცნიერების, ისე სტუდენტების გამოსვლების ჩანაწერები. მოვიყვან მხოლოდ ძალიან დამახასიათებელ ადგილებს.

ჯერ უფროსი თაობის იმ წარმომადგენლებს მოვუსმინოთ, რომლებიც არავითარ შანსს არ უტოვებენ ივანე ჯავახიშვილს.

ცნობილია, რომ სერიოზულ და ღრმად განსწავლულ ისტორიკოსს სარგის კაკაბაძესა და ივანე ჯავახიშვილს ერთმანეთთან პიროვნული შეუთანხმებლობა ჰქონდათ. ამ უსიამოვნების საფუძვლების ძიება აქ უადგილოა. აღსანიშნავია, მხოლოდ ის, რომ ერთხელ სარგის კაკაბაძემ წერილობით კიდევაც მოუბოდიშა ივანეს და სთხოვა მათ შორის დაძაბული ურთიერთობა წარსულს ჩაბარებოდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა — ეს კონფლიქტი კვლავაც გაგრძელდა.

და აი, ამ სამსჯავროზე ძალიან მძიმე ბრალდებებით გამოდის სარგის კაკაბაძე. მოვიყვან რამდენიმე ამონარიდს:

* *„ჯავახიშვილს ისტორიაში აქვს, რომ ვიღაცას ვიღაცის ცოლი გაუუპატიურებია. ძალიან ბოდიშს ვითხოვ, რომ მე ამ სიტყვას ვიძახი. აი, ასეთ საბუთზე აგებს ჯავახიშვილი ისტორიას“.*

* *„აგრედვე, მას წიგნი დაწერილი აქვს მენშევიკების სულისკვეთებით“.*

* *„... კონდრატიევშჩინა, რომელზედაც ეხლა არის ლაპარაკი, კრებავს გულგატეხილობას, ყოველგვარ საბოტაჟნიკებს ჩვენი მეურნეობისა აღმშენებლობის ცალკე დარგებში. მაგრამ ეს ვნება იდეოლოგიისა გამოიხატება პრაქტიკულ საქმიანობაში. სხვა მხრივ მე დავასახელებ ზოგიერთ ფაქტს. [19]23 წელში, როდესაც საქართველოში ტარდებოდა ანტირელიგიური კომპანია, ჩვენი მონასტრები და ეკლესიები უნდა ყოფილიყო დაცული, მას საფრთხე მოელოდა. მაშინ მე და კეკელიძემ და ჯავახიშვილმა (ალბათ ივანე არ იგულისხმება. დ.ს.) მივმართეთ ცენტრალურ მთავრობას,*

რადგან მათ არ იცოდნენ ეს ამბავი, რომ ძეგლები ნადგურდებოდა, მივეცით ცნობა და ხელისუფლებამ მიიღო სათანადო ზომები და ეს ძეგლები იყო დაცული. როდესაც ჩვენ მივმართეთ ჯავახიშვილს, მან სთქვა, რომ დეე, დაიღუპოს და მომავალ მთავრობის წინაშე მათ აგონ პასუხიო და ნაწილობრივ დანაშაული მიუძღვის ჯავახიშვილს ამ ძეგლების დაღუპვაში“.

** „ანალოგიური მდგომარეობა იყო არქივებში. ივ. ჯავახიშვილი აბუჩად იგდებდა ამ არქივებს, ამ არქივების შეკრების საქმეს“.*

** „აქ ვაშაყმაძემ ბრძანა, რომ ივანე ჯავახიშვილი არის დიდი ნაციონალიზმის მიმდევარიო. ეს ნაციონალიზმის მიმდევარი კი არ არის, არამედ არის ფეოდალური წესწყობილების მიმდევარი“.*

** „ეხლანდელ მომენტში საჭიროა ჩვენ ამოუდგეთ გვერდში მუშათა კლასს. ეს არის სწორი გზა, ამ გზით უნდა ვიაროთ და ამ გზით სრული გამარჯვება იქნება იდეოლოგიის და ამ პერიოდში მუშათა კლასის რევოლუცია იქნება მარქსისტული დროშის ქვეშ“.*

ეს სიტყვის დასასრულია და ამიტომაცაა ასეთი პათოსი შერჩეული, რომელსაც ხანგრძლივი ტაში მოჰყოლია.

ვთქვათ და რაც აქ სარგის კაკაბაძემ თქვა, სრულ სიმართლეს შეესაბამება, რა ჰქვია ამ საქციელს, თუ არა ბეზღობა.

ბეზღობას რომ თავი დავანებოთ, საარქივო და სამუზეუმო მასალებისადმი გულგრილობა შეიძლება ივანე ჯავახიშვილს დავაბრალოთ? დიდი ისტორიკოსი იმ მასალების დაღუპვის მომხრე ყოფილა, რომელსაც თავის შრომებში ეფუძნებოდა?

ცნობილია, რომ სარგის კაკაბაძე ივანეს სიძველეების სავალალო მდგომარეობის გამო ბრალს დებდა, მაგრამ 1927 წელს წერილით შემდეგი რამ მისწერა: *„ჩემს ძმას დავით კაკაბაძეს, ჩემი თხოვნით ჰქონდა თქვენთან საუბარი იმ ფრიად სამწუხარო უსიამოვნებათა შეძლებისდაგვარად სალიკვიდაციოდ, რომელთაც ადგილი ჰქონდა ჩემ მხრივ თქვენდა მიმართ 1924-1925 წლების სიგრძეზე... სამწუხაროდ, თქვენდამი პატივისცემის ეს ღრმა გრძნობები დასძლია ობიექტურ მიზეზებით გამოწვეულმა უბედურმა ვითარებამ სიძველეთა დაცვის საქმეში 1924 წ. თუმცა არსებითად თქვენ აქ, რასაკვირველია, არაფერ შუაში იყავით“.*

სარგის კაკაბაძე ყველაფერს ხსნის იმ სულიერი განწყობილებით, რომელიც მასში გამოიწვია სამონასტრო საბუთების

დაკარგვამ. „ასეთ მომენტში ჩემი ჩქარი და ცხარე ტემპერამენტი, სამწუხაროდ, საძნელოდ ხდიდა სიფრთხილით საკითხების წამოყენებას, რის გამო ამ საკითხების წამოყენებამ მიიღო არასასურველი მიმართულება“.

გამოდის, რომ ყველაფერი *„ჩქარი და ცხარე ტემპერამენტის“* ბრალი ყოფილა და შეცდომა საპატიებელია:

„გამოვსთქვამ ღრმა მწუხარებას ყოველ იმ უსიამოვნების გამო, რომელიც 1924-1925 წლებში მე უნებლიეთ მოგაყენეთ წერილობით... და ბეჭდვით, ფაქტების არასწორად გაგებით ან შეცდომით წარმოდგენით და არაკორექტული კილოთი“.

ამდენად, სარგის კაკაბაძე აღიარებს, რომ მას არსებული ფაქტები არასწორად გაუგია, შეცდომითაც წარმოუდგენია და ყოველივე არაკორექტულადაც წარმოუთქვამს.

მეტი რა უნდა მომხდარიყო?

ახლა, როცა საჯაროდ ივანე ჯავახიშვილის განქიქება ხდებოდა *„ჩქარი და ცხარე ტემპერამენტის“* ბრალი ნუთუ არაფერი იყო?

დავტოვოთ ეს რიტორიკული კითხვა და ახლა სხვა პირის გამოსვლას მივაპყროთ ყური.

ტრიბუნაზეა პროფესორი ს. ხუნდაძე.

ვრცელი საუბრის შემდეგ იგი მოკლედ მოსჭრის, რომ *„მართალია ჯავახიშვილი დიდი მეცნიერი არის, დიდი ნიჭიერი კაცი არის, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად მიუღებელი არის. ეს ისტორია, მისი ნაწერი არ არის სოციალისტური ენით ნაწერი“.*

ხოლო როცა პროფესორი თუ დოცენტი შარია (დოკუმენტში ორივე წოდებითაა იგი მოხსენიებული) ადის ტრიბუნაზე, აუდიტორია მას ხანგრძლივი ტაშით ხვდება. ეტყობა, იცის აუდიტორიაში მყოფმა უმრავლესობამ, რას მოისმენს. იგი კი, მართლაც რევოლუციური პათოსით ქვას ქვაზე არ ტოვებს და აცხადებს: პროფესორები ივანე ჯავახიშვილი და გრიგოლ წერეთელი *„ეწევიან პოლიტიკურ საბოტაჟს. კრებაზე არ მოისურვეს დასწრება... მართალია, ივანე ჯავახიშვილს დიდი დამსახურება აქვს, მაგრამ ეს არ აძლევს იმის გარანტიას, რომ მას შეცდომებს არ გაუსწორებენ, თუ ის თავის პოზიციებს არ გადაშინჯავს, არ დააკვირდება კარგათ, ვერ იხსნის ვერაფერი, რაც უნდა კარგი დამსახურება ქონდეს“.*

შარიას რა ენაღვლება!

იგი ერთ-ერთი ბრალმდებელია და თავის საქმეს აკეთებს.

რა ქნან ივანეს მოწაფეებმა, რომლებიც ორ ცეცხლს შორის არიან მოქცეულნი?

ძნელია ამ ბრბოს წინაშე წარდგომა.

უჭირს ყველას და ეს ყოველივე მათს სიტყვებს ეტყობა — ბორძიკობენ და ხავს ეჭიდებიან.

დოცენტი ნიკოლოზ ბერძენიშვილი თავის სიტყვას კითხვით იწყებს და ასეთი დიალოგი იმართება:

— *„არ ვიცი რომელ დაჯგუფებაში მომათავსა პატივც[ემულ-მა] მომხსენებელმა პროფ. ივ. ვაშაყმაძემ“.*

— *„(ვაშაყმაძე: ჯავახიშვილის).*

— *თუ ჯავახიშვილის ჯგუფში ვარ, უნდა განვაცხადო რომ, ჩემი აზრი არის სამწუხარო. მე არ უნდა მოგეთავსებინეთ ჯავა-ხიშვილის ჯგუფში..“.*

თუ რატომ, მოწაფე იქვე განმარტავს:

„ამხანაგებო, ვერ ვიტყვი, რომ მე ვარ ნამდვილი რევოლუციონერი, მე მხოლოდ აქტიურად ვმუშაობ სოციალისტურ აღშენებლობაში ჩემ ხელმისაწვდენ სფეროში..“. აქედან გამომდინარე კი, *„რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას პროფ. ივანე ჯავახიშ-ვილთან, ასეთი არის. მე მას უღრმეს პატივს ვცემ, როგორც ჩვენს ხელმძღვანელს, განსაკუთრებით ისტორიის დარგში, მაგრამ ყველა ეს სრულიად არ მიშლის ხელს არ გავიზიარო მისი იდეო-ლოგიური კონცეპცია (ადგილიდან: ძირს, ძირს, ძირს, ძირს!)“*.

ამ სიტყვების წარმომთქმელმა, ალბათ, ნახევარი სიცოცხლე მათ გააყოლა, მაგრამ ეს არავის მოსწონს. „არ ვიზიარებ“ ცოტაა და ეს არავის აკმაყოფილებს. ამიტომაც გრგვინავს დარბაზი:

„ძირს, ძირს, ძირს, ძირს!“

კიდევ ერთ მოწაფეს მოვუსმინოთ და გვეყოფა:

ტრიბუნაზეა დოცენტი ვარლამ თოფურია: *„მე მემარჯვენეებს მიმაკუთვნეს, მე ივ. ჯავახიშვილს მიმაკუთვნეს. მე ივანე ჯავა-ხიშვილის მოწაფე ვიყავი და მე მას პატივს ვცემ. ნუთუ ეს პა-ტივისცემა არის მემარჯვენეობა. რატომ არ ღებულობთ იმ გა-რემოებას, რომლებთანაც უფრო ახლო ვიყავი და მოთავსებულნი არიან მემარცხენე ჯგუფში. ესენი არიან ახვლედიანი და კეკელი-*

ძე. თითქმის მე მათ ყოველ დღე ვხედავ და მე მათთან ვმუშაობ, ჯავახიშვილს კი თვეში ერთხელაც ვერ ვხედავ“.

მარტო ამ სიტყვების წაკითხვა კმარა, რომ დარწმუნდეს ადამიანი, ეს არაა აკადემიური დისკუსია.

აქ არანაირი სამეცნიერო საკითხი არ იხილება.

ესაა კაფკას სამყარო!

ესაა სასამართლო, სადაც უდანაშაულო ადამიანებს აბსურდულ ბრალდებაზე უწევთ პასუხის გაცემა. მათ არ შეუძლიათ თქვან, რომ ეს ყველაფერი ტყუილია და არ სურთ ამ ფარსში მონაწილეობა.

არა, ეს მათ არ შეუძლიათ!

ისინი იძულებულნი არიან მიიღონ შემოთავაზებული თამაშის წესები და უნდა გაიარონ სცილასა და ქარიბდას შორის. ცდილობენ დაიცვან თავიანთი მასწავლებელი და თანაც საკუთარ თავზეც იფიქრონ.

არავის არა აქვს შეუხებლობის გარანტია.

არავინ არაფრისგანაა დაზღვეული.

ღამე ყველა ელოდება კარზე დაკაკუნებას და ჩეკაში მიბრძანებას.

ჰოდა, ასეთ ვითარებაში მოდით და გავამტყუნოთ ვინმე!

„*მე ივანე ჯავახიშვილის* მოწაფე ვიყავი და მე მას პატივს ვცემ“.

„ნუთუ ეს პატივისცემა არის მემარჯვენეობა“.

ამ რიტორიკულ კითხვას ამ სამსჯავროზე განა აქვს რაიმე მნიშვნელობა?

რა თქმა უნდა, არა, რაც ეს მისმა წარმომთქმელმა ჩვენზე უკეთ იცის და ამიტომ უფრო „მყარ“ არგუმენტს იშველიებს:

„*რატომ არ ღებულობთ იმ გარემოებას*“, რომ მე მემარცხენე ჯგუფში მოხვედრილ კეკელიძესა და ახველდიანს „*ყოველ დღე ვხედავ და მე მათთან ვმუშაობ, ჯავახიშვილს კი თვეში ერთხელაც ვერ ვხედავ*“.

ამაზე შორს შეიძლება წავიდეს სასოწარკვეთილება?

შეხვედრის ინტენსივობა არგუმენტი გამხდარა!

მემარცხენეთა ჯგუფში მოხვედრილი პროფესორები ამ წუთს მაშველ რგოლადაა მოყვანილი, თუმცა წყალწაღებულის წასაპოტინებელი ხავსია მხოლოდ.

ახლა სტუდენტებსაც მოვუსმინოთ.

მათი ახალგაზრდული მაქსიმალიზმი მართლაც უკიდეგანოა:

სტუდენტი ცხაკაია: „*აქ ლაპარაკობენ, რომ პროფ. ჯავახიშვილი დიდი მეცნიერია... მაგრამ მე ვლაპარაკობ, რომ ეს მხოლოდ შირმაა, თორემ ეს კაცი არ წარმოადგენს ისეთ დიდ პიროვნებას, როგორც ზოგიერთებს გონიათ... მისი მთელი წიგნები არის ემპირიული ფაქტები*“.

სტუდენტი და რკინიგზელი მუშა დემეტრაშვილი: „*უნდა აღინიშნოს, რომ დაიწყო კულტურული რევოლუცია, მაგრამ არ მომხდარა ინტელიგენციის ტვინის გადამუშავება. აი, საჭიროა, რომ ინტელიგენციის ტვინი გადამუშავდეს, ძირფესვიანად შეითვისოს ახალი მსოფლმხედველობა, მარქსისტული თეორია, მარქსისტული იდეოლოგია*“.

საკითხავია, ამ რკინიგზელმა მუშამ ამდენი თუ იცოდა, რომ პროფესორებს ჭკუა ასწავლოს, სტუდენტად ყოფნას რაღა რჯიდა?

ეტყობა, იზლერის ბაღში დიდი დრო გაუტარებია ასპირანტ ხარატიშვილის. სხვგავარად ვერ შეძლებდა ასეთი რიხით ეთქვა, რომ „*მე ისტორიკოსი არა ვარ, მაგრამ მაინც ვერკვევი ამ საკითხებში*“-ო.

ერკვევა, აბა არ ერკვევა?

არ გჯერათ?

აბა, მოუსმინეთ და თავად შეაფასეთ:

„*მე, რა თქმა უნდა, ვლაპარაკობ ახლა ჯავახიშვილზე და წერეთელზე. მე მაგონდება საფრანგეთში, გერმანიაში, კაფე შანტანში რას ჩადიოდნენ ისინი... რა უნდა ამ ხალხს, რას გვედავებოდნენ?*“

ბოდიში უნდა მოგახსენო მკითხველო! ჩვენი ასპირანტი იზლერის ბაღში კი არა კაფე-შანტანში ყოფილა და იქ უნახავს პროფესორები ჯავახიშვილი და წერეთელი. მას ისიც უხილავს, თუ რას სჩადიოდნენ ისინი ამ განთქმულ კაფეში.

მოდით და ნუ დაუჯერებთ ამ განსწავლულ ასპირანტს, რომელიც ისტორიკოსი არ არის, მაგრამ მაინც ერკვევა ყველაფერში. ან კი ისტორიკოსობა რად უნდა კაფე-შანტანში მყოფ პროფესორების აღვირახსნილობის შეფასებას!

კაფე-შანტანში ვნახეო პროფესორები ჯავახიშვილი და წერეთელი, — ბრძანებს ასპირანტი.

თუ ბრძანებს ასპირანტი, ვინ არ დაუჯერებს?

მაგრამ რას აკეთებდნენო, არ გვიმხელს და არც არავინ ეკითხება. თუმცა რა კითხვა უნდა? ასეთ კაფეში-შანტანში, რომელსაც

ესტრადა აქვს და მხიარული გართობისთვისაა განკუთვნილი, პროფესორების ყოფნა უკვე დანაშაულია.

ამას არ ამბობს ასპირანტი, მაგრამ იგი ხომ იგულისხმება, დარბაზსაც ესმის და ყველაფრის თქმა განა აუცილებელია!?

ხოლო სტუდენტ მელაძის მახვილ მზერას არ გამოპარვია, რომ „პროფ. თოფურია, ჩიქობავა და სხვები არიან ჯავახიშვილის ჯგუფი, ისინი იცავენ ჯავახიშვილის თვალსაზრისს“. ამიტომ აფრთხილებს მათ: *„თქვენ პროფესორო თოფურია, პატივს გცემთ, როგორც პროფესორს და თუ თქვენ კლასობრივ ხაზს გაამრუდებთ, მე ამას არ დაგითმობთ. ჩვენ კომუნისტები დისციპლინის ხალხი ვართ, ჩვენ გვინდა შესწავლა ნამდვილი იდეოლოგიური მარქსიზმის, პროლეტარული და თუ თქვენ ეს არ გნებავთ, ჩვენ გვყავს მომზადებული ხალხი, რომელიც თქვენ გაგისწორდებიან“.*

როგორც იქნა, ერთმა სტუდენტმა, გვარად ყალიჩავამ, თავისი დასკვნა ფაქტზე „დააფუძნა“:

„მე ვიცი ერთი ფაქტი. როდესაც რუსეთმა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ლენინი, მაშვინ ჩვენი გრ. წერეთელი და ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ გავკეთდით ხალხი, ლენინი მოკვტაო. ეს არის კონტრრევოლუციონერი, ის მეთაურობს იმას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოდის. დასკვნა ჩემი ასეთი არის, რომ ჯავახიშვილი და წერეთელი არის აშკარა მავნებლები. ჩვენ კი ვერ დაგვამარცხებს ვერავითარი დაბრკოლება, გადავლახავთ ყველაფერს და წავალთ წინ სოციალიზმისაკენ“.

საკმარისია ამ ვაკხანალიის „მარგალიტების“ განხილვა.

ირონია იქით იყოს და ამ ცოდვის კითხვაშიც იყო მართლაც, ობოლი მარგალიტივით, სიკეთისა და კაცურ-კაცობის გამონათება.

მხოლოდ ერთმა კაცმა გაბედა და განაცხადა ვაჟკაცურად: *„მე არ ვეკუთვნი იმ პირებს, რომლებსაც სურთ ჯავახიშვილის ჩაწიხვლით გაიკეთონ თავიანთი კარიერა.... რაც შეეხება სტუდენტობას, რომ მე ასე მახასიათებენ, ალბათ, სხვა რამე იქნება და ჯავახიშვილის მიმართ გალაშქრებით იკეთებენ კარიერას. მე ეს კაცი არა ვარ“.*

ეს კაცი აკაკი შანიძე იყო!

ამ კაცმა 101 წელიწადი იცოცხლა, იგი არ დაუხვრეტიათ. მაგრამ, არავინ იცის, ამ გამბედაობას რა მოჰყვა? ამის შესახებ მასალები ჯერ-ჯერობით ხელთ არა გვაქვს. თუმცა ერთი წერილი

კი შემოგვრჩა, სადაც გიორგი ახვლედიანი 1932 წ. 27 აგვისტოს ივანეს სწერს: „*შეიძლება ითქვას, რომ აკაკი სრულიად კარგად არის: სავსებით დამშვიდებულია და არავითარი აკვიატებული აზრები აღარ აქვს; აქვს მხოლოდ წუხილი იმის შესახებ, რაც თავს გადახდა და ისიც იშვიათად*“.

იმ სამსჯავროდან ამ წერილის დაწერამდე სულ რაღაც წელიწად-ნახევარია გასული და, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაც აკაკი შანიძეს თავს გადახდა, ამ სიტყვების შედეგი ყოფილიყო. თუმცა რაიმე სხვა პირადულ მოვლენასაც ვერ გამოვრიცხავთ. იქნებ, მომავალში აღმოჩნდეს რაიმე დოკუმენტი, რომელიც საკითხში მეტ სინათლეს შეიტანს.

საბედნიეროდ, ამ კამპანიას ივანესთვის სავალალო შედეგი არ მოჰყოლია.

ახლა არაფერი მომხდარა, მაგრამ არც შეწყვეტილა.

რამდენიმე წელიწადში ახალი კამპანია დაიწყო.

ეს მოხდა 1936 წელს.

ამის შესახებ ივანე წერილით ამცნობს ლენინგრადში მყოფ ვარლამ დონდუას:

„*უკანასკნელ დროს კვლავ განახლდა ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა ტ[ფილისის] ს[ახელმწიფო] უნივერსიტეტში. რექტ[ორმა] კ. ორაგველიძემ 3-საათიანი მოხსენება წაიკითხა უ[ნივერსიტე]ტში, რომელშიც ყველა ჩემი ნაშრომების უვარგისობის დამტკიცებას ლამობდა იმის გამო, რომ მარქსისტული არ არის, რაც არავისთვის ახალ აღმოჩენას არ წარმოადგენდა*“.

ეს ახალი კამპანიაც კვლავ „დისკუსიად“ იყო მონათლული.

უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის კარლო ორაგველიძის მოხსენებას, რომელიც შედგა 1926 წ. 23 მარტს, ერქვა „*საქართველოს ისტორიის საკითხისათვის*“.

პოლიტიკური ეკონომიის სპეციალისტს რამდენად ხელეწიფებოდა ისტორიის მეცნიერებაში არსებული ვითარების შეფასება, კითხვადაც არ ღირს. მაშინ, ყველას ყველაფერი ხელეწიფებოდა.

საქმე ის იყო, რომ მანამდე, 1926 წლის იანვარში, გამოქვეყნდა სტალინის, კიროვისა და ჟდანოვის შენიშვნები სამოქალაქო ისტორიის სახელმძღვანელოს კონსპექტებზე. და აი, უნივერსიტეტის რექტორმა საკბილო იშოვა და საქართველოში ამ სფეროს

დალაგება მოინდომა. მაშინ მეცნიერება ფაქტობრივად ხომ უნივერსიტეტში არსებობდა.

კ. ორაგველიძის ეს ვრცელი მოხსენება შედგება შესავლის, 9 თავისა და დასკვნისაგან. მათგან 8 თავი ცალკეა გამოყოფილი. ისინი უშუალოდ ივანე ჯავახიშვილს ეძღვნება. ამ თავებს ეწოდება:

1. პროფ. ივ. ჯავახიშვილი და მისი შეფასება ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ.
2. პროფ. ივ. ჯავახიშვილი და დიალექტიკური მეთოდი.
3. ივ. ჯავახიშვილი და მატერიალისტური თეორია.
4. ჯავახიშვილი და პიროვნების როლი ისტორიაში.
5. ჯავახიშვილი და მისი ობიექტივიზმი.
6. ჯავახიშვილი და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი.
7. ჯავახიშვილი და ფეოდალიზმის საკითხი საქართველოში.
8. ჯავახიშვილი და ნაციონალური საკითხის თეორია და პრაქტიკა

ამდენად, ამ ჩამონათვალითაც საცნაურია, რას წარმოადგენს მოხსენების და მთელი ამ კამპანიის მიზანი. მაგრამ მაინც ვნახოთ, რა დასკვნა შემოგვთავაზა მომხსენებელმა:

ზოგიერთებს *„მიაჩნიათ, რომ ჯავახიშვილის სკოლა სავსებით განადგურებულია და რომ აქ ჩვენს წინაშე უკვე არავითარი ამოცანა აღარ დგას... ჯავახიშვილის ისტორიული სკოლა არ შეიძლება განადგურებულად ჩაითვალოს, რადგან მისი გავლენა ლიტერატურაში და ახალ კადრებზე ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია“*.

ივანე არც ამჟამად გამართულ სხდომებს დასწრებია. თუმცა, როგორც ეტყობა, მას მისი ახლობლები აწვდიდნენ ინფორმაციას.

კ. ორაგველიძემ შემდეგ ეს მოხსენება უნივერსიტეტის შრომებში დაბეჭდა. რა თქმა უნდა, მეცნიერი გაეცნო მას და გული ერთხელ კიდევ ეტკინა. ამ ტკივილს, საერთოდ სიტყვაძუნწი მეცნიერი ასე გადმოსცემს:

ავადმყოფობისაგან ჩემს *„ფიზიკურ ტკივილს ზედ ზნეობრივიც დაერთო: კ. ორაგველიძემ უნივერსიტეტის ორგანოში დაბეჭდა თავისი მოხსენება, რომელიც შარშან წაიკითხა ჩემს წინააღმდეგ. მე ის მაშინ არ მომისმენია და მისი შინაარსი მხოლოდ მონათხრობის სახით მქონდა გაგონილი. ეხლა საშუალება მქონდა ჩემის თვალით წამეკითხა. ვერ წარმოვიდგენდი, თუ რომ ადამიანის უანგარო მოღ-*

ვაწეობის ასე ურცხვად წაბილწვა შესაძლებელი იყო. ამ ვაჟბატონის მტკიცებით, თურმე ფეოდალური წესწყობილებისა და ჩაგრულთა მჩაგვრელთაგან ექსპლოატაციის გასამართლებლად დამიწერია ჩემი თხზულებები. საქართველოს საზღვრებზე რომ მაქვს მსჯელობა, ვითომც ვისიმე კარნახით და მეზობლების მძულვარებით ვხელმძღვანელობდე. ჩემს გამოკვლევებში სოციალური ბრძოლის შესახებ ვითომც მე არას ვამბობდე. და საერთოდ კი საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორის სახელწოდების ღირსადაც კი გამხადა. ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა გუნებაზე უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც 39 წლის განმავლობაში სამეცნიერო მოღვაწეობის შემდგომ თავის ნამუშევრის ასეთს დახასიათებას წაიკითხავს, ამასთანავე იმ დაწესებულების სათავეში მოქცეულ პირისაგან, რომლის შექმნას მთელი თავისი ძალღონე და ჯანმრთელობა შეალია!.“.

რა დარჩენოდა ასეთ ვითარებაში მეოფ მეცნიერს, რომელსაც ჯანმრთელობაც უკიდურესად შერყეული ჰქონდა?

ივანე ვ. დონდუას წერს „*ავად ვიყავი და ორიოდე დღეა, რაც ავდექი. ეხლაც ძალიან სუსტად ვგრძნობ თავს და მუშაობა, წერაც მიძნელდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ დაუსრულებელი მღელვარებისაგან (წლეულს სწორედ ათი წელიწადი შესრულდა, რაც რექტორობას თავი დავანებე და ეს დაუნდობელი ბრძოლა სწარმოებს) გულის ავადმყოფობის უძლიერესი შემოტევა მქონდა საშინელი თაებრუსხვევით და სისუსტით. ამჟამად კი გადავურჩი სიკვდილს, მაგრამ თუ კი კიდევ გამიმეორდა, საეჭვოა, რომ მისი ატანა შევძლო*“.

თუ კარგად დავაკვირდებით, აქ მარტო ის კი არაა ნათქვამი, რომ ივანე ავადმყოფობს და არც ის, რომ წერილის დაწერის დროს უკვე 10 წელია გასული რექტორობიდან წასვლის შემდეგ, არამედ, რაც უმთავარესია, ის რომ 10 წელია რაც მეცნიერის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა წარმოებს. ანუ რექტორობიდან წასვლიდან მოყოლებული ეს ბრძოლა არ შეწყვეტილა.

მართლაც, წერილის დაწერის თარიღია 25 აპრილი 1936 წლისა. ივანე კი რექტორობიდან წავიდა 1926 წლის 21 ივნისს. რაღა აკლია 10 წელს? რაღაც 2 თვე.

ივანე იღებს გადაწყვეტილებას, უნივერსიტეტი დატოვოს, მაგრამ არა დაუყოვნებლივ, არამედ მომავალი სემესტრიდან, მას პასუხისმგებლობა აწევს სტუდენტების წინაშე და ვერ უღალატებს.

ამ წერილში ივანე იმასაც აღნიშნავდა, რომ „*ამას მოჰყვა „კამათი“ ოთხი დღის განმავლობაში, რომლის დროსაც ბევრი შხამი პრორექტორმა გრ. ჯანელიძემაც წამოანთხია... და ზოგმა ჩემ ყოფილ მოწაფეთაგანმაც თავი ისახელა*“.

ივანეს სიტყვა „კამათი“ ბრჭყალებში აქვს ჩასმული. აბა, მართლაც ამ ვაკხანალიას კამათი ეთქმოდა? ამჟამადაც იგივე აბსურდული ბრალდებები ისმოდა. ერთადერთი სიმართლე ის იყო, რომ ივანე ჯავახიშვილი მართლაც არ იყო მარქსისტი. სხვა ყველაფერი კი — მოგონილ-მოჭორილი. თუმცა ესეც არ კმაროდა? ამიტომ სიტყვის გარძელება არც არის საჭირო. თუმცა ერთი მაგალითი მაინც მოვიყვანოთ.

ტრიბუნაზეა ამხანაგი ტალახაძე:

„*ამხანაგებო, მე არა ვარ ისტორიკოსი, მაგრამ ამ დისკუსიაში მონაწილეობას ვღებულობ ორი გარემოების გამო. ერთი, იმიტომ რომ თვით ისტორიკოსები შეეხებიან ისეთს სფეროს, რომელშიც მე ვმუშაობ და უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაზე უფრო ცუდათ ეს სფერო აქვთ დამუშავებული. მეორეც იმიტომ, რომ ალბათ ვერ მოხერხდა ჯერ-ჯერობით საქართველოში, რომ სპეციალისტმა ისტორიკოსმა, პარტიულია თუ უპარტიო ბოლშევიკი, იკისროს ამ ფრონტის ამომწურავი ხელმძღვანელობა*“.

„*უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო*“, — ნათქვამია.

ჰოდა, რადგან საქართველოში ძაღლები არ არიან, მე ვიყეფებო. აი, ეს გვითხრა ამხანაგმა ტალახაძემ.

მე ასეთი აზრი გამოვიტანე მისი მსჯელობიდან.

თქვენ მკითხველო?

რა აზრი აქვს მას შევახსენოთ, რომ, როცა ივანე ჯავახიშვილი გვყავს, არაისტორიკოსმა ისტორიის სფეროში ცხვირი არ ჩაყოსო?

მას პასუხი გამზადებული აქვს:

„*პროფ. ჯავახიშვილი არის ქართული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის დასაყრდენი, ბურჯი და დანარჩენი ისტორიკოსები, რა თქმა უნდა, ... სარგებლობენ მით და სამწუხარო ის არის, რომ ისინიც კი, ვისაც უდავოთ სურს გაწყვიტოს [კავშირი] პროფ. ჯავახიშვილთან და მიუახლოვდეს მარქსიზმს, 99 %-ს სესხულობენ ჯავახიშვილისაგან და მხოლოდ 1 %-ს ეძებენ მარქსიზმში*“.

ვერაფერს გამოაპარებ ამხანაგ ტალახაძეს!

გრძნობს ტალახაძე, რომ მისი მოწაფები კი ამბობენ მასწავლებელს ვემიჯნებითო, მაგრამ მისგან არც თუ ისე შორს მიდიან, როგორც ამას ერთი რუსული ანდაზა გვეუბნება: *„ვაშლი ვაშლის ხიდან შორს არ ვარდებაო“*.

და სწორედ ეგ არ მოსწონს ამხანაგ ტალახაძეს და კომპანიას.

„ამხ. ჯანაშიას არ უთქვამს, რომ ჯავახიშვილი მარქსისტია, მაგრამ როდესაც მას შეეკითხნენ, როგორი მსოფლმხედველობა აქვს ჯავახიშვილს, მან ამაზე არ უპასუხა“, — სწუხს ამხანაგი დღვილავა.

საბოლოო სიტყვა დააშშვენა ისევ მომხსენებლის „ობოლმა მარგალიტმა“: *„წარმოიდგინეთ მთის მწვერვალი, რომელზედაც უნდა ავიდეთ, იქ ასვლა ერთნაირ სიძნელეს წარმოადგენს. ჩვენი ისტორიკოსები (ძველები და ახლები) უნდა ზრუნავდნენ იმაზე, რომ ამ მწვერვალს დაეუფლონ, მაგრამ თუ ამ ისტორიკოსებს ზურგზე აკიდებული აქვთ ძალიან დიდი ტვირთი ძველი შეხედულებების, რომელნიც მათ უკან მიაქანებს, ასეთ პირობებში ძალიან ძნელი იქნება ამ მწვერვალის დაუფლება. ... თუ ეს ტვირთი არსებობს, საჭირო არის მისგან განთავისუფლება..* “

ივანე ჯავახიშვილი რომ ვერ განთავისუფლდებოდა ამ ტვირთისაგან, კარლო ორაგველიძეს კარგად მოეხსენებოდა. იგი ალბათ, თავად ივანეს თვლიდა ამ მოსაშორებელ „ტვირთად“.

ეს „ტვირთი“ იყო ახლა მისი საკბილო.

აი, სიტყვით გამოდის მხცოვანი პროფესორი, შუახნის დოცენტი, მერე სტუდენტი, კიდევ სტუდენტი.

ამ მხცოვანთაგან ბევრს ემუქრებიან და შიში ალაპარაკებთ, ბევრი კი ფოჩიან კამფეტებს ელოდება.

მაგრამ ამ ახალგაზრდა სტუდენტებს რა ამოქმედებს?

არც მათ აწყენთ კამფეტები, კბილები უკაწკაწებთ, კარგი ცხოვრება უნდათ, ფული და პატივი.

ახალგაზრდები არიან და ჯანიც მოსდევთ.

ასეთმა ახალგაზრდებმა შეახრამუნეს მოხუცი მგელი „ტოტია“.

უნდათ ჩიჩია.

კბილები უკაწკაწებთ და ძვალსაც კი გამოხრავენ, ოღონდ კი საკბილო დალანდონ.

ეს ის დროა, როცა ასეთი „ლექსი“ ლექსად საღდებოდა:

„მე გადავწყვიტე მთლიანი გულით
ახალი ქვეყნის დავრჩე ერთგული!
არ გაგიკვირდეს დღეს ეს ცვლილება,
არ გაგიკვირდეს, ნუ მეტყვი ჯალათს,
მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას,
რევოლუციამ თუ კი მიბრძანა!“ (კალე ფეოდოსიშვილი)

შეხედეთ და დასტკბით: „მთლიანი გულით“ გადაწყვეტილის სიმტკიცე ნახეთ!

მამას მოკლავს და დედას დაახრჩობს.

შენ კი ჯალათი არ უნდა უწოდო, რადგან ეს მას რევოლუციამ უბრძანა.

და ეს „ლექსი“ თავის იდეოლოგიურ მისიას ასრულებდა.

წახალისებულ, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდას მეტი რა უნდა?

ახლა ახლის დროა!

ასე ფიქრობს ეს წახალისებული ახალგაზრდა — ახლა უნდა მოვასწროო და კლავს დედას და მამას.

მიმიხვდებოდი მკითხველო, რომ პირდაპირი მნიშვნელობით არ მითქვამს.

მაგრამ იგი მართლაც კლავს დედას და მამას ანუ ადამიანს საკუთარ სულში.

ასეთი არსებები და არა ადამიანები ყველაფერზე არიან წამსვლელნი, ყველაფერზე.

ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სახელმწიფო მანქანას სჭირდებოდა ასეთი ადამიანები და სხვადასხვა დოზით ქმნიდა კიდევაც ამგვარ ყველაფერზე წამსვლელ არსებებს.

მაშინ ასეთები ბევრი სჭირდებოდათ.

მსურველებიც ბევრი იყო.

ჰოდა, ბანდა ხელი ხელს და ორივე ერთად პირს.

ასეთი დრო იყო.

ახლა უკვე სახლებში ადამიანები კი არ ცხოვრობენ, არამედ ბულგაკოვისეული შარიკოვები.

ქრისტეს ტალახს ესვრი თუ იარას მობან ერთი და იგივე როდის ყოფილა?

თუმცა ახლა სწორედ ასეთი დრო დამდგარიყო: მხოლოდ ტალახის სროლის და შემდეგ კი ჯვარცმის. იარის მომბანელი ცოტა იყო და ისიც დათრგუნული.

მკითხველო, გესმის ბრბოს გუგუნი ქალაქის მოედანზე ან აბრიალებული კოცონზე შეშის ტკაცატკუცი?

ახლა კი მონასტრის სენაკში მჯდარი ბერი წარმოიდგინე, ხმელა პურზე და წყალზე მყოფი, დიდი რუდუნებით რომ აგროვებს ეტრატებს და გადაწერს, კიდევ გადაწერს.

წერს, ერთხელ დაწერილი — ერთი ადამიანის განცდილი და ნაღვაწი, რომ არ დაიკარგოს, გამრავლდეს და ათასები ეზიაროს შემდეგ მას.

რამდენი მოიკლო მან, რამდენი მოითმინა, რომ მოყვასისთვის ეღვაწა?

ახლა კი...

ახლა მოსულან ეს ჯეელები და აცხადებენ:

— „*თუ ის თავის პოზიციებს არ გადაშინჯავს, არ დააკვირდება კარგათ, ვერ იხსნის ვერაფერი!*“ — ეს დოცენტი შარიაა.

— „*მე ისტორიკოსი არა ვარ, მაგრამ მაინც ვერკვევი ამ საკითხებში*“.— ეს ასპირანტი ხარატიშვილია.

— „*ჩვენ კომუნისტები დისციპლინის ხალხი ვართ, ჩვენ გვინდა შესწავლა ნამდვილი იდეოლოგიური მარქსიზმის... და თუ თქვენ ეს არ გნებავთ, ჩვენ გვყავს მომზადებული ხალხი, რომელიც თქვენ გაგისწორდებიან*“.— ეს სტუდენტი მელაძეა.

ახალგაზრდებია, ჯან-ღონით სავსენი და მათ კბილებს ჩიჩია სჭირდება.

მხცოვანთ იმდენი ჯანი არ მოსდევთ, მაგრამ ჩიჩია მათაც სურთ.

„*ჯვარს აცუ ეგე!*“

„*ჯვარს აცუ ეგე!*“

სამწუხაროა, მაგრამ ეს ყველაფერი იყო.

ღღეს კი...

ღღესაც სამწუხაროა მისი გახსენება, მაგრამ საჭირო.

ადამიანი ხომ სუსტი არსებაა და ვინძლო ღღესაც ვინმე წარმავალისკენ არ მიდრკეს — სტუდენტი იქნება იგი თუ მისი მოძღვარი.

იქნებ, მართლაც ყურად იღოს ვინმემ და გაფრთხილდეს: ივანეს მზერა თან დამყვება და რაიმე შეუფერებელი არ ჩავიდინოო!

იქნებ!

„ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“

„ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო“, უთქვამს ქართველ კაცს.

ქართველ კაცს, რომელსაც უამრავი ჭირი გადახდენია თავს და ამ სიბრძნემდე თავისი გამოცდილებით მისულა.

არც ივანეს სიცოცხლეში გასვლია ყავლი ამ სიბრძნეს.

კარგი და დალხინებული ცხოვრებით არაა იგი გამოწვეული. გასაჭირმა იცის იგი, უღონობამ და უილაჯობამ. სხვა გზა რომ არ დარჩენილა, სიკვდილი კი ყოველთვის მოესწრება, მთავარია ის დვრიტა გადარჩეს, რომელზეც მომავალში ახალი სიცოცხლე აღმოცენდება.

თავისი ცხოვრების გზაზე ნებისმიერ ადამიანს ხვდება წინააღმდეგობა. ყველა ცდილობს მათ გადალახვას და საწადელის ასრულებას. მაგრამ ყველას ერთნაირად არ ძალუძს სიძნელეთა გამკლავება. სულით მტკიცე ადამიანები ამას ახერხებენ. მაგრამ არის ისეთი დაბრკოლებები, რომლებთანაც შებმა უეჭველი მარცხისთვისაა განწირული.

ასეთ შემთხვევაში გამოსავალია მოსაძებნი, რომელიც ძალიან ძნელიცაა და მტკივნეულიც.

ასეთ ვითარებაში ხომ, სხვა დროს არაფრისდიდებით რომ არ დაუშვებდი, გაჩუმება და გალურსვა გიწევს, რომ გაძლო და უფრო მთავარი გადაარჩინო.

ამას კომპრომისი ჰქვია და მას ბევრი სილაჩრედაც მოგინათლავს.

ამ დამუნათებაზე მეტად ისევ საკუთარი სულის წუხილი დაგტანჯავს.

ამასაც გაძლება უნდა, რომ იმას თუ იმათ, ვინც და რაც თავზე მეტად გიყვარს, რაღაც არგო.

ივანე ჯავახიშვილმაც გაიარა ეს გზა, გზა სცილასა და ქარიბდას შორის.

ივანეს შემთხვევაში ეს არ ყოფილა ცალკეული ადამიანების პრობლემა, არამედ მთელი თაობების.

ასე რომ ყოფილიყო ამ ადამიანებს კონფორმიზმში ადვილად დავდებდით ბრალს.

მაგრამ ასე არ ყოფილა.

აქ არ მდგარა პერსონების თავისუფალი არჩევანის საკითხი, არამედ იგი იყო ერთადერთი გამოსავალი.

კომპრომისი ჰქვია მას დღეს თანამედროვე ენაზე.

მოსწრებულად შენიშნავდა ამის შესახებ შალვა ნუცუბიძე:

„ეს ის გარდაუვალი ისტორიული ქარიშხალია, რომელიც ჯიქურად დამხვდურ საუკუნოვან მუხასაც კი ძირფესვიანად ამოაგდებს, ნორჩ ლერწამს კი წაწოლით შეუძლია თავი გადაირჩინოს“.

რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილს, აქ ხაზგასმით უნდა ითქვას: **ივანეს თავად არ გადაუდგამს ხელისუფლებისაკენ ეს ნაბიჯი**. ხელისუფლებას დასჭირდა იგი და მან ვითარება სწორად შეაფასა:

ივანე არ „ჩაეთრევინა“.

ივანე „ჩაჰყვა“.

და სწორად მოიქცა.

ვიღაცა ემიგრაციაში უნდა წასულიყო, მაგალითად, ექვთიმე თაყაიშვილი.

ვიღაცა ტყეში უნდა გასულიყო, მაგალითად, ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

ვიღაცას ტყვიისთვის უნდა შეეშვირა შუბლი, მაგალითად, კოტე აფხაზი.

ივანე კი უნივერსიტეტთან უნდა დახვედროდა მტერსაც და მოყვარესაც და დროის შესაფერისად ემოქმედა.

ვინ დაადგინა ის ერთადერთი ხერხი, რომელიც უნდა ბრძოლისას გამოიყენო? ყველა ხერხი უნდა არსებობდეს ერის ბრძოლის არსენალში, რომ სიმედგრემ შედეგი გამოიღოს.

თითოეულ ხერხს ანუ ბრძოლის საკუთარ გზას თითოეული პიროვნება თავად ირჩევს. უფრო სწორად, თითოეული თავისებურად კითხულობს მის გარშემო შექმნილ ვითარებას და თავისებურად პასუხობს მას.

ივანესაც ჰქონდა ამ გარემოების საკუთარი წაკითხვაც და პასუხიც.

შორიდან დავიწყოთ.

მოწაფეობისას, როცა ყველგან რუსული ენა ბატონობდა, ივანე ქართულად მშვენივრად საუბრობდა და ამით მეგობრებს მაგალითს აძლევდა. მეტიც, გიმნაზიაში რუსულად შესწავლილ საგ-

ანს ქიმიას, ფიზიკას თუ სხვას შინ ქართულად სწავლობდა, რომ რუსულად შესწავლილის ქართულად გადმოცემა შესძლებოდა.

ამას არც არავინ სთხოვდა, მაგრამ ეტყობა იმთავითვე იყო დიდი საქმისთვის ხელდასხმული.

პეტერბურგში აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე შევიდა, არა იმიტომ რომ შემდეგ რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ დიპლომატიური სამსახური გაეგრძელებინა, რის გამოც ეტანებოდნენ მაშინ სწორედ ამ ფაკულტეტს.

მას ისტორია აინტერესებდა. აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე კი იმ ენების შესწავლა შეეძლო, რომელიც მას მომავალ კვლევისას დასჭირდებოდა.

მას ისტორია მისი დაბეჩავებული ერის ასაღორძინებლად სჭირდებოდა და არა ოდინდელი ამბების გაცნობით მოგვრილი სიამოვნებისათვის.

მას ქართული მეცნიერება უნდა დაეფუძნებინა — საქართველოში ქართულ ენაზე ქართველთა მიერ შექმნილი მეცნიერება.

ამ მეცნიერებას უნდა დაშენებოდა მერე ყველაფერი, რაც ერის აღორძინებას განაპირობებდა.

ამისთვის ემზადებოდა და სასურველ დროს უცდიდა, ემზადებოდა, რომ შესაფერის დროს შესაფერისად მოქცეულიყო.

„ვინც მუდმივ და დაუცხრომლად თავის მიზნის განხორციელებაზე არა ზრუნავს, ის როცა საქმის აღსრულების დრო მოახლოვდება შეიძლება პირღია დარჩეს“.

ასე წერს 1912 წლის 18 ოქტომბერს ერთ წერილში.

რუსეთში მონარქია დაემხო და ივანეც 1917 წლის 11 მარტს წერილს უგზავნის თავის ქვისლს, ცნობილ ლიტერატორსა და პოლიტიკოსს კიტა აბაშიძეს:

„ძვირფასო ძმაო კიტა!

მომილოცავს ძველის დამხობა და ახლის მთავრობის წევრად შენი დანიშვნა. აბა შენ იცი, როგორ გაბედულად და ბრძნულად იქმნება საქართველოს პოლიტიკურ განახლების საქმე განხორციელებული“.

რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ კიტა აბაშიძე დროებითი მთავრობის მიერ დაინიშნა კავკასიის სამართავად შექმნილი განსაკუთრებული კომიტეტის წევრად. ამ კომიტეტ-

ში სულ 5 პერსონა შედიოდა. კომიტეტის თავმჯდომარე იყო რუსი კადეტი ბ. ხარლამოვი, ხოლო წევრები აზერბაიჯანელი ნ. ჯაფაროვი, სომეხი მ. პაპაჯანოვი და ქართველები სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი და სოციალ-ფედერალისტი ივანე (კიტა) აბაშიძე. ამ უკანასკნელს ებარა განათლების საკითხები. ამიტომაც არის, რომ ივანე კიტას ამ ვითარებას უხსნის და თანაც აგულიანებს.

„აქ სრულებით დაბნეულებიც არიან და ჩვენთვისაც არ სცალიანთ, ისე რომ მანდ თქვენ — ვითარცა დროებითი მთავრობის წევრებს — ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიანთ ეხლავე“.

რევოლუციით გამოწვეული დაბნეულობით სარგებლობას ურჩევს ივანე კიტას. ახლა მისი მოთხოვნა მაქსიმალისტურია, რომელიც მალე საპირისპირო გახდება. მანამდე კი იცის რა პოლიტიკურ პარტიათა შორის არსებული უთანხმოება, ნატრობს:

„ნეტავი კი ჩვენში თანხმობა ჩამოვარდეს დასთა შორის. აქ ყრილობა გვქონდა და პოლიტიკური ავტონომია ერთმხრივ სოციალ-დემოკრატების მიერაც იყო მიღებული. თუ მანდაც მოხდა შეთანხმება, მაშინ ჩვენი აღორძინება ადვილი შესაძლებელი იქმნება“.

ივანეს მონაწილეობით ქართველ სათვისტომოს ყრილობა მოუწვევია და შექმნილი მდგომარეობა განუხილავთ. ადრე დაპირისპირებული ძალები ახლა კონსესუსამდე მისულან — იბრძოლონ საქართველოს პოლიტიკური ავტონომიისათვის.

მეორე წერილში, რომელიც დაწერილია 23 მარტს, აღნიშნავს: *„პოლიტიკური უფლებების აღდგენისათვის მეტად დიდი ბრძოლა დაგვჭირდება და ისიც ვინ იცის, მივიღებთ თუ არა?“*

იმავე ხანებში მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანისადმი გამოგზავნილ წერილში კი წერს: *„ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ან უნდა განახლდეს და აღსდგეს ჩვენი ავტონომია, ან არადა ახლო მომავალში მაგის იმედს თავი უნდა დავანებოთ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შევთანხმდებით და ბრძნულად მოვიქცევით. ეხლა გაბედული მოქმედებისა და პოლიტიკურ-ერ-ოვნული შემოქმედების დროა“.*

კარგად დავაკვირდეთ ამ სიტყვებს.

იგი დაწერილია 1917 წლის მარტში.

„ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ან უნდა ***განახლდეს და აღსდგეს ჩვენი ავტონომია“.***

„ან არადა ახლო მომავალში მაგის იმედს თავი უნდა დავანებოთ“.

„ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ***რამდენად შევთანხმდებით*** *და ბრძნულად მოვიქცევით“.*

„ეხლა გაბედული მოქმედებისა და პოლიტიკურ-ეროვნული შემოქმედების დროა“.

ამ ერთ აბზაცში მან 4 თეზისი გამოკვეთა.

დავაკვირდეთ და დავიმახსოვროთ.

იგი აგვიხსნის მომავალში განვითარებულ მოვლენებში ივანეს მოქმედების თუ უმოქმედობის ანუ თავშეკავების არსს.

ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები სრული ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხს არ სვამენ. მაქსიმუმი პოლიტიკური ავტონომიაა.

ყველაზე რადიკალურად განწყობილნი, ეროვნულ-დემოკრატები, რომლებიც თავიანთ პირველ დამფუძნებელ ყრილობას 1917 წ. ივნისში ატარებენ, პროგრამის პირველ მუხლში საგანგებოდ ჩაწერენ: „უნდა დამყარდეს საქართველოს პოლიტიკური ავტონომია დემოკრატიულ-რესპუბლიკურ საფუძელზე აგებული“.

სოციალისტურ-ფედერალისტური პარტიაც იმთავითვე საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მიღწევას ელტვოდა.

სოციალ-დემოკრატების ბოლშევიკური ფრთა ერთა თვითგამორკვევას ქადაგებდა, მაგრამ მის რელურად განხორციელებაზე არასდროს უფიქრია. ამ პარტიის მენშევიკური ნაწილი, რომელიც ფაქტობრივად უმრავლესობას და მათ შორის საქართველოში ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, მთელს რუსეთში, საქართველოს ჩათვლით, დემოკრატიული წესრიგის დაფუძნებაზე ოცნებობდა. მათ საქართველოსთვის ხან საოლქო ავტონომია მიაჩნდათ საკმარისად, ხან კი კულტურულ-ნაციონალური. თუმცა, მოგვიანებით, როცა რუსეთში ბოლშევიკები გაბატონდნენ, პოზიცია შეიცვალეს და საქართველოს სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას დაუჭირეს მხარი.

ასე იყო.

დღეს ამან შეიძლება გაგვაკვირვოს.

ნუ გავკიცხვათ მათ ამისთვის.

ნუ განვსჯით ჩვენი გადასახედიდან.

მოცემულ ვითარებაში ეს ყველაზე ოპტიმალური იყო. ამ ავტონომიის ნებით მოცემას არავინ ფიქრობდა და იგიც ბრძოლით იყო მოსაპოვებელი. მაშინდელ ქართველ საზოგადოებას რაციონალიზმი უფრო მეტად ახასიათებდა. მერე რა, რომ ამანაც ვერ მოიტანა სასურველი შედეგი? რადიკალურნი რომ ყოფილიყვნენ, მაშინ რა მოხდებოდა?

ივანეც პოლიტიკური ავტონომიის მომხრეა.

ჩვენ ჩვენი უნდა ვცადოთო, ამბობდა. მაგრამ თუ ახლა ჩვენმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო, მაშინ კი უნდა ისევ ხელსაყრელ დროს დაველოდოთო.

ხელსაყრელ დროსო.

ხელსაყრელ დრომდე კი უნდა გავძლოთო.

ეს არ უთქვამს, მაგრამ იგი უნდა ვიგულისხმოთ, რადგანაც თქვა: თუ ჩვენთვის სასურველ პოლიტიკურ მდგომარეობას, ანუ საქართველოს ავტონომიას, ვერ მივაღწევთ, მაშინ „***ახლო მომავალში მაგის იმედს თავი უნდა დავანებოთ***“-ო.

მანამდე კი ხომ თქვა:

„ვინც მუდმივ და დაუცხრომლად თავის მიზნის განხორციელებაზე არა ზრუნავს, ის როცა საქმის აღსრულების დრო მოახლოვდება შეიძლება პირღია დარჩეს“-ო.

სხვა რა გამოდის ამ ნათქვამიდან?

ყოველთვის ფხიზლად უნდა ვიყოთ და ვემზადოთ. ახლა სასურველი დრო დადგა პოლიტიკურ-ეროვნული შემოქმედებისათვის და ერთმანეთში შეთანხმებით გაბედულად უნდა მოვიქცეთ. მაგრამ, თუკი ეს ძალისხმევა შედეგს ვერ გამოიღებს, მაშინ კვლავაც უნდა მოვითმინოთ და ისევ სასურველ დროს დაველოდოთ.

ასე სჯეროდა ივანეს.

და ასეც მოიქცა.

მან თბილისში დიდი ძალისხმევის ფასად დააარსა უნივერსიტეტი და ქართული მეცნიერების განვითარებას მტკიცე საფუძველი დაუდო. ამავე დროს მონაწილეობს ყველა ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში.

1918 წლის 13 იანვარია.

უნივერსიტეტის გახსნამდე 2 კვირაც არაა დარჩენილი და უამრავი საკითხია მოსაგვარებელი. არც ივანეს და არც მის მცირერიცხოვან თანამებრძოლთ მოსვენება არა აქვთ.

ერთი მაგალითი მოვიყვანოთ: ამ დღეს, 1918 წლის 13 იანვარს, პროფესორთა საბჭოს ივანე მოახსენებს, რომ ხელოსანმა 24 იანვრამდე 30 ცალი მერხი უნდა ჩაგვაბაროსო.

როცა ჯერ მერხებიც კი არ არსებობს, რა გაწამაწიაში ყოფილან ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლები, ხომ გასაგებია?

ასეთ ვითარებაშიც კი ივანე პოულობს დროს — საზოგადოებრივ საკითხებსაც არ მოაკლოს ყურადღება. იგი 19 იანვარს ეროვნული საბჭოს სხდომაზეა და საქართველოს, ჯერაც დამოუკიდებლობაგამოუცხადებელი ქვეყნის, გერბზე და დროშაზე ცნობებს აწვდის პოლიტიკოსებს.

ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ ივანე დაკავებულია არა მარტო აკადემიური სფეროთი, არამედ პოლიტიკურ-ეროვნული შემოქმედებითაც.

და ეს ყველაფერი ძალზე ინტენსიურია.

1921 წელს საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და ანექსია.

და დადგა ისეთი დრო, როცა საქართველოსთვის „**პოლიტიკურ-ეროვნული შემოქმედება**“ შეწყდა.

ახლა მოცდის დრო დადგა, ანუ როგორც ივანემ თქვა, „***ახლო მომავალში მაგის იმედს თავი უნდა დავანებოთ!***“

ამ თავის შეხედულებას ივანე ჩვეული სიდინჯით ახორციელებს.

მან არ დატოვა სამშობლო და უცხოეთში არ წავიდა.

იგი ეახლა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს და უნივერსიტეტის ხელშეუხებლობა გამოსთხოვა.

შემდეგ კი, როცა 1924 წლის აჯანყება სისხლში იქნა ჩახშობილი, მან ხელი მოაწერა პროფესორთა საბჭოს შეთითხნილ დაკლარაციას. ეს ჩაიდინა უნივერსიტეტის და საერთოდ, ქართული მეცნიერების გადასარჩენად.

მეტიც, გარკვეული მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ სწორედ 1924 წლის ამბების მერე, იგი საზღვარგარეთ მიმავალ შალვა ნუცუბიძეს ავალებს გაარკვიოს, თუ რას ფიქრობენ ევროპის

ქვეყნების პოლიტიკური წრეები — დაეხმარებიან თუ არა ისინი საქართველოს. თუ ასეთი დახმარების იმედი არ იქნება, მისი აზრით, ქართველი ემიგრანტები უნდა დაბრუნდნენ სამშობლოში და ემასახურონ მას.

ივანე შუამდგომლობს კიდევაც მიხეილ ყაუხჩიშვილისა და ზურაბ ავალიშვილის დაბრუნებაზე.

1924 წლის 18 იანვარს პროფესორთა საბჭო ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით კალსრუეში სადოქტორო დისერტაციადაცულ მიხეილ ყაუხჩიშვილს ერთხმად ათანაბრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხთან და ნიშნავს ელექტროქიმიის დოცენტად.

1925 წელს თბილისში გაიმართა საკავშირო ც.ა.კ.-ს სესია, რომელზეც ივანემ სიტყვა წარმოთქვა. იგი დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ და მერე გადაბეჭდეს ემიგრანტებმა ბერლინში გამომავალ გაზეთში „ახალი საქართველო“.

„როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთაურს და ოფიციალურ წარმომადგენელს, მე დავალებული მაქვს, მივესალმო საბჭოთა რესპუბლიკების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ც.ა.კ. კომიტეტს და საკავშირო სახ. კომ. საბჭოს, რომელთაც, მორიგი სესიისათვის საქართველოს დედაქალაქი — თბილისი აირჩიეს, რათა ამით დამტკიცებულიყო საქართველოს თანასწორობა საბჭოთა კავშირში.

უნივერსიტეტის კოლეგია კმაყოფილი იქნება, თუ იგი შეძლებს წარმოუდგინოს უმაღლეს კრებულის წევრთ თავისი დაწესებულებანი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის დაარსების დატა 1918 წ. 26 იანვარი არის, და რომელიც მხოლოდ შვიდი წელი არსებობს, რასაკვირველია ვერ გააკვირვებს სახელმწიფო მოღვაწეებს, რომელთაც უნახავთ და მოეპოვებათ მრავალსაუკუნოვანი ან მრავალწლოვანი უნივერსიტეტები, როგორიცაა მაგალითად დასავლეთ ევროპისა და რუსეთის უნივერსიტეტები (მოსკოვი, ლენინგრადი და სხვანი).

მაგრამ, როგორც საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლების მატარებელთ, მათთვის არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული საკუთარის თვალით ნახონ თუ რა არის მიღწეული თბილისის

უნივერსიტეტის რამოდენიმე წლის არსებობის დროს, მეფის რეჟიმის 117 წლის პოლიტიკური ეროვნული უღლისა და საზოგადოებრივი თაოსნობის სასტიკი აკრძალვის შემდეგ.

მძიმე ფინანსურ კრიზისში, დასავლეთ ევროპის მეცნიერებისაგან ურთიერთობის სიძნელეში, თბილისის უნივერსიტეტი მაინც ვითარდებოდა, რადგან მისი პირადი შემადგენლობა ერთგული იყო მეცნიერებისა და მშობელი ერის ეროვნული კულტურული აღორძინებისა; რადგან საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ავტორიტეტულად ხელს უწყობდა უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო გეგმების განხორციელებას, და რადგან მთელი ქართველი ხალხი შეუცვლელ სიყვარულსა და პატივისცემას იჩენდა უმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებების მიმართ, რომელიც თავის მოღვაწეობაში ეყრდნობა სამივე საფეხურზე სავსებით გაეროვნებულ სკოლას.

ქართველობა არის ეროვნება მრავალ საუკუნეობრივი კულტურული წარსულით მდიდარი და საინტერესო ისტორიული მომენტებით; მშვენიერი და მრავალფეროვანი ლიტერატურით, რომელსაც თავის საუნჯეში მოეპოება ჯერ კიდევ I საუკუნის ნაწარმოებნი და ისეთი უკვდავი ნაწარმოები, როგორც შოთა რუსთაველის გენიალური პოემა; არხიტექტურა და ხელოვნების შეუდარებელი ნაშთები.

საქართველომ, რომელსაც ბედის უკუღმართობის გამო არა ერთხელ გადაუტანია დამონების უღელი და საშინელებანი, — მიიღო კვლავ შესაძლებლობა სახელმწიფო და კულტურულ აღორძინებისა.

და ამ წუთითგან თბილისის უნივერსიტეტი, გარდა თავისი პირდაპირი ამოცანისა, შეძლებისდაგვარად იღებდა და კვლავაც მიიღებს აკტიურ მონაწილეობას საქართველოს მთავრობის კულტურულ აღმშენებლობაში, რომელიც მიმართულია ერის სიკეთისა და აღორძინებისათვის“.

ლოიალობისა და თანამშრომლობის გამოხატვაა ამ სიტყვაში მოცემული. მაგრამ ისიცაა სათქმელი, რომ ამ სიტყვის ხელნაწერი ხელთ არა გვაქვს, გაზეთმა კი, შესაძლებელია, იგი გარკვეულწილად თავისებურად შეკაზმა. ამას თუნდაც ის გვავარაუდებინებს, რომ ივანე არასგზით სიტყვა „დატას“ არ იტყოდა.

მაგრამ მან ისიც ხომ თქვა, რომ მძიმე ფინანსურ კრიზისის გარდა, დასავლეთ ევროპის მეცნიერებთან ურთიერთობა გვიჭირსო. ეს ხომ სწორედ საბჭოთა ხელისუფლების მიერ იყო შეზღუდული.

1926 წ. ივანე უნივერსიტეტის რექტორობიდან დაითხოვეს.

1928 წ. უნივერსიტეტის 10 წლისთავის ზეიმზე არ მიიწვიეს.

ნელ-ნელა ავიწროებენ რკალს მის გარშემო. ქვეყანაში განუკითხაობაა.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი, რომელიც იასონ ლორთქიფანიძეს ჩაუწერია თავის დღიურში:

„1922 წ. ციციშვილი — გენერალი — მიცემული იყო სასამართლოში... ციციშვილი ციფრებით აბათილებდა ათარბეგოვის მტკიცებას. ათარბეგოვი მაინც თავისაზე იდგა. ციციშვილმა მოსთხოვა საქმე. ათარბეგოვმა არ მისცა და დაეკითხა: რათ გინდაო. ციციშვილმა უპასუხა: საქმეში ელიავას რეზოლუციაა... მაშინ ათარბეგოვმა მონახა ის ქაღალდი, მოხია მას ელიავას რეზოლუცია და უთხრა: ახლა რას იტყვიო?“

„იასე ფალავანდიშვილისთვის უთქვამთ: „თქვენ სახლი გქონიათო“. „არავითარი სახლი არ მაქვსო“ — უპასუხნია. „როგორ არა, სახლიც გქონიათ და მამულიცო“ — უთქვამთ. „არც სახლი მაქვს, არც მამული, შეიძლება ცნობები შეკრიბოთო“ — უთქვამს იასეს. „მაგის დრო სად გვაქვსო“ — უთქვამთ და გაუწმენდიათ“.

„გაუწმენდიათ“ ანუ დაუხვრეტიათ.

კომუნისტები ამ ქვეყანაზე სამოთხის აშენებას „აპირებენ“ და ამისთვის არაფერს ერიდებიან. სამოთხეს კი პირდებიან ხალხს, მაგრამ თავად ამ ხალხის შემადგენელი ადამიანი არაფრად უღირთ.

იასონ ლორთქიფანიძეს ჩაუწერია:

„ორი მილიონი ხალხი შეიძლება გაწყვეტილ იქნეს, თუ ეს ხელს შეუწყობს სოციალიზმის წინმსვლელობასო, უთქვამს ორჯონიკიძეს.

თანამედროვე თაობა უნდა გაწყვეტილ იქნეს, რადგან იგი ვერასოდეს ვერ იაზროვნებს კომუნისტურადო, უთქვამს კახიანს (შალვა დადიანი)“.

განა ივანეს დაინდობდა ასეთი რეჟიმი?

მეცნიერის ქალიშვილი იგონებს: „*ერთ დღეს მამა მძიმე გულისწუხილის შემდეგ ცოცხალ-მკვდარი მოიყვანეს სახლში. იგი ლოგინად ჩავარდა. მამა ყველაფერს უსიამოვნოს გვიმალავდა და ჩვენ გვიან გავიგეთ საქმის ნამდვილი ვითარება... იმ მძიმე წლებში მამა სახლიდან თითქმის არსად გადიოდა. მახსოვს, პროფესორ ს. გოგიტიძის გასვენებიდან დაბრუნებულმა მამამ გულისტკივილით თქვა — მე საზოგადოებაში აღარ გამესვლება, რადგან ხალხი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, ჩემთან მოახლოებისა ეშინიათ და ვგრძნობ ამავე დროს, ჩემი რცხვენიათო. ასეთივე გუნებით მოვიდა რომელიღაც კონცერტიდან — მთელი საღამო კაცი არ გამკარებიაო!*“

მაგრამ ჩაწიხლული და „გასაწმენდად“ გამზადებული ივანე ჯავახიშვილი უცებ გაახსენდათ.

რა მოხდა?

რატომ გაგახსენდათ ივანე ჯავახიშვილი?

რამ გამოცვალა ეს ხალხი?

ზუსტი პასუხი არავინ იცის.

ერთნი ამბობენ, რომ თითქოსდა მის გადარჩენას მიხეილ სვანიძემ შეუწყო ხელი. იგი ხომ ხალხთა დიდი ბელადის, სტალინის ცოლისძმა იყო? იგი გამოჩენილი მკვლევარი იყო, რომელიც მოსკოვში მოღვაწეობდა და იქვე დააარსა საქვეყნოდ განთქმული სამეცნიერო ჟურნალი „*ძველი ისტორიის უწყებანი*“. თუმცა ვერ უშველა სტალინის ნათესაობამ. იგიც იმგვარივე ბრალდებით დააპატიმრეს, რითაც სხვა მილიონები. მალე კი გერმანიასთან დაიწყო ომი და, დაბომბვაში მოყოლილი, გარდაიცვალა.

მეორენი კი მიიჩნევენ, რომ ივანეს სიცოცხლე იხსნა მისმა მოწაფემ სიმონ ჯანაშიამ, რომელსაც ლავრენტი ბერიასთან მიესვლებოდაო.

მესამენი კი ფიქრობენ, რომ თავად სტალინს დასჭირდა გამოჩენილი ქართველები და გაიხსენა. მათი აზრით, ბოლშევიკების ერთ-ერთი ბელადი, უკვე სტალინის მიერ სამშობლოდან გაძევებული ტროცკი თავის წიგნში სტალინს აუგად მოიხსენიებსო. ამ უკანასკნელს კი თავისი წარმომავლობის გასაკეთილშობილებლად მისი ერის ღირსებების წარმოჩენა დასჭირდაო.

მართლაც, 1930-იან წლებში დიდი ზეიმით აღინიშნა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლის იუბილე; შეიქმნა შოთა რუსთაველის ეპოქის მუზეუმი; შალვა ნუცუბიძემ, საგანგებოდ თავად სტალინის მითითებით, რუსულად თარგმნა რუსთაველის პოემა და სხვა.

მკვლევარი გიორგი ციციშვილი კი ამტკიცებს, რომ ივანეს გადარჩენა საერთაშორისო არენაზე პოლიტიკური სიტუაციის შეცვლას უკავშირდება. კერძოდ, XX საუკუნის 30-იან წლების II ნახევარში გერმანიისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ინტერესებსო.

რომელი ვერსიაა მართალი, ახლა ძნელი დასადგენია. ფაქტი კი ფაქტად რჩება, რომ 1936 წლის მაისიდან ივანე ჯავახიშვილის მიმართ პოზიცია შეიცვალა.

ამის შესახებ თავად ივანე ვ. დონდუას წერს: „*წინა წერილის შემდგომ ჩემი მდგომარეობა და ჩემდამი დამოკიდებულება ძირიანად შეიცვალა, რაზედაც დაწვრილებით მოგახსენებთ, როცა ტფილისში განახავთ. ამ ცვლილებასთან დაკავშირებით, შ. რუსთაველის დღესასწაულისათვის მოსაწყობი გამოფენის ზოგად ხელმძღვანელობაზე დათანხმება მომიხდა. თუმცა ექიმები მუშაობას მიკრძალავენ... დიდხანს უარს ვეუბნებოდი, მაგრამ დათანხმება მომიხდა: სხვა გზა არ იყო*“.

მართალია, ივანე ამბობს, რომ „ჩემდამი დამოკიდებულება ძირიანად შეიცვალა“ და „*ამ ცვლილებასთან დაკავშირებით, შ. რუსთაველის დღესასწაულისათვის მოსაწყობი გამოფენის ზოგად ხელმძღვანელობაზე დათანხმება მომიხდა*“-ო, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ პირიქით იყო. ივანე დასჭირდათ და ამიტომ მოხდა დამოკიდებულების შეცვლაც.

„სხვა გზა არ იყოო“, — ამბობს ივანე.

რატომ?

რა მოხდებოდა, თუ არ დათანხმდებოდა რუსთაველის საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობას?

ალბათ გაგრძელდებოდა ძველებურად წნეხი და ამით რა სარგებელს ნახავდა ან თავად ივანე და ან საერთოდ ერი?

დაეთანხმა.

მაგრამ რას?

თავისი ნიჭი და გონიერება მიეშველებინა დიდი შოთას იუბილესათვის.

სამწუხაროდ, არ ვიცით, რას ეტყოდა ივანე პირადად ვ. დონდუას უფრო დაწვრილებით, მაგრამ ფაქტია, რომ ივანესადმი დამოკიდებულება გამოსწორდა.

რა უნდა ექნა ასეთ ვითარებაში მყოფ მეცნიერს?

გაჯიქებულიყო და ახლოს არავინ გაეკარებინა? ეს ხომ ივანეს პოზიცია არ იყო. მაშინ რა განსხვავება იქნებოდა უცხოეთში წასვლასა და სამშობლოში დარჩენას შორის?

მან შეიფერა ხელისუფლების მორბილება და თავის მხრივაც ლოიალობის გზას დაადგა.

ამას კი მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა:

1936 წელს ივანე ინიშნება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგედ, ხოლო 1937 წელს — ახლად შექმნილი შოთა რუსთაველის ეპოქის მუზეუმის დირექტორად. ამავე დროს მას ეკისრება მცხეთის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელობაც.

1937 წელს გამოდის კაპიტალური გამოკვლევის *„ქართული და კავკასიური ენების ბუნება და თავდაპირველი ნათესაობა“*, რომელიც მეცნიერს დიდი ხანია გამზადებული ჰქონდა და 12 წელზე მეტია მის დაბეჭდვაზე ოცნებობდა.

1938 წელს კი იბეჭდება წიგნი მუსიკის ისტორიაზე, რომელსაც ეწოდება *„ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“*. მის გამოცემაში თურმე სტალინს მიუღია მონაწილეობა. ამ საქმის უშუალო შემსრულებელი ვ. მაჭავარიანი იგონებს:

„ხელოვნების სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ ვმუშაობდი... [წიგნის] ხელნაწერი დავიტოვე, რამდენიმე ცალად გადავბეჭდე. ერთი ცალი სტალინს გაეგზავნა. ორი კვირის შემდეგ შეგვატყობინეს: „დაუყოვნებლივ ცალკე წიგნად დაბეჭდეთო“. კარგადაა ცნობილი, თუ რა დღეში იყო მაშინ ჩვენი პოლიგრაფიული ბაზა; ასე იყო თუ ისე, 1938 წელს ივ. ჯავახიშვილის ეს მეტად საინტერესო ნაშრომი უკვე წიგნის მაღაზიაში იყიდებოდა“.

1938 წელს კი ივანე ჯავახიშვილი საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. იგი არ ყოფილა ე.წ. „საპატიო დე-

პუტატი“, რომელიც ყველა სიკეთეს იღებს სახელმწიფოსაგან და, თავის მხრივ კი, არაფერს აკეთებს.

ასეთი დეპუტატები საქართველოს არასდროს აკლდა.

ივანე ასეთი არ ყოფილა. იგი თითქმის ყოველდღე დადიოდა მთავრობის სახლში ან აღმასკომში სადეპუტატო მოვალეობის შესასრულებლად. ამავე დროს კი სამეცნიერო მუშაობასაც არ წყვეტდა. 1940 წ. უმაღლესი საბჭოს სესიაზე მოხსენებით გამოვიდა, სადაც მიმოიხილა უმაღლესი სასწავლებლებისა და მუზეუმების წინაშე მდგარი ამოცანები. ეს მოხსენება თავისი სისრულითა და არგუმენტაციით არ ჩამოუვარდება არც ერთ სხვა მის სამეცნიერო ნაშრომს.

1939 წელს ივანე ჯავახიშვილი არჩეულ იქნა საკავშირო აკადემიის აკადემიკოსად.

ეს ყველაფერი, რაც ხელისუფლებასთან ლოიალობას პოზიტიური მოჰყვა. ახლა მედლის მეორე მხარესაც შევეხოთ.

1938 წელს დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

შემოგვრჩა ეს ორდენი და ამ ორდენით გადაღებული სურათიც. მეტი არაფერი. ამის თაობაზე მეცნიერის შვილი ალექსანდრე ჯავახიშვილი შემდეგს გვიამბობს:

„ოცდაათიანი წლების მიწურულს... უეცრად, თითქოსდა ვიღაცის ჯადოსნური კვერთხის დაქნევით, გაახსენდათ ივანე ჯავახიშვილის არსებობა; აირჩიეს აკადემიაში, დააჯილდოვეს, წააყენეს დეპუტატად — მოცვივდნენ, დაგვიყენეს ტელეფონი, სახლი სახელდახელოდ გაგვირემონტეს... შემდეგ მოვარდა კინოსტუდიაც — უნდოდათ გადაეღოთ მამა შინ, მუშაობის დროს. „კაბინეტი“ რომ ნახეს, შეცბნენ... ცოტა ხნის შემდეგ გააჩინეს ყვავილები... მოიტანეს სტალინის უზარმაზარი სურათიც — კედელზე დასაკიდებლად... სურათზე მამამ თავაზიანი უარი უთხრა..“.

ეს კადრები დღეს არსებობს და იქ მართლაც არ არის სტალინის პორტრეტი. ეს დეტალი კი იმას გვეუბნება, რომ თუ სურათზე თქვა უარი ივანემ, იგი არც სიტყვით გამოსვლისას იტყოდა იმ სიტყვებს, რომლებიც გაზეთებშია დაბეჭდილი და ბერიასა და სტალინს ხოტბას აღუვლენს.

მეცნიერის პირად არქივში ინახება ხელნაწერი, სადაც სტალინის გვარის „ჯუღაშვილის“ წარმომავლობაზეა საუბარი. ამ

ხელნაწერში ვკითხულობთ: „*დიდი მოღვაწეების ბიოგრაფიებში ჯეროვანი ყურადღება მათ ცხოვრებასთან დაკავშირებულს ყოველ მხარესა და საკითხსაც აქვს მიქცეული... ამხანაგ სტალინის ბიოგრაფიას ჯერ არაერთი საკითხის გამორკვევა და გაშუქება სჭირდება*“.

ჯუღაშვილების გვარის შესახებ შექმნილ ამ ნაშრომს დასაწუნი არაფერი აქვს: იგი ივანე ჯავახიშვილისათვის დამახასიათებელი პროფესიონალიზმითაა დაწერილი. მერე რა, რომ იგი სტალინს ეძღვნებოდა? ლოიალობის გამოხატვას ხომ ამგვარი ხარკი სჭირდებოდა?

ივანეს სხვა ნაშრომიც აქვს, რომელსაც საკმაოდ მყვირალა სათაური აქვს: „*რა შესძინა ოქტომბრის რევოლუციამ საქართველოს ისტორიას?*“

ესეც ხარკია, ლოიალობის გამოხატულებისთვის დაწერილი. თუმცა მის შინაარსს რომ გაეცნობით, იქაც ღრმა პროფესინალიზმი და სკურპულოზურობა დაგვხვდება. მართალია, იგი საქართველოს კულტურული წინსვლის დახასიათებისას მიჯნად ოქტომბრის რევოლუციას ასახელებს, მაგრამ ეგეც ხომ მაშინდელი კლიშე იყო, რომელიც ყველას უნდა გამოეყენებინა. ეს წერილი არცთუ დიდია და მოვიყვანოთ სრულად:

„*ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოს ისტორიაზე მუშაობა მხოლოდ თითო-ოროლა ადამიანის პირადს კერძო სურვილზე იყო დამოკიდებული, იგი ერთგვარს ქველმოქმედებას წარმოადგენდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საქ[ართველოს] საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების პატარა მუზეუმებიც მაშინ ნამდვილად მხოლოდ უსისტემოდ დალაგებული საწყობი იყო. ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ საქართველოს ისტორიის შესწავლას ფართო გზა გაეხსნა და განვითარება-წარმატების შესაძლებლობა მიეცა. საქ[ართველოს] საბჭოთა ხელისუფლებამ მარტო ტფილისში სამი დიდი მუზეუმი შექმნა: საქართველოს სახ. მუზეუმი, ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი“ და შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი თავიანთი მდიდარი და მრავალფეროვანი კოლექციებითურთ. ამაზე არანაკლებ აღსანიშნავია, რომ ამასთან ერთად ყურადღება პროვინციულ სამხარეთმცოდნო მუზეუმების დაარსებასაც მიექცა*

ყურადღება და ისეთ ქალაქებში, სადაც წინათ არცერთი კულ-ტურული დაწესებულებაც-კი არ იყო, როგორიც თელავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, ზუგდიდი და სხვა ეხლა პატარ-პატარა საინტერესო სამხარეთმცოდნეო მუზეუმები მოგ-ვეპოვება, ქუთაისში მოზრდილიც კია. მათს შემდგომ ზრდას, რას-აკვირველია, ფრიად დიდი მნიშვნელობა ექმნება საქართველოს კულტურული წარმატებისათვის.

ხელოვნების ცალკე „მეტეხის“ მუზეუმის შექმნამ ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლა სპეციალურ დარგად აქცია და მის განვითარებას დიდი პერსპექტივები გადაუშალა. საქართველოს მუზეუმში ისტორიული განყოფილებისა და შ[ოთა] რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის დაარსებამ ქართული მატერიალური კულტურის ისტორიაც ცალკე სამეცნიერო დარგად გამოყო და მის კვლევა-ძიებას მტკიცე საფუძველი შეუქმნა. თუ წინათ ქართული მატერიალური კულტურის ისტორიისათვის შემთხვევით ნაპოვნი ან აღმოჩენილი ნივთების გარდა არაფერი მოგვეპოვებოდა, საბჭო-თა ხელისუფლების დროს სამაგიეროდ საქართველოში უკვე ფარ-თო მასშტაბით წარმოებული წესიერი სამეცნიერო-არქეოლოგი-ური გათხრები დაიწყო და ამ მუშაობამ უკვე ფრიად საყურადღებო შედეგი მოგვცა. ამის დასარწმუნებლად საკმარისია შ. რუსთაველ-ლის იუბილესთან დაკავშირებით ბოლნისის, ნაქალაქარ დმანისი-სა და გეგუთის, ისევე როგორც მეცნ. აკადემიის საქ[ართველოს] ფილიალის მიერ დაწყებული არმაზის მიდამოების გათხრები და კულტურის ძეგლთა კომიტეტის სახსრებით წარმოებული არ-ქ[ეოლოგიური] სამუშაოების მონაპოვარის დასახელებაც კმარა. თუ წინათ საქართველოს ისტორიას ერთად-ერთი კერა მხოლოდ ტფილ[ისის] სახ[ელმწიფო] უნივერსიტეტში ჰქონდა, წარსული წლითგან მოყოლებული საქ[ართველოს] კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წყალობით უკვე აკად[ემიკოს] ნ. მარრის სახელობის ენისა, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინ-სტიტუტიც არსებობს, რომლის მეცნიერ-მუშაკთა დიდი შტატი, უხვად განსაზღვრული ქონებრივი სახსრები და გამომცემლობი-სათვის ხელშემწყობი პირობები საქართველოს და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის კვლევა-ძიების ფართოდ გასაშლელად სრულებით განსაკუთრებულს შესაძლებლობას უქმნის. ზემოაღ-

ნიშნული, რა თქმა უნდა, მონაპოვარის სრულს სურათს არ წარმოადგენს, მაგრამ იქითგანაც მაინც ნათლად სჩანს, თუ რამდენად დიდია ის კულტურული განძი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოს შეეძინა“.

დავაკვირდეთ:

სათაურის მიხედვით აქ დითირამბები უნდა ყოფილიყო აღვლენილი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მისამართით. სინამდვილეში კი ის ობიექტური სურათია დახატული, რაც მაშინდელ საქართველოში მართლაც არსებობდა. თუ ეს საბჭოთა წლებში განხორციელდა, ამის აღნიშვნა მეცნიერს რატომ დაეძრახება?

კიდევ ერთი მაგალითი.

1938 წელია.

მიმდინარეობს უნივერსიტეტის დაარსების 20 წლისთავის ზეიმი.

სიტყვას აძლევენ ივანეს.

იგი იხსენებს უნივერსიტეტის გახსნის გზაზე არსებულ დაბრკოლებებს და შემდეგ დასძენს: პეტერბურგში *„ტელეგრამა გავგზავნეთ, გვაცნობეს — კერძო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ ფოსტით შეგატყობინებთო. ფოსტით გამოგზავნილი ჩვენ არ მოგვსვლია. მოხდა ოქტომბრის დიდი რევოლუცია და უკვე მათი ნებართვა არ იყო საჭირო. შეიძლება ითქვას, ოქტომბრის რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, ჩვენ არავინ უნივერსიტეტის გახსნის უფლებას არ მოგვცემდა (ტაში)“.*

ივანეს ტაში დაუკრეს.

ოქტომბერმა მოიტანა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებაო.

ასე გაიგეს.

ივანემ ხერხი იხმარა — ისე თქვა სიმართლე, რომ დაინტერესებული პირი მას სათავისოდ გაიგებდა.

მან კი ობიექტური რეალობა აღწერა: ოქტომბრის შემდეგ ხომ ამიერკავკასიამ უარი თქვა ბოლშევიკების დამორჩილებაზე და ადგილზევე იქნა უნივერსიტეტის დაფუძნება გადაწყვეტილი. ამიტომ ივანემ მართალი თქვა, ოქტომბერი რომ არა, რუსეთის დროებითი მთვრობა კიდევ იქნებოდა და მათგან კი ნებართვას ვერც ვეღირსებოდით.

სიმართლე ეს იყო და ეს თქვა ივანემ, მაგრამ აუდიტორიას ისე მიაწოდა, რომ მათ მოსწონებოდათ.

თუმცა კონიუნქტურაც არ დავიწყებია ივანეს ამ მოხსენებაში. იგი როცა უნივერსიტეტის საზეიმოდ გახსნას შეეხო, აღნიშნა: *„ძალაუფლების მქონებელი წრეები ცივად შეხვდნენ მას. მხოლოდ რკინისგზის მუშების დელეგაცია მოვიდა წითელი დროშით“*.

წითელი დროშის ხსენებამ გაჭრა. დარბაზში მყოფნი თურმე ფეხზე წამოდგნენ და მხურვალე ტაში დასცხეს.

ლოიალობა კონიუნქტურის გათვალისწინებას ნიშნავს და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. სხვა ყველაფერი კი ფატალურ შედეგს ნიშნავდა, რომელიც მაშინდელ საქართველოში ათეულ ათასებმა იწვნიეს. ერთ-ერთი მათგანი დავით ქარცივაძე იყო, რომელიც თვითმპყრობელობას ებრძოდა და რევოლუციური მოღვაწეობისათვის ციმბირის კატორღაც გამოიარა. მაგრამ ეს დამსახურება ბოლშევიკებმა არად ჩააგდეს და 1922 წ. მეტეხის ციხეში მოათავსეს, ბოლოს კი — 1924 წელს კიდევაც დახვრიტეს.

ხალხის გამაბედნიერებელი ხელისუფლების მოქმედებას რომ უყურებდა, იგი დიდად გულგატეხილი და იმედგაცრუებული წერდა:

„ეს არის კომუნიზმი? ამას თესავს ლენინი?

მარქს, მარქს, შე ბებერო მარქს, ერთი ამოიხედე ქვესკნელიდან და დახედე შენის მოძღვრების ცხოვრებაში გამტარებელთ... ნუთუ ასე ქადაგებდით ერის თვითგამორკვევას, როგორც პატარა საქართველო და სხვა მხარეები გამოარკვია ამ ჯურის ხალხმა?

ერთი ამოდი საფლავიდან, მაგრამ ფრთხილად კი: თუ გაგიგეს, მეტეხი არ აგცილდება და ვინ იცის, შენმა მოხუცმა ძარღვებმა ვერ აიტანოს კომუნიზმის თავისუფლების სიმშვენიერე.

ეჰ, მოძღვარო კარლ მარქსო!!!“

მარქსის მოძღვრება არასდროს უღიარებია ივანე ჯავახიშვილს.

ამიტომ, ამ მხრივ, იმედგაცრუებაც არ განუცდია. თუმცა მისმა მიმდევრებმა ბევრი მწარე დღე გადაატანინეს.

გადატანით კი იტანდა, უძლებდა...

წინაპართაგან ასე მოსდგამდა, დროსაც გამოეცადა.

„ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა ვით ქვიტკირსაო“.

დრო თავის ხარკს მოითხოვდა და იხდიდა ივანეც ამ ხარკს.

დეპუტატობა იყო ეს ხარკი.

ხელისუფლებისადმი ლოიალობა იყო ეს ხარკი.

ხარკი წარმავალი იყო და იგი მხოლოდ წარუვალისთვის იყო გაღებული, მხოლოდ წარუვალისთვის.

წარუვალი კი ის ხატი იყო, რომელსაც ემსახურებოდა.

„როდესაც ამბობენ, რომ ხელშემწყობი გარემოება არ არის და ვერ ვმუშაობო, უნდა მოგახსენოთ, არ მჯეროდა და არც ეხლა მჯერა; ვისაც უყვარს საქმე, ვისაც სურს მუშაობა, ავადმყოფობის დროსაც იმუშავებს. მე მინახავს ადამიანი, რომელიც მწოლიარე ავადმყოფი იყო და კალამი არ გაუგდია ხელიდან უკანასკნელ წუთამდე“.

ეს სიტყვები მეცნიერმა უნივერსიტეტის 20 წლის იუბილეზე წარმოთქვა.

და ამ სიტყვებით მან უნებურად საკუთარი თავი დაახასიათა.

საკუთარი თავი — წარმავალის გაღებით წარუვალის მსახური.

„ესეღა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა“

ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ციხეშია გამომწყვდეული.

მან ეს-ესაა გაიგო, რომ მისი სატრფო ცოცხალია და მას დაეძებს.

აი, იპოვეს კიდევაც შეყვარებულებმა ერთმანეთი, მაგრამ ქაჯეთის ციხის აღება შეუძლებელია — ტარიელი თუ გადაწყვეტს ქაჯებთან შებმას, იგი უსათუოდ დაიღუპება. ქალს ამის დაშვება არ შეუძლია და სატრფოს მდგომარეობისადმი შეგუებას ურჩევს, უგზავნის მისივე რიდის გარდანაკვეთს და სინანულით უთვლის:

„ესეღა შეგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა“.

რას წარმოიდგენდა დიდი შოთა, რომ ამ სიტყვებს მისი ერის შორეული წარმომადგენელი ოდესღაც ამ ერისავე ბედის ანალიზისას გამოიყენებდა.

არადა, იგი ზუსტად გამოხატავს იმ განწყობილებას, რაც ივანეს, და არა მარტო ივანეს, XX საუკუნის პირველ ნახევარში რომ დაეუფლა.

მწერალ იოსებ მჭედლიშვილს 1926 წელის 23 ივნისს დღიურში ჩაუწერია:

„მე ისევ უმუშევარი ვარ. შიმშილი, სიტიტვლე, შვილის ავადმყოფობა, და... ყოველდღე ნალოგების უწყებების მიღება. ნეტა, ვიცოდე, რა სახელი ჰქვიან ამ ნალოგებს? რისთვის არის ან რისა არის?. ჰო, ვიცი, ვიცი: ინგლისის მუშები თურმე მშივრები იხოცებიან და იქ უნდა გაუგზავნოთ. უმუშევრობაა თურმე ინგლისში საშინელი! აქ კი ყველანი ბედნიერები ვართ! ყველას სამუშაო გვაქვს და იმდენს ვიღებთ, რომ... სემიჩკის ფულადაც არ გვეყოფა. წყეულიმც იყავ, ევროპავ! ჰხედავ ჩვენს ტანჯვას და სტკბები! ჩვენ შიმშილით ვიხოცებით და შენა ჰქეიფობ, ჰხარობ, ნეტარებ ჩვენი უბედურების შორიდან ყურებით. მე გულწრფელად გისურვებდი იმ დღეში ჩავარდნას, როგორ დღეშიაც ვართ ჩვენ! თვით საფლავშიაც კი გავიხარებდი თქვენის ტანჯვით. წყეულიმც იყავ, ევროპავ!“

ივანეს ამგვარი რამ არ დაუწერია, ეტყობა არც ხმამაღლა წარმოუთქვამს მსგავსი რამ, თორემ სადმე მოგონებაში მაინც გამოკრთებოდა.

გაწიწმატება და ტანზე ჩოხის შემოხევა ივანეს არა ჩვეოდა.

დინჯი და მოზომილი სიტყვისა და საქმის კაცი იყო დიდი ივანე.

რუსეთის იმპერიის არსებობისას ივანე საქართველოს ავტონომიის მოპოვების მოსურნე იყო. თვით რუსეთში რევოლუციის მოხდენის შემდეგაც.

მაგრამ ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, *„კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“*, 1917 წლის შემდეგ საქართველოს გარშემო მოვლენები უფრო რადიკალურად განვითარდა.

ძალიან ხშირად მართლდება ეს ბრძნული ანდაზა!

გადის სულ ცოტა ხანი და დგება 1918 წლის 26 მაისი.

საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენას აცხადებს.

ივანე ახალი საქართველოს მშენებლობის ფერხულში უფრო ადრევე იყო ჩაბმული, მაგრამ ახლა პოლიტიკურ საკითხებსაც უთმობს დროს.

ამის ძალა და უნარი მას მართლაც გააჩნდა. ამას მის გარშემომყოფებიც გრძნობდნენ. სხვა მხრივ, რევოლუციის მერე პეტერბურგში ქართველთა კომიტეტის არჩევნებზე იგი ხმათა ყველაზე მაღალ ოდენობას (100) ვერ მიიღებდა. არც შესანიშნავი იურისტი, ისტორიკოსი და დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი იტყოდა, რომ პეტერბურგში გამართულ ქართველთა ერთ-ერთ შეკრებაზე ივანე ჯავახიშვილმა ***„წარმოთქვა ზეშთაგონებული სიტყვა: მისი ბაგეთა საშუალებით რაღაც ახალ კილოზე უეცრად ალაპარაკდა საქართველოს ათასი წლის პოლიტიკური ტრადიცია“***.

თავად კი მას თავის პოლიტიკურ უნარზე აზრი არც პირადულ წერილებში გამოუთქვამს. სხვები კი დაუხასიათებია. ისიც მხოლოდ მოცემული ვითარების აუცილებლობის გამო. ასე მაგალითად, როცა რუსეთის დროებითმა მთავრობამ კავკასიის სამართავად „ოზაკომი“ შექმნა და მასში ორი ქართველი სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი და სოციალ-ფედერალისტი, ივანეს ქვისლი, კიტა აბაშიძე შეიყვანა, ივანემ მეუღლეს წერილი მოსწერა:

„აქაურს ამბავს წაიკითხავდი გაზეთებში. ეხლა ყველაფერი დაწყნარდა. გეცოდინება რასაკვირველია, რომ ქართველთაგან კიტა დანიშნეს კერენსკის წყალობით. სწორე გითხრა ასეთ პასუხსაგებ თანამდებობისათვის ვფიქრობ რომ გამოსადეგი იყოს, ამიტომ იმის იმედი მაქვს, რომ ტფილისში დაეხმარებიან სხვებიც“.

მომდევნო წერილში ივანე ისევ უბრუნდება ამ საკითხს და მეუღლეს ატყობინებს:

„გუშინ ღამ აქაურ ქართ[ველთა] კომიტეტის სხდომის დროს ტელეფონით შეგვატყობინეს, რომ კიტა გადაუყენებიათ და მის მაგიერ უნდა ჩხენკელი დანიშნონ. ხოლო რაკი ის ავად არის, ფიქრობენ რომ ნ. ჟორდანიას შეაძლევენ და თუ დათანხმდა, მას დანიშნავენ. არაფერი სასიამოვნო ამბავია“.

საბოლოოდ, საკითხი იმით დამთავრდა, რომ ოზაკომში ორი ქართველი — კიტა აბაშიძე და აკაკი ჩხენკელი— ერთდროულად დაინიშნა. ამის შესახებ ივანე მეუღლეს აცნობებს:

„წინა წერილში გატყობინებდი, რომ კიტას მაგიერ ჩხენკელი დანიშნეს. ეხლა ისევ შესწორდება აქაურ დროებით მთავრობის დადგენილება, რომ ჩხენკელიც იქნება და კიტაც. სწორედ გითხრა არც ერთი მათგანი ასეთ პასუხსაგებ თანამდებობის ღირსნი და შესაფერისნი არ არიან“.

ძნელია ახლა იმის თქმა, თუ რატომ ფიქრობდა ივანე ასე. ფაქტია, რომ მას ასე მიაჩნდა. ეტყობა თვლიდა, რომ საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე მყოფნი ჯეროვნად არ ირჯებოდნენ.

მოვუსმინოთ და თავად დავრწმუნდეთ:

„აქაურ (რუსეთის) მთავრობას ჩვენთვის არა სცალიან და მანდაურს (თბილისის) დროებითს მთავრობას თითქმის იგივე უფლებები მიანიჭა, რაც თვითონა აქვს. ამიტომ ეხლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ჩვენი მოწინავე წრეები და ხელმძღვანელნი საჭირო ნიჭს, უნარს და შემოქმედებითს გამბედაობას გამოიჩენენ. ვშიშობ, რომ ჩვენ საიმისოდ მომზადებულნი არ ვართ“.

ეს წერილი 1917 წლის 15 მარტსაა დაწერილი. რუსეთის თვითმპყრობელობა დამხობილია და მთელ ქვეყანაში რევოლუციური სიახლეა გამეფებული და ივანეს მიხედვით, რუსეთს „ჯერჯერობით შემოქმედებითი ძალა თვალსაჩინოდ არ ემჩნევა“.

დავაკვირდეთ:

ივანე პეტერბურგში „შემოქმედებით ძალის“ თვალსაჩინო გამოვლინებას ვერ ხედავს, იმას კი ამჩნევს, რომ მათ საქართველოსთვის და საერთოდ, კავკასიისათვის არ სცალიათ და ამიტომ მოითხოვს საქართველოს მოწინავე წრეებმა და ხელმძღვანელებმა მეტი „შემოქმედებითი გამბედაობა“ გამოიჩინონ.

შემდეგ ივანე აღწერს რუსეთის სატახტო ქალაქში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას:

„მუშათა და ჯარისკაცთა ხელშია მთელი სიძლიერე და ყველგან ისინი მბრძანებლობენ, როდესაც და სადაც ჰსურთ, თავიანთს გაიყვანენ ხოლმე. მინისტრებსა არა შეუძლიანთ რა, თუ მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლების საბჭო წინააღმდეგობას გაუწევს ხოლმე. ზოგჯერ მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლების საბჭოა მართალი და მისი უნდობლობა სამართლიანია, მაგრამ საზოგადოდ შეუძლებელია მთელი ქვეყნის უურთულეს საკითხების გადაწყვეტა მასზე იყოს მხოლოდ დამოკიდებული. მხოლოდ ჯერ-ჯერობით სხვა გზა არ არსებობს“.

ეს ყველაფერი პეტერბურგში.

მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოშიც იგივე ხდება.

„ჩვენში როგორც ეტყობა მონური მიმბაძველობაა გაბატონებული: რაც აქ კეთდება, მანდაც იმასვე იმეორებენ, თუმცა ჩვენში სულ სხვა პირობებია“.

იქნება აქ იყოს ძაღლის თავი დამარხული!

იქნებ ამ მიმბაძველობისა და „შემოქმედებითი გამბედაობის“ სინაკლების გამო არ მოსწონდეს ქართველი პოლიტიკური ლიდერები ივანეს!

ამასთანავე იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ ივანე არსად სიტყვებს „გამბედაობა“, „ძალა“ ცალკე არ ხმარობს, არამედ ყოველთვის წინ მსაზღვრელს წაუმძღვარებს: „შემოქმედებითი“.

ამით ერთი რამაა საცნაური: ივანე აზრს მოკლებული ძალ-გულოვნების მოტრფიალე კი არაა, არამედ მხოლოდ გონიერებაზე დამყარებული გამბედაობის მოსურნეა.

ამ რწმენით იგი მომავალს იმედით შეჰყურებს და იმავე წერილში ამბობს:

„თუმცა ჯერ საქმე ახალი დაწყებულია, იქნებ ეს მოძრაობა ჩვენში განახლდეს და გაღრმავდეს, მაშინ ეგების შემოქმედებაც დაეტყოს“.

კიდევ ერთხელ მივაქციოთ ყურადღება: მან ისევ ახსენა სიტყვა „შემოქმედება“.

თავად კი ყელამდე სავსეა ამ შემოქმედებით. იგი იმავე წლის 20 მარტს წერს მეუღლეს:

პეტერბურგში *„იმოდენა საქმეებია და კრებები, რომ დილის 10 საათზე გავდივარ ზოგჯერ და მხოლოდ ღამის 12 საათზე ვბრუნდები“*.

23 მარტს კი იწერება:

იმდენი საქმეები გვაქვს, რომ *„ადამიანს თავბრუ ესხმის; ზოგჯერ დღეში სამი კრება მაქვს ხოლმე“*.

არც ერთი ეს კრება აკადემიურ საკითხებს არ ეხება. იგი საქართველოს საზოგადო საქმეებს დასტრიალებს თავს.

ჯერ არის და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ სჯა-ბაასი:

„როგორც იყო საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენაზე ობერპროკურორი დავიყოლიეთ. გუშინწინ საქმე სრულებით ჩაშლილად ითვლებოდა, ასე გვაცნობა მარრმა და ბენეშევიჩმა. გუშინ საჩქაროდ ჩვენი კომიტეტი ობერპროკურორს წარუდგა და 1 ს[აათის] განმავლობაში ზურაბსა (ავალიშვილი) და მე მასთან მის თანაშემწესთან კამათი გვქონდა და ბოლოს დავიყოლიეთ. ამ ორ დღეში დროებითმა მთავრობამ უნდა გამოაქვეყნოს თავისი დადგენილება ამის შესახებ“.

გარდა ამისა, ივანე სხვა საქმეებითაცაა დაკავებული. მას ხომ ახალგაზრდობასთან მჭიდრო კავშირი აქვს. იგი წლებია უკვე სტუდენტებს ამზადებს ქართულ ენაზე მეცნიერების ასამეტყველებლად. ახლა ახალი ასპარეზი გაჩნდა — საქართველოს პოლიტიკურ განახლებას განსწავლული ახალგაზრდობის ხელი სჭირდება. ამის შესახებ იმავე წერილში იტყობინება:

„ხშირად იმართება აქ ქართველ სტუდენტთა და ქალების შეერთებული კრება, რომელზედაც საქართველოს პოლიტიკურ საკითხებზე და ავტონომიაზეა საუბარი და კამათი“.

ივანე პეტერბურგში ორ წრეს ხელმძღვანელობდა, ერთი პეტერბურგის სხვადასხვა სასწავლებლების ქართველი ვაჟი სტუდენტებისაგან შედგებოდა და მეორე კი პეტერბურგში მცხოვრები ახალგაზრდა ქართველი ქალების წრე იყო. ამ კრებებს თურმე ივანე სისტემატურად ესწრება, ხოლო ქართული კომიტეტის წევრები — კანტიკუნტად. მათ მიზანს ივანე შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„ყმაწვილები გვინდა გავწვრთნათ რომ შემდეგ განსწავლულნი და მომზადებულნი საქართველოში ჩამოვიდნენ სამოქმედოდ. ასე

***თუ მოეწყობა რამე**, თორემ როგორც გაზეთებითგან სჩანს ჩვენში სოციალ-დემოკრატები წინანდებურად შეთანხმების წინააღმდეგნი არიან და დიდი ბრძოლა გაჩაღდება არჩევნების დროს“.*

ივანე ისევ სწუხს საქართველოში მყოფი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო ლიდერების უმოქმედობას.

„უცნაურია რომ არც კიტასაგან, არც აბხაზისაგან მოგვდის წერილები და იმის გარდა, რაც გაზეთებშია, არა ვიცით რა. აქ ამოდენა საქმე გვაქვს გასაკეთებელი დროებით მთავრობასთან და ჩვენ კი მანდეთგან ცნობები არა გვაქვს. მეც ჯერ-ჯერობით აქა ვზივარ, იმიტომ რომ მანდეთგან ამბავს და [კოტე] აბხაზის წერილებს ვუცდი“.

„უცნაურიაო“, წერს ივანე.

ცნობების მიწოდებას ხომ არ სჭირდებოდა რაიმე სახის გაბედულება!

ეს ადამიანები და კიდევ მათ გვერდით მყოფნი მას ადრეც ეყოლებოდა ამ „უცნაურობაში“ შემჩნეული და ამიტომაც ეეჭვებოდა მათი შემოქმედებითი გაბედულება.

უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს შემოქმედება ვერ დაინახა ჯეროვნად ივანემ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც და გადაწყვიტა, უშუალოდ თავად ჩარეულიყო პოლიტიკურ პროცესებში. ეს გამოჩნდა საქართველოში დამფუძებელი კრების არჩევნებისას.

დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება 1918 წლის 20 ნოემბერს გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც უნდა ჩატარებულიყო საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები. მასში მონაწილეობის უფლება ჰქონდა როგორც უკვე ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ პარტიებს, ისე დამოუკიდებლად ჩამოყალიბებულ ჯგუფებსაც. შემორჩენილი მწირი მასალა გვამცნობს, რომ ივანე ჯავახიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ პროცესში.

მაშინდელ საქართველოში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალა იყო სოციალ-დემოკრატიული პარტია. მათ მოსდევდა სოციალისტ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატთა პარტიები. როგორც ეტყობა, ივანეს არ აკმაყოფილებდა მათი მუშაობა და სცადა, მათ გარეშე ჩაბმულიყო პოლიტიკურ საქმიანობაში. თუმცა იგი ბოლომდე უპარტიო პიროვნებად დარჩა.

დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის დარეგისტრირდა 15 პოლიტიკური სუბიექტი. მათ შორის იყო „დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი“, რომელმაც საარჩევნოდ 10-კაციანი სია წარადგინა. სწორედ ამ ჯგუფს მიეკუთვნებოდა ივანე ჯავახიშვილი.

შემორჩენილი მასალების მიხედვით არ ჩანს, თუ ვინ იყო ამ კავშირის ხელმძღვანელი, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ივანე ჯავახიშვილი ამ ჯგუფის რიგითი წევრი არ ყოფილა. როგორც საარჩევნო სია მეტყველებს, ივანე ჯავახიშვილი მასში რიგით მეორე ნომრადაა ჩაწერილი ზურაბ ავალიშვილის შემდეგ.

მართალია, პარტიულ სიას მეტწილად მისი ლიდერი წინამძღოლობს, მაგრამ ზურაბ ავალიშვილი ამ ჯგუფის ხელმძღვანელი ნამდვილად არაა. ასე რომ ყოფილიყო იგი აუცილებლად იქნებოდა კავშირის 12-კაციანი ხელმძღვანელი ორგანოს — საბჭოს წევრი. აქ კი მისი გვარი არაა მოხსენიებული.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დამოუკიდებელთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ ირაკლი გუნცაძეა დასახელებული, ხოლო წევრებად ივანე ჯავახიშვილის გარდა, მაშინდელი ქართული საზოგადოების უფრო ცნობილი და თვალსაჩინო წარმომადგენლები: კონსტანტინე აფზახი, ივანე აფხაზი, ღუტუ მეგრელი, კონსტანტინე ამირეჯიბი, კონსტანტინე მაყაშვილი და სხვა. ასე რომ, ამ შემთხვევაში თავმჯდომარეობა კავშირის ლიდერობას არ უნდა ნიშნავდეს.

უფრო ნიშანდობლივი ის უნდა იყოს, რომ ამ საბჭოს სია სწორედ პროფ. ივ. ჯავახიშვილით იწყება.

თუ ზემოთქმული ვარაუდი არაა ულოგიკო, მაშინ ამ უპარტიოთა იდეურ ხელმძღვანელად და ჯგუფის შემაკავშირებლადაც ივანე ჯავახიშვილი უნდა მივიჩნიოთ.

ამ ვარაუდს ისიც შეიძლება დავუმატოთ, რომ ზურაბ ავალიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, კონსტანტინე აფხაზი და კონსტანტინე მაყაშვილიც ადრე თურმე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიაშიც იყვნენ ჩამოთვლილი სწორედ აქ მოცემული თანამიმდევრობით.

რადგანაც კარგადაა ცნობილი ივანე ჯავახიშვილის საქმისადმი ერთგულება და უცხოა მედიდურობა, მან ის პირები, რომლებმაც მასთან ერთად უარი თქვეს ეროვნულ-დემოკრატების სიით არჩევნებში მონაწილეობაზე, იგივე თანამიმდევრობით გადმოიტანა ახალ სიაშიც.

1919 წ. 14-16 თებერვალს ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. მაგრამ ივანეს ჯგუფი არჩევნებში ვერ იმარჯვებს და პარლამენტს მიღმა რჩება.

მერამდენედ დაამტკიცა საქართველომ, რომ მის უმრავლესობას გონებით განმსჯელი და მწარე სიმართლის მთქმელს გულის მომფხანი სიტყვებით აღსავსე „გმირი“ ურჩევნია.

უმრავლესობას კი დიდი ძალა აქვს, თუმცა არა შემოქმედებითი. და ეს არა შემოქმედებითი ძალა ყოველთვის ბეწვის ხიდზე შეაგდებს ერის ბედს, სანამ იგი უმცირესობის მოსმენას არ ისწავლის.

მიუხედავად არჩევნებში დამარცხებისა, ივანე საზოგდოებრივ ასპარეზს არ ტოვებს.

მადლობა ღმერთს, მაშინდელმა ხელისუფლებამ იცის ივანეს ფასი!

დამთავრდა პირველი მსოფლიო ომი და ახლა მსოფლიოს ახალი წესრიგი უნდა დააწესონ გამარჯვებულმა ქვეყნებმა. მეტად არასახარბიელო ვითარებაშია საქართველო. მან ხომ თავისი დამოუკიდებლობა აწ უკვე დამარცხებული გერმანიის დახმარებით მოიპოვა.

გამარჯვებული ინგლისი, საფრანგეთი და აშშ ამას კეთილი თვალით არ უყურებენ, განსაკუთრებით ინგლისი.

ახლა საქართველოს არა ჰყავს თანამდგომი.

მან მარტომ უნდა დაიცვას თავი.

გამარჯვებულები იკრიბებიან პარიზში და უნდა გადაწყვიტონ პატარათა ბედი — ვინ იყოს დამოუკიდებელი და ვინ არა!

თუ ეს ბედნიერება მიანიჭეს რომელიმეს, მაშინ გასარკვევია, რა საზღვრებში.

აქ კი არავინაა გამკითხავი. ვის როგორც უნდა ისე ჭრის და კერავს. მადა კი ჩვენს გარშემო ყველას კარგი აქვს.

ასეთ მძიმე ვითარებაში ივანე შეიყვანეს 1919 წ. პარიზში გასამგზავრებელ დელეგაციაში.

დელეგაცია თბილისიდან 9 იანვარს გაემგზავრა, ბათუმში ჩავიდა 11 იანვარს და იქ ერთ კვირას მოუწიათ ლოდინი.

გემი არ იყო.

17 იანვარს ძლივს გაემგზავრნენ კონსტანტინოპოლში. მაგრამ იქედან ევროპაში წასვლა მაინც ვერ მოხერხდა.

თავად ევროპის სახელმწიფოებმა არ მოინდომა მათთვის ვიზის მიცემა.

ქართული დელეგაცია არავის სჭირდებოდა.

2 აპრილს ივანე თბილისში ბრუნდება.

კონსტანტინოპოლში ყოფნისას იგი უქმად არაა. იგი წერს ორ წიგნს:

ერთს ეწოდება: „*საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული*“ და მეორეს „*დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში*“.

პირველს ბოლოში აწერია: „*ბათუმი — კონსტანტინოპოლი. 1919 წ. იანვარი — მარტი*“. მეორის წინასიტყვა კი ასე მთავრდება: „სტამბოლი. 1919 წ. თებერვალი — მარტი“.

ეს ყველაფერი გვეუბნება, რომ ივანეს ისინი დაუმთავრებია სწორედ კონსტანტინოპოლში (სტამბოლში), მაგრამ ჯერ პირველი დაუწყია იანვრის თვეში, როცა იგი გემის მოლოდინში ბათუმში იმყოფებოდა, ხოლო მეორეზე პირველის პარალელურად უმუშავია, ოღონდ უკვე სტამბოლში.

ეს ყველაფერი სხვა რამესაც გვეუბნება: ივანე საქართველოს დელეგაციის წევრი იმიტომ იყო, რომ საქართველოს ისტორიულ საზღვრებზე მასზე უკეთ პასუხის გაცემა არავის შეეძლო. ამიტომ ივანეს, როგორც დელეგატს, სათანადო მასალები თან რომ ჰქონოდა, გასაკვირი არაა. არც ისაა გასაკვირი, რომ გემისა და ვიზის მოლოდინში ამ მასალების დამუშავება და წიგნად ქცევა რომ დაეწყო. საინტერესო სხვაა. მან ხომ საზღვრებზე წიგნის პარალელურად მეორე მონოგრაფიაც დაწერა, რომელიც რუსეთთან ურთიერთობას მიუძღვნა.

გარკვეული ამოცანით შორ გზას დამდგარ მეცნიერს რატომ ამოუტივტივდა თავში რუსეთ-საქართველოს თემა? ასეთი რამ შემთხვევით ხდება?

მოდით, მივყვეთ მოვლენებს კვალდაკვალ და იქნებ, პასუხიც გვაპოვნინოს.

უშედეგო მოგზაურობიდან თბილისში დაბრუნებულმა, 27-28 აპრილს უნივერსიტეტში წაიკითხა მოხსენება სათაურით „თანამედროვე მომენტი“.

ამ ლექციის ვრცელი რეპორტაჟი გამოქვეყნდა მაშინდელ პრესაში. იგი მთლიანად ემთხვევა ივანეს მიერ სტამბოლში დაწერილი მეორე წიგნის შინაარს.

ჩვენ ვიცით, რომ ეს მონოგრაფიები 1919 წელს გამოიცა, მაგრამ არ ვიცით ზუსტად, რომელ თვეში, სავარაუდოდ ალბათ, ამ მოხსენების შემდეგ, რადგანაც წიგნის დაბეჭდვას ხომ დრო დაჭირდებოდა. მოხსენებას კი იგი თბილისში დაბრუნებისთანავე აკეთებს. მას სურს, საზოგადოებას გააგებინოს მიმდინარე ვითარების დრამატულობა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მოხსენება 2 დღის მანძილზე მიმდინარეობდა — 27 და 28 აპრილს. როგორც გაზეთი „საქართველო“ აღნიშნავდა „მოხსენებას თითქმის მთელი სტუდენტობა და პროფესურა დაესწრო“.

ივანე თავიდანვე გვიმხელს თავის განზრახვას. ამ ნაშრომით *„ვითარცა ისტორიკოსს მე იმდროინდელი ამბების ფარული ამამოძრავებელი ძალისა და მისწრაფებების სიცხადედ გამოაშკარავება მაინტერესებდა“*-ო.

შემდეგ მეცნიერი დასძენს, რომ ამავე დროს *„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე მოვალეა თავის ქვეყნის წარსული იცოდეს, განსაკუთრებით ისეთი ხანა, როგორიც მე-XVIII-ე ს[აუკუნ]ეა. აწინდელმა ქართველმა პოლიტიკოსმა ამ ჩვენს წარსულშიაც შეიძლება თანამედროვე მდგომარეობისთვისაც ბევრი რამე საგულისხმო და გამაფრთხილებელი ამოიკითხოს“*.

აი, ეს ორი საკითხი — საზოგადოების განათლება და პოლიტიკოსების გაფრთხილება — ყოფილა მეცნიერის ამოცანა.

რას მიიჩნევს ივანე „საგულისხმო და გამაფრთხილებელად“?

წიგნში ნაჩვენებია, რომ რუსები ყოველთვის გვატყუებენ, სიტყვით ბევრ რამეს გვპირდებოდნენ, ხოლო საქმით არაფერს აკეთებდნენ სახეიროს. მართალია, ივანეს მიერ მოთხრობილი ამბები საზოგადოებამ და თვით პოლიტიკურმა ელიტამაც არ იცის, მაგრამ განა ეს ცოდნა რაიმეს წყვეტს? რუსების მიმართ მაშინ ყველას, ბოლშევიკების გარდა, ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ და რომელ პოლიტიკოსებზეა საუბარი? იმ მოცემულ პერიოდში ვინ რას უჯერებს რუსეთს?

მოხსენებას ჰქვია „*თანამედროვე მომენტი*“, წიგნს კი „*დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში*“.

თუ გაზეთში გამოქვეყნებულ მასალას და, მით უმეტეს, დასტამბულ წიგნსაც გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ივანეს მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებაზე ძალიან ცოტა რამ უთქვამს.

თითოეული სათაური ორ სხვადასხვა რამ შინაარსს გვავარაუდებინებს. არადა საგაზეთო მასალაც თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს წიგნის შინაარსს.

„თითქმის სიტყვა-სიტყვით“-მეთქი ვამბობ არა იმიტომ, რომ ლექტორი ზუსტად ვერ გაიმეორებს წიგნისმიერ თხრობას ან ჟურნალისტი ვერ ჩაიწერს ყველაფერს ადეკვატურად.

ეტყობა, მოხსენებაში ივანემ გარკვეული აქცენტები გააკეთა, რომელიც ჟურნალისტმა აღრიცხა.

როგორც გაზეთი გვამცნობს, ივანემ დაიწუნა ქართველების გულუბრყვილო პოლიტიკა. მისი სიტყვით, „*ჩვენი წინაპრები გამოცდილნი იყვნენ აღმოსავლეთ სახელმწიფოებთან (სპარსეთ-ოსმალეთთან) პოლიტიკის წარმოებაში*“, *მაგრამ „გულუბრყვილონი იყვნენ ევროპიელებთან პოლიტიკის წარმოებაში*“.

გამოდის, რომ იგი მიმდინარე მომენტზე საუბრობს და, რა თქმა უნდა, ევროპის ქვეყნებისადმი ჩვენს გულუბრყვილო დამოკიდებულებას აკრიტიკებს. რუსეთი მას მხოლოდ ისტორიულ მაგალითად სჭირდება.

ხომ ნაქვამია: „*ძაღლსა სცემდნენ, რძალს ასმენდნენო*“.

ივანეც ასე მოიქცა.

1918 წლის 26 მაისს ჩვენ დამოუკიდებლობა გერმანიის დახმარებით აღვიდგინეთ. მერე კი ისტორიის ჩარხი ისე დატრიალდა, რომ პირველ მსოფლიო ომში გერმანია დამარცხდა და გამარჯვებულმა კოალიციამ საქართველოს ეჭვის თვალით დაუწყო ყურება. ამის შესახებ ივანე აღნიშნავდა: „*დამარცხდა გერმანია და მოკავშირეებიც (იგულისმება აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი და სხვა, დ.ს.) შემოვიდნენ კავკასიაში. მოკავშირეები მოვიდნენ აქ ჩვენდამი მტრულ განწყობილებით. ისინი ვერ შერიგებოდნენ იმას, რომ ჩვენ აქ გერმანელები შემოვუშვით*“.

თავისებურად ისინი მართლები იყვნენ. მათი მტერი იყო გერმანია და თუ ჩვენ გერმანიასთან ვთანამშრომლობდით, ე.ი. გერ-

მანიის მოკავშირეც ვყოფილვართ. მათ რაში აინტერესებდათ, თუ რა პირობებმა დაგვაძმობილა ჩვენ გერმანიასთან, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის გარანტი მაშინ მხოლოდ გერმანია იყო.

„სხვისი ჯირი, ღობეს ჩხირიო“.

მოკავშირეებს თავიანთი სატკივარი ჰქონდათ და ჩვენი კი მასში არ ეწერებოდა.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმო შემთხვევა ჩაუწერია იასონ ლორთქიფანიძეს თავის დღიურში: თურმე ნიკო *„ნიკოლაძე რომ არ გაუშვეს პარიზში, ეს ლოიდ ჯორჯს (დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, დ.ს.) აუხსნია იმით, რომ ნიკოლაძე გერმანოფილია; ის ფიქრობდა, გერმანია ათ წელს კიდევ გაუძლებს ომსაო და ეხლა სტამბოლში უფრო კარგი იქნება, უცადოს გერმანიის გამარჯვებას, ვიდრე პარიზშიო“*.

ამის შედეგი იყო სწორედ ის, რომ ივანე ჯავახიშვილს პარიზის საზავო კონფერენციაზე დასასწრებად ნება არ დართეს.

მოვიყვანოთ ვრცელი ამონარიდი ივანეს საჯარო ლექციიდან:

„ასე თუ ისე მოვაგვარეთ საქმე მოკავშირეებთან და მივიღეთ ნება, რომ ჩვენ დელეგაციას შეეძლო პარიზის კონფერენციაზედ გამგზავრება. წინა დღით გადმოგვცეს, რომ ჩვენს დელეგაციას ბათუმში საგანგებო გემი ელოდება... მაგრამ იქ გემი არ დაგვხვედრია. მოკავშირეებმა დაგვარწმუნეს, რომ შეცდომა მოხდა... კვირაზედ მეტი ველოდეთ იმ ჩვენთვის საგანგებოდ გამოგზავნილ გემს, მაგრამ ის გემი დღესაც არ ჩამოსულა ბათომში. სომხების დელეგაცია კი ჩასვლის უმალ ნაღმოსნით გაგზავნეს კონსტანტინეპოლში... ერთი კვირის შემდეგ ჩვენ ბათომიდან გაგვგზავნეს გემით, რომელიც სალონიკში მიდიოდა... სალონიკიდან კი ადვილი იყო საფრანგეთში გამგზავრება, მაგრამ ეს გემი უნებლიედ სტამბოლში გაჩერდა და ჩვენც ქვევით აღარ გაგვიშვეს“.

ამიტომ თქვა ივანემ, არავის იმედად არ უნდა ვიყოთო. 1919 წ. რუსების იმედად არავინ იყო. რუსეთი მხოლოდ მაგალითი იყო. ივანემ ამ მაგალითით ზოგადი ჭეშმარიტება თქვა:

გულუბრყვილონი არ უნდა ვიყოთ და სხვის მოიმედეობაზე არ უნდა ავაგოთ გეგმებიო. როგორც უწინ ერთმორწმუნეობის გამო, რუსეთთან ურთიერთობის დაჭერა არ იყო მართებული, ისე ამჟამად ევროპიდან დახმარების იმედია გულბრყვილოებაო.

ივანეს ეს შეხედულება მალე გახდა ცხადი. დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ლოიდ ჯორჯმა საბჭოთა რუსეთს მწვანე შუქი აუნთო კავკასიის დასაპყრობად. 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა საქართველო კვლავ დაიპყრო. 1925 წლის 5 მარტს თბილისში გამართულ ცაკის სესიაზე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ჩიჩერინმა ეს გარიგება გაამჟღავნა:

„ბათომიდან ინგლისელების წასვლის შემდეგ ლოიდ ჯორჯმა განუცხადა ამხ. კრასინს, რომ ინგლისი არ ჩაერევა საბჭოთა რესპუბლიკისა და კავკასიის ურთიერთ დამოკიდებულებაში და იგი კავკასიას უცქერის როგორც საბჭოთა რესპუბლიკის გავლენის სფეროს“.

ბათუმიდან კი ინგლისელები სწორედ პარიზის საზავო კონფერენციამდე გავიდნენ.

სიმართლე თქვა, ვინაც თქვა: *„არ არსებობენ მუდმივი მეგობრები, არსებობს მუდმივი ინტერესებიო!“*

ეს ინტერესები კარნახობდა ევროპის ქვეყნებს კავკასია და მათ შორის საქართველო კვლავ დაეთმოთ რუსეთისათვის.

ამიტომაც გვითხრა ივანემ: *„ბედი ცვალებადია, სხვისი მფარველობა კი ჩვენ მოგვადუნებს.* ***საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი იმედი უნდა ჰქონდეს***“-ო.

მაგრამ კარგა ხანია ქართველობას საღი პოლიტიკური ალღო დაკარგული ჰქონდა. ***„ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დავრჩით და ძველმა გამოცდილებამ, ჩვენ არაფერი გვასწავლა“.*** — გულისტკივილით შენიშნავდა ივანე.

„ჩვენო“ ამბობს ივანე და მასში მთელ ერს მოიაზრებს. ამ ერში კი, ერთი მხრივ, იგულისხმება ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ზოგი ალთას არის და ზოგი ბალთას და, მეორე მხრივ, მათ მიმდევარ მასას, რომლებიც ასევე ამ ალთაბალთასაა გამოკიდებული.

ივანესი და მისნაირთა შეგონებანი კი ხმაა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ამიტომაც ვართ ყოველთვის განწირული იმედგაცრუებისთვის.

ამიტომაც უნდა ვთქვათ სინანულით:

„ესელა შეგვრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა“.

„მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად“

ივანე, რომ დაიბადა XIX საუკუნე დასასრულისკენ იყო გადახრილი და იგი მისთვის განსწავლაში გაილია: ჯერ გიმნაზია თბილისში, მერე უნივერსიტეტები სანკტ-პეტერბურგსა და ბერლინში.

და XX საუკუნეც დადგა.

ილია ჯერ არ მოუკლავთ.

აკაკიც და ვაჟაც ცოცხლები არიან.

თავიანთ საქმეს აგრძელებენ იაკობ გოგებაშვილიც და ნიკო ნიკოლაძეც.

დიდი სამოციანელები ჯერ კიდევ საასპარეზო მოედანზე რჩებიან.

მათ ახლებიც მიმატებიან.

მათ გზას მიჰყვებიან.

მაგრამ?

მაგრამ პირმოთნეობა მათაც არა სჩვევიათ და თავიანთ პოზიციას გაბედულად იცავენ. მათაც ახლებური ხედვა აქვთ, რაც წინამორბედთ ყოველთვის არ მოსწონთ.

მერე რა, ვიტყვით მშვიდად ჩვენ დღეს.

დღეს, არც არაფერი.

შორიდან მართლაც არც არაფერი. მაშინ კი განა აზრთა სხვადასხვაობის გამო არ გადაემტერენ ერთმანეთს ილია და ივანე მაჩაბელი? დუელშიც არ გავიდნენ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ილია და ნიკო ნიკოლაძე? აქამდე არ მისულან, მაგრამ სრულ ჰარმონიაში იმყოფებოდნენ ილია და აკაკი? ან ნიკო ნიკოლაძე და სერგეი მესხი?

მაგრამ მათი უთანხმოება საზოგადო საკითხების სხვადასხვაგვარ გაგებაზე იყო დაფუძნებული და არა პირადულ სატკივარზე.

ერთი დამახასიათებელი მაგალითი:

1885 წელს მთავრობამ დახურა გაზეთი „დროება“, რომელსაც რედაქტორობდა ივანე მაჩაბელი. რედაქციას დარჩა ვალი, რომელიც მაშინდელ 9 ათას მანეთს შეადგენდა. ამ ვალზე პასუხისმგებელობა რედაქტორს დაეკისრა. მას კი მისი გასტუმრების საშუალება არ ჰქონდა. წამოყენებულ იქნა წინადადება, რომ შეე-

გროვებინათ ეს თანხა და ივანე მაჩაბელი ამ პასუხისმგებლობისაგან გაენთავისუფლებინათ. ამ საქმეს სათავეში ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა, რომელიც მაშინ ივანე მაჩაბელთან უკიდურესად დაპირისპირებული იყო. ბევრმა ეს საქმე შორს დაიჭირა, რედაქციის ვალთან მე რა მესაქმებაო.

„მაშ, *აღმართის მხვნელმა ძალამ რომ კაცი გასრისოს, შველა არ უნდა? ნუთუ ყოველი მოღვაწე ღვთის ანაბარად უნდა იყოს ჩვენში მიგდებული?*“ — კითხულობდა ილია ქუთაისში გაგზავნილ ერთ წერილში და თავისი მხრიდან დაბეჯითებით ამბობდა: „*მაგრამ მაინც კიდევ ყოველს ღონისძიებას ვიხმართ, რომ აქ (თბილისში) მაინც მოვაგროვოთ ფული. თუ ეს მოხდა, მაგალითი მაინც იქნება, რომ საზოგადოება უმწეოდ არ უშვებს უსამართლოდ დასჯილს*“.

ეს ილია იყო. მან პირადი წყენა დაივიწყა და მოწინააღმდეგეს დარბაისლურად გაუწოდა ხელი.

თუმცა ეს დარბაისლობა კიდევ უფრო დაამშვენა ამ წერილის ბოლო ფრაზამ: „*გთხოვთ ეს წერილი მე და თქვენს შორის დარჩეს*“.

და არავინ იცის, შეიტყო თუ არა ამის შესახებ რამე ივანე მაჩაბელმა.

ილია მარტო ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის ავტორი არ იყო, მარტო ავტორი არა...

ასე რომ არ მომხდარიყო, ასეთ დუღილში რომ არ ყოფილიყვნენ მაშინდელი საქართველოს უკეთესი შვილები, ეს იქნებოდა მართლაც და უბედურება.

სამწუხაროდ, ეს დღესაც ბევრს არ ესმის.

ივანე ჯავახიშვილს კი ესმოდა.

კარგადაც ესმოდა და მართლაც მედგრად იბრძოდა ამ მავნებელი აზრის წინააღმდეგ.

მისი სიმედგრე არ ყოფილა ბრძოლის ჟინით გახელებულის თავგამეტება. მისი ბრძოლა აზრთა ჭიდილი იყო, ხოლო იარაღი ქაღალდი და კალამი.

მეცნიერის ქალიშვილი ნათელა თავის მოგონებაში აღნიშნავს:

„*მამას გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, დაახლოებით 1945-1946 წლებ[შ]ი... პირველი სხდომა უნდა ყოფილიყო მამის მემკვიდრეობის შემსწავლელი ახლად შექმნილი კომისიისა*

ნიკო ბერძენიშვილის თავმჯდომარეობით. მას უნდა დაეწესებინა მისი გამოუქვეყნებელი შრომების თანმიმდევრობა და გაენაწილებინა სათანადო რედაქტორებს შორის. მე წინასწარ ამოვალაგე ყველა შრომა და დავალაგე რამდენიმე მაგიდაზე ცალ-ცალკე. როდესაც კომისია შემოვიდა, ბ-ნმა ნიკომ გაკვირვებულმა შესძახა — „შეხედეთ, ამ ნაწერების რაოდენობას, მარტო რომ გადაეწერა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ბ-ნ ივანეს, მაშინაც კი საკვირველი იქნებოდაო, როგორ და როდის მოასწრო ამდენი რამის დაწერა!“

მოდით, გადავავლოთ თვალი, თუ „როდის რა მოაწრო“:

ივანე ჯავახიშვილმა დაწერა „ქართველი ერის ისტორია“ 5 ნაწილად;

ივანე ჯავახიშვილმა შექმნა ფუნდამენტური გამოკვლევები არა მარტო ისტორიაში, არამედ ლინგვისტიკაშიც;

ივანე ჯავახიშვილმა დააფუძნა სხვადასხვა დამხმარე საისტორიო დარგები — პალეოგრაფია, დიპლომატიკა, ნუმიზმატიკა, მეტროლოგია...

ივანე ჯავახიშვილმა გაამდიდრა ჩვენი ცოდნა სამართლის, ეკონომიკის, მუსიკის ისტორიაში;

ივანე ჯავახიშვილმა ააგო ახალი ქართული საისტორიო შენობა.

გარდა ამისა:

ივანე ჯავახიშვილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი;

ივანე ჯავახიშვილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;

ივანე ჯავახიშვილი იყო დემოკრატიული საქართველოს სახალხო განათლების სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე;

ივანე ჯავახიშვილი იყო შოთა რუსთაველის ეპოქის მუზეუმის დირექტორი;

ივანე ჯავახიშვილი იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი;

ივანე ჯავახიშვილი იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

მან კი სულ 64 წელიწადი იცხოვრა, სულ რაღაც 64 წელიწადი.

მისი ცხოვრების გზა კი სულაც არ იყო ია-ვარდით მოფენილი.

ნათელა ჯავახიშვილის შენიშვნით, „*ორიოდე კორესპოდენტთან მიწერილი წერილების წაკითხვითაც ცხადი გახდება ყველასათვის, რა მძიმე, აუტანელი ცხოვრების პირობებში შრომობდა ეს ადამიანი*“.

1938 წლის 31 მარტს დაწერილ ერთ წერილში თავის ჭირ-ვარამს ასე უზიარებს ვარლამ დონდუას: „*ჩემ[ს] ბინაში, სწორედ ჩემი მაგიდის ასწვრივ ჭერი ჩამოინგრა... არ ვმუშაობდი, თორემ თავზე დამეცემოდა ჭერის მოლესილობის უზარმაზარი ჩამოვარდნილი ნაწილი და იქვე გამომასალმებდა წუთისოფელს. მომიხდა ამ ოთახითგან ყველაფრის გამოტანა საწოლ ოთახში... წარმოუდგენელია ის საშინელი მდგომარეობა, რომელშიც ამის გამო ვიმყოფები. წიგნებისა და ჩემი ნაწერების პოვნა მიძნელდება, ისე მაყრია ერთმანეთზე ყველაფერი*“.

ასეთ პირობებში იმყოფება ისედაც ავადმყოფი ადამიანი. წინა წერილში ივანე იმავე ადრესატს ამცნობდა: „*ბოდიშს ვიხდი წერილის უკიდურეს დაგვიანებისათვის: მძიმედ ვიყავი ავად და მხოლოდ ეხლა წამოვდეგი. სხვილი ნაწლავის წყლული გამეხსნა ორჯერ ზედიზედ და სისხლის დენა მქონდა. უკვე ამან ძალზე დამასუსტა. ზედ გრიპოზული ბრონხოპნევმონია დაერთო და ორივე ფილტვში ანთების პროცესი მთლად მოდებული მქონდა. არ მეგონა, რომ ჩემი ხნის კაცისათვის ამ საშინელს ავადმყოფობას გადავურჩებოდი, მაგრამ სიკვდილს გადავურჩი, არა მგონია კი რომ დიდი ხნით. ძალზე გამხდარი და დასუსტებული ვარ. წყლულისაგან სიცოცხლე მაქვს გამწარებული*“.

ასეთ პირობებში ცხოვრობდა და ამიტომაც მართალია ნათელა ჯავახიშვილი, როცა მის ცხოვრებას ბრძოლას ეძახის:

„*იბრძოდა, დიახ, იბრძოდა თავისი ქვეყნის, თავისი ერის კეთილი მომავლისათვის, — მძიმე სენით შეპყრობილი — ნახევრადუჭმელი, სმენას მოკლებული და დაუძლურებულიც კი.*“.

ბრძოლა იყო, აბა რა იყო უნივერსიტეტის დაარსებისთვის შრომა?

რამდენი კაცი ჰყავდა გვერდით ამ საქმის ტვირთის გამზიარებელი და რამდენი შორიდან მოცქირალი და ხელისშემშლელი?

ბრძოლა იყო, აბა, რა იყო რექტორობისას გამუდმებით საბჭოთა ხელისუფლებასთან იმის მტკიცება, რაც ისედაც ნათელი იყო?

ბრძოლა იყო, აბა, რა იყო ამდენი ღირსების შემლახველი სიტყვების ატანა.

ბრძოლა იყო, აბა, რა იყო გამუდმებით დაპატიმრების შიშით ყოფნა?

ყველაფერ ამას ხომ გაძლება უნდოდა? თან ისიც ავადმყოფი, ჯანმრთელობაშერყეული ადამიანისთვის?

გაძლება უნდოდა და ეს მართლაც ბრძოლა იყო.

და ამიტომაც ივანე ჯავახიშვილი არა მარტო დიდი მეცნიერი იყო, არამედ დიდი მოღვაწეც.

ეს უპირობოდ ასეა.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილი პირველ რიგში მეცნიერია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ყოველი საზოგადოებრივი აქტივობა სამეცნიერო მოღვაწეობას ეფუძნება.

სხვაგვარადაც ითქმის: ივანე ჯავახიშვილის სამოღვაწეო იარაღი მეცნიერება იყო.

ეს მისი არჩევანი იყო, რომელიც შემდგომში თავისი ცხოვრებით თვალწინ გადაგვიშალა.

გადაგვიშალა, მაგრამ ჩვენ ჯერ იგი კარგად არ წაგვიკითხავს. უფრო სწორი ნათქვამი იქნებოდა: ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობიდან მისაკვლევ-მოსაძიებელი და აღსაქმელ-გასაანალიზებელი.

ამდენი საქმის მოქმედს ხომ დიდი ძალისხმევა და გარჯა დასჭირდებოდა! ის ყოველთვის მუშაობდა, ყოველთვის მოქმედებაში იყო. მაგრამ თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, იმის დასანახად, რომ ადრეული ენერგია ბოლომდე ვერ მოსდევს.

და ეს მარტო ასაკის ბრალი არაა.

არც ავადმყოფობის ბრალია, რომელიც მას დღენიადაგ ხრავს და სულს უმწარებს.

მთავარი სხვაა — საბჭოთა რეჟიმისას შრომაც და ცხოვრებაც უფრო ძნელი გახდა, ვიდრე ეს ცარისტულ რუსეთში იყო.

აუხდა კიდევაც ნათქვამი: „*ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ან უნდა განახლდეს და აღსდგეს ჩვენი ავტონომია, ან არადა ახლო მომავალში მაგის იმედს თავი უნდა დავანებოთ*“-ო.

ავტონომია კი არა, საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, თუმცა მალე ყველაფერი კრახით დამთავრდა. და თუ ამ

პროცესებში ივანეს მონაწილეობას თვალს გავადევნებთ, მისი აქტივობები სამ ნაწილად დაიყოფა, რომელიც სხვადასხვა ინტენსივობისაა.

პირველი — რუსეთის იმპერიის ცენზურის ქვეშ მუშაობაა, მეორე — დამოუკიდებელ საქართველოში და მესამე — საბჭოთა რეჟიმის პირობებში.

პირველ პერიოდში ივანე იმ შეზღუდულ გარემოშიც ნაყოფიერად შრომობს. იგი არა მარტო თავისი აკადემიური საქმიანობითაა დაკავებული, არამედ საზოგადო ასპარეზზეც საკმაოდ აქტიურად იღწვის. ამ დროს წერს იგი ნარკვევს „*პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში*“. იგი გამოქვეყნდა 1906 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე. ამ ნაშრომში გატარებული აზრებისათვის ივანეს სამი წლით პეტერბურგიდან გასვლა აეკრძალა. თურმე მას მეტი მკაცრი სასჯელი ელოდა, მაგრამ რადგან თავადის ტიტულის მქონე იყო, ამას დაავჯერეს. ეს მომცრო წიგნაკი კი გაანადგურეს. საბედნიეროდ, რამდენიმე ეგზემპლარი გადარჩა და შთამომავლობას არ დაეკარგა მეცნიერის ეს ნაშრომი.

მერე იყო და რევოლუციით მიღებული თავისუფლებით კი არ ტკბება, არამედ მთელი არსებით ებმება საზოგადო საქმიანობის ფერხულში. ამას მისი წერილები ყველაზე უკეთ გვისურათხატებენ.

ივანე სტაზიას პეტერბურგიდან 1917 წლის 11 მარტს წერილს წერს „*აქაურს ამბავს წაიკითხავდი გაზეთებში. ეხლა ყველაფერი დაწყნარდა. გეცოდინება რასაკვირველია, რომ ქართველთაგან კიტა დანიშნეს კერენსკის წყალობით*“. შემდეგ რევოლუციით გამოწვეულ მოქმედებებზე წერს: „*აქაც ყოველდღე ყრილობა და სხდომებია. ჩვენც რასაკვირველია კრებაზე კომიტეტი ამოვირჩიეთ რომელშიაც 7 კაცი შედის, მათ შორის მე (100 ხმით), ზურაბი (91 ხმით), ნუცუბიძე (97 ხმით), იოსები ყიფშიძე (87 ხმით), ნ. გელოვანისა და სხვები შედიან. ძალიან ბევრი დრო მეკარგება ამ კრებებზე. მაგრამ ოღონდ რაიმე გამოვიდეს მეტი არაფერი მინდა*“. მუშაობა თურმე ძალიან ინტენსიურია: „*ზოგჯერ დღეში ორი სხდომა არის ხოლმე*“. მთელი ყურადღება საშშობლოსკენაა მიპყრობილი: „*ტფილისითგან ეხლა ცნობებსა ველით თუ როგორ მოვიქცეთ. თუ ჩემი ჩამოსვლა საჭირო იქნება და მაც-*

ნობებენ, წამოვალ... შენ წარმოდგენილი გექნება რამდენად მინდა მე წამოსვლა, მაგრამ აქაც ბევრი საქმეა გასაკეთებელი და თუ საგანგებოდ არ გამომიხმეს მანდეთგან, წამოსვლა ძნელი იქნება“.

1917 წლის 20 მარტს პეტერბურგიდან სწერს სტაზიას: *„მე კარგადა ვარ სრულებით. მხოლოდ იმოდენა საქმეებია და კრებები, რომ დილის 10 საათზე გავდივარ ზოგჯერ და მხოლოდ ღამის 12 საათზე ვბრუნდები. ამიტომ ასე ცოტასა გწერ“.*

ახლა მეორე პერიოდი ვნახოთ, როცა საქართველო დამოუკიდებლობის გზას ადგას და მართლაც ახდა საუკუნოვანი ოცნება. ივანე არა მარტო უნივერსიტეტს აარსებს თბილისში, არამედ არც ერთ სხვა საზოგადო საქმესაც არ აკლდება. ერთი მაგალითით დავკმაყოფილდები:

როგორც ცნობილია, უნივერსიტეტი საზეიმოდ გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით). გახსნის მომენტისათვის მას მხოლოდ სამი ოთახი ჰქონდა დათმობილი. არც საჭირო ინვენტარი ჰქონდათ. ამიტომ აუცილებელი საქმეები რომ მოგვარდეს ივანე ჯავახიშვილი პროფესორთა საბჭოს შეკრებებს შემდეგი ინტენსივობით მართავს: 3, 10, 13, 17 და 21 იანვარს, ე.ი. გახსნამდე ერთ თვეში, სულ 5 სხდომა გაიმართა.

მაგრამ სხდომის გამართვით ხომ არ წყდება საკითხები? სხდომაზე დადგენილს ხომ ხორცშესხმა სჭირდება? ჰოდა, ასე დაკავებულსა და მოუცლელ ივანეს სხვა საზოგადო საქმეც არ ავიწყდება და ამ დღეებში იგი ეროვნულ საბჭოში პოლიტიკოსების თავყრილობას ესწრება. იგი მომავალი საქართველოს გერბსა და დროშაზე ინფორმაციას აწვდის.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი ხომ უფრო ინტენსიური ხდება მისი საზოგადოებრივი საქმიანობა.

მესამე პერიოდში კი, როცა საბჭოთა რეჟიმმა ყველაფერი თავის ხელში მოაქცია და ყველაფერზე კონტროლი დააწესა, ივანეს ხელი არ ჩაუქნევია, კვლავაც მოქმედებს, მუშაობს, მაგრამ ახლა ყველაფერი შეცვლილია.

1936 წ. 12 აპრილით დათარიღებულ ერთ წერილში ვ. დონდუას წერს: *„დიდად პატივცემულო ბატონო ვარლამ! გულითად მადლობას მოგახსენებთ ყველა ჩემთვის შეძენილი წიგნებისათვის. დიდი მადლობელი ვიქნებით, თუ როგორმე სხვა წიგნებსაც*

მიშოვნით, მეტადრე ლატიშევის... ბარუნის... ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, პლუტარქოსის, სტრაბონის, პლინიუსის... იქნებ შარდენის სპარსეთში მოგზაურობის ფრანგული გამოცემაც იშოვებოდეს? მაცნობეთ, რა ღირს. მათი შეძენა მჭირდება, რათგან უნივერსიტეტის წიგნები უნდა დავაბრუნო ამ მოკლე ხანში და უამათოდ მუშაობა გამიძნელდება. ეხლა ის მიზეზიც უნდა გაუწყოთ, რომელიც ამ შემთხვევაში მაიძულებს ასეთი წიგნების შეძენაზე ვიზრუნო, უკანასკნელ დროს კვლავ განახლდა ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა..“.

ამ მიზეზის ახსნის შემდეგ თავის გადაწყვეტილებას უმჟღავნებს: *„მე გადავწყვიტე რომ ამის შემდგომ უ[ნივერსიტე]ტში დარჩენა აღარ შეიძლებოდა, რათგან ეს ჩემი თავმოყვარეობის სრულ შელახვას უდრიდა და ამიტომ განათლების კომისარს განცხადება გადავეცი, რომ ტ[ფილისის] ს[სახელმწიფო] უ[ნივერსიტეტ]ს თავს ვანებებ, შევწყვიტე ჩემი ნაშრომების გამოქვეყნებაც და სულ სხვა სპეციალობის საკითხებზე უნდა დავიწყო მუშაობა“.*

გასაგებია, რომ თავმოყვარეობაშელახულმა ადამიანმა სამსახურიდან წასვლა გადაწყვიტა.

ისიც გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში სამსახურიდან წაღებული წიგნები უნდა დააბრუნოს.

არც ისაა გაუგებარი, რომ შენდამი დამოკიდებულება გააპროტესტო და გამოსაცემად მიტანილი ნაშრომების ბეჭდვა შეაჩერო.

ყოველივე ამის ფონზე სულ სხვა რამეა საინტერესო: *„სულ სხვა სპეციალობის საკითხებზე უნდა დავიწყო მუშაობა-“*ო რომ ამბობს!

ამ გაბრაზებულ გულზე საკვლევი საგნის გამოცვლა რატომ გადაწყვიტა?

იქნებ, აქაც სიფრთხილე დავინახოთ?

ალბათ ასეა.

ჩვენ არ ვიცით, კერძოდ რა საკითხს გულისხმობს, მაგრამ ვარაუდი შეგვიძლია, რომელშიაც მის მიერ მოთხოვნილი წიგნების სათაურები დაგვეხმარება. ეს წიგნებია ლატიშევის, ბრაუნის, ბელიაევის, ინოსტრანცევის გამოკვლევები და სხვადასხვა გეოგრაფთა თუ მოგზაურთა შრომები. ერთგან ამბობს კიდევაც, რომ ბელიაევის ნაშრომი ქართველ მეფეთა სასახლისა და ყოფის სურათის აღსადგენად მჭირდებაო. ამ თემაზე კი იგი უკვე კარგა ხანია მუშაობს, ახლა მხოლოდ საბოლოოდ და მტკიცედ განაცხ-

და ამის შესახებ. ეს თემა ქართველი ერის ყოფაა. ამ მიზნით მან სარეწაო კავშირის დახმარებით 1935 წელს 26 მკვლევარი მიავლინა საქართველოს ყველა მხარეში და ხალხური ხელოსნობისა და ყოფის მასალების შეკრება დაავალა.

დიდებული საქმე გაკეთდა. თავად ივანეც აღფრთოვანებულია შეკრებილი მასალის სიუხვით და მრავალფეროვნებით: „*თავმოყრილია ისეთი მასალა, ურომლისოდაც მომავალში ვერც კულტურის ისტორიკოსი, ვერც ენათმეცნიერი და ვერც ქართ[ული] სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მომუშავე ვერას გააკეთებს. მოხარული ვარ, რომ ის საშვილიშვილო საქმე, რომელიც უნდა გაკეთებულიყო და რომელზედაც ყოველთვის ვოცნებობდი, ბოლოს მაინც განხორციელდა*“.

ერის ყოფა-ცხოვრების ისტორიის გამოკვლევა უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ეტყობა ივანემ ამ საკითხზე მუშაობა სამეცნიერო ინტერესებთან ერთად გარკვეული კონიუნქტურის გათვალისწინებით გადაწყვიტა: საბჭოთა წლებში მთლიანად ერს კი არ მიაგებდნენ პატივს, არამედ მის მხოლოდ ერთ ნაწილს — მხოლოდ დაბალ სოციალურ საფეხურზე მყოფ მასას. ბოლშევიკებისათვის სწორედ ეს მასა იყო ხალხი. ივანემაც ამით ისარგებლა და სარეწაო კავშირს ხალხური ხელოსნობისა და ზეპირსიტყვიერების შეკრებისათვის ფული გააღებინა.

ეს ერთი მაგალითია, მაგრამ არ იქნება შეცდომა, თუ ვიტყვით, რომ სწორედ სიფრთხილე განსაზღვრავს მის საქმიანობას საბჭოთა წლებში. ამიტომაც არ შემოგვრჩა მის არქივში მეტი მასალა, რომელიც სხვადასხვა საზოგადოებრივ საკითხზე მის შეხედულებას გაგვაცნობდა. ამგვარი ნაშრომის გამოქვეყნებაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. მეორე მხრივ, მას მოუწია წერა და საუბარი ხელისუფლებისა და პარტიის შესახებ. თუმცა ისინი არასდროს მოუხსენიებია ზღვარგადასული ეპითეტებით.

თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, ჩვენ ივანეს ნაშრომებში აზრი სტრიქონებს შორის უნდა წავიკითხოთ. თან აუცილებლად დრო და კონტექსტი არ უნდა დაგვავიწყდეს. ეს რომ უფრო თვალნათელი იყოს, ივანეს ერთი თანამედროვეს ჩანაწერი ვნახოთ.

თურმე პოეტი იოსებ მჭედლიშვილი დღიურს წერდა, რომლის პირველი რვეული ვიღაცას მოუპარავს. ამიტომ მას მისი წერა

შეუწყვეტია. მაგრამ ლენინის გარდაცალებამ კვლავ კალმისკენ უბიძგა და დაიწყო წერა. მის შესახებ თავად გვიამბობს:

„დიდი ხანია... მგონი, ნახევარ წელზე მეტი, რაც დღიურის წერას თავი გავანებე. კაცმა რომ წეროს, უნდა წეროს ყველაფერი უშიშრად. ყოველი ასო, სიტყვა, ფრაზა და შინაარსი არ უნდა იყოს შეკუმშული, ან გადაცმული ისეთ ტანისამოსში, რომელიც თავდაცვის სამსახურს უწევს ავტორს. ოდესმე მკითხველი ... იკითხავს: ვისგან იცავდა ავტორი თავს თავის დღიურშიო, მაგრამ იმედი მაქვს, უჭკუო მკითხველს არ ჩაუვარება ჩემი დღიური და გაიგებს, თუ ვისგან ვიცავდი თავს.

იქნებ გამოდგეს ისეთი მკითხველიც, რომელმაც სთქვას: მშიშარა ყოფილაო, მაგრამ, დეე, სანამ ამას იტყოდეს, ცოტათი შეჩერდეს და ჩაუკვირდეს, ჩემი ტყავისთვის ვშიშობ თუ სხვა რამისთვის?.. მართლა რომ, ძალიან ღრმად არის ჩემი სინამდვილე შეხვეული ნაცარში. ვთხოვ მკითხველს, ღრმად გაქექოს ნაცარი და ნაკვერცხალს აღმოაჩენს“.

საბჭოთა წლებში ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების კითხვისას ჩვენც ღრმად უნდა გავქექოთ ნაცარი და მერე ნაკვერცხალსაც აღმოვაჩენთ.

ივანე თავის ადრინდელ შრომებში რამდენჯერმე ახსენებს ისტორიის ფილოსოფიას. იგი მის დასაწერად ემზადებოდა. ივანე თავის „ქართველი ერის ისტორიის“ ერთ-ერთ წიგნში წერდა: სახელმწიფოებრიობის საკითხი „ისტორიის ფილოსოფიის საკითხია, მით უმეტეს, რომ *„ჩემი „ისტორიის მიზანი“-ს მესამე წიგნში, საქართველოს, სომხეთის, სპარსეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაზე დამყარებულ დაკვირვებათა გათვალისწინებით, ისტორიის ფილოსოფიის ყველა საკითხების საგანგებოდ განხილვას ვფიქრობ“.*

კიდევ უფრო ადრე, 1904 წ. დაწერილ ნაშრომში მიუთითებდა, რომ ისტორიული მეცნიერების „უზენაეს მიზანს“ ისტორიის ფილოსოფია შეადგენსო.

მან ამ ნაშრომის დაწერა ვერ მოახერხა. განა საბჭოთა წლებში შესაძლებელი იყო ასეთი იდეოლოგიურად მავნედ შერაცხილ თემაზე წერა? თუ მარქსისტული არ იქნებოდა მისი დასკვნები, რა მოხდებოდა ხომ ცხადია? მას რომ დაპირებული ნაშრომი საქართ-

ველოს, სომხეთის, სპარსეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონზომიერებების შესახებ წიგნი დაეწერა, რა თქმა უნდა, იგი მარქსისტული ვერ იქნებოდა. ალბათ, ამიტომაც და მოუცლელობის გათვალისწინებითაც, მის წერას არც შესდგომია. თუმცა მის პირად არქივში რამდენიმე ფურცელია შემორჩენილი, სადაც აღნიშნულ თემებზეა საუბარი. ალბათ, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, ბოლშევიკებისათვის ზოგიერთი საეჭვო მასალა თავად გაენადგურებინა. დაპატიმრების მომლოდინე ადამიანი ჩხრეკასაც ხომ ელოდა?

მარქსიზმის პოზიციაზე მყოფნი მას კლასთა ბრძოლის უგულვებელყოფას უკიჟინებდნენ. სოციალური ბრძოლის შესახებ მის გამოქვეყნებულ შრომებს შეგნებულად ავუვლი გვერდს და მის არქივში რამდენიმე ფურცლად შემორჩენილ მასალას შემოგთავაზებთ. ეს რამდენიმე ფურცელიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ კლასობრივი და სოციალური საკითხები მისთვის არა მარტო ცნობილი იყო, არამედ იკვლევდა და ანზოგადებდა კიდევაც. ოღონდ საქმე ისაა, რომ საბჭოთა წლებში ამ საკითხებზე წერა მხოლოდ მარქსისტული რაკურსით იყო დაშვებული. ამიტომ ივანე ამ საკითხებს ან არ უნდა შეხებოდა, ან კიდევ თავის არქივში შეენახა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარი ჩანაწერები და ჩანაშვნები, მეცნიერს ბევრი ექნებოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ჩვენამდე ვერ მოაღწია.

მოვიყვან ამ მასალას სრულად:

„***ნაციონალურობა*** *და* ***ინტერნაციონალურობა*** *ანუ* ***ნაციონალიზმი*** *და* ***ინტერნაციონალიზმი****, განსაკუთრებით ინტერნაციონალობა ახალი ისტორიისა და მხოლოდ ევროპული კულტურის ნაყოფი არ არის, არამედ ყველა ხანაში და ყველგან არის მოსალოდნელი და იყო კიდეც. ინტერნაციონალურობა თან სდევს ხოლმე დიდ[ი] სარწმუნოებრივი ან სოციალური მოძღვრების უცხო ნიადაგზე სტიქიურსა თუ იძულებითს გავრცელებას ან გადანერგვას, მაგრამ მხოლოდ დასაწყისში (ქრისტიანობა, მაჰმადიანობა, ბუდიანობა, მაზდეიზმი და სხვა, სოციალიზმი, კომუნიზმი).*

ინტერნაციონალურობა ეხება ხოლმე როგორც ერის, ისე პიროვნულის განურჩევლობა-თანასწორობას.

ნამდვილი ინტერნაციონალურობა ანუ მსოფლეროვნულობა არც ყოფილა და არც არის, არამედ დიდი და პოლიტიკურად თუ კულტურულად გაბატონებული ეროვნების ნაციონალურობით პატარა და უფრო სუსტ ეროვნებათა და ტომთა ეროვნულობის შეგნებულად თუ შეუგნებლივ-სტიქიურად, ფარულად თუ ცხადად დაჩრდილვა და წალეკვა[ა].

რაც უფრო დაბალ საფეხურზე დგას ან სუსტია ეროვნება, უფრო ხანგრძლივია ხოლმე მსოფლეროვნულობის ბატონობის ხანა. მაგალითად, დასავლეთის საქრისტიანო ეკლესიაში ყველაზე ადრე რომაელებმა დააღწიეს თავი ბერძნულს წირვას და ლათინურად შემოიღეს წირვა-ლოცვა, ხოლო რაკი გერმანელი გალები, ბრიტები და სხვები უფრო უწიგნონი და უმწერლობო ერები იყვნენ, ხანგრძლივ იყვნენ ლათინური ინტერნაციონალურობით დამონავებული. აღმოსავლეთში, სადაც კულტურა მაშინდელ ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ერთა კულტურაზე გაცილებით მაღლა იდგა, ბერძნული ქრისტიანობის ინტერნაციონალურობაც უფრო ადრე გაქრა და ეკლესიების გაეროვნულებაც სწრაფად დაიწყო და განვითარდა. აქ ამის გარდა ხელშემწყობ გარემოებად ის იყო, რომ ბერძნული პოლიტიკურად გაბატონებული ერის, რომაელების ენა არ იყო, არამედ პოლიტიკურად დამდნარი და იმ დროს მხოლოდ კულტურულად ძლიერ ბერძენთა დედა ენა იყო.

იქ სადაც საღი ეროვნული სხეულია, ინტერნაციონალურობა თანდათანობით უეჭველად ქრება და ეროვნული სტიქიონი კვლავ განვითარდება ხოლმე“.

ცხადია, თუ რისთვის სჭირდება ივანეს ეს ექსკურსი შორეული წარსულიდან. მას ხომ თავის ტექსტში ინტერნაციონალურობის გამავრცელებელ მოვლენათა შორის სოციალიზმი და კომუნიზმი აქვს დასახელებული. მას ამით იმის თქმა სურს, რომ არც სოციალიზმისა და არც კომუნიზმის იდეაა მარადიული და მისი დროშით ინტერნაციონალიზმის ქადაგებაც მალევე განქარდება, თუკი გვექნება „*საღი ეროვნული სხეული*“.

დახეთ, მეცნიერის პირადი არქივის ეს შემორჩენილი ორი მომცრო ფურცელი რა ძვირფას ცნობას გვაწვდის!

აი, თურმე რა რწმენა აძლებინებდა განსაცდელის ჟამს და რატომ მიდიოდა კომპრომისზეც — მას ამ ყველაფრის დროებითო-

ბისა სჯეროდა, ოღონდ უნდა მოგვეთმინა. მაგრამ პასიურად კი არ უნდა ვყოფილიყავით, არამედ პირიქით, რაც შეიძლება მეტი უნდა გვეკეთებინა.

არც ეს სიტყვები უწერია მას, მაგრამ სხვაგვარად როგორ უნდა შეგვენარჩუნებინა „*საღი ეროვნული სხეული*“.

ეს ამ ფურცელზე არ წერია, მაგრამ სწორედ ესაა აქ ნათქვამი. იქნებ უფრო მეტი დანარჩენ ფურცლებზე ეწერა, რომელიც აღარ შემოგვრჩა? არადა, ასეთი ფურცლები ნამდვილად იქნებოდა.

აქ ერთი საკითხიცაა საინტერესო. იგი ინტერნაციონალიზმის ბუნების ასახსნელად მის ქართულ ეკვივალენტს ქმნის — **მსოფლეროვნულობას**. თუ ინტერნაციონალიზმი მართლაც ხალხთა თანასწორობას გულისხმობდა, მაშინ მის შესატყვისად **მრავალეროვნულობაც** გამოდგებოდა. მაგრამ მრავალეროვნულობასა და მსოფლეროვნულობას შორის არსებითი და მნიშვნელოვანი სხვაობაა. მრავალეროვნულობაში შეიძლება გვეგულისხმა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ერთობა. ასეთი ერთობის აღსანიშნავად კიდევაც ხმარობენ ცნებას ინტერნაციონალური. მაგალითად, ინტერნაციონალური ეკიპაჟი ან ინტერნაციონალური ბრიგადა. მაგრამ ინტერნაციონალიზმი არსებითად სხვაა და მასში სხვადასხვა ერთა ერთობა და თანასწორობა სულაც არ იგულისხმება, არამედ ყველა ეროვნების ეროვნულობის ნიველირება ერთი რომელიმე მრავალრიცხოვანი ერის მიერ. ეს შინაარსი კი არ დაიმალება, პირიქით, უფრო ცხადი გახდება, თუკი ინტერნაციონალიზმის გვერდით ასე მშვენივრად მოძებნილ ქართულ ცნებას ვიხმართ — მსოფლეროვნულობა. მსოფლეროვნული ადამიანის სახის წარმოდგენა კი შეუძლებელია, რადგან იგი ნიშნავს რაღაც მთლიანსა და საერთოს მთელი დედამიწის მოსახლეობიდან შექმნილს. ასეთი კი ივანე ჯავახიშვილის აზრით, „*არც ყოფილა და არც არის*“, რადგანაც თითოეული ეროვნების წარმომადგენელთა იერსახის დაკარგვა და სხვა სახის მიღება მხოლოდ რომელიმე დიდი და ძლიერი ერის ზემოქმედებით ხდება ხოლმე და მიღებული შედეგი ამ ერში გათქვეფაა და არა რაღაც საერთოს შექმნა.

ივანე ჯავახიშვილი ასევე ეჭვის თვალით უყურებს კლასობრივი ბრძოლის თეორიას. მის პირად არქივში უკვე დასახელებულ

საქმეში ერთ-ერთ მასალას თეზისის სახით ასეთი სათაური აქვს: „***კლასობრივი წინააღმდეგობისა და ბრძოლის*** *მუდმივობის თეორიის* ***ღირსება*** *და* ***ნაკლი, ცალმხრივობა*** *და* ***გაზვიადება***“.

ხაზგასმა ეკუთვნის ივანეს.

აქ ვკითხულობთ:

„რით აიხსნება [რომ] კლასთა შორისი სასტიკი ინტერესთა წინააღმდეგობისდა მიუხედავად რევოლუცია მუდმივ კი არა იშვიათს მოვლენად უნდა ჩაითვალოს? რადგან კლასობრივ დარაზმულობასთან ერთად სხვაგვარი შეკავშირებაც არსებობს და ერთი და იგივე პირი, როგორც მუშა, მაგალითად, კლასობრივად ზოგიერთ საკითხში შეიძლება პროლეტარებთან იყოს დაკავშირებული, სხვაფრივ კი ვითარცა წვრილი მესაკუთრე, ან იმავე დროს ვაჭრობის მიმდევარი მესაკუთრეებთან იყოს იყოს დაკავშირებული. ადამიანთა შორის სრული და მკაცრი ინტერესთა წინააღმდეგობა აბსტრაქტული მსჯელობის ნაყოფია უფრო, ვიდრე ცხოვრების უტყუარი სინამდვილე, თანაც რთულ გარემოებათაგან მხოლოდ ერთ გარემოებისა და ცნების მიხედვით ადამიანთა ურთიერთშორისი დამოკიდებულების გათვალისწინება[ა].

გადამწყვეტი ბრძოლა და რევოლუცია იშვიათ შემთხვევაში ხდება, როდესაც დროებათა განსაზღვრული მიზნით ინტერესთა გაერთიანება მკაფიოდ ჩამოყალიბდება და ის შეუთანხმებელ ბანაკებად დარაზმულობა მოხდება ხოლმე“.

ამდენად, ივანე ჯავახიშვილი კლასთა შორის წინააღმდეგობის არსებობას კი არ გამორიცხავს, არამედ მისთვის ზედმეტი, გაზვიადებული მნიშვნელობისა და როლის მინიჭების წინააღმდეგია.

საარქივო მასალის ეს ნაწილი, რომელიც კლასთა ბრძოლის საკითხს ეხება, თავის წიგნში გამოაქვეყნა ისტორიკისმა მამია დუმბაძემ. იგი ამის შესახებ ძალზე მოკლე კომენტარით იფარგლება. ჯერ ამბობს, რომ კლასობრივი ბრძოლის ისტორიული როლის შესახებ ივანე ჯავახიშვილი მეტად ორიგინალურ თვალსაზრისს აყენებდაო და შემდეგ კი წერს: „*აღნიშნული სიტყვები ნათქვამი უნდა იყოს დაახლოებით XX ს-ის 10-იანი წლებში*“-ო.

სამწუხაროდ, მ. დუმბაძე არაფერს ამბობს, თუ რატომ ფიქრობს ასე.

რატომ უნდა იყოს ივანე ჯავახიშვილის ზემოთ მოტანილი სიტყვები XX ს-ის 10-იან წლებში დაწერილი?

უფრო ლოგიკურია, თუ მივიჩნევთ, რომ აღნიშნული სიტყვები დაიწერა მოგვიანებით, როცა მოხდა საქართველოს გასაბჭოება და რუსეთის განახლებულმა იმპერიამ კლასთა ბრძოლის თეორია და ინტერნაციონალურობა სახელმწიფო იდეოლოგიის საფუძვლად გამოაცხადა და მოქალაქეთა რეპრესირების იარაღად აქცია.

ამ ვარაუდს კიდევ უფრო ამტკიცებს ის გარემოება, რომ ინტერნაციონალიზმის არსის დახასიათებისას ივანე ფაქტობრივად ინტერნაციონალობად მონათლულ დიდმპყრობელი ერის შოვინიზმს ხდის ნიღაბს. ეს საკითხი კი განსაკუთრებით მწვავედ სწორედ საბჭოთა პერიოდში იდგა.

ალბათ, მ. დუმბაძე ამ გარემოებას ჩემზე უკეთ აცნობიერებდა, მაგრამ, ჩემი აზრით, მან დროს გაუწია ანგარიში, მისი წიგნი XX ს-ის 80-იან წლებში გამოვიდა, საბჭოთა რეჟიმის არსებობისას და ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული შეხედულება განგებ დააძველა, რომ ამით დიდი ისტორიკოსი საბჭოთა იდეოლოგიის მოწინააღმდეგედ არ გამოსულიყო. რევოლუციამდელი „გადაცდომები“ კი დიდ ცოდვად არ მიიჩნეოდა, მთავარია შემდეგში დამდგარიყო მეცნიერი „საბჭოთა პლატფორმაზე“.

ასე რომ, ივანესაც დასჭირდა „ნამუსის მოწმენდა“: მამია დუმბაძის აზრით, თურმე „*არსებითად იგი პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულებისა და რევოლუციური სულისკვეთების წარმომადგენელი იყო*“.

დავაკვირდეთ: „ნამუსის მოწმენდა“ სანამდე მივიდა! თურმე ივანე „რევოლუციური სულისკვეთებისა“ ყოფილა.

რევოლუციონერობა საბჭოთა წლებში კარგ ტონად ითვლებოდა და ჩვენი სათაყვანებელი წინაპრისათვისაც ხომ უნდა გვეწილადებინა ეს ეპითეტი?

დიდი ივანეს სამეცნიერო მსოფლმხედველობა საგანგებოდ განიხილა პროკოფი რატიანმა. უნდა აღინიშნოს, რომ პროკოფი რატიანი ძალიან განათლებული და მაღალი კვალიფიკაციის მქონე მეცნიერი იყო, თუმცა იგი საბჭოთა წლებში ცხოვრობდა და იძულებული იყო, დროისთვის ანგარიში გაეწია.

აი, რას წერს იგი მოცემული საკითხის შესახებ:

„პოზიტივიზმი, როგორც ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერების თეორიულ საფუძვლად იქცა, აიძულებდა ისტორიკოსებს ხელი აეღოთ განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნაზე, ისტორიის კანონზომიერებათა კვლევაზე და დაკმაყოფილებულიყვნენ მარტოოდენ ემპირიული ფაქტების აღწერით.

*ასეთ ვითარებას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა და მოახდინა კიდეც ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ამ გავლენამ, ცხადია, უარყოფითად იმოქმედა ივ. ჯავახიშვილის აზროვნებაზე, განსაკუთრებით რევოლუციამდელ პერიოდში. ამ გავლენის შედეგია ... ის, რომ ივ. ჯავახიშვილი თავის ადრინდელ შრომებში, შედარებით დიდ ყურადღებას უთმობდა გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრებას, ხოლო ისეთ თემებს, როგორიცაა კლასთა ბრძოლა და მშრომელი მასების როლი ისტორიაში, არასაკმარისად შუქდებოდა. ჩვენი ფიქრით, სწორედ პოზიტიური ფილოსოფიის გავლენას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ სახელოვან ისტორიკოსს, — ყოველ შემთხვევაში რევოლუციამდელ პერიოდში, — **მაინცა და მაინც არ იზიდავდა განმაზოგადებელი, თეორიული ნაშრომების შექმნაც და უპირატესობას ემპირიულ ფაქტების კვლევას ანიჭებდა**“.*

მაშასადამე:

- იმ პერიოდში, როცა ივანე ჯავახიშვილი გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, პოზიტივიზმი იყო გაბატონებული და იგი მისი გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. *„ამ გავლენამ, ცხადია, უარყოფითად იმოქმედა ივ. ჯავახიშვილის აზროვნებაზე“.*
- *„ამ გავლენის შედეგია აგრეთვე ის, რომ ივ. ჯავახიშვილი თავის ადრინდელ შრომებში, შედარებით დიდ ყურადრებას უთმობდა გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრებას, ხოლო ისეთ თემებს, როგორიცაა კლასთა ბრძოლა და მშრომელი მასების როლი ისტორიაში, არასაკმარისად შუქდებოდა“.*
- პოზიტივიზმი *„აიძულებდა ისტორიკოსებს ხელი აეღოთ განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნაზე, ისტორიის კანონზომიერებათა კვლევაზე და დაკმაყოფილებულიყვნენ მარტოოდენ ემპირიული ფაქტების აღწერით“.* აქედან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილსაც „არ იზიდავდა განმაზოგადებელი, თეორიული ნაშრომების შექმნა“.

ეს სიტყვები საბჭოთა წლებში დაიწერა.

კერძოდ, 1968 წელს.

თუ, რატომ აბრალებს პოზიტივისტობას ავტორი ივანეს მისივე სიტყვებიდან ჩანს: პოზიტივიზმი *„აიძულებდა ისტორიკოსებს ხელი აეღოთ განამზოგადებელი ნაშრომების შექმნაზე, ისტორიის კანონზომიერებათა კვლევაზე და დაკმაყოფილებულიყვნენ მარტოოდენ ემპირიული ფაქტების აღწერით“*.

ეს ზოგადად, კერძოდ კი ივანეც ასეთი იყოო. იგი მხოლოდ ფაქტებს ადგენდა და მის სისტემატიზაციას ახდენდაო.

ეს იყო და ეს.

მეტი არაფერიო.

იმ დროს, რაც არამარქსისტული იყო, ყველაფერი იგმობოდა. ამ გარემოებით უნდა აიხსნას ამ მოკლე ამონარიდში ამდენ ბრალდებათა და ცილისწამებათა კორიანტელი, თორემ მისი დამწერი პროფესიონალი და ძალზე კვალიფიციური ისტორიკოსი ბრძანდებოდა. იგიც და მასთან მოღვაწე სხვებიც იძულებული იყვნენ ასე ეწერათ. მოვიყვან კიდევ ერთ ამონარიდს:

„...მართალია, ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა და წინ მიდიოდა, მაგრამ დიდ მეცნიერს, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა საბოლოოდ დაეღწია თავი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული შეხედულებების გავლენისაგან და დამდგარიყო თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე თეორიის — მარქსიზმის თვალსაზრისზე. ამის მიუხედავად ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ივ. ჯავახიშვილის როლი ქართული ისტორიოგრაფიისა და, საერთოდ, ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში. ეს როლი უდიდესია“.

დახეთ, რა ყოფილა?

ივანეს აღარ დასცალდა ხანგრძლივი ცხოვრება, თორემ იგი უეჭველად თავს დააღწევდა „ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული შეხედულებების“ გავლენას.

და იცით, მერე რა მოხდებოდა?

ივანე დადგებოდა *„თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე თეორიის — მარქსიზმის თვალსაზრისზე“*.

ამის პირობა ხომ მისივე შემოქმედება და მსოფლმხედველობა

იყო, რომელიც თურმე „*სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა და წინ მიდიოდა*“.

წინ, რა თქმა უნდა, მარქსიზმისაკენ!

წინსვლა აბა, სხვა მიმართულებით შესაძლებელია?!

აფსუს!

მართლაც სადაა ღვთის სამართალი!

მიუხედავად ამისა, მას მაინც იმდენი მოუხერხებია, რომ „*ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ივ. ჯავახიშვილის როლი ქართული ისტორიოგრაფიისა და, საერთოდ, ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში. ეს როლი უდიდესია*“.

აფსუსს!

უმარქსიზმოდ რა უღვაწია და, რომ დასცლოდა, მარქსიზმით შეიარაღებული რა იქნებოდა?!

დავარქვათ ყოველივე ამას დროის კლიშე და ამიტომ ნურავის დავამუნათებთ. თუ რამეს ვიტყვით, მხოლოდ შერყვნილის განსამართავად.

მართალია, საბჭოეთი კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა, მაგრამ მაშინდელი კლიშეები და სტერეოტიპები, სამწუხაროდ, დარჩა.

ივანეს არაერთი უმართებულო აზრი მოუსმენია მისი სამეცნიერო შრომების შესახებ და მისი სიკვდილის შემდეგაც არაერთ პიროვნებას გაუმეორებია იგივე. ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებასთან მწყრალად მყოფნი, სხვების წამხედურობით ზეპირ საუბრებში დღესაც რომ იმავეს იმეორებენ, ეს მათი მორალური და პროფესიული პრობლემაა და არა მგონია, ამ ნარკვევმა აზრი შეუცვალოს.

მეცნიერის ვაჟიშვილი, ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი, იგონებდა: თურმე ივანეს ხშირად სტუმრობდა მისი ერთ-ერთი მეგობარი ნიკო თავდგირიძე. იგი კი ხმაურიანი, ექსპრესიული კაცი ყოფილა, რომელიც „*შემოსვლისთანავე ხმამაღლა დაიძახებდა ხოლმე: „მიდიან, ბატონო, მიდიან; ცოტაც და უთუოდ წავლენ“... რაღა თქმა უნდა, ბოლშევიკებს გულისხმობდა. ამას ყველგან გაიძახოდა და ამიტომაც წამდაუწუმ დაიჭერდნენ — გამოუშვებდნენ, დაიჭერდნენ — გამოუშვებდნენ. მამა გულიანად იცინოდა ხოლმე მის ბავშურ გულუბრყვილოებაზე..*“.

ბევრი უთქმელი თუ დაუწერელი რამ უნდა დავინახოთ ამ „გულიან სიცილს“ მიღმა.

და სანამ ბოლო წერტილს დავსვამდე, ერთი წიაღსვლა უნდა შემოგთავაზოთ:

ივანე ჯავახიშვილის არცთუ ისე შორეული წინაპარი ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსში „ჩემი ლოცვა“ ამბობდა:

„გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახი მე,
და – ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთ შენდა სათქმელად?
მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად!“

დასანანია, რომ მიზეზთა გამო ივანემ ვერ შეძლო ყველა განზრახული ნაშრომის დაწერა. ვერც თავისი შეხედულებები გაგვიმჟღავნა ადრინდელივით პუბლიცისტური წერილების სახით. არც მის არქივს შემორჩენია ჩანაწერები, რომლებიც ქვეყანაში დატრიალებული თუ თავს დატეხილი უამრავი ფათერაკის მისეულ აღქმას გვამცნობდა.

მიუხედავად ამისა, ეჭვი არაა, რომ მას არასდროს შეუწყვეტია ფიქრი და ზრუნვა თავის სამშობლოსა და ერზე.

თუ წარმოვიდგენთ მეგობრის გულუბრყვილოებაზე გაცინებულ ივანეს, ბარათაშვილისეული სიტყვები აუცილებლად მისად მოგვეჩვენება:

„მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად!“

მისი საქმეებით, გაცხადებული პოზიციით თუ სტრიქონებს შორის ნაგულისხმები აზრით ჩვენს წინაშე დიდი პიროვნება წარმოდგება.

და თუ მისი ცხოვრების პერიოდის დრამატულობასაც გავითვალისწინებთ, მისი დუმილი ხმამაღალ ექოდ იქცევა.

„მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად!“

ჰქონდა ამის თქმის უფლება დიდ ივანეს!

ჩვენ კი...

ჩვენ ამ ექოს გაგება მაინც გვმართებს.

ეგ მაინც...

„კარგი ვარ, იმას ნუ იტყვი..“

ძველი ბერძნები სილამაზის მოტრფიალენი და უზადო დამფასებლები იყვნენ. ასე ამბობდნენ: *„მშვენიერ სხეულში მშვენიერი სული ბინადრობსო“*.

ნეტამც რომ ყოველთვის ასე იყოს!

რამდენი უსუნო ყვავილია ბუნებაში?! ლამაზია, მშვენიერი, მომხიბლავი, თვალწარმტაცი, მაგრამ საკმარისია მიუახლოვდე, დაყნოსო და იმედი გაგიცრუვდეს — სურნელი ვერ იგრძნო.

მყრალი ყვავილიც არსებობს. შორიდან შეხედავ და მიგიზიდავს, მიეახლები და მისი სიმყრალე სახეს დაგიმანჭავს და ცუდ გუნებაზე დაგაყენებს.

„უსულგულო“.

ქართულ ენაში ასეთი სიტყვაც ხომ არსებობს?

იგი უსუნო და მყრალი ყვავილის ტოლფარდი სიტყვაა, ოღონდ ახლა ადამიანზე მისადაგებული.

მხოლოდ ერთი განსხვავებაა: უსულგულო ადამიანი ლამაზიც შეიძლება იყოს და ულამაზოც.

რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილს, აქ ორივე ეს ფაქტორი ემთხვევა ერთმანეთს. ივანეს „სულიერ პორტრეტს შეესაბამებოდა გარეგნობაც“-ო ამბობს მისი შვილი ლალი ჯავახიშვილი.

ალბათ, ძველი ბერძნები ივანეს მსგავს ადამიანს წარმოიდგენდნენ, როცა თავიანთ იდეალს აყალიბებდნენ.

თუმცა, შეიძლება ვინმეს გაეღიმოს, ყოველივე გადაჭარბებად და ქართულ გულუხვობად მოეჩვენოს.

საფუძველიც ექნება: ივანე ხომ არ იყო ბრგე და ახოვანი, თანაც სენიც უწყალებდა გულს.

მაგრამ მაინც, იგი სულით ძლიერი პიროვნება იყო, სხვაგვარად ვერ გააკეთებდა იმას, რაც შეძლო.

გრიგოლ რობაქიძემ შემაჩნია ეს გარემოება კარგად:

„სწორი, კეთილმოყვანილი სახე, მყუდრო ძლიერების მეტყველი. უბადო შუბლი, გონიერების ნათელ სათავსად ნაკვეთი. გამოხედვა ღრმა: თითქო ჰინდური, რომელიც პირველივე ღიმილით ქართულ ხალას ხიბლად იფრქვევა. დინჯი, აუჩქარებელი — რადგან პასუხსაგებ საქმით დატვირთული. მორიდებული უფრო,

ვიდრე უკარებელი. შინაგან შეკვრივული და არა გულჩათხრობილი — უდრეკი, ურყევი — რათგან მტკიცე და მყარი. მაგარი როგორც კუნძი და უღრუო ვითარ ძელქვის ნამორი. თითქმის „ჯიუტი“: არ დამთმობი ერთხელ აღებული გეზისა“.

გავჩხრიკოთ ღველფი და ვნახოთ, იქიდან რა გამოანათებს.

ივანეს შემორჩენილ პორტრეტებს რომ ათვალიერებ, ყველგან მშვენიერი გარეგნობის და სიკეთით დამთბარი სახე შემოგანათებს.

ერთ წერილში მეუღლეს უამბობს გავსუქდიო. ერთ კოლექტიურ ფოტოზე მართლაც საკმაოდ მომატებულად და ნაპატიებად გამოიყურება. საერთოდ კი მსუქანი არასდროს ყოფილა.

შვილის, ლალი ჯავახიშვილის თქმით, ივანე „... *საშუალო ტანის, ხმელი კაცი იყო, ჭაღარა, ჰქონდა ძალიან სხივოსანი, ნათელი, ღია ნაცრისფერი თვალები*“ და „*ძალიან ხშირი, წინ წამოწეული წარბები*“.

სუსტი აგებულების ივანეს ხიფათიც ზედ დაერთო. მას ერთ საფუნთუშეში ნამცხვარი უყიდია, რომლითაც მოიწამლა და შემდეგ მთელი ცხოვრება კუჭ-ნაწლავის ტკივილები აწუხებდა და სტანჯავდა. ამის გამო „*იცავდა უსასტიკეს დიეტას, გამუდმებით შიმშილობდა — უშაქრო ჩაი, გაწურული მაწონი, გამხმარი პური, უცხიმო წიწიბურას ან კარტოფილის ფაფა შეადგენდა ივანე ჯავახიშვილის ძირითად საკვებს...* — იხსენებდა ლალი ჯავახიშვილი, — *ზოგჯერ ისეთი ტკივილები ჰქონდა, იკრუნჩხებოდა შეტევისაგან. არ მახსოვს, ოცდაშვიდ წელს მოხდა თუ ოცდარვაში, ისეთი შეტევა დაეწყო, საკაცეზე დააწვინეს და სანიტარული ვაგონით წამოიყვანეს ბორჯომიდან — უკანასკნელ ღღეში იყო... ამდენი შიმშილობისაგან ორგანიზმი სრულიად გამოიფიტა*“.

მის კვების რაციონზე უფრო დეტალურად ნათელა ჯავახიშვილი გვიამბობს: „*ბოლო 15 წლის (თუ არა მეტი) განმავლობაში მამას დღიური ულუფა იყო ნახევარი ფრანგული ფუნთუშის ორცხობილა (იშვიათ შემთხვევაში არა გამხმარიც), 2 ნატეხი რაფინადი შაქარი, 2 ჭიქა ცხელი წყალი, საუზმედ წიწიბურას ფაფა ან ბრინჯის ფლავი, სადილად ორთქლზე მოხარშული დაკეპილი ხორცის გუფთები ან ცოცხალი თევზი რაიმე „გარნირით“. არავითარი რძის ნაწარმი, არც რძე, იშვიათად ახალ ყველს თუ ღებულობდა. ხილი წლების მანძილზე არ უჭამია. მოკლე დრო-*

ის მანძილზე ექიმ კონიაშვილისა და მახვილაძის დანიშნულებით მსხალსა და ცოტაოდენ წიწმატს ჭამდა“.

წიწმატი ცალკე თემაა. იგი ხომ სეზონური ბოსტნეულია? ამიტომ იგი საგანგებოდ შინ მოჰყავდათ. საიმისოდ ანასტასიამ — ივანეს მეუღლემ — *„გააკეთა ხის ყუთი, ჩაყარა შიგ მიწა, დათესა წიწმატი და რომ ამოიწვერებოდა, სრულიად ქორფას კრეფდა და აჭმევდა“.*

ივანეც არ ეკარებოდა არაფერს, რომელსაც შეეძლო მისი ჯანმრთელობისთვის ვნება მოეტანა. მას კი თურმე *„ახალგაზრდობაში ძალიან ყვარებია ცხარე საჭმლები. გასაოცარ ნებისყოფას იჩენდა — ზოგჯერ თუ რაიმე გემრიელ საჭმელს ნახავდა სუფრაზე, უსუნებდა და იტყოდა ხოლმე — ოდესღაც ძალიან მიყვარდაო, მაგრამ არც ერთხელ არ წაუცდებოდა ხელი“.*

ექიმი კონიაშვილი ძალიან ზრუნავდა ივანეს ჯანმრთელობაზე. როგორც ლალი ჯავახიშვილი გადმოგვცემს, მან *„აიძულა მამა უფრო ყუათიანი საკვები მიეღო, კერძოდ შავი ღვინო, ტვინის კატლეტი და ქორფა მწვანილი“.*

მწვანილი შინ მოჰყავდათ, მაგრამ ღვინისა და ტვინის მიღება არ გამოდგა იოლი. საქმე ისაა, რომ ივანე არც თამბაქოს ეწეოდა და არც ღვინოს ეტანებოდა. ამიტომაც ანასტასია *„პატარა ბავშვივით კოვზით ძლივს ასმევდა“.*

ლალი ჯავახიშვილი იგონებს: *„ცოტა დაუჯერებელიც არის, დედულეთითაც და მამულეთითაც ღვინის ქვევნიდან იყო, მაგრამ, ვეჭვობ, რომ მამას როდისმე დაელიოს ღვინო... მახსოვს, როდესაც ექიმმა კონიაშვილმა მუდმივი დიეტისაგან მეტისმეტიად დასუსტებულს ყუათის მისაცემად მცირე დოზით შავი ღვინო დაუნიშნა, ისეთი სახით სვამდა მას კოვზით — თითქოს ქინა დაელიოს“.*

ღვინოს ავადმყოფობის გამო მოჭარბებით ვერც დალევდა, მაგრამ ავადმყოფობამდეც საერთოდ არა სვამდა. ამის მიზეზი სუბიექტური იყო: მას სწამდა, რომ ღვინო ინტელექტის განვითარებას აბრკოლებდა. ლალი ჯავახიშვილი გვამცნობს ამ ფაქტს: *„მამა ამბობდა, ვისაც მეცნიერული მუშაობა უნდა, მან წვეთი არ უნდა დალიოსო... ეს წესი თვითონ ბოლომდე დაიცვა“.*

რაც შეეხება ტვინს, მასთან მეტად სასაცილო შემთხვევაა დაკავშირებული, რომელსაც ლალი ჯავახიშვილი ასე გადმოსცემს:

„ტვინის შოვნაც ჭირდა. დედაჩემს იგი ხორცით მოივაჭრე ერთი კერძო დუქნიდან მოჰქონდა. ყასაბი ბუზღუნებდა თურმე — ვა, ყოველდღე ტვინი, ტვინი... ვინა გყავთ ქალბატონო, ეგეთი უტვინო სახლშიო“.

„ეგეთი უტვინოო“, ხუმრობდა ყასაბი, მაგრამ გაკვირვების გამო — ალბათ, სხვა ასე ხშირად ტვინის საყიდლად არ აკითხავდა.

„ეგეთი უტვინო“ ივანე კი საოცრად მზრუნველი და მოსიყვარულე მამა იყო. ნათელა ჯავახიშვილის აზრით, *„იგი უაღრესად ადამიანური მამა იყო. მამა, რომელსაც დედასთან ერთად ღამეები უტეხია ბავშვის საწოლთან, მამა, რომელსაც შესანიშნავად შეეძლო ბავშვის გაბანება, დაძინება. მამა, რომელსაც დიდი დატვირთვის მიუხედავად, ერთი წუთით არ მოუკლია ზრუნვა, სითბო, სიტკბო და დიდი გული“.*

მოსიყვარულე ცოლ-ქმარს ჯერ ქალიშვილი შეეძინათ. მას ნათელა დაარქვეს. სამივენი პეტერბურგში ცხოვრობდნენ. ეს დღეები ნათელას მეხსიერებაში შემდეგნაირად შემონახულა: *„სადილის შემდეგ, სხედან დედა და მამა, მე მამის კალთაში ვზივარ, უფრო — მუხლებზე და მამა მახტუნავებს... „აჩუ, აჩუ ცხენო“. ... ჩემს აღტაცებას საზღვარი არა აქვს, მაგრამ ვატყობ, იღლება, სახე შეუწითლდა. ამის ძალიან მეშინია და ვაჩერებ. ვიცი, რაც მოსდევს ამას: მამა ტკბილად მეტყვის: აბა, ჩემი ყელი მომე, ყელი, — კისერს გადავუწევ და მამა ყელში მკოცნის, ულვაშები მიღუტუნებს, მე ვკისკისებ... მერე მამა მიამბობს მშვენიერ ზღაპრებს ამირანზე და კამარ ქეთუზე“.*

როცა ივანე პეტერბურგში იმყოფება და ცოლ-შვილი საქართველოში რჩება, მარტომყოფი ივანე შორიდან ეფერება საყვარელ გოგონას: *„ჩემს პატარა მზეთუნახავსაც მშვენიერ ტუჩებს დავუკოცნი. ძალიან მესიამოვნა, რომ ხშირად მიგონებს ჩემი ცუგრუმელა“.*

გადის დრო და ახლა ვაჟი შეეძინათ, რომელსაც კახა დაარქვეს. ივანე ახლა მის სიყვარულს მეორე შვილსაც უნაწილებს. *„კახუნა და ნათელა ტკბილად დამიკოცნე, ჩვენი მშვენიერი ბარტყები!... კახას და ნათელას აკოცე. ჩემ პატარა ნებიერ მზეთუნახავს მშვენიერ ტუჩებს დავუკოცნი. ხომ ვახსოვარ და ხშირად მიგონებს ხოლმე. ეხლა რაკი მანდ დათბა, მე მგონია*

შეიძლება თმა გაჰკრიჭო კიდეც. შენ რას იტყვი?“— ურჩევს და თან ეკითხება ივანე მეუღლეს.

მონატრება იქით იყოს, მცირე წვრილმანიც კი აფიქრებს ივანეს თავის შვილების. უკვე დათბა და აწი არ გაცივდება ბავშვი და თმის გაკრეჭვაც კი შეიძლებაო.

„რა კარგი იქნება ჩვენი ჩიტუნია, კახუნა, მისი ტიტინი და ალერსი. ნეტავი სიცივემ გაიაროს, რომ გარედ იყოს ხოლმე მთელ დღეს სუფთა ჰაერზე. რა ზიზია უნდა რომ მოვუტანო, რა უფრო უყვარს? ... დამიკოცნე ჩემო სტაზიკუნა ორივე ჩვენი საყვარელი ბარტყები“.

უნივერსიტეტის გახსნამდე ივანესა და სტაზიას მესამე შვილი შეეძინათ. ისიც ვაჟი – ალექსანდრე, რომელსაც მოფერებით ლალი დაერქმევა და ასე შერჩება სიცოცხლის ბოლომდე — ასე გაიცნობს მთელი საზოგადოება. მის მეხსიერებაში თავისი ბავშვობა და მამის ალერსი შემდეგნაირად შემორჩა:

„მამა იყო უაღრესად თბილი და ყურადღებიანი... დედაჩემისა და შინაურების მიმართ ხომ სრულიად განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა. სხვის აზრს, თუნდაც ჩვენსას, პატარობისას, მუდამ ანგარიშს უწევდა: ალერსიანიც იყო, მოფერებაც იცოდა, ოღონდ — რაღაცნაირად თავშეკავებულად, რაღაცნაირი ღირსებით... პატარობისას ძალიან მიყვარდა მის მუხლებზე შემოჯდომა და „აჩუ-აჩუ, ცხენოს“ თამაში. იშვიათად, მაგრამ ისიც მომხდარა, რომ გაგვწყრომია ჩვენს რაიმე უსაქციელობაზე, ოღონდ არასოდეს ჩვენი დასჯა სიტყვიერი დატუქსვის ფარგლებს არ გასცდენია — არავითარი აკრძალვა, არავითარი კუთხეში დაყენება, ჩვენი ბავშვური თავმოყვარეობის არავითარი შელახვა..“.

ნათელა ვაჟებზე — კახასა და ლალიზე გაცილებით უფროსი იყო და ფაქტობრივად ისიც მათ აღმზრდელებში ითვლებოდა. აღმზრდელები კი ბავშვებს ბლომად ჰყავდა. ისინი კი ხომ ერთ დიდ სახლში ცხოვრობდნენ, სადაც სხვა ნათესავებიც იყვნენ შეკრებილნი.

საკუთარი სახლი ივანე ჯავახიშვილს არა ჰქონია, თუ არ ჩავთვლით სოფელ ხოვლეში მამა-პაპისეულ ოთხოთახიან ქვითკირის ნაგებობას. ივანეს ოჯახი პეტერბურგშიაც და თბილისშიაც ქირით ცხოვრობდა, სანამ ისინი ანასტასიას მამიდის მარიამ ჯამ-

ბაკურ-ორბელიანის სახლში არ გადმოსახლდნენ. ეს მოხდა 1921 წელს, როცა ჯერ კიდევ კოჯორთან ომი მძვინვარებდა. *„ბუნდოვნად მახსოვს, — იგონებს ლალი ჯავახიშვილი, — კახა და მე გვერდიგვერდ ვსხედვართ შეკრულ ბარგზე ბნელ, გაყინულ ოთახში, კახა ხმამაღლა იმეორებს: „მაკანკალებს... მაკანკალებს“... მამამ საიდღანაც საბანი ამოიღო და მოგვახურა“.*

მარიამის სახლი ნოეს კიდობანს ჰგავდა, რადგანაც აქ შეიკრიბა მთელი ნათესაობა: ორბელიანები, აბაშიძეები, რჩეულიშვილები, ჯავახიშვილები... სახლის მფლობელი, ქალბატონი მარიამი ქვრივი იყო და თანაც შვილები არ ჰყავდა. მისი საზრუნავი ძმისშვილები და ახლობლები გამხდარიყო. ანასტასია, ივანეს მეუღლე და თეკლე, კიტა აბაშიძის მეუღლე, მარიამის ძმისშვილები იყვნენ. მარიამი განათლებული ქალბატონი გახლდათ, ფრანგულად იყო აღზრდილი და თარგმნიდა კიდევაც როგორც ფრანგულიდან ქართულად, ისე პირიქითაც. მან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს სხვადასხვა საზოგადოებრივი დაწესებულების საქმიანობაში და ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანიცაა. მას ეკუთვნოდა ციხე-სასახლე ლამისყანაში, რომელიც საბჭოთა წლებში ჩამოართვეს, ნივთები კი დაიტაცეს. მან ატენის სიონი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შესწირა, ხოლო ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტში გარდაცვლილი სიძის, ცნობილი ლიტერატორისა და საზოგადო მოღვაწის კიტა აბაშიძის სახელობის სტიპენდია დააარსა და სალაროში 4 ათასი მანეთი შეიტანა.

მარიამის სახლში სიმყუდროვე ნამდვილად ვერ იქნებოდა. როგორც ლალი ჯავახიშვილი აღწერს, აქ *„ცხოვრობდნენ არა მარტო მისი (მარიამის, დ.ს.) ძმისშვილები თავთავიანთი ოჯახებით, არამედ ჩასიძებულთა სანათესავოც... ბევრს ჰგონია, [ივანე] ჯავახიშვილს, ამდენი ტომების ავტორს, ალბათ ჩამყუდროებული მუშაობის პირობები და გარემო ექნებოდაო... პაპიდასთან ცხოვრობდნენ ჩემი ორივე ბებია — „ბაბო სონა“, მამას დედა, სოფია ათანასეს ასული ვახვახიშვილის ქალი, და „ბაბო ნინო“, დედას დედა, თუმანიშვილის ქალი: დეიდები – თეკლე, კიტა აბაშიძის ქვრივი, და თამარი (შინაურობაში — ატა), გაუთხოვარი; კიტას შვილები: გია (დაიღუპა 1924 წელს), თამრიკო, ვატო,*

ერეკლე; ნათელა, ჩემი და, და მისი მეგობარი და თანაკლასელი ელენე მარდიშვილი, რომელიც წლობით ცხოვრობდა ჩვენთან და მთელ ჩვენს ოჯახს შვილივით შეეთვისა. გარდა ამისა, „ბაბო სონას“ გარდაცვალების შემდეგ ჩვენთან გადმოვიდა საცხოვრებლად მამაჩემის ძმა გიორგი, დაქვრივებული მამიდაჩემი კატო, მერე მეორე მამიდაც — საშიკო... [გურამ რჩეულიშვილის ბებია]. რჩეულიშვილებმა პირველი სართული დაიკავეს..“. მეორე სართულზე კი ერთ მხარეს აბაშიძეები დაბინავდნენ და მეორე მხარეს ჯავახიშვილები.

ასეთ პირობებში კაბინეტური მუშაობის შესაძლებლობა ნამდვილად არ იყო. ამიტომ *„მისი სამუშაო მაგიდა და წიგნების კარადები ერთხანს იდგა დიდ ოთახში, ე.წ. „ზალაში“, რომლის ერთი ნახევარი აბაშიძეებს ეკუთვნოდა, მეორე კი — ჯავახიშვილებს,* — იგონებს ლალი ჯავახიშვილი, — *ეს ოთახი წიგნების გრძელი კარადითა და ხის მაღალი შირმით იყო გადატიხრული ისე, რომ მათ შორის გასავლელი იყო დატოვებული. მამის სამუშაო მაგიდის უკან, მაგიდასა და შირმას შორის, იდგა ტახტი, რომელზედაც მე ვიძინებდი, საღამოობით აქ იყრიდნენ თავს უფროსები — იმართებოდა საერთო წყნარი საუბარი. მახსოვს სტუმრებიც ჩაიზე“.*

ცხადია, ამ „კაბინეტში“ მუშაობა არცთუ კომფორტული იყო. მაგრამ ივანე თურმე სიმშვიდეს ყოველთვის ინარჩუნებდა და უდრტვინელად მუშაობდა. საინტერესო სურათს გადმოსცემს ნათელა ჯავახიშვილი: *„შუა მუშაობაში იყო ხოლმე მამა, გაიღებოდა კარი, პაპიდაჩემი გამოიხედავდა თავისი ოთახიდან და იკითხავდა: „ვანოჯან, რომელი საათია?“ მამაჩემი იმავ წუთს ფეხზე წამოიჭრებოდა, თუ დილა იყო, ხელზე ეამბორებოდა და ისე მოახსენებდა პასუხს. თუ ეს დღის განმავლობაში ხდებოდა (და ეს ხდებოდა არაერთხელ), მამა ყოველთვის წამოდგებოდა და ისე უპასუხებდა“.*

ხანდახან *„საღამოობით ჩვენს დიდ „ზალაში“ თავს იყრიდნენ უფროსები: ბებიები ლოტოს ან ქაღალდის თამაშით იქცევდნენ თავს... მამა ამაში მონაწილეობას არ იღებდა. მხოლოდ უცქეროდა და ხანდახან რჩევასაც აძლევდა „ბაბო სონას“, ესა და ეს კარტი ჩადიო... [თამაშობდნენ] ყოვლად უწყინარ „კონჩინას“. ვეჭვობ, რომ მამას საერთოდ სცოდნოდეს აზარტული თამაშები“.*

ივანე ზედმიწევნით აკურატული იყო. ეს ეხებოდა მისი მუშაობის სტილსაც და ყოველდღიურ ქცევასაც. თურმე წარმოუდგენელი იყო, რომ მას საყელოგახსნილი პერანგით ევლო, თუნდაც პაპანაქება სიცხე ყოფილიყო. შინაც ასე ეცვა თურმე.

წესრიგის მოყვარულ ივანეს ყურადღების მიღმა მცირედიც არ რჩებოდა. „*დიდად გვტუქსავდა მამა,* — იგონებს ნათელა ჯავახიშვილი, — *თუ ფეხს ფეხზე შემოვიდებდით და ყოველთვის დასძენდა, რომ ეს ყველაზე დიდ სიბრიყვედ ითვლებოდაო საქართველოში*“.

ივანეს მკაცრად ჩამოყალიბებული დღის რეჟიმი ჰქონდა, რომელსაც იგი განუხრელად იცავდა.

ივანე „*თურმე დგებოდა დილას ადრე — ზაფხულობით შვიდ, ზამთარში — რვა საათზე;* — გადმოგვცემს ლალი ჯავახიშვილი, — *ტუალეტსა და საუზმეს ანდომებდა ერთ საათამდე; — ყოველდღე აუცილებლად იპარსავდა პირს „ჟილეტის“ საპარსით, სამართებელს არ ხმარობდა. დანები ძნელად იშოვებოდა, ბლაგვი იყო და ხშირად უჭრიდა კანს — ნაზი კანი ჰქონდა; ჭრილობას შაბით იშუშებდა. ეს პარსვის პროცესი მთელ რიგ სირთულებთან იყო დაკავშირებული, განსაკუთრებით, ზამთრობით: წყალი გასაცხელებელია, დედა უმზადებს ნავთქურას, ნავთქურა ბოლავს, ნავთის სუნზე მამას ალერგია აქვს, თანაც ჩქარობს, ეუხერხულება საბაზანოში დაყოვნება, იცის, რომ პაპიდას ერიდება მისი, არადა, პაპიდა რომ საბაზანოში შევიდეს, ჩვენს საერთო ოთახზე უნდა გამოიაროს... ამიტომ სწრაფად, სწრაფად... პარსვის დროს სიჩქარეს კი, მოგეხსენებათ, რაც მოჰყვება ხოლმე... ტუალეტის შემდეგ აუცილებლად იცვამდა საშინაო პიჯაკს, ზაფხულობით — თეთრ პიკესას, ზამთარში, დიდი სიცივის დროს, თბილი სვიტრიც სცმია*“.

ივანე, უკვე დილის პროცედურა მოთავებული, იწყებდა მუშაობას — ზაფხულში რვა, ზამთარში კი ცხრა საათზე. იგი მიუჯდებოდა „კაბინეტში“ დიდ მაგიდას, გადაშლიდა წიგნებს და იწყებდა წერას. ასე გრძელდებოდა 11 საათამდე. ამის შემდეგ მიდიოდა იგი მუზეუმში. ხოლო უნივერსიტეტის რექტორობისას კი მას უფრო ადრე უწევდა სამსახურში წასვლა. მუზეუმში ივანე 3 საათამდე რჩებოდა, სადაც იღებდა უამრავ ადამიანს, რომელთაც კონსულტაციას უწევდა. აქვე ატარებდა იგი სემინარებს ასპირანტებთან.

მუზეუმიდან შინ ტრამვაით ბრუნდებოდა, იცვლიდა ტანსაცმელს, სადილობდა, ისვენებდა დაახლოებით ნახევარ საათს და ოთხზე-ხუთის ნახევარზე კვლავ მიუჯდებოდა სამუშაოს...

მუშაობისას თურმე დროდადრო დგებოდა, ზურგზე ხელებდაწყობილი იწყებდა ბოლთის ცემას ხან ოთახში, ხან კი აივანზე. ეტყობა, ამ დროს ფიქრობდა, აანალიზებდა წაკითხულს და თან ისვენებდა.

დასვენების დროს გაზეთების თვალიერებაც ჰყვარებია.

მაგიდასთან უმთავრესად ხმელ სკამზე იჯდა გამართულად. ჯდომისას წელში ან მხრებში არასდროს იხრებოდა.

წერისგან ხელები რომ დაეღლებოდა, თურმე ხშირად იფშვნეტდა.

საღამოს ცხრა საათზე მსუბუქად ვახშმობდა. მიირთმევდა ჭიქა უშაქრო ჩაის, ორიოდე „სუხარს“, რომელსაც მეუღლე თეთრი პურისაგან უხმობდა. გაჭირვების წლები იყო და თეთრი პური ძნელი საშოვნელი იყო, ამიტომ ყოველთვის აპროტესტებდა: *„თეთრი პური არც ბავშვებს აწყენდაო“*.

ნავახშმევს ისევ აგრძელებდა მუშაობას, რომელიც ღამის 11 საათამდე გრძელდებოდა. ასეთი იყო მისი ყოველდღიურობა. ბავშვებიც ამ რეჟიმის გათვალისწინებით იზრდებოდნენ. როგორც ლალი ჯავახიშვილი იგონებს, მარიამის სახლში მცხოვრებნი *„საკმაოდ კარჩაკეტილ ცხოვრებას“* ეწეოდნენ. *„ჩვენს სახლს პატარა, თავის დროზე მშვენიერი, მიხეილ მამულაშვილის გაშენებული, ბაღი და მოზრდილი ეზო ჰქონდა; მისი რკინის ჭიშკარი ჩაკეტილი იყო — მე და კახა ამ დახშულ სამყაროში ვიყავით მოქცეული“*.

უცნობია, რა მოსაზრებით, მაგრამ ივანეს თავისი შვილები დაწყებით კლასში არ მიუბარებია. ისინი სკოლაში საკმაოდ გვიან წაიყვანეს. *„სკოლაში კახაც და მეც საკმაოდ გვიან, 12 წლისანი მიგვაბარეს,* — იგონებს ლალი ჯავახიშვილი, — *მანამდე შინაურულ განათლებას ვიღებდით... [მეექვსე კლასში ჩამრიცხეს] ეს იმის წყალობით მოხდა, რომ ორივე მხარე — „შინაური მასწავლებლებიც“ და „შინაური მოსწავლეებიც“ — უაღრესად სერიოზულად ეკიდებოდა თავის მოვალეობას. ჰუმანიტარულ საგნებს მე კახას პაპიდაჩემი მარიამი ანუ „ნათლიკო“ და უფროსი დეი-*

დაშვილი თამარ აბაშიძე გვასწავლიდნენ; არიტმეტიკას, ფიზიკასა და ბუნებისმეტყველებას — დეიდაჩემი თამარი (ატა). პაპიდაჩემი ფრანგულად გვასწავლიდა თვით ფრანგულ ენასა და ლიტერატურას, ევროპის ქვეყნების — განსაკუთრებით, საფრანგეთის — ისტორიას... ფრანგულს იმ სახლში თითქმის ყველა ლაპარაკობდა, ამიტომ ჩვენც ისე შევითვისეთ სალაპარაკოდ, როგორც დედაენა, თუმცა მართლწერაში მუდამ მოვიკოჭლებდი... „ნათლიკო“ გვასწავლიდა აგრეთვე საღვთო სჯულსაც, ქართულ ენასა და ლიტერატურას. აგრეთვე საქართველოს ისტორიას თამრიკო — ჩემი დეიდაშვილი — მასწავლიდა, მთელი სერიოზულობით გაკვეთილები, ცხრილის მიხედვით, გვქონდა ყოველდღე, გარკვეულ საათებში, დასვენებითურთ, საშინაო დავალებებითა და ასე შემდეგ.

მამაჩემი ამ საქმეებში, გარეგნულად მაინც, არ ერეოდა. პატარაობისას კი ხშირად გვიამბობდა ზღაპრებს, თანაც ისე შთამბეჭდავად, რომ, როცა წამოვიზარდე, წერა-კითხვა ვისწავლე და ქართული ხალხური ზღაპრების რაზიკაშვილისეული კრებული წავიკითხე, თითქმის ყველა მეცნო... მეცნო კი არა, ლამის ყველა ზეპირად ვიცოდი... მერე და მერე მამამ ქართულ ხალხურ ზღაპრებთან ერთად საქართველოს ისტორიული თავგადასავლის მოყოლაც დაგვიწყო. თანდათან ეს „თამაში“ ერთგვარ „სახალხო უნივერსიტეტში“ გადაიზარდა: მამა მე და კახას „გვიკითხავდა ლექციებს“, შემდეგ ვითომ იბარებდა ჩვენგან გამოცდებს და ნიშანსაც გვიწერდა „მატრიკულებში“, რომლებიც საკუთარი ხელით დაგვიმზადა მუყაოსაგან. ცხადია, ფრიადები მივიღეთ, რაც 8-9 წლის ბიჭებს ძალიან გვეამაყებოდა... მშობლები ხშირად უკრძალავენ ხოლმე შვილებს ასაკისათვის შეუფერებელი ლიტერატურის კითხვას. მამაჩემი ნაკლებად ერეოდა ამ საქმეში: იშვიათად თუ გვირჩევდა ამა თუ იმ წიგნის წაკითხვას — უფრო სწორად, შეგვეკითხებოდა, ეს წიგნი წაკითხული თუ გაქვთო, მაგრამ არასოდეს დაუშლია რომელიმე წიგნის წაკითხვა...“

ივანეს ოჯახში ყველა ქართულად მეტყველებდა. ჯერ კიდევ პეტერბურგში, როცა იგი ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს ხელმძღვანელობდა და მასთან სტუდენტები იკრიბებოდნენ, თუ ვინმეს რუსულად რაიმე წამოსცდებოდა, პატარა ნათელა უმალ ჩაერეოდა და მოითხოვდა:

— „ქართულად, ბატონებო, ქართულად!“

ახლა კი, თბილისში, მით უმეტეს ქართული იყო უპირველესი ენა. ისე კი ამ დიდ ოჯახში უცხო ენაზე მოსაუბრეთა ხმაც არცთუ იშვიათად ისმოდა. ივანე *„ბავშვებს ყოველთვის ქართულად გველაპარაკებოდა... — ამბობს ლალი ჯავახიშვილი, — უფროსებს კი — იმისდა მიხედვით, ვის რა ენა უფრო ეხერხებოდა. ქართულად ელაპარაკებოდა დედასაც, ოღონდ, თუ რაიმე არასაჩვენო საკითხი ჰქონდათ გადასაწყვეტი, მაშინ გერმანულად საუბრობდნენ“*.

მარიამის დიდ სახლში თავშეფარებულნი ერთმანეთს ცხოვრების სიმძიმეს უმსუბუქებდნენ, მაგრამ ქვეყანაში არსებული ზოგადი სიდუხჭირე თავის კვალს აჩნევდა მათ ყოფას. არ იშოვებოდა სურსათი. ბინის გათბობა ძნელი იყო, რადგან არც ნავთი იყო საკმარისი და არც შეშა. ოჯახის მოვლის მთელი სიმძიმე ანასტასიას დასწოლოდა. იგი არა მარტო შვილებს ზრდიდა და მეუღლეზე განსაკუთრებულად ზრუნავდა, არამედ საკუთარ დებსაც უვლიდა. კიდევ უფრო დააწვა ჯაფა ანასტასიას, როცა 1924 წელს მისი დისშვილი გია აბაშიძე დახვრიტეს, გიას დედა და დეიდა ლოგინად ჩავარდნენ.

ლალი ჯავახიშვილის თქმით, ანასტასია *„გათენებიდან დაღამებამდე ჯარასავით ტრიალებდა; ხელები დახეთქილი ჰქონდა ცივ წყალში რეცხვისაგან. თანაც რაც ჩემი თავი მახსოვს, ნეპისა და ამერიკული ბაზრის მოსპობის შემდეგ, გამუდმებული გაჭირვება იყო პურისა, შაქრისა, მარილისა, მაკარონისა, ასანთისა, ნავთისა... ჩასაცმელ-დასახურავზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. უბოლოო რიგებში დგომა მალე ჩვენც — ბავშვებსაც — მოგვიწია. დედასაც და სხვა უფროსების პალტოები ხომ აჭრელებული იყო ცარცით დაწერილი ნომრებით (რიგებში აწერდნენ ხოლმე)“*.

როგორ არ ჰგავდა ეს წლები პეტერბურგში გატარებულ დროს? არც იქ იყვნენ დალხინებულნი, მაგრამ ამჟამინდელთან შედარებით, ყველაფერი ბედნიერი გასახსენებელი იყო. იქ ხომ ამ სიდუხჭირეს არ განიცდიდნენ და ეცალათ ახლობლებისათვის, მუზეუმებისათვის, კონცერტებისთვის...

მეცნიერის პირად არქივში დაცულია კონცერტის უამრავი პროგრამა. ისინი სწორედ პეტერბურგში მოსმენილი მუსიკის პროგრამებია.

„... მამას ჩინებული სმენა ჰქონდა... — მოგვითხრობს ლალი ჯავახიშვილი, — *ხანდახან, მუშაობით რომ დაიღლებოდა, მიუჯდებოდა როიალს, ცალი ხელით ყურს „მოუჩრდილავდა“ და ცალითაც მარტივ ხალხურ მელოდიას აწყობდა — „მზე შინა და მზე გარეთა“... „ორმოში ფეტვი ჩავყარე“ და სხვა ასეთები... მუსიკა ესმოდა პროფესიონალის დონეზე... პეტერბურგში მამას ჰქონია უნიკალური წიგნები მუსიკის ისტორიიდან, კომპოზიტორთა ბიოგრაფიები, მათზე გამოცემული მონოგრაფიები, პარტიტურები; იქ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი თურმე ხშირად დადიოდნენ კონცერტებზე, უპირატესად — სიმფონიურზე... მამა განსაკუთრებით გერმანული მუსიკის თაყვანისმცემელი იყო. თბილისში მუსიკას უკვე ამდენ დროს ვეღარ უთმობდა. დიდ სიამოვნებას ანიჭებდა, როცა ზაქარია ფალიაშვილი გვესტუმრებოდა. იგი ჩვენს პირდაპირ კათოლიკურ ეკლესიაში დადიოდა ხოლმე და იქ მესასაც ასრულებდა. ზოგჯერ წირვის დაწყებამდე მამასთან შემოივლიდა და თავის ახალ ნამუშევრებს ასმენინებდა. რახან მამას ყურთ აკლდა, ძალუმად სცემდა თითებს კლავიშებს — ერთხელ, მახსოვს, როიალს სამი სიმი დააწყვიტა..“.*

ახლა სხვა რაღა დარჩენოდათ, სამწუხაროდ, პეტერბურგისდროინდელი ყველაფერი საოცნებო გამხდარიყო.

„ბუნდოვნად მახსოვს რამდენიმე საღამო, — იგონებს ლალი ჯავახიშვილი, — *როცა დედა ვიოლინოზე უკრავდა ნათელას და პაპიდაჩემის აკომპანიმენტით. მამაც იქვე იყო — ისმენდა, ჩვენც სულგანაბულები ვიყავით. ეს ცხადია გიას სიკვდილამდე იყო, შემდეგ შინაური ატმოსფერო უკიდურესად ჩამოიქუფრა. მატერიალური გაჭირვებაც საგრძნობი გახლდათ. პრობლემას წარმოადგენდა შეშის მომარაგება ზამთრისათვის — ამოდენა სახლი ბევრ შეშასა ნთქავდა და მას ყაირათიანად ხმარობდნენ — მთელ სახლში ორი-სამი ოთახი თუ თბებოდა და ყველანი იქ ვიყრიდით თავს. უმთავრესად ნავთის ქურაზე დადებული აგურით ვთბებოდით“.*

ერთია ის, რომ შეშისა და ნავთის შოვნა ხომ ძნელი იყო, მაგრამ მეორე ის, რომ ივანეს ნავთის სუნზე თავის ტკივილი ეწყებოდა. ამიტომ ცდილობდა სიცივე აეტანა ხოლმე. *„სიცივისაგან იფიჩხებოდა საწყალი. —* აგვიწერს ამ აუტანელ სურათს ლალი ჯავახიშვილი, — *დედა შეუმჩნევლად თივთიკის საბანს წამოასხამდა*

ხოლმე — ეს აწუხებდა, წერაში ხელს უშლიდა. სიცივისა და მუდმივი წერისაგან მამას თითების სახსრები უსივდებოდა, კალმის დაჭერა უჭირდა, დედამ მოიფიქრა — ძველ შალის ხელთათმანს თითები წააჭრა და წერის დროს იმას აცმევდა... მოკლედ გვიჭირდა, ძალიან გვიჭირდა. რადგან მამას ყურთ აკლდა, დედა ხმამაღლა ელაპარაკებოდა ხოლმე და ამიტომ უნებურად გავმხდარვარ იმის მოწმე თუ რა გაჭირვებით ანაწილებდნენ დედა და მამა ახალმოტანილ ხელფასს ისე, რომ როგორმე მიეღწიათ ხელფასის მეორე მიღებამდე. მამა წუხდა, რომ დედა უპალტოოდ იყო, რომ კბილებიც გაუფუჭდა, მკურნალობას კი ვერ ახერხებდა... ჩვენ, კახა და მე, მეორე ოთახში დასაძინებლად დაწოლილები, ვუსმენდით ხოლმე, როგორ არწმუნებდა მამა დედას, — ჰონორარი მაქვს ასაღები, გადადე ფული კბილების სამკურნალოდ, ნუ დადიხარ ასე, ცოტა საკუთარ თავსაც მიხედეო; დედა უმტკიცებდა, რომ ეს ფული ყველას ყველაფერზე ვერ გასწვდება — რა მემკურნალება, როცა ბავშვები უფეხსაცმლოდ არიანო. რაც „ამერიკული ბაზარი“ დაიხურა, ერთიმეორის გამონაცვალში ვიზრდებოდით. მამა უაღრესად სუფთა, ფაქიზი კაცი იყო, ტანსაცმელს მრავალი წელი ისე ატარებდა, გაცვეთისა თითქმის არაფერი ეტყობოდა. ზამთრის პალტო 25 წელი ატარა. ეს პალტო... შემდეგ, ნათელასაც ეცვა და ბოლოს — მე. ასევე, მამას ნაცრისფერი კოსტიუმი ჯერ კახამ ატარა და ბოლოს მე გამოუყვანე წირვა. სამემორიალოდ და სამუზეუმოდ თითქმის არაფერია შემორჩენილი მამის ჩასაცმელთაგან — ის უკიდურესი გაჭირვების წლები კახას და მე მამას გამონაცვალმა გადაგვატარებინა..“.

სახლის სახურავი შესაკეთებელი იყო. გამკეთებელი კი არავინ ჩანდა. სათანადო სამსახურები ყურს არ იბერტყავდნენ. ერთხელ კი, დასველებული ჭერის ბათქაში ჩამოიქცა ზუსტად იქ, სადაც ივანეს სამუშაო მაგიდა იდგა. *„სრულებით შემთხვევით გადავურჩი სიკვდილს: საქართველოს მუზეუმში ვიყავი იმ დროს და ამიტომ არ ვმუშაობდი, თორემ თავზე დამეცემოდა ჭერის მოლესილობის უზარმაზარი ჩამოვარდნილი ნაწილი და იქვე გამომასალმებდა წუთისოფელს,* — წერს ივანე ერთ კერძო წერილში, — *მომიხდა ამ ოთახიდან ყველაფრის გამოტანა საწოლ ოთახში. მთელი წიგნთსაცავი, მაგიდა და სხვა აქ მაქვს და ვეწვალე-*

ბი მას შემდგომ, რათგან „კაპიტალური რემონტი“ კუს ნაბიჯით მიმდინარეობს, სუყველაფერი ოხრდება და საბინაო ამხანაგობის უთავბოლო, უჭკუო „საქმიანობას“ დასასრული არ უჩანს. წარმოუდგენელია ის საშინელი მდგომარეობა, რომელშიაც ამის გამო ვიმყოფები. წიგნებისა და ჩემი ნაწერების პოვნა მიძნელდება, ისე მიყრია ერთმანეთზე ყველაფერი. ამავე დროს აუარებელი სასწრაფო სამუშაოა“.

ასეთ პირობებში მუშაობდა ივანე და ასეთ პირობებში შექმნა მან თავისი უმთავრესი შრომები. ეს შეძლო კი იმიტომ, რომ სწამდა, თუ შრომა გიყვარს, ნებისმიერ პირობებში უნდა იმუშაო.

„მე მინახავს ადამიანი, რომელიც მწოლიარე ავადმყოფი იყო და კალამი არ გაუგდია ხელიდან უკანასკნელ წუთამდე“, — იხსენებდა რომელიღაც მოღვაწის მაგალითს და თავადაც ასე იქცეოდა: იგი, ავადმყოფობის მიუხედავად, ძალიან ბევრს მუშაობდა, ლამის ქანცგაწყვეტამდე.

რა საოცარია, რომ ამ მძიმე ტვირთმა ვერ გატეხა იგი.

თუ კარგად გადავათვალიერებთ მის პირად წერილებს, დავინახავთ, როგორ შრომობდა და რა პირობებში უხდებოდა მუშაობა.

რუსეთში უკვე რევოლუცია მოხდა და მონარქია დაემხო. ქართველობას იმედი გაუჩნდა. ამ ვითარებას ვრცლად აღუწერს წერილში ივანე მეუღლეს: *„აქაც ყოველდღე ყრილობა და სხდომებია. ჩვენც, რასაკვირველია, კრებაზე კომიტეტი ამოვირჩიეთ რომელშიაც 7 კაცი შედის, მათ შორის მე (100 ხმით), ზურაბი [ავალიშვილი] (91 ხმით), [შალვა] ნუცუბიძე (97 ხმით), იოსებ ყიფშიძე (87 ხმით), ნ. გელოვანისა და სხვები შედიან. ძალიან ბევრი დრო მეკარგება ამ კრებებზე. მაგრამ ოღონდ რაიმე გამოვიდეს მეტი არაფერი მინდა. ზოგჯერ დღეში ორი სხდომა არის ხოლმე“*.

მომდევნო წერილში იუწყება, რომ პეტერბურგში *„...იმოდენა საქმეებია და კრებები, რომ დილის 10 საათზე გავდივარ ზოგჯერ და მხოლოდ ღამის 12 საათზე ვბრუნდები. ამიტომ ასე ცოტასა გწერ“*.

ერთ წერილში ამ მუშაობის მიზანსაც გვიმხელს: *„ჩვენ ლექციები არა გვაქვს, მაგრამ სამაგიეროდ იმოდენა საქმეა, რომ ადამიანს თავბრუ ესხმის; ზოგჯერ დღეში სამი კრება მაქვს ხოლმე. ... ხშირად იმართება აქ ქართველ სტუდენტთა და ქალებ-*

ის შეერთებული კრება, რომელზედაც საქართველოს პოლიტიკურ საკითხებზე და ავტონომიაზეა საუბარი და კამათი. ამ კრებებსაც მე ყოველთვის ვესწრები და მონაწილეობას ვიღებ. დადიან ჩვენი კომიტეტის სხვა წევრებიც და ზოგიერთი მათგანიც კამათობს. ყმაწვილები გვინდა გავწვრთნათ რომ შემდეგ განსწავლულნი და მოშზადებულნი საქართველოში ჩამოვიდნენ სამოქმედოდ“.

მომავლის იმედი აქვს ივანეს და ამიტომ ირჯება ასე. რევოლუციამ გააჩინა ეს იმედი. მაგრამ შემდეგაც, როცა ყველაფერი კრახით დასრულდა და საქართველოში ბოლშევიკები გაბატონდნენ, არც მერე შეუწყვეტია მუშაობა. იგი ისეთ საქმეს აკეთებდა, რომელიც ამინდსა და ვითარებაზე არ იყო დამოკიდებული. როგორც ნებისმიერ პირობებში უნდა გამოკვებოს დედამ შვილი, ისე ნებისმიერ მდგომარეობაში უნდა აკეთოს მეცნიერმა საზოგადო საქმე. სხვა მხრივ, ერი მალე გადაგვარდება და აღიგვება პირისაგან მიწისა.

„ავად ვიყავი და ორიოდე დღეა, რაც ავდექი, — წერს ერთერთ წერილში თბილისიდან ივანე ლენინგრადში მყოფ ვარლამ დონდუას, — *ეხლაც ძალიან სუსტად ვგრძნობ თავს და მუშაობა, წერაც მიძნელდება. როგორც მოსალოდნელიც იყო, ამ დაუსრულებელი მღელვარებისაგან (წლეულს სწორედ ათი წელიწადი შესრულდა, რაც რექტორობას თავი დავანებე და ეს დაუნდობელი ბრძოლა სწარმოებს) გულის ავადმყოფობის უძლიერესი შემოტევა მქონდა საშინელი თავბრუსხვევით და სისუსტით. ამჟამად კი გადავურჩი სიკვდილს, მაგრამ თუ კვლავ გამიმეორდა, საეჭვოა, რომ მისი ატანა შევძლო. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის იქნებ უცნაური იყოს კიდევაც წიგნების შეძენაზე ზრუნვა, მაგრამ მაინც კვლავ შეგაწუხეთ და ფული 1500 მან. გადმოგიგზავნეთ ტელეგრაფით“.*

მეცნიერს წიგნები სჭირდება. ისინი კი თბილისში არ იშოვება. ამიტომ მას ხშირად უწევს ვარლამ დონდუას შეწუხება. ეს წერილები კი ჩვენ იმ „სამზარეულოში“ გვახედებს, რომელშიაც ივანეს უხდებოდა მუშაობა. ახლა მეორე წერილი ვნახოთ, როცა ვითარება ცოტათი შეცვლილა:

„.. ჩემი მდგომარეობა და ჩემდამი დამოკიდებულება ძირიანად შეიცვალა, რაზედაც დაწვრილებით მოგახსენებთ, როცა ტფილისში გნახავთ. ამ ცვლილებასთან დაკავშირებით, შოთა რუსთავ-

ელის დღესასწაულისათვის მოსაწყობი გამოფენის ზოგად ხელმძღვანელობაზე დათანხმება მომიხდა. თუმცა ექიმები მუშაობას მიკრძალავენ და იმ ავადმყოფობის შემდგომ ჯერაც კარგად ვერ ვგრძნობ [თავს]... მართალია ბევრი რამე გამორკვეული და დაწერილი მაქვს, მაგრამ ბევრი რამ კიდევ გამოსარკვევია და ამისათვის წიგნები მჭირდება“.

ავადმყოფობის მიუხედავად ივანე მთელი ძალით ჩაეფლო საქმეში. *„მუზეუმის თანამშრომელთათვის საექსპოზიციო გეგმაზე მსჯელობის გამო, ღამის 2-3 საათზე ადრე დაწოლას ვერ ვახერხებ“*, — იწერება ერთ-ერთ წერილში.

„მე მინახავს ადამიანი, რომელიც მწოლიარე ავადმყოფი იყო და კალამი არ გაუგდია ხელიდან უკანასკნელ წუთამდე“.

ახსოვს ეს მაგალითი ივანეს. ახსოვს, მას იგი არასდროს ავიწყდება. ორად-ორი ადგილით დავკმაყოფილდეთ მისი წერილებიდან:

— *„ჩემი ჯანმრთელობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ხანგრძლივ და ახალ-ახალ სამუშაოზე ოცნება ტყუილი თავის მოტყუება იქნებოდა, მაგრამ* ***სანამ ცოცხალი ვარ, მუშაობის შენელება არ მინდა და ამიტომ წიგნები მჭირდება***“.

— *„ეხლა ჩემს ჯანმრთელობაზე: ნაწლავების მდგომარეობა ცოტა გამიუმჯობესდა,* ***გული კი ისევ მოშლილი მაქვს. წამდაუწუმ ჩერდება,*** *მას ვეღარაფერი გამოასწორებს. მაინც* ***ვმუშაობ და ვმუშაობ სანამ შევძლებ. დასვენებისთვის ეხლა დრო აღარ არის. ჩემს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს მხოლოდ საუკუნო დასვენება დარჩენია. საინტერესო საკითხზე ვმუშაობ და შეწყვეტა არ შეიძლება***“.*

„სანამ ცოცხალი ვარ, მუშაობის შენელება არ მინდა“.

„საინტერესო საკითხზე ვმუშაობ და შეწყვეტა არ შეიძლება“.

ასე მუშაობდა.

და განა გასაკვირველია, რომ სხვებისგან იგივე მოეთხოვა? გიორგი ახვლედიანი ერთ-ერთ მოგონებაში აღნიშნავდა, ივანე კოლეგებისაგან *„მუშაობას ყოველგვარ პირობებში“* მოითხოვდა და ვინაიდან თავადაც ასე მუშაობდა *„მას შეეფერებოდა უსასტიკესი და ულმობელი ყოფილიყო თავის მოთხოვნილებებში პრინციპულ საკითხებში“*-ო.

მუშაობა და წვა საყვარელი საშობლოსათვის იყო ერთადერთი ნუგეში.

„ბედმა ბევრი უსიამოვნება მარგუნა მეტადრე უკანასკნელ ათეულში და ერთადერთი ნუგეში ჩემთვის სამეცნიერო კვლევა-ძიება იყო, ყოველთვის ასეთ შემთხვევაში თანდათანობით მღელვარება მიმშვიდდებოდა და მოყენებული უსამართლობის სიმწარეს მავიწყებდა ხოლმე“.

„მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს“...

წერდა ივანეს თანამედროვე ერთი ქართველი პოეტი.

ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლეც მის სამეცნიერო საქმიანობას თან ახლდა. უკეთ რომ ვთქვათ, მისი სიცოცხლე ამ საქმიანობის გარეშე არც არსებობდა, მისით ცოცხლობდა და მისითვე სულდგმულობდა. მძიმედ ავადმყოფს, ჯანგატეხილსა და უსამართლოდ გარიყულს, ისევ მეცნიერეული კვლევა-ძიება უბრუნებდა სულს და აძლებინებდა. მეტიც, აღმოჩენის სიმძაფრე წარმოუდგენელ სიამოვნებასაც კი ჰგვრიდა.

კვლევისას მიღებული სასიამოვნო განცდის ერთ შემთხვევის შესახებ თავადვე გვიყვება:

„... 1922 წლის დეკემბრის დამლევს პროფ. პ. კოკოვცოვის წერილს მივაგენი. საკმარისი იყო შინ ამ ორი ფოტოტიპური ფურცლის გაშინჯვას შევდგომოდი, რომ პირველივე დაკვირვებიდან ამ ძეგლის უაღრესი მნიშვნელობა ცხადი გამხდარიყო... ოქსფორდის ეტრატის ნაწყვეტები VII-VIII საუკუნისა მაინც უნდა ყოფილიყვნენ. ამ ჩემთვის სრულებით მოულოდნელი გარემოების გამორკვევის შემდგომ ძვირფასი პალიმსესტის კითხვას გულდასმით შევუდეგი და ახლა უკვე განსაკუთრებით **ბ**ანს *ვეძებდი. პირველსავე ფურცელზე, მარჯვნითი სვეტის მე-9 და 10 სტრიქონებში ორჯერვე „ბ“ სრულებით გარკვევით თავშეკრული იყო, ენაც გასაოცარი სიძველის მომასწავებელი გამოდგა. ამ აღმოჩენისაგან გამოწვეული სიხარულისა და მღელვარებისაგან მუშაობა აღარ შემეძლო.*

ცხადი გახდა ჩემთვის, რომ თვალწინ ქართული დამწერლობისა და ენის უძველესი ძეგლი მედვა. აქამომდე IX საუკუნეზე უწინარესი არც ერთი ქართული ხელნაწერი არ იყო ცნობილი

და ახლა ერთბაშად სამი საუკუნით უფრო ადრინდელი ძეგლის ნაწყვეტები გამოჩნდა! მღელვარებისაგან ცოტა ხნით შეწყვეტილი მუშაობის განახლების დროს ვცდილობდი დავრწმუნებულიყავ, რომ თვალი არ მატყუებდა და შეცდომა და მოჩვენება არ იყო ის, რასაც ვკითხულობდი.

სრული სიფრთხილით წარმოებულმა პალიმსესტის გულდასმით წაშლილი ქართული ტექსტის ამოკითხვამ და დაწერილის ენის საგულისხმო თუმც განმაცვიფრებელმა, მაგრამ შორეულ წარსულში მოსალოდნელმა თვისებებმა დამარწმუნეს, რომ პირველი დაკვირვება მცდარი არ იყო... რამდენჯერაც კი არ გადავიკითხავდი ამ ორი ეტრატის ნაჭრის ფოტოტიპიას, ეს რწმენა უფრო და უფრო მიძლიერდებოდა. ჩემი სიხარული გაორკეცებული იყო, როდესაც გამოვარკვიე, რომ ამ ნაწყვეტებში შენახული გვქონდა დაბადების ტექსტი“.

„აღმოჩენისაგან გამოწვეული სიხარულისა და მღელვარებისაგან მუშაობა აღარ შემეძლო“.

„აღმოჩენისაგან გამოწვეული სიხარული“ იყო სწორედ ის ჯილდო, რაც ამდენს აკეთებინებდა.

სხვა ჯილდო მას არც ახსოვდა და არც სურდა. მას რამდენჯერმე მიმართეს თხოვნით, თქვენი ნაშრომი საპრემიოდ წარვადგინოთო, რომელზეც მან ყოველთვის თავაზიანი უარი განაცხადა.

ჯერ იყო და ასეთი თხოვნით მას 1909 წელს მიმართეს. ივანემ უარი განაცხადა. 1915 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარემ გიორგი ყაზბეგმა შესთავაზა თავისი „ქართველი ერის ისტორია“ საპრემიოდ წარედგინა. ივანემ ვრცელი სამადლობელი წერილით უპასუხა და თავისი უარი შემდეგნაირად განმარტა:

„პრემიები ყველგან და ჩვენშიც, რასაკვირველია, იმიტომ არის დაწესებული, რომ ახალგაზრდა მკვლევარნი წაახალისონ, ან ქონებრივი დახმარება გაუწიონ შრომის დასაბეჭდად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად.

მე, ჩემდა საბედნიეროდ, ისედაც შეძლებისდაგვარად ვმუშაობ და არც რაიმე წახალისებაა ჩემთვის საჭირო და არც ქონებრივი დახმარება: უნივერსიტეტის დოცენტობა მე თუმცა დიდს არა, მაგრამ მაინც სახსარს მაძლევს. ამისთანა პირობებში ზნე-

ობრივად შეუძლებლად მიმაჩნია სხვებს, რომლებთაც წახალისებაც და დახმარებაც სჭირდებათ, შეეცილო. მე კარგად ვიცი, რომ საზღვარგარეთ და რუსეთშიაც აკადემიებში და სხვა შესატყვის დაწესებულებებში ბევრს ჩემზე უფრო მეტად დამსახურებულსა და ჩემზე უფრო ქონებრივად უზრუნველყოფილს მეცნიერებს წარუდგენიათ ხოლმე საპრემიოდ თავიანთ თხზულებები, მაგრამ მე ყოველთვის ასე ვფიქრობდი და ეხლაც მგონია, რომ აქ საქებური არაფერია და მათს მაგალითს ვერ წავბაძავ“.

დოცენტის ხელფასი მეყოფაო და სხვას, რომელთაც წახალისება სჭირდება ან დახმარება, ვერ შეეცილებიო.

რამდენ ადამიანს მოიძევ მეხსირებაში მკითხველო, ანალოგიური რამ ეთქვათ და ექნათ?

ასეთი იყო და ამიტომაც შეეძლო ყოფილიყო სულგრძელი.

ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის ქრისტიანული ზნეობით გაჟღენთილი შემდეგი სტრიქონი: *„სურგძელობითა ძლევა სჯობს, ვაჟკაცობითა ძლევასაო“*.

დიდი ივანეც ამ მცნების მიმდევარი იყო.

ცნობილია რომ ალექსანდრე ცაგარელმა დიდი წინააღმდეგობა შეუქმნა ივანე ჯავახიშვილს, რომ მას შესაძლებლობა მისცემოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში დაეწყო სამეცნიერო მოღვაწეობა. ივანეს ეს გულში არ ჩაუხვევია. მოგვიანებით როცა დიდმა ივანემ თბილისში უნივერსიტეტი დააარსა ღრმად მოხუცი ალ. ცაგარელი პეტერბურგიდან საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა.

ალ. ბარამიძე იგონებს: *„თუმცა ცაგარელს ლექციების კითხვა აღარ შეეძლო, ივანე ჯავახიშვილმა იგი მიიწვია ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის ლექტორად პროფესორის თანამდებობაზე. მეტიც, ბ[ატო]ნ ივანეს წარდგინებით ალ. ცაგარელს პირველ უნივერსიტეტის სინამდვილეში მიენიჭა დამსახურებული პროფესორის საპატიო წოდება და 1922 წლის 29 ოქტომბერს უნივერსიტეტის საპროფესორო საბჭოს საგანგებო სხდომაზე საზეიმო ვითარებაში აღინიშნა მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50-ე წლისთავი. ალექსანდრე ცაგარელის სამეცნიერო ღვაწლს ივანე ჯავახიშვილმა უწოდა ეპოქალური დამსახურება ქართველი ერის წინაშე. ასე ორიგინალურად გადაუხადა ივანე ჯავახიშვილმა სამაგიერო პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს.*

ამით ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა მან თავისი გასაოცარი ადამიანური კეთილშობილება და დიდბუნებოვნება“.

ასეთი სპეტაკი, პირუთვნელი და მიუკერძოებელი რომ იყო, ამიტომ აფასებდნენ ივანეს და სჯეროდათ მისი.

1915 წელს დავა ატყდა ფილიპე გოგიჩაიშვილსა და მიხეილ ჯავახიშვილს შორის. ეს უკანასკნელი პირველს ბრალსა დებდა, რომ მან ჩემი ნათქვამი გადაასხვაფერაო. ამის საპასუხოდ და დავის მოსასპობად ფ. გოგიჩაიშვილმა გაზეთში „სახალხო ფურცელი“ გამოაქვეყნა განცხადება, რითაც მიხეილ ჯავახიშვილს შესთავაზა დავა გადაეწყვიტა ივანე ჯავახიშვილს: *„ჩვენდა ორთავეს სასიამოვნოდ, მაშინდელ თქვენს მასლაათს დაესწრო ჩვენი ისტორიკოსი ბ-ნი ივანე ჯავახიშვილი.* ***მგონია იმის მიუდგომლობასა და მოწმობის სისწორეში ეჭვს ვერ შეიტანთ ვერც თქვენ, ვერც სხვა ვინმე მთელს ჩვენს სამშობლოში.*** *თქვენი ამხანაგებიც მეორე წერილში სრულიად სარწმუნოდ და მიუდგომლად აცხადებენ ბ[ატო]ნ ჯავახიშვილის სიტყვას. მივანდოთ მის მოწმობას ამ საგნის გადაწყვეტა. აქვე, ქვევით მე მივმართავ უმორჩილესად თხოვნოით ბ[ატო]ნს ივ. ჯავახიშვილს, რომ მან გამოაცხადოს გაზეთში: თქვენი იმდროინდელი ნათქვამი სისწორით არის გადმოცემული ჩემს წერილში, თუ არა. წინდაწინვე პირობას გაძლევთ: თუ იგი იტყვის, რომ მე თქვენი ნათქვამი გავაყალბე, გადავამახინჯე, გადავატრიალე ან გადმოვატრიალე, ერთის სიტყვით — ის მოგაწერეთ, რაც თქვენ არ გითქვამთ, თუ იგი ამას იტყვის, მე ვიკისრებ იმ სასჯელს, რასაც თვითონ თქვენ გამიჩენთ. ხოლო თუ ეს არ მოხდა, თუ ბ[ატო]ნმა ივ. ჯავახიშვილმა დაადასტურა სისწორე ჩემის გადმოცემისა, იმ შემთხვევაში მე თქვენ არავითარ სასჯელს არ გაგიჩენთ, მხოლოდ ამის წინადადებას კი მოგცემთ, რომ სამუდამოდ მოსპოთ ჩემთან ამ საგანზე კამათი“.*

ივანემაც არ დააყოვნა და გაზეთ „სახალხო ფურცელის“ 26 აგვისტოს ნომერში გამოაქვეყნა პასუხი:

„ბ[ატო]ნ ფ. გოგიჩაიშვილს

ღრმად პატივცემულო ბ[ატო]ნო ფილიპე!

„სახალხო ფურცელი“ 365 №-ში ღია ბარათით მთხოვეთ როგორც დამსწრეს გაზეთში გამოვაცხადო, ბ-ნ ადამაშვილის (მ.

ჯავახიშვილი, დ.ს.) ნათქვამი თქვენს წერილში სისწორით არის გადმოცემული. თქვენი პატივისმცემელი ივანე ჯავახიშვილი“.

დავა შეწყდა.

ივანე წვრილმანებამდე ყურადღებიანი იყო. ერთხელ მან ვარლამ დონდუას სთხოვა რუსულად გამოცემული სპარსული იგავ-არაკების კრებულის „ბახტიარ ნამეს“ შოვნა. მისი გამომცემელი ყოფილა ევგენი ედუარდის ძე ბერტელსი. მეგობარმა თხოვნა აუსრულა. არ დააყოვნა ივანეს წერილმაც:

„დიდად პატივცემულო ბ-ნო ვარლამ!

თქვენი მეორე წერილი მივიღე და ორივესთვის გულითად მადლობას მოგახსენებთ. მხოლოდ ბერტელსს რომ ფასი არ აუღია, უხერხულად ვგრძნობ თავს ერთგვარი ზარალის მიყენების გამო. მაინცდამაინც მადლობის მოხსენება მმართებს. მე კი მისი მამის სახელი არ ვიცი (მისი სახელი სპარსულად სწერია, და ევგენი ჰრქმევია), რომ წერილობით მადლობა შევუთვალო, არც მისამართი მაქვს. ბოდიშს ვიხდი ამოდენა შეწუხებისათვის, მაგრამ მაინც უნდა გთხოვოთ, ორივე ღია წერილით მაცნობოთ“.

ივანეს აწუხებს, რომ გამომცემელს ფული არ აუღია, საჩუქრად გამოუგზავნია და ახლა მადლობის თქმას მამის სახელის უცოდინრობა აბრკოლებს. რუსულად მიმართვისას ხომ მამის სახელის მოუხსენიებლობა უხერხულია. მეორე წერილში კი უფრო შორს მიდის მისი წუხილი.

„მე მეტადრე ის მაწუხებდა, რომ გატანებული ფული ამოდენა შენაძენს არ ეყოფოდა და თქვენს წინაშე დავალიანებული უნდა ვყოფილიყავი. მაგრამ თქვენ მწერთ, რომ თქვენ ამოდენა წიგნებში მხოლოდ 44 მან. და 80 კ. დაგიხარჯავთ და კიდევაც გადაგრჩენიათ შესაძენად. სწორედ მოგახსენოთ, ვერ გამიგია, თუ როგორ მოხდა ეს, როდესაც, მარტო ტოლსტოის წიგნი თითო თუმნად რომ ვიანგარიშოთ, უკვე 9 თუმანი გამოდის. ამას თუ ოოს[ებ] ყიფშიძის, ონიანის და ნ. მარის, დასასრულ, კოსტანიანცის წიგნების ფასსაც მივათვლით, გადმოსაგზავნ ხარჯსაც მივუმატებთ, სულ სხვანაირად წარმოგვიდგება თქვენი დანახარჯის ოდენობა. ვფიქრობდი და ვერ გამიგია, ნუთუ ტოლსტოის 9 წიგნის ფასად მთლიანად 10 მან. ჰგულისხმობდით? ეს ძნელი დასაჯერებელია,

რათგან გამოცემის დროსაც მას ასეთი მცირე ფასი არ ჰქონია. ამიტომ ბოდიშს ვიხდი ამოდენი შეწუხებისათვის, მაგრამ მაინც გთხოვთ მაცნობოთ, რამდენი დახარჯეთ სულ ყველა წიგნების შეძენაზე და გადმოგზავნაზე, რომ ჩემზე ვალი არ იყოს".

ადამიანი თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში ისე მოქმედებს, რა შეხედულებებიც გააჩნია. ანუ შოთასი არ იყოს, „*კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების*". ეს შეხედულებები კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ფასეულებებს სცემს იგი პატივს, რა აწუხებს, რა სტკივა, რას მიელტვის, რა ახარებს და ასე შემდეგ.

ოჯახური ურთიერთობის სიწმინდე ივანესთვის აუცილებელი და ხელშეუვალი პირობა იყო. ასე ცხოვრობდა იგი და ამ კუთხით აფასებდა სხვა ადამიანებსაც — ისტორიულ პერსონებსა თუ მის გვერდით მოღვაწე მოკვდავთ. მან პირუთვნელად თქვა სიმართლე, მაშინაც კი როცა საქმე წმინდანად შერაცხილ დიმიტრი თავდადებულს ეხებოდა. თქვა, რომ დიმიტრი თავდადებული ლაშა გიორგის მიაგავსო, მაგრამ „*სამაგიროდ მისგან იმით დიდად განსხვავდება, რომ თუ ლაშამ თავის გულის სატრფოს დაკარგვის შემდგომ, სიკვდილამდე ცოლი არ შეირთო, დემეტრე II-მ პირიქით, ერთი ცოლით, თავისი სქესობრივი გრძნობა ვერ დაიკმაყოფილა და სამსაც კი გაუნაწილაო*". ამ სიტყვებში ხომ აშკარად გამოსჭვივის მეფის საქციელით გამოწვეული მეცნიერის უკმაყოფილება!

ივანეს ჭირივით ეზიზღებოდა ყოველგვარი ზომას გადაცილებული საქციელი და უხამსობა. მის პირად ბიბლიოთეკაში დაცულია გიორგი თევდორაძის წიგნი „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში", სადაც აღწერილია, თუ როგორ ასხამენ ერთმანეთს ხახაში ხატობაზე მყოფი მთვარალები. ივანეს წიგნის არშიაზე მიუწერია: „*საზიზღარია*".

თავისი ზნეობრივი სიფაქიზე მან საისტორიო დოკუმენტის ავ-კარგიანობის შესაფასებლადაც კი გამოიყენა. ნაშრომში „ქართული სიგელმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა" მეცნიერი ერთ-ერთი სიგელის შესახებ წერს:

„*უპირველსად ყოვლისა უცნაურსა და უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ამ ნაწილში ქალის გაუპატიურებისათვის ნახმარი სიტყვა, რომელიც არამც თუ ქართულ მწერლობაში, ჩვეუ-*

ლებრივ საუბარშიც კი უხსენებელ გამონათქვამად ითვლებოდა და ითვლება. ეს უხსენებელი სიტყვა არც ძველი ქართული სამართლის ძეგლში, სადაც კანონი ამნაირ ბოროტმოქმედებაზე ლაპარაკობს, ნახმარი არ არის და მორიდებით არც ჩვენ სახელოვან ლექსიკოგრაფს საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შეუტანია. რა დასაჯერებელია, რომ ასეთი ჩვეულებრივ საუბარსა და მწერლობაში უხმარ-უხსენებელი სიტყვის შეტანა მდივან მწიგნობარს ეკადრას და გაებედა მეფის სახელით ბოძებულსა და მისი ბრძანებით დაწერილ სიგელში! ცხადია რომ ეს გარემოება ამ სასისხლო სიგელების ნატყუარობის უეჭველი საბუთია და თანაც მათ შემთხზველთა გონებრივ-ზნეობრივი დონის საუკეთესოდ დამახასიათებელია“.

სინამდვილეში კი, როგორც ეს პროფესორმა ზურაბ ჭუმბურიძემ გაარკვია, თუ ქალის გაუპატიურების აღმნიშვნელი სიტყვა მეფის ხელმოწერილ სიგელში არ გამოიყენებოდა, მაშინ მით უმეტეს ნატყუარ სიგელში მას არ შეიტანდნენ, რომ ეს ნატყუარობა ადვილად არ გამომჟღავნებულიყო. თანაც ივანე სარგებლობს სულხან-საბა ორბელიანის რაფიელ ერისთავისეული გამოცემით, სადაც მართლაც გამოტოვებულია საჩოთირო სიტყვები. მაგრამ ჩვენთვის მთავარია, რომ ივანე მოცემულ შემთხვევაში თავისი ზნეობრივი მრწამსიდან ამოდის. ეს სუბიექტური აზრი სწორედ მისმა ფაქიზმა ბუნებამ დაბადა.

დიდ გამოცდილებას ამჟღავნებს ერთი ინგლისური ანდაზა: *„გაზონის გაკეთებას არაფერი უნდა, მხოლოდ სამასი წელი უნდა კრიჭო და კრიჭოო“*. ადამიანთა საზოგადოებასაც უნდა ასეთი „კრეჭა“ ანუ მოვლა, რუდუნება. დემეტრე მეფის საქციელი საქართველოს დაქვეითების მომასწავებელი იყო, რომელიც მონღოლობისას დაუდგა ქვეყანას. მონღოლები კი ჩვენ მისაბაძ მაგალითს ნამდვილად ვერ მოგვცემდნენ. ივანე საგანგებოდ ჩერდება ჩინგიზ ყაენის მმართველობის ხანაზე, რადგანაც მის დროინდელ მონღოლებში ეს უზნეობანი ცალკეულ ადამიანთა დანაშაული კი არ იყო, არამედ მთელი საზოგადოების ცხოვრების წესი და მისწრაფება.

ჩინგიზ-ყაენი მიმართავს თავის ერთ დიდებულს: *„ჩემს ჭაბუკობაში შენ წინასწარმეტყველური სიტყვა სთქვი ჩემს შესახებ, ჩემი*

მოღვაწეობის მონაწილე და ამხანაგი იყავი. ამიტომაც უფლებას გაძლევ დამორჩილებულ ხალხთა შორის 30 მშვენიერი ცოლი და ქალწული აირჩიო“. ასეთი მაგალითები კიდევ სხვაც აქვს საისტორიო ქრონიკიდან ამოწერილი ივანეს და ბოლოს ასკვნის: „*ყველა ზემომოყვანილთაგანაც ნათლად ჩანს,* ***თუ რა შეადგენდა მონღოლთა ოცნებასა და იდეალს:*** *ველური მეკობრე ადამიანისა და ტომის აზროვნება, ყაჩაღური სულისკვეთებისა და მარტივი ცხოველური მოთხოვნილების დაკმაყოფილება. გამარჯვებული მონღოლის მსჯელობით, დამარცხებული მოწინააღმდეგე მთელი თავის ნათესაობითა და ქონებით, საგნის მსგავსად, მისი განუსაზღვრელი საკუთრება იყო: მტრის ლამაზი ქალიშვილები და ცოლები, თუ მოისურვებდა მისი პირუტყვული ჟინის მსხვერპლად უნდა გამხდარიყვნენ, მთელი მისი ქონებაც მას უნდა რგებოდა. სხვა მიზანი მას არ ჰქონდა და ამიტომაცაა, რომ მონღოლთა მეთაურისათვის საქებურად ითვლებოდა, როცა ამბობდნენ: ცოლები, მსახურნი, ჯოგები და ფარები მას უთვალავი ჰყავსო... კარგი სმა-ჭამა, ლხინი, მომთაბარეობის სიამოვნება და ომში ადამიანის სისხლის ღვრის წყურვილი, სანადირო გასართობის მსგავსად! ეს იყო მთელი ის ავლადიდება, რომლითაც ჩინგის-ხანი და მისი თანამებრძოლ მონღოლები მოევლინენ მაშინდელ კულტურულ ქვეყნებს!“*

ომისთვის თანმდევი ეს განუკითხაობა დღემდე ვერ მოიცილა კაცობრიობამ, მაგრამ მისი ლეგიტიმურად მიჩნევა არავის მოსდის აზრად.

თუმცა, სამწუხაროდ, არც მშვიდობიანი ცხოვრებისას გვიჩვენებს ადამიანი უკეთეს სახეს.

ერთნი ამქვეყნიური სიამისკენ ჭარბად მიდრეკილია, ბევრსაც მოიხვეჭს მისთვის სასარგებლოს — ფულსაც ბლომად აგროვებს და დროსაც საამურად ატარებს.

მეორენი მაღალი იდეალებით არიან შეპყრობილი.

მათ სხვაგვარად არ ძალუძთ!

ისინი ნიადაგ შრომობენ და უმცირესს სჯერდებიან, თანაც დიდი მოთმინებით ხვდებიან პირველთა ამპარტავნულ მზერას თუ შელაზღანდარებას.

მათ იციან, რომ ბუნებაში ყველა ფერი უნდა არსებობდეს და მტკიცედ მიუყვებიან თავიანთ გზას.

არ ამაყობენ, თუმცა მხოლოდ ისინი თუ ამართლებენ კაცობრიობის არსებობის აზრს.

პირველთ ეს არც ადარდებთ და არც ფიქრობენ, რომ ამ მეორეთა ვალი ადევთ!

ამ ვალის შესახებ მათ არაფერი იციან!

მათ არ იციან, ადამიანებად რომ მოიხსენებიან, ამ მეორეთ უნდა უმადლოდნენ! არც ის იციან, რომ ამდენ ქონებას რომ ფლობენ, ამაშიც მათ აუწონავ ღვაწლზე რომ დგანან!

არ იციან და არც დარდობენ, რომ მონასტერში წყალსა და ხმელ პურზე მყოფი დაყუდებული ბერივით მოღვაწე მეცნიერის ჯაფას მოაქვს მათთვის ეს აურაცხელი ფული. ამქვეყნიური სიკეთიდან კი, სამწუხაროდ, მათ შემქმნელებს წილად ძალიან ცოტა რამ ხვდებათ; სამწუხაროდ მათ არა, ვინც დიდი წვითა და დაგვით ახალი რამ აღმოაჩინა, არამედ მათ, ვინც მაქს ფრიშის რომანის „Homofaber"-ის გმირს დამსგავსებიან. ფრიში რომანში მომხმარებელ ადამიანს წარმოგვიდგენს, რომელიც დაცლილია ამაღლებული ადამიანური ფასეულობებისაგან. „Homofaber"-ი ესაა ადამიანი, რომელიც მხოლოდ მოიხმარს და მისთვის ყველაფერს აზრი მხოლოდ იმ დონემდე აქვს, სანამდეც მისი მომხმარებლური ფსიქოლოგია აღწევს.

სწორედ იმ დროს, როცა ივანე ასე მუხლჩაუხრელად იღვწოდა, შორეულ ესპანეთში ცხოვრობდა დიდი ფილოსოფოსი ხოსე ორტეგა ი გასეტი. მან თავის შედევრში „მასების ამბოხი" აგრესიულ უმრავლესობად გადაქცეული ამ მომხმარებლების ბუნება გამოიკვლია.

„საზოგადოება ყოველთვის ორი ფაქტორის — უმცირესობისა და მასების — დინამიკური ერთობაა. — გვიხსნის ფილოსფოსი. — უმცირესობა ინდივიდუუმთა ჯგუფია, თვისებრივად რომ განსხვავდება ბრბოსაგან. მასა კი ადამიანების ბრბოა, ადამიანებისა, რომლებსაც არავითარი სპეციფიკურად განსხვავებული თვისებები არ გააჩნიათ".

გასეტის მიხედვით, ბრბოს ანუ მასის შემადგენელი „საშუალო ადამიანია", რომლის *„ზოგადი თვისება მასა, სიმძიმე, ანუ ტვირთია, დაბლა რომ ექაჩება საზოგადოებას"* და ამდენად, ამ ერთობის შემადგენელ თითოეულ ინდივიდს შეიძლება ვუწოდოთ

„ადამიანი-მასა“. ეს უკანასკნელი კი „*ისაა, ვისაც არ შეუძლია როგორც კარგი, ისე ცუდი მხრითაც შეაფასოს თავისი თავი; ვინც თავს აღიქვამს „ისეთად, როგორიცაა ყველა“ და სულაც არ განიცდის ამას, მას მოსწონს, ისეთი იყოს, როგორიცაა ყველა“.*

სულ სხვა ვითარება გვაქვს მასის საპირისპირო უმცირესობის შემთხვევაში. „*როდესაც საქმე ეხება „რჩეულ უმცირესობას“, ყოველდღიურ ყოფაში, ჩვეულებრივ, მახინჯდება ამ გამოთქმის აზრი: ამბობენ, რომ „რჩეული უმცირესობის“ წარმომადგენელი ქედმაღალია, კადნიერი, ამპარტავანი და ყველაზე მაღლა აყენებს თავს, მაგრამ ეს ასე არ არის, — ამბობს ხორხე ორტეგა ი გასეტი, — „რჩეული“ ყველაზე მეტს მოითხოვს, თუმცა ვერ ახერხებს ცხოვრებაში განახორციელოს ეს მაღალი მოთხოვნები. ეჭვს გარეშეა, რომ კაცობრიობა რადიკალურად იყოფა ორ ნაწილად: ერთი მხრივ, ისინი, უამრავ მოთხოვნას რომ უყენებენ თავიანთ თავს, რითაც ირთულებენ ცხოვრებას და ყოველნაირად ცდილობენ მოიხადინ თავიანთი ვალი, მეორე მხრივ კი ისინი, რომლებიც არავითარ ძალისხმევას არ მოითხოვენ საკუთარი თავისაგან. ამნაირი ადამიანები ტივტივასავით მიჰყვებიან დინებას“.*

მკითხველო, მგონი ივანე უნდა დავლანდოთ იმ ადამიანებს შორის, რომლებიც „უამრავ მოთხოვნას რომ უყენებენ თავიანთ თავს, რითაც ირთულებენ ცხოვრებას და ყოველნაირად ცდილობენ მოიხადინ თავიანთი ვალი“. მისთვის ხომ არავის დაუძალებია ეცხოვრა იმ წესით, რითაც მცირედს სჯერდებოდა და დიდ ჭაპანს კი ეწეოდა?!

ივანე მარტო თავისი წარმომავლობით კი არაა რჩეული ანუ არისტოკრატი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თავისი დიდი შინაგანი სამყაროთი და უფაქიზესი ცხოვრების წესით. კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ ორტეგა ი გასეტს:

„*კეთილშობილი კაცი კირთებად როდი აღიქვამს მაღალი იდეალებისადმი სამსახურის მოთხოვნილებას. როცა ის ვერ პოულობს საკმარის პრინციპებს, რომლებისთვისაც შეეძლო თავისი სიცოცხლე მიეძღვნა, მანამდე ვერ მოისვენებს, სანამ ახალ, კიდევ უფრო ძნელად განსახორციელებელ მოთხოვნებს არ გამოუგონებს საკუთარ თავს და მათ სამსახურში არ ჩააყენებს მთელ თავის უნარსა და შესაძლებლობას. ჭეშმარიტი არისტოკრატიისთვის*

ცხოვრება, უწინარეს ყოვლისა, სულის დისციპლინაა. არისტოკრატიას მისი უფლებები კი არ განასხვავებს დანარჩენთაგან, არამედ საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა, ანუ, რაც იგივეა, მოვალეობა: noblesse oblige (ფრანგ. კეთილშობილება გვავალდებულებს)".

დიახ, სწორედ რომ კეთილშობილება ავალდებულებდა ივანესაც ერისშვილობა ვალად მიეჩნია და მთელი ცხოვრება ამ ვალის გასტუმრებისთვის ეღვაწა. ხომ ასეც თქვა სიცოცხლის მიწურულს: *„სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება არასოდეს დიდი საქმე, გულცივი, გულგრილი ადამიანი ვერ გააკეთებს ვერსოდეს დიდ საქმეს. უნდა უყვარდეს ყოველ მათგანს თავის ხალხი, უნდა უყვარდეს მეცნიერება, უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას, რომ შეალიოს თავისი ძალა მეცნიერებასაც და ხალხსაც... სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და, ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოებულია ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ვალდებულია სამაგიერო გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილია".*

ამ ვალის გასტუმრებაში გალია ივანემ თავისი ცხოვრება, რომელსაც ყოველდღიურად უამრავი გულისგამაწვრილებელი რუტინა ახლდა.

იტანდა ამას დიდი ივანე და მათზე კი არ ფიქრობდა, არამედ იმ საქმეებზე, რომელიც ამ ვალს შეადგენდა.

და თუ ჩვენც ბრბოს თანამონაწილედ ყოფნა არ გვსურს, უნდა ვაღიაროთ ჩვენივე ვალი.

ივანე კი ერთი იმათთგანია, ვისი ვალიც, გაუცნობიერებელი და დაუბრუნებელი, უამრავს გვაქვს, უამრავს ანუ ერს.

მან კი ისე იცხოვრა, არასდროს ჩათვალა თავი დიდების ღირსად.

1938 წელს ჩატარდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნები. კანდიდატად დასახელდა ივანე ჯავახიშვილიც. მან ამომრჩევლებთან შეხვედრაზე თქვა:

„მე ჩემს თავს, ჩემს მოღვაწეობას სრულებით ისე დიდად არ ვაფასებ, როგორც თქვენ გნებავთ. ხშირად მე ჩემი მოღვაწეობა წარმომიდგენია ისე, როგორც ჭინჭველა პატარა, რომელ-

იც ეპოტინება დიდ მარცვალს, და მიაქვს... ჩემს მოღვაწეობაში მე ვხელმძღვანელობდი ერთი ხალხური ლექსით, რომელშიც მშვენივრად არის გამოხატული ქართველი ხალხის ზნეობრივი მოძღვრება იმ აუცილებრივ-აუცილებლობის შესახებ, რომელსაც უნდა ადამიანი აკმაყოფილებდეს:

„კარგი ვარ იმას ნუ იტყვი,
თავს ნუ დაუწყებ ქებასა,
კარგი ჩვენც მოგვეწონება,
ცუდი არც თავის დედასა“.

„ჩემი მოღვაწეობა წარმომიდგენია ისე, როგორც ჭინჭველა პატარა, რომელიც ეპოტინება დიდ მარცვალს, და მიაქვს“.

ივანე თავის თავს თავმდაბლობით ყველაზე პატარა მწერს ადარებს, მაგრამ უნებლიედ ზუსტი შედარება გამოუვიდა: ჭიანჭველას კი თავისზე მეტი და დიდი ტვირთი მიაქვს ხოლმე. ივანე ხომ „წაეპოტინა“, მაგრამ ზიდა კიდევაც უზარმაზარი ტვირთი.

„კარგი ვარ იმას ნუ იტყვიო“, — ამბობდა.

ცხოვრობდა უბრალოდ და შრომობდა თავდადებით.

ჩვენ კი გვიჭირს ეს დავიჯეროთ. როცა ნათელა ჯავახიშვილი სკოლაში მიაბარეს და მასწავლებელს უთხრეს, რომ ივანეს შვილიაო, მაწავლებელმა გაიკვირვა: *„როგორ, ივანეს შვილები ჰყავსო?“* ოჯახი და შვილები ჩეულებრივი მოკვდავების საქმედ აღიქმებოდა, უკეთილშობილეს და დიდ მოღვაწეს კი ამისთვის სად და როგორ უნდა მოეცალა?!

დღესაც, ჩვენ ხომ დიდი ადამიანები აღმატებით ხარისხში წარმოგვიდგენია. თუ ასე არ აღმოჩნდა, იმედგაცრუებულად მივიჩნევთ თავს, ისევე როგორც ჩერქეზებს მოუვიდათ ლევ ტოლსტოისთან საუბარში. მათ ამერიკის პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი დიდი მოჯირითე და მკლავღონიერ რაინდად წარმოედგინათ, რისი დადასტურება მწერლის მონათხრობში ვერ ჰპოვეს. მეორე დღეს მწერალმა ერთი ჩერქეზი ქალაქში გაიყოლა და იქ ლინკოლნის სურათი უყიდა. მთიელი მოიღრუბლა და თურმე იმედგაცრუებისაგან ხელებიც კი აუკანკალდა.

ივანე ჯავახიშვილი დიდი ადამიანი იყო, მაგრამ მაინც ადამიანი, რომლისთვისაც არაფერი ადამიანური უცხო არ ყოფილა, ოღონდ სიკეთით და სიყვარულით პირთამდე სავსე.

დიახ, იყო დიდი, მაგრამ უბრალო. ამიტომ მისთვისაც არ იყო უცხო ჩვეულებრივი ადამიანის უცნაურობანი.

ამბობენ, დიდმა ფიზიკოსმა ისააკ ნიუტონმა, რომელმაც ჯერ კიდევ ცხენით გადაადგილების ეპოქაში, გამოთვალა მანძილი დედამიწიდან მთვარემდე, თავისი სამუშაო კაბინეტის კარს იატაკთან ორი ღიობი — ერთი დიდი და მეორე პატარა — გაუკეთა. რომ ჰკითხეს ასე რატომ მოიქეცი, უპასუხა: დიდიდან ძაღლი შემოვა და პატარიდან კი კატაო.

ამგვარ ამბავს ივანე ჯავახიშვილზეც ჰყვებიან: თურმე ბატონ ივანეს ყური ასტკივდა და სანახავად მოსულმა სტუმარმა შესთავაზა ახლავე ნაცნობ ექიმს მოგიყვანო და სასწრაფოდ გაეშურა. ბატონი ივანე აწრიალდა და მიმავალს მიაძახა: მარცხენა ყურის ექიმიო.

დავიჯეროთ?

ნება ჩვენია.

ალბათ, ყველაფერში სიზუსტეს მიჩვეულმა მეცნიერმა, თავისი გასაჯირი დააზუსტა.

ეს იყო და ეს, მეტი არაფერი.

თუმცა ამგვარი უცნაურობანი, ხომ თავისებურ ხიბლს მატებს დიდი ადამიანის ცხოვრებას?!

დიდი ადამიანის ყოველდღიური ყოფაც ამაღლებულია, მაგრამ ადამიანური სისუტეების ნამცეცებსაც იტევს.

„წიწამურთან რომ მოკლეს ილია..“

1907 წელს წიწამურთან ილია ჭავჭავაძის მკვლელობით ქართველთა ცხოვრებაში ერთი დიდი ეპოქა დასრულდა, მაგრამ დასასრული რაღაცის დასაწყისსაც ნიშნავს.

დასრულდა თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთი დიდი ეტაპი, თუმცა ილიასეული სული არ ჩამკვდარა, მხოლოდ დროებით მინავლდა. კვლავაც ჟღერდა აკაკისა და ვაჟას ჩანგი, კვლავაც ბასრი იყო ნიკო ნიკოლაძის კალამი... გუთნისდედა კვლავაც მღეროდა ოროველას, ყანაში ჩამდგარი მენადეები კვლავაც აგუგუნებდნენ ოდოიას, კვლავაც აკვნესებდა მწყემსი სალამურს...

და ბრძოლა გრძელდებოდა: ახლა ერი უნდა მომზადებულიყო ახალი დროისთვის, რომელიც მოვიდოდა, აუცილებლად მოვიდოდა, ოღონდ მთავარია არ ჩაეთვლიმა, ჟამი რომ მოახლოვდებოდა არ გამოპარვოდა.

და აჰა, ჟამიც დამდგარიყო.

„წიწამურთან რომ მოკლეს ილია
მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი“.

გალაკტიონის ეს პოეტური გამონათქვამი ისტორიულ სინამდვილეს ასახავს. ილიას ამქვეყნიდან წასვლით საქართველოსათვის მართლაც რომ დამთავრდა ერთი დიდი ეპოქა.

თავისთავად ერთის დასასრული, მეორის დასაწყისს აღნიშნავს. დასრულებულ ეპოქას ილიას სახელი ჰქვია, მაგრამ ვისი პიროვნებით უნდა იყოს სახელდებული საქართველოსთვის დაწყებული ახალი ხანა? ამ კითხვას პასუხი რომ გავცეთ წიწამურით გაყოფილი ორივე ეპოქის თავისებურებებს უნდა გადავავლოთ თვალი.

დავიწყოთ პირველით.

საქართველოში თვისებრივი განახლების ახალი ხანა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. ეს დროის დინებას თავისთავად არ მოუტანია. იგი დაიწყო სამოღვაწეო ასპარეზზე რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში განათლებას ზიარებული ახალგაზრდა ქართველების საქმიანობით, რომლებსაც „თერგდალეულების“ სახელით მოიხსენიებენ.

სამშობლოში მობრუნებულმა თერგდალეულებმა ერის ცხოვრების განახლების ახალი იდეები მოიტანეს და თავდადებ-

ით შეუდგნენ მის განხორციელებას. თერგადლეულები იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, ბესარიონ ღოღობერიძე, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი... მართალია, მათ ერის განვითარების საკითხში ერთგვაროვანი პოზიცია არ ჰქონდათ, მაგრამ ორი რამ ერთმანეთთან ძალიან აახლოებდათ: სამშობლოს დიდი სიყვარული და მამულისადმი მსახურების იდეა.

თერგდალეულთა ღრმა რწმენა, რომ ადამიანი ვალდებულია სამშობლო წრფელი გულით უყვარდეს, ლაკონურად გამოიხატა ილიას სიტყვებით: *„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწოდეს მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით, დამედაგოს მტკიცე გული“*.

თერგდალეულთაგან დალხინებული ყოფით არავინ გამოირჩეოდა, თითოეული თავ-თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ მამულისადმი მსახურების საშუალება ერთი ჰქონდათ. ეს იყო კალამი. კალმით გამოხატავდნენ თავიანთ მრწამსს, მამულისადმი და მოყვასისადმი სიყვარულს. კალმით იდგნენ ერის ინტერესების სადარჯოზე და კალმითვე ცდილობდნენ ისინი დაბეჩავებული და მიძინებული ერის გამოღვიძებას. და როცა უფროს თაობასთან მოუწიათ დაპირისპირება, ერთმა მათგანმა, პოეტმა და გენერალმა, გრიგოლ ორბელიანმა, ნიშნის მოგებით იკითხა:

„რაღასა ელით?
რატომ გვირგვინით
არ შეიმოსვის ვინცა გყავთ ღირსი?..
რომ ბრძოლის ცეცხლი
ასტყდეს ფიცხელი,
ხმლისა ტრიალით, ძლევის ყიჟინით,
იმ თქვენმა გმირმა,
სულით ძლიერმა,
ხელს ბაირაღით ძირს დასცეს ყარსი!“

ბრძოლის ველზე ხმლის ტრიალი და ძლევის ყიჟინა — აი, ძველი თაობისთვის მთავარი სამოღვაწეო ასპარეზი. ახლებისთვის კი ხმლის ადგილი კალამმა დაიკავა. კალამს უნდა გამოეფხიზლებინა ერი და მისთვის გზა ეჩვენებინა. ერთ ცნობილ წერილში ილია წერდა: *„ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან*

ჩარხი ქარხანისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთამძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულითა და ხორცით, ცოდნითა და მარჯვენითა. გვჭირს კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერისი სიკეთე?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

მწარე სიმართლეს ამბობდა ამ საახალწლო მილოცვაში ილია: ერს სარკეში ახედებდა და გზასაც უჩვენებდა. კალამი იყო, ბასრი კალამი მისი იარაღი. ახლა კალამს უნდა გაეკეთებინა ის, რასაც ადრე ხმალი წყვეტდა. კალამის ასპარეზი კი მარტო სიტყვაკაზმული მწერლობა არ იყო. იგი ვრცელ წრეს შემოხაზავდა. ამ დროს თვით კაზმულსიტყვაობასაც უფრო მეტი ვალდებულება ჰქონდა დაკისრებული, ვიდრე მას ეს ჩვეულებრივ მოეთხოვება ხოლმე. ილია ამის შესახებ ამბობდა:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ
რომ წარვუძღვე წინა ერსა“.

ილიას ღრმა რწმენით, „*აზრისა და ცოდნის გამავრცელებელი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოადგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება*“.

ერის წინამძღოლობისათვის კალმოსნობა იყო მთავარი საასპარეზო სივრცე. ამასვე ამბობდა აკაკი:

„მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურებდეს!“

თერგდალეულთაგან ერთ-ერთი გამორჩეული ნიკო ნიკოლაძე იყო, რომელსაც „ულმობელი საქმის კაცს“ ეძახდნენ, რადგან ენერგიულად წამოიწყებდა სხვადასხვა ეკონომიკურ პროექტებს და ასევე წარმატებით აგვირგვინებდა მათ. ამ მრავალმხრივი ადამიანის სტიქია მაინც კალამი გახლდათ.

ეს მაშინდელი დროით იყო განპირობებული.

მაშინ მართალი და თავისუფალი სიტყვის თქმა ყოველგვარი საქმიანობის სათავედ მიიჩნეოდა.

აი, როგორ გვიხასიათებს ნ. ნიკოლაძე პუბლიცისტისა და ჟურნალისტის დანიშნულებას:

„რაკი კაცის ბედნიერება ქვეყანაზე შესაძლებელია, რაკი კაცს ბუნებაზე იმოდენა ძალა და გავლენა აქვს, რომ შეუძლია ამ ბედნიერების გზის შემხუთველი დაბრკოლებები მოიცილოს, რაკი ამ საქმისათვის აუცილებლათ საჭიროა ხეირიანი ცოდნა, შრომა და პატიოსანი ხასიათი, — უეჭველია, რომ ყოველ პატიოსან კაცს ჩვენი ქვეყნისათვის ეს სიკეთეები უნდა სურდეს და ყოველი პატიოსანი ჟურნალი მთელ თავის ცდას და გონებას იმას უნდა ალევდეს, თუ რა გზით და რანაირად შეუძლია საზოგადოებას ამ ხეირიანი ცოდნის, შრომის და პატიოსანი ხასიათის შეძენა და სასარგებლო მოხმარება. უეჭველია, რომ ყოველი პატიოსანი ჟურნალი ნიადაგ ამ მიზანს უნდა მისდევდეს, რომ გააცნოს მკითხველი საზოგადოება დაწვრილებით ხეირიან გზას, შეაყვაროს მას შრომა და ცოდნა, ჩაუდგას და აღზარდოს მასში პატიოსანი ხასიათი და შეაძულოს, შეაზაროს ის განხეთქილება, ერთმანეთის გლეჯა, ერთიმეორის შეუბრალებლობა, შეაზიზღოს ის შესაზიზღებელი მოქმედებები, რომელნიც ბოლოს უღებენ საზოგადო ბედნიერებას და აბრკოლებენ მის წარმატებას“.

ნიკო ნიკოლაძე ერთ მის თანამოკალმეს იხესენებს, რომელსაც პერიოდული გამოცემის დაარსება სურდა, მაგრამ ეს ვერასდროს მოახერხა. იგი ხან უფულობას იმიზეზებდა და ხან თანამშრომელთა ნაკლებობას. *„ამის გამო ჯერ იმას არც სამუდამო რამ დაუარსებია, არც დროებითი, — ამბობს ნიკო ნიკოლაძე. — დაეწყო დალოცვილს, დაე სამუდამო ნუ ყოფილიყო, დაე მარტო ორიოდ-სამი თვე ეცოცხლა მის გამოცემას. განა იმ სამი თვის*

განმავლობაში ცოტა აზრი გამოითქმებოდა, ცოტა მოძრაობა მოხდებოდა, ცოტა სარგებლობა მოიტანებოდა?“.

ასე სჯეროდა ნიკო ნიკოლაძეს და, უამრავი საქმით დატვირთულს, მაინც გული პრესისკენ მიუწევდა. ამიტომაც იგი ინტენსიურად თანამშრომლობდა საქართველოში, რუსეთსა და ევროპაში გამომავალ პერიოდულ გამოცემებთან, თავად კი ჟურნალ „კრებულს“ და რუსულენოვან გაზეთ „ობზორს“ გამოსცემდა.

სერგეი მესხიც, ერთ-ერთი თერგდალეულთაგანი, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა გაზეთ „დროებას“. რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როგორც სამხედრო კორესპონდენტი, საბრძოლო ხაზზე იყო და „ოსმალოს საქართველოს“ სატკივარზე წერდა. იგი თავის კალმით ცდილობდა ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებას. მისი აზრით, დაწინაურებულ ქვეყნებში *„თითქმის ყოველი კეთილი საქმე, ყოველი რეფორმა მმართველობისა, წარმატება საზოგადო ცხოვრებაში, თავისუფლების გზაზე წინ წასვლა და სხვა ყველაფერი, გაზეთებისა და ლიტერატურის შემწეობით, რჩევითა და ხან მოთხოვნილებით იწყება და სისრულეში მოდის ხოლმე.*

აი, ამისთანა ძალა აქვს ნაბეჭდ სიტყვას! და ეს ძალა იმიტომა აქვს სიტყვას, რომ ის არის საქმის წინამორბედი: ***ჯერ ითქმება რამე****, გავრცელდება ხალხში და მერე* ***საქმითაც შესრულდება***“ (ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც ს. მესხს ეკუთვნის. დ.ს.).

ეს ევროპის და ამერიკის განვითარებულ ქვეყნებში. საქართველოში? საქართველოში კი ვითარება სავალალოა. *„როცა ამ საკითხზე დავიწყებთ სჯას, არასოდეს არ გვავიწყდება, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენს პერიოდულ ლიტერატურას და საზოგადოთ მთელ მწიგნობრობას თითქმის სრულებით არ მიულწევია პირდაპირ ნამდვილ ხალხამდინ; ხალხმა, ქართველმა სოფლის გლეხმა ჯერ კითხვაც არ იცის, ის არ იცნობს ჩვენს ლიტერატურას; ისეთს მდგომარეობაშია ჩავარდნილი,* ***რომ იმას არც ეწიგნება და არც ეგაზეთება“.***

მიუხედავად ამისა, ს. მესხის ღრმა რწმენით, *„ამისთანა დროში, ამისთანა გარემოებაში ქართულს ლიტერატურას ერთი მოვალეობა აქვს:*

თვალი გამოაჭყეტინოს ხალხს; წარსული ისტორიული ცხოვრების მოგონებითა და განათლებული ხალხების გაცნობით გა-

მოაღვიძოს, გააგებინოს, რომ ერთს წერტილზე გაჩერება დამღუპველია ხალხისათვის, რომ ვისაც სოცოცხლე, კაცური სიცოცხლე სურს ამ დედამიწაზე, ის ყველაზე პირველათ ხელს უნდა ანძრევდეს, თავის თავს უნდა იცნობდეს, თავის სამშობლო ენას არ უნდა ივიწყებდეს“.

ამდენად, თერგდალეულთა თაობის მთავარი ამოცანა ერის ღრმა ძილიდან გამოყვანა („*სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება*“ — ილია), საკუთარი ვინაობის შეცნობა, ამოქმედება და წარმატების მომტან გზაზე დაყენება გახლდათ. ამის მიღწევის გზა კი ერისთვის თვალის ახელა იყო სიტყვით, სიტყვით და კიდევ სიტყვით („*ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშრად მოვფინოთ ხალხში*“ — ილია). ყოველივე ამას თუ გავითვალისწინებით, საქართველოს ისტორიის ამ პერიოდს, რომელსაც თერგდალეულები აძლევდნენ ტონს, **პუბლიცისტიკის ეპოქა** შეიძლება ვუწოდოთ. ამ პერიოდში კი მთავარი ფიგურა ილიაა და პუბლიცისტიკის ეპოქა იგივე **ილიას ეპოქაა**.

ახლა მეორე პერიოდი განვიხილოთ.

ამთავითვე უნდა აღვნიშნო, რომ შემდეგი პერიოდი ივანეს სახელთანაა დაკავშირებული.

ივანემ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი დაამთავრა. იქვე დატოვეს სამუშაოდ, დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია და პრივატ-დოცენტი გახდა. იყო მის მიერ თბილისში დაარსებული უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატის სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე. რუსთაველის ეპოქის მუზეუმის დირექტორი, მცხეთის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი, აკადემიკოსი.

საბედნიეროდ, XX საუკუნის არაერთი ქართველი მოღვაწის ბიოგრაფიიდან შეიძლება დაახლოებით ამგვარი მონაცემების ამოწერა. ის კი არადა, შეიძლება სამეცნიერო რეგალიები ზოგს მეტიც კი აღმოაჩნდეს.

ჩვენ ეს მშრალი ჩამონათვალი ბევრ ვერაფერს გვეტყვის.

ივანე მათგან სხვა რამით გამოირჩევა.

ესაა თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება.

დიდმა ივანემ შექმნა პირველი ქართული უნივერსიტეტი.

ამ ნათქვამს დაზუსტება სჭირდება: თავისთავად უმაღლესი სასწავლებლის დაარსება მეტად საპატიო და დასაფასებელია, მაგრამ სხვაა იმ დროს თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაფუძნება. აქ, ის კი არაა მთავარი, რომ იგი კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი იყო. პირველობა დიდი ბედენა სულაც არაა. ხალხურ სიბრძნეს რომ მივმართოთ, შვილებს გონიერებითაც და მოხერხებითაც ყოველთვის ნაბოლარა სჯობს.

თბილისის ქართული უნივერსიტეტის ღირსება სხვაა.

ესაა ის დანიშნულება, რაც მას დიდმა ივანემ დააკისრა და რომელიც, მიუხედავად არაერთი შეფერხებისა, მაინც განახორციელა.

ესაა ის ფასეულობა, რომლითაც გამსჭვალულინი იყვნენ დიდი ივანე და მისი თანამებრძოლები და რომელიც ამ უნივერსიტეტში მეტ-ნაკლები ინტენსივობით ყოველთვის ცოცხლობდა.

ახლა კი დროა ვიკითხოთ: რაში მდგომარეობს ამ უნივერსიტეტის განსაკუთრებულობა? რატომაა იგი უფრო მეტი, ვიდრე ნებისმიერი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება?

როცა ივანე საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობაზე საუბრობდა, აღნიშნავდა, რომ უნდა დაფუძნებულიყო სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც ქართველი ახალგაზრდობა არა მარტო ცოდნას ეზიარებოდა და პირად ცხოვრებას უკეთ მოიწყობდა, არამედ უპირველესად, ეროვნული მეცნიერება აღორძინდებოდა, რომელიც ერის წარმატებულ მომავალს დაედებოდა საფუძვლად. ***„არც ერთ ეროვნებას და ქვეყანას არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია. ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული“,*** — აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი 1917 წ. უნივერსიტეტის დასაარსებლად მოწვეულ კრებაზე თავის მოხსენებაში.

ივანეს აზრით, ქართველი ერის ***„შეუჩერებელი კულტურული ზრდა“*** რომ გარანტირებული ყოფილიყო, საჭირო იყო ***„შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება“.***

ცოტა უფრო ადრე, კერძოდ, 1904 წელს ივანე წერდა: *„ქართულ ენასა და მწერლობას მაშინ გაუმაგრდება ნიადაგი, თუ ჩვენი ახალი*

თაობა პატივცემულ პრ[ოფესორს] ვ]ასილ] პეტრიაშვილს მიბაძავს (ვ. პეტრიაშვილი, ოდესის უნივერსიტეტის რექტორი, ქიმიკოსი, თავის შრომებს ქართულად წერდა, რაც სანიმუშო მაგალითად ესახებოდა ივანეს. დ.ს.) და გულწრფელად და თავგანწირულად ეცდება ქართული, სამეცნიერო (ყველა დარგისა) თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაფერისი მწერლობა შექმნას, — რომ მწერლობას მართლა ჰქონდეს ცხოვრებაში და ჩვენი საზოგადოებრივი და ეროვნული მოქმედების მტკიცე ხელმძღვანელი გახდეს..“.

ამდენად, აქაც იგივე აზრია გატარებული: უნდა ვეცადოთ ***„ქართული, სამეცნიერო (ყველა დარგისა) თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაფერისი მწერლობა“*** შევქმნათ, რომ იგი ***„ჩვენი საზოგადოებრივი და ეროვნული მოქმედების მტკიცე ხელმძღვანელი გახდეს..“***.

ამიტომაც ამბობდა ასე კატეგორიულად ივანე იგივე მოხსენებაში: ***„თუ ჩვენ გვინდა, რომ ამ ჩვენს აღორძინებას მტკიცე საძირკველი ჰქონდეს, ფესვები მაგრად გაიდგას და უხვად გაიფურჩქნოს, უნდა დაუყოვნებლივ ჩვენს თანამედროვე ვითარებას ჩავუკვირდეთ და საქმის შესატყვისი სამოქმედო გეგმა შევიმუშავოთ, რომლის განსახორციელებლად არაფერი უნდა დავზოგოთ და არავითარ დაბრკოლების წინაშე არ უნდა შევდრკეთ“***.

ივანე იგივე აზრს იქვე უფრო ლაკონურად აყალიბებს და დასკვნის სახით გვთავაზობს: ***„თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორჩს აღორძინებას ფესვები გავუმაგროთ, მთელი ჩვენი ძალღონით ქართულ მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევუწყოთ“***.

ყოველივე ამ მსჯელობას მოსდევს კითხვა „რა გზით?“ და პასუხი არის ერთადერთი: უნდა ქართული უნივერსიტეტი შევქმნათ, სადაც ***„მეცნიერება მთელის თავის მრავალმხრივობითა და მრავალფეროვნებით სუფევს... აქ შესაძლებელი ხდება მეცნიერების ცხოველი, შეუჩერებელი მიმდინარეობა და მეცნიერება დაუშრეტელ, ცოცხალ ძალად არის ქცეული. სწორედ ასეთი დაწესებულებაა ჩვენ ქართველებისთვის საჭირო“***.

ასეთია ივანეს დასკვნა და დიაგნოზი.

საქართველოში მეცნიერული კვლევა-ძიება სულს ღაფავდა. ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევით თითო-ოროლა ადამიანი

იყო დაკავებული. ექვთიმე თაყაიშვილი ემიგრანტობისას დაწერილ წერილში იხსენებს, რომ ვინც საქართველოში ***„ვმუშაობდით, უფრო მოყვარულნი ვიყავით სამეცნიერო შრომისა, ვიდრე სპეციალისტები, და ამასთან ყელამდის დატვირთულნი ჩვენი საქმეებით“***. რაც შეეხება საბუნებისმეტყველო დარგებს, ამაზე საუბარი ხომ ზედმეტი იყო. თავის დროზე ოდესის უნივერსიტეტის რექტორმა, ქიმიის პროფესორმა ვასილ პეტრიაშვილმა მოინდომა თავისი კვლევის საქართველოში გადმოტანა და მცირე ლაბორატორიაზეც თანახმა იყო. მაშინ ესეც კი ვერ მოხერხდა. თავად ივანე კი ამ მოხსენებაში საბუნებისმეტყველო დარგების განუვითარებლობის შესახებ მიუთითებდა: ***„როგორ უნდა განვითარდეს ჩვენში თუნდ ქვამადნის დამუშავება, როდესაც ნივთიერების შემადგენლობის გამოკვლევა ადგილობრივ არავის შეუძლია და ნიმუშები ანალიზისთვის ან რუსეთს, ან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში გაიგზავნოს ხოლმე“***.

რაც შეეხება უცხოეთს, ქართველი მეცნიერები რუსეთსა და ევროპაში იყვნენ მიმოფანტულნი. მათ იმ ქვეყნების მეცნიერების განვითარებაში შეჰქონდათ წვლილი, სადაც მოღვაწეობდნენ. ამიტომ ცამდე მართალი იყო ივანე, როცა აღნიშნავდა ქართული მეცნიერება არა გვაქვსო.

აი, ამ ქართული მეცნიერების მკვდრეთით აღდგომას უნდა მომსახურებოდა ქართული უნივერსიტეტი.

საკმარისი არ იყო უცხოეთში გვყოლოდა ამა თუ იმ საქმის სპეციალისტები. ისინი ეროვნულ ნიადაგზე მდგომნი, ქართულად მოაზროვნენი და მოუბარნი უნდა ყოფილიყვნენ. მხოლოდ ასეთი ადამიანები შეუქმნიდნენ ერს განვითარების მკვიდრ საფუძველს.

ქართული ეროვნული ცნობიერება თერგდალეულების მოღვაწეობით საკმაოდ გამოფხიზლებული იყო, მაგრამ პუბლიცისტიკის სფეროს ვერ სცილდებოდა.

ახლა, ახალ დროში, საჭირო გახდა, რომ ერის განვითარებას უფრო მკვიდრი ნიადაგი ჰქონოდა. ეს კი მხოლოდ მეცნიერებაზე დაფუძნებით შეიძლებოდა მომხდარიყო. მოგვიანო პერიოდის მთავრობისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ მოხსენებაში ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: ***„თანამედროვე ცხოვრება, ყველა თავისი კულტურული და ეკონომიური მხარეები, მისი წარმატებული***

დაწინაურება ყოველსავე სფეროში მეცნიერების წარმატებასთან არის უმჭიდროესად დაკავშირებული. სამეცნიერო, წმინდა თეორიული აღმოჩენა უმალ პრაქტიკულ ცხოვრებისთვისაც არის ხოლმე გამოყენებული. ხშირად კი აღმომჩენისთვისაც კი მოულოდნელს ცხოვრების ძირითად ცვლილებებს იწვევს. გერმანელ ფიზიკოსების მიღწეულობაა ბრწყინვალე შედეგი გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობის უაღრესი დაწინაურებისა და სწრაფი აყვავებისათვის საკმაოდ არის ცნობილი, რომ ამაზე დიდ ხანს ლაპარაკი საჭირო იყოს. მარტო ანილინის საღებავის აღმოჩენით გერმანულმა მეცნიერებამ თავის ეროვნულ ვაჭრობა-მრეწველობას მანამდე უძლეველი ინგლისის უბრძოლველად დამარცხება შეაძლებინა. ჩვენი პატარა, ბუნებით უხვად დაჯილდოებული, მაგრამ კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა, რასაკვირველია, სხვებზე მეტად არის ვალდებული მეცნიერების წინამძღოლობასა და გზისგამკვლეობას ანგარიში გაუწიოს, რომ სხვებს დაეწიოს და კაცობრიობის დაწინაურებაშიც თავისი პირადი წვლილი შეიტანოს“.

ამ სიტყვებს ივანე უნივერსიტეტის დაარსებიდან მეექვსე წელს ამბობდა და იქვე უმატებდა: ***„თითოეულ მთავარ მიღწეულობის ჩამოთვლით რომ თავი არ მოგაბეზროთ, შემიძლიან მოკლედ მოგახსენოთ, რომ უ[ნივერსიტე]ტის ყოველი ფაკულტეტი თავის სფეროში დიდ მუშაობას აწარმოებს, რომელიც გარეშე საზოგადოებისთვის ამჟამად უმეტეს ნაწილად ჯერ უჩინარია, მაგრამ რომლის ჩვენი ერის წარმატებისათვის უაღრესი მნიშვნელობა უახლოეს დროს ყველასათვის ცხადი და უცილობელი შეიქმნება“***.

მივაქციოთ ყურადღება:

ილია ამბობდა „*ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ* ***წარ-ვუძღვე*** *წინა ერსა*“-ო.

ივანე კი წერს, ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყანა „*სხვებზე მეტად არის ვალდებული* ***მეცნიერების წინამძღოლობასა და გზისგამკვლეობას*** *ანგარიში გაუწიოს, რომ სხვებს დაეწიოს და კაცობრიობის დაწინაურებაშიც თავისი პირადი წვლილი შეიტანოს*“.

ანუ, ერის წინამძღოლობა ილიას დროს მწერლობას (პოეზიას, პუბლიცისტიკას) ეკუთვნის და ივანეს დროს კი — მეცნიერებას.

ამ საკითხზე ჯერ კიდევ ივანეს ერთ-ერთი მოწაფე ნიკო ბერძენიშვილი მეცნიერის გარდაცვალების სამი წლისთავზე გაკეთ-

ებულ მოხსენებაში აღნიშნავდა: „*ივანე ჯავახიშვილი პეტერ-ბურგის ქართველოლოგიის სამჭედლოში* ***ახალი საქმის*** *მოთავედ გამოვიდა. მას არ აკმაყოფილებს რუსული მეცნიერების წარ-მატება საქართველოს შესწავლის საქმეში და, როგორც მშობელი ხალხის ჭეშმარიტი მსახური, ის* ***ქართული მეცნიერების შექმნი-სათვის იბრძვის***“ (ხაზგასმა აქაც და ქვემოთ ეკუთვნის ნ. ბერ-ძენიშვილს, დ.ს.).

ვინ ვინ და ნიკო ბერძენიშვილმა კარგად იცოდა, რასაც ამბობ-და. ავტორი ხომ თავის ნათქვამში იმას გახაზავს, რასაც უნდა, რომ მკითხველმა ყურადღება მიაქციოს. მეტიც, იგი ამავე მოხსენებაში ამ საკითხს კიდევ ორჯერ უბრუნდება და დაბეჯითებით იგივეს იმ-ეორებს. თვალსაჩინოებისათვის ორივე ამონარიდს მოვიყვან:

ივანე ჯავახიშვილი „*სტოლიპინის რეაქციის დროს, ქართველ მეცნიერ მუშაკთა აღრიცხვას თავის უბნის წიგნაკში აწარმოებდა, აქ საკვირველი არაფერია. ეს სრულიად ბუნებრივი საქმიანობაა იმ ადამიანისა, რომელიც* ***ახალი ქართული მეცნიერების ფუძემ-დებლად გამოვიდა***“.

„*1917 წელს, როდესაც რევოლუციამ მეფის რუსეთი დაამსხვრია და ხალხთა საპყრობილის კარები გახსნა, ქართული უნივერსიტე-ტის შექმნის საკითხი სადღეისო ამოცანად იქცა. პეტროგრადში ივანე ჯავახიშვილის მოთავეობით ახალი ქართული მეცნიერების შტაბი ჩამოყალიბდა, აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტს დაზრდი-ლი ქართველი „შევარდენები გადაუფრინდა“. გატაცებული მოღ-ვაწის დიდი ხნის ოცნებამ ხორცი შეისხა. პატრიოტებმა სამშ-ობლოს მოაშურეს და აქ ქართულ უნივერსიტეტს საძირკველი ჩაუყარეს. ამიერიდან* ***ივანე ჯავახიშვილი ქართულ მეცნიერებას სათავეში ედგა“.***

ამ სულისკვეთებას გამოხატავს აკაკი შანიძეც: „*ქართველი ერის აღორძინების ისტორიაში ილია ჭავჭავაძის შემდეგ მთავარი ფიგურა და მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი უთუოდ ივანე ჯავახიშვილი იყო, რომელსაც წილად ხვდა წინამძღვრად გაძღოლოდა მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ერს უკეთე-სი მომავლისათვის*“.

ამ ახალი საქმის — **ქართული მეცნიერების ჩამოყალიბების** მოთავედ, და არა მხოლოდ ერთი უმაღლესი დაწესებულების გახ-

სნის ინიციატორად, მოგვევლინა ივანე. ასე საკითხი მანამდე არც არავის დაუყენებია და მით უმეტეს, ხორცსაც ვერ შეისხამდა. ივანეს წინამორბედნი ნიკო მარი და ექვთიმე თაყაიშვილიც თერგდალეულთა კვალზე მავალნი მათ საასპარეზო არეს ვერ შორდებოდნენ. ექვთიმე იგონებს: მე და ნიკო მარმა პეტერბურგში სწავლის დროს გადავწყვიტეთ, ***„რომ აქ ტფილისში წამოვსულიყავით ორთავე და აქ გვემუშავა საზოგადო ასპარეზზე, ან გაზეთის გამოცემით ან სწავლა-აღზრდის გავრცობით“.*** სწორედ ამიტომაც საქართველოს ისტორიაში ეს ხანა, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებით შეიქმნა, ახალი ეტაპია.

გრიგოლ რობაქიძე ივანეზე დაწერილ ერთ ესეში ილიას გაიხსენებს და შემდეგ აგრძელებს: *„ილია იღვწოდა საქართველოს მზეოსან ხელმწიფების აღდგენისათვის: სიტყვით, საქმით, ცხოვრებით..“*. ახლა კი ივანე ჯავახიშვილმა *„უნდა განაგრძოს ეს გზა, მეტად მძიმე გარნა მეტადვე საშური. მაგრამ როგორ? ჯავახიშვილი მემატიანეა, მეისტორიე. გამოიკვლევს საქართველოს თავგადასავალს — იგი ამით დაეხმარება მის ხელმწიფების აღდგენას. ეს არის ეხლა მისი უღრმესი რწმენა, რწმენა უტყუარი და მართებული. გსურს გაიგო „ვინა ხარ“, უნდა შეიგნო „ვინ იყავ“. გინდა იქცე „რამედ“, უნდა შეიტყო „რა განვლე,“ „საითკენ?“ მიზანმხვედრია მაშინ, თუ ესეც იცი: „საიდან?“ ისტორია არის არა მარტო ხსოვნა წარსულისა — იგი თანვე ქმედითი მონაწილეა მომავლისა. ამ რწმენით იწყებს ჯავახიშვილი თავის მოწოდების ასრულებას... იწყება მსოფლიო ომი. ქართველ ერში ოცნება იღვიძებს... ღრმავდება შეგნება ქართველისა — როგორც ქართველის. თავდადებულთა ერთი მცირე ჯგუფი ცდილობს დაარსდეს ქართული უნივერსიტეტი, რათა ამ შეგნებას ქვაკუთხედი აუგოს. ამ ჯგუფის თაოსანი და სულის ჩამდგმელი ივანე ჯავახიშვილია“.*

„ქართული უნივერსიტეტი — ქართველთა შეგნებას ქვაკუთხედი“.

ზუსტი და სკრუპულოზური განსაზღვრებაა, ისეთი, მისხალიც რომ არაა არც ზედმეტი და არც ნაკლები.

მიუხედავად იმ ძნელბედობისა, რომელიც უნივერსიტეტმა ქვეყანასთან ერთად გამოიარა, ივანე ჯავახიშვილის სიტყვები გამართლდა, რომ საქართველოს ყოველთვის დასჭირდება სხვადასხვა დარგის სპეციალისტებიო.

ქართულ უნივერსიტეტს გამოეყო ან მისი ხელშეწყობით დაფუძნდა დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები საქართველოში; დაარსდა მეცნიერებათა აკადემია, რომლის შემადგენლობაში დიდი წილი ივანესეული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იყვნენ. აკადემიის სისტემაში სხვადასხვა მიმართულების კვლევითი ინსტიტუტები შეიქმნა. თანდათანობით სამეცნიერო ქსელმა მთელი საქართველო მოიცვა. **მეცნიერების მიღწევები ყველა სფეროში მოთხოვნადი და ფართოდ გამოყენებადი გახდა**.

მგონი, ეს დღეისათვის ყველასათვის ცხადი უნდა იყოს.

მხოლოდ ერთ მაგალითს გავიხსენებ: თბილისის სპორტის სასახლის მშენებლობისას მისი გადახურვის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მათემატიკური გამოთვლები იყო საჭირო და ამისთვის ივანესეული უნივერსიტეტის აღზრდილი, აკადემიკოსი ილია ვეკუა მიიწვიეს.

არაფერს ვამბობ ქართველი სპეციალისტების მიერ ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის შექმნასა და სხვა საინჟინრო ნაგებობებზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოგონებაზე, სასელექციო მიღწევებზე და სხვა უამრავ სამეცნიერო წარმატებაზე.

საქართველოში მეცნიერების ამ მნიშვნელოვანი დაწინაურების შედეგები სწორედ ივანეს განჭვრეტაზე, მონდომებაზე, გარჯასა და თავდადებაზე დგას.

ამდენად, წიწამურს აქეთ განვლილი პერიოდი მეცნიერების განვითარებისა და მისი პრაქტიკული გამოყენების ხანაა. საქართველოსათვის მრავალ არსებით მოვლენასთან შედარებით მეცნიერების ხაზი უმნიშვნელოვანესი და უპირველესია. ეროვნული სულისკვეთების გადარჩენაც მასთანაა დაკავშირებული. კულტურის დაწესებულებებთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების კერებში იგი ღველფში შენახული ნაკვერცხალივით ღვიოდა.

მოკლედ რომ მოვჭრათ, **მთელი მეოცე საუკუნე მეცნიერების საუკუნეა. მისი ფუძისდამდები კი საქართველოში ივანეა.**

მეცნიერები საქართველოს ივანემდეც ჰყავდა, მაგრამ მათი შეკრება, ეროვნულ საქმეში ჩაბმა და ახალი კადრების აღზრდა, ივანეს დამსახურებაა. ამიტომაც, საქართველოსათვის XX საუკუნეს **მეცნიერების საუკუნე** ან **ივანეს ეპოქა** შეგვიძლია ვუწოდოთ.

„წიწამურთან რომ მოკლეს ილია
მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი“.

წიწამურის ტრაგედიით დამთავრდა ერთი დიდი ეპოქა.

ეს ის ეპოქაა, რომელშიც ძირითად ეროვნული განვითარების გეზს, სხვა უკეთეს ქართველებთან ერთად, ილია განსაზღვრავდა. დასრულდა ილიას ეპოქა და ახალი დაიწყო.

ეს იყო 1907 წელი.

ილიას ეპოქა ერის გამოფხიზლების, ეროვნული ფასეულობების აღდგენის, ერის ვინაობის დადგენის და საერთო საქმისათვის ერის დარაზმვის ეპოქა იყო. ამ ეპოქაში კი მთავარ იარაღად პუბლიცისტიკა მოგვევლინა.

ამ გზას გაგრძელება სჭირდებოდა, მაგრამ არა მარტო უბრალო გაგრძელება, არამედ თვისებრივი განახლება, ახალი რეალების გათვალისწინება და ახლებურად მოქმედება.

ამ მიზნით შექმნა 1907 წელს ივანემ პეტერბურგში სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელიც უნივერსიტეტის შექმნისაკენ მიმართული პირველი ნაბიჯი იყო. ყოველივემ კი ფრთები 10 წლის შემდეგ შეისხა.

1907 წელს დამთავრდა ილიას დიდი ეპოქა.

1907 წელს დაიწყო ივანეს ახალი ეპოქა.

ივანეს ეპოქა ესაა ქართული მეცნიერების დაფუძნების და განვითარების ხანა, როცა ერის ცხოვრებაში სამეცნიერო აზრი და მიღწევები ფართოდ იჭრება. ეს ყოველივე კი ეფუძნება ივანეს დაარსებულ უნივერსიტეტს, მისივე სიტყვებით „ცოდნის ტაძარს“.

ამიერიდან საქართველოს აღმშენებლობის დვრიტად მეცნიერება მოგვევლინა,

ქართული მეცნიერება,
უშუალოდ საქართველოში,
ქართველების მიერ,
ქართულ ენაზე ამეტყველებული მეცნიერება.

და ეს ეპოქა გრძელდება დღესაც.

და ამიტომაც 1907-დან მოყოლებული ხანა მეცნიერების ანუ ივანეს ეპოქაა.

ბოლოთქმა

ივანემ ბევრი რამ გააკეთა, ძალიან ბევრი რამ.

თუმცა მას დრო მაინც არ ეყო.

ლექციის კითხვისას გარდაიცვალა. იმ ლექციაზე, სადაც აუდიტორიას თავის კვლევის ახალ შედეგებს აცნობდა. ამ ლექციას ქართველი მეცნიერების თითქმის ყველა წარმომადგენელი ესწრებოდა.

ეს ლექცია ვერ დაამთავრა.

ავტორს შრომებიდანაც ბევრი რამ მასალის სახით დარჩა, რადგან ვერც მათი დასრულება მოასწრო.

მან ისე იცხოვრა, რომ ერთი წამითაც არ შეუწყვეტია სამეცნიერო მუშაობა და ერთი წამით არ შეუყოვნებია სამშობლოზე ფიქრი და ზრუნვა. მარადისობაშიც ამ საქმიანობისას გადავიდა — აუდიტორიაში შეწყვიტა ამქვეყნიური არსებობა.

მანამდე კი დიდი გზა განვლო, თუმცა რაღაც 64-ოდე წელიდა იცოცხლა.

მე მხოლოდ ამ გზას ზოგადად გადავავლე თვალი, ვინძლო საჩემოდ რაღაც მომენიშნა.

შემეშინდა.

დიდი სიამოვნებით ჩამოვართმევდი ხელს იმას, ვინც საწინააღმდეგოს დამიმტკიცებდა.

ეს ივანესაც გაუხარდებოდა.

მე კი დავრწმუნდი და ვერაფერი გადამარწმუნებს, რომ ივანე იმდენად დიდი ქართველია, რომ მას ყველაზე უკეთ მიესადაგება შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი აკაკი წერეთლის სიტყვები:

„სულმნათო მადლი შენს გამჩენს!
დიდება ერსა შენს მშობელს!“